იზოლდა ჭილაძე
Izolda Chiladze

ფინანსური ანალიზი

(ფინანსური ანგარიშგების ანალიზი)

FINANCIAL ANALYSIS

(ANALYSIS OF FINANCIAL STATEMENTS)

სახელმძღვანელო
Taxbook

მესამე გადამუშავებული გამოცემა

3th edition

ვუძღვნი ჩემს მეცნიერ/ხელმძღვანლის პროფესორ ფარნაოზ მენთეშაშვილის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს

თბილისი 2018

UDC (უაკ) 657 – 22
ჭ–462

წიგნში გადმოცემულია საწარმოს (ფირმის) ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები. აგრეთვე განხილულია საწარმოს გადახდისუნარიანობის, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ფინანსური სტაბილურობის, ფინანსური აქტიურობის, მომგებიანობის, ინვესტიციების, ფინანსური რისკების (ლევერიჯის) ანალიზის მეთოდიკა.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკის პროფილის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურისათვის. აგრეთვე იგი დიდ დახმარებას გაუწევს პრაქტიკოს ბუღალტრებს, აუდიტორებს, ფინანსურ მენეჯერებს და მეცნიერმუშაკებს.

ავტორი: იზოლდა ჭილაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რედაქტორი: ნანა სრესელი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტი: თეა მუნჯიშვილი – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
თსუ ასოცირებული პროფესორი

© იზოლდა ჭილაძე, 2018

ISBN 978-9941-27-561-6

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თავი 1. ფინანსური ანალიზის საბანი და მეთოდი

1.1. საწარმოს ფინანსების არსი და დანიშნულება 9
1.2. საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის საგანი, მეთოდი და ტრადიციული ანალიზური ხერხები 16
1.3. ეკონომიკური ანალიზის მათემატიური ხერხები 38
1.4. საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა 42
1.5. ფინანსური ანალიზის მიზანი, ჩატარების ეტაპები და ინფორმაციული ბაზა 51
ტესტები და ამოცანები 61

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი

თავი 2. ფინანსური ანგარიშგების მიზანი და ანალიზის მეთოდები

2.1. საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მიზანი, მომხმარებლები, ხარისხობრივი მახასიათებლები და ელემენტები 66
2.2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, მისი ანალიზის მიზანი და ამოცანები 74
2.3. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები 78
2.4. კავშირი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის 81
ტესტები და ამოცანები 88

თავი 3. ბუღალტრული ბალანსის ანალიზის მეთოდიკა

3.1. ბუღალტრული ბალანსის ანალიზური მნიშვნელობა 91
3.2. ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზი 98
3.3. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი 105
3.4. ბუღალტრული ბალანსის კერძო და კომბინირებული კოეფიციენტების ანალიზი 110
ტესტები და ამოცანები 111

თავი 4. მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა

4.1. მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა 115
4.2. მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი 121
4.3. მოგება/ზარლის ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი 124
4.4. მოგება/ზარალის ანგარიშგების ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტების ანალიზი 127
ტესტები და ამოცანები 129

თავი 5. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი

5.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა 131
5.2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი 136
5.3. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი 139
5.4. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ავტონომიური და კომბინირებული მაჩვენებლების ანალიზი 141
ტესტები და ამოცანები 143

თავი 6. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ანალიზი

6.1. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა 145
6.2. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი 149
6.3. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი 151
6.4. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტების ანალიზი 152
ტესტები და ამოცანები 153

თემატური ფინანსური ანალიზი

თავი 7 . საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი

7.1. საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის ამოცანები, მაჩვენებლები და ინფორმაციული ბაზა 156
7.2. საწარმოს მიმდინარე აქტივების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი 158
7.3. გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი 161
7.4. საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროების სტრუქტურული ანალიზი 165
7.5. წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზი 170
ტესტები და ამოცანები 179

თავი 8. საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ანალიზი

8.1. საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის ამოცანები 182
8.2. საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზის მეთოდიკა 186
8.3. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების სისტემა 191
8.4. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მეთოდიკა 196
ტესტები და ამოცანები 200

თავი 9. მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზი

9.1. მოთხოვნების სტრუქტურა და ანალიზის ამოცანები 203
9.2. დებიტორული დავალიანებების ანალიზის მეთოდიკა 207
9.3. ვალდებულებების სტრუქტურა და ანალიზის ამოცანები 214
9.4. კრედიტორული დავალიანებების ანალიზი 218
9.5. აღებული სესხების ანალიზი 223
ტესტები და ამოცანები 227

თავი 10. საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის ანალიზი

10.1. საკუთარი კაპიტალის არსი და ანალიზის ამოცანები 258
10.2. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი 235
10,3, საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის მაჩვენებლები 237
10.4. სააქციო კაპიტალის ანალიზის მეთოდიკა 240
10.5. სადივიდენდო პოლიტიკა 245
10.6. შემოსავალი ერთ აქციაზე 250
10.7. სესხებისა და საკუთარი კაპიტალის ჰიბრიდები 253
ტესტები და ამოცანები 255

თავი 11. საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზი

11.1. საწარმოს საქმიანი აქტიურობის მაჩვენებელთა ანალიზის მიზანი, ამოცანები და ინფორმაციული ბაზა 258
11.2. ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის მოდელი 260
11.3. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლების ანალიზი 262
11.4. ფულადი სახსრების დენადობისა და ბრუნვადობის ანალიზი 267
ტესტები და ამოცანები 273

თავი 12. საწარმოს მოგებისა და მომგებიანობის ანალიზი

12.1. საწარმოს ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანები 276
12.2. საწარმოს მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა 277
12.3. საწარმოს მოგების ანალიზის მეთოდიკა 282
12.4. საწარმოს მომგებიანობის (რენტაბელობის) ანალიზის მეთოდიკა 286
ტესტები და ამოცანები 291

თავი 13. საწარმოს ლევერიჯის ანალიზი

13.1. საწარმოს რისკების კლასიფიკაცია 293
13.2. საოპერაციო ლევერიჯის ანალიზი 298
13.3. ფინანსური ლევერიჯის არსი და ანალიზის მეთოდიკა 302
ტესტები და ამოცანები 306

თავი 14. საწარმოს მოსალოდნელი გაკოტრების მრავალფაქტორიანი მოდელები

14.1. ალთმანის მოდელი 309
14.2. ფულმერის მოდელი 312
14.3. სპრინგეითის მოდელი 313
14.5. კრედიტორული დავალიანების დაფარვის ბიევრის კოეფიციენტები 314
ტესტები და ამოცანები 316

თავი 15. პროგნოზული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა

15.1. პროგნოზული მოგება/ზარალის ანგარიშგების მომზადება 318
15.2. გეგმური ბუღალტრული ბალანსის მომზადება 321
15.3. ფულადი ნაკადების ანგარიშგების პროგნოზირების მეთოდიკა 323
ტესტები და ამოცანები 327

თავი 16. ინვესტიციების ანალიზი (საწარმოს შეფასება საფონდო ბირჟებზე)

16.1. ინვესტიციის სახეები და ანალიზის ამოცანები 329
16.2. ალტერნატიული საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები 331
16.3. ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებლები 339
16.4. ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზის მეთოდიკა 342
ტესტები და ამოცანები 345

თავი 17. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდიკა

17.1. საწარმოთაშორისო ანალიზის არსი და მიზანი 349
17.2. საწარმოთა შესადარისობის პრობლემა საწარმოთაშორისო ანალიზის დროს 351
17.3. ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდიკა 354
17.4. მომგებიანობის საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდიკა 358
ტესტები და ამოცანები 363

ტესტებისა და ამოცანების პასუხები 365

Contents

Part I. Analysis of Financial Statement

Charter 1. Subject and Methods of Financial analysis ---------- 9

Charter 2. The Aim and Methods of Financial Statement Analysis---------- 66

Charter 3. The Balance Sheet Analysis Methodology---------- 91

Charter 4. Methodology of the Profit&Loss Statement Analysis---------- 115

Charter 5. Methodology of Cash Flow Reporting Analysis---------- 131

Charter 6. Methodology of Analysis of the Statement of Changes in Equity for the Period----------145

Part II. Thematic Financial Analysis of the Enterprise

Charter 7. Analysis of The Asset Condition----------156

Charter 8. Analysis of Solvency and Financial Stability of the Enterprise----------182

Charter 9. Analyzing of the Requirements and Liabilities of the Enterprise----------203

Charter 10. Analyzing of the Equity ---------- 231

Charter 11. Analysing Business Activity---------- 258

Charter 12. Analysing Profitability of the Enterprise---------- 276

Charter 13. Analysis of Levarge Retios---------- 293

Charter 14. Multi-factor models of the bankruptcy of the enterprise---------- 309

Charter 15. Methods of Preparing Planned Financial Statements---------- 318

Charter 16. Analysis of Investment Dicisions----------329

Charter 17. Comparative Analysis between the Enterprises----------349

შესავალი

ფინანსური ანალიზი (ასევე ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) ეხება ამა თუ იმ დარგის ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის, გადახდისუნარიანობის, სტაბილურობის, მომგებიანობისა და ფინანსური უსაფრთხოების შეფასების საკითხებს.

ფინანსური ანალიზი საწარმოს ეკონომიკური ანალიზის ანუ ბიზნესის ანალიზის ერთ-ერთი მიმართულება იყო. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი დასავლეთის ქვეყნებში დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა. საწარმოს ეკონომიკურ ანალიზს კი ბიზნესის ანალიზს ან მმართველობით ანალიზს უწოდებენ. ხოლო, საწარმოს ფინანსური ანალიზი არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგების და საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების ანალიზის მეთოდოლოგიას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები, გარდა მოცემული საწარმოს ფინანსური მენეჯმენტისა, საწარმოს გარეთ იმყოფებიან. ესენია, ინვესტორები, კრედიტორები, საფინანსო დაწესებულებები, სამთავრობო სტრუქტურები, საზოგადოების სხვადასხავა წარმომადგენლები (მეცნიერები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სხვები).

საწარმოს ინვესტორები და კრედიტორები გარკვეულ რისკს ეწევიან იმის გამო, დროულად დაიბრუნებენ თუ არა პროცენტებს, დივიდენდებს და გასესხებულ თანხებს. რისკების შემცირების მიზნით კომპანიები გამუდმებით სწავლობენ ერთმანეთის ფინანსურ ანგარიშგებას მათი ფინანსური პოზიციების შეფასების მიზნით, რათა მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები, ენდონ თუ არა ერთმანეთს და დაამყარონ თუ არა საქმიანი ურთიერთობები ერთმანეთთან. ამ მიზნებისათვის, ყველა იურიდიული პირი ვალდებულია გამოაქვეყნოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მისი გარეთ მყოფი მომხმარებლებისათვის. ამ პრაქტიკული საჭიროების შესაბამისად ჩამოყალიბდა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიმართულება.

საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტი საწარმოს ფინანსურ სტაბილურობის და გადახდისუნარიანობის მხოლოდ შეფასებით ვერ დაკმაყოფილდება. მან უნდა გამოიკვლიოს და შეიმუშაოს ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები, რისთვისაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია არ კმარა. ამისათვის საჭიროა შიგა მმათველობითი ინფორმაციაც, რომლის მისაწვდომობის პრობლემა საწარმოს ხელმძღვანელობისათვის არ არსებობს.

ამრიგად, დღეისათვის, ფინანსური ანალიზის შიგნით ორი მიმართულება გამოიკვეთა: პირველი, **ფინანსური ანგარიშგების ანალიზი**, რომელიც მოითხოვს იმ ხერხებისა და მეთოდების ცოდნას, რომელიც დაეხმარება ინორმაციის გარე მომხმარებელებს, სწორად შეაფასონ ამა თუ იმ საწარმოს ფინანსური პოზიციები და მოსალოდნელი რისკები. მეორე მხრივ, აუცილებელი გახდა **თემატური ფინანსური ანალიზის** უფრო ღრმა ანალიზური ხერხების დამუშავება, რომელიც სჭირდება საწარმოს ფინანსურ მენეჯმენტს ყოველმხრივი ანალიზი ჩაატაროს ფინანსური სტაბილურობისა და უსაფრთხოების შემდგომი გამტკიცების, მომგებიანობის და ინვესტიციების უკუგების ამაღლების დეტალური ღონისძიებების შემუშავების მიზნით. ამ მიზნებისათვის კი მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია საკმარისი არაა, მაგრამ მენეჯმენტისათვის ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა არ არსებობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე სახელმძღვანელოში ფინანსური ანალიზის სტრუქტურა ისეა აგებული, რომ წარმოდგენილია როგორც ფინანსური ანგარიშგების, ისე თემატური ფინანსური ანალიზის მეთოდიკა. თუმცა მათ შორის „ჩინური კედელი“ არ არსებობს. მაგრამ ასეთი მიდგომა, ჩვენი აზრით, უკეთ შეესაბამება გარეთ გამოსაქვეყნებელი საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ძირითადი მომხმარებლებისა და საწარმოს შიგნით, ფინანსური მენეჯმენტის ანალიზურ მოთხოვნებს.

ტექსტში ლარის აღსანიშნავად გამოყენებულია სიმბოლო „ლ“, ლიტრის აღსანიშნავად „ლტ“.

თავი 1. ფინანსური ანალიზის საგანი და მეთოდი



საწარმოს ფინანსური ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საწარმოთა მენეჯმენტში, ბიზნესის აქტივობის, ფინანსური სტაბილურობის და რისკების ადეკვატური მართვის მიმათულებით. თანამედროვე კონკურენტულ და რთულ საფინანსო ურთიერთობების გარემოში გადამწყვეტი გახდა საწარმოთა გადახდისუნარიანობის და ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყობა.

ფინანსური რისკების შერბილების მიზნით, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საწარმოთა მენეჯმენტის მიერ ფინანსური რესურსებისა და დაფინანსების წყაროების ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნების ღონისძიებების შემუშავებას და დანერგვას უწყვეტ რეჟიმში. სწორედ ამ მიზნების განხორციელებას ემსახურება ფინანსური ანალიზი.

ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- საწარმოს ფინანსების არსი და ფინანსური მენეჯმენტის გარემო;
- ეკონომიკური ანალიზისა და ფინანსური ანალიზის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები;
- საწარმოთა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა;
- ფინანსური ანალიზის მიზანი, ჩატარების ეტაპები და ინფორმაციული ბაზა.

1.1. საწარმოს ფინანსების არსი და დანიშნულება

ფინანსები ერთი მხრივ, შეიძლება გააზრებულ იქნეს, როგორც ფინანსური რესურსების ერთობლიობა **და ფულადი ურთიერთობების ერთობლიობა** – მეორე მხრივ.

ამასთან, ფულადი ურთიერთობები თავისთავად ფინანსურ რესურსებს არ წარმოადგენენ. ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ ფულადი ურთიერთობების განხორციელებას საწარმოებს შორის, საწარმოსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის, საწარმოსა და ბანკებს შორის და ა.შ.

ფულადი ურთიერთობების მეშვეობით ხდება საწამოს ფინანსური რესურსების ფორმირება (შექმნა) და გადანაწილება. საწარმომ ფინანსური რესურსები შეიძლება შექმნას და შეიძინოს: საკუთარი სახსრებით (სააქციო კაპიტალი, მოგება, წილობრივი შენატანები და სხვა), ან ბიუჯეტური გადანაწილების წესით (ბიუჯეტური სუბსიდიები, სადაზღვევო ანაზღაურებები და სხვა), ან მოზიდული სახსრებით (სხვადასხვა სესხები და ვალდებულებები). ამრიგად, ყოველი **სამეურნეო სუბიექტის დაფინანსება შეიძლება** სამი ფორმით განხორციელდეს,

როგორიცაა: **თვითდაფინანსება, დაკრედიტება და სახელმწიფო დაფინანსება (გრანტები)**.

მეწარმეები საკუთარი ინტერესებისა და მიზნების შეაბამისად გეგმავენ თავიანთ საქმიანობას და აფორმებენ სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებებს. ამასთან, მეწარმე თავისუფალია მანამ, სანამ გადაწყვეტილებებს მიიღებს. ამის შემდეგ იგი „სულაც არ არის თავისუფალი“. საწარმო ვალდებული ხდება შეასრულოს მის მიერ მიღებული და დაგეგმილი გადაწყვეტილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეექმნება სირთულეები პარტნიორების, ინვესტორების, სახელმწიფოს, საკუთარი პერსონალის და მთელი საზოგადოების წინაშე, რაც თვით საწარმოზე უარყოფით უკუქმედებას ახდენს. ამდენად, მეწარმემ და შესაბამისად საწარმოს მმართველობამ, საკუთარი ფინანსური მიზნის – მოგების მისაღებად, აუცილებელია გააკონტროლოს როგორც, ფინანსური რესურსებით საწარმოს უზრუნველყოფის ხარისხი, ისე ფინანსური ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

ფინანსური რესურსები არის საწარმოს საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განხორციელების საშუალებაც და მიზანიც. მეწარმე მუდამ დაინტერესებულია გააჩნდეს საჭირო ფინანსური რესურსები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის წრებრუნვა და, პირიქით, კაპიტალის (ანუ ავანსირებული, დაბანდებული ღირებულების) შეუფერხებელი წრებრუნვის შედეგად კვლავ დაიბრუნოს ფინანსური რესურსები, მათი ხელახალი ინვესტირებისათვის.

საწარმოს გამართული ფინანსური ურთიერთობები და ფინანსური რესურსების ადეკვატურობა განსაზღვრავს მისი ფინანსური სტაბილურობის ხარისხს. ხოლო **საწარმოთა ფინანსური სტაბილურობისათვის** აუცილებელია არა მხოლოდ ფინანსური რესურსების მართვა. არამედ, აუცილებელია აგრეთვე ფინანსური ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის კომპლექსური (ერთობლივად და ურთიერთკავშირში) მართვა, რაც **ერთად ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ**.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განსაზღვრებით, **ფინანსური ინსტრუმენტი არის** ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება გრძელვადიანი და მოკლევადიანი ინვესტიციების სხვადასხვა ფორმები, რომლებითაც ვაჭრობა ხორციელდება ფინანსურ ბაზარზე. მათ მიეკუთვნება: ფულადი საშუალებები, ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები, აქციები, სადეპოზიტო სერთიფიკატები, თამასუქები), ოფციონები, ფორვარდული კონტრაქტები, ფიუჩერსები, სვოპები და სპოტები.

გამოიყოფა ძირითადი (ანუ პირველადი) და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (იხ. სქემა 1.1.1).

პირველადი ფინანსური ინსტრუმენტებია ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება ფინანსური რესურსები, როგორიცაა: ფულადი სახსრები, ფულადი თანხების ეკვივალენტები, გაცემული სესხები, ნაყიდი ფასიანი

ქაღალდები, მიღებული თამასუქები, მისაღები პროცენტები, მისაღები დაზღვევა და სხვა მოთხოვნები.

ფინანსურ ვალდებულებებს მიეკუთვნება აღებული სესხები, გამოშვებული ობლიგაციები, გაცემული თამასუქები, გადასახდელი პროცენტები

წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

ოფციონი, რომელიც არის შეთანხმება საქონლის ან ვალუტის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, წინასწარ შეთანხმებული შეღავათიანი პირობებით. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს შეცვალოს პირობები.

ფორვარდული კონტრაქტები არის სავალუტო ან სხვა სახის გარიგება, რომელიც უნდა შესრულდეს შეთანხმების დადებიდან ორი სამუშაო დღის შემდეგ, გარიგების დროს არსებული ფასით.

ფიუჩერსები არის წინასწარი შეთანხმება ვალუტის ან საქონლის გაცვლის შესახებ წინასწარ დადგენილი ფასით. იგი ფორვარდის მსგავსია, ოღონდ საბირჟო კონტრაქტია. მის მოპირდაპირე მხარედ ყოველთვის ბირჟა გამოდის.

სვოპ გარიგებები იდება ეროვნული ვალუტის გაცვლის შესახებ იმ პირობით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება შებრუნებული ოპერაცია.

სპოტები არ მიეკუთვნება ვადიან გარიგებებს. იგი არის შეთანხმება ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე, რომელიც ორ სამუშაო დღეში უნდა შესრულდეს.

საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტების მართვის ხარისხი გავლენას ახდენს საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოცულობაზე. თანამედროვე პირობებში გაძლიერდა ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკების მართვის აუცილებლობა.

ფინანსური ინსტრუმენტები, ფინანსური მართვის ხერხები და მეთოდები, ორგანიზაციული ქვესისტემები (საკადრო, ნორმატიული, სამართლებრივი, ინფორმაციული და პროგრამული უზრუნველყოფა) ერთად, ფინანსურ მექანიზმს წარმოადგენს.

მთელი მოძღვრება ფინანსების შესახებ დღეს სამ საყრდენს ეფუძნება. ესენია: ფულის ღირებულების ცვლილება დროში, რისკის მართვა და აქტივების შეფასება. (ზივ ბოგი, რობერტ მეპტონი).

ფინანსური სისტემისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურება ის არის, რომ არსებობს არა მხოლოდ ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრები, არამედ ასევე ბაზარი, სადაც ყიდვა-გაყიდვის ობიექტს თავად რისკი წარმოადგენს. **სწორედ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ანუ დერივატივების ბაზარი** იძლევა რისკების ეფექტურად მართვის შესაძლებელობას. შესაძლებელია წარმოებული ინსტრუმენტების არასაბირჟო რეჟიმში ყიდვა-გაყიდვაც, თავად სიტყვა „წარმოებული ინსტრუმენტი“ გარკვეულწილად მიანიშნებს რომ დერივატივის ფასი და ბაზარზე მისი მიმოქცევა მეორადია და წარმოებულია პირველადი ინსტრუმენტების მოძრაობისაგან. ყოველი წარმოებული პროდუქტი (ფასიანი ქაღალდი) შექმნილია რეალური პროდუქტის საფუძველზე.

წარმოებული ფასიანი ქაღალდების (დერივატივების) კლიენტებს ორ ჯგუფად ყოფენ: ჰეჯერებად და ტრეიდერებად ანუ სპეკულანტებად.



სქემა 1.1.1. საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია

ჰეჯერებისათვის დერივატივები საუკეთესო საშუალებაა საკუთარი ბიზნესისათვის მოახდინონ რისკების მინიმიზაცია და ეფექტური მართვა. მეორე მხრივ, **ტრეიდერები** საკუთარ თავზე იღებენ მაღალ რისკს მაღალი მოგების მიღების მოლოდინში. თუკი სპეკულანტისათვის წარმოებული ქაღალდი გარკვეული ფსონია, ჰეჯერისათვის იგი სადაზღვევო პოლისის ანალოგია. დერივატივში გადახდილი თანხა კი სადაზღვევო შენატანი ანუ სადაზღვევო პრემიაა.

დერივატივები მზარდ პოპულარობას იხვეჭენ. მარავალი ახალი ტიპის წარმოებული ინსტრუმენტი იქმნება, რომელთა რისკების მართვა სულ უფრო რთულდება. მიუხედავად თანმდევი საკმაოდ მაღალი რისკებისა მათ შეძენაზე უარს არ ამბობენ. „თითქმის ვერ შეხვდებით საინვესტიციო პორტფელს, რომელშიც დერივატივები არ შედიოდეს, როგორც მოგების მიღების წყარო ან დაზღვევის საშუალება“ [1. გვ. 66].

2005 წლის თებერვალში ჩიკაგოს ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ სარეკორდო ნიშნულს მიაღწია. სულ დაიდო 50.663.610 კონტრაქტი (ფინანსური ფიუჩერსები და ოფციონები), აქედან 42 მლნ მხოლოდ ერთ დღეს 28 თებერვალს დაიდო. მრავალმა მასშტაბურმა გაკოტრებამ დაადასტურა, რომ დერივატივების (ანუ წარმოებული

ფინანსური ინსტრუმენტების) სფეროში დიდი სიფრთხილეა საჭირო ინვესტორების მხრიდან [1. გვ 67].

მაგალითად, ფორვარდული კონტრაქტი ჩვეულებრივი რამ არის სავაჭრო პრაქტიკაში. ის საშუალებას იძლევა განისაზღვროს და მოიხსნას არასასურველი რისკის ელემენტები. ფორვარდული კონტრაქტის დადება საქონლის მიწოდების ფასს ფიქსირებულს ხდის. თუ მიწოდების თარიღისათვის საქონლის ფასი (სპოტ ფასი - მიმდინარე ფასი) გადააჭარბებს კონტრაქტში მითითებულ ფასს, მაშინ რეალურად მოგებული რჩება მყიდველი. გამყიდველი კი წაგებული. შესაძლებელია საპირისპირო სიტუაციაც მოხდეს. მაგრამ, მთავარი მაინც ის არის, რომ ფორვარდული კონტრაქტით როგორც მყიდველი, ასევე გამყიდველი თავს იზღვევს ყოველგვარი რისკისაგან. ის უარს ამბობს მაღალ მოგებაზე და ამით თავს იზღვევს წაგებისაგან. **ვიწრო მნიშვნელობით ჰეჯირება სწორედ ამას ნიშნავს.**

საწარმოს ფინანსები ანუ ფინანსური ინსტრუმენტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმავდროულად არის საწარმოს ფულადი შემოსავლების და დაგროვების (იგივე მოგების) ფორმირებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ფულადი ურთიერთობების ერთობლიობა. ამდენად, ფინანსებს ორი ფუნქცია აკისრია: კვლავწარმოების და კონტროლის ფუნქცია.

ფინანსური კონტროლი ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს გამოავლინოს მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების დაფინანსების რეზერვები. ამასთან, გამონახოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები და აღმოფხვრას მოსალოდნელი არამწარმოებლური დანაკარგები, შეამციროს ფინანსური რისკები.

ფინანსური მენეჯმენტის მიერ დამუშავებულ ფინანსურ სტრატეგიაში აისახება შემდეგი **ძირითადი ფინანსური პრინციპები:**

1. ფინანსური რესურსების მკაცრი ცენტრალიზაცია, რაც უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური რესურსების სწრაფ მანევრირებას და ამ ფინანსური რესურსების კონცენტრირებას საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე;
2. ფინანსური დაგეგმვა, რომელიც განსაზღვრავს ფულადი თანხების ნაკადების შემოსულობებსა და გასვლის მიმართულებებს;
3. მსხვილი ფინანსური რესურსების ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მუშაობის სტაბილურობას საბაზრო კონიუნქტურის შესაძლო მერყეობის პირობებში;
4. პარტნიორთა წინაშე ფინანსური ვალდებულებების აუცილებელი შესრულება.

ბიზნესს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, თუ იგი მომგებიანია. ამდენად, ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა უნდა გადაწყდეს: ბრძოლა ზარალიანობის წინააღმდეგ და მომგებიანობის ამაღლება.

ნებისმიერი სახის ბიზნესის წინაშე სამი ფუნდამენტური კითხვა დგება:

I. დაფინანსების რა წყაროებით შეიძლება ქონების შეძენა და როგორი უნდა იყოს მათი სტრუქტურა;
II. რა რაოდენობის და როგორი შემადგენლობის აქტივებია საჭირო, რათა მიღწეული იქნეს მიზანი;

III. როგორ იქნეს უზრუნველყოფილი საწარმოს გადახდისუნარიანობა და მყარი ფინანსური მდგომარეობა.

საწარმოს ფინანსები სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

1. საწარმოო პოტენციალის უზრუნველყოფა საწარმოში;
2. მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფა;
3. საწარმოს მონაწილეობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში.

საწარმოს ფინანსური ხასიათის საკითხებზე პასუხისმგებელია ფინანსური მენეჯერი (დირექტორი). მისი მთავარი მოვალეობაა აკონტროლოს ფულადი ნაკადები, ორგანიზაცია გაუკეთოს საერთო საფინანსო ანალიზს და დაგეგმოს საქმიანობა, გააკონტროლოს საწარმოს დაფინანსების წყაროები, ფინანსური რესურსების განაწილება და საინვესტიციო პოლიტიკა.

ეკონომისტთა ნაწილი საწარმოთა **ფინანურ მიზნებს შემდეგნაირად აჯგუფებს:**

- მაქსიმიზაციისა და დაკმაყოფილების კონცეფცია
- სხვადასხვა დაინტერესებულ გარეშე პირთა პრობლემა

მაქსიმიზაცია გულისხმობს სწრაფვას საუკეთესო შესაძლო შედეგისაკენ. **დაკმაყოფილება** კი პირიქით, გულისხმობს ერთადერთი მისაღები შედეგის პოვნას.

მმართველობას შეუძლია მუდმივად ისწრაფვოდეს მაქსიმალური რენტაბელობის (მომგებიანობის) მიღწევისაკენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გარკვეულ რისკს მოითხოვს. მეორე მხრივ, მმართველობას შეუძლია გადაწყვიტოს შეინარჩუნოს მოგება რაიმე დამაკმაყოფილებელ დონეზე, რისკის თავიდან აცილების მიზნით.

საერთოდ მიღებულია, რომ მომგებიანი ორგანიზაციის სტრატეგიული მიზანია მოახდინოს ორგანიზაციის მეპატრონეთა (აქციონერთა) კეთილდღეობის გრძელვადიანი მაქსიმიზაცია. თუმცა არსებობს საწარმოს საქმიანობით დაინტერესებული სხვა პირებიც, რომელთაც აგრეთვე გააჩნიათ სხვადასვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. მაგალითად, საწარმოს მმართველობას გააჩნია საკუთარი მიზნებიც, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს აქციონერთა და სხვა გარეშე პირთა ინტერესებთან. ამდენად არსებობს ინტერესთა კომფლიქტი კომპანიის სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

ასე მაგალითად, კომპანიის მმართველები ხშირად დროისა და სახსრების დიდ ნაწილს ხარჯავენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მათი საწარმოს შთანთქმა სხვა კომპანიის მიერ. თუმცა, აქციონერები ასეთი შთანთქმისაგან ხშირად დიდ შემოსავლებს იღებენ, მაშინ როდესაც, მმართველები სამსახურს ჰკარგავენ. აგრეთვე, აქციონერები უფრო ადვილად მიდიან რისკზე, ვიდრე მმართველები, რადგან მათი კარიერა და მოკლევადიანი პრემიები მოცემული კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზეა დამოკიდებული.

კომპანიის ხელმძღვანელობა იღწვის გარკვეული ჯგუფის, მაგალითად, აქციონერების შემოსავლების მაქსიმიზაციისათვის და აგრეთვე სხვა ჯგუფის, მაგალითად, მოსამსახურეების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის. კომპანიის მიზნების განხილვა უკავშირდება იმას, თუ კერძოდ რომელი ჯგუფის შემოსავლების მაქსიმიზაციას ცდილობს მმართველობა. კომპანიის ფინანსური მიზანია კაპიტალის ინვესტორთა კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. თუმცა ამ მიზნის

მისაღწევად აუცილებელია რომ მუშაკებისთვის გარანტირებული იქნეს დამაკმაყოფილებელი ანაზღაურება მაინც.

კომპანიებს გააჩნიათ არაფინანსური მიზნებიც, რომელთა განხორციელება აუცილებელია თვით ფინანსური მიზნების მისაღწევად. არაფინანსურ მიზნებს მიეკუთვნება: ზრდა, დივერსიფიკაცია, სიცოცხლისუნარიანობა, სამუშაო ძალის გარკვეული დონის მიღწევა, ლიდერობა გამოკვლევებისა და განვითარების სფეროში, კლიენტების მომსახურების უმაღლესი დონის მიღწევა, გარემო პირობებისადმი პატივისცემით მოპყრობა.

მიუხედავად ინტერესთა კონფლიქტისა, მესაკუთრეებიც და მმართველებიც დაინტერესებულნი არიან კომპანიის ეფექტიანობის ამაღლებით.

ფინანსური მენეჯმენტის ამოცანებია:

- ფირმა უვნებლად გაატაროს კონკურენტულ ბრძოლაში;
- აიცილოს გაბანკროტება და ფინანსური წარუმატებლობა;
- ფირმის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა;
- წარმოებისა და რეალიზაციის ზრდა;
- მოგების მაქსიმიზაცია;
- ხარჯების მინიმიზაცია;
- სოციალურ პროგრამებში ფირმის აქტიური მონაწილეობა.

მთავარი ამოცანების მიღწევის მიზნით, საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის მთავარი მიმართულებებია:

- საწარმოს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების შეფასება;
- საწარმოში მიღწეული ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნება და მისი საქმიანობის გაფართოება;
- დამატებითი დაფინანსების წყაროების მონახვა;
- ფინანსური რესურსების შემადგენლობისა და მათი ეფექტიანად გამოყენების კონტროლის სისტემის დამუშავება;
- საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობის შეფასება;
- დაკრედიტების ფორმების შერჩევა (მოკლევადიანი და გრძელვადიანი);
- ნაღდი ფულის აუცილებელი მოცულობის განსაზღვრა და დროული შემოდინება;
- საპროცენტო გადასახადების კონტროლი;
- დაფინანსების ამა თუ იმ წყაროს მიხედვით რისკების შეფასება;
- ფინანსური რესურსების ოპტიმალური ტრანსფორმაცია სხვა სახის რესურსებში;
- ძირითად საშუალებებში ფინანსური რესურსების ავანსირების მიზანშეწონილობა, სტრუქტურა და ეფექტიანობა;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების (სამუშაო კაპიტალის) ოპტიმალურობის კონტროლი;
- ფინანსური ინვესტიციების ეფექტიანობის მართვა

ყველა ამ მიმართულებით ფინანსური მენეჯმენტის მუშაობა საბოლოოდ ემსახურება იმ მიზანს, რომ საწარმო იყოს მაღალლიკვიდური, ფინანსურად მყარი და რენტაბელური.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეპოქაში, წინ წამოიწია ქვეყნის სოციალურ პროგრამებში კომპანიების მონაწილეობის გააქტიურების ამოცანამ. ამასთან, კონცეფციამ „მოგების მაქსიმიზაციის“ შესახებ, რომელიც ბიზნესს წინა საუკუნეებში ახასიათებდა, ცვლილება განიცადა.

ტრადიციული ნეოკლასიკური მოდელი ითვალისწინებს, რომ ფირმამ მის მფლობელს მაქსიმალური მოგება უნდა მოუტანოს. მაგრამ, ყველა მეწარმის გამოდევნება მოგების მაქსიმუმისათვის, იწვევს ფასების ზრდის მაღალ ტემპებს ყველა სახის რესურსზე და საქონელზე. შედეგად, გაყიდვებში მიღებულ მოგებას აბათილებს დიდი დანახარჯები შესყიდვებზე, რაც კომპანიების მოგების „რეალურ ზრდას“ აღარ წარმოადგენს. ამიტომ, თანამედროვე ეკონომიკის სამყაროში ნაცვლად „მაქსიმალური მოგებისა“, გამოიყენება **ახალი მიდგომა: „ნორმალური მოგება“, რაც არსებითი ხასიათის ტრანსფორმაციაა.** ფასწარმოქმნის სისტემა კი შემდგომ მიდგომას ეყრდნობა: პროდუქციის ფასი ტოლია მის თვითღირებულებას პლუს მეწარმისათვის სასურველი „რაღაც წანამატი“. თანამედროვე ბიზნესის განვითარების მთავარ თავისებურებად იქცა სხვადასხვა დაინტერესებული პირების და საზოგადოების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების ჰარმონიზაცია, კონსესუსი, რაც სათანადო ფინანსური მექანიზმის გამოყენებით მიიღწევა.

ამრიგად, საწარმოთა ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტიანი მართვის მიზანია სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები და მიზნები დააბალანსოს. **ფინანსური მენეჯმენტი ფინანსური რესურსების მაღალორგანიზებული მართვისა და კონტროლის მისაღწევად, აქტიურად იყენებს ეკონომიკური ანალიზის ხერხებს.**

1.2. საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის საგანი, მეთოდი და ტრადიციული ხერხები

საწარმოთა ეკონომიკური ანალიზის სამი მიმართულება გამოიყოფა: ტექნიკურ-ეკონომიკური, საფინანსო-ეკონომიკური და ფუნქციონალურ-ღირებულებითი.

ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის მიზანია საწარმოში გამოყენებული ტექნიკის, ნედლეულის გადამუშავებისა და პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა. იგი იკვლევს დეტალურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ რესურსების გამოყენების ხარისხზე.

ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზის მიზანია შეისწავლოს და შეაფასოს საწარმოს საქმიანობა საბოლოო ფინანსური შედეგის – მოგების, მომგებიანობის და ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისით.

ფუნქციონალურ-ღირებულებითი ანალიზის მიზანია შეაფასოს ალტერნატიული პროექტები გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის წინ.

ეკონომიკური ანალიზის მოცემული სამივე მიმართულება, მათი მიზნების მიხედვით მართალია ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ კვლევის მეთოდოლოგია და ანალიზური ხერხები საერთო აქვთ. ისინი საწარმოს ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილებია, თუმცა შეიძლება დამოუკიდებლადაც იქნან განხილული. ამდენად, ფინანსური ანალიზი საწარმოს ეკონომიკური ანალიზის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ შეიძლება მისი ცალკე განხილვა.

გამომდინარე იქედან, რომ თანამედროვე პერიოდში განსკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ანალიზმა, ფინანსური რისკებისა და ფინანსური სტაბილურობის მართვის მიმართულებებმა, **ფინანსური ანალიზი დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა.**

თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურის განხილვისა და საწარმოთა უსაფრთხო განვითარების მიზნებისათვის, ფინანსური ანალიზი კვლევის ორ მიმართულებას მოიცავს: საწარმოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების (ანუ გარეთ გამოქვეყნებული ანგარიშგების) ანალიზის მეთოდიკას და საწარმოს თემატური ფინანსური ანალიზის მეთოდიკას (ფინანსური სტაბილურობის, ფინანსური შედეგების, რისკების, ინვესტიციების და ა.შ.). შიგა ფინანსური მენეჯმენტის პოზიციებიდან გამომდინარე (Steven Bregg, Subramanyam, Gharles Gibson და სხვები). წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩვენ ფინანსური ანალიზის ასეთ სტრუქტურას ვეყრდნობით.

ფინანსური ანალიზი შეისწავლის ფინანსურ ინფორმაციას გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. მაგრამ, გადაწყვეტილებების მიმღები პირები არიან გარეთ მყოფი სუბიექტებიც და საწარმოს შიგნით – ფინანსური მენეჯმენტი. მათ სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებთ. გარეთ მყოფი პირები გადაწყვეტილებას იღებენ ამა თუ იმ კომპანიასთან ბიზნეს-ურთიერთობების დამყარების ან გაგრძელების შესახებ. საწარმოს მმართველობა კი არ ჯერდება მხოლოდ ფინანსური შედეგების შეფასებას. იგი, როგორც წესი, იკვლევს კომპანიის შემდგომი განვითარების გზებს, რაც მიმართულია ფინანსური რესურსების ოპტიმალური გადანაწილებისაკენ.

შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტი ფინანსური ანალიზის ცნების ქვეშ საწარმოს მთელ ეკონომიკურ ანალიზს იაზრებს. ზოგიერთი კი, მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ანალიზს უწოდებს მას.

ფინანსური ანალიზის საკითხების განხილვაზე გადასვლის წინ, მართებულია ჯერ თვით ეკონომიკური ანალიზის მეთოდი და ხერხები იქნას განხილული.

მეცნიერება საერთოდ არის აზროვნების მწყობრი სისტემა, რომელიც ცდილობს მრავალრიცხოვან მოვლენებს შორის მონახოს შინაგანი კავშირები და კანონზომიერებები. მისი მიზანია ახსნას მოვლენებს შორის ურთიერთქმედების კანონები. ერთმანეთისაგან გამოყოს ამა თუ იმ მოვლენის მიზეზი და შედეგი.

მოვლენის ან შემთხვევის მიზეზის გამოკვლევა შემეცნების მნიშვნელოვანი მომენტია. მეცნიერება სწორედ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენით იწყება.

ეკონომიკურ სამყაროში ჭეშმარიტების დასადგენად და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს ამა თუ იმ ეკონომიკური ხასიათის ან სხვა ნებისმიერი ტიპის მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მოვლენების არსებობის ერთ-ერთი

აუცილებელი ფორმაა. არცერთი მოვლენა არ შეიძლება არსებობდეს მიზეზის გარეშე. მიზეზ-შედეგობრიობა არა მხოლოდ ეკონომიკური მოვლენების, არამედ მთელი ობიექტური სამყაროს საყოველთაო კანონია, რომელიც გამონაკლისს არ უშვებს.

საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს ყოველთვის სათანადო მიზეზები იწვევენ. ანალიზის მთავარი ამოცანა სწორედ არსებული შედეგების მიზეზების პოვნაა.

მიზეზი ეწოდება იმ ფაქტორს ან გარემოებას, რომელიც ამ თუ იმ მოვლენას იწვევს. მიზეზი განაპირობებს შესაბამისი მოვლენის წარმოქმნას, მოვლენის მდგომარეობის შეცვლას ან სულაც, მის გაქრობას (ლიკვიდაციას**). მიზეზის მოქმედების გამოვლინებას შედეგი ეწოდება**. ხშირად, მიზეზი აშკარად არ ჩანს, სწორედ ამიტომ ხდება საჭირო მეცნიერული კვლევები.

მაგალითად, სახეზე არის შედეგები, ვთქვათ„ ფირმის მომგებიანობის გარკვეული დონე“, მაგრამ მიზეზები მკვლევარმა უნდა იპოვოს.

საყოველთაობის ანუ კოსმიური თვალსაზრისით, ყოველი არსებულის საწყისი მიზეზი ღმერთია. მაგრამ, როგორც ცნობილია, გარდა საყოველთაო მოვლენებისა, არსებობენ საზოგადოებრივი მოვლენები, რომელთა არსებობა უშუალოდ ადამიანთა ქმედებებზეა დამოკიდებული. ასეთი ტიპის მოვლენებს მიეკუთვნება ეკონომიკური ხასიათის მოვლენები. მართალია ადამიანი სულიერი არსებაა და მისი აზროვნება და ქმედებები გარკვეულწილად შემოქმედს უკავშირდება და ამდენად, ეკონომიკური ხასიათის მოვლენებიც არ შეიძლება სრულიად განცალკავებული იყოს აბსოლუტური გონისგან ანუ ღმერთისგან. მაგრამ, გამომდინარე იქედან, რომ ეკონომისტებმა ეკნონომიკური ანალიზი მხოლოდ რიცხვით მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეიძლება აწარმოონ, ამიტომ ისეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კვლევა ხდება, რომლებიც რაოდენობრივად და ფულად ღირებულებაში შეიძლება გაიზომონ. თუმცა, რაოდენობრივი მაჩვენებლების კვლევის შედეგები არაპირდაპირ, ადამიანთა ქცევებს ახასიათებენ და პროგნოზირებენ კიდეც.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირის უმნიშვნელოვანესი მხარეა მისი **აუცილებელი ხასიათი**. ეს იმას ნიშნავს, **რომ კონკრეტული მიზეზი, სათანადო პირობებში, გარდუვალად იწვევს გარკვეულ შედეგს**. მაგალითად, ლითონი გაცხელების შედეგად ფართოვდება, მაგრამ, გათბობა ლითონს ვერ გადააქცევს ხორბლად. ხორბალს თუ დავთესავთ, მივიღებთ ხორბლის თავთავს და არა სიმინდს. მაშასადამე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გარკვეულ პირობებში არსებობს. **მიზეზი** ისაა, რაც მოვლენას იწვევს. **პირობები** კი ისეთ მოვლენებს შეადგენენ, რომლებიც საჭიროა შედეგის მისაღებად, ხელს უწყობენ მის მიღებას, მაგრამ თვითონ არ ძალუძთ შედეგის მიღება. მაგალითად, არ კმარა ხორბლის დათესვა, მას ჭირდება სათანადო ნიადაგი და კლიმატი. არ კმარა მაღალი ხარისხის ნედლეულის შესყიდვა, მას ჭირდება გადამუშავების სათანდო პირობები კარგი პროდუქტის მისაღებად. მაშასადამე, შედეგზე, მისი მიზეზის გარდა, გავლენას ახდენს მოვლენის მოხდენის პირობებიც, რომლებიც ასევე განიხილება როგორც ფაქტორები ანუ დანარჩენი მიზეზები.

მიზეზ-შედეგობრივ კავშირს აგრეთვე ახასიათებს მკაცრი თანმიმდევრობა დროში. **მოვლენა, რომელიც მიზეზად იქცევა, აუცილებლად წინ უსწრებს შედეგს**.

შედეგი არ შეიძლება წარმოიქმნას მიზეზზე და გარემო პირობებზე ადრე. შედეგი ყოველთვის მიზეზზე ცოტა მოგვიანებით წარმოიქმნება. ამასთან, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები აუცილებლად გულისხმობს მათ შინაგან კავშირს ანუ მიზეზი ისეთი მოვლენაა, რომელიც განაპირობებს შედეგს და არა უბრალოდ დროში ხდება მეორე მოვლენაზე ადრე. მაგალითად, გაზაფხული დროში წინ უსწრებს ზაფხულს, მაგრამ, გაზაფხული არ არის ზაფხულის მიზეზი. წლის დროთა ცვლილების მიზეზია ის, რომ დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო; საწარმოში ჯერ ნედლეულის შესყიდვა ხდება და შემდეგ პროდუქციის დამზადება, მაგრამ, ნედლეულის დროში ადრე შესყიდვა არ შეიძლება იყოს ხარისხიანი პროდუქციის დამზადების მიზეზი.

ამრიგად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სწორად შემეცნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ყველა სფეროში და მათ შორის საწარმოთა ეკონომიკურ საქმიანობაში, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სწორი შემეცნების კრიტერიუმს პრაქტიკა წარმოადგენს. ამასთან, მიზეზობრიობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკისათვის, მეცნიერული წინასწარ განჭვრეტისთვის, სინამდვილის პროცესებზე ზემოქმედებისათვის, რათა ისინი ადამიანებისთვის სასურველი მიმართულებით შეიცვალონ.

მიზეზები შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანიც. აგრეთვე, რომელიმე მიზეზი მოცემულ მოვლენებში, შეიძლება იყოს შედეგი სხვა მოვ;ლენების დროს ან პირიქით. მაგალითად, კარგი კლიმატური პირობები სასოფლო სამეურნო ფირმების კარგი მოსავლიანობის მიზეზია. კარგი მოსავალი კი თავის მხრივ ფერმერების კეთიდღეობის მიზეზია და ა.შ.

ამრიგად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები თავიანთი ხასიათით, ფორმით და მნიშვნელობით ძალზე მრავალფეროვანია, რამდენადაც სინამდვილის სხვადასხვა სფეროებში მოქმედებენ და ამ სფეროებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებები გააჩნიათ.

ყველა მოვლენას მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად, მაგრამ ყველა ერთნაირად მნიშვნელოვანი არაა. ამიტომ **აუცილებელია ძირითადი და არაძირითადი მიზეზების გამიჯვნა**. მაგალითად, ფირმის გადახდისუნარიანობის დაცემის მიზეზი შეიძლება მრავლი მიზეზით იყოს გამოწვეული. მენჯმენტისათვის ყველა მიზეზი მნიშნელოვანია, მაგრამ პირველ რიგში მთავარი მიზეზები უნდა მოიხსნას, მეორეხარისხოვანი მიზეზის მოხსნა ვითარებას ვერ გააუმჯობესებს. მაგალითად, მყიდველებისგან ფულის დაგვიანებით გადახდები ხელს უწყობს ფირმის მიერ თავისი კრედიტორული დავალიანებების დაფარვის დაგვიანებას, მაგრამ, გამოკვლეული უნდა იქნეს, რატომ გვიანდება მყიდველებისაგნ ფულის მიღება? იმიტომ, რომ დაბალი ხარისხის პროდუქტი ან მომსახურება მიეწოდა? ეს პირველი რიგის შინაგანი მიზეზია. მეორე რიგის მიზეზი შეიძლება იყოს მარკეტინგის განყოფილების მიერ მყიდველების არასწორი შერჩევა, ბაზრის არასწორი გამოკვლევა და ა.შ. მაგრამ რომელი მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული ვადაგადაცილებული დებიტორეული დავალიანებები, გადახდისუნარიანობის დაცემის თვალსაზრისით ყველა მნიშვენლოვანია. ამიტომ, ანალიტიკოსმა არ უნდა ჩათვალოს, რომ მეორეხარისხოვანი მიზეზები შეიძლება

ყურადღების გარეშე დატოვოს. ზოგჯერ, სწორედ მეორეხარისხოვანი მიზეზი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს ფირმის ფინანურ-ეკონომიკური შედეგებისათვის. ამიტომ, საჭირო ხდება დეტალური ანალიზი.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების კვლევის საფუძველზე ეკონომისტები რაოდენობრივად (რიცვებში) ზომავენ რაიმე შედეგის გამომწვევ მიზეზებს ანუ მოქმედ ფაქტორებს.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლის მიზნით, მეცნიერების ყველა დარგს გააჩნია კვლევისა და აზროვნების საერთო მეთოდოლოგია, როგორიცაა: ანალიზი და სინთეზი; ინდუქცია და დედუქცია.

ანალიზი (ბერძნულად – გახსნა, დაშლა) სინამდვილის კვლევის მეთოდია. იგი ნიშნავს საკვლევი ობიექტის ან ეკონომიკური მაჩვენებლის აზრობრივ დაშლას შემადგენელ ნაწილებად. იგი საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ მოვლენის სტრუქტურას, შემადგენლობას, საგნის ცალკეულ მომენტთა თავისებურებას, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს. გვეხმარება დავინახოთ მთელის კავშირი ნაწილებთან. ამზადებს იმის პირობებს, რომ მივაგნოთ საკვლევი საგნის არსებას, კანონს. ზოგადი მოვლენის შესწვლიდან გადავიდეთ კერძო ანუ კონკრეტული მოვლენების შესწავლაზე.

სინთეზი კი ანალიზური აზროვნების შებრუნებული პროცესია. იგი საშუალებას იძლევა ნაწილიდან გადასვლა მოხდეს მთელზე. კერძო მოვლენების შესწავლის შედეგები განზოგადებულ იქნეს და გაკეთდეს ზოგადი დასკვნები. ანალიზური და სინთეზური აზოვნება ერთმანეთს ავსებენ. იგი საშუალებას იძლევა დანაულ იქნას კავშირები მთელსა და ნაწილებს შორის ან ნაწილებსა და ზოგადს შორის.

ინდუქცია და დედუქცია ასევე წარმოადგენენ შემეცნებითი აზროვნების მეთოდებს. **ინდუქცია ნიშნავს** მსჯელობას კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ. ხოლო **დედუქცია ნიშნავს** მსჯელობას ზოგადიდან კერძოსაკენ, ზოგადი დებულებებიდან კერძო დასკვნებისაკენ. ინდუქცია და დედუქცია ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ყოველი მეცნიერული დედუქცია წარმოადგენს საკვლევი ობიექტის წინასწარი ინდუქციური შესწავლის შედეგს და ამ შედეგს ემყარება. ასე რომ, ინდუქცია და დედუქციაც ერთმანეთს ავსებენ და მიზე-შედეგობრივ კავშირებს იკვლევენ.

საწარმოს ეკონომიკური ანალიზი და ასევე, ფინანსური ანალიზი ყოველთვის იყენებს აზროვნების ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს. ამ უნარების გარეშე ეკონომისტს არ შეუძლია ჩაატაროს ფაქტორული ანალიზი, რათა გაზომოს ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა ეკონომიკურ შედეგებზე და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები.

როგორც მაკრო ისე მიკროეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არასოდეს არსებობენ. ისინი მუდამ ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან, გამუდმებით იცვლებიან და ერთმანეთზე ზემოქმედებენ. ამიტომ, **ეკონომიკური ანალიზი, ლოგიკური აზროვნების ძალით ეკონომიკურ მოვლენებს განიხილავს და იკვლევს ურთიერთკავშირსა, ცვალებადობასა და ურთიერთზემოქმედებაში.** ასეთი მიდგომების გარეშე შეუძლებელია სწორი დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ანალიზი მაკრო და მიკრო დონეზე ანუ დარგებისა და საწარმოების დონეზე ტარდება. მოცემულ სახელმძრვანელოში მიკროეკონომიკური ანალიზი ანუ **საწარმოთა ეკონომიკური ანალიზი განიხილება**.

ზოგადად ანალიზი კვლევითი აზროვნების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს. ანალიზი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და დაშლა-დანაწევრებას ნიშნავს. ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდი, მრავალ დარგში გამოიყენება და სხვადასხვა ხასიათისაა. მაგალითად, ქიმიური ანალიზი, ისტორიული ანალიზი, გეოლოგიური ანალიზი და ა.შ.

ეკონომიკური ხასიათის მოვლენების შედეგების ანალიზს კი ეკონომიკური ანალიზი ეწოდება. ბიზნესის მესაკუთრეებს, მმართველებს, ინვესტორებს, ეკონომიკის სფეროში დასაქმებულ ადამიანებსა და მთლიანად საზოგადოებას აინტერესებს არსებული რესურსების გამოყენების მდგომარეობა, საწარმოთა გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა, რამდენად მდგრადია ცალკეული კომპანიებისა და მთლიანდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ასე შემდეგ.

საკვლევი ეკონომიკური მოვლენების ზოგადობის ხარისხის შესაბამისად დღეისათვის გამოიყოფა მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ანალიზი.

მაკროეკონომიკური ანალიზი შეისწავლის ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს სახელმწიფოს და მსოფლიოს მასშტაბით.

მიკროეკონომიკური ანალიზი შეისწავლის ცალკეული საწარმოების (კომპანიების), საწარმოთა გაერთიანებების და ეკონომიკის ცალკეული დარგის (სექტორის) ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს და ფაქტორებს.

ამდენად, საწარმოთა ეკონომიკური ანალიზი და შესაბამისად, ფინანსური ანალიზი, მიკროეკონომიკური ანალიზის სფეროს მიეკუთვნება. ეკონომიკური ანალიზი თავდაპირველად ბუღალტრულ აღრიცხვასთან იყო გაერთიანებული და მის საფუძველზე წარმოიშვა.

ისტორიულად, ეკონომიკური ანალიზის ფუძემდებლად მიჩნეულია ფრანგი ჟაკ სავარი (1622 – 1690 წწ), რომელიც ამავე დროს მმართველობითი აღრიცხვის მეცნიერების წინამორბედად ითვლება. დაახლოებით ამავე პერიოდს მიეკუთვნებიან იტალიელები: ა. დი პედრო, რომელიც რეკომენდაციას იძლეოდა, საბიუჯეტო ასიგნებები ფაქტიურ დანახარჯებთან შეედარებინათ და ბ. ვენტური, რომელმაც ააგო და გააანალიზა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებელთა დინამიკური მწკრივები ათი წლის პერიოდისათვის. სავარის იდეა XIX საუკუნეში გააღრმავა იტალიელმა ბუღალტერმა ჯუზეპე ჩერვონმა (1827 – 1917 წწ), **რომელმაც შექმნა მეცნიერება სინთეზური და ანალიზური ბუღალტრული ანგარიშგების შესახებ**. მეოცე საუკუნეში კი ბუღალტრული ბალანსისა და ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა მსოფლიოში სწრაფად განვითარდა. საქართველოში ეკონომიკური ანალიზის ფუძემდებლად ნიკო დგებუაძე შეიძლება ჩაითვალოს. მან, საქართველოში პირველმა გამოსცა სახელმძღვანელო საწარმოს სამეურნო საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზში.

საწარმოს ეკონომიკური ანალიზი, როგორც მეცნიერების ცალკე დარგი, მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა. საბჭოთა ეკონომიკაში მას საწარმოს სამეურნო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი ეწოდებოდა. თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში კი მას **ბიზნესის ანალიზი ეწოდება. ეკონომიკური ანალიზი კი მიჩნეულია მაკრეკონომიკურ მიმართულებად**. ასე მაგალითად, ავტორების, R. Preston McAfee; Tracy Lewis; Donald J. Dale – მიერ გამოცემული წიგნში: Introduction to

Economic Analysis – (შესავალი ეკონომიკურ ანალიზში) გადმოცემულია საზოგადოებაში მოთხოვნისა და მიწოდების, მათი ელასტიურობის, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, ფარული ღირებულების, მოგების მაქსიმიზაციის, საწამოთა ფუნქციის, ეკონომიის მასშტაბების, სამომხმარებლო თეორიის, აუქციონერების, მონოპოლიების და ა.შ. ანალიზის საკითხები.

საწარმოს ეკონომიკურ ანალიზს ანუ ბიზნესის ანალიზის კვლევის საგნის განმარტების შესახებ დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. **ეკონომისტების ერთი ნაწილის შეხედულებით**, საწარმოთა ეკონომიკური ანალიზის საგანია საწარმოთა სამეურნეო საქმიანობა; **მეორე ნაწილის აზრით**, ეს არის გეგმების შესრულების შეფასება; **მესამე ნაწილი თვლის**, რომ ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანია ინფორმაციული ნაკადი; **მეოთხე ნაწილის მიხედვით**, ეკონომიკური ანალიზის საგანია საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენები, პროცესები და საბოლოო შედეგები; **ხოლო მეხუთე ჯგუფის თანახმად**, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად.

ნებისმიერი სახის მეცნიერების ან მეცნიერული დისციპლინის კვლევის საგანი არის ის ძირითადი ქვაკუთხედი, რომელსაც მოცემული მეცნიერება კონკრეტულად იკვლევს და რაც მას დანარჩენი მეცნიერული დარგებისაგან (დიხციპლინებისაგან) განასხვავებს. ეკონომიკური ანალიზი გამოყენებითი მეცნიერებების ჯგუფს მიეკუთვნება (ამიერიდან სახელმძღვანელოში ეკონომიკური ანალზის ცნების ქვეშ ყველგან იგულისხმება საწარმოს ეკონომიკური ანალიზი) და როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი კვლევის საგანი. მივმართოთ პრაქტიკას: დავუშვათ, ეკონომისტის მიზანია რომელიმე საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასება და პერსპექტივების განსაზღვრა. ამისათვის მან უნდა ჩაატაროს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, რისთვისაც შემდეგი საფეხურების გავლაა საჭირო:

1. საანალიზო საწარმოს ისტორიულ-გეოგრაფიული და ეკოლოგიური გარემოს შესწვლა, თუმცა ეკონომიკური ანალიზის საგანს ისინი არ წარმოადგენენ;
2. დარგობრივი და მმართველობითი თავისებურებების გაცნობა (ეკონომიკური ანალიზის საგანს არც ესენი წარმოადგენენ);
3. წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების შესწავლა, თუმცა პროდუქტების დამზადების ტექნოლოგა რასაკვირველია, არაა ეკონომიკური ანალიზის საგანი;
4. საჭირო სააღრიცხვო და სხვა ინფორმაციის მოპოვება, თუმცა არც ინფორმაციის შექმნა არაა ანალიზის საგანი;
5. ინფორმაციის ანალიზური დამუშავება მაჩვენებლების გადახრების გამოვლენის მიზნით – ჩვენი აზრით საწარმოს ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგნად სწორედ „გადახრები“ უნდა ჩაითვალოს;
6. გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვა და შესაბამისი დასკვნების და წინადადებების შემუშავება.

ზემოთ ჩამოთვლილთაგნ, პირველი ხუთი საფეხური არის მოსამზადებელი ნაბიჯები ეკონომიკური ანალიზის ჩასატარებლად. როგორც კი გამოითვლება „გადახრები“ საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველი ამა თუ იმ

ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, სწორედ აქედან იწყება ანალიზი. ხდება გადახრის გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა და რაოდენობრივი გაზომვა.

მაგალითად, პროდუქტის ერთეულზე დაგეგმილი იყო 12 ლარი ნედლეულის ხარჯი, ფაქტიურად აღმოჩნდა 14 ლარი. გადახრაა 2 ლარი. ეკონომიკური ანალიზი იკვლევს, რამ გამოიწვია ეს გადახრა და რამდენით. ასევე, დავუშვათ დაგეგმილი იყო 25% მოგება ერთ ლარ შემოსავალზე, ფაქტიურად აღმოჩნდა 28%. ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა უპასუხოს კითვას: რა ფაქტორებმა გამოიწვია ეს გადახრა და რამდენი პროცენტით, და ასე შემდეგ.

ამრიგად, არ იქნება გამართლებული, თუ ვიტყვით, რომ ეკონომიკური ანალიზის საგანია საწარმოს სამეურნეო საქმიანობა საერთოდ, რადგან ამ უკანასკნელს მიკროეკონომიკაც, მენეჯმენტიც და მარკეტინგიც სწავლობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანია საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველ მაჩვენებელთა ცვლილებები (ანუ გადახრები)**. ვფიქრობთ, ეს განმარტება შეიძლება მაკროეკონომიკურ ანალიზზეც გავრცელდეს და **ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ანალიზის კვლევის საგანია ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებები**.

ისმება კითხვა, რა მიზანს ემსახურება ამ გადახრების კვლევა? თუ მენეჯერი იტყვის, რომ მომგებიანობა არის 28%, ეს თავისთავად არაფრის მთქმელი არაა. იგი ფირმის განვითარების ვერცერთ კითხვას ვერ უპასუხებს. მაგრამ, როგორც კი მას მომგებიანობის გეგმურ, ან წინა წლის, ან სხვა კომპანიის, ან საშუალო დარგობრივ მაჩვენებელს დაუპირისპირებენ, ნათელი გახდება **გადახრა ანუ ცვლილება,** რომელიც იმთავითვე მრავალ კითხვას წარმოშობს იმის გამოსარკვევად, რამ გამოიწვია ეს გადახრა. ხომარ შეიძლებოდა ცვლილებები უკეთესი ყოფილიყო და რა გზებით შეიძლება მოგების ზრდის მიღწევა, რათა მომავალში იქნეს გათვალისწინებული.

ამრიგად, **ეკონომიკური ანალიზის მიზანია** საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური შედეგების ანუ ეფექტიანობის ზრდის ფარული შესაძლებლობების ანუ რეზერვების გამოვლენა. საწარმოს ეფექტიანობის ზრდის რეზერვები ფარულია იმიტომ, რომ იგი აშკარად არ სჩანს და სათანადო გამოკვლევა სჭირდება, რაც ეკონომიკური ანალიზის ხერხების გამოყენებით მიიღწევა.

მაშასადამე, ეკონომიკური მაჩვენებლების „გადახრების“ კვლევა არის სწორედ ის სპეციფიკური და საკუთრივ ეკონომიკური ანალიზის დისციპლინის განმასხვავებელი ქვაკუთხედი, რომელიც მას დანარჩენი ეკონომიკური დარგის მეცნიერებებიდან გამოყოფს და განასხვავებს.

საწარმოთა ფინანსური ანალიზი ბიზნესის საქმიანობის შედეგებს განზოგადებულად – ფულად ფორმაში ახასიათებს. საწარმოს განკარგულებაში არსებულ დანადგარებსა, მასალის მარაგსა და ფულად თანხებს შორის ისაა საერთო, რომ ყველა მათგანი იმავდროულად, მათში დაბანდებულ ანუ ავანსირებულ ღირებულებას ანუ „ჩადებულ ფულს“ წარმოადგენს. ამიტომ, ხელმძღვანელობის ინტერესის სფეროს წარმოადგენს არა მხოლოდ ის, თუ როგორი გამოსავლიანობით დაიხარჯა მაგალითად, მასალა პროდუქტის ერთეულზე, არამედ ისიც, რამდენად ეფექტიანადაა გამოყენებული მასალის მარაგებში დაბანდებული

ფულადი სახსრები. ამასთან, საჭიროა იმისი კონტროლიც, საიდან იყო წარმოშობილი ის ფულადი სახსრები: საკუთარი წყაროების თუ ვალდებულებების ხარჯზე. კვლევის ასეთი მიდგომა კი ბიზნესის ფინანსური მხარის ანუ ღირებულების მოძრაობის ანალიზს წარმოადგენს.

შეიძლება მოკლედ ითქვას, რომ ფინანსური ანალიზის კვლევის საგანია საწარმოს ფინანსური რესურსების გამოყენების და დაფინანსების მაჩვენებლებში მომხდარი ცვლილებები.

კვლევებში ფინანსური ანალიზი იყენებს იგივე მეთოდებსა და ხერხებს, რასაც საწარმოს ეკონომიკური ანალიზი. ეს უკანასკნელი კი, გარდა საერთო მეთოდოლოგიური მიდგომებისა, **იყენებს კვლევის საკუთარ მეთოდს,** რომელიც წარმოადგენს იმ ანალიზური ხერხების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ანალიზის საგნის ანუ საწარმოს საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში წარმოქმნილი გადახრების გამოსაკვლევად. ეკონომიკურმა ანალიზმა უნდა შეძლოს ეკონომიკურ მოვლენებს შორის არსებული კავშირებისა და ურთიერთზეგავლენის რიცხვებში გამოსახვა. ამდენად, **ეკონომიკური ანალიზის ხერხების მიზანია** გაზომოს საწარმოს საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულების ერთმანეთთან კავშირი და მათი გავლენა საბოლოო ფინანსურ შედეგებსა (მოგება/ზარალზე) და რისკებზე.

ეკონომიკური ანალიზის ხერხები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

1. **ანალიზის ტრადიციული ხერხები:** საბალანსო ხერხი, შედარება და არითმეტიკული გადახრები, ელიმინირების ხერხები, მარტივი და რთული პროცენტები, დისკონტირება;
2. **ტრადიციული სტატისტიკური მეთოდები**: დაჯგუფება, საშაუალო სიდიდეები, ინდექსები, დინამიკური მწკრივები, გრაფიკები (ჩვენი აზრით ჩამოთვლილი ხერხებიც ანალიზური ხერხებია, რომელთაც სტატისტიკა იყენებს);
3. **მათემატიკური მეთოდები**, რომლებიც ამა თუ იმ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის კავშირების გამოვლენის მიზნით გამოიყენება. ესენია: კორელაციური, დისპერსიული და ფაქტორული ანალიზი; ალბათობის მეთოდები, როგორიცაა, თამაშთა თეორია, გადაწყვეტილებათა ხე და ა. შ. წრფივი და არაწრფივი პროგრამირება და სხვა.

საბალანსო მეთოდი გამოიყენება საწარმოს ეკონომიკაში არსებული შიდა წონასწორობის კანონზომიერებების აღრიცხვა-ანგარიშგებაში სწორად ასახვის შემოწმებისათვის. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლება, დაცულია თუ არა შემდეგი ტოლობები:

აქტივი = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი;

მოგება = შემოსავლები – ხარჯები;

შემოსავალი = ხარჯები + მოგება;

რეალიზაცია = მზა პროდუქციის საწყისი ნაშთი + პროდუქცის გამოშვება – – მზა პროდუქციის საბოლოო ნაშთი;

მოთხოვნები ბალანსით = მოთხოვნის საწყისი ნაშთი + რეალიზაციის მოცულობა (მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან) – მყიდველებიდან მიღებული თანხები (ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან) და ა.შ.

შემოწმების შედეგად თუ აღმოჩნდა რომ აუცილებელი ტოლობები ფინანსურ ანგარიშგებაში დარღვეულია, უნდა გასწორდეს.

შედარება წარმოადგენს ერთ-ერთ ტრადიციულ ანალიზურ ხერხს, რომლის გარეშე ანალიზური კვლევა შეუძლებელია. **შედარება,** როგორც ანალიზური ხერხი, ნიშნავს მაჩვენებლების დაპირისპირებას მათი ცვლილებებისა და შედარებითი დახასიათების მიზნით. გადაწყვეტილებების მიღების მიზნებისათვის, შედარების გარეშე ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებელი არის უტყვი და არაფრის მთქმელი.

დავუშვათ, რომელიმე ფირმის აქტივების ფაქტიური წლიური მომგებიანობა არის 15%. მხოლოდ ასეთი წარმოდგენით იგი მმართველს ვერანაირი გადაწყვეტილების მიღებაში ვერ ეხმარება. შეუძლებელია დაასკვნა, ეს ფაქტი დადებითი მოვლენაა თუ უარყოფითი. ფირმის ეკონომიკა წინ მიიწევს თუ დაბლა ეცემა. მაგრამ, როგორც კი მომგებიანობის ამ ფაქტიურ მაჩვენებელს დაგეგმილ დონეს შეუდარებს, მყისვე წინ გადაიშლება ფირმის მთელი საქმიანობა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და გაჩნდება უამრავი კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს. ვთქვათ, აქტივების მომგებიანობა ფირმაში დაგეგმილი იყო 16%. მაშასადამე, მომგებიანობა დაგეგმილთან შედარებით ერთი პუნქტით დაეცა, რაც იმაზე მეტყველებს რომ აქტივების გამოყენების ეფექტიანობა შემცირდა, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო. ბუნებრვია, ამის შენდეგ დაიწყება მისი გამომწვევი მიზეზების ძიება. ინტერესის სფეროს წარმოადგენს, თუ რამ გამოიწვია ეს გადახრა. ასევე, თუ ფირმაში დაგეგმილი იყო ფონდუკუგება 5 ლარი ყოველ ერთ ლარ ძირითად საშუალებებზე და ფაქტიურად 5,8 ლარი აღმოჩნდა, მაშინ შეიძლება დასკვნა, რომ ძირითადი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობა გაიზარდა. ანალიტიკოსმა უნდა გამოიკვლიოს რომელმა ფაქტორებმა გამოიწვია ეს წარმატება და ა.შ.

მაშასადამე, ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წარმოადგენს ანალიზური კვლევის საფუძველს კვლევითი აზროვნების მამოძრავებელ ინსტრუმენტს, **რომლის გარეშე ანალზის ჩატარება შეუძლებელია.** მხოლოდ შედარების გზით გამოვლინდება გადახრები ანუ დადგინდება ცვლილებები, რომელთა გამომწვევი ფაქტორების შესწავლა საშუალებას იძლევა მმართველობამ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები საწარმოს საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებით. დაადგინოს დამატებითი რესურსების მოზიდვის საჭიროება, გამონახოს ფინანსური და სხვა სახის რესურსების უკეთ გამოყენების გზები დ ა.შ.

შედარების მეთოდის გამოყენების დროს აუცილებელი მოთხოვნაა დაცულ იქნეს მაჩვენებელთა შესადარისობა შინაარსობრივი თვალსაზრისით და ფასების მიხედვით.

შესადარისობა ეკონომიკური შინაარსით, ნიშნავს იმას, რომ გადახრები განსაზღვრული უნდა იქნეს სხვადასხვა პერიოდის ერთი და იგივე მაჩვენებლებს შორის. მაგალითად, ფაქტიური მოგება უნდა შეუდარდეს გეგმურ მოგებას ან წინა წლის მოგებას. ფაქტიური შრომისნაყოფიერება – გეგმურ შრომის მწარმოებლურობას და ა.შ. გაუმართლებელია გადახრა გამოთვლილ იქნეს მაგალითად, მიმდინარე აქტივებსა და მოგებას შორის, ან ფონდუკუგებასა და შრომისნაყოფიერებას შორის და ა.შ. ასეთ გადახრებს „აზრი“ არა აქვთ, რადგან აღებული მაჩვენებლები თვისობრივად (შნაარსობრივად) არაშესადარისია.

იმ მაჩვენებელს, რომლის მიმართაც შედარება ხდება, **საბაზისო მაჩვენებელი ეწოდება**. ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებლის შედარება შეიძლება მოხდეს გეგმურ ან წინა წლების მაჩვენებლებთან. ამდენად, **შედარების ბაზა** შეიძლება იყოს გეგმური მაჩვენებელი, წინა წლების ფაქტიური მაჩვენებლები, საშუალო დარგობრივი ან წარმატებული საწარმოს მაჩვენებლები.

ამა თუ იმ მაჩვენებლში წარმოშობილი **გადახრა შეიძლება იყოს სასურველი ან არასასურველი**.

სასურველია ისეთი გადახრა, რომელიც ხელს უწყობს პოტენციური მოგების ზრდას. ხოლო, **არასასურეველია გადახრა**, რომელიც მოსალოდნელი მოგების შემცირებას იწვევს.

დავუშვათ. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების შესახებ რომელიმე პირობით საწარმოში, ანალიტიკოსმა მოიპოვა ინფორმაცია 2016 და 2017 წლისათვის და შეადგინა ანალიზური ცხრილი (იხ. ცხრილი 1.2.1).

ცხრილი 1.2.1.

გადახრები შემოსავლებში

(ათას ლარებში)

მაჩვენებლები	წინა 2016 წელს	2017 წ.		გადახრა	
		გეგ-მით	ფაქტი-ურად	წინა წლიდან	გეგ – მიდან
ა	1	2	3	4	5
შემოსავალი რეალიზაციიდან	17 000	17 600	19 800	+ 2800	+ 2200
წლიურად გამოშვებული პროდუქცია	18 000	18 200	19995	+ 1995	+ 1795

პირველ ცხრილში, მიმდინარე წლის შემოსავლის მაჩვენებელი (19800 ლარი) შედარებულია წინა წლის ფაქტიურ და მიმდინარე წლის, გეგმურ მაჩვენებლებთან. პირველ გადახრაში (სვეტი 4) საბაზისო მაჩვენებელია 2016 წლის ფაქტობრივი მაჩვენებელი და მეორე გადახრაში (სვეტი 5) საბაზისო მაჩვენებელია მიმდინარე წლის (2017 წ) გეგმური მაჩვენებელი.

მოტანილი ცხრილის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საანალიზო საწარმოში, 2017 წელს მიღებული იქნა 2200 ათ. ლარით მეტი შემოსავალი გეგმასთან შედარებით (19800-17600), ხოლო, 2016 წელთან შედარებით, მიღებულია 1800 ათ.ლარით მეტი შემოსავალი (19800-17000). ანალოგიურად იქნება დახასიათებული გამოშვებული მზა პროდუქციის მაჩვენებლის ცვლილებები ანუ გადახრები. მაშასადამე, არსებული გადახრები სასურველია ანუ დადებით მოვლენას წარმოადგენს.

მაჩვენებელთა შედარების შედეგად გადახრების გამოვლენის შემდეგ ხდება ამ გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვა ანუ ფაქტორული ანალიზი.

გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გაზომვის მიზნით გამოიყენება ელიმინირების მეთოდი, რომელსაც ორი სახესხვაობა გააჩნია: აბსოლუტური სხვაობისა და ჯაჭვური ჩასმის ხერხები.

ფაქტორი, როგორც ადრე ვისაუბრეთ, არის ამა თუ იმ მოვლენის მოხდენის მიზეზი. ამასთან თვით ფაქტორები ურთიერთადაკავშირებულნი არიან და ერთმანეთს განაპირობებენ. ამიტომ, ანალიზის დროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სწორად განსაზღვრა. როგორც ფაქტორები, ისე

შედეგები, ეკონომიკურ ანალიზში გამოისახებიან ნიშნებით ანუ რიცხვებში. ფაქტორებიც, თავის მხრივ ეკონომიკურ მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების თვალსაზრისით, გამოიყოფა **შედეგობრივი მაჩვენებლები,** რომელთა ანალიზი ხდება და **ფაქტორ-მაჩვენებლები**, რომლებიც საკვლევ მაჩვენებელზე ზეგავლენას ახდენენ.

ნებისმიერი ფინანსურ-ეკონომიკური მოვლენა მრავალი შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგია. შიდა ფაქტორები დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობაზე, როგორიცაა, მართვის ხარისხი, მუშახელის კვალიფიკაცია და სტიმულები, მწარმოებლურობის დონე, დანახარჯების გამოყენების დონე და სხვა. გარე ფაქტორები კი საწარმოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. როგორიცაა, საბანკო საპროცენტო განაკვეთები, სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა, პარტნიორ საწარმოებში არსებული მდგომარეობა, შესყიდული ნედლეულის ხარისხი, ფასები და სხვა.

ამასთან, ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები შეიძლება იყოს პირდაპირპროპორციული ან უკუპროპორციული. პირველ შემთხვევაში ფაქტორ მაჩვენებლის ზრდა შედეგობრივი მაჩვენებლის ზრდას იწვევს. მეორე შემთხვევაში, კი პირიქით, ფაქტორის ზრდა შედეგის შემცირებას იწვევს.

ფაქტორული ანალიზისათვის აუცილებელია შედეგობრივი და ფაქტორ-მაჩვენებლების დაკავშირების მოდელის აგება. ასეთ მოდელს ფაქტორულ სისტემას უწოდებენ.

ფაქტორული სისტემის მოდელი არის მათემატიკური ფორმულა, რომელიც საანალიზო მაჩვენებელსა და ფაქტორ-მაჩვენებლებს შორის არსებულ კავშირებს გამოხატავს. კავშირის ორი სახე არსებობს: ფუნქციური და სტოხასტიკური.

ფუნქციური კავშირი მკაცრად **დეტერმინირებული,** იდენტიფიცირებული ანუ განსაზღვრადი კავშირია, რომელშიც მოქმედი ფაქტორის ყოველ მნიშვნელობას სავსებით განსაზღვრული, არაშემთხვევითი მნიშვნელობა შეესაბამება. ანუ სისტემა გარკვეულად განსაზღვრულ მდგომარეობაში გადადის. იგი ზოგადი სახით შემდეგნაირად გადმოიცემა:

$y = f(x_1 \dots x_2 \dots x_3 \dots x_n)$, სადაც,

y – არის შედეგობრივი საკვლევი მაჩვენებელი;
x_n – არის ფაქტორ-მაჩვენებლები.

ფუნქციური კავშირის ერთ-ერთი მაგალითია შემდეგი მოდელი:

პრ = მრ . დღ . სთ . შნ; სადაც,

პრ – არის წლის განმავლობაში საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა;
მრ – არის დასაქმებული მუშების რიცხვი;
დღ – არის ერთი მუშის ნამუშევარი დღეები წელიწადში;
სთ – არის სამუშაო დღის ხანგრძლიობა საათებში;
შნ – არის საათობრივი შრომისნაყოფიერება ანუ ერთ საათში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა.

მხოლოდ მოცემული ტიპის, დეტერმინირებული ფაქტორული სისტემის მოდელის არსებობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს **აბსოლუტური სხვაობისა ან ჯაჭვური ჩასმის ხერხები. ამასთან,** თუ მწკრივში გაყოფის არითმეტიკული მოქმედებაც იარსებებს, **მაშინ მხოლოდ ჯაჭვური ჩასმის ხერხი უნდა იქნას გამოყენებული.**

სტოხასტიკური კავშირი შემთხვევითი ანუ ხდომილებითი კავშირია. ამ შემთხვევაში შეუძლებელია დეტერმინირებული ფაქტორული სისტემის მოდელის აგება. ასეთი კავშირების ანალიზისათვის მათემატიკური მეთოდები გამოიყენება, რომელიც შემდეგ საკითხში იქნება განხილული.

აბსოლუტური სხვაობის ხერხის არსი შემდეგში მდგომარეობს: მოცემული ფაქტორის გავლენა უდრის, ამ ფაქტორის „გადახრა" გამრავლებული, მწკრივში, მის წინ მდგომი ფაქტორის ფაქტიურ და შემდგომი ფაქტორის საბაზისო მნიშვნელობებზე.

განვიხილოთ მაგალითი. ზემოთ მოცემული ფაქტორული მოდელის მიხედვით საჭირო პირობითი ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.2.2).

ცხრილი 1.2.2

საანალიზო საწარმოს პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები 2017 წლის მდგომარეობით

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	გეგმით	ფაქტი-ურად	გადახრა
ა	1	2	3
დასაქმებული მუშების რიცხვი	200	205	+ 5
ერთი მუშის მიერ ნამუშევარი დღეები წელიწადში	260	254	– 6
სამუშაო დღის ხანგრძლიობა საათებში	7	8	+ 1
საათობრივი შრომისნაყოფიერება (ლარებში)	50	48	– 2
წელიწადში გამოშვებული პროდუქცია (ათას ლარ.)	18 200	19 995	**+1795**
მოქმედი ფაქტორების გავლენა:			
I. მუშების რიცხვის ცვლილების გავლენა	–	–	+ 455
II. ნამუშევარი დღეების რიცხვის გავლენა	–	–	– 430,5
III. დღის ხანგრძლიობის ცვლილების გავლენა	–	–	+2603,5
IV.საათობრივი შრომისნაყოფიერების გავლენა	–	–	– 833
ფაქტორთა გავლენის ალგებრული ჯამი			**+1795**

მოტანილ ფაქტორულ მოდელში ანუ ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში, როგორც ხედავთ, ოთხი ფაქტორია. თითოეული ფაქტორის ცვლილების გავლენა **აბსოლუტური სხვაობის ხერხით შემდეგნაირად გამოითვლება:**

1. მუშათა რიცხვის ცვლილების გავლენა = (+5) * 260 * 7 * 50 = +455 ათ.ლარი
2. ნამუშევარი დღეების ცვლილების გავლენა = 205 * (–6) * 7 * 50 = – 430,5 ათ.ლარი
3. დღის ხანგრძლიობის ცვლილების გავლენა = 205 * 254 * (+1) * 50 = +2603,5 ათ.ლარი
4. შრომისნაყოფიერების ცვლილების გავლენა = 205 * 254 * 8 * (–2) = – 833 ათ.ლარი

ოთხივე ფაქტორის ცვლილების გავლენის ალგებრული ჯამი საანალიზო მაჩვენებლის საერთო გადახრის ტოლი უნდა იყოს.

+ 455 – 430,5 + 2603,5 – 833 = + 1795 ათ.ლარი

ჩატარებული გამოთვლების შედეგად გაკეთდება შემდეგი დასკვნა: გაანგარიშებამ აჩვენა, რომ პროდუქციის გამოშვების გეგმიდან გადახრაზე მოქმედი განხილული ფაქტორებიდან, ორმა ფაქტორმა დადებითი, ორმა კი უარყოფითი გავლენა მოახდინა. კერძოდ, გამომდინარე იქედან, რომ საწარმოში დასაქმებული მუშების რიცხვი ფაქტიურად 5 კაცით გაიზარდა (იხ. ცხრილი №1.3.2), ამით პროდუქციის მოსალოდნელი გამოშვება გაიზარდა 455 ათასი ლარით; თითოეული მუშის მიერ ნამუშევარი დღეების რიცხვი წელიწადში 6 დღით შემცირდა, რამაც პროდუქციის მოსალოდნელი გამოშვება 430,5 ათასი ლარით შეამცირა; სამუშაო დღის ერთი საათით ზრდის შედეგად, დამატებით გამოშვებულ იქნა 2603,5 ათასი ლარის პროდუქცია, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. ხოლო, იმის გამო რომ ფაქტიური შრომისნაყოფიერება გეგმურთან შედარებით ყოველ საათში ორი ლარით დაეცა, პროდუქციის მოსალოდნელი გამოშვება 833 ათასი ლარით შემცირდა. შემდგომი ანალიზით გამოკვლეულ უნდა იქნეს, რამ გამოიწვია მუშების მთელდღიური მოცდენები და შრომისნაყოფიერების დაცემა.

ამდენად, პროდუქციის გამოშვების გადიდების რეზერვია:

430,5 + 833 = 1263,5 ათასი ლარი.

თუკი, საწარმოში მოგების ნორმა (მარჟა) დაგეგმილი იყო 20%, მოცემულ შემთხვევაში საწარმო დაკარგავდა 252,7 ათას ლარ მოგებას (1263,5 * 20%).

მოცემულ სიტუაციაში, ანალიტიკოსი დაახლოებით შემდეგ რეკომენდაციებს გააკეთებს:

ა. მენეჯმენტმა უნდა აღმოფხვრას მუშების მთელდღიური გაცდენების მიზეზები;

ბ. მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს მუშების კვალიფიკაციის ამაღლება და შრომის უფრო ეფექტიანი გამოყენება.

ჯაჭვური ჩასმის ხერხით თითოეული ფაქტორის გავლენა შემდეგნაირად გამოითვლება: დასაწყისში, ფაქტორული სისტემის მოდელში ანუ ფაქტორთა დაკავშირების პირველ მწკრივში, ყველა ფაქტორი აიღება გეგმურ (საბაზისო) დონეზე. შემდეგ მწ წკრივებში, **თითო**ეული გეგმური ფაქტორი თანდათან შეიცვლება ფაქტიური მნიშვნელობებით და ყოველი მომდევნო გაანგარიშების შედეგს აკლდება წინა გაანგარიშების შედეგი. მიღებული სხვაობა წარმოადგენს მოცემული ფაქტორის გავლენას.

იმავე მაგალითზე გაანგარიშებები მიიღებს შემდეგ სახეს:

I გაანგარიშება. პირველ მწკრივში ყველა ფაქტორი გეგმურია (ანუ საბაზისო):

200 * 260 * 7 * 50 = 18 200 ათ. ლარი

II გაანგარიშება. ახლა ფაქტორთა მწკრივში პირველი ფაქტორი შეიცვლება მისი ფაქტიური მნიშვნელობით, დანარჩენი იგივე დარჩება და მიიღება:

205 * 260 * 7 * 50 = 18 655 ათ. ლარი

მეორე და პირველ გაანგარიშების შედეგებს შორის სხვაობა გამოწვეული იქნება მუშათა რიცხვის ცვლილების გავლენით. მაშასადამე,

მუშათა რიცხვის ცვლილების გავლენა = 18 655 – 18 200 = + 455 ათ. ლარი

III გაანგარიშება: ახლა უნდა შეიცვალოს მეორე ფაქტორი, ნამუშევარი დღეების რიცხვი:

205 * 254 * 7 * 50 = 18 224,5 ათ.ლარი

ნამუშევარი დღეების ცვლილების გავლენა = 18 224,5 – 18 655 = – 430,5 ათ.ლ

IV გაანგარიშება, ახლა მაჩვენებელთა მწკრივში შეიცვლება მესამე ფაქტორი:

205* 254 * 8 * 50 = 20 828 ათ.ლ

სამუშაო დღის ხანგრძლიობის ცვლილების გავლენა = 20 828 –18 224,5 = = +2603,5 ათ.ლ

V გაანგარიშება. შეიცვლება მეოთხე ფაქტორი და ფაქტორთა მწკრივი მთლიანად ფაქტიური გახდება.

205 * 254 * 8 * 48 = 19 995 ათ.ლ

შრომისნაყოფიერების ცვლილების გავლენა = 19 995–20 828 = – 833 ათ. ლ

მოცემულ შემთხვევაშიც, ყველა მოქმედი ფაქტორის გავლენის ალგებრული ჯამი საანალიზო მაჩვენებლის საერთო გადახრის ტოლია. თუ ერთმანეთს შევუდარებთ აბსოლუტური სხვაობისა და ჯაჭვური ჩასმის ხეხებით მიღებულ პასუხებს, ისინი ერთმანეთს ემთხვევა. ამასთან, აბსოლუტური სხვაობის ხერხი უფრო ნაკლებად შრომატევადია. ერთი გაანგარიშებით მიიღება მოცემული ფაქტორის გავლენა. ჯაჭვური ჩასმის ხერხით კი ორი გამოთვლა უნდა ჩატარდეს, რათა ამა თუ იმ ფაქტორის გავლენა გაიზომოს. ამიტომ, აბსოლუტური სხვაობის ხერხი უფრო გამოიყენება. ოღონდ, იმ შემთხვევაში, როცა ფაქტორულ მოდელში ანუ მწკრივში არის გაყოფა ან გაყოფაც და გამრავლებაც, მაშინ საჭიროა ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენება, რადგან ამბსოლუტურო სხვაობის ხერხი სწორ პასუხებს არ იძლევა.

აქვე შევნიშნავთ, რომ განხილულ ფაქტორთა მწკრივში მოტანილი ფაქტორები მოცულობითი მაჩვენებლებია. შეიძლება ზოგჯერ ისინი ფარდობით მაჩვენებლებსაც წამროადგენდნენ.

დროის რაიმე ინტერვალში (პერიოდში) ამა თუ იმ ეკონომიკური ხასიათის მოვლენების მოხდენის სიხშირის, ხარისხის და ტენდენციების დახასიათებისათვის, ეკონომიკური ანალიზი საშუალო სიდიდეებს და სხვადასხვა ინდექსებს იყენებს.

საშუალო სიდიდე ცენტრალურ მაჩვენებელს წარმოადგენს. იგი ნიშნავს მონაცემთა სიმრავლეში ერთი ისეთი მნიშვნელობის პოვნას, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა მთელი სიმრავლის მახასიათებელს და ამ სიმრავლის ერთგვარ წარმომადგენელს. საშუალო მაჩვენებლებს შორის ყველაზე გავრცელებულია საშუალო არითმეტიკული. განასხვავებენ **მარტივ საშუალო არითმეტიკულს და შეწონილ საშუალოს.**

საშუალო არითმეტიკულის გამოსათვლელად, სიმრავლეში არსებულ წევრთა ჯამი იყოფა სიმრავლის წევრთა რიცხვზე. იგი აღინიშნება $\bar{X}$ **(** x საშუალო**)**

სადემონსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ, ხუთი თვის განმავლობაში პროდუქტის გაყიდვები ცალებში შეადგენდა:

მაისი	34 600
ივნისი	35 700
ივლისი	37 000
აგვისტო	33 500
სექტემბერი	37 900
∑ ჯამი	178 700

$\bar{X}$ (საშუალო არითმეტიკული) = 178700 / 5 = 35 740 ერთეული

მაშასადამე, ყოველთვიურად, საშუალოდ იყიდებოდა 35740 ერთეული პროდუქტი. მართალია, საშაულო სიდიდე არ ემთხვევა სიმრავლის რომელიმე კონკრეტულ წევრს, მაგრამ შეიცავს და ასახვს ყველი წევრისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებას. ამიტომ, საერთო ტენდენციების შედარებითი დახასიათებისთის იგი წარმატებით გამოიყენება.

საშაულო შეწონილი არითმეტიკულის გამოთვლისათვის დამატებით გამოიყენება სიმრავლეში ხდომილობათა წონები (ანუ სიხშირე).

დავუშავთ, წლის განმავლობაში გაყიდვების მოცულობა თვეების მიხედვით შემდეგნაირად იყო განაწილებული:

გაყიდვები ერთეულებში	სიხშირე (თვეების რიცხვი)	ნამრავლი
34 600	2	69 200
35 700	3	107 100
37 000	2	74 000
33 500	4	134 000
37 900	1	37 900
∑	12	422 200

საშუალო შეწონილი = 422200 / 12 = 35 183 ერთეული.

აქ „წონები“ არის თვეების რიცხვი.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

საქონლის შესყიდვების შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

თარიღი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)
10.05.2016	450	10	4500
30.05.2016	500	12	6000
15.06.2016	400	11	4400
30.06.2016	550	14	7700
ჯამი	1900	43	22600

მოცემულ მაგალითზე, საქონლის ერთეულის შესყიდვის საშუალო ფასი იქნება:

მარტივი საშუალო არითმეტიკულით = (10 + 12 + 11 + 14} : 4 = 10,75

საშუალო შეწონილი არითმეტიკულით = 22600 / 1900 = 11,89 ლარი

საშუალო შეწონილში „წონები“ არის პროდუქტის რაოდენობა.

ამდენად, ანალიზის დროს რომელიმე ერთი მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული. უფრო მეტად, საშუალო შეწონილი გამოიყენება.

ეკონომიკური ანალიზი ასევე იყენებს სხვადასხვა ინდექსებს.

ინდექსი აჩვენებს დროის ერთი განსაზღვრული მომენტიდან მეორე მომენტამდე ცვლადის (რაიმე მაჩვენებლის) ცვლილების დონეს. ინდექსი მიიღება შესადარისი მაჩვენებლების შეფარდებით. ინდექსი 100-ზე გამრავლებით პროცენტებში გადაიყვანება. **ინდექსები შეიძლება იყოს გეგმის შესრულების, დინამიკის, სტრუქტურის, ფასების და ა.შ.**

მაგალითად, 1.3.1 ცხრილის ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების გეგმის შესრულების ინდექსი იქნება:

19800 / 17600 = 1,125 ანუ 112,5 %

ანუ რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 112,5%-ით. ე.ი. მატება გეგმასთან შედარებით შეადგენს 12,5 პროცენტს. წინა წელთან შედარებით კი მატებამ 16,5%-ს (19800 / 17000 * 100) შეადგინა.

დინამიკური ინდექსები გამოიყენება რამდენიმე წლიან პერიოდში ამა თუ იმ ეკონომიკური მაჩვენებლის ცვლილებების ტენდენციის დახასიათებისათვის. დინამიკური ინდექსები თავის მხრივ შეიძლება იყოს საბაზისო ან ჯაჭვური.

საბაზისო ინდექსები გამოითვლება ერთი რომელიმე წლის მიმართ. **ჯაჭვური ინდექსები** კი გამოითვლება ყოველი წინა წლის მიმართ.

სადემონსტრაციო მაგალითი:

ერთ-ერთი კომპანიის პროდუქციის გაყიდვების შესახებ, არსებობს შემდეგი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 1.2.3). იმის დახასიათებისათვის, თუ როგორი ტემპებით იცვლებოდა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების მაჩვენებელი 2010-2017 წლებში, იმავე ცხრილში გამოთვლილია დინამიკური ინდექსები.

ცხრილი 1.2.3

შემოსავლების დინამიკა

(ლარი)

წლები	შემოსავალი რეალიზაციიდან მიმდინარე ფასებით	%-ად საბაზისო 2010 წელთან შედარებით	%-ად წინა წლებთან შედარებით
ა	1	2	3
2010	34 600	100	-
2011	35 700	103,2	103,2
2012	35 000	101,2	98,2
2013	36 900	106,6	105,4
2014	39 100	112,0	106,0
2015	40 000	115,6	102,3
2016	38 700	111,8	96,7
2017	40 500	117,1	104,6

1.2.3. ცხრილის **მეორე სვეტში წარმოდგენილია საბაზისო ინდექსები ერთსა და იმავე 2010 წელთან შედარებით:**

2011 წ. = 35700/34600 *100 = 103,2%; 2012 წ. = 35000/34600 * 100 = 101,2% და ა.შ.

მესამე სვეტში გამოთვლილია ჯაჭვური ინდექსები ყოველ წინა წელთან შედარებით:

2011 წ = 35700/34600 * 100 = 103,2%; 2012 წ = 35000/35700 * 100 = 98,2% და ა.შ.

ამრიგად, მესამე ცხრილის მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საანალიზო საწარმოში რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები 2010-2017 წლების პერიოდში, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. თუმცა წინა წლებთან შედარებით, ყოველ მომავალ წელს განსხვავებული სურათი იყო ხოლმე. მაგალითად, 2012 წელს, შემოსავლები საბაზისო 2010 წელთან შედარებით 1,2%-ით გაიზარდა, წინა წელთან შედარებით კი 1,8%-ით შემცირდა.

დინამიკური მწკრივის საშუალო დონე ყველაზე მარტივად შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\mathbf{y\ (საშუალო\ დონე) = \sum y / n;} \qquad \mathbf{(1.2.1)}$$

სადაც:

$\sum y$ - არის მწკრივის დონეთა ჯამი; n – მწკრივის დონეთა (წევრთა) რიცხვი.

ეს კოეფიციენტი აჩვენებს საანალიზო მაჩვენებლის ზრდის საშულო ტემპს აღებულ პერიოდში.

1.2.3. ცხრილის მე-2 სვეტის მაჩვენებლების საფუძველზე, საანალიზო საწარმოს შემოსავლების ზრდის საშუალო ტემპი 2010-2017 წლების პერიოდში შეადგენს:

$$\frac{(103,2 + 101,2 + 106,6 + 112 + 115,6 + 111,8 + 117,1)}{7} = 867,5 / 8 = 109,6\%$$

იგივე შედეგი მიიღება თუკი ცვლილების დონეთა ჯამი გაიყოფა წევრთა რიცხვის ჯამზე.

(3,2 + 1,2 +6,6 + 12 + 15,6 + 11,8 + 17,1) / 7 = 67,5 / 7 = 9,6%

ანუ, საშუალო მატება შვიდი წლის განმავლობაში 9,6% იყო.

ზრდის საშუალო ტემპის გამოსათვლელად აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფორმულები:

$$\bar{K} = \sqrt[(n-1)]{y_n / y_0}\ ; \qquad \mathbf{(1.2.2)}$$

სადაც, y_0 – მწკრივის პირველი წევრი, y_n - არის მწკრივის ბოლო წევრი.

ამ ფორმულით, ზრდის საშუალო ტემპი 101 %-ია და განსხვავდება წინა შედეგისაგან.

ან, შეიძლება შეიძლება შემდეგი ყველაზე მარტივი ფორმულის გამოყენება:

$$\mathbf{K = (\sum y - y_n) / (\sum y - y_0),} \qquad \mathbf{(1.2.3)}$$

K = (867,5 – 117,1) / (867,5 – 103,2) = 750,4 / 764,3 = 1,023

სადაც, y_0 – მწკრივის პირველი წევრი, y_n - არის მწკრივის ბოლო წევრი.

ამ ფორმულით ზრდის საშუალო ტემპია 102 %. მაშასადამე, სხვადასხვა შედეგი მიიღება. ამიტომ ანალიტიკოსმა რომელიმე ერთი ხერხი უნდა აირჩიოს.

როგორც ცნობილია, ეკონომიკაში ადგილი აქვს ფასების ცვლილებას. რესურსების ერთეულის ფასი წლების მიხედვით განსხვავებულია, რაც ღირებულებითი მაჩვენებლების დინამიკაში ანუ მრავალწლიან ინტერვალში რეალურ ცვლილებებს ამახინჯებს.

ასე მაგალითად, დავუშვათ, საწარმოში წინა წელს გამოშვებულ იქნა 1000 ცალი პროდუქტი, რომლის ერთეულის გასაყიდი ფასი იყო 12 ლარი. მიმდინარე წელს ასევე გამოშვებულ იქნა 1000 ცალი პროდუქტი, რომლის ერთეულის ფასი გახდა 15 ლარი. ღირებულებით ფორმაში იქმნება წარმოდგენა, რომ თითქოს პროდუქციის წარმოება 12000 ლარიდან (1000 * 12) წინა წელთან შედარებით, 15000 ლარამდე (1000 * 15) ანუ 25%-ით გაიზარდა მიმდინარე წელს. სინამდვილეში კი წარმოების რეალურ ზრდას ადგილი არ ჰქონია. ინფლაციამ წარმოების რეალური ტემპი შეცვალა. მაგრამ, თუ მიმდინარე წლის 1000 ცალ პროდუქტს წინა წლის ფასში (12 ლ) გადაიყვანება 12000 ლარი მიიღება და გამოჩნდა, რომ წარმოების რეალურ ცვლილებას ადგილი მართლაც არ ჰქონია. ამდენად, რეალური ტემპების დასადგენად, საჭირო ხდება მაჩვენებელთა გადაყვანა შესადარ ფასებში. ამ მიზნით ფასების ინდექსები გამოიყენება.

არსებობს ფასების ინდექსების შემდეგი სახეები:

1. მარტივი ინდექსები
2. შეწონილი ინდექსები
3. ლაპეიერის ინდექსი
4. პააშეს ინდექსი.

მარტივი ინდექსები ორი სახის შეიძლება იყოს: ღირებულებითი და რაოდენობრივი.

ღირებულებითი (ანუ ფასის) ინდექსი გვიჩვენებს დროის განმავლობაში საგნის ერთეულის ფასის ცვლილებას. მას ინფლაციის კოეფიციენტსაც უწოდებენ. იგი გამოიანგარიშება ამა თუ იმ სახის პროდუქტის ერთეულის მიმდინარე ფასის შეფარდებით საბაზისო წლის ფასთან, შემდეგი ფორმულით:

$$\text{ფასის მარტივი ინდექსი} = \frac{P_1}{P_0} * 100; \quad \text{სადაც,} \qquad (1.2.4)$$

P_0 - არის საგნის ერთეულის ფასი საბაზისო პერიოდისათვის (რომელიმე წინა წლის)
P_1 - არის საგნის ერთეულის ფასი მიმდინარე პერიოდისათვის.

რაოდენობრივი (ანუ მოცულობის) მარტივი ინდექსი ზომავს წარმოებული ან გაყიდული პროდუქციის მოცულობის ცვლილებებს.

$$\text{მოცულობის მარტივი ინდექსი} = \frac{q_1}{q_0} * 100; \text{ სადაც,} \qquad (1.2.5)$$

q_1 - არის პროდუქციის მოცულობა დროის მოცემული მომენტისათვის

q_0 – არის პროდუქციის მოცულობა საბაზისო პერიოდისათვის.

სადემონსტრაციო მაგალითი:

ვთქვათ ერთი კილოგრამი წიწიბურა 2010 წელს 2,5 ლარი ღირდა. 2017 წელს მისი ფასი 4 ლარი გახდა. თუ შედარების ბაზად 2010 წელს ავიღებთ, მაშინ ფასის ინდექსი იქნება:

$$\text{ფასის მარტივი ინდექსი} = \frac{P_1}{P_0} * 100 = \frac{4}{2,5} * 100 = 160\%.$$

ეს ნიშნავს, რომ ერთი კილოგრამი წიწიბურას ფასი 2000 წელთან შედარებით 60%-ით გაიზარდა. მაშასადამე, ინფლაციის კოეფიციენტია 1,6.

ასევე, თუ მაგალითად, საწარმომ 2010 წელს – 4600 ცალი და 2017 წელს – 4800 ცალი მტვერსასრუტი გამოუშვა, მაშინ მოცულობის ინდექსი იქნება:

$$\text{მოცულობის მარტივი ინდექსი} = \frac{q_1}{q_0} = \frac{4800}{4600} = 1,043 \quad \text{ანუ } 104,3\%.$$

ეს ნიშნავს, რომ მოცემულ საწარმოში წარმოების მოცულობა 2017 წელს, წინა წელთან შედარებით 4,3%-ით გაიზარდა.

თუ ერთი მტვერსასრუტის ფასი 2016 წელს 145 ლარი და 2017 წელა 170 ლარი იყო, მაშინ:

$$\text{ღირებულებით ფორმაში წარმოების ზრდა} = \frac{4800 * 170}{4600 * 145} * 100 = \frac{816\,000}{667\,000} * 100 = 122,3\%$$

როგორც ხედავთ, წარმოებამ თითქოს 22,3%-ით მოიმატა, მაშინ როდესაც რეალური მატება 4,3%-ია. რეალური სურათის მისაღებად გამოიყენება ინფლაციის კოეფიციენტი, რომელიც მოცემულ მაგალითზე არის 170/145 = 1,1724

2017 წლის პროდუქცია 2016 წლის ფასებში შემდეგნაირად გადაიყვანება:

816000/1,1724 = 696 008 ლარი.

მართლაც, წარმოების მოცულობის რეალური ცვლილება = 696 000 / 667 000 * 100 = 104,3%, როგორც ეს აჩვენა მოცულობის ინდექსმა.

შეიძლება გამოყენებული იქნეს **დეფლაციის კოეფიციენტიც, რომელიც ინფლაციის კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელია.**

ჩვენს მაგალითზე დეფლაციის კოეფიციენტი = 145/170 = 0,853, ან

100 / 117,24 = 0,853

მიმდინარე წლის მაჩვენებელი რომ გადაყვანილ ინქას საბაზისო წლის ფასებში, ამისათვის:

816 000 * 0,853 = 696 000 ლარი

ამრიგად, ღირებულებითი მაჩვენებლების დინამიკური ანალიზის დროს აუცილებელია ფასების ცვლილების გავლენის გამორიცხვა, რათა გამოვლინდეს მაჩვენებელთა ცვლილების რეალური ტემპები.

სადემონსტრაციო მაგალითი:

მოცემულია სამრეწველო კომპანიის ხარჯების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

	ლარი	ინფლაციის ინდექსი
2010 წ	117 400	1,00
2011 წ.	134 000	1,08
2012 წ	145 700	1,05
2013 წ	167 900	1,09

მოთხოვნა: მოახდინეთ ხარჯების შესწორება საბაზისო დონეზე (2010 წ) და შეადგინეთ დინამიკური მწკრივი შესწორებამდე და შესწორების შემდეგ.

ცხრილი 1.2.4

ხარჯების დინამიკა

წლები	შესწორებული ხარჯები	დინამიკა %-ად 2010 წელთან შედ-ით	
		შესწორებამდე	შესწორების შემდეგ
2010	117400 / 1,0 = 117 400	100	100
2011	134000 / 1,08 = 124 074	114,1	105,7
2012	145700 / 1,05 = 138 762	124,1	118,2
2013	147900 / 1,09 = 135 688	126,0	115,6

როგორც, მეოთხე ცხრილის მაჩვენებლებიდან ჩანს, შესწორებამდე ანუ ფასების გავლენის გამოქვითამდე, დანახარჯების ზრდის ტემპები გაცილებით მაღალია, ვიდრე შესწორების შემდეგ ანუ როცა ინფლაცია დანახარჯების მაჩვენებლებიდან გამორიცხულია. მას დეფლირებულ ხარჯებსაც უწოდებენ.

ფასისა და მოცულობის ინდექსების ნამრავლი იძლევა ფასების საერთო ინდექსს. ცნობილია ლაპეიერის და პააშეს ფასების ინდექსები. მათში მოცემულია ყველა სახის პროდუქტების მიხედვით გაკეთებული გამოთვლების ჯამი.

$$\text{ფასის ლაპეიერის ინდექსი} = \frac{\sum (p_1 * q_0)}{\sum (p_0 * q_0)}; \qquad (1.2.6)$$

იგი შეწონილი რაოდენობისათვის იყენებს საბაზისო წელს. ანუ, საბაზისო წელს გამოშვებული პროდუქტი გადმოყვანილია მიმდინარე წლის ფასებში, და შეფარდებულია საბაზისო წლის პროდუქტთან საბაზისო ფასით.

$$\text{ფასის პააშეს ინდექსი} = \frac{\sum (p_1 * q_1)}{\sum (p_0 * q_1)} \qquad (1.2.7)$$

იგი შეწონილი რაოდენობისათვის იყენებს მიმდინარე წელს. ანუ მიმდინარე წლის პროდუქტი მიმდინარე წლის ფასებით, შეფარდებულია საბაზისო წლის ფასში გადაყვანილ მიმდინარე წლის პროდუქციასთან.

ლაპეიერისა და პააშეს ფასების ინდექსები ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფასების ზრდის დროს მომხმარებელი გადადის დაბალფასიანი საქონლის მოხმარებაზე, რაც მომხმარებელზე ინფლაციის გავლენას ამცირებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლაპეიერის ინდექსის გამოყენებისას, ბაზარზე მოთხოვნის მოდელის ცვლილება მხედველობაში არ მიიღება. შედეგად, ლაპეიერის ინდექსი იხრება რეალური ინფლაციური მაჩვენებლის გადამეტებისაკენ.

მეორე მხრივ, პააშეს ინდექსი თავის თავში მოიცავს წინა წლების მონაცემების გაანგარიშებას, ეს კი მიზანშეუწონელია, რადგან საჭირო ხდება სხვა ინდექსების შემოტანა. იმის გამო, რომ პააშეს ინდექსი დაფუძნებულია მიმდინარე მოთხოვნის მოდელზე, იგი სრულად არ აფასებს ინფლაციის გავლენას მომხმარებელზე.

სადემონსტრაციო მაგალითი.

2016 წელი გამოიყენეთ საბაზისო წლად და დათვალეთ ლაპეიერის და პააშეს ინდექსები, შემდეგი მონაცემების მიხედვით

მოხმარებული საქონელი 2016 – 1017 წწ.

საქონლის დასახელება	2015		2016	
	ფასი (p_0)	მოცულობა (q_0)	ფასი (p_1)	მოცულობა (q_1)
პური	0,50 ლ/ბატონი	20 000 ბატონი	0,70 ლ/ბატონი	25 000 ბატონი
რძე	1,00 ლ/ქილა	10 000 ქილა	1,20 ლ/ქილა	12 000 ქილა
შაქარი	1,50 ლ/კგ	22 000 კგ	1,80 ლ/კგ	20 000 კგ
კვერცხი	50 ლ/ყუთი	1 000 ყუთი	60 ლ/ყუთი	950 ყუთი

- ლ – ასოთი აღნიშნულია „ლარი“.

ამოხსნა:

ა). ფასის ლაპეიერის ინდექსი = $\dfrac{\sum (p_1 * q_0)}{\sum (p_0 * q_0)}$;

გამოთვლები ფასების ლაპეიერის ინდექსისათვის **ცხრილი 1**

საქონელი	ფასი p_0	მოცულობა q_0	$P_0 * q_0$	ფასი P_1	$P_1 * q_0$
პური	0,50	20 000	10 000	0,70	14 000
რძე	1,00	10 000	10 000	1,20	12 000
შაქარი	1,50	22 000	33 000	1,80	39 600
კვერცხი	50	1 000	50 000	600	60 000
ჯამი			103 000		125 600

$P_0 * q_0$ – არის წინა წლის პროდუქცია გამოსახული წინა წლის ფასებში;
$P_1 q_0$ - არის წინა წლის პროდუქცია გამოსახული დღევანდელ ფასებში.

ლაპეიერის ინდექსი =125 600 / 103 000 * 100 = 121,94%

ბ). ფასის პააშეს ინდექსი = $\dfrac{\sum (p_1 * q_1)}{\sum (p_0 * q_1)}$

გამოთვლები ფასების პააშეს ინდექსისათვის **ცხრილი 2**

საქონელი	ფასი P_0	მოცულობა q_1	$P_0 * q_1$	ფასი P_1	$P_1 * q_1$
პური	0,50	25 000	12 500	0,70	17 500
რძე	1,00	12 000	12 000	1,20	14 400
შაქარი	1,50	20 000	30 000	1,80	36 000
კვერცხი	50	950	47 500	60	57 000
ჯამი			102 000		124 900

ფასების პააშეს ინდექსი = 124 900 / 102 000 * 100 =122,45 %.

ეკონომიკურ ანალიზში აგრეთვე გამოიყენება სტრუქტურის ინდექსები ანუ **სტრუქტურული კოეფიციენტები,** რომლებიც გამოიყენება მთელის შემადგენლობის დახასიათებისათვის. სტრუქტურული კოეფიციენტების ჯამი ყოველთვის ასის ტოლია.

სტრუქტურული კოეფიციენტი ახასიათებს შემადგენელი ნაწილის ხვედრით წილს მთელის მიმართ.

მაგალითად, აქტივების სტრუქტურის დახასიათებისათვის შედგება შესაბამისი ცხრილი, რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

ცხრილი 1.3..5

საწარმოს აქტივების სტრუქტურა 2015 – 2016 წწ

აქტივები	2016		2017	
	არი	ხვედრთი წი-ლი %-ად	ლარი	ხვედრითი წი-ლი %-ად
გრძელვადიანი აქტივები	567 900	62,18	589 000	62,68
მოკლევადიანი აქტივები	345 400	37,82	350 700	37,32
ჯამი	913 300	100	939 700	100

როგორც მეხუთე ცხრილის გამოთვლებიდან ჩანს, აქტივებში მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს გრძლევადიან აქტივებს, რომელიც ოდნავ გაიზარდა 2017 წელს. შემდეგ ანალოგიურად შეისწავლება გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების სტრუქტურა.

1.3. ანალიზში გამოყენებული მათემატიკური მეთოდები

მათემატიკური მეთოდები ეკონომიკურ ანალიზში გამოიყენება მაშინ, როდესაც ფაქტორ მაჩვენებელსა და შედეგობრივ მაჩვენებლებს შორის კავშირები დეტერმინირებული ხასიათის დაკავშირების მოდელის სახით ვერ განისაზღვრება, როცა, ყველა ფაქტორის მოქცევა ფორმულაში შეუძლებელია და როცა, ადგილი აქვს სტოხასტიკურ კავშირებს.

სტოხასტიკური კავშირები ხდომილებითი კავშირებია, როცა ერთ ფაქტორულ სიდიდეს მრავალი შედეგობრივი მნიშვნელობა შეესაბამება, ანუ, **სისტემას ეწოდება ხდომილებითი**, თუკი მოცემული საწყისი პირობების დროს სისტემა შეიძლება გადავიდეს სხვადასხვა მდგომარეობაში, რომელთაც სხვადასხვა ალბათობა გააჩნიათ.

მაგალითად, ერთიდაიგივე საწარმოს აქციების კურსი ბირჟაზე წლის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს, რომლებიც საწარმოს განსხვავებულ ფინანსურ შედეგებს მოუტონს.

ეკონომიკურ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლით გადაიჭრება შემდეგი ამოცანები:

1. საანალიზო მაჩვენებლებს შორის კავშირის არსებობის ან არარსებობის ფაქტის დადგენა;

2. კავშირების სიმჭიდროვის გაზომვა;
3. არაშემთხვევითი კავშირების დადგენა;
4. შედეგობრივ მაჩვენებლებზე ფაქტორული მოვლენების გავლენის რაოდენობრივი შეფასება.

სტოხასტიკური კავშირების ანალიზის მიზნით გამოიყენება შემდეგი მათემატიკური მეთოდები: კორელაციური ანალიზი, ვარიაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტები, ალბათობის მათემატიკური მეთოდები.

კორელაცია ორ ცვლადს შორის კავშირის სიძლიერის საზომია. კერძოდ, ორი ცვლადის ცვლილებები დაკავშირებულია თუ არა ერთმანეთთან.

ურთიერთკავშირი ცვლადებს შორის შეიძლება იყოს სრულყოფილი ან ნაწილობრივი. დადებითი ან უარყოფითი. დადებითია კორელაცია, როცა ცვლადებს შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია. ხოლო, უარყოფითია კორელაცია, როცა ცვლადებს შორის კავშირი უკუპროპორციულია.

სრულყოფილი დადებითი კორელაცია ნიშნავს, რომ ერთი ცვლადის მაღალი მნიშვნელობები მეორე ცვლადის მაღალ მნიშვნელობებს იწვევს. ან ერთი ცვლადის მცირე მნიშვნელობები დაკავშირებულია მეორე ცვლადის მცირე მნიშვნელობებთან. ანუ კავშირი პირდაპირპროპორციულია.

სრულყოფილი უარყოფითი კორელაცია ნიშნავს, როცა ერთი ცვლადის მაღალ მნიშვნელობებს მეორე ცვლადის მცირე მნიშვნელობები შეესაბამება და პირიქით. ანუ კავშირი უკუპროპორციულია.

ორ ცვლადს შორის კავშირის ხარისხის დასადგენად კორელაციის კოეფიციენტი (r) გამოიყენება. კორელაციის კოეფიციენტს შეუძლია მნიშვნელობები მიიღოს მხოლოდ +1-სა და – 1-ს შორის. როცა:

r = +1 გვიჩვენებს სრულყოფილ დადებით კორელაციას;
r = 0 გვიჩვენებს, რომ კორელაცია ანუ კავშირი არ არსებობს;
r = -1 გვიჩვენებს სრულყოფილ უარყოფით კორელაციას.

კორელაციის კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$r = \frac{n * \sum xy - \sum x * \sum y}{\sqrt{[n*\sum x^2 - (\sum x)^2]\,[n*\sum y^2 - (\sum y)^2]}}$$ სადაც: **(1.3.1.)**

X – არის დამოუკიდებელი ცვლადი ანუ ფაქტორი;
y – არის დამოკიდებული ცვლადი ანუ შედეგი;
n – არის წევრთა რიცხვი აღებულ სიმრავლეში.

კორელაციის კოეფიციენტის შემდეგ გამოითვლება დეტერმინაციის კოეფიციენტი (D), რომელიც გვიჩვენებს: შედეგობრივი მაჩვენებლის ცვლილების რამდენი პროცენტია გამოწვეული ფაქტორ-მაჩვენებლის ანუ დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილებით.

$$D = r^2$$ **(1.3.2)**

საილუსტრაციო მაგალითი:

ცნობილია ერთ-ერთი კომპანიის გასული ხუთი თვის ინფორმაცია რეკლამის დანახარჯებსა და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების შესახებ:

თვეები	რეკლამის ხარჯები ათას ლარებში	შემოსავალი რეალიზაციიდან ათას ლარებში
1	20	407
2	24	413
3	37	420
4	23	400
5	41	490

მოთხოვნა: გამოვთვალოთ კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

ამოხსნა:

მოცემულ მაგალითში დამოუკიდებელი ცვლადი ანუ ფაქტორი არის რეკლამის ხარჯები (x), რადგან ითვლება, რომ რეკლამაზე რაც მეტი ხარჯი გაიწევა, მით მეტი იქნება შემოსავლები გაყიდვებიდან. ხოლო, შემოსავალი რეალიზაციიდან არის დამოკიდებული ცვლადი ანუ შედეგობრივი მაჩვენებელი (y).

თვეები	x	x^2	y	y^2	(x . y)
1	20	400	407	165649	8140
2	24	576	413	170569	9912
3	37	1369	420	176400	15540
4	23	529	400	160000	9200
5	41	1681	490	240100	20090
ჯამი ∑	145	4555	2130	912718	62882

n – არის წევრთა რიცხვი მწკრივში ანუ თვეების რაოდენობა – 5.

$$r = \frac{5 * 62882 - 145 * 2130}{[(5 * 4555 - 145^2) * (5 * 912718 - 2130^2)]^{1/2}} = \frac{5560}{6834,3} = 0.8135$$

ვინაიდან კორელაციის კოეფიციენტი დადებითია, ნიშნავს რომ რეკლამის ხარჯებისა და შემოსავლების მაჩვენებლებს შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია და საკმაოდ მაღალი, რადგან იგი ახლოსაა ერთთან.

$D = 0.8135^2 = 0,6618$ ანუ 66,18%.

დეტერმინაციის კოეფიციენტის თანახმად, შემოსავლების ცვლილების 66.18% გამოწვეულია რეკლამის ხარჯების ცვლილების ზეგავლენით.

აღებულ პერიოდში, ამა თუ იმ მაჩვენებლის ცვლილების დახასიათებისათვის გამოიყენება აგრეთვე ვარიაციული გაქანების მაჩვენებელი, რომელიც მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობის ტოლია.

განხილულ მაგალითში, შემოსავლების მაჩვენებლის ვარიაციული გაქანება არის 83 ათასი ფულადი ერთეული (490 – 407), რომლის დაახლოებით 66% გამოწვეული ყოფილა რეკლამის ხარჯების ცვლილებით. დანარჩენი კი სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგია.

ისეთ ვითარებაში, როცა რაიმე ეკონომიკური ოპერაციის მოსალოდნელი შედეგი გაურკვეველია, **მათემატიკური ლოდინის გამოთვლის ხერხი გამოიყენება.**

მათემატიკური ლოდინი არის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი შედეგების საშუალო მნიშვნელობა. იგი უდრის შესაძლო შედეგების მათ ალბათობებზე ნამრავლის ჯამს:

მათემატიკური ლოდინი = $\sum p*x$ სადაც, **(1.3.3)**

p – არის შედეგის ხდომილობის ალბათობა, რომელიც წარსული მონაცემების ანალიზით განისაზღვრება.

x – არის ესა თუ ის მოსალოდნელი კონკრეტული შედეგი;

$\sum$ - ნიშნავს „ჯამს“.

მათემატიკური ლოდინი გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების მარტივ სიტუაციაში, რათა გადაწყდეს, კომპანიისათვის რომელი ალტერნატივაა ყველაზე მეტად მისაღები.

მათემატიკური ლოდინი არ გამოიყენება ერთჯერადი შედეგის პროგნოზირებისათვის. ამასთან, იგი არ ითვალისწინებს რისკებს და ფულის დროითი ღირებულების ცვლილებას.

რამდენიმე პროექტიდან ის პროექტია მისაღები, რომლის მათამატიკური ლოდინი დადებითია. თუ ყველა პროექტის მათემატიკური ლოდინი დადებითია, მაშინ უნდა შეირჩეს ყველაზე მაღალი მათემატუკური ლოდინის მქონე პროექტი.

საილუსტრაციო მაგალითი:

კომპანიის გასული 10 თვის ყოველთვიური მოგების შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

ყოველთვიური მოგება ლარებში	თვეების რაოდენობა
45000	3
50000	4
60000	2
70000	1

მოთხოვნა:

გამოვთვალოთ მომავალში მისაღები მოსალოდნელი მოგება.

ამოხსნა:

მოტანილ მაგალითში შედეგი არის ყოველთვიური მოგება. ალბათობის კოეფიციენტები კი განისაზღვრება თვეების ჯამის მიმართ. გაანგარიშებები მიიღებს შემდეგ სახეს:

ყოველთვიური მოგება	ალბათობა
45000	3/10 = 0,3
50000	4/10 = 0,4
60000	2/10 = 0,2
70000	1/10 = 0,1

ყურადღება მიაქციეთ, ალბათობის კოეფიციენტების ჯამი ერთის ტოლია.

მათემატიკური ლოდინი = 45000 * 0,3 + 50000 * 0,4 + 60000 * 0,2 + 70000 * 0,1 = 52500 ლ

მაშასადამე, საშუალოდ თვეში მიღებულ იქნება 52500 ლარი მოგება, თუმცა ფაქტობრივად, ეს მოგება არც ერთ თვეში არ იქნება. იგი მოსალოდნელი საშუალოა.

წინა საკითხში განხილული იყო საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის მეთოდიკა. მაგრამ იგი არ ახასიათებს სიმრავლის წევრთა გაბნევის ხარისხს. ამ მიზნით გამოიყენება **საშუალო კვადრატული გადახრა,** რომელიც აჩვენებს რამდენად შემჭიდროვებულია სივრცე საშუალო არითმეტიკულთან. საშუალო

კვადრატული გადახრა გვიჩვენებს სივრცეს საშუალო არითმეტიკულის მარცხნივ და მარჯვნივ, სადაც მოთავსებულია სიმრავლის ელემენტების 70-80%. იგი განსაკუთრებით ახასიათებს სტაბილურობის ხარისხს. საშუალო კავდრატული გადახრა რაც მეტია ნულზე, მით მეტია დისპერსია ანუ გაბნევის ხარისხი საშუალოდან. შესაბამისად არასტაბილურობაც მაღალია.

საშუალო კვადრატული გადახრა აღინიშნება ბერძნული ასოთი σ - „სიგმა“- და შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (x-\bar{x})^2}{n}} \quad \text{ან} \quad \sigma = \sqrt{\sum x^2 / n - \bar{x}^2} \qquad \textbf{(1.3.2)}$$

ხოლო, სიხშირული განაწილებისათვის, გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\sigma = [\sum f (x - \bar{x}^2) / \sum f]^{1/2} \qquad (1.3.3)$$

ან, $$\sigma = \{ [\sum(f * x^2) / \sum f - [(\sum f * x) / \sum f)]^2 \}^{1/2} \qquad (1.3.4)$$

სიმრავლის წევრთა გაბნევის ხარისხი იზომება გადახრით ანუ ვარიაციის კოეფიციენტით, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:

$$V \text{ (ვარიაციის კოეფიციენტი)} = (\sigma * 100\ \%) / X_{\text{საშ.}} \qquad \textbf{(1.3.4)}$$

საშუალო კვადრატული გადახრა რაც უფრო ახლოსაა ნულთან, სიმრავლის წევრები, მით უფრო ახლოსაა საშუალო არითმეტიკულთან და ვითარება მით უფრო სტაბილურია.

ვარიაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს დაშორებას სიმრავლის წევრებს შორის. ამიტომ, იგი რაც უფრო ახლოსაა 100%-თან, მით მაღალია საანალიზო მაჩვენებლის მერყეობა და არასტაბილურობის ხარისხი შესასწავლ პერიოდში. შეიძლება ითქვას რომ, ვარიაციის კოეფიციენტი 10%-ის ზემოთ, უკვე საყურადღებოა.

1.4. საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა

ფინანსური ანალიზი, ისევე როგორც საერთოდ საწარმოს ეკონომიკური ანალიზი, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და მის ფინანსურ შედეგებს შესაბამისი ეკონომიკური მაჩვენებლების მეშვეობით შეისწავლის.

ეკონომიკური მაჩვენებელი არის ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის შედეგის რიცხვითი მახასიათებელი, რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეთა ურთიერთკავშირში.

ეკონომიკურ მაჩვენებელში ურთიერთშერწყმულია არითმეტიკული რიცხვი და გარკვეული საფინანსო-ეკონომიკური შინაარსი. ეკონომიკური მაჩვენებელი არასოდეს არაა წმინდა არითმეტიკული რიცხვი. ასე მაგალითად, მიმდინარე წელს საწარმომ გამოუშვა 240 ტონა პროდუქტი. იმავე წელს მიღებული იქნა 50 ათასი ლარი მოგება და ა.შ. პირველი რიცხვის – 240-ის ეკონომიკური შინაარსი არის პროდუქტის რაოდენობა, 50000-ის ეკონომიკური შინაარსი არის – მოგება და ა.შ.

მაშასადამე, ეკონომიკურ რიცხვებს, ყოველთვის სათანადო შინაარსი გააჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „მაჩვენებელი“ ვერ იქნება. სწორედ ამ შინაარსის გამო, ეკონომიკურ მაჩვენებლებს თვისებები (შინაარსი) გააჩნიათ, რომელთა შესწავლით შეიძლება მეტად საინტერესო ტენდენციების გამოვლენა, მომავლის განჭვრეტა და გადაწყვეტილებების მიღება.

ეკონომიკური მაჩვენებელი შეიძლება იყოს რაოდენობრივი ან ღირებულებითი.

რაოდენობრივი მაჩვენებლები ეკონომიკურ მოვლენებს ზომავენ ნატურალურ ერთეულებში. მაგალითად: ცალებში, კილოგრამებში, საათებში და ა.შ.

ღირებულებითი მაჩვენებლები ამა თუ იმ ეკონომიკურ მოვლენებს ფულად-ღირებულებით ფორმაში ახასიათებენ. ღირებულებითი მაჩვენებლები საშუალებას იძლევა განზოგადებული სახით შესწავლილ იქნეს, როგორც მთლიანად საწარმოს, ისე ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციები.

როგორც რაოდენობრივი, ისე ღირებულებითი ეკონომიკური მაჩვენებლები თავის მხრივ შეიძლება იყოს აბსოლუტური ან ფარდობითი სახის.

აბსოლუტური მაჩვენებლები ეკონომიკურ მოვლენებსა და მათ შედეგებს რაოდენობრიობაში ანუ მოცულობაში ახასიათებენ. მაგალითად, წლის განმავლობაში საწარმოში დაიხარჯა 40 ათასი ტონა ნედლეული, გამოშვებულია 80 ათასი ლარის მზა პროდუქცია, მიღებულია 20 ათასი ლარი მოგება, ძირითად საშუალებებში ავანსირებულია 50 ათასი ლარი და ა.შ.

ფარდობითი მაჩვენებლები ასახავენ რაიმე თვისობრიობის დონეს. იგი მიიღება რომელიმე აბსოლუტური მაჩვენებლების შეფარდებით. მაგალითად, ნედლეულის ხარჯვის დონე პროდუქტის ერთეულზე (დახარჯული მასალების რაოდენობა შეფარდებული გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასთან), ფონდუკუგება (გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შეფარდებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან), მოგების ნორმა (მოგება შეფარდებული შემოსავალთან) და ა.შ.

განზოგადების ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ზოგად ანუ სინთეზურ და კერძო ანუ (დეტალურ) ანალიზურ მაჩვენებლებს.

ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლები მთელი საწარმოს მასშტაბით ახასიათებენ საწარმოს საქმიანობის ამა თუ იმ შედეგს. მაგალითად, მოგება შეფარდებული მატერიალური აქტივების ჯამთან, არის მომგებიანობის საერთო ანუ ზოგადი მაჩვენებელი. მაგრამ შეიძლება გამოთვლილ იქნეს მომგებიანობის უამრავი კერძო მაჩვენებელი: მოგება შეფარდებული გრძელვადიან აქტივებთან, ან ძირითად საშუალებებთან, ან დანახარჯებთან და ასე შემდეგ. ამრიგად, კერძო მაჩვენებლები დეტალიზაციის ნებისმიერ დონეზე შეიძლება გამოითვალოს.

მეცნიერ-ეკონომისტები აგრეთვე თვლიან რომ შეიძლება არსებობდეს საწარმოს ეფექტიანობის დონის შეფასების ერთი **უზოგადესი ანუ განმაზოგადებელი მაჩვენებელი**, რომელშიც საწარმოს ყველა სახის რესურსის გამოყენების ხარისხი და საქმიანობის ყველა მხარე ერთობლივად ანუ კომპლექსურად არის ასახული. ასეთი შეიძლება იყოს მოგების ფარდობა აქტივების ჯამთან.

ჩვენი აზრით, აგრეთვე კარგი იქნება თუკი საწარმოს ფინანსური კოეფიციენტების **კლასიფიკაცია მოხდება ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოკიდებულების მიხედვით**.

ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება გამოიყოს ინდივიდუალური და კომბინირებული მაჩვენებლები.

ფინანსური ანგარიშგების ინდივიდუალურ მაჩვენებელს ვუწოდებთ იმ მაჩვენებლებს, რომელთა გამოთვლა ფინანსური ანგარიშგების მხოლოდ რომელიმე ერთი კომპონენტის ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია. მაგალითად, **ბუღალტრული ბალანსის ინდივიდუალური ანუ საკუთარი კოეფიციენტებია** სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, საკუთარი საბრუნავი სახსრები, საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტები და ა.შ.

კომბინირებულ მაჩვენებლებს ვუწოდებთ ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა გამოსათვლელად ფინანსური ანგარიშგების რამდენიმე კომპონენტის ინფორმაციაა საჭირო. ასე მაგალითად: აქტივების ბრუნვადობის და მომგებიანობის მაჩვენებლები, მათ გამოსათვლელად საჭიროა ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია; პროცენტის დაფარვის კოეფიციეტი, რომელიც მოგება/ზარალისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება და ა.შ.

ეკონომიკური მაჩვენებლები აგრეთვე შეიძლება იყოს გეგმური (ანუ პროგნოზული) და ფაქტობრივი. **გეგმური ეკონომიკური მაჩვენებლები** არის საწარმოს ბიზნეს-გეგმით წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივი (სამომავლო) მაჩვენებლები. **ფაქტობრივი მაჩვენებლები** კი მიიღება საწარმოს ფაქტიური საქმიანობის შედეგად, როცა სამოქმედო პერიოდი (თვე ან წელი) უკვე გასულია.

საწარმოს საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას მეცნიერ-ეკონომისტები ექვს ძირითად ტიპად აჯგუფებენ. ესენია:

I. **ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები**. – ისინი ახასიათებენ საწარმოს ქონების სტრუქტურას, წმინდა აქტივების და საკუთარი საბრუნავი სახსრების მოცულობას, ძირითადი საშუალებების ასაკობრივ მდგომარეობას და მათი დაფინანსების მდგომარეობას.

II. **ლიკვიდურობის მაჩვენებლები** – ახასიათებენ საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს. ეს მაჩვენებლები ყველაზე ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა, ვინაიდან ისინი ზომავენ საწარმოს უნარს, შეუძლია თუ არა მას დარჩეს ბიზნესში;

III. **ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები** – ისინი ახასიათებენ საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფას, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობას და საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს;

IV. **საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები** – ისინი ახასიათებენ აქვს თუ არა საწარმოს მოგება და როგორია ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის სიჩქარე;

V. **მომგებიანობის შეფასების მაჩვენებლები** – ისინი ახასიათებენ გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის დონეს. ეს მაჩვენებლები წარმოადგენენ საწარმოს მართვის ხარისხის მკაცრ ინდიკატორებს, თუ რამდენად კარგად იყენებს მმართველობა კომპანიის რესურსებს.

VI. **ინვესტიციების შეფასების მაჩვენებლები** – ისინი ახასიათებენ საწარმოს მდგომარეობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, თუ რამდენად საინტერესოა იგი ინვესტორისათვის.

ძირითადი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემა შემდეგია:

I. ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები

1. წმინდა აქტივების ღირებულება = აქტივები – ვალდებულებები

2. აქტივების სტრუქტურის მაჩვენებლები ანუ თითოეული სახის აქტივის პროცენტული წილი აქტივების საერთო ჯამის მიმართ.

3. წმინდა მიმდინარე აქტივი = (საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები) – გრძელვადიანი აქტივები
   (ან მიმდინარე აქტივებს – მიმდინარე ვალდებულებები)

4. საკუთარი საბრუნავი სახსრები = წმინდა მიმდინარე აქტივები – მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი სესხი

4. საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მიმდინარე აქტივებში = საკუთარი საბრუნავი სახსრები შეფარდებული მიმდინარე აქტივების ჯამთან.

5. **ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტი** = $\frac{\text{დაგროვილი ცვეთის თანხა}}{\text{ძირითადი საშუალებები პირვანდელი ღირებულებით}}$

6. **ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი** = $\frac{\text{ახლად შეძენილი ძირ. საშ. პირვანდელი ღირებულებით}}{\text{წლის ბოლოს არსებული ძირ. საშ. პირვ. ღირებულებით}}$

II. ლიკვიდურობის მაჩვენებლები

1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = $\frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$

2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი = $\frac{\text{ფულადი საშუალებები + მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$

3. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი = $\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$

4. საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი = $\frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}$

5. ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი = $\frac{\text{ფული + ფასიანი ქაღალდები + დებიტორები}}{\text{საშუალო დღიური ხარჯი}}$

6. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი = (საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული – – მოგების გადასახადი) / წლიური საპროცენტო ხარჯი

III. ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები

1. მარაგის დაფარვის კოეფიციენტი = დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები / მატერიალური მარაგები + წინასწარ გაწეული ხარჯები

2. საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / მოზიდული კაპიტალი (ვალდებულებები)

3. მოზიდული და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი = ვალდებულებები / საკუთარი კაპიტიალი

4. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი = მთელი აქტივების ჯამი / საკუთარი კაპიტალი

5. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი = საკუთარი საბრუნავი სახსრები / საკუთარი კაპიტალი

6. მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = ვალდებულებები / აქტივები

7. გრძელვადიანი ვალდებ. კონცენტრაციის კოეფიციენტი = გრძელვადიანი ვალდებულებები / გრძელვადიანი აქტივები

8. ნასესხები სახსრების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი = გრძელვადიანი ვალდებულებები / გრძელვად.ვალდებ. + საკუთარი კაპიტალი

9. მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი = გრძელვადიანი ვალდებულებები / ვალდებულებები

10. საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივებთან = საკუთარი კაპიტალი – პრივილეგ. საკ. კაპ. / წმინდა აქტივები

11. პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი = მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე / საპროცენტო თანხა

IV. ბიზნესის საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები

ა). აბსოლუტური მაჩვენებლები

1. მოგება დაგეგვრამდე = შემოსავალს – ხარჯები
2. წმინდა მოგება = მოგება დაბეგვრამდე – მოგების გადასახადი
3. გაუნაწილებელი მოგება = წმინდა მოგებას – გასაცემი დივიდენდები – რეზერვები
4. ფინანსური სიჭარბე = წმინდა მოგება + წლიური ამორტიზაცია
5. ზღვრული მოგება = შემოსავლებს – ცვლადი ხარჯები

ბ) ფარდობითი მაჩვენებლები

6. საბრუნავი სახსრების ბრუნვის ხანგრძლიობა დღეებში = $\frac{\text{მიმდინარე აქტივები} * 365 \text{ დღე}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$
7. საბრუნავი სახსრების ბრუნვის რიცხვი = $\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივები}}$
8. საბრუნავი სახსრების დამაგრების კოეფიციენტი = $\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$
9. საწარმოო მარაგის ბრუნვის რიცხვი = $\frac{\text{რეალიზაციის თვითღირებულება}}{\text{მარაგების საშუალო წლიური ნაშთი}}$
10. დებიტორული დავალიანებების ბრუნვის რიცხვი = $\frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{საშუალო დებიტორული დავალიანებები}}$
11. კრედიტორული დავალიანებების ბრუნვის რიცხვი = $\frac{\text{შესყიდვები}}{\text{მოწოდებიდან ვალდებულებების საშუალო წლიური ნაშთი}}$
12. ფინანსური ციკლის პერიოდი = $\frac{365}{\text{მარაგების ბრუნვის რიცხვი}} + \frac{365}{\text{დებიტორული დავალიანებების ბრუნვის რიცხვი}} + \frac{365}{\text{კრედიტორული დავალიანებების ბრუნვის რიცხვი}}$
12. ძირითადი კაპიტალის ბრუნვადობა = $\frac{\text{წლიური ცვეთის თანხა}}{\text{ძირითადი საშუალებები პირვანდელი ღირებულებით}}$
13. ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის კოეფიციენტი = $\frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$

14. მზა პროდუქციის ბრუნვის რიცხვი = რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება / მზა პროდუქციის საშუალო წლიური ნაშთი

V. მომგებიანობის მაჩვენებლები

1. მოგების ნორმა (მარჟა) = მოგება რეალიზაციიდან * 100% / ამონაგები რეალიზაციიდან

2. ფასნამატი = მოგება რეალიზაციიდან * 100% / რეალიზაციის სრული თვითღირებულება

3. პროდუქციის რენტაბელობა (მომგებიანობა) = მოგება დაბეგვრამდე * 100% / ამონაგები რეალიზაციიდან

4. ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობა (მომგებიანობა) (საერთო რენტაბელობა) = მოგება დაბეგვრამდე * 100% / აქტივების ჯამი

5. საკუთარი კაპიტალის მომგებიანობა = მოგება დაბეგვრის შემდეგ * 100% / საკუთარი კაპიტალი

6. საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი = საკუთარი კაპიტალი / მოგება დაბეგვრის შემდეგ

7. კაპიტალის უკუგება (ROCE) = მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე (EBIT) * 100% / საკუთარი კაპიტალი + გრძლევადიანი ვალდებულებები

8. მოგება 1 დასაქმებულზე = მოგება დაბეგვრამდე / დასაქმებულთა რიცხვი

VI. ინვესტიციების შეფასების მაჩვენებლები

1. უკუგება ინვესტიციაზე (ROI) = წლიური მოგება / გამოყენებული კაპიტალი (ძირ.საშ. + საწ.მარაგები)

2. შემოსავალი ერთ აქციაზე = წმინდა მოგება – პრივილეგირებული აქციების დივიდენდი / ჩვეულებრივი აქციების რიცხვი

3. ერთი აქციის ფასის კოეფიც. = ერთი აქციის საბაზრო ფასი / შემოსავალი ერთ აქციაზე

4. აქციის მომგებიანობის კოეფიციენტი = შემოსავალი ერთ აქციაზე * 100% / ერთი აქციის საბაზრო ფასი

5. დივიდენდი ერთ აქციაზე = ჩვეულებრივ აქციებზე გამოყოფილი მოგება / ჩვეულებრივი აქციების რიცხვი

6. დივიდენდის უზრუნველყოფა = წმინდა მოგება – დივიდენდი პრივილეგირებულ აქციებზე / ჩვეულებრივი აქციების დივიდენდი

7. შემოსავალი დივიდენდიდან = დივიდენდი ერთ აქციაზე / ერთი აქციის საბაზრო ფასი

8. აქციის კონვერტირების (კოტირების) კოეფიციენტი = ერთი აქციის საბაზრო ფასი / ერთი აქციის ნომინალური ღირებულება

ასეთია საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებელების ძირითადი ნუსხა. ჩამოთვლილ მაჩვენებლებს შეიძლება კიდევ უამრავი კოეფიციენტი დაემატოს და შეიძლება რამდენიმე ასეული კოეფიციენტი მივიღოთ დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხით. ეს ანალიტიკოსის მიზნებზეა დამოკიდებული. მოტანილი კოეფიციენტების ანალიზის მეთოდიკა შესაბამის თავებში იქნება განხილული.

ზოგიერთი ეკონომისტი (საბრემენიემი, სთივენ ბრეჯი და სხვა) საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს **ხუთ ჯგუფად ყოფს:**

1. ლიკვიდურობის კოეფიციენტები – იგი ყველაზე ფუნდამენტალური მნიშვნელობის კოეფიციენტების ჯგუფია, ვინაიდან ისინი ზომავენ კომანიის უნარს დარჩეს ბიზნესში; მათ მიეკუთვნება:

ფულით დაფარვის კოეფიციენტი (Cash coverage ratio) – აჩვენებს არსებული ფულის სიდიდეს გადასახდელ პროცენტზე.

მიმდინარე კოეფიციენტი (Current ratio) – ზომავს, მიმიდნარე აქტივები რამდენად ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს.

სწრაფი ლიკვიდურობა (Quick ratio) – ფულადი თანხების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან.

ლიკვიდურობის ინდექსი (Liquidity index) – ზომავს დროს, რომელიც აუცილებელია აქტივების ფულად გადასაქცევად.

2. ბიზნესის აქტიურობის კოეფიციენტები (Activity ratios) – ეს კოეფიციენტები წარმოადგენენ მენეჯმენტის მართვის ხარისხის ძლიერ ინდიკატორებს. ისინი აჩვენებენ რამდენად კარგად იყენებს მენეჯმენტი საწარმოს რესურსებს. ესენია:

კრედიტორული დავალიანებებისა და მოთხოვნების ბრუნვადობის კოეფიციენტები (Accounts payable turnover ratio and Account receivable turnver ratio).

ძირითადი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Fixed asset turnover ratio) – ზომავს შემოსავლების ფარდობას ძირითად საშუალებებთან;

საქონლური მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Inventory turnover ratio) – მარაგების მოცულობა, რომელიც აუცილებელია სათანადო რეალიზაცის უზრუნველსაყოფად.

გაყიდვების ფარდობა საბრუნავ კაპიტალთან (Sales to working capital ratio) – აჩვენებს საბრუნავი კაპიტალის მოცულობა, რომელიც აუცილებელია მოცმეული შმეოსავლების უზრინველსაყოფა.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი (Working capital turnover ratio) – ზომავს კომპანიის უნარს საბრუანვი კაპიტალის გარკვეული ბაზის საფუძველზე შემნას შემოსავები.

3. ლევერიჯის კოეფიციენტები (Leverage ratios) – ეს კოეფიციენტები ახასიათებენ საწარმო რა ხარისხით იყენებს სესხებს თავის საქმიანობაში და ამ სესხების დაფარვის უნარს. ესენია:

ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან (Debt to equity ratio) – აცVენებს, თუ სწარმოს მმარტველობა რა ხარისხით აფინანსებს თავის ოპერაციბს ვალდებულებებით.

ვალების დაფარვის კოეფიციენტი (Debt service coverage ratio) – ახასიათებს კომპანიის შესაძლებლობას, გადაიხადოს მისი სასესხო ვადებულებები.

მუდმივი ხარჯების დაფარვის კოეფიციენტი (Fixed charge coverage) – აჩვენებს საწარმოს უანარს დაფაროს მუდმვი ხარჯები.

4. **მომგებიანობის კოეფიციენტები (Profitability ratios) –** ეს კოეფიციენტები ზომავენ წარმოება რამდენად არის მომგებიანი. ესენია:

წაუგებლობის წერტილი (Breakeven point) – აჩვენებს შემოსავლების დონეს, როდესა კომპანიას არა აქვს არც მოგება და არც ზარალი.

უსაფრთხოების დაიაპაზონი (Margin of safety) – აჩვენებს რამდენად შეიძლება დაეცეს რეალიზაცია, სანამ კომაპნია წონსწორობის წერტილს მიაღწევს.

წლიური მოგების ფარდობა აქტივებთან და ა.შ.

5. კაპიტალის ღირებულების (შეფასების) კოეფიციენტები – ისინი გამოიყენება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შეფასებისათვის და ანალიტიკოსები იყენებენ იმის შეფასებისთვის, თუ როგორი პოზიცია უკავა კომპანიას საფონდო ბირჟაზე. ამ მაჩვენებლებს მიეკუთვნება შემოსავლი ერთ აქციაზე, დივიდენდი ერთ აქციაზე და სხვა.

აშშ სასწავლო სატრეინინგო პროგრამით, საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების ცამეტი ჯგუფია გამოყოფილი. ესენია:

1. აქტიურობის კოეფიციენტები (Activity Ratios) – აქ შეტანილია ბრუნვადობის მაჩვენებლები;
2. ლიკვიდურობის კოეფიციენტები (Licuidity Ratios)– აქ შეტანილია ლიკვიდურობის კოფიციენტები, ფულადი თავდაცვის ინტერვალის და ფულის მოძრაობის ციკლის მაჩვენებლები;
3. გადახდისუნაიანობის კოეფიციენტები (Solvency Ratios) – ვალდებულებების და პროცენტების დაფარვის კოეფიციენტები;
4. მომგებიანობის კოეფიციენტები (Profitabiliti Ratios) – აქ მოცემულია მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები;
5. ფირმის თავისუფალი ფულადი ნაკადები (Free Cash flow to the Firm) – აქ შეტანილია თავისუფალი ფულის ნაკადის მოცულობითი მაჩვენებლები;

6. თავისუფალი ფულის ნაკადის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან (Free Cash flow to Equity) – აქ მოცემულია ფულადი ნაკადების სხვადასხვა ფარდობის კოეფიციენტები და დიუპონტის ფორმულები;
7. ვარიაციის კოეფიციენტები(Coefficients of Variation)–აქ მოცემულია გაყიდვების და წმინდა მოგების მაჩვენებლების ვარიაციის კოეფიციენტების გამოთვლა სტანდარტული გადახრის გამოყენებით
8. მატერიალური მარაგები (Inventories) – მოცემულია საქონლის საბოლოო ნაშთების გამოთვლის ფორმულები „ფიფო“ მეთოდით;
9. გრძელვადიანი აქტივები (Long-Lived Assets) –აქ მოცემულია გრძელვადიანი აქტივების ვადიანობის და ცვეთის კოეფიციენტები;
10. გადავადებული გადასახადები (Deferred Taxes) – აქ მოცემულია მხოლოდ ერთი მოცულობითი მაჩვენებელი, როგორიცაა მოგების გადასახადის ხარჯი;
11. დებიტორული ვალები (Debt liabilities) – ერთი მაჩვენებელია მოცემული;
12. შესრულების კოეფიციენტები (Performance Ratios) – აქ შეტანილია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულის ფარდობის კოეფიციენტები აქტივებთან, შემოსავლებთან და სხვა;
13. დაფარვის კოეფიციენტები (Coverage Ratios) –აქ მოცემულია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულის ფარდობის კოეფიციენტები როგორც მთლიან ვალებთან, ასევე საპროცენტო გადასახადებთან და გასაცემ დივიდენდებთან ცალ-ცალკე.

მოკლედ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაჩვენებელთა სისტემის ჯგუფების რაოდენობის განსხვავების მიუხედავად, ყველა კლასიფიკაციაში ძირითადად ერთი და იგივე მაჩვენებლებია განხილული.

1.5. ფინანსური ანალიზის ინფორმაციული ბაზა და ანალიზის ჩატარების ეტაპები

საწარმოს ეკონომიკური ანალიზი ახდენს შიგა ეკონომიკურ ინფორმაციის ანალიზს დეტალიზაციის ნებისმიერ დონეზე, ვიდრე ფინანსური ანალიზი. ეკონომიკური ანალიზი გარდა მომგებიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ზოგადი ანალიზის საკითხებისა, მოიცავს წარმოების დანახარჯების, ცალკეული სახის რესურსების, ტექნიკის, ტექნოლოგიების, შრომის და ინტელექტუალური რესურსების გამოყენების მაჩვენებლების ანალიზს, რაც მრავალმხრივი შიგა ინფორმაციის დამუშავებას მოითხოვს. ხოლო, ფინანსური ანალიზი შეისწავლის საწარმოს საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას და ფულადი რესურსების გამომუშავების ეფექტს. იკვლევს მისი გადახდისუნარიანობის, ფინანსური უსაფრთხოების ხარისხს. იხილავს საწარმოს მომგებიანობის, ინვესტიციების ალტერნატიული პროექტების შეფასების, ფინანსური რისკების მართვის და პროგნოზირების საკითხებს.

თვით ტერმინი „ფინანსური ანალიზი“ აჩვენებს მის მთავრა მიმართულებას. იგი იკვლევს საწარმოს ფინანსებს, მის ფინანსურ პოზიციებს, აქტივებისა და დაფინასნების წყაროების თანაფარდობის ხარისხს. **იგი არის ეკონომიკური ანალიზის დარგი**, რომელიც იკვლევს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების მომხდარ გავლენებს, რათა მოხდეს ფინანსური სტრატეგიის პროგნოზირება.

საწარმოს ფინანსური ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს და გამოავლინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, ფინანსური სტაბილურობის და მომგებიანობის ამაღლების ფარული შესაძლებლობები ანუ რეზერვები და ფინანსური რისკების შერბილების მიმართულებები

რეზერვები ანუ ფარული შესაძლებლობები შეიძლება იყოს შიდა ან გარე ხასიათის. შიდა რეზერვები დამოკიდებულია თვით საწარმოს მუშაობისა და მართვის ხარისხზე. გარეშე რეზერვები კი დამოკიდებული არ არის საწარმოს მუშაობაზე. ისინი შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე არსებული პირობების, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის, საგადასახადო პოლიტიკის, საბანკო კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით და სხვა მსგავსი მოქმედებების შედეგად.

ფინანსური ანალიზის მიზნებს ანალიტიკოსის ინტერესები უდევს საფუძვლად. კონკურენციის პირობებში ყოველი საწარმო, ბანკი, ინვესტორი და ა.შ. დაინტერესებულია თავისი მომავალი პარტნიორის ფინანსური მდგომარეობა იცოდეს, რათა შეამციროს რისკების ხარისხი. ამ შემთხვევაში ფინანსური ანალიზის მიზანია არსებული ან პოტენციური პარტნიორის ფინანსური სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლეზე.

ხოლო, თუ საწარმოს **ფინანსურ მენეჯერს სურს ხელმძღვანელობას მიაწოდოს დასკვნ**ები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მაშინ ფინანსური ანალიზის მიზანია არა მხოლოდ ფინანსური სტაბილურობის და მომგებიანობის შეფასება, არამედ, გადახრებზე მოქმედი ფაქტორების გაზომვა თანხობრივად და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება მათი დანრეგვის მიზნით. ამრიგად, **ფინანსური ანალიზის მიზნები შეიძლება ორგვარი ასპექტით ჩამოყალიბდეს:**

I. **ინფორმაციის გარე მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე** – შეაფასოს საწარმოს გადახდისუნარიანობა, ფინანსური უსაფრთხოება და მომგებიანობა;
II. **ინფორმაციის შიდა მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე** – არა მხოლოდ შეაფასოს, არამედ გამოავლინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები და განახორციელოს ისინი.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების დროს, ამა თუ იმ საწარმოს შეუფერხებელი და წარმატებული ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია მეწარმემ იცოდეს არა მხოლოდ საკუთარი კომპანიის, არამედ მისი პარტნიორების (კონტრაგენტების) ფინანსური მდგომარეობის სურათი. ზოგადად, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საწარმოს საკუთარი კაპიტალისა და

ვალდებულებების თანაფარდობის შედეგებთან დაკავშირებული ფინანსური პოზიციების კვლევაა.

ფინანსურ ანალიზის ამოცანებია:

1. ფინანსური ანგარიშგების პოზიციების შეფასება;
2. უზრუნველყოს დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება ფირმის საინვესტიციო პოლიტიკის დარგში;
3. საწარმოს გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის პერსპექტიული ცვლილ შეფასება რისკების მართვა;
4. საწარმოს დაფინანსების წყაროების გამოყენების ეფექტიანობის მართვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფინანსური ანალიზის თემატური მიზნებია:

- საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზური მიმოხილვა;
- საწარმოს დაფინანსების წყაროების სტრუქტურული შესწავლა;
- საწარმოს აქტივების შემადგენლობის ანალიზური შესწავლა;
- საწარმოს მომგებიანობის ანალიზი;
- საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შესწავლა;
- ავანსირებული ღირებულების ბრნვადობის დახასიათება;
- ფულადი ნაკადების ანალიზი;
- ფინანსური რისკების შეფასება;
- ფინანსური ინვესტიციების ანალიზი

ფინანსური ანალიზი შეიძლება იყოს შიდასაწარმოო ან საწარმოთაშორისო. შიდასაწარმოო ანალიზი მხოლოდ ერთი რომელიმე მოცემული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ატარებს. საწარმოთაშორისო ანალიზი კი ახდეს მსგავსი საწარმოების მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარებას, რაც დაინტერსებულ პირებს ეხმარება აირჩიონ უფრო მისაღები პარტნიორი ან გაითვალისწინონ არსებული მოწინავე გამოცდილებები.

ინფორმაციის გარე მომხმარებლები ფინანსურ ანალიზს ძირითადად გამოქვეყნებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე ატარებს, რათა შეაფასოს მოცემული საწარმოს გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა, რათა მიიღოს გადაწყვეტილება და ამა თუ იმ საწარმოსთან პარტნიორობის მიზანშეწონილობის შესახებ.

საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტის მიზანი კი მხოლოდ საწარმოს ფინანსური პოზიციების შეფასება არაა. მან უნდა შეიმუშაოს არსებული ფინანსური მდგომარების შემდგომი გაუმჯობესებისა და მოსალოდნელი რისკებისადმი გამძლეობის ღონისძიებათა სისტემა. ამ მიზნების მისაღწევად, მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საკმარისი არაა. მას აგრეთვე სხვა საინფორმაციო წყაროები ჭირდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთოდ ფინანსური ანალიზის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს სააღრიცხვო და არასააღრიცხვო ინფორმაცია; საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგება; შიდა და გარე აუდიტორული დასკვნები; ბიზნეს-გეგმა; საშუალო დარგობრივი მაჩვენებლები; მაღალი რეიტინგის მქონე კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები; დირექტორთა საბჭოსა და საერთო კრების გადაწყვეტილებები; დაკვირვების მასალები და სხვა.

ფინანსური ანგარიშგება არის საწრმოს ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საწარმოს საქმიანობის შედეგების ამსახველი და ურთიერეთდაკავშირებული აბსოლუტური (მოცულობითი) ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემა. ამ მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე შეიძლება ასობით კოეფიციენტის გამოთვლა, რომლებიც მრავალ საინტერესო კითხვაზე იძლევიან პასუხს. მაგალითად, საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივების ჯამთან, პასუხობს კითხვაზე, აქტივების რამდენი პროცენტია დაფინანსებული საკუთარი წყაროებით და ეს მაჩვენებელი გაიზარდა თუ შემცირდა წინა წლებთან შედარებით. მოგების ფარდობა აქტივების ჯამთან პასუხობს კთხვაზე, რამდენი პროცენტი მოგებაა მიღებული ყოველ ერთ ლარ აქტივზე და უმჯობესდება თუ არა ეს მაჩვენებელი და ა.შ.

ანგარიშგების ინფორმაციის გარე მომხამრებლები საწარმოს ფინანსურ ანალიზს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლეზე ატარებენ, რათა მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები მოცემულ კომპანიასთან მომავალი საქმიანი ურთიერთობების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. მაგრამ, ინფორმაციის შიდა მომხმარებლები, როგორიცაა დირექტორთა საბჭო და ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ანალიზის დროს არ კმაყოფილდება წლიური ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციით და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მხოლოდ შეფასებით. მენეჯმენტი დაინტერესებულია საწარმოს მომგებიანობის ამაღლებით და პერმანენტული ფინანსური სტაბილურობით. ამიტომ, იგი იკვლევს იმ გზებს და ღონისძიებებს, რომელთა შედეგად შესაძლებელი გახდება საწარმოს უფრო ეფექტიანი მუშაობა და მომგებიანობის დონის ზრდა. ამის მიღწვა „გადახრების“ ანალიზითაა შესაძლებელი. გეგმური დონიდან გადახრების დასადგენად კი საწარმოს ბიზნეს-გეგმის ინფორმაციაც არის საჭირო. ბიზნეს-გეგმა რათქმაუნდა საჯარო ინფორმაციას არ წარმოადგენს და გარეთ არ ქვეყნდება. მაგრამ, საწარმოს მენეჯმენტისთვის იგი ადვილად მისაწვდომია.

ბიზნეს გეგმა არის საწარმოს ოფიციალური განაცხადი საწარმოს ეკონომიკური მიზნების და ამ მიზნების მიღწევის გზების შესახებ. იგი არის საწარმოს მომავლის (3-5 წლის) წერილობითი აღწერილობა. დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს თუ განსაზღვრული რესურსებით რა უნდა აკეთოს საწარმომ და როგორ, რათა გაიზარდოს ბიზნესისი ქონება და მომგებიანობა. **ბ**იზნეს გეგმაში ასახულია ბიზნესის სტრატეგია და გეგმის სუსტი და ძლიერი მხარეები.

ბიზნეს გეგმის განაყოფებია:

1. **შესავალი (რეზიუმე)** – აქ მოკლედ (1 გვ) გადმოცემულია გეგმის მიზანი, საწარმოს აღწერა, მოზიდული ინვესტიციების მოცულობა, აღებული სესხების მოცულობა, წარმოების ეფექტიანობის ძირითადი გეგმური მაჩვენებლები;
2. **საწარმოს აღწერა** – აქ მოცემულია საწარმოს საქმიანობის ძირითადი სახეები და საწარმოს პროფილი; საწარმოს მიზანი და სამართლებრივი ფორმა; რამდენად სანდო არიან კლიენტები; გასაღების რეგიონები; ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მჩვენებლები წინა პერიოდისა და მომავლისათვის; მოკლედ ახსნილია საწარმოს განსხვავება სხვა საწარმოებისაგან;

3. **მარკეტინგული გეგმა** – აქ მოცემული პროდუქციის (ან მომსახურების) აღწერა. კერძოდ, პროდუქტების ფიზიკური დახასიათება, სამომხმარებლო ღირსებები, მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია მომხმარებლის ინტერესების მიხედვით;
4. **ბაზრისა და მარკეტინგული სტრატეგიის ანალიზი** – გადმოცემულია როგორია ბაზრის მოთხოვნა კომპანიის პროდუქციაზე და როგორ შეუძლია ბაზრის მოთხოვნების ცვლილებებზე რეაგირება. აგრეთვე მოცემულია პროდუქციის რეალიზაციის პროგნოზული მოცულობა და მარკეტინგული სტრატეგია: ფასწარმოქმნა, რეკლამა, გაყიდვების სტიმულირება;
5. **საწარმოო გეგმა** – აქ იგეგმება გამოსაშვები პროდუქციისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების, ტექნიკური აღჭურვილობების და შრომითი რესურსების რაოდენობა და ხარისხი. აგრეთვე მოცემულია პროდუქციის განახლების გეგმა, პროდუქციის დამზადების ოპერტიული კალენდარული გეგმები, წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის და მართვის ორგანიზაციის ამაღლების გეგმები, პერსონალის სოციალური განვითარების და გარემოს დაცვის ღონისძიებები.
6. **სამუშაოების შესრულების გრაფიკი** – აქ მოცემულია წარმოების უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაანგარიშებულია ცალკეული სახის მასალის გამოყენების ეფექტიანობა (გამოსავლიანობა) და მათი მოხმარების კალენდარული გრაფიკი, წარმოების ინფორმაციული და ნორმატიული მეთოდიკით უზრუნველყოფა;
7. **მართვა და ორგანიზაცია** – აქ წარმოდგენილია საწარმოს ორგანიზაციული სქემა, რომელიც აჩვენებს კომპანიის განყოფილებების ურთიერთკავშირებს და პასუხისმგებლობებს საწარმოს შიგნით. დამუშავებულია ბიზნეს-გეგმის შესრულების პროგრამა და სტრატეგიული მიზნების შესრულებაში მოულოდნელი შესაძლო ცვლილებების შემთხვევაში რეაგირების ღონისძიებები;
8. **ფინანსური გეგმა** – იგი უნდა შეესაბამებოდეს ბიზნეს გეგმის დანარჩენ განაყოფებს, რადგან მასში ფულად ფორმაში განზოგადებულია ბიზნეს გეგმის ყველა განაყოფის მაჩვენებლები. კერძოდ, მოცემულია მთლიანი რეალიზაციის მოცულობის პროგნოზი, ფასიანი ქაღალდების მართვის პროგნოზი, საწარმოს ფინანსური და ოპერატიული ბიუჯეტები, გეგმური ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალის ანგარიშგება და ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
9. **რისკების შეფასება** – გადმოცემულია მოსალოდნელი რისკების ანალიზი და რისკების შემცირების საშუალებები. დამუშავებულია რისკების მინიმიზაციის შიდა დაზღვევისა და გარე დაზღვევის მიმართულებები.

ბიზნეს გეგმის მაჩვენებლები გამოიყენება საწარმოს შიგა ანალიზში, ფაქტობრივი მაჩვენებლების გეგმურიდან გადახრების გამოვლენისა და ფაქტორული ანალიზის ჩატარების მიზნებისათვს.

საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გამოვლენის მიზნების მისაღწევად, საჭიროა **ანალიზის რამდენიმე ძირითადი საფეხურის გავლა. ესენია:**

I. მოსამზადებელი ეტაპი

II. ინფორმაციის ანალიზური დამუშავება

III. ანალიზის დასკვნები ან ინტერპრეტაციები და რეკომენდაციები

მოსამზადებელ ეტაპზე ხდება საანალიზო საწარმოს წარმოების თავისებურებების გაცნობა, ანალიზის გეგმის შედგენა და ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვება.

მოსამზადებელ ეტაპზე აუცილებელია თვით **ფინანსური ანგარიშგების შემოწმება ფორმალურად, არითმეტიკულად და არსებითად.** ფორმალური შემოწმების დროს ფინანსური ანგარიშგება მოწმდება გარეგნულად. კერძოდ, რამდენად სრულადაა ინფორმაცია მოცემული; შევსებულია თუ არა ყველა რეკვიზიტი; არის თუ არა საჭირო ხელმოწერები. არითმეტიკული შემოწმების დროს მოწმდება სწორად არის თუ არა გამოთვლილი ჯამები და სხვა არითმეტიკული მოქმედებები. არსებითი შემოწმების დროს მოწმდება დაცულია თუ არა ლოგიკური და შინაარსობრივი კავშირი ანგარიშგებაში მოცემულ მაჩვენებლებს შორის. მაგალითად, გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი მოგება/ზარალის ანგარიშგებასა და ბუღალტრულ ბალანსში ერთმანეთს ემთხვევა თუ არა; საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში მოცემული ნაშთები შეესაბამება თუ არა ბალანსს; დარიცხული და გადახდილი ხარჯების მაჩვენებლები შეესაბამება თუ არა ერთმანეთს მოგება/ზარალის, ფულადი ნაკადების და ბუღალტრული ბალანსის მონაცემების მიხედვით და ა.შ. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ არსებობს შეუსაბამობა ანგარიშგების მაჩვენებლებს შორის, იგი აუცილებლად უნდა შესწორდეს.

მოსამზადებელ ეტაპზე აგრეთვე შეისწავლება საწარმოს საქმიანობის თავისებურებები: რა სახის პროდუქტს ამზადებს (ან მომსახურებას) ეწევა, როგორია ტექნიკური და ტექნოლოგური თავისებურებეი, მართვის ორგანიზაცია და სტრუქტურული ერთეულები და სხვა.

მეორე ეტაპია ინფორმაციის ანალიზური დამუშავება. - ანალიზის გეგმის შესაბამისად მოხდება საანალიზო საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებების შესწავლა, რათა შეფასდეს განვლილ საანგარიშგებო წელს საწარმოს საქმიანობის პირობები; მოგროვილი და შემოწმებული ინფორმაციის დაჯგუფება, დახარისხება, ანალიზური დამუშავება და გადახრების გამოკვლევა. ამასთან, ანალიტიკოსმა უნდა შეადგინოს სხვადასხვა სამუშაო ცხრილები, სადაც თავს უყრის დიდძალ ინფორმაციას ეკონომიკური მაჩვენებელბის ცვლილებების ტენდენციების გამოსავლენად. ამ პროცესს: „ყველაფერი მოათავსე ცხრილში“, საერთაშორისო პრაქტიკაში ანალიზის ოქროს წესს უწოდებენ.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებით, საწარმოებმა ძირითადი ფარდობითი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა: მომგებიანობის, ლიკვიდურობის, ფონდუკუგების, შრომისნაყოფიერების, აქციების მომგებიანობა და სხვა ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებში უნდა გადმოსცენ. თუ საწარმოს სათანადო მაჩვენებლები ანგარიშგებაზე თანდართული არა აქვს, მაშინ ანალიტიკოსმა თავად უნდა გამოიანგარიშოს მისთვის საინტერესო კოეფიციენტები.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ფინანსურ ანგარიშგებას თან ახლავს რამდენიმე **შეზღუდულობა,** როგორიცაა:

1.ბუღალტრული ბალანსი და ანგარიშგების სხვა ფორმები (კომპონენტები) აფიქსირებენ საწარმოში უკვე მომხდარ სფინანსო-ეკონომიკური ოპერაციების შედეგებს, ამიტომ, ბუნებით ისტორიულია;

2.აქტივები, ვალდებულები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები ანგარიშგებაში ასახულია მოცემული მომენტისათვის (სტატუს-ქვო) და პასუხობს კითხაზე: გამოყენებული სააღრიცხვი პოლიტიკის თანახმად, რას წარმოადგენს საწარმო მოცემულ მომენტში. მაგრამ, არ პასუხობს კითხვაზე, რის შედეგადაა მიღწეული მოცემული მდგომარეობა. ამ კითხვას, ანგარიშგება ღრმა ანალიზის გარეშე ვერ პასუხობს;

3.ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციაზე დაყრდნობით მართალია მრავალი ფარდობითი ეკონომიკური მაჩვენებელი შეიძლება გამოითვალოს, მაგრამ, თუ არ მოხდება მათი, სხვა სათანადო მაჩვენებლებთან შედარება, ისინი უსარგებლონი ხდებიან. ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალის ანგარიშგება და ა.შ. ცალკე იზოლირებულად აღებული ვერცერთი ვერ დაეხმარება მეწარმეს ან სხვა დაინტერესებულ პირებს, სწორი არჩევანი ან გადაწყვეტილებები მიიღონ. ამიტომ, აუცილებელია მოცემული საწარმოს ფარდობითი ეკონომიკური მაჩვენებლები ბიზნეს-გეგმის, საშუალო დარგობრივ ან წარმატებული საწარმოს მაჩვენებლებს შეუდარონ.

4. ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია პირდაპირ ვერ პასუხობს კითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად საკმარისია ეს სახსრები საწარმოსათვის. ამისათვის აუცილებელია დაბანდებული სახსრების ბრუნვადობის მაჩვენებლების გამოთვლა და გეგმურ მაჩვენებლებთან შედარება;

ასე მაგალითად: დავუშვათ ორი სახვადასხვა საწარმოს ბალანსში მარაგების მუხლით ნაჩვენებია ერთი და იგივე რიცხვი – 20 მლნ ლარი. მასალების წლიური ბრუნვა ანუ მასალის წლიური ხარჯი ვთქვათ, პირველ საწარმოში არის 60 მლნ და მეორეში – 100 მლნ ლარი. მაშინ, პირველ საწარმოში მარაგად გააჩნიათ წლიური მოთხოვნის მესამედი (60/20) და მეორე საწარმოში კი მეხუთედი (100/20).მაშასადამე, პირველ საწარმოში, მასალების მარაგში ავანსირებული ფული წელიწადში სამჯერ შემობრუნდება, მეორეში კი ხუთჯერ. ე.ი. აქ ბრუნვადობა მაღალია და მას ნაკლები მარაგი ჭირდება. ასე რომ, პირველმა საწარმომ უნდა იზრუნოს მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარებაზე. ამრიგად, ფარდობითი მაჩვენებლების შედარების გარეშე ამ დასკვნების გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა.

5.ბუღალტრული ბალანსი ინფორმაციას იძლევა პერიოდის ბოლოსათვის, ხოლო წლის განმავლობაში როგორ იცვლება მისი მუხლები, ბალანსი ამას ვერ ასახავს.

6. ბუღალტრული ბალანსის ერთ-ერთი არსებითი ხასიათის შეზღუდულობაა აქტივების შეძენის ფასების გამოყენების პრინციპი. ინფლაციის პირობებში სხვდასხვა დროს შეძენილი მასალები და მოწყობილობები ღირებულების მიხედვით არაშესადარისნი ხდებიან. მაშასადამე, ისინი საწარმოს ფინანსურ შედეგებზე ზემოქმედებენ და საწარმოს „რეალური ფასის“ განსაზღვრა ძნელდება.

ამასთან, ბალანსი ვერ ასახავს იმ ღირებულებას, რომელსაც საწარმო რეალურად ფლობს. ამის მიზეზია შეფასების გამოყენებული სააღრიცხვო მეთოდები, ინფლაცია, ბაზრის კონიუნქტურა, რეპუტაცია, ავტორიტეტი და ა.შ. ამდენად, ბუღალტრული ბალანსი იძლევა საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სააღრიცხვო შეფასებას. ხოლო მათი მიმდინარე საბაზრო ღირებულება შესაძლოა განსხვავებული იყოს.

ამჟამად მიმდინარეობს დისკუსია იმის შესახებ, რომ პერიოდულად ხომარ შეფასდეს საწარმოს „იმიჯი“ და იგი ასახულ იქნეს საწარმოს ბალანსის აქტივში. ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებით, რადგან ეს გაზრდიდა ქონების გადასახადს. ამასთან, შეფასება ძალიან პირობითი იქნება.

7.გარდა ამისა, ეკონომისტები თვლიან, რომ ბალანსის ვალუტას (ჯამს) ხელოვნურად ზრდის საკუთარი კაპიტალის ფორმირების მეთოდიკა, რომლის მიხედვით, დამფუძნებლების მიერ ჯერ კიდევ შემოუტანელი სახსრები აღირიცხება აქტივში, როგორც მოთხოვნა და პასივში, როგორც საკუთარი კაპიტალი. ვინაიდან დამფუძნებლებს თავიანთი წილი საწარმოში ერთბაშად არ შემოაქვთ, ამიტომ შემოსატანი თანხების სრულად დაფარვამდე, ბალანსის ჯამი ხელოვნურად გაზრდილად გამოიყურება. აქედან გამომდინარე, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ანალიზის დროს, მართებული იქნება ეს სიდიდე საკუთარი კაპიტალის მოცულობიდან გამოირიცხოს.

8. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დონეზე, პერსპექტივებსა და ცვლილებებზე გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ფინანსური ხასიათის ფაქტორები, არამედ მრავალი სხვა ფაქტორიც, რომელთაც ღირებულებითი გამოსახულება არ გააჩნიათ. მაგალითად, საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები, დარგისა და საწარმოს ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებები, საკუთრების ფორმების ცვლა, მესაკუთრეთა შეცვლა, დასაქმებული კადრების პროფესიონალიზმი და ა.შ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფინანსური ანალიზი კომპლექსური ხასიათისაა, რომელიც როგორც დეტერმინირებულ (განსაზღვრულ) კრიტერიუმებს, ისე არაფორმალურ შეფასებებს იყენებს.

9. აღრიცხვისა და ანალიზისათვის მეტად აქტუალურია ანგარიშგების გარეგნული ფორმების (ცხრილური წარმოდგენის) უნიფიკაციის შესაძლებლობის და მიზანშეწონილობის საკითხი. წლიური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს საწარმოს საქმიანობის ამსახველ აგრეგირებულ (დაჯგუფებულ-გაერთიანებულ) მაჩვენებლებს. აუცილებელია რაიმე ოპტიმალური ზომის დადგენა. ანგარიშგებაში გამოქვეყნებული ინფორმაცია არც ძალიან მწირი და არც ძალიან მრავალრიცხოვანი არ უნდა იყოს. ერთიც და მეორეც ხელს უშლის იმფორმაციის მომხმარებლებს, საწრმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ძირითადი აზრი ჩამოაყალიბონ.

ფინანსური ანალიზის მეორე ეტაპზე აგრეთვე ხდება საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებების გამომწვევი ფაქტორების გამოკვლევა-გაზომვა. ეს გულისხმობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დადებითი და უარყოფითი მიზეზების გამოკვლევას და მოქმედი ფაქტორების გაზომვას. ანალიზი შეიძლება ჩატარდეს დეტალიზაციის ნებისმიერი ხარისხით.

ანალიზისათვის პირველ რიგში საჭიროა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული მაჩვენებლების ბუნებისა და მათ შორის არსებული კავშირების ცოდნა ფარდობითი მაჩვენებლების გამოსათვლელად. შემდეგ, ანალიტიკოსი აყალიბებს იმ მაჩენებელთა სისტემას, რომელთა ტენდენციების გამოვლენის შედეგად შეიძლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება. ამ მაჩვენებელთა ძირითადი სქემა შემდეგ საკითხშია გადმოცემული. ანალიზის დროს შეისწავლება როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მაჩვენებლები. დგება საჭირო ანალიზური ცხრილები და ტარდება ფაქტორული ეკონომიკური ანალიზი.

აგრეთვე, დახასიათება უნდა მიეცეს საწარმოს ფინანსური საქმიანობის საერთო მიმართულებას; გამოვლინდება საწარმოსათვის ყველაზე მტკივნეული მომენტები, როგორიცაა: ზარალი, ვადაგადაცილებული სესხები, დებიტორული და კრედიტორეული დავალიანებები და გაცემული თამასუქები; შეფასდება საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალი ქონებრივი მდგომარეობის დახასიათების მიზნით, რისთვისაც საჭიროა ბალანის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი; გაანალიზდება საწარმოს გადახდისუნარიანობა, ფინანსური სტაბილურობა, მომგებიანობა, ინვესტიციების ეფექტიანობა (მდგომარეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე); საწარმოს ადგილი დარგში.

ფინანსური ანალიზის მესამე, დასკვნით ეტაპზე ხდება ჩატარებული ანალიზის შედეგების საბოლოო გადამოწმება, დაზუსტება და ყოველივე ამის საფუძველზე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომგებიანობის ამაღლების წინადადებებისა ან რეკომენდაციების შემუშავება.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტი ანალიზის ეტაპებს სხვასხვაგვარად გამოჰყოფს. მაგალითად, ბერნშტაინი ანალიზის შემდეგ საფეხურებს იძლევა:

1. ფინანსური ანგარიშგების შედარება;
2. ტრენდების სერიები – ანუ მოვლენების შესწავლა რამდენიმე წლიან პერიოდში;
3. ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული ანალიზი;
4. კოეფიციენტების (ფარდობითი მაჩვენებლების) ანალიზი;
5. სპეციფიკური ანალიზი კერძო თემატიკის მიხედვით.

ამერიკელი მეცნიერები (ტ.პ.კატლინი და ა.რ.მაკმანი) ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შემდეგ საფეხურებს გამოყოფენ:

1. აუცილებელი ფინანსური ანგარიშგების გაცნობა და შემდეგ მათი ანალიზი;
2. ფაქტიური მონაცემების დინამიკური და სტრუქტურული შეფასება;
3. კოეფიციენტების ანალიზი ტენდენციების გამოსავლენად და შედარებითი, საწარმოთაშორისო ანალიზი;
4. ნაღდი ფულის ყოველთვიური მოძრაობის განხილვა;
5. ფირმის საქმიანობის შედეგების პროგნოზირება, ვალდებულებების დაფარვის შეფასების მიზნით.

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი ფრ. ბურდული კი ანალიზის შემდეგ ეტაპებს გამოყოფს:

1. საანალიზო ობიექტის და მიზნის გაცნობა;
2. იმფორმაციის მიღება;

3.ანალიზის ჩატარების გეგმის შედგენა;
4.ანალიზური ინფორმაციის არსებითი შემოწმება და ანალიზური ცხრილების შედგენა;
5.ინფორმაციის ანალიზური დამუშავება;
6.ანალიზის შედეგების გაფორმება და ანგარიშის შედგენა.

ხოლო, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის კლასიფიკაციით, ანალიზის ექვსი საფეხურია გამოყოფილი:

1. მიზნის კონსტანტირება და განსჯა (State the objective and contest) – განისაზღვრება რა კითხვებს უნდა უპასუხოს ანალიზმა, რა რესურსები და რა დროა საჭირო ანალიზის ჩასატარებლად;
2. მონაცემების თავმოყრა (Gather data) – კომპანიის ფინანსური ანგარიშგების და მის ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოპოვება. შეკითხვები კომპანიის მმართველობასთან, მომწოდებლებთან და შემკვეთებთან (მყიდველებთან). კომპანიის საიტების გაცნობა;
3. მონაცემების გადამუშავება (Process the data) –ფინანსური ანგარიშგების მოყვანა სათანადო წესრიგში, შიდა შეთანხმებულობის შემოწმება, კოეფიციენტების გამოთვლა. ექსპონატების (თვალსაჩინოებების) მომზადება, როგორიცაა: გრაფიკები და ნაერთი ბალანსები;
4. მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია (Analyse and interpret the data) – მონაცემების გამოყენება ანალიზის პირველ საფეხურზე დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. გადაწყდეს, რომელ დასკვნებს ან რეკომენდაციებს წარადგენს ანალიტიკოსი;
5. დასკვნების ან რეკომენდაციების ანგარიში (Report the conclusions or rekomendations) – ანგარიშისა და შეტყობინების (განაცხადების) მომზადება შესაბამისი აუდიტორიისათვის (საზოგადოებისათვის ან ადამიანთა ჯგუფისთვის);
6. ანალიზის შედეგების გადამოწმება და სრულყოფა (Updatte the analysis) – ანალიზის ყველა საფეხურის განმეორება და აუცილებლობის შემთხვევაში, დასკვნების ან რეკომენდაციების შეცვლა.

ამრიგად, თუ შედარებას მოვახდენთ, მიუხედავად ანალიზის ჩატარების საფეხურების რაოდენობისა, ყველა ავტორის თვალსაზრისი არსებით საკითხებში ერთმანეთს ემთხვევა. კერძოდ, ანალიტიკოსი კარგად უნდა იცნობდეს წლიური ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს, მათი შედგენის ტექნიკას, დანიშნულებას და მათ შორის არსებულ კავშირებს. თავისუფლად უნდა ფლობდეს ანალიზის ხერხებს ტრენდებისა და ფაქტორული ანალიზის ჩატარებისათვის და ანალიზის შედეგების საფუძველზე მოახდინოს საქმიანობის პროგნოზირება, დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება სწორედ იმიტომ მზადდება, რომ გაანალიზდეს, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე მისი სისტემური ანალიზის მეთოდიკა არ არსებობდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა აღრიცხვის ახალი მიმართულება – ბალანსმცოდნეობა. რომელიც სამი მიმართულებით განვითარდა: ბალანსის ეკონომიკური ანალიზი (ი.შერი, პ.გერსტნერი, ფ.ლაიტნერი,

ჰ.კონრადი და სხვ.); ბალანსის იურიდიული ანალიზი (რ.ბაიგელი, ე.რამელი, კ.პორციგი) და ბალანსის შესახებ ცოდნის პოპულარიზაცია (გუბერომი, ბროზიუ სომი, შენვადტომი და სხვები). რუსეთში ბალანსის ანალიზის ფუძემდებლად ითვლება ა.როსჩახოვსკი (1910 წ.), რომელიც იმავდროულად პირველ რუს ბუღალტრადაა მიჩნეული.

ფინანსურ ანალიზს კავშირი აქვს მრავალ სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან, როგორიცაა: მათემატიკა, მაკრო და მიკროეკონომიკა; ფინანსური აღრიცხვა, სტატისტიკა, მენეჯმენტი, მარკეტინგი.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა არის ეკონომიკური ანალიზის საგანი;
2. რა არი ფინანსური ანალიზის მიზანი;
3. რას მოიცავს საწარმოს საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა;
4. ჩამოთვალეთ ეკონომიკური ანალიზის სახეები;
5. ჩამოთვალეთ ფინანსური ანალიზის ჩატარების ეტაპები
6. რა არის ეკონომიკური მოვლენის ფაქტორი;
7. ჩამოთვალეთ ეკნომიკური ანალიზის ტრადიციული ხერხები;
8. რა მიზნით გამოიყენება ჯაჭვური ჩასმის ხერხი;
9. რას ახასიათებს საშუალო კვადრატული გადახრა;
10. რას ახასიათებს ვარიაციის კოეფიციენტი
11. რა მიზნით გამოიყენება ფასების ინდექსი

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. ფინანსური ანალიზის მიზანია:
   ა. ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი
   ბ. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვების გამოვლენა
   გ. ფინანსური კოეფიციენტების დინამიკური მწკრივები
2. ეკონომიკური ანალიზის საგანია:
   ა. საწარმოს ფინანსური რესურსების არსებობა და გამოყენება
   ბ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები
   გ. საწარმოს ფინანსური რესურსების გამოყენებისა და დაფინანსების წყაროების მაჩვენებლებში მომხდარი ცვლილებები.
3. ეკონომიკური მაჩვენებელი არის:
   ა. რაიმე ეკონომიკური მოვლენის შედეგის რიცხვითი მახასიათებელი რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეთა ურთიერთკავშირში
   ბ. საწარმოს ფინანსური შედეგების რაოდენობრივი კოეფიციენტი
   გ. კონკრეტული მოვლენის ხდომილებათა სიხშირე, მოვლენების საერთო სიმრავლეში
4. რომელი თვალსაზრისია სწორი:
   ა. რაოდენობრივი მაჩვენებელი ამა თუ იმ ეკონომიკურ მოვლენას ზომავს ფულად-ღირებულებით ერთეულებში
   ბ. რაოდენობრივი მაჩვენებლები ეკონომიკურ მოვლენებს აბსტრაქტულად ახასიათებენ
   გ. ღირებულებითი მაჩვენებლები ეკონომიკურ მოვლენებს ზომავენ ფულად ფორმაში

5. რომელი თვალსაზრისია მცდარი:
   ა. აბსოლუტური მაჩვენებლები ახასიათებენ რაიმე სახის რესურსის გამოყენების დონეს
   ბ. რაოდენობრივი მაჩვენებლები ეკონომიკურ მოვლენებს ზომავენ ნატურალურ ერთეულებში
   გ. ფარდობითი მაჩვენებლები ახასიათებენ რაიმე სახის რესურსის გამოყენების დონეს
6. მაჩვენებელი: ფულადი თანხები შეფარდებული ძირითად საშუალებებთანს, არის:
   ა. საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებელი
   ბ. საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი
   გ. არც ერთი პასუხი არაა სწორი
7. აქტივის ჯამის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან, ახასიათებს:
   ა. კომპანიის ფინანსურ დამოუკიდებლობას
   ბ. კომპანიის აქტივების გამოყენების ეფექტიანობას
   გ. კომპანიის ფინანსურ დამოკიდებულებას სხვა კომპანიებზე
8. ეკონომიკური ანლიზის მეთოდი არის:
   ა. აბსოლუტური სხვაობისა და ჯაჭვური ჩასმის ხერხი
   ბ. იმ ხერხების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება ანალიზის საგნის შესწავლის მიზნით
   გ. ზოგადი მოვლენების შესწავლიდან კერძო დასკვნების გამოტანა
9. ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოიყენება:
   ა. საანალიზო მაჩვენებლის გადახრაზე მოქმედი ფაქორების გავლენის გასაზომად
   ბ. საანალიზო მაჩვენებლის გადახრის გამოსათვლელად
   გ. საანალიზო მაჩვენებლის დინამიკური ცვლილებების გამოსაკვლევად
10. ინდექსი აჩვენებს:
    ა. დროის ერთი მომენტიდან მეორე მომენტამდე ეკონომიკური მაჩვენებლის ცვლილების ხარისხს
    ბ. კავშირს მიზეზსა და შედეგს შორის
    გ. საანალიზო მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორის გავლენას
11. სტრუქტურის კოეფიციენტი აჩვენებს:
    ა. საანალიზო მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორის გავლენას
    ბ. საანალიზო მაჩვენებლის ცვლილებას პერიოდში
    გ. ნაწილის ხვედრით წილს მთელის მიმართ
12. ერთი ცალი კომპიუტერის ფასი წინა წელს 870 ლარი იყო. მიმდინარე წელს 980 ლარამდე გაიზარდა. რას უდრის ინფლაციის ინდექსი:
    ა. 0,888
    ბ. 1,126
    გ. 1,011
13. ერთი ცალი მოსწავლის ჩანთა წინა წელს 18 ლარი ღირდა. მიმდინარე წელს კი 20 ლარი გახდა. რას უდრის დეფლაციის ინდესი:
    ა. 0,90
    ბ. 1,11
    გ. 1,00
14. ქვემოთ ჩამონათვალიდან, რომელია კორელაციის კოეფიციენტის დასაშვები მნიშვნელობა:
    ა. – 1,05
    ბ. + 1,3
    გ. 0
15. ორ ცვლადს შორის (x და y) კავშირის დასადგენათ გამოთვლილი კორელაციის კოეფიციენტი უდრის 0,54.
    ა. (y)-ის ცვლილების 54% პროცენტი გამოწვეულია (x) მაჩვენებლის ცვლილებით
    ბ. (x)-ის ცვლილების 54% გამოწვეულია (y)-ის ცვლილებით

გ. არცერთი პასუხი არაა სწორი

16. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, კორელაციის კოეფიციენტი აჩვენებს ორ ცვლადს შორის ყველაზე ძლიერ ურთიერთკავშირს:
    ა. + 0,7
    ბ. – 0,9
    გ. + 0,2
17. კომპანიის შეფასებით, მომდევნო წლის რეალიზაციიდან ამონაგები შეიძლება იყოს: 98000 ლარი (ალბათობა 0,4), ან 106000 (ალბათობა 0,5) ან 150000 (ალბათობა 0,1).
    რეალიზაციის რა მოცულობა უნდა გაითვალისწინოს კომპანიამ მომავალი წლის პროგნოზში:
    ა. 92 200 ლ
    ბ. 118 000 ლ
    გ. 107 200 ლ
18. ერთ-ერთი საანალიზო მაჩვენებლის მიხედვით გამოთვლილი საშუალო კვადრატული გადახრაა 0,8547 ლარი. საშუალო არითმეტიკული არის 1,09.
    რას უდრის ვარიაციის კოეფიციენტი:
    ა. 128 %
    ბ. 78 %
    გ. 58 %
19. ეკონომიკური მაჩვენებლის სასურველი გადახრა იწვევს:
    ა. მოსალოდნელი მოგების ზრდას
    ბ. მოსალოდნელი მოგების შემცირებას
    გ. საბალანსო წონასწორობის დარღვევას
20. ლიკვიდურობის კოეფიციენტები ახასიათებენ საწარმოს:
    ა. შრომის მწარმოებლურობას
    ბ. გადახდისუნარიანობას
    გ. მომგებიანობას

ამოცანა 1.1.

მოტანილია ინფორმაცია გამოშვებული წლიური პროდუქციისა და გამოყენებული შრომის შესახებ:

მაჩვენებლები	გეგმით	ფაქტიური	გადახრა
წელიწადში გამოშვებული პროდუქცია (ლარი)	840 000	947 700	+107 700
მუშების რიცხვი	40	45	+ 5
ერთი მუშის ნამუშევარი დღეები წელიწადში	100	104	+ 4
ერთი დღის ხანგრძლიობა საათებში	7	7,5	+ 0,5
ერთ საათში გამოშვებული პროდუქცია (ლარი)	30	27	– 3

მოთხოვნა:

გაზომეთ პროდუქციის გამოშვების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა ჯაჭვური ჩასმისა და აბსოლუტური გადახრის ხერხებით.

გამოიყენეთ შემდეგი ფაქტორული მოდელი:

პროდუქციის მოცულობა = მუშების რიცხვი * 1 მუშის ნამუშევარ დღ * დღის ხანგრძლიობა სთ * საათობრივი შრომისმწარმოებლურობა

ამოცანა 1.2.

მოცემულია ერთ-ერთი კომპანიის ძირითადი საშუალებების უკუგების მაჩვენებლები ათი წლის პერიოდში:

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ძირითადი საშ. უკუგება	40	46	50	57	52	62	60	54	59	63

მოთხოვნა: გამოთვალეთ საშუალო კვადრატული გადახრა, ვარიაციის კოეფიციენტი და გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები.

(საშუალო კვადრატული გადახრა) $\sigma = \sqrt{\sum x^2 / n - \bar{x}^2}$;

$$V \text{ (ვარიაციის კოეფიციენტი)} = \frac{\sigma * 100\ \%}{\bar{X}}$$

ამოცანა 1.3.

მოცემულია კომპანიის ყოველკვირეული გაყიდვები 52 კვირის განმავლობაში:

1. კვირეული გაყიდვები ათ.ლ	30	40	40	60	70	80	90	100
2. კვირეების რიცხვი	4	0	10	15	9	7	5	2

მოთხოვნა: გამოთვალეთ საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი. გამოიყენეთ საშ. კვადრატული გადახრის ფორმულა სიხშირული მწკრივებისათვის:

$$\sigma = \sqrt{\sum f (x - \bar{x}^2) / \sum f} \quad \text{ან,} \quad \sigma = \{ [\sum(f * x^2) / \sum f - [(\sum f * x) / \sum f)]^2 \}^{1/2}$$

ამოცანა 1.4.

ერთ-ერთ საინვესტიციო პროექტს აქვს შემდეგი სახის უკუგება და ალბათობები:

ალბათობა	უკუგება (ლ)
0,20	48600
0,15	(12000)
0,30	34600
0,42	25400

მოთხოვნა: გამოთვალეთ ინვესტიციიდან მისაღები მოსალოდნელი უკუგება.

ამოცანა 1.5.

ერთ-ერთი საწარმოს განვლილი ხუთი წლის ინფორმაცია შემდეგია:

წლები	**წლიური პროდუქცია ათას. ლ**	**შრომის-ნაყოფიერება ათას. ლ**
2008	25,4	0,1
2009	30,1	0,8
2010	28,0	0,6
2011	24,2	0,4

2012	30,3	0,8

მოთხოვნა: დაადგინეთ კორელაციური კავშირი მოცემულ მაჩვენებლებს შორის და განსაზღვრეთ დეტერმინაციის კოეფიციენტი.

ამოცანა 1.6.

AN34 მოდელის საბავშვო მანქანის გამოშვების და ერთეულის ფასების ინფორმაცია შემდეგია:

	ცალი	ერთეულის ფასი	გამოშვება მიმდინარე ფასებით
2014	234	46	10 764
2015	260	49	12 740
2026	260	54	14 040
2017	280	56	15 680

მოთხოვნა: პროდუქციის ყოველწლიური მოცულობა გადაიყვანეთ:

ა. საბაზისო 2014 წლის ფასში და გამოთვალეთ პროცენტული ზრდის ტემპი

ბ. მიმდინარე 2017 წლის ფასში და გამოთვალეთ პროცენტუი ზრდის ტემპი

გ. გააკეთეთ კომენტარი ზრდის ტემპების შესახე

ამოცანა 1.7.

AN34 მოდელის ერთი ცალი საბავშვო მანქანის ფასი წლების მიხედვით შეადგენდა:

	ცალებში	ფასი (ლ)
2014	234	46
2015	260	49
2016	260	54
2017	280	50

მოთხოვნა: გამოთვალეთ სათამაშო მანქანის ინფლაციის და დეფლაციის კოეფიციენტები

ამოცანა 1.8.

მოცემულია პროდუქციის მოცულობა მიმდინარე ფასებით, ინფლაციის და დეფლაციის კოეფიციენტები:

	ლარი	ინფლაციის კოეფიციენტი	დეფლაციის კოეფიციენტი
2014	10 764	1	1
2015	12 740	1,0652	0,9387
2016	14 040	1,1739	0,8518
2017	15 680	1,2173	0,8214

მოთხოვნა:

გადაიყვანეთ პროდუქციის მაჩვენებლები უცვლელ საბაზისო 2014 წლის ფასებში ორივე კოეფიციენტის გამოყენებით და გააკეთეთ კომენტარი.

თავი 2. ფინანსური ანგარიშგების მიზანი და ანალიზური მნიშვნელობა

სახელმძღვანელოში პირველ რიგში განხილულია საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა მისი გარე მომხმარებლების ამოცანებიდან გამომდინარე.

ინფორმაციის გარე მომხმარებლებს ანალიზის ჩატარების უფრო შეზღუდული მიზნები აქვთ, ვიდრე საწარმოთა ფინანსურ მენეჯმენტს. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების მიზნებში არ შედის ამა თუ იმ საწარმოს ფინანსური სტაბილურობისა თუ მომგებაინობის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება. ისინი მხოლოდ აფასებენ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხ, მისი გადახდისუნარიანობის უნარს, მოსალოდნელ რისკებს, რათა მიიღონ გადაწყვეტილება, დაიწყონ (ან გააგრძელონ) თუ არა საქმიანი ურთიერთობები მოცემულ საწარმოსთან.

საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტის მიზანი კი ფინანსური ანგარიშგების მხოლოდ შეფასება არაა. ისინი იკვლევენ არსებული შედეგების მიზეზებს და ამუშავებენ საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს, მათი დანერგვის მიზნით.

ამ თავში გადმოცემულია შემდეგი საკითხები:

- საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მიზანი, მომხმარებლები, ხარისხობრივი მახასიათებლები და ელემენტები;
- ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ანალიზის მიზანი და ამოცანები;
- ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები;
- კავშირი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის;

2.1. საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მიზანი, მომხმარებლები, ხარისხობრივი მახასიათებლები და ელემენტები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და საქართველოს მეწარმეთა კანონის მოთხოვნებით, ყველა საწარმო (იურიდიული პირი) ვალდებულია ჰქონდეს მოწესრიგებული ბუღალტერია და გამოაქვეყნოს წლიური ფინანსური ანგარიშგება.

დღეს, ეკონომიკური საქმიანობის სამყაროში მოქმედი ვერცერთი სუბიექტი ერთმანეთისაგან იზოლირებულად ვერ იმოქმედებს, რადგან ყველა ეკონომიკურ სუბიექტს უამრავი სახის საფინანსო-ეკნომიკური კავშირები ჭირდებათ ერთმანეთთან. ეს კავშირები თანამედროვე ეკონომიკაში უკვე იმდენად მჭიდრო და მრავალფეროვანია, რომ ნებისმიერი ტიპის კომპანიაში მომხდარი პოზიტიური თუ ნეგატიური მოვლენები ჯაჭვური რეაქციით მთელ ეკონომიკურ სისტემას გადაეცემა, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც კი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი გახდა აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების მომზადების ერთიანი მეთოდიკის გამოყენება მთელ მსოფლიოში. სწორედ ამ

მიზნით შეიქმნა ბუღალრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (1974 წ), რომლის ძირითადი მოვალეობაა აღრიცხვის მეთოდიკის და ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესების ჰარმონიზაცია საერთაშორისო მასშტაბით.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების სესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენებს, რათა დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ანგარიშგებაში აგრეთვე ჩანს, ხელმძღვანელობის მიერ, მასზე მინდობილი რესურსების მართვის უნარები და შედეგები.

2014 წლიდან ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) კონცეპტუალურ საფუძვლებში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები დაჯგუფებულია ორ კატეგორიად:

1. **ძირითადი მომხმარებლები** – ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები, რომელთა საინფორმაციო მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება;
2. **დანარჩენი მომხმარებლები**. ესენია, საწარმოს მმართველობა და საზოგადოება (იხ. სქემა 1).



სქემა 1. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების კლასიფიკაცია

გარეთ გამოსაქვეყნებელი საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია ძირითადი მომხმარებლების საინფორმაციო მოთხოვნებზე.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები ასევე დაყოფილია ორ ჯგუფად:

1. ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები და
2. ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობას.

სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები ადგენს ინფორმაციის ისეთ სახეებს, რომელიც სავარაუდოდ, ყველაზე მეტად სასარგებლოა არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის, გამსესხებლებისა და დანარჩენი კრედიტორებისათვის.

იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო იყოს, ის უნდა იყოს შესაბამისი და სამართლიანად წარმოაჩენდეს იმას, რისი ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა უფრო მაღლდება, თუ ის შესადარისია, შესაძლებელია მისი შემოწმება, დროულია და აღქმადი [2.ხმ 4].

ამრიგად, თუ ადრე „ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურულ საფუძვლებში“ ოთხი ტიპის ხარისხობრივი მახასიათებელი იყო გამოყოფილი (შესაბამისობა, შესადარისობა, საიმედოობა და აღქმადობა), ამჟამად შეტანილი ცვლილებების შედეგად - „კონცეპტუალურ საფუძვლებში“ ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები შემდეგნაირადაა კლასიფიცირებული:

I. ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები:

1. შესაბამისობა (Relevance)
2. სამართლიანი წარდგენა (Faithful Representation)

II. ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას:

1. შესადარისობა (comparability)
2. შემოწმებადობა (verifiability)
3. დროულობა (timeliness)
4. აღქმადობა (understandability)

ამრიგად, ერთ-ერთ ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლად „კონცეპტუალური საფუძვლები“ მიიჩნევს **შესაბმისობას**. შევნიშნავთ, რომ „შესაბამისობის“ ცნების შინაარსი ამჯერად არ ნიშნავას იმას, რაც ადრე იყო. რომ ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის ინტერესებს და მაშასადამე უნდა იყოს არსებითი. ადრე **არსებითობა** განიხილებოდა როგორც ინფორმაციის შესაბამისობის ასპექტი. ამჯერად იგი სტანდარტებზე მუშაობისას აღარ განიხილება, ვინაიდან ბასს-ის საბჭოს განმარტებით, ინფორმციის არსებობა კონკრეტული საწარმოს სპეციპიკური ასპექტია მისი ხასიათიდან და სიდიდიდან გამომდინარე. ამიტომ, საჭოს არ შეუძლია არსებითობისათვის დაადგინოს ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი ან, წინასწარ განსაზღვროს, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულსიტუაციაში [2. ხმ 11]. ამიტომ, იგი მართალია არის შესაბამისობის ასპექტი, მაგრამ საბჭო არ განიხილავს მას და ამით, არ მცირდება ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა.

ახალი თვალსაზრისით, ინფორმაციის შესაბამისობა ნიშნავას იმას, რომ იგი უნდა იყოს საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი.

შესაბამისი ინფორმაცია გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე, თუმცა ინფრომაციას მაშინაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე, თუკი მომხმარებელი გადაწყვეტს, რომ იგი არ გამოიყენოს. ამიტომ, აღნიშნულია, რომ **შესაბამისია ინფორმაცია, თუ მას გააჩნია საპროგნოზო და ან**

დამადასტურებელი თვისება, ან ორივე ერთად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე [2.ხმ 7].

ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება (ღირებულება), თუ მისი გამოყენება შეიძლება ამოსავალ ბაზად მომავალი შედეგების პროგნოზირებისათვის. ამისთვის აუცილებელი არაა ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს პროგნოზის სახით.

შესაბამის ინფორმაციას აგრეთვე გააჩნია შესადარისობის თვისებაც, თუ ის უზრუნველყოფს მტკიცებულებებ (დადასტურებას) ადრე გაკეთებულ შეფასებებზე [2. ხმ 9]. ინფორმაციას შეიძლება ერთდროულად გააჩნდეს საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისება. მაგალითად, ამონაგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი პროგნოზისათვის და ასევე შეიძლება შედარებულ იქნეს მიმდინარე წლის პროგნოზთან, რომელიც გამოთვლილი იყო წინა წელს. ამ შედარების შედეგები მომხმარებელს ეხმარება იმ მეთოდების გაუმჯობესებაში, რომელიც გამოყენებული იყო წინა წლების პროგნოზების გამოსათვლელად. მაშასადამე, აღარაა აუცილებელი შესადარისობის ძირითად მახასიათებლად გამოყოფა [2. ხხმ 10].

მეორე ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელია – სამართლიანი წარდგენა, ეკონომიკური მოვლენის ობიექტურად გამოსახვა, რომელიც მოიცავს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ადრე მიჩნეული იყო საიმედოობის ასპექტებად [2.დს3.24]. ამიტომ მან ჩაანაცვლა ტერმინი – საიმედოობა. ამასთან, "შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა" და წინდახედულობა (კონსერვატიზმი) „კონცეპტულური საფუძვლებიდან" ამოღებულია, ვიანიდან, სამართლიანი წარდგენა ნიშნავს, რომ ფინანსური ინფორმაცია ასახავს ეკონომიკური მოვლენის შინაარსს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას. ამასთან, წინდახედულობის პრინციპით ან კონსერვატიული მიდგომით მომზადებული ინფორმაცია ვერ იქნება ნეიტრალური, მითითებულია „კონცეპტუალურ საფუძვლებში" [2. ხმ 16).

ფინანსური ანგარიშგება, საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესახებ, წარმოდგენას გვიქმნის სიტყვებისა და ციფრების მეშვეობით. ეს ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, იგი სამართლიანად უნდა წარმოადგენდეს ამ ინფორმაციას. სამართლიანი წადგენა არა სამართლებრივ ფორმებს, არამედ ეკონომიკურ შინაარსს გულისხმობს.

ინფორმაციის სამართლიან წარდგენას სამი მახასიათებელი (ასპექტი) გააჩნია: უნდა იყოს სრულყოფილი, ნეიტრალური და არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს [2. ხმ 12].

1. **სრულყოფილება გულისხმობს** ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, რაც ნათელ წარმოდგენას შექმნის საწარმოს ეკონომიკური მოვლენების შესახებ;
2. **ნეიტრალური ასახვა** გულისხმობს ინფორმაციის წარდგენას მიუკერძოებლად, ტენდენციურობის გარეშე. იგი არ უნდა იყოს რაიმე წინასწარ განზრახული თვალსაზრისით მომზადებული;
3. **შეცდომების არარსებობა** არ ნიშნავს სიზუსტეს ყველა ასპექტში. სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს რომ ანგარიშგებაში არ არსებობს

შეცდომები ან არაფერი არაა გამოტოვებული. მაგარამ, იგი ობიექტურად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

ამრიგად, სასარგებლო ინფორმაცია უნდა იყოს როგორც შესაბამისი, ასევე სამართლიანად წარმოდგენილი ანუ ობიექტური. მომხმარებლებს გადაწყვეტილებების მიღებაში ვერ დაეხმარება ვერც სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია, რომელიც შეუსაბამო იქნება ეკონომიკური მოვლენებისადმი და ვერც არასამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია თუნდაც ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი [4.ხმ 17]. ამასთან, აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით საბჭომ ვერ დაადგინა რა საშუალებით უნდა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სამართლიანობის შეფასება.

ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების გამოყენება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

- დადგინდება ისეთი ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სასარგებლო იყოს ანგარიშგების მომხმარებლებისათვის;
- განისაზღვრება ამ ეკონომიკური მოვლენის შესახებ რა სახის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე შესაბამისი და შესაძლებელი იქნებოდა მისი სამართლიანი წარდგენა;
- დადგინდება, არსებობს თუ არა ეს ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი სამართლიანად წარდგენა.

ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფს, რომელიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, როგორც უკვე ვაჩვენეთ, **მიეკუთვნება: შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა.**

გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, რამდენიმე ალტერნატივიდან არჩევანის გაკეთებასთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით, უფრო სასარგებლოა, თუ საწარმოს ინფორმაციის შედარება შესაძლებელია სხვა საწარმოს ანალოგიურ ინფორმაციასთან. პოტენციური ინვესტორებისათვის სასარგებლოა სხვადასხვა საწარმოს მაჩვენებლების შედარება, რათა გადაწყვიტოს, რომელ საწარმოში უფრო მომგებიანია ინვესტიციის ჩადება.

შესადარისობა ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც განსხვავებულ (თუ სხვადასხვა) ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენისა და გააზრების საშუალებას იძლევა [ხმ 21].

შედარებისათვის აუცილებელია ორი მუხლის (ობიექტის) არსებობა. სხვადასხვა საწარმოების ინფორმაციის შესადარისობა მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდების გამოყენებით. შესადარისობის ხარისხი ეცემა, როცა ბუღალტრული აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდებია ნებადართული.

ამდენად, **შესადარისობა ნიშნავს** სხვადასხვა საწარმოს მიერ ან ერთი საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იმავე მუხლების მიმართ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებას [ხმ 22].

შესადარისობის განმარტებებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, გარკვეული ბუნდოვანი შინაარსის მატარებელია მუხლი „ხმ 23“, სადაც ვკითხულობთ: „შესადარისობა არ არის ერთგაროვნება. იმისათვის, რომ ინფორმაცია შესადარისი იყოს, მსგავსი საგნები ერთნაირად უნდა გამოიყურებოდეს. ხოლო, განსხვავებული საგნები – განსხვავებულად. ფინანსური ინფორმაციის შესადარისობა არ ამაღლდება, თუ განსხვავებული საგნები

წარმოდგენილი იქნება მსგავსად, ან პირიქით, თუ მსგავსი საგნები წარმოდგენილი იქნება, როგორც განსხვავებული". ვფიქრობთ, ეს მუხლი კონცეპტუალურ საფუძვლებში საერთოდ თუ არ იარსებებს, შესადარისობის ცნების ახსნას არაფერი დააკლდება.

„დასკვნის საფუძვლებში [დს 3.33] მოცემულია განმარტებები იმის შესახებ, თუ რატომ არ არის „შესადარისობა" შეტანილი ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებში. აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები აუცილებელია, ისაა, რომ გაიზარდოს წარდგენილი ფინანსური ინფორმაციის შესადარისობა. მაგრამ, ერთი მხრივ, თუ არ შეიძლება შედარება, შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია, მაინც მნიშვნელოვანი იქნება. მეორე მხრივ, შესადარისი ინფორმაცია სასარგებლო არ არის, თუ იგი არ არის შესაბამისი და ამასთან, შეუძლია მომხმარრებლების შეცდომაში შეყვანა, თუ იგი სამართლიანად არაა წარდგენილი. ამიტომ, შესადარისობა მიიჩნევა ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლად, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას და არა ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლად.

ინფორმაციის შემოწმებადობა ეხმარება მომხმარებელს დაადგინოს, რომ ინფორმაცია სამართლიანადაა წარდგენილი. შემოწმებადობა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირადპირი.

პიდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს, როცა მონაცემების ან სხვა ინფორმაციის შემოწმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების გზით. მაგალითად, ფულადი თანხების დათვლა.

არაპირდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს მოდელის ამოსავალი მონაცემების, ფორმულების და მოდელის სხვა ელემენტების დამოუკიდებლად გამოანგარიშებას. მაგ. მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულების შემოწმება.

მომხმარებელი უფრო თავდაჯერებულად გამოიყენებს იმ ინფორმაციას, რომლის შემოწმება შესაძლებელია ე.ი. მომხმარებელს შეუძლია ენდოს ისეთ ინფორმაციას, რომ მასში არ არის არსებითი შეცდომები და მიკერძოება. ამიტომ, შემოწმებადობა შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო სამართლიანი წარდგენის ასპექტად. მაგრამ, ოპონენტებმა აღნიშნეს, რომ შემოწმებადობის ცნების, როგორც სამართლიანი წარდგენის ერთ-ერთი ასპექტის გათვალისწინება, გამოიწვევს იმ ინფორმაციის გამოთიშვას, რომელიც არ ექვემდებარება შემოწმებას ან სრულყოფილი შემოწმება შეუძლებელია (მაგ. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება). საბჭო დაეთანხმა ამ არგუმენტებს და შემოწმებადობა ახლებურად განსაზღვრა, როგორც ხარისხობრივი მახასიათებლი, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას. მეტად სასურველი, მაგრამა არა აუცილებელი.

დროულობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია მის მომხმარებელს მიეწოდოს იმ დროს, როცა მის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ზოგჯერ შეიძლება ინფორმაცია დიდი ხნის შემდეგაც დროული იყოს, თუ მიზანი ტენდენციების შესწავლაა.

განხილვების დროს აღინიშნა, რომ დროულობა არ არის შესაბამისობის თვისება იმავე მნიშვნელობით, როგორც საპროგნოზო და დამადასტურებელი

ღირებულებები. დროული ინფორმაცია სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისია და სამართლიანად წარდგენილი. ინფორმაცია შეიძლება სასაგებლო იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დროულად არ არის წარდგენილი. განსაკუთრებით დამადასტურებელი მიზნებისთვის ან ტენდენციების შესწავლისთვის [დს3.37-39].

აღქმადობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია იყოს ადვილად გასაგები. ეს მოითხოვს კლასიფიცირებას, სისემატიზაციას, ნათლად და ლაკონურად ინფორმაციის წარმოდგენას.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება ისეთი მომხმარებლებისათვის, რომელსაც გააჩნიათ ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა და ამ ინფოფრმაციის ანალიზის უნარი. მხოლოდ მარტივი ინფომაციის წარდგენა ანგარიშგებას არასრულყოფილს გახდის, რომელმაც მისი მომხმარებლი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს [ხმ 31-32].

ასევე, აღქმადობა თუკი ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელი იქნებოდა, მაშინ ანგარიშგებაში წარდგენილი ვერ იქნებოდა ზოგიერთი რთული, მაგრამ აუცილებელი ინფორმაცია. ამის გარეშე, ფინანსური ანგარიშგება აღარ იქნება შესაბამისი. აღქმადობა ნიშნავს, რომ რთული ეკონომიკური მოვლენები მაქსიმალურად გასაგებად იქნას წარმოდგენლი. ამიტომ, კონცეპტუალურ საფუძვლებში ხაზგასმულია, რომ ინფორმაციის მომხმარებლები პასუხისმგებელნი არიან ჰქონდეთ აუცილებელი ცოდნა და გულდასმით შეისწავლონ წარდგენილი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში კი კონსულტანტები გამოიყენონ, მითითებულია დასკვნის საფუძვლებში [დს3. 40-42].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასს-ის საბჭომ „კონცეპტუალურ საფუძვლებში“ გამოყო ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია (ფუნდამენტური ხასიათისაა) და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას და ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ მეტად საჭირო. „დასკვნის საფუძვლებში გადმოცემულია, რომ ზოგიერთის აზრით, ყველა ხარისხობრივი მახასიათებელი ერთმანეთის ტოლფასია და მათი გამიჯვნა პირობითია. მაგრამ, ბასს-ის საბჭო არ დაეთანხმა ამ აზრს და თვლის, რომ **ორი ძირითადი ხარისხობრივი მხასიათებლის – შესაბამისობისა და სამართლიანი წარდგენის** გარეშე ფინანსური ინფორმაცია ვერ იქნება სასარგებლო და ვერც იმით გახდება სასარგებლო, თუ იქნება მხოლოდ უფრო შესადარისი, შემოწმებადი, დროული ან აღქმადი. მეორე მხრივ, ფინანსური ინფორმაცია რომელიც შესაბამისია და სამართლიანად არის წარდგენილი, შეიძლება იყოს სასარგებლო, თუნდაც არ გააჩნდეს არცერეთი ის ხარისხობრივი მახასიათებელი, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას [დს 3.10].

კონცეპტუალური საფუძვლების „დასკვნის საფუძვლებში“აგრეთვე აღნიშნულია, რომ განხილვის პროცესში საბჭოს სთავაზობდნენ სხვა მახასიათებლების შემოღებასაც, როგორიცაა: გამჭვირვალობა, მაღალი ხარისხი, შინაგანი თავსებადობა, უტყუარი და სამართლიანი, სიმარტივე, ოპერატიულობა, მიზანშეწონილობა, პრაქტიკულობა და მისაღებობა. მაგრამ, საბჭომ დაასკვნა, რომ ყველა ეს ღირებულებები სიტყვებია, რომლებიც გაუმჯობესებულია

შესაბამისობით, სამართლიანი წარდგენით, შესადარისობით, შემოწმებადობით, დროულობით და აღქმადობით. ზოგიერთი კი სასარგებლო ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებული სარგებლისა და დანახარჯების წონასწორობის ნაწილია [დს3. 44-46].

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი, საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის შედეგები, მათი ეკონომიკური შინაარის მიხედვით დაჯგუფებულია ხუთ ნაერთ მოცულობითი ხასიათის მაჩვენებლად. ამგვარ ფართო დაჯგუფებას უწოდებენ **ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს**. ესენია: **აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები**. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) მათ ასე განმარტავს:

აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს, წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რომლის გამოყენების შედეგად საწარმო მოელის რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებილი არის აქტივების უნარი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელი შეუწყოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში. აქტივებში განივთებული მომავალი ანუ პოტენციური ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოდის სხვადასხვა გზით.

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარსული სამერნეო მოვლენების შედეგად წარმოიშვა და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

შევნიშნავთ, რომ ამ განსაზღვრებაში ერთმანეთისაგან გამიჯნული არაა ხარჯები და ზარალი. ხარჯი ყოველთვის არ იწვევს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მაგალითად, მასალის ხარჯი ამცირებს მის მარაგს, მაგრამ, იმავე მოცულობით იზრდება მზა პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც მართალა მოსალოდნე მოგებას შეამცირებს, მაგრამ ესაა აუცილებელი ხარჯი, რომლის გარეშე მოგება საერთოდ ვერ მიიღება. ამიტომ, გაუმართლებლად მიგვაჩნია იგი ჩაითვალოს „საწარმოდან ეკონომიკურრ სარგებლის გასვლად“. ასეთი შეფასება ეხება მხოლოდ ზარალს.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება ნიშნავს მათ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. მათი აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია ამ მუხლებით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან გასვლა და გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომლის **საიმედოდ შეფასება შეიძლება.**

შეფასება არის ფულადი თანხების ან ფულადი ღირებულების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტის აღიარება ბუღალტრულ ბალანსში და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

2.2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, მისი ანალიზის მიზანი და ამოცანები

ფინანსური ანგარიშგება საფინანსო-სააღრიცხვო პროცესის შემადგენელი ნაწილია. 2009 წლიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების შედეგად, შეცვლილ იქნა ანგარიშგების ზოგიერთი კომპონენტის სახელწოდება.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ანუ ბუღალტრული ბალანსი (a statement of financial position as at the end of the period;
2. პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგება (a statement of comprehensive income for the period);
3. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (a statement of changes in equity for the period);
4. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება (a statement of cash flows for the period)
5. განმარტებითი შენიშვნები (notes, comprising a summary of significant accounting policies and other explanatory information), სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. მასში შეიძლება აისახოს ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათში მომხდარი ცვლილებები და საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე; ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ასევე შეაფასოს, როგორ მართავს საწარმო ამ რისკებს [ბასს 1, მუხლი 10].

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 - „ფინანსური ანგარიშგებს წარდგენა“ (ბასს 1) მიუთითებს, რომ საწარმოს შეუძლია ჩამოთვლილი სახელწოდებები არ გამოიყენოს და გამოიყენოს ტერმინები :„ბუღალტრული ბალანსი“ და „მოგება/ზარალის ანგარიშგება“. საწარმომ შეიძლება

წარადგინოს სხვა ანგარიშგებაც ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნით, მაგალითად გარემოს დაცვის შესახებ, სოციალური პასუხისმგებლობების შესახებ და სხვა, რომელიც სცილდება ფასს-ის მოქმედების სფეროს.

პოლემიკა: *როგორც აღვნიშნეთ, ბუღალტრულ ბალანსს ბასს-ის საბჭომ, მეორე სახელი: „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“ უწოდა, რასაც ვერ ვეთანხმებით, ვინაიდან, ჯერ ერთი, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლისათვის მხოლოდ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია საკმარისი არაა. ამ მიზანს ფინანსური ანგარიშგების მთელი ინფორმაცია ემსახურება. მეორეც, შეცვლილ სახელწოდებაში არ ჩანს მთავარი დედააზრი, კერძოდ ის, რომ ბუღალტრული ბალანსი ეყრდნობა წონასწორობას საწარმოს რესურსებსა და მისი დაფინანსების წყაროებს შორის, რაც საწარმოთა ეკონომიკაში და საერთოდ, მიკროეკონომიკაში არსებული შიგა ეკონომიკური წონასწორობის გამოხატულებაა.*

რაც შეეხება „სრული შემოსავლების ანგარიშგებას“, ამ სახელწოდებაში აღრეულია ცნებები: „შემოსავალი“ და „მოგება“, რაც ეწინააღმდეგება თვით ფასს-ში მოცემული შემოსავლების ცნების განმარტებას, რომელიც არ არის და არც შეიძლება იყოს სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების სახელწოდებების შეცვლა გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ბუღალტრული ბალანსი და მოგება/ზარალის ანგარიშგება მზადდება კორექტირებული საცდელი ბალანსიდან, რომელიც ყველა ბუღალტრული ანგარიშის ნაშთების ჩამონათვალს წამოადგენს (შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშების ჩათვლით). საცდელი ბალანსის მომზადების შემდეგ, როგორც წესი, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები იხურება. ამ სააღრიცხვო ოპერაციების საფუძველზე შედგება მოგება/ზარალის ანგარიშგება.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გამოთვლილი გაუნაწილებელი მოგების თანხა კი გადაიტანება ბუღალტრულ ბალანსში, კერძოდ, საკუთარი კაპიტალის ჯგუფში. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახდის ახალი მოდელი, რომლის მიხედვით, მოგება სრულად განაწილდება მესაკუთრეებსა და საწარმოს შორის. ანუ, მესაკუთრეებზე განაწილებული მოგების შემდეგ დარჩენილი მოგება მთლიანად საწარმოში უნდა იქნეს ინვესტირებული. შედეგად, გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი აღარ იარსებებს.

ბუღალტრული ბალანსი არის საწარმოს ქონების ორმხრივი ასახვა: ერთი მხრივ მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით და მეორე მხრივ – დაფინანსების წყაროების მიხედვით, ფულად ფორმაში, დროის მოცემული მომენტისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ხუთი ელემენტიდან ბალანსში სამია წარმოდგენილი: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ერთია საიმედო ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მისი მომხმარებლებისათვის საწარმოს შიგნით თუ საწარმოს გარეთ, მაგრამ, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად ეს არ კმარა. მეორე მხრივ, აუცილებელია ამ ინფორმაციის მომხმარებლებმა შეძლონ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარება სათანადო დონეზე. სრულყოფილი და გააზრებული ანალიზის გარეშე, ფინანსური ანგარიშგება რაც არ უნდა შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი იყოს, მისი მომხმარებლები სწორ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ. ამდენად, ფინანსური

ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის შესწავლა მეტად აქტუალურია საერთოდ ეკონომისტებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი არის საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მიმოხილვისა და შეფასების პროცესი, რომლის მეშვეობთაც შესაძლებელია საწარმოს ფინანსური ძლიერების (სიჯანსაღის) გააზრება და შესაბამისად, უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის ანალიზის შედეგად მისი მომხმარებლებისათვის იგი უფრო სასარგებლო ხდება

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი აგრეთვე არის საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობის შედეგების შეფასების მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზანია შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მართავს ხელმძღვანელობა საწარმოს და რამდენად საიმედოა იგი პარტნიორებისათვის, საწარმოსთან საქმიან ურთიერთობებში მყოფი ყველა სუბიექტისათვის. მისი მიზანია ფირმის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ პოზიციებში ცვლილებების შესახებ საიმედო დასკვნებით უზრუნველყოს ეკონომიკური გადაწვეტილებების მიმღები პირები,

ამდენად, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღების დროს. საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციას იძლევა ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ანუ ინფორმაციას საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნილებების შესახებ (საწარმო, რომელიც ვალდებულია გამოაქვეყნოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ანგარიშვალდებულ საწარმოს წარმოადგენს). გარდა ამისა, იგი შეიცავს ინფორმაციას ისეთი ტიპის ოპერციებისა და მოვლენების შედეგების შესახებ, რომელიც იწვევენ საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და საწარმოს მიმართ მოთხოვნების ცვლილებას. ორივე ტიპის ინფორმაცია შეიცავს საწარმოსათვის რესურსების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად სასარგებლო ამოსავალ მონაცემებს.

ინფორმაცია საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ხასიათისა და სიდიდის შესახებ, მომხმარებელს ეხმარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში; მისი ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის, დაფინანსების დამატებით წყაროებზე მოთხოვნილებების შეფასებაში. იმის განჭვრეტაში, როგორ განაწილდება მომავალი ფულადი ნაკადები მათ შორის, რომლებსაც გააჩნიათ მოთხოვნები ანგარიშვალდებული საწარმოს მიმართ.

საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ცვლილებებს იწვევს მოცემული საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგები და ასევე სხვა ოპერაციები, როგორიცაა სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვება. იმისათვის, რომ სწორად იქნეს შეფასებული საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადები, აუცილებელია ამ ორი ტიპის ცვლილების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია მომხმარებელს ეხმარება იმის გარკვევაში, როგორი

უკუგება მიიღო საწარმომ მის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსებიდან; რამდენად კარგად შეასრულა მმართველობამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენოს საწარმოს რესურსები; შეაფასოს მომავალი ფულადი ნაკადების განუსაზღვრელობა და მომავალი ეკონომიკური უკუგების დონე.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ იმაზეც მიუთითებს, რა გავლენა იქონია საწარმოს ეკონომიკური რესურსების და მის მიმართ არსებული მოხოვნების გაზრდაზე ან შემცირებაზე ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა საბაზრო ფასები ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილება.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ იმაზეც მიუთითებს, რამდენად გაიზარდა საწარმოს განკარგულებაში მყოფი რესურსები და შესაბამისად, მისი შესაძლებლობა, უზრუნველყოს საწარმოს წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა თავისი საქმიანობიდან და არა ინვესტორებისა და კრედიტორებისაგან მოპოვებული დამატებითი რესურსებით.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ შეიძლება იმაზეც მიუთითებდეს, რა გავლენა იქონია საწარმოს ეკონომიკური რესურსების და მის მიმართ არსებული მოთხოვნების გაზრდაზე ან შემცირებაზე ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა საბაზრო ფასების ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილება და აქედან გამომდინარე, რა გავლენა მოახდინეს ამ მოლვლენებმა მის შესაძლებობაზე – უზრუნველყოს საწარმოში წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა.

ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს ფულადი ნაკადების შესახებ

მომხმარებელს ეხმარება შეაფასოს საწარმოს მომავალი შესაძლებლობა წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლის შესახებ. იგი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ ხარჯავს და მოიპოვებს საწარმო ფულად სახსრებს; როგორია მისი ნასესხები სახსრებისა და სხვა დავალიანებების დაფარვის მდგომარეობა; ინვესტორებზე გაცემული დივიდენდის თანხების სიდიდე; სხვა გადახდები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ საწარმოს გადახდისუნარიანობაზე, ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომხმარებელს ეხმარება წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების მასშტაბებზე, შეაფასოს მისი საფინანსო და სინვესტიციო საქმიანობა და სხვა ფინანსური ოპერაციები.

ანგარიშვალდებული საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ცვლილებები, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების გარდა, შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა მიზეზებმაც, როგორიცაა საკუთარი კაპიტალის დამატებითი აქციების გამოშვება. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს რა გავლენას იქონიებს ეს ოპერაციები საწარმოს მომავალ ფინანსურ შედეგებზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია საქმიანობის სახეების მიხედვით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების, ვალდებულებების, მოთხოვნების, შემოსავლების და ხარჯების ცვლილებების შესახებ, რაც ანალიტიკოსს ან ინვესტორს, საშუალებას აძლევს იპოვოს უფრო ღრმა მიზეზები ფინანსური რესურსების ზრდის ან შემცირების შესახებ.

საწარმოში, როგორც ცნობილია, მრავალი დაინტერესებული მხარეა. ესენია, სავაჭრო კრედიტორები, დებიტორები, ინვესოტორები, თანამშომლები და

მმართველობა. ყოველ ჯგუფს საწარმოს ფინანსური შედეგების და შესაბამისად, წლიური ფინანსური ანგარიშგების მიმართ საკუთარი ინტერესები აქვთ. ანგარიშგების მიზანია დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინოს სწორი და სასარგებლო ინფორმაცია, რომლის საფუძველზე მრავალი ფინანსური კოეფიციენტის ანალიზი შეიძლება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ამოცანებია:

- საწარმოს გადახდისუნარიანობის დონის შეფასება;
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხის შეფასება;
- საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა;
- წარმოებისა და რეალიზაციის ცვლილების ტემპების დადგენა;
- მოგებისა და მომგებიანობის ტენდენციების შესწავლა;
- რეინვესტირებული მოგების ეფექტის შეფასება;
- ფინანსური რისკების ხარისხის განსაზღვრა;

.

2.3. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, მისი სხვადასხვა მომხმარებლებისათვის არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლის მძლავრი იარაღი, მიუხედვად მათი განსხვავებული მიზნებისა.

საერთაშორისო პრაქტიკასა და თეორიაში, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მეცნიერ-ეკონომისტებმა საერთო სტატისტიკურ-ეკონომიკური ანალიზის ხერხებზე დაყრდნობით, ცალკე გამოყვეს საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შემდეგი მეთოდები:

1. **ვერტიკალური ანალიზი**
2. **ჰორიზონტალური ანალიზი**
3. **კოეფიციენტების ანალიზი (შედარებითი და ფაქტორული ანალიზი)**

ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის მეთოდი გულისხმობს მრავალი სახის ფარდობის (კოეფიციენტის) შესწავლას. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალურ ანალიზში პროცენტული ზომის ერთეულები გამოიყენება. ვერტიკალური ანალიზის მთავარი უპირატესობაა ის, რომ შედარება შეიძლება ნებისმიერი ზომის ერთეულებში მოხდეს.

ვერტიკალური ანალიზის დროს ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლი განიხილება პროცენტული ან სხვა ფარდობის სახით. მაგალითად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ცალკეული მუხლის პროცენტული ფარდობა მთლიან შემოსავალთან. ასევე, ბალანსის რომელიმე მუხლის პროცენტული ფარდობა აქტივებთან და ა.შ.

ვერტიკალური ანალიზი ფინანსური ანგარიშგების ყოველ მუხლს წარმოადგენს პროცენტულად ანგარიშგების მთავარი (ცენტრალური) მაჩვენებლის მიმართ. მაგალითად, ბუღალტრული ბალანსის თითოეული მუხლი შეიძლება პროცენტულად წარმოდგენილ იქნას მთლიანი აქტივების მიმართ; მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ცალკეული პოზიცია წარმოდგენილ იქნება პროცენტულად რეალიზაციდან მიღებული შემოსავლის მიმართ; ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ცალკეული პოზიციის ფულადი თანხები პროცენტულად გამოიხატება ფულადი თანხების მთლიანი ჯამის მიმართ.

უცხოურ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი გამოყოფს ფინანსური ანგარიშგების პროპორციული ანალიზის მეთოდს (Proportion analysis), საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირის გამოსახატავად. მაგალითად, შეიძლება გამოითვალოს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი და დადგინდეს კომპანიის უნარი, დაფაროს გადაუდებელი ვალდებულებები ან თანაფარდობა საწარმოს ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის, რათა გაირკვეს აღებული აქვს თუ არა უფრო მეტი ვალდებულებები. ხშირად ეს კოეფიციტები მოითხოვს მოგება/ზარალისა და ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციას ერთდროულად.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი საშუალებას იძლევა ნებისმიერი საწარმო ასევე პროცენტულად წარმოადგინოს ეკონომიკის შესაბამის დარგში. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სურათი შეიძლება წარდგენილ იქნას ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ მუხლის მიხედვით. იგი აგრეთვე საშუალებას იძლევა პროცენტული მაჩვენებლები ერთმანეთთან შედარებულ იქნეს წლებს შორის ან წლების შიგნით.

ჰორიზონტალური ანალიზი არის საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შედარება რომელიმე ერთ საანგარიშგებო პერიოდთან, ცვლილების ტენდენციების გამოსავლენად.

ტენდენციების ანალიზი (trends) ანუ ტენდენციის წრფეები აჩვენებენ მრავალწლიან პერიოდში კომპანიის მუშაობის შედეგების მიმართულებებს. ტიპიური ტრენდული ანუ დინამიკური წრფეებია შემოსავლების, საერთო მოგების, წმინდა მოგების, ფულადი თანხების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების დინამიკური წრფეები. ტრენდების ანალიზი ესაა ფინანსური ანგარიშგების მუხლების პროცენტული ცვლილებების ანალიზი გარკვეულ პერიოდში.

მაშასადამე, ჰორიზონტალური ანუ დინამიკური (ტრენდული) ანალიზი არის საწარმოს შედეგების მიმოხილვა მრავალწლიან პერიოდში, ხოლო, ვერტიკალური ანალიზი არის შედეგების შესწავლა ერთი საანგარიშგებო პერიოდის შიგნით.

კოეფიციენტების ანალიზის მეთოდი ნიშნავს ფარდობითი მაჩვენებლების გამოთვლას სათანადო პარამეტრების ფარგლებში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებითი ანალიზისათვის. ეს კოეფიციენტები მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება, როცა ერთი მაჩვენებელი იყოფა მეორეზე.

მაგალითად, ისეთი კოეფიციენტები როგორიცაა: წმინდა მოგების ფარდობა სააქციო კაპიტალთან (ROI), მოგების ფარდობა აქტივებთან (ROA), ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან (DE). აქ სამი კოეფიციენტია,

რომელთაგან, პირველი ორი გამოითვლება ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმციის საფუძველზე, ე.ი. კომბინირებული კოეფიციენტებია. მესამე კი მხოლოდ ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გაოითვლება და მაშასადამე, ბალანსის ინდივიდუალური კოეფიციენტია.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე სამასამდე სხვადასხვა კოეფიციენტი შეიძლება გამოითვალოს, რომლებიც მრავალ სხვადასხვა საინტერესო კითხვაზე იძლევიან პასუხს. ისინი მფლობელებს და მენეჯერებს საშუალებას აძლევენ ახსნან რა ხდება ბიზნესში და რატომ, რის საშუალებასაც ფინანსური ანგარიშგების მხოლოდ მოცულობითი მაჩვენებლები ვერ იძლევა.

კოეფიციენტების ანალიზი ეხმარება ანალიტიკოსს განსჯაში, ოღონდ ვერ აძლევს გამოცდილებას. მაგრამ, კოეფიციენტების წაკითხვა და მათი მუდმივი თვალყური ნებისმიერ მენეჯერს კარგ მმართველად ხდის.

კოეფიციენტების ანალიზი ფინანსურ მენეჯმენტს ეხმარება კომპანიის საქმიანობაში დაინახოს ის სფერო, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ჭირდება. ადგილი, სადაც პრობლემები არსებობს.

პრაქტიკულად ნებისმიერი კოეფიციენტის შედარებითი ანალიზი შეიძლება მოხდეს. მაგრამ, მცირე ბიზნესის მფლობელებმა და მენეჯმენტმა ძირითადი კოეფიციენტები უნდა შეარჩიონ, რათა ადვილად იპოვონ, სადაა საჭირო გაუმჯობესება. ამასთან, კოეფიციენტი ცალკე აღებული, უსარგებლოა და შეიძლება მენეჯმენტი შეცდომაშიც შეიყვანოს. მაგრამ, იგი ყოველთვის სასარგებლოა, როცა ამ კოეფიცენტს სხვა წარმატებული კომპანიის ან საშუალო დარგობრივ დონეს შეუდარებს.

ფინანსური ანგარიშგების მოცულობითი მაჩვენებლებისა და კოეფიციენტების ანალიზის დროს აგრეთვე გამოყენებულ უდა იქნას ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული და მათემატიკური მეთოდები, რომლებიც წინა თავში იყო განხილული.

მართალია ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ძლიერი ინსტრუმენტია მისი მრავალფეროვანი მომხმარებლების ხელში, გააკეთონ შესაბამისი შეფასებები და დასკვნები მათთვის საინტერესო საწარმოს ფინანსური სტაბილურობისა და მოსალოდნელი რისკების შესახებ, **მაგრამ, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკას თან ახლავს ზოგიერთი შეზღუდვები ანუ პრობელემური მხარეები,** რომლებიც ხელს უშლიან ანალიზის შედეგების სრულყოფილ შეფასებასა და ინტერპრეტაციებს. ესენია:

1. **შესადარისობა პერიოდებს შორის** – საწარმო ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას და ინახავს მას, ხოლო შეიძლება ადგილი ექნეს სააღრიცხვო ცვლილებებს. მაშასადამე, ინფორმაცია პერიოდიდან პერიოდამდე შეიძლება შეიცვალოს;
2. **შესადარისობა საწარმოებს შორის** – ანალიტიკოსი ხშირად ერთმანეთს უდარებს სხვადასხვა საწარმოს ფინანსურ კოეფიციენტებს, რათა შეისწავლოს როგორ შეესაბამებიან ისინი ერთმანეთს. ყოველმა კომპანიამ ინფორმაცია შეიძლება დააჯგუფოს სვადასხვაგვარად. ამიტომ, მათი კოეფიციენტების შედეგები არაშესადარისნი აღმოჩნდნენ. ამის გამო

ანალიტიკოსმა შეიძლება საწარმოს შედეგების შესახებ არასწორი დასკვნები გააკეთოს მის კონკურენტებთან შედარებით;

3. **საოპერაციო (ოპერატიულ) ინფორმაციაზე მიუწვდომლობა** – ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მხოლოდ ფინანსურ ინფორმაციას მიმოიხილავს და არა მის საოპერაციო ინფორმაციას, ამიტომ ანალიტიკოსს არ შეუძლია დაინახოს საქმიანობის მომავალი შედეგების საკვანძო მაჩვენებლები, როგორიცაა, ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობა, შეკვეთების პორტფელის მოცულობა და შედგენილობა, ან ცვლილებები საგარანტიო მოთხოვნებში და ა.შ. ოღონდაც, ეს არ ეხება ინფორმაციის შიგა მომხმარებლებს (მმართველობას). მათ ფინანსური ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა არა აქვთ.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მხოლოდ საერთო სურათის შედეგებს წარმოადგენს. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტების უმრავლესობა მიუთითებს საწარმოს მხოლოდ პოტენციურ პრობლემებზე, რომლებსაც ინფორმაციის გარე მომხმარებელი ყურადღებას აქცევს. იგი გარედან უყურებს მოცემული საწარმოს ფინანსურ შედეგებს და გადაწყვეტილებას იღებს მასთან ეკონომიკური ურთიერთობების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

გარკვეული შეზღუდულობის მიუხედავად, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი საწარმოს მენეჯმენტს, შიგა ინფორმაციასთან ერთად, საშუალებას აძლევს წარსული შედეგების საფუძველზე დაგეგმოს მომავალი და იწინასწარმეტყველოს განუსაზღვრელობებიც კი.

2.4. კავშირი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები) ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რადგან ასახავენ ერთი და იმავე ეკონომიკური ოპერაციების და მოვლენების სხვადასხვა ასპექტებს. ეს კავშირები ეყრდნობა ეკონომიკაში არსებულ შინაგანი წონასწორობის კანონზომიერებას, რომელიც აღრიცხვაში ბალანსირების პრინციპითაა ცნობილი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის დაწყებამდე, ანალიტიკოსმა შეძლებისდაგვა- რად უნდა შეამოწმოს, ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში რამდენად სწორადაა წარმოდგენილი. ანგარიშგების შემოწმების ხერხებია: ფორმალური, არითმეტიკული და არსებითი.

ფორმალური შემოწმების დროს ანგარიშგების გარეგნული მხარე მოწმდება. შევსებულია თუ არა ყველა აუცილებელი რეკვიზიტი.

არითმეტიკული შემოწმების დროს ანგარიშგებაში არსებული ჯამების, ნამრავლის და ა.შ. შედეგები მოწმდება არითმეტიკულად.

არსებითი შემოწმების გზით ანალიტიკოსი უნდა დარწმუნდეს რამდენად ზუსტადაა დაცული ბალანსირების პრინციპი ანუ შინაგანი კავშირები ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს შორის.

ქვემოთ მოტანილია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირების შემომწების ზოგიერთი მაგალითი. კერძოდ:

გაცემული ხელფასი = გასაცემი ხელფასი წლის დასაწყისში + შრომითი ხარჯები პერიოდში – ვალდებულება ხელფასზე წლის ბოლოს

ამ ტოლობიდან აგრეთვე შეიძლება გამოთვლილ იქნას წლიური შრომითი ხარჯების სიდიდე, თუკი მოგება/ზარალის ანგარიშგება მომზადებული არაა დანახარჯთა ელემენტების კლასიფიკაციის საფუძველზე.

გადახდილი პროცენტები = გადასახდელი პროცენტები წლის ბოლოს + საპროცენტო ხარჯები – გადასახდელი პროცენტები წლის დასაწყისში

მომწოდებლებზე გადახდილი ფული = ვალდებულება მომწოდებლებთან წლის დასაწყისში + შესყიდვები – ვალდებულება მომწოდებლებთან წლის ბოლოს;

შესყიდვები = ვალდებულება მოწოდებიდან წლის ბოლოს + მომწოდებლებზე გადახდილი ფული – ვალდებულება მომწოდებლებთან წლის დასაწყისში;

აქტივი წლის ბოლოს = ვალდებულებები წის ბოლობ + სააქციო და საემისიო კაპიტალი და გადაფაასების რეზერვი წ.ბოლოს + საწყისი გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები (ან რეინვესტირებული მოგება) + წლიური შემოსავლები – წლიური ხარჯები – დარიცხული დივიდენდი;

ფულის ნაშთის ცვლილება = ვალდებულებების ცვლილება – არაფულადი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა

საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს = წმინდა მიმდინარე აქტივები + გრძელვადიანი აქტივები – გრძელვადიანი სესხები;

და ა.შ. შესაძლებელია სხვა კავშირებიც იქნას წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების შინაგანი კავშირების ილუსტრაციის მიზნით, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია პირობითი სააქციო საზოგადოების „კოლხეთის“ ფინანსური ანგარიშგება. მაგალითში დაშვებულია, რომ სააქციო საზოგადოება „კოლხეთი“ სამრეწველო ტიპის კომპანიაა, რომელიც არა მხოლოდ თვით ამზადებს მზა პროდუქციას და ყიდის, არამედ სხვის საქონელსაც ყიდულობს გასაყიდად. მიმდინარე წელს ასეთი საქონლის შესყიდვებს და რეალიზაციას ადგილი არ ჰქონია.

ამასთან, სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, მატერიალური მარაგების აღრიცხვა ხდება უწყვეტი მეთოდით.

ბუღალტრულ ბალანსში, როგორც წესი, მოცემულია სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების შემდეგ დარჩენილი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ნაშთები წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის (იხ. ცხრილი 2.4.1). მოგება/ზარალის ანგარიშგებაში (იხ. ცხრილი 2.4.2) შემოსავლები და ხარჯები მოცემულია დარიცხვის პრინციპით (ანუ რაც უნდა გადახდილიყო ან მიღებულიყო მიმდინარე წელს). ხოლო ფულის რეალური შემოსვლა და ხარჯვა წარმოდგენილია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში (იხ. ცხრილი 2.4.3).

ცხრილი 2.4.1

ბუღალტრული ბალანსი 2116 წლის 31.12.
(პირობითი სამრეწველო კომპანია „კოლხეთი“)

(ათას ლ)

აქტივი	2017 წ		პასივი	2017 წ	
	1/01	31 / 12		1/01	31/12
I. მიმდინარე აქტივები			**I. ვალდებულებები**		
1. ფულადი თანხები	4100	4730	**ა. გრძელვადიანი სესხები**	**5000**	**7040**
2. მასალები	1710	3100			
3. დაუმთავრებელი პოდუქცია	810	430	**ბ. მიმდინარე ვალდებუ -**		
4. მზა პროდუქცია	2000	2500	**ლებები**		
5. საქონელი	270	270	1. მოკლევადიანი სესხები	-	2560
6. მოთხოვნა მიწოდებიდან	1100	2100	2. ვალდებულება მოწოდებიდან	4040	4100
7. მისაღები პროცენტები	200	250	3. გასაცემი ხელფასი	2100	1600
			4. გადასახდელი პროცენტები	650	570
----------	-------	-------	5. გასაცემი დივიდენდი	-	1640
ჯამი	**10190**	**13380**	6. მოგების გადასახადი	-	460
			----------	------	-------
			ჯამი	**6790**	**10930**
			----------	------	------
			სულ ვალდებულებები	**11790-**	**17970**
II. გრძელვადიანი აქტივები			**II. საკუთარი კაპიტალი**		
1. შენობები	7360	10220	1. სააქციო კაპიტალი პრივი-		
2. დანადგარები	5260	9000	ლეგირებულ აქციებში	3000	3000
3. ნაყიდი ობლიგაციცები	2000	2000	2. სააქციო კაპიტალი ჩვეულე-		
4. არამატერიალური აქტივები	-	1530	ბრივ აქციებში	5820	7720
----------	------	-------	3. საემისიო კაპიტალი	2000	2200
ჯამი	**14620**	**22750**	4. უკან გამოსყიდული აქციები	-	(820)
			5. მოგებიდან შექმნილი		
			რეზერვები	800	5920
			6. გადაფასების რეზერვი	500	140
			7. გაუნაწილებელი მოგება	900	-
			----------	------	------
			ჯამი	**13020**	**18160**
ს უ ლ	**24810**	**36130**	**ს უ ლ**	**24810**	**36130**

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში 2017 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რომლის გამოყენების შემთხვევაში გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი აღარ იარსებებს, ვინაიდან წმინდა მოგება, რომელიც არის წლიური მოგებისა და მოგების გადასახადის მაჩვენებლებს შორის სხვაობა, მთლიანად განაწილდება მესაკუთრეებსა და კომპანიას შორის. ხოლო. ადრე არსებული დაგროვილი მოგება, დირექტორთა საბჭოს გდაწყვეტილებით, დავუშვათ, წლის ბოლოსათვის. სააქციო კაპიტალს შეუერთდა

2.4.2 ცხრილში, გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი აღარაა წარმოდგენილი. წმინდა მოგება მთლიანად განაწილდა მესაკუთრეებსა და საწარმოს შორის. პირველ რიგში მართებულია წლიური მოგებიდან რეინვესტირებული მოგება გამოიყოს, რადგან, ამ რეფორმის ძირითადი მიზანი საწარმოში მოგების მაღალი

რეინვესტირება, წარმოების გაფართოება და დასაქმების ზრდაა. დავუშვათ, წლიური მოგებიდან 5120 ლარი რეინვესტირების მიზნით გამოიყო. ე.ი. მესაკუთრეებზე განაწილებული მოგება 8000 ლ იქნება (13120 – 5120), რომელიც დაიბეგრა მოგების გადასახადით (8000-ის 15% = 1200).

ცხრილი 2.4.2

ს ს „კოლხეთის“ მოგება/ზარალის ანგარიშგება 2011 წ.
(დანახარჯთა ელემენტების მიხედვით)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ე ბ ი	**თანხა ათ. ლარი**
შემოსავალი რეალიზაციიდან	95 690
დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა	120
მასალის ხარჯები	(44 870)
შრომითი ხარჯები	(32 500)
ცვეთის ხარჯები	(2 240)
სხვა საოპერაციო ფულადი ხარჯები	(2 060)
საოპერაციო მოგება	**14 140**
საპროცენტო ხარჯები	(1220)
საპროცენტო შემოსავალი	200
მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება)	13 120
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 200)
წმინდა მოგება	**11 920**
დარიცხული დივიდენდი (8000 – 1200))	(6 800)
მოგებიდან შექმნილი რეზერვები (რეინვესტირებული მოგება)	(5 120)
შემოსავალი ერთ აქციაზე (საბაზისო (გაზავებული)	–

საანალიზო საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში (იხ. ცხრილი 2.4.3), წარმოდგენილია ფულადი ნაკადები სხვადასხვა საქმიანობიდან და შესაბამისად მას სამი განაყოფი აქვს, როგორიცაა:

I. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან,

II. წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან

III. წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან.

ყოველი განაყოფის ბოლოს გამოითვლება „წმინდა ფულადი ნაკადი“, რომელიც საწარმოში შემოსული და გასული ფულადი თანხების სხვაობის ტოლია. აქ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) აღიარებულია როგორც საბაზისო მეთოდი, რადგან მას დიდი პრაქტიკული და ანალიზური მნიშვნელობა აქვს.

გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ანგარიშგება ერთიანი საფინანსო-ეკონომიკური ოპერაციების შედეგებზეა შედგენილი, მათ შორის არსებობს შინაგანი ურთიერთკავშირები, რაც რიცხვების მეშვეობთ დასტურდება. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის დაწყების წინ, საჭიროა ანალიტიკოსმა შეამოწმოს, დაცულია თუ არა კავშირები ანგარიშგების კომპონენტებს შორის.

ცხრილი 2.4.3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(პირდაპირი მეთოდით)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	თანხა ათ. ლარი
I. ფულადი ნაკადები საოპერაცო საქმიანობიდან	
- მყიდველებიდან მიღებული ფული	94 690
- მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(46 200)
- თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი	(33 000)
- სხვა არასაწარმოო საოპერაციო ფულადი ხარჯები	(2 060)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხები	**13 430**
- გადახდილი პროცენტები	(1 300)
- გადახდილი მოგების გადასახადი	(740)
- გაცემული დივიდენდი	(5 160)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**6 230**
II. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(6 600)
- არამატერიალური აქტივების შეძენა	(1 530)
- ობლიგაციების შესყიდვა	–
- ზედმეტი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	–
- მიღებული პროცენტები	150
- ფინანსური ინვესტიციები	–
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	**(7 980)**
III. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
- გამოშვებული აქციებიდან მიღებული ფული	1 200
- საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა	(820)
- აღებული სესხები	2 000
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	**2 380**
საერთო წმინდა ფულადი ნაკადი	**630**
ფულადი თანხების საწყისი ნაშთი	4 100
ფულადი თანხების საბოლოო ნაშთი	**4 730**

საანალიზო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მაგალითზე დავახასიათოთ მის კომპონენტებს შორის არსებული კავშირები. ესენია:

1. წლის განმავლობაში მყიდველებზე გაგზავნილია 95690 ლარის პროდუქცია. წლის ბოლოს, 31 დეკემბრის მდგომარეობით მყიდვილებიდან მიღებულია 94690 ლარი. მაშინ, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხვები შემდეგნაირად განლაგდება:

შემოსავალი რეალიზაციიდან 95690 ლარი აისახება – მოგება/ზარალის ანგარიშგებაში;

მყიდველებიდან მიღებული ფული 94690 ლარი არის – ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში (საკასო პრინციპით). ხოლო, ნაშთად დარჩენილი მოთხოვნა მიწოდებიდან - 1000 ლარი – ნაჩვენებია ბუღალტრულ ბალანსში (საბალანსო წონასწორობის დაცვა)

მართლაც,

შემოსავალი რეალიზაციიდან (მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან)	95 690
მოთხოვნა მიწოდებიდან, საწყისი ნაშთი (ბალანსიდან)	1 100
მოთხოვნა მიწოდებიდან, საბოლოო ნაშთი (ბალანსი)	(2 100)
მყიდველებიდან მიღებული ფული – (ფულადი ნაკადებიდან)	94 690
	(95 690+1100–2100)

2. დახარჯული მასალები (მოგება/ზარალიდან)	44 870	
მასალის საწყისი ნაშთი (ბალანსით)	(1 710)	
მასალის საბოლოო ნაშთი (ბალანსით)	3 100	
მასალის შესყიდვები (მოგება/ზარალში)		46 260
		(44870 - 4100 + 4730)

3. ვალდებულება მოწოდებიდან: საწყისი ნაშთი (ბალანსით)		- 4 040
ვალდებულება მოწოდებიდან; საბოლოო ნაშთი (ბალანსით)		- (4 100)
მასალის შესყიდვები		- 46 260
(გაანგარიშებით, ვინაიდან მოცემულ მაგალითში მასალების აღრიცხვის უწყვეტი მეთოდია მიღებული. თუ აღრიცხვის პერიოდული მეთოდი იქნებოდა გამოყენებული, მაშინ მასალის შესყიდვები მოცემული იქნება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში).		
მომწოდებლებზე გადახდილი ფული (ფულადი ნაკადებში)		46 200
		(4040 + 46260 – 4100)

4. ვალდებულება ხელფასით, საწყისი ნაშთი (ბალანსით)	2 100	
დარიცხული ხელფასი (მოგება /ზარალის ანგარიშგება)	32 500	
ვალდებულება ხელფასით, საბოლოო ნაშთი (ბალანსით)	(1 600)	
გაცემული ხელფასი (ფულად ნაკადებში)		33 000

5. გადასახდელი პროცენტი, საწყისი ნაშთი (ბალანსიდან)	650
დარიცხული საპროცენტო ხარჯი (მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან)	1220
გადასახდელი პროცენტი წლის ბოლოს (ბალანსიდან)	(570)
გადახდილი პროცენტები (ფულადი ნაკადების ანგარიშგება)	1300

6. მისაღები პროცენტის საწყისი ნაშთი	200
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	200
მისაღები პროცენტის საბოლოო ნაშთი	(250)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	**150**
7. ვალდებულება მოგების გადასახადზე, საწყისი ნაშთი (ბალანსით)	0
დარიცხული მოგების გადასახადი (მოგება.ზარალიდან)	1 200
ვალდებულება მოგების გადასახადზე, საბოლოო ნაშთი (ბლანსიდან)	(460)
გადახდილი მოგების გადასახადი (ფულადი ნაკადების ანგ.)	740

8. გასაცემი დივიდენდის საწყისი ნაშთი (ბალანსით)	0
დარიცხული დივიდენდი (მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან)	6800
გასაცემი დივიდენდის საბოლოო ნაშთი (ბალანსით)	(1640)
დივიდენდზე გაცემული ფული (ფულადი ნაკადების ანგარიშგება)	5 160

9. აქციების გამოშვებიდან მიღებული ფულადი თანხები, (1200) ნაჩვენები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, უნდა დაემთხვეს საკუთარ კაპიტალის ანგარიშგებაში სააქციო და საემისო კაპიტალის ცვლილების მაჩვენებლებს და იგივე უნდა დაემთხვეს ბალანსში გადმოცემულ საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლებს.

10. აქტივი წლის ბოლოს =

= ვალდ. + სააქციო და საემის. კაპიტ. + გადაფასების რეზერვი +საწყისი გაუნაწ. მოგება და რეზერვები + წლ.შემოს. – წლ.ხარჯი – დივიდენდი

17 970 + 12240 (10720 +2200 -820 + 140) + 800 + 95890 – 83 970 – 6800 = 36 130 ლ

(ვინაიდან მოგების დაბეგვრის რეგულაციები შეიცვლა, დავუშვათ რომ საწყისი გაუნაწლებელი მოგება, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, შეუერთდა საწყის სააქციო კაპიტალს და ამიტომ 800+500 = 1300; 95690 +200 = 95890;)

11. **ფულის ნაშთი**ს ცვლილება = ვალდებულებების ცვლილება – არაფულადი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა
(4730 – 4100) = 630 ლ
6 180 – 10 690 + 5140 = 630 ლ

12. საოპარაციო საქმიანობიდან მიღებული ფული აგრეთვე უდრის:

ა. ამონაგები რეალიზაციიდან (მ/ზ)	95 690
საოპერაციო ხარჯები ცვეთის გამოკლებით (79430-120)	(79 310)
მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	16 380
მატერიალური მარაგების ნაშთების ზრდა	(1510)
მიწოდებიდან მოთხოვნების ნაშთის ზრდა	(1000)
მოწოდებიდან ვალდებულებების ნაშთების ზრდა	60
გასაცემი ხელფასისი ნაშთების ზრდა	(500)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	13 430

ან,

ბ. წმინდა მოგება	11 920
მოგების გადასახადს ხარჯი	1 200
საპროცენტო ხარჯები	1 220
საპროცენტო შემოსავალი	(200)
ცვეთის ხარჯი	2 240
მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	16 380

ამის შემდეგ 16380 ლარი შესწორდება იმავე ნაშთების ცვლილებით, როგორც „ა„ პუნქტშია მოცემული და მიიღება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული 13430 ლ.

ან,

ბ.	შემოსავალი რეალიზაციიდან ----------	95 690
	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ----------	(73 600)
	კომერციული ხარჯები ----------	(3 300)
	საერთო ადმინისტრაციული ხარჯები ----------	(4 650)
	ცვეთის ხარჯი ----------	2 240
	მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	16 380

შემდეგ, იმავე ნაშთების საფუძველზე, მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე (16380) დაიყვანება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულის სიდიდეზე.

ამრიგად, ფინანსური ანალიზის დაწყების წინ, აუცილებელია ანალიტიკოსმა გადაამოწმოს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის არსებული კავშირები სწორადაა თუ არა ასახული ანგარიშგებაში. რომელიმე ტოლობა თუ არ დადასტურდა, იმაზე მიუთითებს რომ, ანგარიშგებაში რაღაც უზუსტობები და ხარვეზებია დაშვებული.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები;
2. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები;
3. ჩამოთვალეთ ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები;
4. დაახასიათეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზანი;
5. დაახასიათეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები;
6. ახსენით კავშირი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:**
   ა. ბალანსი, ფულადი ნაკადები, საკუთარი კაპიტალი, საცდელი ბალანსი
   ბ. საცდელი ბალანსი, ცვლილებები საკუთარ კაპიტალში, მოგება /ზარალი, ფულადი ნაკადები, ახსნა-განმარტებები
   გ. ფულადი ნაკადები, ცვლილებები საკუთარ კაპიტალში, ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალი, ახსნა-განმარტებები
2. **ფინანსური ანგარიშგების ელემენტები:**
   ა. აქტივები, მოგება/ზარალი, შემოსავლები, ხარჯები
   ბ. აქტივები, შემოსავლები, ვალდებულებები,საკუთარი კაპიტალი, ხარჯები
   გ. საკუთარი კაპიტალი, აქტივები, მარაგები, შემოსავლები, ხარჯები
3. **მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შრომითი ხარჯები შეადგენს 14300 ლარს;** ბუღალტრული ბალანსით ვალდებულებები გასაცემი ხელფასით წლის დასაწყისში შეადგენდა 3500 ლარს, რომელიც წლის ბოლოს 20%ით შემცირდა.
   რას უდრის გაცემული ხელფასის სიდიდე:
   ა. 10800 ლ
   ბ. 15000 ლ
   გ. 13600 ლ
4. **მიმდინარე წელს საწარმომ მყიდველებზე 120000 ლარის პროდუქცია გადააგზავნა**. რეალიზებული პროდუქციის თვიღირებულება 97200 ლარია. წლის ბოლოსათვის მყიდველების მიერ გადახდილია 105000 ლარი.
   რას უდრის მოგება რეალიზაციიდან:
   ა. 22 800 ლ
   ბ. 15 000 ლ
   გ. 7 800 ლ

5. მასალის საწყისი ნაშთი 12200 ლ. საბოლოო ნაშთი – 15000 ლ. მიმდინარე წელს დაიხარჯა 149700 ლარის მასალა.

რამდენი ლარის მასალაა შესყიდული წლის განმალობაში:

ა. 146 900 ლ
ბ. 152 500 ლ
გ. 161 900 ლ

6. საწარმომ წლის განმავლობაში 240500 ლარის მასალა იყიდა. მომწოდებლებთან ვალდებულებების საწყისი ნაშთი 12700 ლ და საბოლოო ნაშთი 14200 ლ.

რას უდრის მომწოდებლეზე გადახდილი ფული:

ა. 239 000 ლ
ბ. 149 000 ლ
გ. 150 500 ლ

7. საწარმოს მიერ წლის განმავლობაში გადახდილია 67200 ლ მოგების გადასახადი. ვალდებულება მოგების გადასახადზე წლის დასწყისში 5200 ლ და წლის ბოლოს 4100 ლ იყო.

რას უდრის წლის განმავლობაში დარიცხული მოგების გადასახადი:

ა. 71 700 ლ
ბ. 68 300 ლ
გ. 66 100 ლ

8. მიმდინარე წელს დარიცხული მოგების გადასახადი 36700 ლარს შეადგენს. გადახდილი იქნა 46000 ლ გადასახადი და ვალდებულება მოგების გადასახდზე წლის ბოლოს დარჩა 11700 ლ.

რამდენი ლარი იყო მოგების გადასახდზე ვალდებულების საწყისი ნაშთი:

ა. 21 000 ლ
ბ. 9 300 ლ
გ. 48 400 ლ

9. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათბელებია:

ა. შესაბამისობა და შესადარისობა
ბ. შესაბამისობა და სამართლიანი წარდგენა
გ. შესაბამისობა და შემოწმებადობა

10. ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას, არის:

ა. შესაბამისობა, შესადარისობა, შემოწმებადობა და დროულობა
ბ. შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა, აღქმადობა
გ. სამართლიანი წარდგენა, დროულობა და აღქმადობა

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 2.1.

წლის ბოლოს მდგომარეობით საწარმოს ბუღალტერმა შეადგინა საცდელი ბალანსი, რომლის ინფორმაცია შემდეგია:

ნაშთები საცდელი ბალანსიდან 31.12.12

ანგარიშების დასახელება	ლარი
1. ფულადი თანხები	15 600
2. საქონლის საწყისი ნაშთი	6000
3. საქონლის შესყიდვები	43000
4. საქონლის საბოლოო ნაშთი	4000
5. შენობები ცვეთის გამოქვითვით	38 000
6. დანადგარები ცვეთის გარეშე	25 000
7. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	11 000
8. საპროცენტო ხარჯები	3 000
9. შემოსავალი რეალიზაციიდან	67 000
10. ვალდებულებები	35 000
11. საკუთარი კაპიტალი	39 600

მოთხოვნა:

ა. გამოთვალეთ მოგება რეალიზაციიდან და მოგება დაბეგვრამდე;
ბ. გამოთვალეთ საწარმოს აქტივის საერთო სიდიდე;
ც. დაასაბუთეთ საბალანსო ტოლობა.

ამოცანა 2.2.

ერთ-ერთი საწარმოს ბუღალტრული ბალანსისა და მოგებაზარალის ანგარიშგების ინოფრმაციით ცნობილი გახდა შემდეგი (ლარში):

შემოსავალი რეალიზაციიდან ----------	57 800
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ------	35 900
კომერციული ხარჯები ----------	7 600
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები ----------	9 200
ცვეთის ხარჯი ----------	10 400
მიწოდებიდან მოთხოვნების ნაშთების ზრდა –----------	4 500
მოწოდებიდან ვალდებულებების ნაშთების ზრდა ----------	3 600
მატერიალური მარაგების ნაშთების შემცირება ----------	1 500

მოთხოვნა: გამოთვალეთ,

1). მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე
2). საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული

ამოცანა 2.3.

არსებობს შემდეგი ინფორმაცია (ლარში):

მყიდველებიდან მიღებული ფული -----	234 900
მომწოდებლებზე გადახდილი ფული ------	178 000
თანამშრომლებზე გაცემული ფული ------	35 600
გადახდილი მოგების გადასახადი ----------	7 800
გადახდილი პროცენტები ----------	5 400
გადახდილი დივიდენდი ----------	16 000

მოთხოვნა: გამოთვალეთ.

1. საოპერაცო საქმიანობიდან მიღებული ფული
2. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო სამიანობიდან
3. გააკეთეთ კომენტარი

ამოცანა 2.4.

საანალიზო კომპანიის ბუღალტრული ბალანსით არსებობს შემდეგი ინფორმაცია: საკუთარი კაპიტალის შემადგენლობა ბუღალტრული ბალანსიდან შემდეგია (ათას ლარებში):

	წლის დასაწყისში	**წლის ბოლოს**	**გადახრა (+, -)**
სააქციო კაპიტალი	18 400	20 000	+1 600
საემისიო კაპიტალი	6 000	6 400	+ 400
რეზერვები მოგებიდან	2 000	2 900	+ 900
გადაფასების რეზერვი	2 400	1 100	-1 300
გაუნაწილებელი მოგება	800	700	- 100
ჯამი	29 600	31 100	+ 1 500

დარიცხული დივიდენდი 3000 ლარი.

მოთხოვნა: გამოთვალეთ მოგება დაბეგვრამდე ანუ წლიური მოგება.

თავი 3. ბუღალტრული ბალანსის ანალიზი

ბუღალტრული ბალანსი არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

ამ თავში განხილული იქნება:

- ბუღალტრული ბალანსის მნიშვნელობა ანალიზში;
- ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზი;
- ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი;
- ბუღატრული ბალანსის კოეფიციენტების ანალიზი.

3.1. ბუღალტრული ბალანსის ანალიზური მნიშვნელობა

ბუღალტრული ბალანსი, როგორ უკვე ითქვა, ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი კომპონენტია. მასში მოცემულია ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შემადგენლობის შესახებ, პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ბუღალტრულ ბალანსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები აგრეთვე „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას“ უწოდებს.

სხვადასხვა სამართლებრივი ტიპის საწარმოთა ბუღალტრული ბალანსები ერთმანეთისაგან, ძირითადად საკუთარი კაპიტალის სტრუქტურით განსხვავდებიან. ცხრილში 3.1.1 - მოცემულია სხვადასხვა სამართლებრივი ტიპის საწარმოთა საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა შედარების მიზნით.

ცხრილი 3.1.1.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა სხვადასხვა იურიდიული ფორმის საწარმოებში

საკუთარი კაპიტალის სტუქტურა სააქციო საზოგადოებაში	საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა ამხანაგობაში	საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა ინდივიდუალურ საწარმოში და შპს-ში
საკუთარი კაპიტალი - სააქციო კაპიტალიპრივილე-გირებულ აქციებში – 3000 -სააქციო კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში – 6000 - საემისიო კაპიტალი – 2000 - სარეზერვო კაპიტალი – 1300 - გაუნაწილებელი მოგება - 1170 --- ჯამი 13470	პარტნიორთა კაპიტალი ძირით. მიმდინარე სულ ანგარიში ანგარიში ლაშხი 10000 8000 18000 ლებანიძე 8000 5000 13000 ლორია 7000 15000 22000 ჯამი 25000 28000 53000	ინდივიდუალური კაპიტალი (საწესდებო კაპიტალი) კაპიტალი წლის დასაწყისში – 9800 წლიური წმინდა მოგება – 3000 მფლობელის მიერ კაპიტალის ჩადება (ან ამოღება) – 1500 --- ჯამი 14300

3.1.1. ცხრილში მოცემული შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ სააქციო საზოგადოებებში თავდაპირველად ინვესტირებულ კაპიტალს „სააქციო კაპიტალი ეწოდება“; ამხანაგობებში - „პარტნიორთა კაპიტალი“ და ინდივიდუალური ტიპის საწარმოებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის საწარმოებში –

„ინდივიდუალური“ ან „საწესდებო კაპიტალი“. სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმობშიც საწყის კაპიტალს საწესდებო კაპიტალი ეწოდება.

სააქციო საზოგადოებების სააქციო კაპიტალი შეიძლება არსებობდეს გამოშვებული ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციების სახით.

ჩვეულებრივი აქციები ისეთი აქციებია, რომელზეც წინასწარ არ არის დადგენილი დივიდენდის უცვლელი განაკვეთი. ამიტომ, მათ მფლობელებს აქვთ ხმის უფლება და მონაწილეობენ კომპანიის მართვაში.

პრივილეგირებულ აქციებზე დადგენილია დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი. მისი მფლობელები არ მონაწილეობენ კომპანიის მართვაში, რადგან მათი დივიდენდი დამოკიდებული არაა აქციების გამომშვები კომპანიის მოგების სიდიდეზე.

აგრეთვე შეიძლება არსებობდეს აქციები გადავადებული დივიდენდებით, რაც იმას გულისხმობს, რომ მათზე დივიდენდი გაიცემა პრივილეგირებული აქციების მფლობელების მოთხოვნებისა და ჩვეულებრივი აქციების მინიმალური დივიდენდების დაფარვის შემდეგ.

საემისო კაპიტალი არის სხვაობა გამოშვებული აქციების გაყიდვის ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის.

გაცემული თამასუქებისა და გამოშვებული ობლიგაციების მფლობელები არ შეიძლება კომპანიის მესაკუთრეები იყოს.

ამხანაგობის ტიპის საწარმოებში საწყისი კაპიტალი არსებობს პარტნიორთა კაპიტალის სახით, რომელიც ორი ტიპის ანგარიშებს - ძირითად და მიმდინარე ანგარიშებს მოიცავს. ძირითადი ანგარიშები ამხანაგობაში პარტნოირთა მიერ შემოტანილ წილს ახასიათებს. ძირითადი ანგარიში არ გამოიყენება ბიზნესიდან პარტნიორის მიერ თანხების ამოღების ან მოგების განაწილებისას. იგი გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების დროს, როგორიცაა: ამხანაგობიდან პარტნიორის გასვლა ან ახლის მიღება და აქტივების გადაფასება. პარტნიორთა მიმდინარე ანგარიში პარტნიორებსა და საწარმოს შორის მუდმივი ოპერაციების აღსარიცხავად გამოიყენება, როგორიცაა: მოგების განაწილება, კაპიტალზე დარიცხული პროცენტები, პარტნიორთა ხელფასები, ამოღებული კაპიტალის ყოველთვიური წილი მოგებიდან (მას მოგების უარყოფით წილსაც უწოდებენ, რადგან გასანაწილებელ მოგებას ამცირებს).

ამხანაგობის ბალანსში გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებლი არაა, რადგან მას როგორც წესი, პარტნიორები მთლიანად ინაწილებენ. ხელშეკრულებით განისაზღვრება პარტნიორების შეტანილი წილი, პარტნიორებს შორის მოგების განაწილების თანაფარდობა, პროცენტი შეტანილ კაპიტალზე, ბიზნესიდან ფულის ამოღების წესი. ასევე, პარტნიორებს შეიძლება დაენიშნოთ ხელფასი საწარმოს ხელმძღვანელობაში მათი მონაწილეობის შესაბამისად, რომელიც ჩვეულებრივ შრომით ხარჯებს არ წარმოადგენს. იგი პარტნიორების კუთვნილი მოგებიდან გამოიქვითება.

მოგება/ზარალის ანგარიშგების შედგენამდე, ჯერ შედგება „პარტნიორთა შორის მოგების განაწილების უწყისი“. პარტნიორებზე განაწილებული თანხები შემდეგ მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აისახება. თითოეული პარტნიორის

კაპიტალის ძირითადი და მიმდინარე ანგარიშების ნაშთები მთავარი საბუღალტრო წიგნიდან საცდელ ბალანსში გადაიტანება, აქედან კი ბუღალტრულ ბალანსში.

ინდივიდუალური ტიპის საწარმოში საწყის კაპიტალს შეიძლება ეწოდოს ინდივიდუალური კაპიტალი ან საწესდებო კაპიტალი (ასევე შპს – ში და სახელმწიფო კომპანიებში). ინდივიდუალური კაპიტალის საწყის ნაშთს ემატება წლიური წმინდა მოგება და მფლობელის მიერ ფულის ბიზნესში ჩადება, ხოლო აკლდება მესაკუთრის მიერ ფულის ამოღება. შედეგად, მიიღება საწესდებო კაპიტალის სიდიდე წლის ბოლოსათვის.

რაც შეეხება მოგებიდან შექმნილ რეზერვებს, იგი შეიძლება ნებისმიერი ტიპის საწარმოში შეიქმნას, თუკი მისი საჭიროება იარსებებს და მფობელები ამას გადაწყვეტენ.

განხილული სამართლებრივი ტიპის საწარმოთაგან, კიდევ უფრო განსხვავებულია არამომგებიანი ორგანიზაციების: კლუბების, საზოგადოებების, საქველმოქმედო ორგანიზაციების, ფონდების და პოლიტიკური ორგანიზაციების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა (იხ. ცხრილი 3.1.2).

ცხრილი 3.1.2

კლუბებისა და საზოგადოებების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა

ა ქ ტ ი ვ ი	თანხა ლარი	პ ა ს ი ვ ი	თანხა ლარი
I. გრძელვადიანი აქტივები		I. საკუთარი კაპიტალი	
– შენობები	5000	ა). საერთო დაგროვილი ფონდი	
– პავილიონი	2000	– ნაშთი წლის დასწყისში	6000
– სხვა დანარჩენი	–	მინუს:	
ჯამი	7000	– დეფიციტი	(550)
		– სპეციალურ ფონდში გადატანა	(500)
		პლუს:	
II. მიმდინარე აქტივები		– შემოსავლების მეტობა ხარჯებზე	–
		ჯამი	4950
– კაფე-ბარის საქონლის მარაგი	1200	ბ). სპეციალური ფონდების დაგრო-	
– წინასწარ გაწეული ხარჯები	300	ვილი ფონდიდან გადმოტანა	500
– ფულადი თანხები	800	ჯამი	5450
– სპეციალური ფონდის აქტივები	500		
– დანარჩენი	–	II. ვალდებულებები	
ჯამი	2800	– კრედიტორები	3000
		– დარიცხვები	1350
სულ	9800	და ა.შ.	–
		ჯამი	4350
		სულ	9800

კლუბებისა და საზოგადოებების საწყის კაპიტალს საერთო ფონდი ან დაგროვილი ფონდი ეწოდება. განსაკუთრებული მიზნებისათვის შეიძლება დაფუძნებულ იქნეს სპეციალური ფონდები, როგორიცაა: სამშენებლო ფონდი, საპრიზო ფონდი, საარჩევნო ფონდი და ა.შ. ეს ფონდები შეიძლება საერთო ანუ დაგროვილი ფონდიდან ან ნაჩუქარი სახსრებიდან შეიქმნას.

მოგებაზე არაორიენტირებული ორგანიზაციები მოგება/ზარალის ანგარიშგების ნაცვლად წარადგენენ შემოსავლებისა და დანახარჯების ანგარიშგებას, რომელიც შეიძლება როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური ფორმატით შედგეს (იხ. ცხრილი 2.1.3).

ცხრილი 3.1.3
საზოგადოებების შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგება

შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ბ ი		დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ე ბ ი	
- საწევრო შენატანები	8000	- გაცემული ხელფასები	5100
- შემოწირულობები	500	- სატელეფონო ხარჯები	1800
- ბანკის პროცენტები	200	- იჯარა	2000
- მოგება კაფე-ბარიდან	150	- სხვადასხვა ხარჯები	500
- და ა.შ.		----------	----------
----------	----------	ჯამი	9400
ჯამი	8850	შემოსავლების დეფიციტი	(550)

აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის ყველაზე რთული და სრული სტრუქტურა სააქციო საზოგადოებებს გააჩნიათ. ამიტომ, ფინანსური ანალიზის მეთოდიკა ძირითადად სამრეწველო ტიპის სააქციო საზოგადოებების ფინანსური ანგარიშგების მაგალითზეა განხილული, როგორც უკვე წინა საკითხებიდან იცით.

ბასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, სააქციო საზოგადოებების ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა შემდეგი სახისაა (იხ. ცხრილი 3.1.4).

ბუღალტრულ ბალანსს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სარკეს უწოდებენ. მასში მოცემულია საწარმოს რესურსებისა და მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, მოცემული თარიღისათვის. ანუ ბალანსის აქტივი ასახავს საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, ხოლო, პასივი – გადაწყვეტილებებს დაფინანსების წყაროების არჩევის შესახებ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფინანსური ანგარიშგების და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ბუღალტრული ბალანსის მეორე მხარეს „პასივს“ არ უწოდებს. ამ ტერმინს არ იყენებს. ბალანსის მეორე მხარს უწოდებს – „ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი“. ჩვენი აზრით, ვინაიდან ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი რესურსების დაფინანსების წყაროა, მართებულია მათი საერთო ცნებით მოხსენიება, როგროც - „პასივი“.

რომელი ტიპის სამართლებრივი საწარმოს ბალანსიც არ უნდა იყოს, ყოველთვის იგი ეყრდნობა შემდეგ ტოლობას, რომელიც საბალანსო ტოლობითაა ცნობილი:

აქტივი = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები

საბალანსო ტოლობის საფუძველზე სხვა ტოლობებიც შეიძლება შედგეს. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

მიმდინარე აქტივები + გრძელვადიანი აქტივები =
= საკუთარი კაპიტალი + მიმდინარე ვალდებულებები + გრძელვადიანი ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი = აქტივები – ვალდებულებები

ცხრილი 3.1.4

ბუღალტრული ბალანსი 2017 წლის 31.17.
(პირობითი სამრეწველო კომპანია „კოლხეთი“)

(ათას ლ)

აქტივი	2017 წ		პასივი	2017 წ	
	1/01	31 / 12		1/01	1/12
I. მიმდინარე აქტივები			**I. ვალდებულებები**		
- ფულადი თანხები	4100	4730	**ა. გრძელვადიანი სესხები**	**5000**	**7040**
- მასალები	1710	3100			
- დაუმთავრებელი პოდუქცია	810	430	**ბ. მიმდინარე ვალდებუ -**		
- მზა პროდუქცია	2000	2500	**ლებები**		
- საქონელი	270	270	- მოკლევადიანი სესხები	-	2560
- მოთხოვნა მიწოდებიდან	1100	2100	- ვალდებულება მოწოდებიდან	4040	4100
- მისაღები პროცენტები	200	250	- გასაცემი ხელფასი	2100	1600
----------	-------	-------	- გადასახდელი პროცენტები	650	570
ჯამი	**10190**	**13380**	- გასაცემი დივიდენდი	-	1640
			- მოგების გადასახადი	-	460
			----------	------	-------
			ჯამი	**6790**	**10930**
			----------	------	------
			სულ ვალდებულებები	**11790**	**17970**
II. გრძელვადიანი აქტივები			**II. საკუთარი კაპიტალი**		
- მიწა	1000	1000	- სააქციო კაპიტალი პრივი-		
- შენობები	6360	10220	ლეგირებულ აქციებში	3000	3000
- დანადგარები	5260	9000	- სააქციო კაპიტალი ჩვეუ-		
- ნაყიდი ობლიგაციცები	2000	2000	ლებრივ აქციებში	5820	7720
- არამატერიალური აქტივები	-	1530	- საემისიო კაპიტალი	2000	2200
----------	------	-------	- უკან გამოსყიდული აქციები	-	(820)
ჯამი	**14620**	**22750**	- მოგებიდან შექმნილი		
			რეზერვები	800	5920
			- გადაფასების რეზერვი	500	140
			- გაუნაწილებელი მოგება	900	-
			----------	------	------
			ჯამი	**13020**	**18160**
ს უ ლ	**24810**	**36130**	**ს უ ლ**	**24810**	**36130**

საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს =
= წმინდა მიმდინარე აქტივი + გრძელევადიანი აქტივები – გრძელვადიანი სესხები
18160 = (13380 – 10930) + 22750 - 7040

ამასთან, ბუღლტრულ ბალანსში ინფორმაცია მოცემულია წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შესწავლილ იქნეს საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ცვლილება წლის განმავლობაში. ბუღალტრული ბალანსი საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს, რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს თავისი ვალდებულებები, რამდენად აქტიურია ბიზნესი, რამდენად არის იგი დამოკიდებლი სხვაზე (კრედიტორებზე), რა რესურსები გააჩნია მოცემულ მომენტში და როგორია მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. აგრეთვე, შეიძლება შეფასდეს, საწარმოში

შენარჩუნებულია თუ არა კაპიტალი, რასაც კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია ეწოდება.

კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფციის თანახმად, საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა აქტივების ფულადი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღემატება წმინდა აქტივების ფულად ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში კაპიტალის ყოველნაირი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდეგ. ფინანსური კაპიტალის შენარჩუნება იზომება ნომინალურ ფულად ერთეულებში ან მუდმივი მსყიდველობითი უნარიანობით.

წმინდა აქტივები მთლიანი ღირებულება აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობის ტოლია ანუ იგივეა რაც საკუთარი კაპიტალი.

ჩვენს მაგალითზე, საანალიზო საწარმოს ბალანსის თანახმად, წმინდა აქტივები წლის ბოლოს 5140 ათასი ლარით (18160–13020) გაიზარდა (ცხრილი 2.1.5). თუ მოხდება წმინდა აქტივების თანხის კორექტირება სააქციო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის და გადაფასების რეზერვების ცვლილებებით, დარიცხული დივიდენდისა და მოგების გადასახადის თანხით, მიიღება წლიური მოგება დაბეგვრამდე – 13120 ათ.ლარი (იხ. ცხრილი 3.1..5).

ცხრილი 3.1..5

სს „კოლხეთის“ საკუთარი კაპიტალის ცვლილება

საკუთარი კაპიტალის მუხლები	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს	გადახრა (+; –)
1. სააქციო კაპიტალი	8 820	10 720	+ 1900
2. საემისიო კაპიტალი	2 000	2 200	+ 200
3. უკან გამოსყიდული აქციები	-	(820)	(820)
4. მოგებიდან შექმნილი რეზერვი	800	5 920	+ 5120
5. გადაფასების რეზერვი	500	140	- 360
6. გაუნაწილებელი მოგება	900	-	- 900
ჯამი	13 020 -	18 160	+ 5140 -

მოგება დაბეგვრამდე (ანუ წლიური მოგება) არაპირდაპირი გზით გამოითვლება შემდეგნაირად:

საკუთარი კაპიტალის საერთო ზრდა	5140
სააქციო კაპიტალის ზრდა	(1900)
საემისიო კაპიტალის ზრდა	(200)
უკან გამოსყიდული აქციების ზრდა	820
გადაფასების რეზერვის შემცირება	360
დარიცხული დივიდენდი	6800
მოგების გადასახადი	1200
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	900
მოგება დაბეგვრამდე	13 120

საკუთარი კაპიტალის საერთო გადახრის კორექტირების დროს, საკუთარი კაპიტალის მხოლოდ იმ მუხლების ცვლილებები გაითვალისწინება, რომლებიც მოგების მუხლებს არ წარმოადგენენ. ოღონდ, მოცემულ შემთხვევაში როგორც ხედავთ, გაანგარიშებაში მონაწილეობს გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის მაჩვენებელი, მაგრამ ეს გამონაკლისია, ვინაიდან მიმდინარე წელს მოხდა მოგების დაბეგვრის წესების შეცვლა და ადრე არსებული გაუნაწილებელი მოგება ამ წლის ფინანსურ შედეგებზე გავლენას ვეღარ ახდენს. მომავალი წლიდან ეს მაჩვენებელი აღარ იარსებებს. იგი შეუერთდება სააქციო კაპიტალს ან მესაკუთრეები პირდაპირ ამოიღებენ კომპანიიდან, თანაც ისე, რომ არ დაიბეგრება.

ბუღალტრული ბალანსის (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების) ინფორმაცია მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური ანალიზის მიზნებისათვის. კერძოდ:

1. ბალანსის ინფორმაციით გამოვლინდება აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის შემადგენელი მუხლების ცვლილების სასურველი და არასასურველი ტენდენციები განვლილი მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში;
2. ბუღალტრული ბალანსი აჩვენებს საწარმოს ფინანსურ პოზიციას. პასუხს იძლევა კითხვაზე: საწარმო ფინანსურად დამოუკიდებელია თუ სხვებზეა (კრედიტორებზეა) დამოკიდებული.
3. ბალანსის ინფორმაცია საშუალებას იძლევა სათანადო დასკვნები გაკეთდეს იმის შესახებ, შეუძლია თუ არა კომპანიას დროულად დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.
4. შეისწავლება საწამოს ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებლები და მათი ტენდენციები;
5. გამოვლინდება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ცვლილების კავშირი ფულადი ნაკადების ცვლილებებთან;
6. გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი კაპიტალი და ფარავს თუ არა მატერიალურ მარაგებს.
7. შეფასდეს კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების მდგომარეობა;
8. ანალიტიკოსს ეხმარება შეისწავლოს და გამოიკვლიოს საწარმოს საქმიანი აქტიურობის ხარისხი;
9. შესაძლებელია კაპიტალის ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი მაჩვენებლის შესწავლა;
10. შესაძლებელია დასკვნების გაკეთება, რამდენად ზრუნავს საწარმოს ხელმძღვანელობა ბიზნესის განვითარებასა და პერსონალის სტიმულირებაზე.

ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად შეისწავლება ბუღალტრული ბალანსის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები, რომლებიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება კერძო (ანუ საკუთარი) ან კომბინირებული ხასიათის იყოს.

I. **ბალანსის მაჩვენებლები** ისეთი მაჩვენებლებია, რომელთა გამოსათვლელად საკმარისია მხოლოდ ბალანის ინფორმაცია. მათ აგრეთვე შეიძლება ბალანსის კერძო (ინდივიდუალური ან ავტონომიურად) მაჩვენებლები ვუწოდოთ. ესენია: ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მაჩვენებლები.

ა. **ბალანსის ვერტიკალური მაჩვენებლებია**: სტრუქტურული კოეფიციენტები, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები, ლიკვიდურობის კოეფიციენტები; საკუთარი საბრუნავი კაპიტალით (სახსრებით) უზრუნველყოფის კოეფიციენტები.

ბ. **ბალანსის ჰორიზონტალური მაჩვენებლებია**: დინამიკური კოეფიციენტები, საკუთარი საბრუნავი კაპიტალის და ფინანსური სტაბილურობის მოცულობითი მაჩვენებლები.

II. **კომბინირებული მაჩვენებლები** ისეთი მაჩვენებლებია, რომელთა გამოთვლა მხოლოდ ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია. ესენია: აქტივების მომგებიანობა, მარაგების ბრუნვადობა, მოთხოვნების ინკასაციის და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი და ნებისმიერი სხვა კოეფიციენტი, რომლის გამოთვლა ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტის ინფორმაციას საჭიროებს.

ბუღალტრული ბალანსის ზოგადი ანალიზით შეიძლება დავასკვნათ არის თუ არა საწარმო გადახდისუნარიანი, გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი სახსრები და ფინანსური სტაბილურობის როგორი პოზიცია უკავია მას.

დადებითი ფინანსური პოზიციის მქონე ბალანსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ექვს ძირითად პირობას:

I. ბალანსის ჯამი წლის ბოლოსათვის უნდა იზრდებოდეს წლის დასაწყისთან შედარებით. ხოლო, მისი ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს ინფლაციის ზრდის ტემპს, მაგრამ არ უნდა უსწრებდეს რეალიზაციის ზრდის ტემპს;

II. მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს ძირითადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს;

III. საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი და ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს გრძელვადიანი აქტივების მოცულობას და ზრდის ტემპს;

IV. საკუთარი კაპტალის წილი აქტივებში არ უნდა იყოს 50%-ზე დაბალი;

V. სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მოცულობა, ტემპი და წილი დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს;

VI. ბალანსში არ უნდა არსებობდეს დაუფარავი ზარალი.

3.2. ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზი

ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზის მეშვეობით შეისწავლება საწარმოს ქონებისა და მისი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, რომელიც ხვედრითი წილის მაჩვენებლებით ხასიათდება. როგორც იცით, **სტრუქტურა ნიშნავს** ნაწილის ხვედრით წილს მთელში.

ბუღალტრული ბალანსის მუხლები უცვლელი არაა. ისინი წინა პერიოდებთან შედარებით შეიძლება შეიცვალონ. ამ ცვლილებების (გადახრების) შესწავლა უკვე იძლევა შთაბეჭდილებას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება საწარმოს ფინანსური შედეგები, მისი გადახდისუნარიანობა.

ბალანსის ვერტიკალური ანალიზი შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით ჩატარდეს:

I. აგრეგირებული ანუ დაჯგუფებული მუხლების მიხედვით, როგორიცაა აქტივის (მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები) და დაფინანსების წყაროების ძირითადი ჯგუფების (ვალდებულბები და საკუთარი კაპიტალის) თანაფარდობის დადგენა;
II. ვერტიკალური სტრუქტურის განხილვა – ბალანსის ყველა მუხლის პროცენტული წილის დახასიათება ბალანსის მთლიანი ჯამის მიმართ;
III. მიმდინარე აქტივების სტრუქტურის შესწავლა;
IV. გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურის შესწავლა;
V. ვალდებულებების სტრუქტურის შესწავლა;
VI. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა;
VII. ანალიზის იმ მიმართულებების განსაზღვრა, სადაც საჭიროა უფრო დეტალური ანალიზის ჩატარება.

საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროებში სასურველია საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი ვალდებულებების წილს აღემატებოდეს, რაც ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

ცხრილი 3.2.1.

საანალიზო საწარმოს აქტივებისა და დაფინანსების წყაროების ზოგადი სტრუქტურა (%-ად)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	წინა წელს	მიმდინარე წელს
1. მიმდინარე აქტივები (10190 * 100 /24810)	41.1	37,0
2. გრძელვადიანი აქტივები (14620 * 100 / 24810)	58,9	63,0
ჯამი	100	100
1. საკუთარი კაპიტალი (13020 * 100 / 24810)	52,5	50,3
2. ვალდებულებები (11790 * 100 / 24810)	47,5	49,7
ჯამი	100	100

(ცხრილი 3.2.1. მომზადებულია ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე. იხ. ცხრილი 3.1.4.)

როგორც 3.2.1. ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმოს აქტივების 50%-ზე მეტი დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს, თუმცა 2017 წელს საკუთარი კაპიტალის წილი 50,3%-მდე შემცირდა, რაც უკვე კრიტიკული ზღვარია და ამდენად, მენეჯმენტისათვის საყურადღებოა. ბუღალტრული ბალანსის პასივის ანუ დაფინანსების წყაროების სტრუქტურული კოეფიციენტები იმავდროულად ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

თვალსაჩინოებისათვის, წარმოდგენილ უნდა იქნეს სტრუქტურული დიაგრამა (იხ. დიაგრამა 3.2.1.). მასზე ნათლად ჩანს მიმდინარე და გრძელვადიანი აქტიივებსი წილი მთელ აქტივებში.

შემდეგ მოხდება მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურის შესწავლა და ამ მიზნით, სტრუქტურული ცხრილები შედგება, რომლისთვისაც გამოიყენება იგივე ბალანსის ინფორმაცია (ცხრილი 3..2.2). შედგება სტრუქტურული დიაგრამაც. თუ აღმოჩნდა რომ იზრდება მოთხოვნების ხვედრითი წილი, ეს იმაზე მიუთითებს, რომ საწარმო დროულად ვერ იღებს თანხებს მყიდველებისაგან, რაც გამოიწვევს ფულადი აქტივების შემცირებას. მატერიალური მარაგების ხვედრითი წილის ზრდა მიანიშნებს რომ მათი ხარჯვის და რეალიზაციის პროცესები შენელდა ან საწარმოო პროგრამა გაიზარდა და მომავალი წლისათვის მეტი მარაგები გახდა საჭირო. ანალიტიკოსმა უნდა გაარკვიოს რა იყო ამის მიზეზი.



დიაგრამა 3.2.1.

საანალიზო საწარმოს აქტივების სტრუქტურა 2017 წელს

3.2.2. ცხრილი აჩვენებს საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსის მთლიან (ვერტიკალურ) სტრუქტურას, რაც იმას ნიშნავს, რომ აქტივის თითოეული მუხლის წილი შეისწავლება მთლიანი აქტივების მიმართ. კერძოდ, 2017 წლის ბოლოსთვის, ფულადი თანხები მთელი აქტივების 13,1%-ს შეადგენდა. მოთხოვნა მიწოდებადან მთელი აქტივის 5,81%-ია. მოკლედ, აქტივებში ყველაზე მაღალი წილი უჭირავს შენობებისა და დანადგარების მუხლებს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან საანალიზო საწარმო სამრეწველო ტიპის კომპანიაა და ბუნებრივია გრძელვადიანი აქტივები მთავარ როლს ასრულებენ.

ასევე, დაფინანსების წყაროების თითოეული მუხლის წილი მთლიანი ჯამის მიმართ აჩვენებს, რომ ძალიან მაღალი იყო გრძელვადაინი სესხების წილი წინა წელს და ოდნავ დაიწია (1 პროცენტული პუნქტით) მიმდინარე წელს. სააქციო კაპიტალის წილი წინა წელს 35,56% იყო, მიმდინარე წელს კი 28,67%-მდე დაეცა, რაც საყურადღებოა მენეჯმენტისათვის. თუმცა ეს შესაძლოა იმის მიზეზიც იყოს, რომ მოგებიდან შექმნილი რეზერვების წილი მიმდინარე წელს ძალიან გაიზარდა. კერძოდ, იგი 3,22%-დან გაიზარდა 16,39%.მდე. თუმცა მოცულობით სააქციო კაპიტალი მიმდინარე წელს გაცილებით მეტია, ვიდრე წინა წელს იყო. ამდენად, ასეთი სურათი შეიძლება სტრუქტურული შეფასების შეზღუდულობის მიზეზიც იყოს, რადგან, ერთი მუხლის პროცენტული წილის ცვლილება იწვევს სხვა მუხლის

ცვლილებას, თუნდაც, მოცულობით იგი საერთოდაც არ შეიცვალოს. მაგალითად, სააქციო კაპიტალი პრივილეგირებულ აქციებში არ შეცვლილა, მაგრამ პროცენტული წილის მაჩვენებლები სხადასხვაა. ასეთ შეზღუდულობას, როგორც ადრე ითქვა, დინამიკური ანალიზი ავსებს.

ცხრილი 3.2.2

სს „კოლხეთის“ ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური სტრუქტუტურა %-ად 2017 წელს

მაჩვენებლები	წლის დასაწყისში		წლის ბოლოს		ხვ/წ-ის გადახრა
	ათ. ლ	ხვ/წ %	ათ. ლ	ხვ/წ %	
აქტივები					
- ფულადი თანხები	4100	16,5	4730	13,09	-3,41
- მასალები	1710	6,89	3100	8,58	+1,69
- დაუმთავრებელი პროდუქცია	810	3,3	430	1,19	-2,11
- მზა პროდუქცია	2000	8,1	2500	6,92	-1,18
- საქონელი	270	1,1	270	0,75	-0,35
- მოთხოვნა მიწოდებიდან	1100	4,4	2100	5,81	+1,41
- მისაღები პროცენტები	200	0,8	250	0,69	-0,11
- მიწა	1000	4,0	1000	2,77	-1,23
- შენობები	6360	25,6	9220	25,52	-0,08
- დანადგარები	5260	21,2	9000	24,91	+3,71
- ნაყიდი ობლიგაციები	2000	6,1	2000	5,54	-0,56
- არამატერიალური აქტივები	-		1530	4,23	+4,23
სულ აქტივები	24810	100	36130	100	-
დაფინანსების წყაროები					
I. ვალდებულებები					
- გრძელვადიანი სესხები	5000	20,15	7040	19,49	-0,66
- მოკლევადიანი სესხები	-	-	2560	7,09	+7,09
- ვალდებულება მოწოდებიდან	4040	16,28	4100	11,35	-4,93
- გასაცემი ხელფასი	2100	8,46	1600	4,43	-4,06
- გადასახდელი პროცენტი	650	2,62	570	1,58	-1,04
- გადასახდელი მოგების გადასახადი	-	-	460	1,27	+1,27
- გასაცემი დივიდენდი	-		1640	14,54	+14,54
- სააქციო კაპიტალი პრივილეგირე-ულ აქციებში	3000	12,09	3000	8,30	-3,79
- სააქციო კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში	5820	23,47	7720	21,37	-3,1
- საემისიო კაპიტალი	2000	8,06	2200	6,09	-1,97
- უკან გამოსყიდული აქციები	-	-	(820)	(2,27)	+2,27
- რეზერვი მოგებიდან	800	3,22	5920	16,39	+13,17
- გადაფასების რეზერვი	500	2,02	140	0,38	-0,64
- გაუნაწილებელი მოგება	900	3,63	-	-	- 3,63
სულ დაფინანსება	24810	100	36130	100	-

ბუღალტრული ბალანსის საერთო სტრუქტურული სურათის დახასიათების შემდეგ ხდება ცალკეული ელემენტების: მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის ტრუქტურის გამოკვლევა.

ცხრილი 3.2.3.

სს „კოლხეთის“ მიმდინარე აქტივების სტრუქტურა

მიმდინარე აქტივები	წლის დასაწყისში		წლის ბოლოს	
	ათას ლ	ხვ.წილი % - ად	ათას ლ	ხვ. წილი %-ად
1. ფულადი თანხები	4100	40,24	4730	35,35
2. მასალები	1710	16,78	3100	23,17
3. დაუმთავრებელი პროდუქცია	810	7,95	430	3,21
4. მზა პროდუქცია	2000	19,63	2500	18,68
5. საქონელი	270	2,65	270	2,02
6. მოთხოვნა მიწოდებიდან	1100	10,79	2100	15,70
7. მისაღები პროცენტები	200	1,96	250	1,87
8. წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-	-	-
----------	----------	----------	----------	----------
ჯამი	10190	100	13380	100

ცხრილში 3.2.3. ხვედრითი წილის კოეფიციენტები, როგორც იცით, გამოითვლება თითოეული შემადგენელი ელემენტის ფარდობით მიმდინარე აქტვების ჯამთან და გამრავებული ასზე. ასე მაგალითად:

4100 * 100 / 10190 = 40,24; 1710 * 100 / 10190 = 16,78 და ა.შ.

ცხრილი 3.2.2.-ის საფუძველზე შეგიძლიათ მოამზადოთ 2.2.1. სტრუქტურული დიაგრამის მსგავსი დიაგრამები.

იმავე 3.2.2 ცხრილიდან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა ფულადი თანხების, მზა პროდუქციისა და მოთხოვნების ნაშთების წილი, რაც შემდეგ შესწავლას მოითხოვს, რათა გაირკვეს, რა არის მათი გამომწვევი მიზეზები. კერძოდ, ხომარ შეფერხდა ან ფულის შემოდინება საწარმოში ან მზა პროდუქციის წარმოების პროცესი და რატომ.

ცხრილი 3.2.4

საანალიზო საწარმოს მიმდინარე აქტივების სტრუქტურა
%-ად 2013-1017 წლებში

მიმდინარე აქტივების მუხლები	2013	2014	2015	2016	2017
1. ფულადი თანხები	26,7	28,4	36,5	40,24	35,35
2. მასალები	12,4	13,6	15,0	16,78	23,17
3. დაუმთავრებელი პროდუქცია	5,6	3,2	5.0	7,95	3,21
4. მზა პროდუქცია	20,3	15,6	20,7	19,63	18,68
5. საქონელი	3,0	4,1	3,2	2,65	2,02
6. მოთხოვნა მიწოდებიდან	8,9	9,0	9,0	10,79	15,70
7. მისაღები პროცეტები	2,0	2,0	3,0	1,96	1,87
ჯამი	100	100	100	100	100

3.2.2. ცხრილის ანალოგიურად მომზადდება **გრძელვადიანი აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული ცხრილები და დაიგრამები. გაკეთდება შესაბამისი დასკვნები.**

სტრუქტურული ცხრილი აგრეთვე საინტერესოა მომზადდეს რამდენიმე წლიანი (მინიმუმ ხუთწლიანი) პერიოდისათვის შემდეგი სახით (იხ. ცხრილი 3.2.4).

ცხრილი 3.2.4-ის მონაცემების მიხედვით, აღებული ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარე აქტივების ჯგუფში იზრდებოდა ფულადი თანხების, მასალების და მოთხოვნების მუხლების ხვედრით წილი. ხოლო მასალების წილი მერყეობით ხასიათდებოდა. მზა პოდუქციის ხვედრითი წილი კი შემცირებულია. რაც შეიძლება გამოწვეული იყოს წარმოების მოცულობის შემცირებით ან რეალიზაციის ტემპების ზრდით.

საკუთარი კაპიტალის ჯგუფში სასურველია იზრდებოდეს მოგებიდან შექმნილი რეზერვების წილი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა წარმოებისა და პერსონალის განვითარებაზე ზრუნავს.

ბალანსის სტრუქტურის მთლიანი სურათი შეიძლება შემდეგნაირად იქნეს წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 3.2.5). მასში წარმოდგენილია ბალანსის ელემენტების სტრუქტურა 2017 წლის დასაწყისია და ბოლოსათვის.

ამრიგად, ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზი პასუხს იძლევა კითხვებზე: ფინანსურად რამდენად დამოუკიდებელია საწარმო და რა მიმართულებითაა დაბანდებული ფინანსური სახსრები; ბალანსის რომელი მუხლები იცვლება და რა მოცულობით; სავაჭრო მოთხოვნებისა და კრედიტორული დავალიანებების ცვლილების ტემპები როგორ თანაფარდობაშია მარაგების ცვლილების ტემპებთან; საწარმოს გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი სახსრები; პასივებში რა წილი უჭირავს ვალდებულებებს ბიუჯეტთან, თანამშრომლებთან და ბანკებთან

საერთოდ, ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურული ანალიზის დროს უარყოფით მოვლენად ითვლება ფულადი თანხების წილის შემცირება, მარაგებისა და მოთხოვნების წილის ზრდა, ვალდებულებების ზრდა და საკუთარი კაპიტალის წილის შემცირება. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა ნელდება, იზრდება კრედიტორებზე საწარმოს დამოკიდებულების ხარისხი და ფინანსური მდგომარეობა იძაბება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **სტრუქტურული ანალიზის შეზღუდულობას წარმოადგენს** ის გარემობა, რომ აქტივის ან პასივის ერთი რომელიმე მუხლი შესაძლოა თანხობრივად უცვლელი იყოს, მაგრამ ხვედრითი წილის კოეფიციენტი, სხვა მუხლების ცვლილების ზეგავლენით შეიძლება შეიცვალოს. მართლაც, განხილულ მაგალითზე, საქონლის ნაშთები წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს 270 ათასი ლარი იყო, მაგრამ ხვედრითი წილის კოეფიციემტები განსხვავებულია. ასევე, ნაყიდი ობლიგაციების მოცულობა წლის დასაწყისსა და ბოლოს 2000 ათ. ლარი იყო, მაგრამ მისი ხვედრითი წილი 15,14 %-იდან 9,07 %-მდე დაეცა (ცხრილი 2.2.3). ასევე, არ შეცვლილა გადაფასების რეზერვის მოცულობა, მაგრამ მის წილი საკუთარ კაპიტალში 3,84 %-დან, წლის ბოლოსათვის 2,75%-მდე დაეცა. ყოველივე ეს გამოწვეულია დანარჩენი მუხლების ცვლილებების ზეგავლენით.

ცხრილი 3.2.5

სს „კოლხეთის“ ბუღალტრული ბალანსის ელემენტების სტრუქტუტურა %-ად 2017 წელს

მაჩვენებლები	წლის დასაწყისში		წლის ბოლოს		ხვ/წ-ის გადახრა
	ათ. ლ	ხვ/წ %	ათ. ლ	ხვ/წ %	
აქტივები					
I. მიმდინარე აქტივები					
- ფულადი თანხები	4100	38,4	4730	35,35	–3,05
- მასალები	1710	16.0	3100	23,17	+7,17
- დაუმთავრებელი პროდუქცია	810	7,58	430	3,21	–4,37
- მზა პროდუქცია	2000	18,72	2500	18,68	-0,04
- საქონელი	270	2,5	270	2.02	-0,03
- მოთხოვნა მიწოდებიდან	1100	10,3	2100	15,70	+5,40
- მისადები პროცენტები	200	1,9	250	1,87	-0,03
- წინასწარ გაწეული ხარჯები	-	-	-	-	
ჯამი	10190	100	13380	100	
II. გრძელვადიანი აქტივები					
- მიწა	-	-	-	-	
- შენობები	7360	50,34	10220	44,92	–5,42
- დანადგარები	5260	35,98	9000	39,56	+3,58
- ნაყიდი ობლიგაციები	2000	13,68	2000	8,79	-4,89
- არამატერიალური აქტივები	-	-	1530	6,73	+6,73
ჯამი	14620	100	22750	100	-
სულ აქტივები	24810	-	36130	-	-
დაფინანსების წყაროები					
II. ვალდებულებები					
- გრძელვადიანი სესხები	5000	42,41	7040	39,18	–3,23
- მოკლევადიანი სესხები	-	-	2560	14,25	+14,25
- ვალდებულება მოწოდებიდან	4040	34,27	4100	22,82	–11,45
- გასაცემი ხელფასი	2100	17,81	1600	8,90	–8,91
- გადასახდელი პროცენტი	650	5,51	570	3,17	–2,34
- გადასახდელი მოგების გადასახადი	-	-	460	2,56	+2,56
- გასაცემი დივიდენდი	-	-	1640	9,12	+9,12
მიმდინარე ვალდებულებები	6790		10930		-
სულ ვალდებულებები	11790	100	17970	100	-
III. საკუთარი კაპიტალი					
- სააქციო კაპიტალი პრივილეგირებულ აქციებში	3000	23,04	3000	16,52	-6,52
- სააქციო კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში	5820	44,71	7720	42,51	-2,2
- საემისიო კაპიტალი	2000	15,36	2200	12,11	-3,25
- უკან გამოსყიდული აქციები	-	-	(820)	(4,51)	(4,51)
- რეზერვი მოგებიდან	800	6,14	5920	32,60	26,46
- გადაფასების რეზერვი	500	3,84	140	0.77	-3,07
- გაუნაწილებელი მოგება	900	6,91	-	-	-6,91
ჯამი	13020	100	18160	100	
სულ დაფინანსება	24810		36130		

საწარმოს ბუღალტრული ბალანსი ითვლება აბსოლუტურად ლიკვიდურად, ანუ არ არსებობს ვალდებულებების დაფარვის რაიმე საფრთხე, როცა დაცულია შემდეგი პირობები:

ფული და მისი ეკვივალენტები ≥ ვადადამდგარი ვალდებულებები;

ფულის, მისი ეკვივ. და დებიტ დავ. ჯამი ≥ მოკლევადიანი ვალდებულებები

მატერიალური მარაგები ≥ ვალდებულება მოწოდებიდან

გრძელვადიანი აქტივები ≥ პრმენენტული კაპიტალი (გრძელვად. ვალდ. და საკუთ. კაპ. ჯამი)

სტრუქტურული ანალიზის ამ შეზღუდულობას ავსებს დინამიკური ანალიზი, რომელსაც ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალურ ანალიზს უწოდებენ.

3.3. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზი

ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზის დროს შეისწავლება მისი მუხლების ცვლილების ტენდენციები რამდენიმე წლიანი პერიოდისათვის.

ჰორიზონტალური ანალიზის დროს გამოითვლება და შეისწავლება აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის დინამიკური კოეფიციენტები პროცენტულად, საბაზისო წელთან შედარებით; წმინდა მიმდინარე აქტივების (ანუ წმინდა საბრუნავი კაპიტალის) და საკუთარი საბრუნავი სახსრების დინამიკა; ფინანსურის სტაბილურობის მოცულობითი მაჩვენებლების დინამიკა.

დინამიკის მაჩვენებლები ახასიათებენ, თუ რამდენი პროცენტით შეიცვალა ესა თუ ის მაჩვენებელი წინა საბაზისო წელთან შედარებით.

ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზის დროს საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

I. დინამიკური ცხრილების შედგენა მიმდინარე წლის დასაწყისთან შედარებით და შემდეგ რამდენიმეწლიანი პერიოდისათვის (იხ. ცხრილი 2.3.1.და 2.3.2);
II. დინამიკის მხოლოდ პროცენტული ცხრილის შედგენა თვალსაჩინოებისა და პრეზენტაციისათვის (იხ. ცხრილი 2.3.3).
III. წმინდა მიმდინარე აქტივების (საკუთარი საბრუნავი სახსრების) დინამიკის ცხრილის მომზადება;
IV. დასკვნები და ინტერპრეტაციები ყოველი ცხრილის მომზადების შემდეგ.
V. მიმდინარე აქტივების და ძირითადი საშუალებების მდგომარეობის გამოკვლევა;
VI. უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა ვადაგადაცილებული ვალდებულებები.

ცხრილი 3.3.1
სს „კოლხეთის“ ბალანსის მთავარი ელემენტების ცვლილება 2017 წლის დასაწყისთან შედარებით

ბალანსის ელემენტები	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს	ცვლილება	
			ათ. ლ.	%-ად
- მიმდინარე აქტივები	10 190	13 380	+ 1170	+ 10,9
- გრძელვადიანი აქტივები	14 620	22 750	+ 7910	+ 55,9
სულ აქტივები	**24 810**	**36 130**	**+ 11320**	+ 45,6
- საკუთარი კაპიტალი	13 020	18 160	+ 5140	+ 39,4
- ვალდებულებები	11 790	17 970	+ 6180	+ 52,4

პირველ რიგში განიხილება ბალანსის მთავარი განაყოფების პროცენტული ცვლილება წლის დასაწყისთან შედარები (იხ. ცხრილი 3.3.1). ცხრილის მაჩვენებლებიდან ჩანს, შემდეგი დადებითი ტენდენციები: აქტივების მოცულობა წლის დასაწყისთან შედარებით 45,6%-ით გაზრდილია. საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი ჩამორჩება ვალდებულებების ზრდის ტემპს, და მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი ჩამორჩება ძირითადი საშუალებების ზრდის ტემპს,
რაც არასასურველი მოვლენებია.

ცხრილში 3.3.2. წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის რიცხვითი მნიშვნელობები და გამოთვლილია დინამიკის პროცენტული მაჩვენებლები. დინამიკური კოეფიციენტები გამოთვლილია ერთი საბაზისო 2013 წლის მიმართ, რაც იძლევა ბალანსის მუხლების ცვლილებების ტენდენციის შეფასების საშუალებას საანალიზო პერიოდის განმავლობაში (იხ. ცხრილი 3.3.2). ამ ცხრილის საფუძველზე შედგება ბალანსის ელემენტების დინამიკის გრაფიკი.



დიაგრამა 3..3..1
ბალანსის ძირითადი ელემენტების დინამიკა

1 – მიმდინარე აქტივები
2 – გრძელვადიანი აქტივები
3 – საკუთარი კაპიტალი
4 – ვალდებულებები

ცხრილი 3.3.2

სს „კოლხეთის“
ბუღალტრული ბალანსის მუხლების დინამიკის სამუშაო ცხრილი
%-ად 2013 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	საბაზისო 2013 წ. ათ.ლ	2014		2015		2016		2017	
		ათ.ლ	%-ად 2013 წელთან	ათ.ლ	%-ად 2013 წელთან	ათ.ლ	%-ად 2013 წელთან	ათ.ლ	%-ად 2013 წელთან
I. მიმდინარე აქტივები									
-ფულადი თანხები	4200	3900	93	4350	104	4100	98	4730	113
-მასალები	1400	1460	104	1500	107	1710	122	3100	221
-დაუმთავრებელი პროდუქცია	780	800	103	820	105	810	104	430	51
-მზა პროდუქცია	1800	1700	94	1800	100	2000	111	2500	139
-საქონელი	580	500	86	440	76	270	47	270	47
-მოთხოვნა მიწოდებიდან	1000	1100	110	1350	135	1100	110	2100	210
-მისაღები პროცენტები	180	190	105	150	83	200	111	250	139
ჯამი	9940	9650	97	10410	105	10190	103	13 380	135
II. **გრძელვადიანი აქტივე**ბი									
-მიწა	1000	1000	100	1000	100	1000	100	1000	100
-შენობები	5000	5200	104	5150	103	6360	127	9220	184
-დანადგარები	4760	4580	96	4900	103	5260	111	9000	189
-ობლიგაციები	2000	2000	100	2000	100	2000	100	2000	100
-არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	-	-	1530	-
ჯამი	12760	12780	100	13050	102	14620	115	22750	178
სულ აქტივები	22700	22430	99	23460	103	24810	109	36130	159
I. ვალდებულებები:									
-გრძელვადიანი სესხები	4200	4000	95	4300	102	5000	119	7040	168
-მოკლევადიანი სესხები	-	-	-	-	-	-	-	2560	-
-ვალდებულება მოწოდებიდან	3760	3500	93	3820	102	4040	107	4100	109
-გასაცემი ხელფასი	1900	1860	98	1900	100	2100	111	1600	84
-გადასახდელი პროცენტი	1800	640	36	700	39	650	36	570	32
-მოგების გადასახადი	200	-	-	-	-	-	-	460	230
-გასაცემი დივიდენდი	900	-	-	-	-	-	-	1640	182
ჯამი	12760	10000	78	10720	84	11790	92	17970	141
II. საკუთარი კაპიტალი									
-სააქციო კაპიტალი	5730	8190	143	8500	148	8820	154	10720	187
-საემისიო კაპიტალი	1500	1600	107	1150	77	2000	133	2200	147
-უკან გამოსყიდული აქციები	-	-	-	-	-	-	-	(820)	-
-რეზერვები მოგებიდან	1100	1200	109	800	73	800	73	5920	538
-გადაფასების რეზერვი	580	580	100	790	136	500	86	140	24
-გაუნაწილებელი მოგება	1030	860	83	1500	146	900	87	-	-
ჯამი	**9940**	**12430**	**125**	**12740**	**128**	**13020**	**131**	**18160**	**183**
სულ დაფინანსება	**22700**	**22430**	**99**	**23460**	**103**	**24810**	**109**	**36130**	**159**

2.3.1. დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად წინ უსწრებდა გრძელვადიანი აქტივების ტემპებს. ეს უკანსკნელი პირიქით, ყოველწლიურად მცირდებოდა, 2017 წელს კი ერთბაშად ძალიან მაღალი ტემპით გაიზარდა და გაუსწრო მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპს. ეს მიანიშნებს ძირითადი საშაულებების განახლების არაორგანიზებულ დაგეგმვაზე. საკუთარი

კაპიტალისა და ვალდებულებების ზრდის ტემპები მაღალია, ვიდრე მიმდინარე აქტივების ტემპები, რაც რესურსების გამოყენების დაბალ ეფექტიანობასა და ბიზნესის შენელებულ აქტივობაზე მიუთითებს.

ცხრილი 3.3.3

სს „კოლხეთის“ ბუღალტრული ბალანსის მუხლების დინამიკა %-ად 2013 წელთან

მაჩვენებლები	საბაზისო 2013	2014	2015	2016	2017
I. მიმდინარე აქტივები					
- ფულადი თანხები	100	93	104	98	113
- მასალები	100	104	107	122	221
- დაუმთავრებელი პროდუქცია	100	103	105	104	51
- მზა პროდუქცია	100	94	100	111	139
- საქონელი	100	67	67	90	90
- მოთხოვნა მიწოდებიდან	100	110	135	110	210
- მისაღები პროცენტები	100	105	83	111	139
ჯამი	100	97	105	107	119
II. **გრძელვადიანი აქტივებ**ი					
- მიწა	100	-	-	-	-
- შენობები	100	103	103	123	148
- დანადგარები	100	96	103	111	189
- ობლიგაციები	100	100	100	100	100
- არამატერიალური აქტივები	100	-	-	-	-
ჯამი	100	100	102	111	173
სულ აქტივები	100	99	103	109	149
I. ვალდებულებები:					
- გრძელვადიანი სესხები	100	95	102	119	168
- მოკლევადიანი სესხები	100	-	-	-	-
- ვალდებულება მოწოდებიდან	100	93	102	107	109
- გასაცემი ხელფასი	100	98	100	111	84
- გადასახდელი პროცენტი	100	36	39	36	32
- მოგების გადასახადი	100	-	-	-	230
- გასაცემი დივიდენდი	100	-	-	-	182
ჯამი	100	78	84	92	123
II. საკუთარი კაპიტალი					
- სააქციო კაპიტალი	100	143	148	154	187
- საემისიო კაპიტალი	100	107	77	133	147
- უკან გამოსყიდული აქციები	100	-	-	-	-
- რეზერვები მოგებიდან	100	109	73	73	436
- გადაფასების რეზერვი	100	100	136	86	24
- გაუნაწილებელი მოგება	100	83	146	87	161
ჯამი	100	125	128	131	183
სულ დაფინანსება	100	99	103	109	159

ცხრილი 3.3.2. – სამუშაო ცხრილია. ამიტომ, მასში მოცემულია თანხობრივი და პროცენტული მაჩვენებლები ერთად. საბაზისო წლად აღებულია 2013 წელი და, როგორც უკვე იცით, ყველა მომდევნო წლის მაჩვენებელი 2013 წლის მაჩვენებლებთან არის შეფარდებული. 100-ის ზემოთ პროცენტული მაჩვენებელი – მატებას, 100-ზე ქვემოთ კი შემცირებას ნიშნავს. მაგალითად, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს ფულადი თანხების ზრდის ტემპი შემცირდა 7%-ით, 2015 წელს მატებამ შეადგინა 4% და ა.შ. 2017 წელს კი ფულადი თანხები 13%-ით გაიზარდა. ამდენად, აღებული ხუთი წლის განმავლობაში ფულადი თანხების ნაშთების ტემპები მერყეობით ხასიათდება, რაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენს და საწარმოს გადახდისუნარიანობის ცვალებადობაზე მიუთითებს. მენეჯმენტმა უნდა გაარკვიოს მისი გამომწვევი მიზეზები და აღმოფხვრას იგი.

ანალოგიურად გამოითვლება დინამიკის მაჩვენებლები ბალანსის ყველა ელემენტის მიხედვით. შემდეგ, უფრო თვალსაჩინოებისა და პრეზენტაციისათვის მოსახერხებელია ახალი ცხრილის შედგენა (იხ. ცხრილი 3.3.3), რომელშიც მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლები გადაიტანება. ეს ცხრილი თვალსაჩინოდ აჩვენებს ბალანსის მუხლების დინამიკურ ცვლილებებს, ვიდრე წინა 3.3.2. ცხრილი, რადგან მასში მხოლოდ დინამიკური საპროცენტო მაჩვენებლებია წარმოდგენილი. ამიტომ, ანალიზური ცხრილის მომზადების შემდეგ აუცილებელია მომზადდეს ასეთი სახის ცხრილი და დასკვნების გაკეთება უფრო მარტივდება.

ასე მაგალითად: ფულადი ნაკადებისა და დაუმთავრებელი პროდუქციის ნაშთები შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოს შეფერხება აქვს საწარმოო ციკლში. მოთხოვნების ნაშთები ძალიან მაღალი ტემპებითაა გაზრდილი, რაც იმაზე მიუთითებს რომ საწარმო დროზე ვერ იბრუნებს თანხებს მყიდველებიდან.

3.3.3. ცხრილის ინფორმაციის საფუძველზე აიგება დინამიკური გრაფიკები ტენდენციების შედარებითი დახასიათების მიზნებისათვის.

ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზის დროს აგრეთვე შეისწავლება წმინდა მიმდინარე აქტივების დინამიკაც, რომელიც არის სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის. მაგრამ, იგი ყოველთვის შეიძლება არ წარმოადგენდეს საკუთარ საბრუნავ სახსრებს. ამას მიმდინარე აქტივების მართვის სტრატეგია განსაზღვრავს. კერძოდ, თანამედროვე მიდგომებით, შესაძლებელია მიმდინარე აქტივები არა მხოლოდ მოკლევადიანი სესხით, არამეგ, გრძელვადიანი სესხებითაც დაფინანსდეს. დაწვრილებით წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზის საკითხები განხილულ იქნება მეშვიდე თავში, ამიტომ აქ მეტად აღარ შევეხებით.

3.4. ბუღალტრული ბალანსის ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტების ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მესამე მიმართულება, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის შემდეგ, არის კოეფიციენტების ანალიზი. მაგრამ, როგორც ადრე უკვე ვისაუბრეთ, არის ისეთი კოეფიციენტები, რომლებიც ერთი რომლიმე სახის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშება და ისეთებიც, რომელთა გამოსათვლელად ანგარიშგების ერთი რომელიმე კომპონენტის ინფორმაცია არ კმარა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოკიდებულების მიხედვით ჩვენ მართებულად მიგვაჩნია გამოიყოს ანგარიშგების კერძო (ანუ ინდივიდუალური) და კომბინირებული კოეფიციენტები.

უცხოურ ლიტერატურაში *მეცნიერები არ იყენებენ ტერმინს "ფინანსური ანგარიშგების კერძო კოეფიციენტები", მაგრამ ჩვენ ვთვლით რომ შეიძლება ამ ცნების გამოყენება. მაგალითად, მეცნიერ-ეკონომისტი კაპლანი, იყენებს შემდეგ განსაზღვრებებს: ბალანსის ანუ საბალანსო (ბალანსური) კოეფიციენტები, მოგება/ზარალის ანგარიშგების კოეფიციენტები, ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტები და იხილავ ყველა კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ანგარიშგების რომელიმე ერთი კომპონენტის თუ რამდენიმე კომპონენტის ინფორმაციის საფუძველზე.*

ჩვენი აზრით, თუ კოეფიციენტის გამოთვლას რომელიმე ორი ან სამი სახის ანგარიშგების კომპონენტის ინფორმაცია ჭირდება, მას მართებულია კომბინირებული კოეფიციენტები ვუწოდოთ.

ბუღალტრული ბალანსის ინდივიდუდალური მაჩვენებლები ისეთი აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლებია, რომელთა გამოთვლა მხოლოდ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზეა შესაძლებელი. ესენია:

I. **ბალანსის სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები,** რომელთა ანალიზის მეთოდიკა განხილულია წინა საკითხებში;

II. **ლიკვიდურობის კოეფიციენტები**. მათ მიეკუთვნება აბსოლუტური, სწრაფი და საერთო ლიკვიდურობის კეოფიციენტები და აჩვენებენ, რამდენად შეუძლია საწარმოს არსებული და მისაღები ფულით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოითვლება მიმდინარე აქტივების შემადგენელი ჯგუფების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. ამ კოეფიციენტების ანალიზის საკითხებს ახლა არ შევეხებით, რადგან იგი თემატურ ანლიზში იქნება განხილული.

III. **ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებლები** – ახასიათებენ რამდენად ფარავს საკუთარი საბრუნავი საშუალებები და დაფინანსების „ნორმალური" წყაროები მატერიალურ მარაგებს;

IV. **ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლებია** ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები და სხვა.

V. **წმინდა მიმდინარე აქტივები და საკუთარი საბრუნავი საშუალებები**. ეს უკანსკნელი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც დაბანდებულია მიმდინარე აქტივებში.

VI. **ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი კოეფიციენტი,** როგორიცაა აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. აგრეთვე, ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაიტალთან. თუ ეს კოეფიცენტები ერთზე მეტია, მაშასადამე ფინანსური რისკები არსებობს.

ბუღალტრული ბალანსის კომბინირებული მაჩვენებლებია:

I. აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლები, რომელთა გამოანგარიშებას ჭირდება ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია;
II. საკუთარი კაპიტალის უკუგების მაჩვენებლები, რომელთა გაანგარიშებას ჭირდება ბალანსისა, საკუთარი კაპიტალის და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია;
III. საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლები – მათ გამოთვლას ჭირდება ბალნასისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი კერძო და კომბინირებული მაჩვენებლების ანალიზის დროს შეისწავლება ამ მაჩვენებლების დინამიკა, გამოვლინდება გადახრები, ჩატარადება მათი ფაქტორული და კორელაციური ანალიზი, რაც შემდეგ თავებში, თემატურ ანალიზში იქნება განხილული.

ამდენად, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის ანალიზი პასუხობს კითხვებზე: აქვს თუ არ საწარმოს საკმარისი საკუთარი კაპიტალი, მოცემულ მომენტში შეუძლია თუ არა დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები, როგორია მატერიალური მარაგების დაფინანსების სტრატეგია და ფინანსური სტაბილურობის ხარისხი. შენარჩუნებულია თუ არა კაპიტალი და იზრდება თუ არა ბიზნესი.

ზოგადად, ბუღალტრული ბალანსი მაშინაა პოზიტიური, თუკი მიმდინარე ატივების ზრდის ტემპი წინ უსწრებს გრძლვადიანი აქტივების ზრდის ტემს, სკაუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი წინ უსწრებს ვალდებულებებს ზრდის ტემპს და ბალანსში არაა ზარალი.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. დაასახელეთ საბალანსო ტოლობის მაგალითები;
2. ახსენით ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზის არსი;
3. დაასახელეთ ბუღალტრული ბალანის კერძო და კომბინირებული მაჩვენებლები.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **ბუღალტრულ ბალანსში მიმდინარე წლის განმავლობაში ვალდებულებები გაიზარდა** 34 მლნ ლარით, აქტივები გაიზარდა 20 მლნ ლარით.
   როგორ შეიცვლებოდა საკუთარი კაპიტალი:
   ა. შემცირდება 14 მლნ ლარით
   ბ. გაიზრდება 20 მლნ ლარით
   გ. შემცირდება 34 მლნ ლარით
2. **გრძელვადიანი აქტივები გაიზარდა 12 მლნ ლარით, ვალდებულებები გაიზარდა 7 მლნ** ლარით, საკუთარი კაპიტალი შემცირდა 3 მლნ ლარით.
   როგორ შეიცვლებოდა მიმდინარე აქტივები:
   ა. შემცირდებოდა 10 მლნ ლარით
   ბ. გაიზრდებოდა 3 მლნ ლარით
   გ. შემცირდებოდა 8 მლნ ლარით
3. **ბუღალტრულული ბალანსის კოეფიციენტებია:**
   ა. მიმდინარე და აბსოლუტური ლიკვიდურობის
   ბ. მიმდინარე ლიკვიდურობის და აქტივების მომგებიანობის
   გ. ფულის ბრუნვის რიცხვი
4. **რომელი ტოლობაა სწორი:**
   ა. საკუთარი კაპიტალი = აქტივები + ვალდებულბები
   ბ. საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს = წმინდ მიმდიანრე აქტივი +გრძელვადიანი აქტივი – გრძელვადიანი სესხები
   გ. საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს = წმინდ მიმდიანრე აქტივი +გრძელვადიანი აქტივი – გრძელვადიანი სესხები
5. **შემოსავალი რეალიზაციიდან** 380000 ლარია. მოთხოვნები მიწოდებიდან წლის ბოლოს 34800 ლარი და მყიდველებიდან მიღებული ფულადი თანხები 380900 ლარია.
   მოთხოვნების საწყისი ნაშთი უდრის (ლ):
   ა. 34 600
   ბ. 37 800
   გ. 35 700
6. **მიწოდებიდან მოთხოვნების ნაშთების ზრდა ფულად თანხებს:**
   ა. ამცირებს
   ბ. ზრდის
   გ. არ ცვლის
7. **მასალის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ნაშთების ზრდა, ფულად თანხებს:**
   ა. ამცირებს
   ბ. ზრდის
   გ. არ ცვლის
8. **ბალანსში მოთხოვნა მიწოდებიდან წლის ბოლოს გაიზარდა 4500 ლარით, წლიური** შემოსავალი რეალიზაციიდან არის 7500 ლარი.
   რას უდრის მყიდველებიდან მიღებული ფული:
   ა. 3000 ლ
   ბ. 12000 ლ
   გ. 7500 ლ
9. **მიმდინარე წელს დარიცხულია სესხზე გადასახდელი პროცენტი 5000 ლარი. წლის** ბოლომდე გადახდილი იქნა 3400 ლარი.
   რას ნიშნავს სხვაობის თანხა და სად აისახება იგი:
   ა. მოთხოვნა 1600 ლარი, აისახება ბუღალტრულ ბალანსში
   ბ. ვალდებულება 1600 ლარი, აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში
   გ. ვალდებულება 1600 ლარი, აისახება ბუღალტრულ ბალანსში
10. **საწარმოს წმინდა მიმდინარე აქტივი არის:**
    ა. მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ჯამი

ბ. სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და ფულად თანხებს შორის
გ. სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 3.1.

საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსი

(ლარებში)

ბალანსის მუხლები	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
აქტივები		
I. მიმდინარე აქტივები		
1. ფულის ნაშთი	10900	12700
2. მატერიალური მარაგები	17800	19000
3. მოთხოვნა მიწოდებიდან	16300	15000
ჯამი	**45000**	**46700**
II. გრძელვადიანი აქტივები		
1. შენობები	50000	51000
2. მოწყობილობები	23800	25400
3. ნაყიდი ობლიგაციები	10000	11000
ჯამი	**83800**	**87400**
სულ აქტივი	**128800**	**134100**
დაფინანსების წყაროები		
1. გრძლვადიანი სესხები	20000	21000
II. მოკლევადიანი ვალდებულებები		
1. მოკლევადაინი სესხები	10000	12000
2.. ვალდებულება მოწოდებიდან	9600	10000
3. ვალდებულება გასაცემი ხელფასით	7900	6000
4. ვალდებულება ბიუჯეტთან	5400	3000
მიმდ. ვალდებ. ჯამი	**32900**	**31000**
სულ ვალდებულებები	**52900**	52000
II. საკუთარი კაპიტალი		
1. სააქციო კაპიტალი	52000	49000
2. საემისიო კაპიტალი	7000	8000
3. მოგებიდან შექმნილი რეზერვები	16900	25100
ჯამი	75900	82100
სულ პასივები	**128800**	**134100**

ამასთან, მთლიანი წლიური შემოსავალი 195200, მთლიანი წლიური ხარჯი 177000 ლარია. იმავე წლის განმავლობაში გასაცემი დივიდენდი კი 10000 ლარია.

მოთხოვნა: შეამოწმეთ შემდეგი ტოლობები:

1. **საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს** = წმინდა მიმდინარე აქტივები + გრძელვადიანი აქტივები – გრძელვადიანი სესხები;

2. **ფულის ნაშთი**ს ცვლილება = ვალდებულებების ცვლილება – არაფულადი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა

3. **აქტივი წლის ბოლოს =**

= ვალდ. წ.ბოლოს + სააქციო და საემის. კაპ. წის ბოლოს + გადაფასბის რეზერვი წლის ბოლოს + საწყისი გაუნაწილებ. მოგება და რეზერვები + წლ.შემოს. – წლ. ხარჯები – დარიცხული დივიდენდი

ამოცანა 3.2.

ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა

მოთხოვნა: მოამზადეთ პირველ ამოცანაში მოტანილი ბალანსის ვერტიკალური სტრუქტურის ცხრილი.

ამოცანა 3.3.

ერთ-ერთი საწარმოს ოთხი წლის ბუღალტრული ბალანსი შემდეგ ინფორმაციას მოიცავს:

ბალანსის ინფორმაცია (ლარი)

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
I. გრძელვადაინი აქტივები					
-მიწა	10300	10300	11800	11800	13200
-შენობები	24000	24000	26700	26700	29500
-დანადგარები	36700	38000	38000	39500	39500
-სატრანსპორტო საშუალებები	15900	15900	16300	16300	16300
-ავეჯი და ინვენტარი	6000	6000	6000	8900	8900
---	---	---	---	---	---
ჯამი	92900	94200	98800	103200	107400

მოთხოვანა: წარმოადგინეთ მიმდინარე აქტივების მუხლების დინამიკა %-ად 2013 წელთან შედარებით.

თავი 4. მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზი

მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია აჩვენებს ბიზნესის ფინანსურ აქტიურობას პერიოდის განმავლობაში. მასში მოცემულია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი და შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ბიზნესის ფინანსურ-ეკონომიკური ეფექტიანობა.

ამ თავში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- მოგება/ზარალის ანგარიშგების წარდგენა და ანალიზური მნიშვნელობა;
- მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი;
- მოგება/ზარალის ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზი

4.1. მოგება/ზარალის ანგარიშგების წარდგენა და ანალიზური მნიშვნელობა

მოგება/ზარალის ანგარიშგება უპირველესი დოკუმენტია, რომელიც კომპანიამ საფონდო ბირჟაზე უნდა წარადგინოს ვინაიდან, მასში გარდა მოგების მაჩვენებლებისა, წარმოდგენილია მაჩვენებელი - შემოსვალი ერთ აქციაზე, რომელიც საინტერესოა პოტენციური ინვესტორებისათვის.

პოლემიკა: *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში 2009 წლის ცვლილებით, მოგება/ზარალის ანგარიშგებას „სრული შემოსავლების ანგარიშგება“ ეწოდება, თუმცა საწარმოებს შეუძლიათ სახელწოდება კვლავ „მოგება/ზარალის ანგარიშგება“ გამოიყენონ, რაც უფრო მართებულად მიმაჩნია, ვინაიდან, მოგება განისაზღვრება ორი ელემენტით: შემოსავლები და ხარჯები. შემოსავლები კი არ განისაზღვრება შემოსავლებით და ხარჯებით.*

*ამდენად, „სრული შემოსავლების ანგარიშგების“ სახელწოდების შემოღებით, ერთამენთში აღრეულია ცნებები: „**შემოსავალი“ და „მოგება“**. შესაძლოა ეს ინგლისურიდან თარგმანის მიზეზიც იყოს, რადგან ინგლისურში შემოსავალი არის – **Reveniu**. ხოლო – **Income** – ზოგჯერ შემოსავალსაც ნიშნავს და მოგებასაც. მაგალითად, **ბასს 12 - მოგების გადასახდი, ინგლისურად იწერება როგორც - Income Tax.** იმავე მე-12 სტანდარტში **საანრიცხვო მოგება** ინგლისურად არის - **Accounting Profit. აგრეთვე გამოიყენება შემდეგნაირი გამოთქმებიც:** gains and losses (მოგება და ზარალი), profit or losses (მოგება ან ზარალი). ტერმინი „profit“ ბასს 1-ში შემდეგ წინადადებაშიცაა გამოყენებული:*

„An entity shall present all items of income and expense recognised in a period:

(a) in a single statement of comprehensive income, or

*(b) in two statements: a statement displaying components of **profit** or loss (separate statement of comprehensive income) and a second statement beginning with **profit** or loss and displaying components of other comprehensive income (statement of comprehensive income“ (IAS 1 – item 81).*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეკონომიკური თვალსაზრისით მართებულია გამოყენებულ იქნას „მოგება/ზარალის„ ანგარიშგების სახელწოდება მიუხედავად იმისა, იგი ერთი ანგარიშგების თუ ორი ანგარიშგების სახით იქნება წარდგენილი.

მოგება/ზარალის ანგარიშგება შეიძლება ორი მეთოდით მომზადდეს. პირველი, როცა დანახარჯები დაჯგუფებულია ეკონომიკური ელემენტების მიხედვით და

მეორე, როცა დანახარჯები კლასიფიცირებულია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. განვიხილოთ, თითოეული ცალ-ცალკე.

ცხრილი 4.1.1

სს „კოლხეთის“ მოგება/ზარალის ანგარიშგება 2017 წელს
(დანახარჯთა ელემენტების მიხედვით) **(ათ.ლ)**

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ე ბ ი	**თანხა ათ. ლარი**
შემოსავალი რეალიზაციიდან	95 690
დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა	120
მასალის ხარჯები	(44 870)
შრომითი ხარჯები	(32 500)
ცვეთის ხარჯები	(2 240)
სხვა საოპერაციო ფულადი ხარჯები	(2 060)
საოპერაციო მოგება	14 140
საპროცენტო ხარჯები	(1 220)
საპროცენტო შემოსავალი	200
მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება)	13 120
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 200)
წმინდა მოგება	11 920
დარიცხული დივიდენდი	(6 800)
რეზერვები	(5 120)
შემოსავალი ერთ აქციაზე (საბაზისო და გაზავებული)	–

როგორც ხედავთ, ცხრილში 4.1.1. – მოტანილი საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია ერთგვაროვანი სახის ხარჯების ელემენტების სახით. მაგალითად, საწარმოში სულ რამდენი ლარის მასალა დაიხარჯა, მიუხედვად მისი მიზნობრიობისა; სულ რამდენი ლარის შრომითი ხარჯია გაწეული კომპანიაში, მიუხედავად იმისა, რა მიზნით იხარჯებოდა იგი და ა.შ. დანახარჯთა ელემენტების მიხედვით მოგება/ზარალის ანგარიშგების წარდგენა ევალება მატერიალური წარმოების (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მშენებლობის) სექტორის საწარმოებს. შეგახსენებთ, რომ ანალიზში გამოყენებული პირობითი სააქციო საზოგადოება „კოლხეთი“, გარდა საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციისა, ახდენს ნაყიდი საქონლის რეალიზაციას და ნაერთ ანგარიშგებაში მისი შედეგებიც აისახება.

თუკი, მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოები მოგება/ზარალის ანგარიშგებას წარადგენენ დანახარჯთა ფუქნციური დანიშნულების მიხედვით, აუცილებელია დანახარჯთა ელემენტები, ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში გადმოსცენ.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოში მოგების გადასახადის ახალი რეგულაციების საფუძველზე, საწარმოებში აღარ იარსებებს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი, რადგან მოგება მთლიანად განაწილდება სახელმწიფო ბიჯეტს, საწარმოთა მესკუთრეებსა და საწარმოებს შორის.

ცხრილი 4.1.2

მოგება/ზარალის ანგარიშგება
(დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	თანხა ათ. ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	95 690
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(73 600)
მოგება რეალიზაციიდან	**22 090**
კომერციული ხარჯები	(3 300)
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	(4 650)
საოპერაციო მოგება	**14 140**
საპროცენტო ხარჯები	(1 220)
საპროცენტო შემოსავლები	200
მოგება დაბეგვრამდე	**13 120**
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 200)
წმინდა მოგება	**11 920**
დარიცხული დივიდენდი	(6 800)
რეზერვები	(5 120)
შემოსავალი ერთ აქციაზე: **საბაზისო და გაზავებული**	–

ცხრილში 4.1.2. – მოგება/ზარალის ანგარიშგება წარმოდგენილია დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების კლასიფიკაციის საფუძველზე. აქ დანახარჯები კლასიფიცირებულია საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯებად. საწარმოო დანახარჯები: პირდაპირი მასალის, პირდაპირი შრომის და საწარმოო ზედნადები ხარჯების ჯამი წარმოდგენილია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების სახით. ხოლო მარკეტინგის და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები საოპერაციო, მაგრამ არასაწარმოო ხარჯებია.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ასახულია **კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფცია.** ამ კონცეფციის თანხამად საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს ფიზიკური მწარმოებლურობა (ან მიმდინარე სიმძლავრე) აღემატება საწარმოს მწარმოებლურობას (ან რესურსებს ან სახსრებს), რომელიც საჭიროა მიმდინარე სიმძლავრის მისაღწევად. კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციით, მოგება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობის ტოლია.

როგორც წინა საკითხში აღვნიშნეთ, ბუღალტრულ ბალანსში ასახულია კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია და როგორც ხედავთ, ორივე კონცეფციის საფუძველზე გამოთვლილი მოგების მაჩვენებელი ერთი და იგივეა (13120 ლ)..

2009 წლიდან, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან ამოღებულია „საოპერაციო მოგების“ მაჩვენებელი. მაგრამ, საწარმოს ხელმძღვანელობას შიდა მართვისათვის მისი ანალიზი როცა დაჭირდება, ინფორმაცია შეუძლია თავისუფლად მოიპოვოს.

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგება/ზარალის ანგარიშგებას მეორე სახელწოდება: „სრული შემოსავლების ანგარიშგება“ ეწოდა. იგი შეიძლება წარდგენილ იქნას ერთი ანგარიშგების ან ორი ანგარიშგების სახით [იხ. ბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა] ერთი ანგარიშგების სახით წარდგენილი „სრული შემოსავლების ანგარიშგების“ ფორმატი შემდეგნაირია (იხ. ცხრილი 4.1.3). როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველი ნაწილი მოიცავს ჩვეულებრივი სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებულ მოგება-ზარალს. მეორე ნაწილში კი დანარჩენი ოპერაციებიდან მიღებული მოგება/ზარალია წარმოდგენილი, რაც არ წარმოადგენს საწარმოს ჩვულებრივი საქმიანობის ნაწილს.

საწარმო სრული შემოსავლების ანგარიშგებას ორი ანგარიშგების სახით თუ წარადგენს, მაშინ, ერთი არის „მოგებისა და ზარალის“ ანგარიშგება და მეორეა „სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება“. შინაარსი ერთი და იგივეა ოროვე ტიპის ფორმატის დროს.

ამრიგად, **პირველ ნაწილში** წარმოდგენილია ჩვეულებრივი საქმიანობიდ ამიღებული შემოსავლები და ხარჯები, რომელთა შორის სხვაობის შედეგად მიღებულია „**საანგარიშგებო წლის მოგება**“, რომელიც რეალურად წმინდა მოგებაა. აქაც ტერმინოლოგიური გაუგებრობაა.

მეორე ნაწილში მოცემულია დანარჩენი ოპერაციებიდან მიღებული მოგება ან ზარალი და გამოთვლილია მათ შორის სხვაობა - „**საანგარიშგებო წლის სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გამოკლებით“**.

„მთლიანი სრული შემოსავალი არის პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებით და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციონერებთან შესრულებული ოპერაციეით“ [ბასს 1, მუხლი 7].

მთლიანი სრული შემოსავალი მოიცავს „მოგებისა ან ზარალის“ და „სხვა სრული შემოსავალი“ მუხლების ყველა კომპონენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პირევლ სტანდარტში მითითებულია: „მართალია ამ სტანდარტში გამოიყენება „სხვა სრული შემოსავალი“, „მოგება ან ზარალი“ და „მთლიანი სრული შემოსავალი“, მაგრამ საწარმოს ჯამური მუხლების აღსანიშნავად შეუძლია სხვა ტერმინების გამოყენება, თუ მათი შინაარსი ნათელი იქნება. მაგალითად, საწარმოს „მოგებისა ან ზარალის“ აღსანიშნავად შეუძლია ტერმინი „წმინდა შემოსავალი“ გამოიყენოს“ [ბასს 1, მუხლი 8].

ცხრილი 4.1.3.

2917 წლის სრული შემოსავლების ანგარიშგება

(წარდგენა ერთ ანგარიშგებაში)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	თანხა (ათ.ლ)
I. მოგება/ზარალი	
ამონაგები	95 690
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(73 600)
საერთო მოგება (მოგება რეალიზაციიდან)	22 090
დანარჩენი შემოსავალი	200
კომერციული დანახარჯები	(3 300)
ადმინისტრაციული ხარჯები	(4 650)
სხვა ხარჯები	-
ფინანსური დანახარჯები	(1 220)
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	-
მოგება დაბეგვრამდე	**13 120**
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 200)
წლიური მოგება განგრძობითი საქმიანობიდან (წმინდა მოგება)	**11 920**
საანგარიშგებო წლის ზარალი შეწყვეტილი სამიანობიდან	–
საანგარიშგებო წლის მოგება	**11 920**
II. **სხვა სრული შემოსავალი**	
- უცხოური ქვედანაყოფის ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობები	–
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	–
- ფულადი ნაკადების ჰეჯირება	–
- ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა	–
- აქტუარული შემოსულობა (ზარალი) დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამებიდან	–
- მეკავშირე საწარმოების სხვა სრული შემოსავლების წილი	–
- სხვა სრული შემოსავლების კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	–
საანგარიშგებო წლის სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გამოკლებით	
სულ საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი	**11 920**
მოგება მისაკუთვნებელი:	
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე	
არამაკონტროლებელ წილებზე	
სულ სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:	
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე	
არამაკონტოლებელ წილებზე	
შემოსავალი ერთ აქციაზე (ფულად ერთეულებში):	
საბაზისო და გაზავებული	

როგორც 4.1.3. ცხრილიდან ჩანს, სხვა სრული შემოსავლების მუხლებში შედის აქტუარული შემოსულობა (ზარალი) დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამებიდან, რომელსაც იწვევს კადრების დენადობის, პენსიაზე ნაადრევად გასვლის, სიკვდილიანობის, ხელფასის, სამედიცინო მომსახურების, დისკონტირების
განაკვეთის ცვლილებები. ამ განაყოფში შედის აგრეთვე ფულადი ნაკადების ჰეჯირების ხარჯები, რომელიც არის მოსალოდნელი რისკებისაგან თავდაცვის ხარჯი.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში კომპანიებმა აგრეთვე უნდა აჩვენონ ერთ აქციაზე **საბაზისო და გაზავებული შემოსავლის მაჩვენებლები.**. ამ მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდიკა მეორე ნაწილის მეათე თავში იქნება განხილული.

მოგება/ზარალის ანგარიშგების მაჩვენებლების ანალიზის შედეგად ინვესტორები იგებენ რამდენად კარგად და გამართულად მუშაობს საწარმო, გამოიმუშავებს თუ არა იგი ფულს. როგორც წესი, საწარმომ მეტი ფული უნდა მიიღოს, ვიდრე ხარჯავს. ამაზე ნათლად მიუთითებს ისეთი ვითარება, როცა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლები აღემატება ხარჯებს.

მოგება/ზარალის ანგარიშგება მაშინ ითვლება პოზიტიურად, როცა მასში არ არის ზარალი და შემოსავების ზრდის ტემპები წინ უსწრება დანახარჯების ზრდის ტემპებს.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში არსებობს შემდეგი ტოლობები:

მოგება რეალიზაციიდან =
= შემოსავალი რეალიზაციიდან – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება;

წმინდა მოგება = შემოსვალი – რეალ. თ/ღ + დანარჩენი შემოსავლები – მარკეტინგის ხარჯი – ადმინისტრ. ხარჯი – დანარჩენი ხარჯები – მოგების გადასახადი

ან,

წმინდა მოგება = შემოსავლები – საოპერაციო ხარჯები –არასაოპერაციო ხარჯები – მოგების გადასახადი

(95 690 + 200) – (81 670 – 120) – 1 220 – 1 200 = 11 920 ლ

მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება შეფასდეს:

1. რამდენად მომგებიანად იყენებს საწარმო რესურსებს;
2. როგორია დანახარჯების სტრუქტურული ცვლილებები;
3. როგორია ხარჯების უკუგება;
4. მოგების მაჩვენებლების ზრდის ტემპები;
5. როგორია მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების ტენდენციები;
6. ტარდება რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზი;
7. შეისწავლება ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი კოეიფიცენტი
8. შემუშავებულ იქნება მოგების ზრდის ღონისძიებები.

ამდენად, მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზის მნიშვნელობა მასში გამოიხატება, რომ მის საფუძველზე შეიძლება შესწავლილ იქნეს:

I. მოგება/ზარალის ანგარიშგების მოცულობითი მაჩვენებლები, როგორიცაა: მოგება რეალიზაციიდან, საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება, გაუანწილებლი მოგება, მათი დინამიკა და წილი ხარჯების მიმართ;
II. მოცემულ პერიოდში რამდენი შემოსავალი ჰქონდა საწარმოს, რამდენი დახარაჯა და როგორია სხვაობა მათ შორის;
III. შემოსავლების, ხარჯების და მოგების მაჩვენებლების სტრუქტურისა და დინამიკის კოეფიციენტები;
IV. მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების დინამიკური და ფაქტორული ანალიზი
V. ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი კოეფიციენტის გამოკვლევა.

ამრიგად, მოგება/ზარალის ანგარიშგების მეშვეობით, მის მომხმარებელს შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესაფასებლად. არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოსავლებს, ხარჯებსა და მოგებაში. შემოსავლების ზრდა უკვე პირველი ნიშანია საწარმოს ძლიერების შესახებ. მოგების ზრდა მიუთითებს საწარმოს ეფექტიანობის და მომგებიანობის ზრდაზე და იმის შესახებაც, უმკლავდება თუ არა საწარმო კონკურენტულ ბრძოლას.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში სასურველია შემოსავლების ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს ხარჯების ზრდის ტემპს; საოპერაციო მოგების ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპს, წლიური მოგების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს და წმინდა მოგების ზრდის ტემპი ტოლი ან მეტი უნდა იყოს წლიური მოგების ზრდის ტემპზე.

მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზის საფეხურებია:

1. შემოსავლებისა და ხარჯების ვერტიკალური ანალიზი
2. შემოსავლებისა და ხარჯების ჰორიზონტალური ანალიზი
3. მოგების მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი
4. მოგების მაჩვენებლების გადახრების ანალიზი
5. მოგება/ზარალის ანგარიშგების კერძო და კომბინირებული კოეფიციენტების დინამიკური და ფაქტორული ანალიზი
6. საწარმოს მოგებისა და მომგებიანობის შეფასება და დასკვნების გაკეთება.

4.2. მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზი, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზით იწყება. ვერტიკალური ანალიზის დროს გამოკვლეულ უნდა იქნას:

1. მოგება/ზარალის ანგარიშგების საერთო სტრუქტურული სურათი
2. საწარმოს ხარჯების სტრუქტურის მიმოხილვა
3. შემოსავლების სტრუქტურის მიმოხილვა

მოგება/ზარალის ანგარიშგების სტრუქტურული სურათი მისი მომზადების მეთოდის შესაბამისად მომზადდება. მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალაური ანლიზის დროს, გამოითვლება მისი ყველა მუხლის პროცენტული წილი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მიმართ. იხილეთ ცხრილი 4.2.1, რომელიც მომზადებულია საანალიზო საწარმოს მაგალითზე.

ცხრილი 4.2.1

მოგება/ზარალის ანგარიშგების საერთო სტრუქტურა 2017 წელს

მაჩვენებლები	ათას ლარებში	ხვ/წ %-ად
შემოსავალი რეალიზაციიდან	95 690	100
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(73 600)	(76,9)
მოგება რეალიზაციიდან	22 090	23,1
კომერციული ხარჯები	(3 300)	(3,4)
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	(4 650)	(4,9)
საოპერაციო მოგება	14 140	14,8
საპროცენტო ხარჯები	(1 220)	(1,3)
საპროცენტო შემოსავლები	200	0,2
მოგება დაბეგვრამდე	13 120	13,7
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 200)	(1,3)
წმინდა მოგება	11 920	12,5
დარიცხული დივიდენდი	(6 800)	(7,1)
რეინვესტირებული მოგება	(5 120)	(5,4)

პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოითვლება:

73600 / 95690 * 100% = 76,9% და ა.შ. 11920 / 95690 * 100% = 12,5% და ა.შ.

ამრიგად, გამოთვლები აჩვენებენ, რომ რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების მიმართ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 76,9%-ს შეადგენს; კომერციული ხარჯები 3,4%-ს, საერთო ადმინისტრაციული ხარჯები 4,9%-ს, მოგება რეალიზაციიდან 23,1%-ს, და ასე შემდეგ, მოგების გადასახადი 1,3%-ს და წმინდა მოგება 12,5%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებლები წინა წლების იგივე მაჩვენბელებს უნდა შეუდაროთ და საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა. ხოლო ფინანსურ მენეჯმენტს შეუძლია უფრო ღრმა ანალიზი ჩაატაროს და გამოიკვლიოს მაგალითად, ცალკეული სახის პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალში რა წილი უჭირავს მოგების გადასახადს და ა.შ.

როცა მოგება/ზარალის ანგარიშგება მზადდება დანახარჯთა ელემენტების მიხედვით, მაშინ შეისწავლება დანახარჯთა ცალკეული, ერთგვაროვანი ხარჯის ხვედრითი წილი და ხარჯების სტრუქტურული ცხრილი შემდეგ სახეს მიიღებს (იხ. ცხრილი 4.2.2.).

ცხრილი 4.2.2 მომზადებულია 4.1.1. ცხრილის ინფორმაციის საფუძველზე. ცხრილიდან ჩანს, რომ საანალიზო საწარმოში, ორივე წელს, დანახარჯებში ყველაზე დაბალი ხვედრითი წილი საპროცენტო ხარჯებისა და მოგბს გადასახადის ხარჯის მუხლებს უკავიათ. ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი კი მატერიალურ და

შრომით ხარჯებს უჭირავს. მაშასადამე, შემდგომი ანალიზი ძირითადად ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს.

ცხრილი 4.2.2.
მოგება/ზარალის ანგარიშგების დანახარჯების სტრუქტურა ელემენტების მიხედვით

დანახარჯთა ელემენტები	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ. ლ	ხვ.წ. %	ათ. ლ	ხვ.წ. %
1. მატერიალური დანახარჯები	38 000	55,0	44 870	53,4
2. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა	–	–	(120)	(0,1)
3. შრომითი დანახარჯები	24 900	36,0	32 500	38,7
4. ცვეთა და ამორტიზაცია	2 000	2,9	2 240	2,7
5. ფულადი საოპერაციო ხარჯები	1 900	2,7	2 060	2,5
6. საპროცენტო ხარჯები	1 000	1,5	1 220	1,5
7. მოგების გადასახადის ხარჯი	1 300	1,9	1 200	1,4
სულ ხარჯები	69 100	100	83 970	100

როცა საწარმო მოგება/ზარალის ანგარიშგებას წარადგენს დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, მაშინ, დანახარჯების სტრუქტურა შესაბამისი მიდგომით იქნება შედგენილი (იხ. ცხრილი 4.2.3).

ცხრილი 4.2.3.
მოგება/ზარალის ანგარიშგების დანახარჯების სტრუქტურა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით

შემოსავლები	2016 წელს		2017 წელს	
	ათ. ლ	ხვ.წ. %	ათ. ლ	ხვ.წ.%
1. რაელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	65 400	94,6	73 600	87,7
2. კომერციული ხარჯები	300	0,4	3 300	3,9
3. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	1 100	1,6	4 650	5,5
4. საპროცენტო ხარჯები (სესხებზე)	1 000	1,5	1 220	1,5
5. მოგების გადასახადის ხარჯი	1 300	1,9	1 200	1,4
სულ ხარჯები	**69 100**	**100**	**83 970**	**100**

ცხრილი 4.2.3 მომზადებულია 4.1.2 ცხრილის ინფორმაციის საფუძველზე. ხარჯების სტრუქტურის შედარებისას აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით გაზრდილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების წილი, წინა წელთან შედარებით. ამიტომ მენეჯმენტმა უნდა გადაამოწმოს, რისგან შედგება ეს ხარჯები.

მსგავსად დანახარჯების სტრუქტურისა, მომზადდება შემოსავლების სტრუქტურული ცხრილი (იხ. ცხრილი 4.2.3). ამ ცხრილში წარმოდგენილი რელიზაციიდან მიღებული შემოსავლის მაჩვენებელი რა თქმა უნდა დაემთხვევა 3.1.2. ცხრილში მოცემულ იგივე მაჩვენებლებს.

შემოსავლებში ყველაზე მთავარი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებია და ბუნებრივია, მას მაღალი წილი უჭირავს: წინა წელს - 95,7% და მიმდინარე წელს – 99,8% იყო. ამიტომ, შემდგომი ანალიზის მთავარი ობიექტი ის იქნება.

თუმცა, ფინანსურმა მენჯმენტმა ყურადღების გარეშე არ უნდა დატოვოს საპროცენტო და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები. უფრო სრული სურათი გამოჩნდება, თუკი დანახარჯების სტრუქტურა მინიმუმ განვლილი ხუთწლიანი პერიოდისთვის შეისწავლება.

ცხრილი 4.2.3

შემოსავლების სტრუქტურა

შემოსავლები	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ. ლ	ხვ.წ. %	ათ. ლ	ხვ.წ. %
1. შემოსავალი რეალიზაციიდან	77 800	98,2	95 690	99,8
2. საპროცენტო შემოსავლები	1 400	1,8	200	0,2
3. სხვა შემოსავლები	-	-	–	-
სულ შემოსავლები	79 200	100	95 890	100

სტრუქტურული ცხრილების საფუძველზე მომზადდება შესაბამისი დიაგრამები.

რაც შეეხება „დანარჩენი სრული შემოსავლების“ მუხლებს, მათი სტრუქტურა ცალკე შეისწავლება განხილული სტრუქტურული ანალიზის მეთოდიკის შესაბამისად. ამ ნაწილში განსაკუთრებით საყურადღებოა კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული შედეგები და რისკებისაგან დაცვის პოლიტიკის ანალიზი, რომელსაც გარკვეულწილად ფულადი ნაკადების ჰეჯირების ხარჯები ასახავენ.

4.3. მოგება/ზარალის ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი

მოგება/ზარალის ანგარიშგების სტრუქტურის მიმოხილვის შემდეგ ტარდება ჰორიზონტალური ანალიზი, რომელსაც მიეკუთვნება მოგება/ზარალის ანგარიშგების ელემენტების დინამიკისა და გადახრების მიმოხილვა, მათი ცვლილებების ტენდენციების გამოკვლევა განვლილი რამდენიმეწლიანი პერიოდისათვის.

დავუშვათ საანალიზო საწარმოში არსებობდა განვლილი ხუთი წლის მოგება/ზარალის ანგარიშგების შემდეგი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 4.3.1).

საანალიზო საწარმოს მოგება/ზარალის ანგარიშგების დინამიკური ანალიზი აჩვენებს, რომ 2013-2017 წლების პერიოდში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების და რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპები. მაგრამ, დაბალია საოპერაციო მოგების ზრდის ტემპი, რაც გამოწვეული კომერციული და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის ძალიან მაღალი ტემპით. ინფორმაციის გარე მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე ამან შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს. საწარმოს ფინანსურმა მენეჯმენტმა კი უნდა ჩაატაროს შემდგომი შიგა ანალიზი მისი მიზეზების გამოვლენისა და ვითარების სტაბილურობის მიღწევის მიზნით.

ცხრილი 4.3.1

მოგება/ზარალის ანგარიშგების 2013-2017 წლების დინამიკის სამუშაო ცხრილი

მოგება/ზარალის ელემენტები	2013	2014		2015		2016		2017	
	ათას ლარ-ებში	ათასი ლ	%-ად 2013 წ-თან.	ათასი ლ	%-ად 2013 წ-თან	ათთას ლ	%-ად 2013 წ-თან	ათასი ლ	%-ად 2013 წ-თან
შემოსავალი რაელიზაციიდან	79000	73000	92,4	76000	96,2	77800	98,5	95690	121,1
რეალიზებული პროდ. თ/ღ	(64000)	(62000)	96,9	(64500)	100,8	(65400)	102,2	(73600)	99,4
მოგება რეალიზაციიდან	**15000**	**11000**	**73,3**	**11500**	**76,7**	**12400**	**82,7**	**22090**	**147,3**
კომერციული ხარჯები	(905)	(500)	55,2	(500)	55,2	(300)	33,1	(3300)	364,6
საერთო ადმინისტერ.ხარჯი	(1200)	(1000)	63,3	(1000)	83,3	(1100)	91,7	(4650)	387,5
საოპერაციო მოგება	12895	9500	73,7	10000	77,5	11000	85,3	14140	109,7
სა-% ხარჯები	(1200)	(900)	75,0	(800)	66,7	(1000)	83,3	(1220)	101,7
სა-% შემოსავალი	1800	1600	88,9	1600	88,9	1400	77,8	200	11,1
მოგება დაბეგვრამდე	13495	10200	75,6	10800	80,0	11400	84,5	13120	97,2
მოგების გადასახადი	(1620)	(1200)	74,1	(1250)	77,2	(1300)	117.3	(1200)	74,1
წმინდა მოგება	11875	9000	75,8	9550	80,4	10100	85,1	11920	100,4
წლიური დივიდენდი	(5900)	(4800)	81,4	(5000)	84,7	(7000)	118,6	(6800)	115,3
რეზერვი განვითარებაზე	(2300)	(1700)	73,9	(1800)	78,3	(1000)	43,5	(3120)	135,7
რისკის რეზერვი	(2000)	(1300)	65,0	(1500)	75,0	(1200)	60,0	(2000)	100
გაუნაწილებელი მოგება	1675	1200	71,6	1250	74,6	900	53,7	0	0

დინამიკის სამუშაო ცხრილში (4.3.1) მოცემულია როგორც აბსოლუტური, ასევე პროცენტული მაჩვენებლები. მის საფუძველზე წარმოდგენილ უნდა იქნეს დინამიკა მხოლოდ პროცენტებში (იხ. ცხრილი 4.3.2).

ცხრილი 4.3.2 უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს დინამიკური ტენდენციების სურათს. ამ ცხრილის საფუძველზე აგებული შემოსავლებისა და მოგების მაჩვენებლების დინამიკური გრაფიკები, კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს მათ არასტაბილურობას (იხ. გრაფიკი 4.3.1).



გრაფიკი 4.3.1. ამონაგების და მოგების მაჩვენებლების დინამიკა

1. ამონაგები რეალიზაციიდან; 2. წლიური მოგება

ცხრილი 4.3.2
მოგება/ზარალის ანგარიშგების მუხლების დინამიკა %-ად
2013 წელთან შედარებით

მოგება/ზარალის ელემენტები	2013	2014	2015	2016	2017
შემოსავალი რაელიზაციიდან	100	92,4	96,2	98,5	121,1
რეალიზებული პროდ. თვითღირ.	100	96,9	100,8	102,2	99,4
მოგება რეალიზაციიდან	100	**73,3**	**76,7**	**82,7**	**147,3**
კომერციული ხარჯები	100	55,2	55,2	33,1	364,6
საერთო ადმინისტერ.ხარჯი	100	63,3	83,3	91,7	387,5
საოპერაციო მოგება	100	73,7	77,5	85,3	109,7
სა-% ხარჯები	100	75,0	66,7	83,3	101,7
სა-% შემოსავალი	100	88,9	88,9	77,8	11,1
მოგება დაბეგვრამდე	100	75,6	80,0	84,5	97,2
მოგების გადასახადი	100	74,1	77,2	117.3	74,1
წმინდა მოგება	100	75,8	80,4	85,1	100,4
წლიური დივიდენდი	100	81,4	84,7	118,6	115,3
რეზერვი განვითარებაზე	100	73,9	78,3	43,5	135,7
რისკის რეზერვი	100	65,0	75,0	60,0	100
გაუნაწილებელი მოგება	100	71,6	74,6	53,7	0

შემდეგ შეისწავლება მოგების მაჩვენებლების და მისი ელემენტების გადახრები წინა წელთან და მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით, რადგან საწარმოს მენეჯმენტისთვის გარე მომხმარებლებისაგან განსხვავებით, ხელმისაწვდომია გეგმური ინფორმაცია, რაც უფრო სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

შემდეგ ხდება რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედი ფაქტორების: რეალიზაციის მოცულობის, ფასების და თვითღირებულების ცვლილების გავლენის გაზომვა. მისი მეთოდიკა გადმოცემულია „მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის“ თემაში.

შემდეგ შეიძლება ცალკე იქნეს წარმოდგენილი მხოლოდ მოგების მაჩვენებლების დინამიკური ცხრილი, რისთვისაც ინფორმაცია აიღება 4.3.2 ცხრილიდან. შედგება შემდეგი სახის ცხრილი (იხ. ცხრილი 4.3.4).

4.3.4 ცხრილში უფრო ნათლად ჩანს მხოლოდ მოგების მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები საანალიზო პერიოდის განმავლობაში.

ცხრილი 4.3.3

მოგება/ზარალის ანგარიშგების მუხლების გადახრები

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	წინა წელს ათ.ლ	მიმდინარე წელს ათ.ლ	გადახრა ათ.ლ	გადახრა %-ად
შემოსავალი რაელიზაციიდან	77800	95690	+17890	+22,99
რეალიზებული პოდუქციის თვითღირებულება	(65400)	(63600)	−1800	−2,77
მოგება რეალიზაციიდან	12400	**22090**	+9690	+78,1
კომერციული ხარჯები	(300)	(3300)	+3000	+1000
საერთო ადმინისტერ.ხარჯი	(1100)	(4650)	+3550	+322,7
საოპერაციო მოგება	11000	14140	+3140	+28,5
სა-% ხარჯები	(1000)	(1220)	+220	+22,0
სა-% შემოსავალი	1400	200	−1200	−85,7
მოგება დაბეგვრამდე	11400	13120	+1720	+15,1
მოგების გადასახადი	(1300)	(1200)	−100	−7,7
წმინდა მოგება	10100	11920	+1820	+18,0
წლიური დივიდენდი	(7000)	(6800)	−200	−2,9
რეზერვი განვითარებაზე	(1000)	(3120)	+2120	+212,0
რისკის რეზერვი	(1200)	(2000)	+800	+66,7
გაუნაწილებელი მოგება	900	0	- 900	−100

მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე აგრეთვე შეისწავლება საწარმოს მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები

ცხრილი 4.3.4

მოგების მაჩვენებლების დინამიკა

%-ად საბაზისო 2013 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
1. მოგება რეალიზაციიდან	100	73,3	76,7	82,7	147,3
2. საოპერაციო მოგება	100	73,7	77,5	85,3	109,7
3. წლიური მოგება	100	75,6	80,0	84,5	97,2
4. წმინდა მოგება	100	75,8	80,4	85,1	100,4
5. გაუნაწილებელი მოგება	100	71,6	74,6	53,7	0

. მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების კორელაციური და ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა გადმოცემულია მეთორმეტე თავში.

4.4. მოგება/ზარალის ანგარიშგების ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტების ანალიზი

მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება შესწავლილ იქნეს მისი საკუთარი ანუ კერძო და კომბინირებული ფარდობითი მაჩვენებლები.

I. მოგება/ზარალის ანგარიშგების კერძო ანუ ინდივიდუაური კოეფიციენტებია:

1. სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები,

2. **ფასნამატი, მარჟა, ხარჯების მომგებიანობა,**
3. **მოგების ხარჯტევადობა,**
4. **ფინანსური ლევერიჯის შემდეგი კოეფიციენტები**: საოპერაციო მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან, წმინდა მოგების პროცენტული ცვლილების ფარდობა საოპერაციო მოგების პროცენტულ ცვლილებასთნა, სესხის საპროცენტო ხარჯის ფარდობა წლიურ მოგებასთან, საოპერაციო მოგების პროცენტული ფარდობა რეალიზაციის პროცენტულ ცვლილებასთან.

II. **მოგება/ზარალის ანგარიშგების კომბინირებული კოეფიციენტები** ისეთი მაჩვენებლებია რომელთა გამოსათვლელად საჭიროა მოგება/ზარალისა და ანგარიშგების სხვადასხვა კომპონენტების ინფორმაცია. ესენია:

1. **მომგებიანობის სხვადასხვა კოეფიციენტები**. როგორიცაა, აქტივების ეკონომიკური და ფინანსური მომგებიანობა, საკუთარი კაპიტალის უკუგება, ძირითადი საშუალებების მომგებიანობა და სხვა.
2. **ფასნამატის და მოგების მარჟის კოეფიციენტები**

ანალიზი იწყება ამ კოეფიციენტების დინამიკის შესწავლით. შემდეგ ჩატარდება მათი ფაქტორული და კორელაციური ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და საჭირო წინადადებების შემუშავება. ეს საკითხები მეთორმეტე თავში იქნება განხილული.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში პირველ რიგში საინტერესოა მარჟისა და ფასნამატის კოეფიციენტების დინამიკური ანალიზი. **მარჟა,** როგორც წესი, სხვადასხვა დონეზე შეიძლება იქნას გამოთვლილი, როგორიცაა, მოგების სხვადასხვა მაჩვენებლის ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან და გამრავლებული 100%-ზე. ხოლო, ფასნამატი არის მოგების ფარდობა თვითღირებულებასთან და გამრავლებული 100-ზე. ამ გამოთვლებისათვის საჭიროა 4.3.1. ცხრილის ინფორმაცია.

ცხრილი 4.4.1.
მარჟა და ფასნამატი საანალიზო პერიოდში

კოეფიციენტები	2013	2014	2015	2016	2017
1. მარჟა (%):					
ა. მოგება რეალიზაციიდან, შეფარდებული ამონაგებთან	18,99	15,07	15,13	15,94	23,08
ბ. საოპერაციო მოგების ფარდობა ამონაგებთან	16,33	13,01	13,16	14,14	14,78
2. ფასნამატი (%):					
ა. მოგება რეალიზაციიდან შეფარ-დებული რ/პრ თვიღირებულებასთან	23,44	17,74	17,83	18,96	34,73
ბ. საოპერაციო მოგების ფარდობა რ/პრ სრულ თვითღირებულებასთან	19,51	14,96	15,15	16,47	19,76

მარჟის კოეფიციენტები გამოთვლილია შემდეგნაირად:
2013 წელი:

ა. 15000/79000 * 10% = 18,98 %

ბ. 12895/79000 + 100% = 16,32 %

ფასნამატის კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდიკა:

ა. 15000/64000 * 100% = 23,44 % (ამ მაჩვნებელს მოგების ნორმასაც უწოდებენ)

ბ. 12895/66105 * 100% = 19,51 %

როგორც 3.3.5 ცხრილიდან ჩანს, აღებულ პერიოდში 2017 წლამდე მარჟისა და ფასნამატის კოეფიციენტები შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საანალიზო საწარმოს პროდუქციის ფასები მცირდებოდა. ბოლო წელს კი ოდნავ ზრდა შეინიშნება.

როგორ უკვე აღვნიშნეთ, მოგება/ზარალის ანგარიშგების საფუძველზე ასევე შეისწავლება მომგებიანობის და ფინანსური ლევერიჯის სხვადასხვა კოეფიციენტები, რომელთა ანალიზის მეთოდიკა მეცამეტე თავშია განხილული.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. დაახასიათეთ, მოგების რომელი მაჩვენებლებია წარმოდგენილი მოგება/ზარალის ანგარიშგებაში;
2. დაახასიათეთ მარჟა და ფასნამატი;
3. დაასახელეთ მოგება/ზარალის ანგარიშგების კერძო და კომბინირებული კოეფიციენტები;
4. რას ნიშნავს წმინდა მოგება.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წარმოდეგნილია:**
   ა. შემოსავლები და სააქციო კაპიტალი
   ბ. დანახარჯები და საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული
   გ. შემოსავლები და ხარჯები
2. **წლიური მოგება არის სხვაობა:**
   ა. შემოსავლებსა და ხარჯებს შორის
   ბ. შემოსავლებსა და ფულად ხარჯებს შორის
   გ. დანახარჯებსა და მოგების გადასახადს შორის
3. **რეალიზაციიდან მიღებული მოგება არის სხვაობა:**
   ა. რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და პირდაპირ ხარჯებს შორის
   ბ. რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის
   გ. რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და საპროცენტო ხარჯებს შორის
4. **საოპერაციო მოგება არის სხვაობა:**
   ა. რელიზაციიდან მიღებულ მოგებასა და არასაწარმოო ხარჯებს შორის
   ბ. რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასა და საწარმოო ხარჯებს შორის
   გ. შემოსავლებსა და ხარჯებს შორის
5. **წმინდა მოგება არის სხვაობა:**
   ა. წლიურ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის
   ბ. წლიურ მოგებასა და საოპერაციო მოგებას შორის
   გ. არცერთი პასუხი არაა სწორი
6. **როგორ გამოითვლება მოგების ნორმა:**
   ა. მოგება რეალიზაციიდნ შეფარდებული რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან
   ბ. საოპერაცო მოგება შეფარდებული საწარმოო ხარჯებთან
   გ. თვითღირებულება შეფარდებული წმინდა მოგებასთან

7. როგორ გამოითვლება დანახარჯების უკუგება:
ა. მოგება შეფარდებული აქტივების ჯამთან
ბ. მოგება შეფარდებული ვალდებულებებთან
გ. მოგება შეფარდებული დანახარჯებთან

8. დანახარჯთა ელემენტებია:
ა. ძირითადი ხარჯები და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები
ბ. მასალის, შრომის, ცვეთის და სხვა ფულადი ხარჯები
9. მასალის, საწარმოო ზედანდები და კომერციული ხარჯები

9. მოგება/ზარალის ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს ორი მეთოდით. ესენია:
ა. დანახარჯთა ელემენტების ან ცვლადი ხარჯების მეთოდით
ბ. დანახარჯთა ფუნქციური მუხლებით ან არასაოპერაციო ხარჯების მიხედვით
გ. დანახარჯთა ელემენტების ან დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით

10. საწარმოს წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან 107000 ლარია. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 70000, კომერციული ხარჯები 9000, საერთო ადმინისტრაციული ხარჯები 11800 და საპროცენტო ხარჯები 5700 ლარია.

რას უდრის საოპერაციო მოგება:
ა. 37000 ლ
ბ. 16200 ლ
გ. 10500 ლ

ამოცანები

ამოცანა 4.1.
ერთ-ერთ საწარმოს გააჩნია შემდეგი მაჩვენებლები:
შემოსავალი რეალიზაციიდან 670 000 ლ
საპროცენტო შემოსავალი 8000
საპროცენტო ხარჯები 12000
რეალიზებული პროდქუციის თვითღირებულება 495000
მასალის ხარჯი 219300
შრომითი ხარჯი 160000
ცვეთის ხრჯი 54800
დანარჩენი ფულადი ხარჯები 123900
კომერციული ხარჯები 25000
ადმინისტრაციული ხარჯები 36700
დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა 1300

მოთხოვნა: შეადგინეთ მოგება/ზარალის ანგარიშგება დანახარჯთ ფუნქციული მუხლების მიხედვით

ამოცანა 4.2.
პირველ ამოცანაში მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადეთ მოგებ/ზარალის ანგარიშგება დანახრჯთა ელემენტების მიხედვით.

ამოცანა 4.3.
მეორე ამოცანის ამოხსნის შედეგად მომზადებული მოგება/ზარალის ანგარიშგების საფუძველზე შეადგინეთ ვერტიკალური ანალიზის ცხრილი და გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები.

თავი 5. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი

ფულადი ნაკადების ანალიზი მნიშვნელოვანია საწარმოს ფულადი უსაფრთხოების შეფასებისათვის. ამ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- ფულადი ნაკადების ანგარიშგების როლი ანალიზში;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდიკა;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზი.

5.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ასახავს საწარმოს ფულადი თანხებისა და მისი ეკვივალენტების მიღების წყაროს და გამოყენებას მთელი წლის პერიოდისათვის. იგი მზადდება საკასო პრინციპით ანუ ასახავს უშუალოდ ფულადი თანხების მოძრაობას.

ფულად საშუალებებს (სახსრებს) მიეკუთვნება ნაღდი ფული და ფულის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს ყველაზე მაღალლიკვიდურ ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

ფულადი თანხების ეკვივალენტებია მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), რომელთა დაფარვის ვადა სამ თვემდეა ისე, რომ ვადა დაფიქსირებული არაა, რომლებიც დაუბრკოლებლად შეიძლება გადაიცვალონ ნაღდ ფულზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თუ ფასიან ქაღალდს დაფარვის ვადა აწერია, იგი ფულის ეკვივალენტად არ ჩაითვლება. ფულად ექვივალენტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ოვერდრაფტის უფლება. გამოყენებული ოვერდრაფტი კი ფულადი თანხებიდან გამოიქვითება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, საწარმომ ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში უნდა ასახოს საქმიანობის სფეროების მიხედვით. ამ მოთხოვნის შესაბამისად, ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამი განაყოფისაგან შედგება და ყოველი განაყოფის შემდედ გამოთვლილია „წმინდა ფულადი ნაკადი“, რომელიც უდრის სხვაობას შემოსულ და გასულ ფულად თანხებს შორის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების განაყოფებია:

I. **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** – აქ მოცემულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. როგორიცაა, მყიდველებიდან მიღებული თანხები, მომწოდებლებზე, საწარმოს პერსონალზე და პარტნიორებზე გაცემული თანხები, სამეწარმეო ან სავაჭრო მიზნით

დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული და გაცემული ფულადი თანხები.

საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს მთავარი საქმიანობა, რომელიც მისი ბიზნესისათვის არის დამახასიათებელი, ძირითადად მასზეა კონცენტრირებული დანახარჯები და მოაქვს მთავარი შემოსავლები. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები კი საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას ემსახურება.

ამავე განაყოფში მოცემულია გადახდილი პროცენტები, მოგების გადასახადი და დივიდენდი, რადგან ითვლება, რომ საწარმოს ნორმალური ფინანსური მდგომარეობის დროს, ეს ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხებით უნდა იფარებოდეს.

გარდა ამისა, ის ფულადი ხარჯები, რომელიც არასაწარმოო მიზნით დაიხარჯა, როგორიცაა: რეკლამის, კომუნიკაციის, საკანცელარიო, ქირის, დაზღვევის, საბანკო მომსახურების, საკონსულტაციო, საგარანტიო მომსახურების, საჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები, მივლინების და სხვა მსგავსი ფულადი ხარჯები აქვე მიეთითება, როგორც „გაწეული არასაწარმოო ფულადი ხარჯები“.

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან, აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხებისა და სხვა ვალდებულებების დასაფარავად, საწარმოს სიმძლავრეების ასათვისებლად, დივიდენდების გასაცემად და ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად, გარედან მოზიდული ფულადი სახსრების გარეშე.

II. **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** – ამ განაყოფში ნაჩვენებია გრძელვადიანი აქტივების შეძენასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გაცემული და მიღებული ფულადი თანხები. იგი გვიჩვენებს თუ რა ფულადი დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისთვის, რომლებმაც უნდა შექმნან სამომავლო შემოსავლები და ფულადი ნაკადები.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულადი ნაკადების მაგალითებია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენაზე გადახდილი ფულადი თანხები; სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები; წილი სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალში ან სასესხო ინსრუმენტების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები, თუ ისინი არ ითვლება ფულად ეკვივალენტებად ან არაა შეძენილი სამეწარმეო მიზნით; სხვა პირებზე ავანსად ან სესხად გაცემული ფულადი სახსრები (გარდა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებისა) და მათ დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები; ფიუჩერსული, ფორვარდული, საოპციო და სვოპ კონტრაქტებით გადახდილი ან მიღებული ფულადი სახსრები გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონტრაქტები შეეხება სამეწარმეო, სავაჭრო ან საფინანსო საქმიანობას.

III. **საფინანსო საქმიანობა ისეთი სფეროა,** რომელიც იწვევს რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ საშუალებებში. ამ ხასიათის ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა

სასარგებლოა იმ მიზნით, რომ შეფასდეს კაპიტალის მომწოდებლების მოსალოდნელი პრეტენზიები სამომავლო ფულადი სახსრების მიმართ.

ცხრილი 5.1.1.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(პირდაპირი მეთოდით)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	თანხა ათ. ლარი
IV. ფულადი ნაკადები საოპერაცო საქმიანობიდან	
მყიდველებიდან მიღებული ფული	94 690
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(46 200)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი	(33 000)
სხვა რასაწარმოო საოპერაციო ხარჯები	(2 060)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხები	**13 430**
გადახდილი პროცენტები	(1 300)
გადახდილი მოგების გადასახადი	(740)
გადახდილი დივიდენდი	(5 160)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**6 230**
V. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6 600)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1 530)
ობლიგაციების შესყიდვა	–
ზედმეტი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	–
მიღებული პროცენტები	150
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	**(7 980)**
VI. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გამოშვებული აქციებიდან მიღებული ფული	1 200
საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა	(820)
აღებული სესხები	2 000
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	**2 380**
საერთო წმინდა ფულადი ნაკადი	**630**
ფულადი თანხების საწყისი ნაშთი	4 100
ფულადი თანხების საბოლოო ნაშთი	**4 730**

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია: აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები; მესაკუთრეებისათვის აქციების შეძენის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები; სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოების და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები; სესხების დაფარვა; მოიჯარისგან ფინანსური იჯარის ვალდებულებების დასაფარავად მიღებული ფულადი სახსრები.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. აღრიცხვის სტანდარტებით საბაზისო მეთოდია – პირდაპირი მეთოდი, რადგან მას ძირითადი ანალიზური მნიშვნელობა აქვს.

ცხრილი 5.1.2

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(არაპირდაპირი მეთოდით)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბი	თანხა ათას. ლარ.
I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წმინდა მოგება	11 920
მოგების გადასახადი	1 200
მოგება დაბეგვრამდე	13 120
ცვეთის ხარჯი	2 240
საპროცენტო ხარჯი	1 220
საპროცენტო შემოსავალი	(200)
წინასწარ გაწეული ხარჯების ზრდა (ემატება)	–
მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	16 380
მარაგების ნაშთების ზრდა	(1 510)
მიწოდებიდან მოთხოვნის ნაშთის ზრდა	(1000)
მოწოდებიდან ვალდებულებების ნაშთის ზრდა	60
ხელფასით ვალდებულების ნაშთის შემცირება	(500)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	13 430
გადახდილი პროცენტი	(1 300)
გადახდილი მოგების გადასახადი	(740)
გადახდილი დივიდენდი	(5 160)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**6 230**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით, მზადდება მთავარი წიგნის ფულადი თანხების აღმრიცხველი ანგარიშებიდან (იხ. ცხრილი 5.1.1.).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს არაპირდაპირი მეთოდით, რომელიც პრაქტიკაში არ გამოიყენება, ვინაიდან არასრულყოფილია ანალიზისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ობიექტური მიზეზების გამო კომპანიის მთავარ ბუღალტერს ან აუდიტორს არ გააჩნია სრული ბუღალტრული ჩანაწერები (მთავარი საბუღალტრო წიგნში არასრული ჩანაწერები).

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს (იხ. ცხრილი 5.1.2.) იცვლება მხოლოდ ფულადი ნაკადების პირველი განაყოფის შევსების წესი. დანარჩენი ორი განაყოფი იგივეა, რაც პირდაპირი მეთოდის დროს.

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გამოითვლისათვის აიღება დასაბეგრი ან წმინდა მოგების მაჩვენებელი, რომელიც შესწორდება ხარჯებით და შემოსავლებით. კერძოდ, ჯერ ემატება არაფულადი ხარჯები, როგორიცაა, ცვეთის ხარჯი, გადავადებული გადასახადები, კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი, ზედმეტი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება (აკლდება) ან ზარალი (ემატება). შემდეგ,საპროცენტო ხარჯები ემატება და საპროცენტო შემოსავლები აკლდება. წინასწარ გაწეული ხარჯების ზრდა ემატება. შედეგად, მიიღება **მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე**.

შემდეგ ხდება მიღებული მაჩვენებლის კორექტირება დებიტორული დავალიენებების, მომწოდებელთა წინაშე დავალიანებებისა და სახელფასო დავალიანებების ნაშთების ცვლილებებით, ამ კორექტირების შედეგად გამოითვლება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხები (იხ. ცხრილი 5.1.2).

არაპირდაპირი მეთოდით ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება შესაძლებელია იმიტომ, რომ არსებობს შესაბამისი კავშირები ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის, რომელიც პირველ თავში უკვე განხილული იყო.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას თან უნდა ახლდეს ფულადი თანხებისა და მათი ეკვივალენტების გაშიფრვა, დანართის სახით. ამ დანართს შემდეგი სახე აქვს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
ნაღდი ფული	485	540
ფული საბანკო ანგარიშებეზე	3015	1370
ფული სავალუტო ანგარიშებზე	600	300
მოკლევადიანი ინვესტიციები (3 თვემდე)	–	–
სხვა ფულადი დოკუმენტები	–	–

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს:

1. რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს სკუთარი აქტიურობით გამომუშავებული ფულით;
2. ჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და რომელი გზებითაა ეს შესაძლებელი;
3. გააჩნია თუ არა ფულის დეფიციტი და რომელი მიმართულებით;
4. როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე;
5. რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის საფეხურებია:

I. ვერტიკალური ანალიზი
II. ჰორიზონტალური ანალიზი

III. ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტების დინამიკური, ფაქტორული და კორელაციური ანალიზი.

საწარმოს არ უნდა ჰქონდეს ფულის დეფიციტი განსაკუთრებით საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოს ფულის პრობლემა არ გააჩნია.

5.2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალურ ანალიზში, როგორც უკვე იცით, პროცენტული ზომის ერთეულები გამოიყენება. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი იწყება წმინდა ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურის დახასიათებით. ოღონდ, ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის დაწყების წინ უნდა შემოწმდეს შემდეგი ტოლობა:

წმინდა ფულადი ნაკადი = ვალდებულებების ზრდა – არაფულადი მიმდინარე აქტივების ზრდა – გრძელვადიანი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა.

მოტანილ მაგალითზე საერთო წმინდა ფულადი ნაკადი საანალიზო საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარშგების ინფორმაციით (იხ. ცხრილი 4.2.1) არის 630 ლარი, რომელის მოტანილი მაჩვნებელების ცლილებების ტოლი უნდა იყოს.

ვალდებულებების ზრდა - 6180 ლ
არაფულადი მიმდინარე აქტივების ზრდა - 2560 ლ.
გრძელვადიანი აქტივების ზრდა - 8130ლ
საკუთარი კაპიტალის ზრდა – 5140 ლ

მართლაც, **6180 – 2560 – 6180 + 5140 = 630 ლ**

ფულადი ნაკადების ვერტიკალური ანალიზის დროს ჯერ მოხდება ფულადი ნაკადების ანგარიშგების საერთო სურათის მიმოხილვა (იხ. ცხილი 4.2.1). ანალიზში გამოიყენება პირდაპირი მეთოდით მომზადებული ანგარიშგება, რადგან მას გააჩნია ანალიზური ღირებულება და ამიტომ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მიღებულია საბაზისო მეთოდად.

საერთო მიმოხილვის დროს, მოწმდება რომელიმე განაყოფის მიხედვით ხომარ არსებობს დეფიციტი ანუ გასული ფულის მოცულობა ხომარ აღემატება შემოსული ფულის მოცულობას. ფინანსურად განსაკუთრებით საშიშია დეფიციტის არსებობა საოპერაციო საქმიანობის სეგმენტის (მიმართულების) მიხედვით, რადგან აქ წარმოდგენილია საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული და გასული ფულადი თანხები, რომლებიც ხარჯების დაფარვის ყველაზე უსაფრთხო წყაროს წარმოადგენს. იგი აჩვენებს საწარმოს ფინანსური აქტიურობის ხარისხს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი ასაბუთებს, ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილი ფულადი თანხების ნაშთების ზრდა რეალურად რამდენად პოზიტიურია. იგი პასუხობს კითხვაზე, არსებული ფულადი

აქტივები საკუთარი საქმიანობის შედეგადაა გამომუშავებული, თუ აღებული სესხების მეშვეობით არსებობს.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ფულადი თანხები ბალანსში საკმარისი რაოდენობითაა და წლის ბოლოსათვის გაზდილია კიდეც, მაგრამ, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, საოპერაციო სამქიანობის მიმართულებით, დეფიციტი არსებობდეს.

ზემოთქმულიდა გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია წმინდა ფულადი ნაკადების ხარისხის ანალიზი საქმიანობის სფეროების მიხედვით.

როგორც ფულადი ნაკადების ანგარიშგების საერთო სურათი აჩვენებს (იხ.ცხრილი 5.2.2), საანალიზო საწარმოში მიმდინარე წელს ფულის დეფიციტი არსებობს მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობის მიმართულების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ სანვესტიციო საქმიანობის სფეროში შეიძლება ფულის დეფიციტი არსებობდეს, მაგრამ ეს ნეგატიურ მოვლენას არ წარმოადგენდეს, თუკი ძირითადი საშუალებების განახლება ხდება. ოღონდ ეს მხოლოდ აღებული სესხების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

მაშასადამე, საანალიზო საწარმოში საოპერაციო საქმიანობის მიხედვით კი ფულის პრეფიციტი (სიჭარბე) არსებოს. ეს იმაზე მიუთითებს რომ ბიზნესმა ფულადი სახსრები საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობიდან გამოიმუშავა. ასევე, წმინდა ფულადი ნაკადი დადებითი რიცხვია საფინანსო საქმიანობის სფეროშიც.

ცხრილი 5.2.1.

წმინდა ფულადი ნაკადი საქმიანობის სახეების მიხედვით

ფულადი ნაკადები	წმინდა ფულადი ნაკადი	
	წინა წელს	მიმდინარე წელს
1. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	2300	6230
2. წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(1200)	(7980)
3. წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	1900	2380
წმინდა ფულადი ნაკადი სულ	3000	630

როგროც 5.2.2. ცხრილის მაჩვენებლებიდან სჩანს, წინა წელთან შედარებით წმინდა ფულადი ნაკადი შემცირდა, მაგრამ ეს ძირითადი საშუალებების განახლების შედეგია. ამის შემდეგ გამოკვლეულ იქნება შემოსული და გასული ფულადი თანხების სტრუქტურა (იხ. ცხრილი 5.2.2).

როგორც წესი, საანალიზო საწარმოში, მიმდინარე და წინა წელს შემოსულ ფულად აქტივებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს მყიდველებიდან შემოსულ ფულად თანხებს, რაც დადებითი მოვლენაა. თუმცა, მიმდინარე წელს მისი წილი და საერთო მოცულობა, წინა წელთან შედარებით შემცირებულია. ამიტომ, მენეჯმენტმა პირველ რიგში უნდა გამოარკვიოს, რა იყო ამის მიზეზი.

ცხრილი 5.2.2

საანალიზო საწარმოში შემოსული ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურა

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ/წ %
I. ფულის შემოდინება				
- მყიდველებიდან მიღებული ფული	98900	98,2	94 690	96,6
- მიღებული პროცენტები	120	0,1	150	0,2
- აქციების გამოშვებიდან მიღებული ფული	-		1 200	1,2
- აღებული სესხები	1700	1,7	2 000	2,0
- ზედმეტი ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-	-	-
შემოსული ფული სულ	100720	100	98 040	100

შემდეგ ცალ-ცალკე შეისწავლება საწარმოდან გასული და შემოსული ფულადი ნაკადების სტრუქტურა (იხ. ცხრილი 5.2.3).

ცხრილი 5.2.4

საანალიზო საწარმოდან გასული ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურა

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ/წ %
I. **ფულის გადინება**				
მომწოდებლებზე გადახდილი ფული				
- გაცემული ხელფასები	52 650	53,9	46 200	47,4
- გადახდილი პროცენტები	34 600	35,4	33 000	33,9
- გადახდილი მოგების გადასახადი	1 400	1,4	1 300	1,3
- გაცემული დივიდენდი	2 000	2,0	740	0,8
- ძირითადი საშულებების შეძენა	4 500	4,6	5 160	5,3
- არამატერიალური აქტივების შეძენა	1 230	1,3	6 600	6,8
- უკან გამოსყიდული აქციები	-	-	1 530	1,6
- სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	-	-
ჯამი	-	-	820	0,8
	1 340	1,4	2 060	2,1
	97 720	100	97 410	100

ამრიგად, როგორც მიმდინარე, ისე წინა წელს ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს მომწოდებლებზე და ხელფასებზე გადახდილი ფულის მოცულობას.

5.3. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი, როგორც უკვე იცით, წამოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების ცვლილებების გამოკვლევის ხერხს, მინიმუმ ორი წლის პერიოდისათვის. კვლევის პერიოდი რაც უფრო ხანგრძლივი იქნება, მით უფრო რეალური ტენდენციების აღმოჩენაა შესაძლებელი. კვლევის დროს საინტერესოა როგორც შემოსავლებისა და აქტივების ზრდის, ასევე ხარჯებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესწავლა. ცვლილებები გამოიხატება პროცენტებში წინა პერიოდებთან შედარებით.

პირველ რიგში ცალკეული განაყოფების წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკის მიმოხილვა მოხდება (იხ. ცხრილი 5.3.1). როგორც გამოთვლებიდან ჩანს, წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან 2017 წელს 96%-მდე დაეცა. წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან 2016 წლადე ზრდის ტენდენიციი თ ხასიათდებოდა, 2018 წელს კი 97%მდე დაეცა. ასევე, საანალიზო ხუთწლიან პერიოდში მუდმივად იზრდებოდა ფულის დეფიციტი საინვესტიციო საქმიანობიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საანალიზო კომპანიაში შემუშავებული არაა გრძელვადიანი აქტივების განახლების ოპტიმალური გეგმა.

ცხრილი 5.3.1.

საანალიზო საწარმოს საერთო წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკა %-ად 2013 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
I. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	100	102	100	98	96
II. წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	100	(103)	(98)	(98)	(230)
III. წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	100	103	104	106	97

როგორც წინა საკითხებში იქნა განხილული, ფულადი ნაკადების ანგარიშგების მთლიანი დინმიკის შესწავლისათვის, მომზადდება სამუშაო ცხრილი 3.3.1–ის მსგავსად, საიდანაც შემდეგ თვალსაჩინოებისათვის მხოლოდ პროცენტული ცხრილი შედგება (იხ. ცხრილი 5.3.2).

ცხრილი 5.3.2

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მუხლების დინამიკა
პროცენტულად 2013 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან					
- მყიდველებიდან მიღებული ფული	100	101	98	97	95
- მომწოდებლებზე გადახდილი ფული	100	102	97	97	94
- თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი	100	101	100	100	100
- სხვა საოპერაციო ფულადი ხარჯები	100	0	0	0	102
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხები	100	100	98	98	96
- გადახდილი პროცენტები	100	102	100	99	100
- გადახდილი მოგების გადასახადი	100	102	101	100	98
- გაცემული დივიდენდი	100	100	98	102	103
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	100	102	100	98	96
II. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
- ძირითადი საშუალებების შეძენა	100	104	97	-	-102
- არამატერიალური აქტივების შეძენა	100	-	-	-	-100
- ობლიგაციების შესყიდვა	100	100	103	-	-
- ზედმეტი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	100	120	-	102	-
- მიღებული პროცენტები	100	102	103	96	97
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	100	(103)	(98)	(98)	(230)
III. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან					
- გამოშვებული აქციებიდან მიღებული ფული	100	103	-	-	106
- საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა	100	-	-	-	-
- აღებული სესხები	100	102	104	106	87
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმ-დან	100	103	104	106	97
საერთო წმინდა ფულადი ნაკადი	100	103	98	101	98
ფულადი თანხების საწყისი ნაშთი	100	101	102	103	97
ფულადი თანხების საბოლოო ნაშთი	100	102	98	100	98

5.3.1 და 5.3.2 ცხრილების საფუძველზე მომზადდება დინამიკის გრაფიკები, რომელზეც სამივე ტიპის ფულადი ნაკადების მრუდი იქნება აგებული, რაც მეტად თვალსაჩინო იქნება შედარებითი დახასიათებისათვის.

5.4. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინდივიდუალური და კომბინირებული კოეფიციენტების ანალიზი

ფულადი ნაკადების ანაგარიშგების ინფორმაცია ღირებულია როგორც მისი გარე მომხმარებლებისათვის - აქციონერებისა და კრედიტორებისათვის, ასევე თვით საწარმოს მენეჯმენტისათვის. ოღონდ ამ უკანსკნელს, როგორც უკვე ითქვა, არა აქვს ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა და ამდენად, თავისუფლად შეუძლია სიღრმისეული ანალიზი ჩაატაროს.

საწარმოს ხელმძღვანელობა გამუდმებით აკონტროლებს მის გადახდისუნარიანობას, რათა საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ოპერატიული ღონისძიებები, შეიმუშაოს ფულადი სახსრების მოძიების და გამოყენების ეფექტიანი პოლიტიკა.

ანალიზში, როგორც წესი, ფართოდ გამოიყენება კოეფიციენტების ანალიზის მეთოდი. ეს კოეფიციენტები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: **ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტები და კომბინირებული კოეფიციენტები.**

I. **ფულადი ნაკადების ანგარიშგების კერძო კოეფიციენტებია** მხოლოდ მისი ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლადი კოეფიციენტები. ესენია სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები და ფულის შემდეგი კოეფიციენტები:

ფულის სართო ეფექტიანობის კოეფიციენტი =
= ფულის შემოდინება პერიოდში) / ფულის გადინება პერიოდში **(5.4.1)**

ეს კოეფიციეტი ერთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

პროცენტის დაფარვის დონე =
= საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული
ფული გადასახადების გადახდამდე / გადახდილი პროცენტი **(5.4.2)**

დივიდენდის დაფარვის დონე = საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი / იგივე წმინდა ფულადი ნაკადი დივიდენდის გადახდამდე **(5.4.3)**

წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი = წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან **(5.4.4.)**

იგი ახასიათებს, საინვესტიცო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი რა ხარისხით იფარება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულით.

ფულის ეფექტიანობის საერთო კოეფიციენტი =
= საერთო წმინდა ფულადი ნაკადი / ფულის გადინება წელიწადში **(5.4.5)**

საერთო გადახდისუნარიანობა =
= (ფულის საწყისი ნაშთი + ფულის შემოდინება) / ფულის გადინება სულ **(5.4.6)**

II. **ფულადი ნაკადების ანგარიშგების კომბინირებული კოეფიციენტებია** ისეთი კოეფიციენტები, რომელთა გაანგარიშებას ანგარიშგების ორი ან მეტი კომპონენტის ინფორმაცია ჭირდება.

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =
= წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან **(5.4.7)**

საინვესტიციო სამიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =
= საინვესტ. საქმიანობიდან მიღებ. წმინდა ფულადი ნაკადი / შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან **(5.4.8)**

საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =
= **საფინ. საქმ-დან მიღებული წმ. ფულადი ნაკადი / შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან** **(5.4.9)**

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი =
= (საოპ.საქმ. მირებ. ფული – წლ.მოგ.გადსახადი) / წლ. საპროცენტო ხარჯი (5.4.10)

რეინვესტირების კოეფიციენტი =(საერთო წმინდა ფულადი ნაკადი – დარიცხული დივიდენდი) / გრძელვადიანი აქტივების ზრდა **(5.4.11)**

დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა =
= წმინდა მოგება / საერთო წმინდა ფულადი ნაკადი **(5.4.12)**

ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი =
= საერთო წმინდა ფულადი ნაკადი / დღიური ხარჯები **(5.4.13)**

ფულის ბრუნვის კოეფიციენტები და სხვა, რომელთა ანალიზი ტარდება თემატური ფინანსური ანალიზის დროს. ფულის კოეფიციენტების დინამიკური, კორელაციური და ფქტორული ანალიზის მეთოდიკა განხილულია მეთერთმეტე თავში.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა ინფორმაციას მოიცავს ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2. რამდენი განაყოფი აქვს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას
3. რას ნიშნავს ფულადი ნაკადების მომზადება პირდაპირი მეთოდით
4. რას ნიშნავს ფულადი ნაკადების მომზადება არაპირდაპირი მეთოდით
5. რომელი კოეფიციენტების გამოთვლა შეიძლება ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. რომელი სახის საქმიანობას მიეკუთვნება მყიდველებიდან მიღებული ფულადი ნაკადი

ა. საინვესტიციო სამიქნობას
ბ. საოპერაციო საქმიანობას
გ. საფინანსო საქმიანობას

2. რომელი სახის საქმიანობას მიეკუთვნება გადახდილი საპროცენტო ხარჯი:

ა. საოპერაციო საქმიანობას
ბ. საინვესტიციო საქმიანობას
გ. საფინანსო საქმიანობას

3. წლის დასაწყისში ვალდებულება გადასახდელ პროცენტზე იყო 6700 ლ, წლის ბოლოს კი 12500 ლარი. წლის განმავლობაში დარიცხული გადასახდელი პროცენტი 56800 ლარს შეადგენდა.

რას უდრის გადახდილი საპროცენტო ხარჯი (ლ):

ა. 56 800
ბ. 51 000
გ. 62 600

4. წლის განმავლობაში კომპანიაში მყიდველებიდან მიღებულია 56000 ლ და მიღებულია საპროცენტო თანხა 12900 ლარი. მომწოდებლებზე გადახდილია 23000 ლარი.

რას უდრის მიღებული საერთო ფულადი ნაკადი:

ა. 56 800
ბ. 68 900
გ. 62 600

5, **წლის განმავლობაში** კომპანიაში მყიდველებიდან მიღებულია 56000 და პროცენეტებოდა 12900 ლარი. მომწოდებლებზე გადახდილია 23000 ლარი.

რას უდრის საერთო წმინდა ფულადი ნაკადი:

ა. 45 900
ბ. 68 900
გ. 62 600

6. **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა არის:**

ა. მოგებისა და წმინდა ფულადი ნაკადის ფარდობა
ბ. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან შეფარდებული საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან
გ. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან შეფარდებული საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან

7. **ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი არის:**

ა. საერთო წმინდა ფულადი ნაკადი შეფარდებული დღიურ ხარჯებთან
ბ. წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან შეფარდებული დღიურ ხარჯებთან
გ. წლიური შემოსავალი შეფარდებული წმინდა ფულადი ნაკადის მოცულობასთან

8. **ფულის ეფექტიანობის საერთო კოეფიციენტი არის:**

ა. საერთო წმინდა ფულადი ნაკადის ფარდობა მოგებასთან
ბ. ფულის გადინების ფარდობა შემოსულ ფულთან
გ. საერთო წმინდა ფულადი ნაკადის ფარდობა ფულის მთლიან გადინებასთან

9. **საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა** არის:

ა. საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ფარდობა საფინანსო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან
ბ. საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ფარდობა საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალთან
გ. არცერთი პასუხი არაა სწორი

10. **რეინვესტირების კოეფიციენტი არის:**

ა. (საერთო წმინდა ფულადი ნაკადი – დარიცხული დივიდენდი) შეფარდებული გრძელვადიანი აქტივების ზრდასთან

ბ. დარიცხული დივიდენდის ფარდობა გრძელვადიანი აქტივების ზრდასთან
გ. მიმდინარე აქტივების ზრდის ფარდობა გრძელვადიანი აქტივების ზრდასათან

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 5.1.

ერთ-ერთ საწარმოში წინა და მიმდინარე წელს ადგილი ჰქონდა ფულის შემოდინებას შემდეგი ოპერაციებიდან (იხ. ცხრილი):

საანალიზო საწარმოში შესული ფულადი ნაკადები

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ/წ %
I. ფულის შემოდინება				
- მყიდველებიდან მიღებული ფული	35 000		32 000	
- მიღებული პროცენტები	800		700	
- აქციების გამოშვებიდან მიღებული ფული	3 000		5 000	
- აღებული სესხები	2 100		4 000	
- ზედმეტი ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-		900	
----------	---		---	
შესული ფული სულ	40 900		42 600	

მოთხოვნა: გამოიანგარიშეთ საერთო ფულადი ნაკადების სტრუქტურული კოეფიციენტები ორივე წელს და გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

ამოცანა 5.2..

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებიდან ცნობილია შემდეგი ინფორმაცია (ათ.ლარებში):

მოგება დაბეგვრამდე	9150	
ცვეთის ხარჯი	410	
დაზღვევის ხარჯი	60	
საპროცენო ხარჯი	1700	
საპროცენტო შემოსავალი	1400	
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	50	
მატერიალური მარაგების ნაშთების ზრდა		90
დებიტორული დავალიანებების ნაშთების ზრდა		100
კრედიტორული დავალიანებების ნაშთების ზრდა		80

მოთხოვნა:

გამოთვალეთ საწარმოში საოპერაციო საქმიანობიდან შესული ფულადი თანხები არაპირდაპირი მეთოდით.

თავი 6. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა

საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს საწამოთა რესურსების დაფინანსების საკუთარ წყაროს. მის მოცულობასა და ეფექტიან გამოყენებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისი და ფინანსური უსაფრთხოება.
ამ თავში შეისწავლება შემდეგი საკითხები:

- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების კოეიფიციენტების ანალიზი.

6.1. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა

ანგარიშგებაში „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ“, მოცემულია ინფორმაცია სააქციო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის და რეზერვების შესახებ საანგარიშგებო წლის წმინდა მოგების გამოყენებისა და ზარალის შესახებ. მოცემულია ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება საკუთარი კაპიტალის რომელიმე ელემენტს. მასში აგრეთვე მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები და არსებითი შეცდომების კორექტირება.

აღრიცხვის სტანდარტები, როგორც ცნობილია განმარტავს, რომ **საკუთარი კაპიტალი** არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. იმავდროულად, საკუთარი კაპიტალი იგივე წმინდა აქტივებია.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა სააქციო საზოგადოებებში მოიცავს: სააქციო და საემისიო კაპიტალს, მოგებიდან შექმნილ რეზერვებს, გადაფასების რეზერვს და გაუნაწილებელ მოგებას.

საწარმოს ბალანსით, საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილება წლის დასაწყისთან შედარებით, აჩვენებს საწარმოს წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას საანგარიშო პერიოდში. ხოლო, საწარმოს საკუთარი კაპიტალის ჯამური ცვლილება, გარდა აქციონერებთან განხორციელებული ოპერაციებისა (როგორიცაა, წილის შენატანები, საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა და დივიდენდების განაწილება), აჩვენებს საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ მთლიან მოგებას ან ზარალს.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება სვეტებიანი ცხრილის სახით დგება (იხ: ცხრილი 6.1.1.)

ცხრილი 6.1.1.

ს. ს. „კოლხეთის“ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2017 წ. (ათ .ლარი)

შინაარსი	სააქციო კაპიტა-ლი	საემისიო კაპიტა-ლი	რეზერ-ვები მო-გებიდან	გადაფა-სების რეზერვი	გაუნაწ. (წმინდა) მოგება	უმცირ-სობის წილი	სულ
- ნაშთი წლის დასაწყისში	8820	2000	800	500	900	–	13020
- შეცდომების გასწორება	–	–	–	–	–	–	–
- ცვლილებები სააღრიცხვო პო-ლიტიკაში					–	–	–
შესწორებული საწყისი ნაშთი	**8820**	**2000**	**800**	**500**	**900**	–	**13020**
				–			–
-ქონების გადაფასების ნამეტი				(–)			(–)
-ინვესტიციების ჩამოფასება			(–)				(–)
-ფულადი ნაკადების ჰეჯირება							
-უცხოური ქვედანაყოფის გადაა-ნგარიშებით საკურსო სხვაობა				(–)		(–)	(–)
----------	-------	--------	------	--------	--------	------	-----
ჯამი	**8820**	**2000**	**800**	**500**	900	–	13 020
-აქციების გამოშვება	1000	200					1200
-აქციების უკან გამოსყიდვა	(820)	-	-	-	-	-	(820)
-მიმდინ. წლის წმინდა მოგება					11920		11 920
-დარიცხული დივიდენდი					(6800)	–	(6 800)
-რეზერვები მოგებიდან	-	-	5 120	(360)	(5120)	–	(360)
- გადაფასების რეზერვი		-					-
-გაუნაწ. მოგების საწყისი ნაშთი	900	-	-	-	(900)	–	0
ნაშთი წლის ბოლოს	9 900	2 200	5 920	140	0	–	18 160

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება აჩვენებს აქციების გამოშვების გზით მიღებული ინვესტიციების სიდიდეს და ბიზნესის განვითარებისათვის საკუთარი მოგებიდან გამოყოფილ დაფინანსებას. საკუთარი კაპიტალის ელემენტები ორ ნაწილად შეიძლება დაჯგუფდეს. როგორიცაა, ინვესტირებული კაპიტალი (სააქციო და საემისიო კაპიტალი) და რეინვესტირებული (მოგებიდან შექმნილი რეზერვები).

სააქციო კაპიტალის ანგარიშგებაში წარდგენილი ნაშთები, უნდა ემთხვეოდეს ბუღალტრულ ბალანსში მოცემული საკუთარი კაპიტალის ელემენტების ნაშთებს წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის.

სააქციო კაპიტალი არის ინვესტირებული კაპიტალი, რომელიც საწარმოში მისმა მფლობელებმა, აქციონერებმა დააბანდეს. სააქციო კაპიტალის აღიარება ხდება გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით, რომლის პროპორციულად გაიცემა დივიდენდი საწარმოს წმინდა მოგებიდან. სააქციო კაპიტალი შეიძლება არსებობდეს გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ან პრივილეგირებული აქციების სახით.

პრივილეგირებულ აქციებს აქვს წინასწარ გამოცხადებული დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი. ამიტომ, მათ არა აქვთ ხმის უფლება

კომპანიის მართვაში. **ჩვეულებრივ აქციებზე** არ არსებობს გარანტირებული დივიდენდის უფლება. მისი დივიდენდი დამოკიდებულია აქციის გამომშვები კომპანიის მოგებაზე. ამიტომ, ჩვეულებრივი აქციის მფლობლები მონაწილობენ კომპნიის მართვაში და აქვთ ხმის უფლება.

აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს ოფციონით (შეღავათიანი ფასით) ან უფასოდ (ბონუსის სახით), გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე.

საემისიო კაპიტალი რეზერვის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც გაყიდული აქციების გაყიდვის ფასის ნამეტია მათ ნომინალურ ღირებულებაზე. როგორც წესი, საემისიო კაპიტალის დივიდენდებზე გაცემა არ ხდება. იგი გამოიყენება საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვის დროს წარმოშობილი ზარალის დასაფარავად.

გადაფასების რეზერვი წარმოიშობა გრძელვადიანი აქტივების გადაფასების დროს მათი ღირებულების გაზრდისას. მისი სიდიდე განისაზღვრება აქტივის ახალ და წინა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით.

გაუნაწილებელი მოგება არის წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც რჩება მისი გამოყენების შემდეგ. იგი ყოველწლიურად გროვდება და შეიძლება ახალი აქციების გამოშვების ან წარმოების გაფართოებისათვის იქნეს გამოყენებული. მას ხშირად შემოსავლების რეზერვს, ხოლო საემისიო კაპიტალს და გადაფასების რეზერვს – კაპიტალის რეზერვს უწოდებენ.

საწარმოს აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით, წმინდა მოგების (სხვაობაწლიურ მოგებიდან მოგების გადასახადი) ნაწილი გამოიყოფა დივიდენდების გასაცემად. შეიქმნება სპეციალური რეზერვები რისკისათვის, წარმოების გაფართოებისათვის, მუშაკთა პრემირებისათვის და სხვა. თუ კიდევ დარჩება ნაშთი, იგი წარმოადგენს **გაუნაწილებელ მოგებას**. თუმცა, ფინანსურმა მენეჯმენტმა შეიძლება განსაზღვროს გაუნაწილებილი მოგების აუცილებელი მინიმუმი, რომელიც უნდა გადადოს კომპანიამ მოსალოდნელი ინფლაციური მოვლენებისაგან თავდაცვისათვის. ამ მიზნით, წმინდა მოგებიდან გამოითვლება მოსალოდნელი ინფლაციის პროცენტული თანხა. დავუშვათ, ცნობილია ინფლაციის პროგნოზული ზრდა 7,06%-ით. მაშინ, წმინდა მოგებიდან მინიმუმ 760 ლარი (10760*7,06%%) დატოვებული უნდა იქნეს გაუნაწილებელი მოგების სახით.

საქართველოში მოგების გადასახადის ახალი წესით წმინდა მოგება მთლიანად უნდა განაწილდეს აქციონერებსა და კომპანიას შორის. თუმცა კანონით აკრძალული არაა მენეჯმენტმა ზოგჯერ გაუნაწილებელი მოგებაც დატოვოს.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილ საანალიზო საწარმოში, მენეჯმნეტმა დავუშვათ საწყისი გაუნაწილებელი მოგება სააქციო კაპიტალს შეუერთა. ცხრილში 5.1.1. მოცემულია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ნიმუში.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში მოცემულია შემდეგი კომპონენტები:

საწყისი ნაშთები, რომლებიც ემთხვევა ბუღალტრულ ბალანსში წარდგენილ ნაშთებს. იგი შესწორებული არაა წინა პერიოდში მომხდარი შეცდომების ან სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლიელებებით. რომლებიც გამოვლინდა შემდგომ

პერიოდში. ეს ცვლილებები მოცემულია მხოლოდ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და ასახვას ჰპოვებს მიმდინარე წლის კაპიტალში..

რამდენადაც, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული შედეგების ასახვის რეტროსპექტული მიდგომით ეს ცვლილებები უნდა აისახოს პერიოდის დასაწყისში ისე, რომ იგი თითქოს ყოველთვის გამოიყენებოდა.

დაშვებული შეცდომების კორექტირების ეფექტი ჩამოიწერება იმ მაჩვენებლიდან, რომელზეც ის იწვევს ცვლილებას.

შესწორებული საწყისი ნაშთის შემდეგ წარმოდგენილია მიმდინარე წელს აქტივების გადაფასების, ფულადი ნაკადების ჰეჯირების და უცხოური ქვედანაყოფის გადაანგარიშების კურსთა შორის სხვაობების შედეგები.

მესამე სეგმენტში წარმოდგენილია თვით სააქციოკაპიტალსა და მოგებაში მომხდარი ცვლილებები.

ამდენად, საწარმომ საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გააშუქოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული საწარმოს მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში კი საწარმომ უნდა გააშუქოს როგორ არის შესრულებული საწარმოს მიზნები კაპიტალის მართვის შესახებ; შეასრულა თუ არა მან საანგარიშგებო პერიოდის განმვალობაში კაპიტალის შესახებ გარე სავალდებულო მოთხოვნები და თუ არ შესრულა ეს ვალდებულები მაშინ, უნდა აჩვენოს ამ დარღვევის შედეგები.

მაშასადამე, საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება იძლევა ინფორმაციას ინვესტირებული და რეინვესტირებული კაპიტალის ანალიზისათვის. მის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, წლის ბოლოს მდგომარეობით, საწარმომ ფინანსურად შეინარჩუნა თუ არა კაპიტალი და რამდენად ეფექტურია რეზერვების შექმნის პოლიტიკა.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ანალიზის საფეხურებია:

I. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული ანალიზი;
II. საკუთარი კაპიტალის დინამიკური ანალიზი;
III. საკუთარი კაპიტალის გადახრების ანალიზი;
IV. საკუთარი კაპიტალის უკუგების მაჩვენებლების ანალიზი;
V. ერთ აქციაზე შემოსავლების მაჩვენებლების ანალიზი;
VI. დივიდენდის უზრუნველყოფის ანალიზი;
მოგების რეინვესტირების ტენდენციების ანალიზი;

6.2. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

საკუთარი კაპიტალის ვერტიკალური ანალიზი მისი პროცენტული შემადგენლობის შესწავლას ნიშნავს. იგი არის სხვაობა რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ:

საკუთარი კაპიტალი = მთლიანი აქტივები – მთლიანი ვალდებულებები

ეს ფორმულა, რომელიც მოიცავს მთლიან აქტივებსა და ვადლებულებებს, გამოსაყენებლად მარტივია და სააღრიცხვო ტოლობის საფუძველს წარმოადგენს. ეს ტოლობა მომენტალური, დაუყოვნებლივი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების საუკეთესო საშუალებაა. იგი არის სააქციო კაპიტალის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველაზე სწარფი საშუალება. აგრეთვე შეიძლება ასეთი ტოლბის წარდგენა:

საკუთარი კაპიტალი = სააქციო კაპიტალი + საემისიო კაპიტალი + გაუნაწილებელი (ან რეინვესტირებული) მოგება – უკან გამოსყიდული აქციები

ამ ფორმულით შეიძლება განისაზღვროს გაუნაწილებელი მოგების სიდიდე ანუ რეინვესტირებული მოგების სიდიდე, რომელიც მნიშვნელოვანია კომპანიის განვითარებისათვის. მას ინვესტორების განტოლებას უწოდებენ, რომლითაც ჯერ გაითვალისწინება კომპანიის სააქციო კაპიტალი და შემდეგ გაირკვევა ბიზნესში რეინვესტირებული მოგება.

გაუნაწილებელი მოგებაც კომაპნიის მოგებაა. კომპანიის დირექტორთა საბჭო წყვეტს, როგორ იქნას იგი გამოყენებული. კერძოდ, კომპანიაში დააბანდონ და დივიდენდების სახით გაიცეს.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია სააქციო კაპიტალის მაჩვენებელი. აქციონერთა კაპიტალი არის თანხა, რომელიც აჩვენებს თუ როგორაა კომპანია დაფინანსებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციებით. დაფინანსების პირველი წყარო არის აქციონერების მიერ თავდაპირველად შეტანილი ფული. მეორე წყარო კი არის თვით კომაპნიის მიერ გამომუშავებული ფული, რომელიც საწარმომ დააგროვა.

საკუთარი კაპიტალის ვერტიკალური ანალიზის დროს შეისწავლება მისი სტრუქტურა (იხ. ცხრილი 6.2.1.). მასში მოცემულია საკუთარი კაპიტალის თითოეული მუხლის ხვედრითი წილის მაჩვენებლები, მთლიანი საკუთარი კაპიტალის მიმართ.

პირობითად, საანალიზო საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემადგენლობა თუ ისეთი იქნებოდა, როგორც ეს 6.2.1. ცხრილშია, მაშინ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ წინა წელთან შედარებით, მიმდინარე წელს შემცირებულია სააქციო კაპიტალის წილი, თუმცა აბსოლუტურ სიდიდეში გაზრდილია. ასევე გაიზარდა მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწილებლი მოგების წილი, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ცხრილი 6.2.1

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა

საკუთარი კაპიტალის მუხლები	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ.წ %
• სააქციო კაპიტალი	8 820	67,7	10 720	57,0
• საემისიო კაპიტალი	2 000	15,4	2 200	12,1
• საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა	-	-	(820)	(4,5)
• მოგებიდან შექმნილი რეზერვები	800	6,2	5 920	32,6
• გადაფასების რეზერვი	500	3,8	140	2,8
• გაუნაწილებელი მოგება	900	6,9	-	-
ჯამი	13 020	100	18 160	100

6.2.1. ცხრილში მოცემულია ცალკეული მუხლის პროცენტული წილი საკუთარი კაპიტალის მთლიანი ჯამის მიმართ. ვერტიკალური ანლიზის დროს კი აგრეთვე ხდება ერთი ცენტრალური მაჩვენებლის შერჩევა და დანარჩენი ელემენტები პროცენტული წილი მის მიმართ განისაზღვრება.

6.2.2 ცხრილში წარმოდგენილია საკუთარი კაპიტალის ელემენტების პროცენტული წილი სააქციო კაპიტალის მიმართ. ასე მაგალითად, საემისიო კაპიტალი შეადგენს სააქციო კაპიტალის 22,7%-ს, რაც მიუთითებს რამდენი პროცენტით მეტი გადაიხადა აქციონერმა შეძენილ აქციებში; მოგებიდან შექმნილი რეზერვები სააქციო კაპიტალის მიმართ 9,1%-ია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომავალ წელს ინვესტორის კაპიტალის ნამატი 9,1%-ით აფართოებს წარმოებას მომავალ წელს; თუკი წლის დასაწისში არსებობს გაუნაწილებელი მოგება, ეს იმის გარანტიას იძლევა, რომ მიმდინარე წელს კომპანია მაღალ მოგებას თუკი ვერ მიიღებს, აქციონერს გარანტირებული აქვს მისი ინვესტირებული კაპიტალის მინიმუმ 10,2% დივიდენდის მიღება.

ცხრილი 6.2.2

სააქციო კაპიტალის სტრუქტურული ხარისხი

საკუთარი კაპიტალის მუხლები	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ.წ %
სააქციო კაპიტალი	8 820	-	10 720	-
საემისიო კაპიტალი	2 000	22,7	2 200	20,5
საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა	-	-	(820)	(7,6)
მოგებიდან შექმნილი რეზერვები	800	9,1	5 920	55,2
გადაფასების რეზერვი	500	5,7	140	1,3
გაუნაწილებელი მოგება	900	10,2	-	-
ჯამი	13 020	-	18 160	-

ამის შემდეგ შეისწავლება საკუთარი კაპიტალის მუხლებში წარმოშობილი გადახრები წინა წელთან შედარებით. გადახრების ანალიზი აჩვენებს, რომ (იხ. ცხრილი 6.2.3) საკუთარი კაპიტალის ყველა მუხლი გაზრდილია, რაც მიუთითებს,

რომ საწარმოს მენეჯმენტი აქტიურად ცდილობს რესურსების დაფინანსების სკუთარი წყაროების წილი იზრდებოდეს.

ცხრილი 5.3.3.
მუხლობრივი გადახრები საკუთარ კაპიტალში

საკუთარი კაპიტალის მუხლები	წინა წელს ათ.ლ	მიმდინარე წელს ათ.ლ	გადახრა (+, –)
• სააქციო კაპიტალი	8 820	10 720	+ 1900
• საემისიო კაპიტალი	2 000	2 200	+ 200
• საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა	-	(820)	(820)
• მოგებიდან შექმნილი რეზერვები	800	5 920	+5 120
• გადაფასების რეზერვი	500	140	-360
• გაუნაწილებელი მოგება	900	-	(900)
ჯამი	13 020	18 160	+5 140

მაშასადამე, როგორც 6.2.3 ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდი ცვლილება მოხდა მოგებიდან შემნილ რეზერვებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიის მენეჯმენტს წარმოების გაფართოება აქვს დეგეგმილი, რაც მეტად დადებით მოვლენას წარმოადგენს როგორც ინვესტორებისათვის (მომავალში მეტი მოგება განაწილდება დივიდენდებზე), ასევე კომპანიის პერსონალისთვის (შესაძლებელი გახდება შრომის სტიმულირების ღონისძიებების გატარება), სახელმწიფო ბიუჯეტისათვის (გაიზრდება მოსალოდნელი შემოსავლები მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან) და საზოგადოებრივი სოციალური მიზნებისათვის (გაიზრდება დასაქმება).

6.3. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზის დროს შეისწავლება მასში შემავალი ელემენტების ცვლილების ტენდენციები განვლილ, მინიმუმ ხუთწლიანი პერიოდისათვის. ამ მიზნისათვის, განვლილი ერთი წელი აიღება საბაზისო წლად და ყველა დანარჩენი წლის მაჩვენებლების შედარება მოხდება მასთან.

სტატისტიკიდან იცით, რომ დინამიკური მწკრივი შინაარსით შეიძლება იყოს ჯაჭვური ან საბაზისო. ჯაჭვური ინდექსების მწკრივში ყოველი მომდევნო წლის მაჩვენებლის ცვლილება გამოითვლება მისი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. მაგრამ, ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი არის ტრენდული ანალიზი რათა გამოვლინდეს ამა თუ იმ მაჩვენებლის ცვლილების ტენდეციები ერთიდაიგიე საბაზისო წლის მიმართ. მაშასადამე, გამოიყენება საბაზისო ინდექსები

ჯერ მომზადდება სამუშაო ცხრილი, რომელშიც თავმოყრილია თანხობრივი მონაცემები და მათ საფუძველზე გამოთვლილი ინდექსები (იხ. ცხრილი 6.3.1).

ცხრილი 6.3.1.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების დინამიკის სამუშაო ცხრილი

საკუთარი კაპიტალის მუხლები	2013	2014		2015		2016		2017	
	ათ. ლ	ათ. ლ	%	ათ. ლ	%	ათ. ლ	%	ათ.ლ	%
-სააქციო კაპიტალი	5730	8190	143	8500	148	8820	154	10720	187
-საემისიო კაპიტალი	1500	1600	107	1150	77	2000	133	2200	147
-უკან გამოსყიდული აქციები	-	-	-	-	-	-	-	(820)	-
-რეზერვები მოგებიდან	1100	1200	109	800	73	800	73	5920	538
-გადაფასების რეზერვი	580	580	100	790	136	500	86	140	24
-გაუნაწილებელი მოგება	1030	860	83	1500	146	900	87	-	-
----------	--------	------	--------	----	----	------	-----	------	--------
ჯამი	**9940**	**12430**	**125**	**12740**	**128**	**13020**	**131**	**18160**	**183**

სამუშაო ცხრილის 6.3.1-იდან შედგება მხოლოდ პროცენტული ცხრილი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მხოლოდ ტენდენციებს (იხ. ცხრილი 6.3.2).

ცხრილი 6.3.2.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების დინამიკურ ტენდენციები %-ად 2013 წელთან შედარებით

საკუთარი კაპიტალის მუხლები	2013	2014	2015	2016	2017
სააქციო კაპიტალი	100	143	148	154	187
საემისიო კაპიტალი	100	107	77	133	147
უკან გამოსყიდული აქციები	100	-	-	-	-
რეზერვები მოგებიდან	100	109	73	73	538
გადაფასების რეზერვი	100	100	136	86	24
გაუნაწილებეი მოგება	100	83	146	87	-
ჯამი	100	125	128	131	183

როგორც ხედავთ ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი ახასიათებს მოგებიდან შექმნილ რეზერვებს და სააქციო კაპიტალს. ეს იმას ნიშნავს, რომ მიმიდანრე წელს გაზრდილია წმინდა მოგება და ბიზნესის აქტივობა.

ამდენად, რამდენიმეწლიანი პერიოდისათვის დინამიკური ცხრილის მომზადება და საკუთარი კაპიტალის მუხლობრივი ცვლილებების ტენდენციების გამოვლენა საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა. ასევე, საინტერესოა საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ტემპების შედარებითი დახასიათება.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებდან ასევე კარგად ჩანს, საწარმოში ადგილი აქვს თუ არა კაპიტალის ფინანსური შენარჩუნებას და მატებას.

6.4. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების კოეფიციენტების ანალიზი

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების მიხედვითაც არსებობს მისი კერძო და კომბინირებული კოეფიციენტები.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების კერძო კოეფიციენტებია:

1. სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები, რომელიც უკვე განხილულ იქნა.

II. კომბინირებული კოეფიციენტები, როგორიცაა:

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი =
= საკუთარი კაპიტალი / აქტივების ჯამი **(6.4.1)**

ეს კოეფიციენტი 0,0.5-ზე დაბალი არ უნდა იყოს.

საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი =
= (ვალდებულებები / საკუთარი კაპიტალი) **(6.4.2)**

ეს კოეფიციენტი ერთის ზემოთ უკვე ფინანსური რისკის არსებობაზე მიუთითებს.

სააქციო კაპიტალის უკუგება =
= წმინდა მოგება / სააქციო კაპიტალი **(6.4.3)**

იგი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ სააქციო კაპიტალზე.

საბაზისო შემოსავალი 1 აქციაზე =

$$= \frac{\text{(წმინდა მოგება – პრივილეგირებული აქციების დივიდენდი}}{\text{ჩვულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა}}; \quad (6.4.4)$$

ჩატარდება მათი დინამიკური, კორელაციური და ფაქტორული ანალიზი. ამ და სხვა მაჩვენებლების ანალიზი საკუთარი კაპიტალის ანალიზის თემაში იქნება გადმოცემული.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა ფუნქციას ასრულებს საკუთარი კაპიტალი
2. ახსენით კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციის არსი
3. რა ინფორმაციას მოიცავს საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება
4. დაახასიათეთ მაჩვენებლები: საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. რომელ აქციებს ეწოდება პრივილეგირებული აქციები:

ა. აქციებს, რომლებიც ბაზარზე თავისუფლად მიმოიქცევა

ბ. აქციებს, რომლებზეც გამოცხადებულია დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი

გ. აქციებს, რომლებიც ბაზარზე არ იყიდება

2. რას ეწოდება ჩვეულებრივი აქცია:

ა. რომელსაც არა აქვს წინასწარ გამოცხადებული დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი

ბ. რომლის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება

გ. რომლის თავისუფლად გაყიდვა დაუშვებელია

3, რას აჩვენებს სააქციო კაპიტალი

ა. აქციონერების წილს საწარმოს აქტივებში

ბ. დარიცხული დივიდენდების მოცულობას

გ. გრძელვადიანი აქტივების მოცულობას

4. **სააქციო კაპიტალი ბუღალტრულ ბალანსში აღიარებულია:**

ა. გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულებით

ბ. ნაყიდი აქციების ნომინალური ღირებულებით

გ. გამოშვებული აქციების საბაზრო ფასით

5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება არის:

ა. ფინანსური ანგარიშგების ელემენტი

ბ. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტი

გ. არცერთი პასუხი არაა სწორი

6. საწარმოს მოგების ცვლილება:

ა. ცვლის საწარმოს ფულად თანხებს

ბ. ცვლის საწარმოს საკუთარ კაპიტალს

გ. ცვლის ძირითად საშუალებებს

7. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი არის:

ა. ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან

ბ. საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებეთან

გ. საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივების ჯამთან

8. სააქციო კაპიტალის უკუგება არის:

ა. წმინდა მოგების ფარდობა საკუთარ საბრუნავ სახსრებთან

ბ. წმინდა მოგების ფარდობა სააქციო კაპიტალთან

გ. სააქციო კაპიტალის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან

9. 1 ცალი 100 ლ ნომინალური ღირებულების ობლიგაცია შეიძლება გადაიცვალოს ოცი ლარის ნომინალური ღირებულების 5 ჩვეულებრივ აქციაზე. სულ გამოშვებულია 15000 ცალი ობლიგაცია.

რას უდრის გაზავების ეფექტის მქონე ჩვეულებრივი აქციების რიცხვი:

ა. 75 000 ერთ

ბ. 15 000 ერთ

გ. 90 000 ერთ

10. კოეფიციენტი: ვალდებულებები შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან, თუ გაიზრდება, გამოიწვევს საწარმოს ფინანსური რისკების:

ა. ზრდას

ბ. შემცირებას

გ. არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 6.1.

ერთ-ერთი კომპანიის საკუთარი კაპიტალის შესახებ მოცემულია შემდეგი ინფორმაცია (ათ. ლ):

სააქციო კაპიტალი	2340
საემისიო კაპიტალი	900
უკან გამოსყიდული აქციები	(23)
რეზერვები მოგებიდან	780
გადაფასების რეზერვი	200
გაუნაწილებელი მოგება	50

მოთხოვნა: მოამზადეთ საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული ცხრილი

ამოცანა 6.2.

საწარმოს საკუთარი კაპიტალის შესახებ არსებობს ოთხი წლის ინფორმაცია (ათ.ლ):

	2014	**2015**	**2016**	**2017**
სააქციო კაპიტალი	2340	3450	4300	5700
საემისიო კაპიტალი	900	1200	1300	1300
რეზერვები მოგებიდან	780	920	1100	1500
გადაფასების რეზერვი	200	200	320	390
გაუნაწილებელი მოგება	50	80	-	-

მოთხოვნა: შეადგინეთ საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების დინამიკის სამუშაო ცხრილი

თავი 7. საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი

ყოველი საწარმო საკუთარი საფინანსო-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად სათანადო სახის რესურსებს ფლობს, რომელთა მართვის დონეზე დიდადაა დამოკიდებულია საწარმოს საბოლოო საფინანსო-ეკონომიკური შედეგები. არსებული რესურსების ეფექტიანი მართვის მიზნებისათვის მიმდინარეობს საწარმოს განკარგულებაში არსებული ქონების ყოველმხრივი ანალიზი.

მოცემულ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები;
- საწარმოს აქტივების დაფინანსების მიმართულებები;
- მიმდინარე აქტივების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი;
- წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზი.

7.1. საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის ამოცანები, მაჩვენებლები და ინფორმაციული ბაზა

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის დროს შეისწავლება საწარმოს განკარგულ;ებაში მყოფი მატერიალური, ფულადი და არამატერიალური რესურსების მოცულობის, სტრუქტურის და დინამიკის მაჩვენებლები. ამასთან, საწარმოს რესურსები ანუ აქტივები განიხილება ერთი მხრივ ფუნქციონალური სახეების მიხედვით და დაფინანესების წყაროების მიხედვით - მეორე მხრივ.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის ამოცანებია:

- საწარმოს ქონების ანუ აქტივების სტრუქტურის შესწავლა;
- მიმდინარე აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა.
- გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურის, დინამიკის და მდგომარეობის შესწავლა.
- აქტივების დაფინანსების წყაროების სტრუქტურული შესწავლა.

ანალიზის მიზანია გამონახოს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების ოპტიმალური სტრუქტურის მიღწევის გზები.

ანალიზის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსის მიმდინარე და წინა წლების ფაქტობრივი და გეგმური ინფორმაცია (შიდა ანალიზისათვის, რომელსაც ფინანსური მენეჯმენტი ატარებს). ფინანსურ მენეჯმენტს შესაძლოა დაჭირდეს სხვა უფრო დეტალური ინფორმაციაც. მაგალითად, ინფორმაცია მოძველებული აქტივების და დანაკარგების შესახებ.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა შეისწავლება მათი სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტების, მდგომარეობის და გამოყენების მაჩვენებლების მეშვეობით.

ეს მაჩვენებლებია:

აქტივების მოცულობის ცვლილება ანუ გადახრები წინა წელთან ან გეგმასთან შედარებით, რომელიც ბუღალტრული ბალანსის მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, ბალანსში, აქტივების შემადგენლობაში ძირითადი საშუალებები ნარჩენი ღირებულებითაა მოცემული (ანუ ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხების გამორიცხვით). ხოლო, მოთხოვნები (ანუ დებიტორული დავალიანებები) შემცირებულია საეჭვო მოთხოვნების თანხით. აქტივების საბალანსო ღირებულება ცხადია, ხშირად არ ემთხვევა მათ მიმდინარე საბაზრო ღირებულებას. ამიტომ, პერიოდულად ხდება გრძელვადიანი აქტივების გადაფასება. შესაბამისად, აქტივების რეალური ზრდის და ეფექტიანობის განსაზღვრისთვის, ანალიზის დროს მიზანშეწონილია, გადაფასების შედეგების გავლენა აქტივების მოცულობიდან გამოირიცხოს. აქტივების მოცულობის ზრდა საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდას ნიშნავს.

მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი აქტივებში – გაიანგარიშება მიმდინარე აქტივების შეფარდებით აქტივების მთლიან ჯამთან, გამრავლებული 100%-ზე. იგი აჩვენებს რა წილი უჭირავს მიმდინარ აქტივებს მთელ აქტივებში. მიმდინარე აქტივები ისეთი ქონებაა, რომელიც ბალანსის შედგენის დღიდან თორმეტი თვის განმავლობაში ნავარაუდევია გადაიქცეს გაცვლის საშუალებად ანუ გადაიქცევა ფულად სახსრებად. ამის გამო, მიმდინარე აქტივებს მობილურ აქტივებს ან საბრუნავ საშუალებებს ან საბრუნავ კაპიტალსაც უწოდებენ.

გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში – გამოითვლება ასევე ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე, გრძელვადიანი აქტივების მოცულობის შეფარდებით აქტივების საერთო ჯამთან, გამრავლებული 100%-ზე. გრძელვადიანი აქტივები არამობილურ ანუ ნელა მბრუნავ აქტივებს წარმოადგენენ. ისინი ბალანსის შედენის თარიღიდან ერთ წელზე მეტი ხნის ვადით გამოიყენება საწარმოში.

გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, გრძელვადიანი ნაყიდი ფასიანი ქაღალდები და გრძლვადიანი მოთხოვნები.

ძირითადი საშუალებები საწარმოს ტექნიკური ბაზის დგომარეობის განმსაზღვრელია. იგი თავის მხრივ აქტიურ და პასიურ ნაწილად იყოფა. ანალიზის დროს ინტერესს იწვევს აქტიური ძირითადი საშუალებების (მუშა მანქანა-მოწყობილობების) ხვედრითი წილი მთელ ძირითად საშუალებებში, რომელიც გაიანგარიშება მანქანა-დანადგარების საბალანსო ღირებულების შეფარდებით ძირითადი საშუალებების მთლიან მოცულობასთან.

ასევე, შეისწავლება **ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტი**, რომელიც გაიანგარიშება დაგროვილი ცვეთის თანხის შეფარდებით ძირითადი საშუალებების პირვანდელ ღირებულებასთან. იგი აჩვენებს ძირითადი საშუალებების ღირებულების რა ნაწილია გადატანილი შექმნილი პროდქციის თვითღირებულებაში. იგი აგრეთვე ძირითადი საშუალებების ასაკობრივ მდგომარეობასაც ახასიათებს. ცვეთის კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, ძირითადი საშუალებები მით უფრო ძველია. ცვეთის კოეფიციენტი შეიძლება პროცენტულადაც გამოისახოს.

ძირითადი საშუალებების ვარგისიანობის კოეფიციენტი არის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ფარდობა მის პირვანდელ ღირებულებასთან. იგი ახასიათებს რამდენი პროცენტი დარჩა ძირითადი საშუალებების ღირებულების ამოწურვამდე ანუ ექსპლოატაციიდან გასვლამდე.

ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი – გაიანგარიშება წლის განმავლობაში შეძენილი ახალი ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფარდებით წლის ბოლოს არსებული ძირითადი სასუალებების ღირებულებასთან. იგი ახასიათებს ძირითადი საშუალებების განახლების დონეს მოცემულ პერიოდში.

წმინდა აქტივების ღირებულება – წარმოადგენს სხვაობას აქტივების საბალანსო ღირებულებასა და ვალდებულებების მოცულობას შორის. იგი ახასიათებს ქონების იმ ნაწილს, რომელიც მეწარმეს საკუთარი სახსრებით აქვს შეძენილი. რაც უფრო მაღალია წმინდა აქტივების წილი საბალანსო ღირებულების მიმართ, მით უფრო დაბალია ბიზნესის ფინანსური რისკები.

მიმდინარე ანუ საბრუნავი საშუალებების გამოყენების მდგომარეობის დახასათებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

საკუთარი საბრუნავი სახსრები, რომელიც მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებისა და მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამს შორის სხვაობით განისაზღვრება.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა – აჩვენებს, მატერიალური მარაგები იფარება თუ არა საკუთარი საბრუნავი სახსრებით. განისაზღვრება საკუთარ საბრუნავ სახსრებსა და მოკლევადიანი მატერიალური აქტივების ნაშთებს შორის სხვაობით ან ხვედრითი წილის კოეფიციენტით.

საწარმოო მარაგების წილი მიმდინარე აქტივებში და ასე შემდეგ.

ამდენად, აქტივის სტრუქტურული კოეფიციენტები მთლიანად ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება..

ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის დროს შეისწავლება აგრეთვე ამა თუ იმ სახის აქტივის ცვლილების ტემპები დინამიკაში ანუ მათი ცვლილებები რამდენიმე წლიან პერიოდში.

დინამიკური ანალიზი, როგორც წესი, პასუხობს კითხვაზე, მოცემული მაჩვენებელი აღებულ საკვლევ პერიოდში იზრდებოდა, მცირდებოდა, სტაბილურად იცვლებოდა თუ მერყეობდა. ამასთან ადგენს, მოცემული მაჩვენებლის დინამიკური ცვლილებები როგორ გავლენას ახდენდა საბოლოო ფინანსურ შედეგებზე (მოგება/ზარალზე).

7.2. მიმდინარე აქტივების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი

საწარმოს აქტივების სტრუქტურული ანალიზის მიზანია დადგინდეს, წლის განმავლობაში, მიმდინარე აქტივების შემადგენელობაში როგორი სტრქტურული ძვრები მოხდა. კერძოდ, წლის დასაწყისთან შედარებით, წლის ბოლოს მნიშვნელოვნად რომელი სახის მიმდინარე აქტივი გაიზარდა ან შემცირდა. ამასთან, აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას საწარმოს დარგობრივი და ტექნოლოგიური თავისებურებები. თუ მაგალითად საანალიზო საწარმო ღვინისა და

კონიაკის კომპანიაა, მაშინ მზა პროდუქციის მარაგების წილის ზრდა ჩვულებრივ მოვლენად ითვლება, რადგან ეს პროდუქტები რაც უფრო დაძველებულია, მით უფრო ძვირფასი. მაგრამ, იგივე ვერ გავრცელდება ხილის წვენების, საკვები პროდუქტების მწარმოებელ, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა მსგავს საწარმოთა მიმდინარე აქტივებზე.

საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

1. მიმდინარე აქტივების სამუშაო სტრუქტურული ცხრილის მომზადება რამდენიმე წლისათვის (იხ. ცხრილი 7.2.1.);
2. სტრუქტურული ცხრილის წარმოდგენა მხოლოდ პროცენტულად (იხ. ცხრილი 7.2.2.) და მისი ინტერპრეტაციები;
3. თვალსაჩინოებისათვის დიაგრაების მომზადება;
3. გადახრების დადგენა წლის დასაწყისთან შედარებით და ინტერპრეტაციები.

ცხრილი 7.2.1
მიმდინარე აქტივების სტრუქტურის სამუშაო ცხრილი

მიმდინარე აქტივები	2013		2014		2015		2016		2017	
	ათ.ლ	ხვ.წ.%	ათ.ლ	ხვ.წ.%	ათ.ლ	ხვ.წ%	ათ.ლ	ხვ.წ.%	ათ.ლ	ხვ.წ.%
ფულადი თანხები	4200	42,25	3900	40,41	4350	41,79	4100	40,24	4730	35,35
მასალები	1400	14,08	1460	15,13	1500	14,41	1710	16.78	3100	23,17
დაუმთავრებელი პროდუქცია	780	7,85	800	8,29	820	7,88	810	7,95	430	3,21
მზა პროდუქცია	1800	18,11	1700	17,62	1800	17,29	2000	19,63	2500	18,68
საქონელი	580	5,84	500	5,18	440	4,23	270	2,65	270	2.02
მოთხოვნა მიწოდებიდან	1000	10,06	1100	11,40	1350	12,96	1100	10,79	2100	15,70
მისაღები პროცენტები	180	1,81	190	1,97	150	1,44	200	1,96	250	1,87
----------	------	-----	------	-----	----	-----	----------	------	------	------
ჯამი	9940	100	9650	100	10410	100	10190	100	13 380	100

სამუშაო ცხრილში 7.2.1. – როგორც ხედავთ, შეტანილია თანხობრივი მაჩვენებლები და ყოველ წელს გამოთვლილია ხვედრითი წილის კოეფიციენტები პროცენტულად ჯამის მიმართ. მაგალითად, 2017 წელს, 4730/13380 * 100% = 35,35%; 3100/13380 * 100% = 23,17% და ა.შ. სამუშაო ცხრილის საფუძველზე შედგება მიმდინარე აქტივების სტრუქტურული ცხრილი მხოლოდ პროცენტებში (იხ. ცხრილი 7.2.2.).

როგორც სტრუქტურული ცხრილიდან ჩანს, მიმდინარე აქტივებში ყველაზე მაღალი წილი, მთელი პერიოდის განმავლობაში, ფულად თანხებს ეჭირა. თუმცა, იგი ყოველწლიურად მცირდებოდა და 2017 წელს მისი წილი მიმდინარე აქტვებში 6,9 პროცენტული პუნქტით დაეცა (35,35-42,25). იმავე პერიოდში გაზრდილია მასალების და მოთხოვნების წილი. როგორც წესი, მოთხოვნების ზრდა იწვევს ფულადი თანხების შემცირებას. მასალების ნაშთების ზრდა შესაძლოა წარმოების შეფერხების შედეგი იყოს. ამიტომ, მენეჯმენტი კვლევას ამ მიმართულებით გააძლიერებს, რათა იპოვოს მისი გამომწვევი მიზეზები.

სტრუქტურული ანალიზის ცხრილში ყურადღება უნდა მიექცეს იმ მუხლების შემდგომ დეტალურ ანალიზს, რომლის ხვედრითი წილიც ყველაზე მეტად შეიცვალა (გადაიხარა) წლის დასაწყისთან შედარებით. 7.2.2. ცხრილის მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში ყველაზე მეტად შემცირდა ფულადი თანხების ხვედრითი წილი (19,75 პუნქტით). ხოლო

ყველაზე მეტად გაიზარდა მასალებისა და მოთხოვნების ხვედრითი წილი. ეს საყურადღებო მოვლენაა და ანალიტიკოსმა (ფინანსურმა მენეჯერმა) ამ მიმართულებით დეტალურად უნდა გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და დაადგინოს, რამდენად წარმოადგენს იგი საფრთხეს ფირმის გადახდიხუნარიანობისათვის.

ცხრილი 7.2.2.
საანალიზო საწარმოს მიმდინარე აქტივების სტრუქტურა
პროცენტებში

მიმდინარე აქტივები	2013	2014	2015	2016	2017
- ფულადი თანხები	42,25	40,41	41,79	40,24	35,35
-მასალები	14,08	15,13	14,41	16.78	23,17
-დაუმთავრებელი პროდუქცია	7,85	8,29	7,88	7,95	3,21
-მზა პროდუქცია	18,11	17,62	17,29	19,63	18,68
-საქონელი	5,84	5,18	4,23	2,65	2.02
-მოთხოვნა მიწოდებიდან	10,06	11,40	12,96	10,79	15,70
-მისაღები პროცენტები	1,81	1,97	1,44	1,96	1,87
----------	-----	-----	-----	------	------
ჯამი	100	100	100	100	100

შემდეგ შეისწავლება მიმდინარე აქტივების გადახრები მიმდინარე წლის ბოლოს, წლის დასაწყისთან შედარებით (იხ. ცხრილი 7.2.3.). როგორც იმავე ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმო „კოლხეთში“ წლის ბოლოსათვის, წლის დასაწყისთან შედარებით, მიმდინარე აქტივები 1000 ათ. ლარით (13380-10190) გაიზარდა.

შემდეგ დეტალურად განიხილება და შეფასდება მიმდინარე აქტივების ცალკეული მუხლების გადახრები. მაგალითად, მიმდინარე აქტივებში არსებული ცალკეული გადახრები შეიძლება შემდეგნაირად იქნას ნაჩვენები (იხ. ცხრილი 7.2.3. რომლის მაჩვენებლები აღებულია 7.2.1. ცხრილიდან).

ცხრილი 7.2.3
საანალიზო საწარმოს მიმდინარე აქტივების გადახრები
2017 წლის ბოლოს, წლის დასაწყისთან შედარებით
(ათას ლარებში)

მიმდინარე აქტივები	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს	გადახრა (+, –)
ფულადი თანხები	4 100	4 730	+ 630
მასალები	1 710	3 100	+1 390
დაუმთავრებელი წარმოება	810	430	– 380
მზა პროდუქცია	2 000	2 500	+ 500
საქონელი	270	270	–
მოთხოვნა მიწოდებიდან	1 100	2 100	+1 000
მისაღები პროცენტები	200	250	+ 50
----------	--------	----------	----------
ჯამი	10 190	13 380	+3 190

გადახრების ანალიზი აჩვენებს, რომ საანალიზო საწარმოში, მიმდინარე აქტივებში წლის ბოლოს, წლის დასაწყისთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიზარდა მასალის მარაგის მუხლი, რაც შეიძლება ობიექტური მიზეზებით იყოს გამოწვეული, მაგალითად, საწარმოო პროგრამის გაზრდით ან ფასების ზრდით.

შეიძლება არასასურველი ფაქტითაც იყოს გამოწვეული, როგორიცაა, წარმოების პროცესის შეფერხება ან მასალის მოძველება. უარყოფით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნების ნაშთების ზრდა სულ 1000 ათ.ლარით. მაშინ, როდესაც ფულადი თანხები მხოლოდ 630 ათასი ლარით გაიზარდა.

რაც შეეხება მიმდინარე აქტივების დინამიკას (იხ. ცხრილი 7.2.4.), საანალიზო პერიოდის განმავლობაში იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. განსაკუთრებით მაღალი ტემპით, ორჯერ და მეტად გაიზარდა მასალების და მოთხოვნების ნაშთები, რაც არასასურველი მოვლენაა. ამიტომ, მენეჯმენტმა ამ მიმართულებებით უფრო დეტალური ანალიზი უნდა ჩაატაროს.

ცხრილი 7.2.4.

საანალიზო საწარმოს მიმდინარე აქტივების დინამიკა

%-ად 2013 წელთან შედარებით

მიმდინარე აქტივები	2013	2014	2015	2016	2017
ფულადი თანხები	100	93	104	98	113
მასალები	100	104	107	122	221
დაუმთავრებელი წარმოება	100	103	105	104	51
მზა პროდუქცია	100	94	100	111	139
საქონელი	100	67	67	90	90
მოთხოვნა მიწოდებიდან	100	110	135	110	210
მისაღები პროცენტები	100	105	83	111	139
ჯამი	100	97	105	107	135

შევნიშნავთ, რომ დინამიკური ცხრილების პირველ სვეტში საბაზისო წლის დონე არის 100%. მასზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მატებას, დაბალი კი შემცირებას ნიშნავს. ამის თვალსაჩინოებისათვის 2013 წელს ყველა მაჩვენებელი 100 %-ითაა ნაჩვენები. დინამიკურ ცხრილებში ამიერიდან საბაზისო წელი ნაჩვენები აღარ იქნება, რადგან ამის აუცილებლობა არ არსებობს.

საერთოდ, უარყოფით მოვლენად ითვლება ფულადი თანხების წილის შემცირება, მარაგებისა და მოთხოვნების წილის ზრდა, ვალდებულებების წინმსწრები ტემპით ზრდა მიმდინარე აქტივებთან შედარებით. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა ნელდება, იზრდება კრედიტორებზე საწარმოს დამოკიდებულების ხარისხი და ფინანსური მდგომარეობა მძიმდება.

7.3. გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განსაზღვრებით გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება ერთ წელზე მეტი ვადის ქონება. კერძოდ: ძირითადი საშუალებები, ინვესტიციები, გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები, არამატერიალური აქტივები, გრძელვადიანი მოთხოვნები.

პირველ რიგში გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა შეისწავლება (იხ. ცხრილი 7.3.1), რომელიც საერთო წარმოდგენას ქმნის საწარმოს საინვესტიციო და ფინანსური პოლიტიკის შესახებ. თუკი საწარმოს გრძელვადიან აქტივებში მაღალი ხვედრითი წილი მიწას და შენობა-დანადგარებს უჭირავს, იმაზე მიანიშნებს, რომ ბიზნესი ფართოვდება.

ცხრილი 7.3.1.

გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურის სამუშაო ცხრილი

გრძელვადიანი აქტივები	2013		2014		2015		2016		2017	
	ათ.ლ	ხვ.წ.%	ათ.ლ	ხვ.წ.%	ათ.ლ	ხვ.წ%	ათ.ლ	ხვ.წ.%	ათ.ლ	ხვ.წ.%
-მიწა	1000	7,84	1000	7,82	1000	7,66	1000	7.0	1000	4,40
-შენობები	5000	39,18	5200	40,69	5150	39,46	6360	43,0	9220	40,53
-დანადგარები	4760	37,30	4580	35,84	4900	37,55	5260	36,0	9000	39,56
-ობლიგაციები	2000	15,68	2000	15,65	2000	15,33	2000	14,0	2000	8,79
-არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	1530	6,72
----------	-----	----	-----	-----	-----	----	------	-----	----	----
ჯამი	12760	100	12780	100	13050	100	14620	100	22750	100

გრძელვადიან აქტივებში თუკი მაღალი ხვედრითი წილი ნაყიდ ობლიგაციებს უკავია, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიას თავისუფალი ფულადი აქტივი შეექმნა, რომელიც დამატებითი ფულის მიღების მიზნით დააბანდა. ასევე, მაღალი ინვესტიციები ნიშნავს, რომ წილი გააჩნია სხვის საკუთარ კაპიტალში, რომელსაც ასევე დამატებითი შემოსავლები მოაქვს დივიდენდის სახით და მაშასადამე, ბიზნესი აქტიურია.

სამუშაო ცხრილის საფუძველზე შედგება სტრუქტურული ცხრილი 7.3.2., რომელიც მხოლოდ პროცენტულ მაჩვენებლებს ასახავს და ამდენად, ძალიან თვალსაჩინოა. ანალიტიკოსები ასეთი ცხრილის საფუძველზე სტრუქტურულ დიაგრამებსაც აგებენ. როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმოს გრძელვადიან აქტივებში ყველაზე მაღალია შენობებისა და დანადგარების პროცენტული წილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მენეჯმენტი წარმოებას აფართოებდა.

ცხრილი 7,3,2,

საანალიზო საწარმოს გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა %-ად

გძელვადიანი აქტივები	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**
- მიწა	7,84	7,82	7,66	7,0	4,40
- შენობები	39,18	40,69	39,46	43,0	40,53
- დანადგარები	37,30	35,84	37,55	36,0	39,56
- ობლიგაციები	15,68	15,65	15,33	14,0	8,79
- არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	6,72
----------	----	-----	----	-----	----
ჯამი	100	100	100	100	100

საანალიზო საწარმოს აგრეთვე შესყიდული აქვს ობლიგაციები, საიდანაც საპროცენტო შემოსავალს იღებს. ამრიგად, მენეჯმენტი შემოსავლების დივერსიფიკაციის პოლიტიკას ახორციელებს, რითაც საერთო შემოსავლიანობის სტაბილურობას უწყობს ხელს.

ცხრილი 7.3.3.

საანალიზო საწარმოს გრძელვადიანი აქტივების დინამიკა %-ად 2013 წელთან შედარებით

გრძელვადიანი აქტივები	2014	2915	2016	2017
- მიწა	100	100	100	100
- შენობები	103	103	127	184
- დანადგარები	96	103	111	189
- ობლიგაციები	100	100	100	100
- არამატერიალური აქტივები	-	-	-	-
ჯამი	100	102	115	178

გრძელვადიანი აქტივების დინამიკური ანალიზი (იხ. ცხრილი 7.3.3.) აჩვენებს გრძელვაიდანი აქტივები აღებულ პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

დინამიკური ანალიზის დროს მოწმდება მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი აღემატება თუ არა გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპს. საანალიზო საწარმოში პირიქით, გრძელვადიანი აქტიევბის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება მიმიდანრე აქტივბის ზრდის ტემპს, რაც არასასურველი მოვლენაა.

ფინანსური მენეჯმენტი განსკუთრებულ ყურადღებას აქცევს ძირითადი საშუალებების მდგომარეობის ხარისხს. ამ მიზნით, სტრუქტურისა და დინამიკის განხილვის შემდეგ, შეისწავლება ძირითადი საშუალებების მდგომარეობის მაჩვენებლები, როგორიცაა ცვეთის, ვარგისიანობის, განახლების და ბრუნვადობის კოეფიციენტები.

$$K_{\text{განახლების}} = \frac{\text{შეძენილი ახალი ძირითადი საშუალებები}}{\text{ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება}} \qquad (7.3.1.)$$

იგი აჩვენებს, ძირითადი საშუალებების განახლების დონეს ანუ ახალი ძირითადი საშუალებების წილს მთელ ძირითად საშუალებებში.

$$K_{\text{ცვეთის}} = \frac{\text{დაგროვილი ცვეთა}}{\text{ძირით. საშ. პირვანდელი ღირებულებით}} \qquad (7.3.2)$$

იგი აჩვენებს ძირითადი საშუალებების ღირებულების რა ნაწილია გადასული შექმნილი პროდუქციის თვითღირებულებაში. აგრეთვე, ეს კოეფიციენტი რაც უფრო მაღალია, მით მეტად დაძველებულია ძირითადი საშუალებები.

$$K_{\text{ვარგისიანობის}} = \frac{\text{ძირთ. საშ. საბალანსო ღირებულებით}}{\text{ძირით. საშ. პირვანდელი ღირებულებით}} \qquad (7.3.3.)$$

ვარგისიანობის კოეფიციენტი რაც უფრო მაღალია, ნიშნავს, რომ ძირითადი საშუალებების განახლების დონეც მაღალია. ცვეთისა და ვარგისიანობის კოეფიციენტების ცვლილებებს ურთიერთშებრუნებული ტენდენცია ახასიათებთ. მათი ჯამი ყოველთვის ერთის ტოლი უნდა იყოს. განახლების კოეფიციენტი როცა იზრდება, იზრდება ვარგისიანობის კოფიციენტი და მცირდება ცვეთის კოეფიციენტი. თუ დინამიკაში, განახლების კოეფიციენტი ეცემა და ვარგისიანობის კოეფიციენტი იზრდება, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ცვეთის ხარჯები ხელოვნურადაა შემცირებული.

$$\text{K ძირითადი საშუალებების ბრუნვადობის} = \frac{\text{წლიური ცვეთის ხარჯი}}{\text{ძირ. საშ. პირვანდელი ღირებულება}} \qquad (7.3.4.)$$

ეს კოეფიციენტი პასუხობს კითხვაზე: ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულების (თვითღირებულების) რამდენი პროცენტი შემობრუნდება წელიწადში ანუ გადადის ხარჯებში და უკან ბრუნდება ფულის სახით. მაგალითად, სანალიზო საწარმოს 2017 წლის მოგება/ზარალის ანგარიშგებით, ცვეთის ხარჯი 2240 ათ. ლარს შეადგენს. ხოლო პირვანდელი ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ჩანს. ამიტომ, შეიძ ება შემდეგი დამოკიდებულების გამოყენება:

ძირითადი საშუალებების პირვანდელ ღირბულებას მინუს პირვანდელი ღირებულებისა და ვარგისიანობის კოეფიციენტის ნამრავლი, უდრის მათ საბალანსო ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება რადგან ვარგისიანობის კოეფიციენტები მოცემულია, მაშინ, პირვანდელი ღირებულება აღვნიშნოთ x-ით. შეიძლება შედგეს შემდეგი ტოლობა:

$$x - 0{,}708x = 11000 \text{ ათ.ლ.}$$

აქედან, ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება 2017 წლის ბლოსათვის არის 37672 ათ.ლ. ამის შემდეგ გამოითვლება ძირითადი საშუალებების ბრუნვადობა: 2240/37672 = 0,0595 ანუ 5,95%. მაშასადამე, ძირითადი საშუალებების ღირებულების 5,95% შემობრუნდება წელიწადში ანუ გადაიქცევა ფულად საშუალებად.

ძირითადი საშუალებების მდგომარეობის მაჩვენებლები წარმოდგენილია 7.3.4. ცხრილში, იმავე საანალიზო საწარმოს მაგალითზე.

ცხრილი 7.3.4.
ძირითადი საშუალებების მდგომარეობის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
• განახლების კოეფიციენტი	0,105	0,124	0	0,080	0,245
• ცვეთის კოეფიციენტი	0,161	0,222	0,275	0,307	0,292
• ვარგისიანობის კოეფიციენტი	0,839	0,778	0,725	0,693	0,708
• ძირ.საშ, ბრუნვადობა					0,0595

გამოთვლები აჩვენებენ, რომ საანალიზო საწარმოში, ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი დიდი მერყეობით ხასიათდებოდა. 2015 წელს იგი ნულის ტოლი იყო. ხოლო ცვეთის კოეფიციენტი განსაკუთრებით მაღალია 2016 წელს, როცა მოსალოდნელი იყო, რომ ცვეთის თანხა მნიშვნელოვნად არ უნდა გაზრდილიყო, რადგან განახლების დონე ძალიან დაბალი იყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცვეთის თანხა ხელოვნურად არის გაზრდილი. მენეჯმენტმა უნდა გადაამოწმოს ცვეთის დარიცხვის არებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

მოცემული კოეფიციენტების მერყეობის ხარისხის შედარებისათვის შეიძლება მათი ვარიაციის კოეფიციენტების გამოთვლა. მისი გამოთვლის ფორმულა პირველ თავშია მოცემული. ვარიაციის კოეფიციეტი რაც უფრო ახლოსაა 100-თან, მით მაღალია მაჩვენებლის მერყეობის ხარისხი.

ცხრილი 7.3.5

ძირითადი საშუალებების მდგომარეობის კოეფიციენტების დინამიკა (%-ად 2007 წელთან შედარებით)

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
• განახლების კოეფიციენტი	100	13	0	76	233
• ცვეთის კოეფიციენტი	100	138	171	191	181
• ვარგისიანობის კოეფიციენტი	100	93	86	83	84

7.3.5. ცხრილში მოტანილი მაჩვენებლების გამოთვლა წლიური ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციით ცხადია შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ფინანსური მენეჯმენტისათვის ამ ინფორმაციის მოპოვება ადვილია. როგორც იმავე ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი ორჯერ გაიზარდა, ვარგისიანობის კოეფიციენტის ტემპი კი შემცირებულია. მენეჯმენტმა დეტალურად უნდა გამოიკვლიოს რა არის ამის მიზეზი. შესაძლოა ძირითადი საშუალებების შეფასებაში რაღაც ხარვეზები არსებობს. უნდა გადამოწმდეს, როგორ ტარდება ძირითადი საშუალებების გადაფასება და ტესტირება გაფასურებაზე.

7.4. საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროების სტრუქტურული ანალიზი

საწარმოთა ქონებრივი დახასიათებისათვის, გარდა მათი სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლისა, აგრეთვე აუცილებელია მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურის ოპტიმალურობის დადგენა. თუკი აღმოჩნდება, რომ საწარმოს აქტივების 50%-ზე მეტი ვალდებულებებითაა დაფინანსებული, ასეთი საწარმოები ფინანსურ სანდოობას კარგავენ (გარდა კომერციული ბანკებისა, რადგან ისინი თავიანთი საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ძირითადად სხვისი ფულით მუშაობენ). ასე რომ, კომპანიას შეიძლება დიდი ქონება გააჩნდეს, მაგრამ

თუკი ამ ქონების ნახევარზე მეტი ვალდებულებების ხარჯზეა შეძენილი, ეს ნიშნავს, რომ ის ქონება რეალურად მისი არაა და გაკოტრების მაღალი რისკები არსებობს.

საწარმოს ქონების დაფინანსების წყაროები, როგორც წესი, ბუღალტრული ბალანსის პასივშია წარმოდგენილი. ცნობილი საბალანსო ტოლობა, რომ აქტივი უდრის საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ჯამს, შეიძლება შემდეგი სახითაც იქნეს წარმოდგენილი:

გა + (მა – მვ) – გვ = სკ + რ + გმ; **სადაც,** **(7.4.1.)**

გა – არის გრძელვადიანი აქტივები;
მა – არის მოკლევადიანი აქტივები;
მვ – არის მოკლევადიანი ვალდებულებები;
გვ – არის გრძლევადიანი ვალდებულებები;
სკ – სააქციო კაპიტალი;
რ – რეზერვები, საემისიო კაპიტალის ჩათვლით;
გმ – გაუნაწილებელი მოგება.

ანუ, გრძელვადიანი აქტივებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრების ჯამს, გამოკლებული გრძელვადიანი ვალდებულებები, მიიღება საკუთარი კაპიტალის მოცულობა.

მართლაც, საანალიზო საწარმოს ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის მიხედვით 2017 წლის ბოლოს მიიღება:

22750 + (13380 – 10930) – 7040 = 18160

მაშასადამე, საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდა საკუთარ ცაპიტალს, სხვა თანაბარ პირობებში ზრდის, ხოლო ვალდებულებების ზრდა – ამცირებს.

დღეისათვის საწარმოს ქონების დაფინანსების წყაროები მოიცავს როგორც ტრადიციულ, იხე ახალ ინსტრუმენტებს.

დაფინანსების ტრადიციულ წყაროებს მიეკუთვნება; წილობრივი ფასიანი ქაღალდები (აქციები და ობლიგაციები), საბანკო სესხები, საგადასახადო საინვესტიციო კრედიტი (იგი გულისხმობს გადასახადების გადავადებას. საწარმოს, რომელიც ასეთი კრედიტით სარგებლობს, შეუძლია ქონების გადასახადი 10%-ით შეამციროს. ოღონდ, ზოგიერთ სახელმწიფოში საგადასახადო კრედიტის სიდიდემ კალენდარული წლის მოგების გადასახადის 50%-ს არ უნდა გადააჭარბოს. ასეთი კრედიტის მისაღებად საწარმომ საგადასახადო ინსპექციასთან სპეციალური ხელშეკრულება უნდა გააფორმოს). დაფინანსების ტრადიციულ წყაროებს აგრეთვე მიეკუთვნება საემისიო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება.

რაც შეეხება მოკლევადიან ვალდებულებებს (საბანკო სესხის გარდა), ისინი პირდაპირი მნიშვნელობით დაფინანსების ინსტრუმენტებს არ წარმოადგენენ, მაგრამ, ქმნიან საწარმოს მოკლევადიან მოზიდულ სახსრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონლის მოძრაობას მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის.

საწარმოს გრძელვადიანი დაფინანსება შეიძლება მოხდეს გრძელვადიანი დაფინანსების ახალი ინსტრუმენტებით, როგორიცაა: ოფციონი, ლიზინგი, ფრენჩაიზინგი, გირავნობის ოპერაციები, საპროცენტო სვოპები.

ოფციონი წარმოადგენს შეთანხმებას ორ ინვესტორს შორის, რომელთაგანაც ერთი გამოიწერს და ყიდის ოფციონს, ხოლო მეორე ყიდულობს მას და იძენს უფლებას ოფციონის პერიოდის განმავლობაში ფიქსირებული ფასით იყიდოს ან გაყიდოს დასახელებული აქტივი.

მსოფლიოში ცნობილია სამი სახის ოფციონი: კომპანიის აქციის შეღავათით შესყიდვის უფლება, ვარანტი, გამყიდველისა და მყიდველის ოფციონები.

შეღავათებით აქციების შესყიდვის უფლება წარმოადგენს სპეციფიკურ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის აუცილებლობას იწვევს აქციონერების სურვილი, თავიდან აიცილონ შემოსავლების წილის შემცირებით გამოწვეული დანაკარგები, ახალი აქციონერების გამოჩენით ან აქციების დამატებითი ემისიით. ოფციონის ფასიან ქაღალდზე მითითებულია აქციების რაოდენობა, რომელთა შეძენა ფიქსირებული შეღავათიანი ფასით ანუ ხელმოწერის ფასით უნდა მოხდეს. ასეთი ოფციონის ვადა ერთ წლამდეა. შეღავათიანი აქციები ბაზარზე თავისუფლად მიმოიქცევა. ფასი ერთ აქციაზე განისაზღვრება საბაზრო ფასზე დაბლა.

ვარანტი სიტყვა-სიტყვით, რაიმე გარანტირებულ მოვლენას ნიშნავს. ფინანსურ მენეჯმენტში ვარანტი წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც უფლებას იძლევა, მისმა მფლობელმა, განსაზღვრულ პერიოდში ფიქსირებული ფასით იყიდოს ან გაყიდოს აქციები. ვარანტის ვადა შეიძლება რამდენიმე წლითაც განისაზღვროს. ვარანტები ჩვეულებრივ კომპანიის საობლიგაციო სესხთან ერთად გამოიცემა. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება ვარანტის დაბრუნება და საკუთარი ფულის მიღება.

მყიდველისა და გამყიდველის ოფციონები ასევე წარმოადგენს კონტრაქტის სახესხვაობას, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის ფიქსირებული ფასით ყიდვა-გაყიდვის უფლებას იძლევა, დროის გარკვეულ პერიოდში. ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ მყიდველისა და გამყიდველის ოფციონებს უშუალო კავშირი საწარმოს ფინანსურ მენეჯერთან არა აქვს, რადგან ასეთი კონტრაქტებიდან შემოსავლებს საბროკერო კომპანიები იღებენ, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით არიან დაკავებულნი. მყიდველებიცა და გამყიდველებიც ცდილობენ აქციების კურსის ცვლილების შედეგად მოგება მიიღონ. ოფციონის მყიდველები – აქციის ფასის დაწევით, ოფციონების გამყიდველები კი – ფასის აწევით არიან დაინტერესებულნი.

გირაო წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის ხერხს, რომლის დროსაც კრედიტორი, ანუ გირაოს მიმღები უფლებას იძენს, ვალის ამოღების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სანაცვლოდ დაგირავებული ქონება დაიტოვოს.

თანამედროვე პირობებში, კომერციული ბანკები გრძელვადიანი სესხების გაცემის დროს, გირაოს მოითხოვენ. შეთანხმება გირავნობის შესახებ დგება კანონით დადგენილი წერილობითი ფორმით და მტკიცდება ნოტარიუსით. გირავნობის ნივთებს შეიძლება წარმოადგენდეს ავეჯი, ფასიანი ქაღალდები ან სხვა ქონება. ხოლო გირაო, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია შენობებთან და მიწასთან, იპოთეკას წარმოადგენს.

ლიზინგი წარმოადგენს მოძრავი და უძრავი ქონების გრძელვადიან იჯარას. იგი არის საწარმოს საქმიანობის დაფინანსების არაპირდაპირი ფორმა, როდესაც

საწარმოს არ შეუძლია ძირითადი საშუალებები უშუალო შესყიდვით შეიძინოს.

არსებობს ლიზინგის სამი სახე: პირდაპირი, დაბრუნებადი და შერეული.

პირდაპირი ლიზინგი– იჯარის ობიექტის მოიჯარის საკუთრებაში გადასვლას ითვალისწინებს.

დაბრუნებადი ლიზინგის დროს, საწარმო თავის აქტივს მიყიდის სალიზინგო ფირმას და დაუყოვნებლივ უკან იბრუნებს გრძელვადიანი იჯარით. სალიზინგო კონტრაქტის დამთავრების დროს ქონებაზე საკუთრების უფლება კვლავ მოიჯარე (იჯარის ამღებ) საწარმოზე გადადის.

შერეული ლიზინგი ითვალისწინებს ლიზინგის ობიექტის შეძენის ხარჯებში მოიჯარისა და სალიზინგო ფირმის წილობრივ მონაწილეობას. იჯარის ეს სახე განსაკუთრებით ძვირადღირებული ქონების შეძენის დროს გამოიყენება.

მოწყობილობების ლიზინგის დროს, სალიზინგო ოპერაციების სუბიექტებს წარმოადგენენ: მოწყობილობების მიმწოდებელი (მწარმოებელი ფირმა), ლიზინგის გამცემი (სალიზინგო ფირმა) და ლიზინგის მიმღები (მოიჯარე).

ფრენჩაიზინგი წარმოადგენს კომპანიის მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე გაცემულ ნებართვას, რათა მოცემული ფირმის მარკით ან მისი ტექნოლოგიით აწარმოოს ან გაყიდოს საქონელი. ხელშეკრულებით შეთანხმება ხდება ნებართვის პერიოდის, ტერიტორიის და ანაზღაურების ფორმის შესახებ. ფრენჩაიზინგი არსებითად არ წარმოადგენს საწარმოს პირდაპირ დაფინანსებას, მაგრამ იგი უზრუნველყოფს არაპირდაპირ დაფინანსებას წარმოების ტექნოლოგიების დამუშავებაზე დანახარჯების შემცირებისა და ბაზრის დაპყრობის მიზნით. ფრენჩაიზინგის ოპერაცია ხელსაყრელია ნებართვის გამცემი პირისათვის, რადგან ხდება ამ კომპანიის რეკლამა და აგრეთვე მიიღება გადასახადი ამ ნებართვის გამოყენებისათვის.

სვოპი წარმოადგენს შეთანხმებას ორ სუბიექტს შორის აქტივების ან ვალდებულებების გაცვლის შესახებ მათი სტრუქტურის გაუმჯობესების, ხარჯებისა და რისკის შემცირების მიზნით. ყველაზე მეტად გავრცელებულია საპროცენტო და სავალუტო სვოპები. საპროცენტო სვოპი წარმოადგენს შეთანხმებას ორ კომპანიას შორის არსებული დავალიანებების ან გაცემული სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის შესახებ. სავალუტო სვოპი წარმოადგენს შეთანხმებას სხვადასხვა ქვეყნის კომპანიებს შორის ნაციონალური ვალუტის გაცვლაზე, თუ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება შებრუნებული ოპერაცია.

საწარმოს აქტივების და მათი დაფინანსების წყაროების საერთო სტრუქტურა ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე, ნაჩვენებია 7.4.1. ცხრილში, 2017 წლის დასწყისისა და ბოლოსათვის.

როგორც 7.4.1 ცხრილის გაანგარიშებებიდან ჩანს, აქტივების შემადგენლობაში, მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი შემცირდა, გრძელვადიანი აქტივების წილი კი გაზრდილია. ეს შეიძლება დადებით მოვლენად ჩაითვალოს, რადგან, მართალია ფულადი თანხები შემცირდა წლის ბოლოსათვის, მაგრამ როგროც ჩანს ფულადი თანხები გრძელვადიანი აქტივების შეძენაზე დაიხარჯა, რომელსაც მომავალში მოაქვს ფულადი ნაკადები. იმავე ცხრილის ინფორმაციით, ვალდებულებების წილი აქტივების დაფინანსებაში წლის ბოლოს

გაიზარდა, საკუთარი კაპიტალის წილი კი 52%-დან 50,3%-მდე დაეცა, რაც მენეჯმენტისათვის საყურადღებო ფაქტია.

ცხრილი 7.4.1

საანალიზო საწარმოს აქტივების და მათი დაფინანსების წყაროების ზოგადი სტრუქტურა

მაჩვენებლები	წლის დასაწყისში		წლის ბოლოს	
	ათ. ლ	ხვ/წ-ის %	ათ.ლ	ხვ/წ-ის %
მიმდინარე აქტივები	10 190	43	13 380	37
გრძელვადიანი აქტივები	14 620	57	22 750	63
სულ აქტივები	24 810	100	36 130	100
ვალდებულებები	11790	48	17 970	49,7
საკუთარი კაპიტალი	13020	52	18 160	50,3
სულ დაფინანსების წყაროები	24 810	100	36 130	100

ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილის კოეფიციენტებს, საერთაშორისო პრაქტიკაში მათი კონენტრაციის კოეფიციენტებს უწოდებენ.

$$\text{K საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}; \qquad (7.4.2.)$$

ეს კოეფიციენტი 0,5-ზე მეტი უნდა იყოს.

$$\text{K მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივების ჯამი}}; \qquad (7.4.3.)$$

ეს კოეფიციენეტი 0,5–ზე ნაკლები უნდა იყოს.

$$\text{K კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}; \qquad (7.4.4.)$$

კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის ყოველი ერთი ლარი რამდენი ლარის ვალდებულებებითაა დატვირთული. ამ კოეფიციენტის ზრდა ფინანსურ რისკებს ზრდის და კრედიტორებზე საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების ხარისხს აძლიერებს. მისი მინიმალური დონე ერთია და ერთზე მეტი არ უნდა იყოს (გარდა კომერციული ბანკებისა).

როგორც 7.4.2. ცხრილის მონაცემები აჩვენებს, ოთხივე ელემენტი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ამასთან, მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი 2017 წელს ოდნავ ჩამორჩება მიმდინარე ვალდებულებების ზრდის ტემპს, რაც დადებითად ვერ შეფასდება. გრძელვადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპი ჩამორჩება გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპს, რაც დადებით მოვლენას

წარმოადგენს, რადგან, ითვლება რომ დანარჩენი საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული.

ცხრილი 7.4.2.

აქტივებისა და დაფინანსების წყაროების დინამიკა %-ად 2013 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	საბაზისო 2013 წ	2014 წ %-ად 2013 წ-თან	2015 წ %-ად 2013 წ-თან	2016 წ %-ად 2013წ-თან	2017 წ %-ად 2013წ-თან
-მიმდინარე აქტივები	100	97	105	103	135
-გრძელვადიანი აქტივები	100	100	102	111	173
სულ აქტივები	100	99	103	109	149
-გრძელვადიანი ვალდებულებები	100	95	102	119	168
-მიმდინარე ვალდებულებები	100	70	75	79	136
სულ ვალდებულებები	100	78	84	92	141
-საკუთარი კაპიტალი	100	125	128	131	183

თვალსაჩინოებისათვის აგრეთვე ეფექტურია დინამიკური გრაფიკების მომზადება.

ანლიზის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, ხომ არ არის მოგება ხელოვნურად გაზრდილი ამორტიზაციის შემცირების გზით, რათა საწარმომ ინვესტორები მიიზიდოს.

7.5. წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზი

წმინდა მიმდინარე აქტივი არის სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მიმდინარე აქტივებითან დაკავშირებით მრავალი ტერმინი გამოიყენება. ამიტომ, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, აღვნიშნავთ, რომ ცნებები – **მიმდინარე აქტივები, მოკლევადიანი აქტივი, საოპერაციო აქტივები, საბრუნავი კაპიტალი (საშუალებები), სამუშაო კაპიტალი, მობილური ან ლიკვიდური აქტივები** - სინონიმებია.

საბრუნავი კაპიტალის მართვის ფარგლებში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ორ კითხვას:

- რამდენი უნდა დააბანდოს საწარმომ მიმდინარე აქტივებში;
- როგორ უნდა მოხდეს სამუშაო კაპიტალში დაბანდებების დაფინანსება.

მიმდინარე აქტივებში დაბანდებების მართვა შესაძლებელია განხილულ იქნას ერთ-ერთი გზით, შემდეგი ორიდან:

- მიმდინარე აქტივების ან ვალდებულებების ინდივიდულაური დონით, ან
- ჯამურ კაპიტალზე მოთხოვნის თვალსაზრისით.

მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების ინდივიდულაური ელემენტები (მარაგი, დებიტორები, ფული, კრედიტორები) განხილული იქნება შემდეგში. ამჯერად კი განვიხილოთ ჯამური დაბანდებები სამუშაო კაპიტალში.

ჯამურ კაპიტალში მთლიანი დაბანდებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება არის შემდეგის კომპრომისი – ლიკვიდურობა თუ მომგებიანობა, ან ფულადი ნაკადები თუ მოგება. გადწყვეტილებების მიღების დროს საწარმოებმა მიმდინარე აქტივებში დაფინანსების დანახარჯებს უნდა დაუპირისპირონ მიღებული სარგებელი. საბრუნავ კაპიტალში დაბანდებების გარეშე არ იქნება არც მარაგი, არც დებიტორული დავალიანება. შედეგად იქნება მცირე მოცულობის გაყიდვები და მოგება.

საწარმოს ხელმძღვანელობა გამუდმებით უნდა განიხილავდეს მომგებიანობასა და ლიკვიდურობას შორის კომპრომისის საკითხს. მნიშვნელოვანი სავაჭრო ზრდა ჩვეულებრივ იწვევს:

- მომგებიანობის ზრდას, და
- დაფინანსების გაზრდის საჭიროებას ძირითად საშუალებებსა და სამუშაო (საბრუნავ) კაპიტალში;

კრედიტით გაყიდვების ზრდა და გაზრდილი მომგებიანობა ზღუდავს ნაღდ ფულს. გადაჭარბებულმა სავაჭრო ბრუნვამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის უუნარობა– დაფაროს კრედიტორული დავალიანებები. ხშირად კომპანიები წარუმატებლობას განიცდიან არა იმიტომ, რომ საკმარისი მოგება არ გააჩნიათ, არამედ იმიტომ, რომ მათი ვალდებულებების (ხელფასების, მომწოდებლების, გადასახადების, პროცენტების და სხვა) გასტუმრებისათვის საჭირო ფულადი თანხები აჭარბებს მათ ხელთ არსებულ თანხებს.

მაგალითად, ძირითადი საშუალებების შეძენა ნაღდ ფულზე იწვევს ნაღდი ფულის მთლიანად გასვლას საწარმოდან, როცა ძირითადი საშუალებების შეძენა მოხდა. მოგებაზე კი იგი რამდენიმე წლის განმავლობაში აისახება მათი მომსახურების ვადის პერიოდში, ცვეთის დარიცხვის სახით. ასევე, პროდუქციის კრედიტით გაყიდვის დროს მოგება მთლიანად აღიარებული იქნება გაყიდვების დროს, თუმცა ნაღდი ფული გარკვეული პერიოდის შემდეგ მიიღება.

ამრიგად, სამუშაო კაპიტალის მართვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, როგორ დაფინანსდეს მიმდინარე აქტივები. იბადება კითხვა: გამოყენებული იქნას მოკლევადიანი სესხები თუ გრძელვადიანი კრედიტები.

ტრადიციულად ითვლებოდა, რომ მიმდინარე აქტივები დაფინანსდეს მოკლევადიანი, ძირითადი საშუალებები კი გრძელვადიანი წყაროებით (ნასესხები და საკუთარი კაპიტალი). **ასეთი მიდგომის დროს სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის მთლიანად საკუთარ საბრუნავ სახსრებს წარმოადგენდა**.

თანამედროვე ბიზნესში მიმდინარე აქტივებიც შეიძლება დაფინანსდეს გრძელვდიანი სესხებით. განსაკუთრებით, მიმდინარე აქტივების მუდმივი ნაწილი (მატერიალური მარაგები). თუკი მატერიალური მარაგის გარკვეული სიდიდე მუდმივად უნდა არსებობდეს, მაშინ შეიძლება გრძელვადიანი სესხის გამოყენებაც. თუმცა შეიძლება პირიქითაც მოხდეს. ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნას მოკლევადიანი სესხები. ყველაფერი დამოკიდებულია საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის გადაწყვეტილებებზე და სესხების რისკის ხარისხზე (რომელი უფრო იაფია).

როცა მიმდინარე აქტივები გრძელვადიანი ვადებულებებითაცაა დაფინანსებული, მას ჭარბ კაპიტალიზაციას უწოდებენ.

მოკლევადიანი დაფინანსება მოიცავს სავაჭრო კრედიტებს, რომელიც ჩვეულებრივ ითვლება ყველაზე „იაფ“ დაფინასებად მაშინ, როდესაც სესხებზე პროცენტები გაიცემა. ხოლო საკუთარი კაპიტალით დაფინანსება ძვირი უჯდება მესაკუთრეს, ვინაიდან დივიდენდი უფრო მაღალია და არ გამოიქვითება დასაბეგრი მოგებიდან, ვიდრე სესხის საპროცენტო განაკვეთები. ამასთან, მოკლევადიანი სესხი უფრო იაფია, ვიდრე გრძელვადიანი, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში ბანკი უფრო მეტ რისკს ეწევა. თუმცა ზოგჯერ საწინააღმდეგო ტენდენციებიც შეინიშნება. მოკლევადიანი კრედიტი უფრო ძვირია, ვიდრე გრძელვადიანი. ეს მაშინ ხდება, როცა ბაზარზე გრძლევადიან პერსპექტივაში საპროცენტო განაკვეთების დაცემას მოელიან.

მოკლევადიანი დაფინანსება უფრო მოქნილია გრძელვადიანთან შედარებით. მაგალითად, თუ სახსრები მიღებულია ოვერდრაფტის ხარჯზე და გამოიყენება საბრუნავი საშუალებების (მიმდინარე აქტივების) ცვლადი ნაწილის დაფინანსებისათვის, მაშინ ისინი შეიძლება დაბრუნდეს როდესაც მათზე აღარ არის საჭიროება. ამით გაკეთდეს ეკონომია გადასახდელ პროცენტზე. ამასთან, თუ სახსრები ნასესხები იქნებოდა გრძელვადიანი პერიოდისათვის, მაშინ ვალის ადრე დაფარვა ან შეუძლებელი იქნებოდა, ანდა დაკავშირებული იქნებოდა ჯარიმის დაკისრებასთან. ამრიგად, მოკლევადიანი კრედიტის მოქნილობამ შეიძლება დაწიოს მისი საერთო ღირებულება.

მართალია, მოკლევადიანი დაკრედიტება „იაფ“ დაფინასებად ითვლება, მაგრამ შეიძლება წარმოიშვას შემდეგი პრობლემები: მოკლევადიანი დაკრედიტება შეიძლება საჭიროებდეს მუდმივად განახლებად მოლაპარაკებებს ვადების სწრაფი ამოწურვის ან კომპანიის ფინანსური მდგომარების გამო ხელშეკრულების განახლებისათვის. თუ კომპანიას მუდმივად უწევს დაფინანსებაზე თავისი ხელშეკრულების განახლება, მაშინ იგი იმყოფება მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მუდმივი რყევების გავლენის ქვეშ.

მოკლევადიანი (ასევე საშუალოვადიანი - სამ წლამდე) დაფინანსების ყველაზე გავრცელებული წყაროებია:

- საბანკო ოვერდრაფტები და სესხები;
- კერძო სესხები;
- სავაჭრო და საგასავლო კრედიტები;
- ლიზინგი და კრედიტის დაფარვა პროცენტთან ერთად;
- დებიტორებთან დაკავშირებული სახსრების სხვადასხვა სახეობა – ფაქტორინგი და ანგარიშ-ფაქტურების დისკონტირება.

ფაქტორინგი გულისხმობს კომპანიის ვალის (დებიტორული დავალიანების) ამოღებაზე პასუხისმგებლობის გადაცემას სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებაზე (ბანკებზე).

ანგარიშ-ფაქტურის დისკონტირება არის მისაღები ვალის მესამე პირზე მიყიდვა დისკონტით, ნაღდი ფულის დაუყოვნებლივ მიღების სანაცვლოდ. იგი არის სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარანტიის ქვეშ სახსრების შეძენის

სისტემა. ფაქტორული კომპანიების მომახურებისაგან განსხვავებით, ასეთი მომსახურების წარმომდგენი კომპანიები მხოლოდ სახსრების მოწოდებას ახორციელებენ. ისინი არ სთავზობენ მომსახურებას გაყიდვების რეგისტრის წარმოების შესახებ ან უიმედო ვალებისაგან დაცვას. ანუ სახსრები გაიცემა გამოყენების უფლებით კომპანია-კლიენტზე. კერძოდ, ანგარიშ-ფაქტურების აღრიცხვის ორგანიზაცია დაუყოვნებლივ იხდის ავანსად შესყიდული ანგარიშ-ფაქტურის ღირებულების 75%-ს, აკონტროლებს ამ ანგარიშ-ფაქტურების დამფარავი ფულადი თანხების მიღებას და დარჩენილ 25%-ს გადასცემს მიღებისას. გადასახადი აღნიშნულ მომსახურებაზე თვეში არ უნდა აღემატებოდეს 1%-ს.

დაფინანსების წყაროების გადაწყვეტილებებზე იდეალური რეკომენდაციები არ არსებობს. ბევრი რამ დამოკიდებულია რისკსა და უკუგებას შორის კომპრომისზე, რომელიც ყოველმა კომპანიამ ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს.

გადაწყვეტილების მიღებისას, თუ როგორი თანაფარდობით უნდა მოხდეს მიმდინარე აქტივების დაფინანსება მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხებით, ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს კომპრომისი მოკლევადიანი დაფინანსების სიიაფითა და მოქნილობით მიღებულ სარგებელსა და საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებულ რისკებს შორის.

სამუშაო კაპიტალის ადეკვატურობის (საკმარისობის) განსაზღვრა შესაძლებელია არსებული წყაროებისა და მოთხოვნების დეტალური (დაწვრილებითი) ანალიზის მეშვეობით.

მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში, საწარმოთა მიმდინარე აქტივების დაფინანსება გრძელვადიანი ვალდებულბებით დაუშვებელი იყო. დადებითი სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის მხოლოდ საკუთარი კაპიტალით ფინანსდებოდა. **აქედან გამომდინარე, მიმდინარე აქტივების ნამეტს მიმდინარე ვალდებულებზე, ერთმნიშვნელოვნად, საკუთარი საბრუნავი საშუალებები ეწოდებოდა**. იგი მეორე მხრივ, ახასიათებს საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მიმდინარე აქტივებში არის ავანსირებული.

თანამედროვე ბიზნესის სამყაროში, როგროც უკვე აღვნიშნეთ, განვითარდა არატრადიციული მიდგომა, როცა მიმდინარე აქტივების დაფინანსება აგრეთვე გრძელვადიანი ვალდებულებებით ხდება. ეფექტი მასში მდგომარეობს, რომ გრძლევადიანი სესხი უფრო იაფია. ასეთი სტრატეგიის პირობებში, გაუმართლებლია, სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის, ერთმნიშვნელოვნად ეწოდოს საკუთარი საბრუნავი საშუალებები.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები იყენებს ტერმინს - მიმდინარე აქტივები. „საწარმომ აქტივი მიმდინარე აქტივად უნდა მიიჩნიოს მაშინ, თუ ნავარაუდევია აქტივის რეალიზაცია, ან გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისათვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში; ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; ნავარაუდევია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს“ [1.1.66].

მაშასადამე, ტერმინი მიმდინარე აქტივი არის რესურსი, რომელიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და გათვალისწინებულია, რომ ერთი წლის განმავლობაში გადაიქცევა გაცვლის საშუალებად. ანუ დაბრუნდება ფულადი რესურსის სახით. .

მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას, ბრუნვის სიჩქარის გამო, როგორც ცნობილია, **საბრუნავი საშუალებები ანუ საბრუნავი კაპიტალი ეწოდება.** აქ იგულისხმება მათი ღირებულების მოძრაობა. ამიტომ, **როცა ბრუნვადობის საკითხი შეისწავლება, გმოყენებულ უნდა იქნას ტერმინები საბრუნავი საშუალებები ან საბრუნავი კაპიტალი.**

მაშასადამე, მიმდინარე აქტივები და საბრუნავი აქტივები სინონიმებია. საბრუნავი საშუალებები და საბრუნავი კაპიტალი - სინონიმებია. ხოლო, **მიმდინარე აქტივი და საბრუნავი კაპიტალი - „ერთი მედლის ორი მხარეა“. ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ერთი ფიზიკური მდგომარეობის, მეორე მასში დაბანდებული ღირებულების გამოხატულებაა.**

მიმდინარე აქტივების მართვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი დაფინანსების წყაროების ოპტიმიზაცია. თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში, რადგან მიმდინარე აქტივები გრძელვადიანი ვალდებულებებითაც ფინანსდება, **გაუმართლებელია სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალადებულებებს შორის საკუთარი საბრუნავი კაპიტალი (ან საკუთარი საბრუნავი საშუალებები) ეწოდოს.** ამიტომ, ვიზიარებთ იმ ეკონომისტების აზრს, რომლებიც სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის წმინდა მიმდინარე აქტივს უწოდებს. [4. გვ: 549].

პრაქტიკაში, მიმდინარე აქტივები შესაძლოა მიმდინარე ვალდებულებებზე მეტი, ნაკლები ან ტოლი აღმოჩნდეს. წმინდა მიმდინარე აქტივი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე მეტია. ამის შემდეგ საჭირო ხდება **გაირკვეს, წმინდა მიმდინარე აქტივი საკუთარი კაპიტალით თუ გრძელვადიანი სესხებითაა დაფინანსებული. თუ ორივეთი ერთად. ეს დამოკიდებულია მიმდინარე აქტივების დაფინანსების სტრატეგიაზე, რომელიც არჩეული აქვს საწარმოს მენეჯმენტს.**

ეკონომიკურ ლიტერატურაში ზოგიერთი უცხოელი ავტორი წმინდა მიმდინარე აქტივებს სამუშაო კაპიტალს უწოდებს. მაგრამ, რეალურად მთელი მიმდინარე აქტივები სამუშაო ანუ საბრუნავი კაპიტალია. ამიტომ, სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმიდნარე ვალდებულებს შორის საუშაო კაპიტალი რომ ეწოდოს, ვერ ვეთანხმებით. უფრო მართებულია ტერმინი „წმინდა მიმდინარე აქტივი“-ის გამოყენება.

როგორც უკვე აღინიშნა, წმინდა მიმდინარე აქტივის დაფინანსების წყარო მოკლევადიანი ვალდებულებების გარდა შეიძლება იყოს პერმანენტული კაპიტალი ანუ საკუთარი კაპიტალი და გრძელვადიანი ვალდებულებები. საწარმოს ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე, როგორც გამოთვლები ადასტურებენ, მისი გამოთვლა შესაძლებელია აღარაა.

ასე მაგალითად, საბალანსო ტოლობს საფუძველზე (იხ. ცხრილი 7.5.1.) წმინდა მიმდინარე აქტივი 100 ათ. ლარია (800-700). ვინაიდან, პერმანენტული კაპიტალი (900+200) აღემატება გრძელვადიან აქტივებს და ეს უკანასკნელი ნაკლებია პერმანენტულ კაპიტალზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წმინდა მიმდინარე აქტივი მთლიანად საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული? შესაძლოა გრძელვადაინი ვალდებულბები მთლანდ არ იყოს გრძელვადიან აქტივებში დაბანდებული. ნაწილი იქნებ მიმდინარე აქტივებშიცაა გამოყენებული.

ცხრილი 7.5.1.

მარტივი საბალანსო ტოლობა (ლარებში)

აქტივი		პასივი	
1. მიმდინარეა აქტივები	800	1. მიმიდანრე ვალდებულებები	700
2. გრძელვადიანი აქტივები	1000	2. გრძელვადაინი ვალდებულბები	200
ჯამი	1800	3. საკუთარი კაპიტალი	900
		ჯამი	1800

ანდა, თუკი გრძელვადიანი აქტივები საკუთარ კაპიტალზე და მთლიან პერმანენტულ კაპიტალზეც ნაკლებია, მაშინ, შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ წმინდა მიმდინარე აქტივი დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადიანი ვალდებულებებით ერთდროულად. შეიძლება იგი მხოლოდ საკუთარი კაპიტალით იყოს დაფინანსებული და ა.შ.

ამრიგად, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით ადარაა შესაძლებელი განისაზღვროს საკუთარი საბრუნავი საშაულებების სიდიდე. ამიტომ, საწარმოებმა ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში უნდა წარადგინონ ინფორმაცია გამოყენებულია თუ არა გრძელვადიანი სესხები მიმდინარე აქტივებში და რა რაოდენობთ.

მაშასადამე, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, საკუთარი საბრუნავი საშუალებები (სახსრები) შემდეგნაირად გამოითვლება:

საკუთარი საბრუნავი საშუალებები =
= მიმდინარე ატივები – მიმდინარე ვალდებულებები – მიმიდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებები. **(7.5.1.)**

ან:

საკუთარი საბრუნავი საშაუებები = წმინდა მიმდინარე აქტივები – მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადაინი ვალდებულებები **(7.5.2.)**

აქტივების დაფინანსების მართვის პროცესში ფინანსური მენეჯმენტი ეყრნობა შემდეგ ტოლობას:

პერამანენტული კაპიტალი = საკ. კაპ. + გრეძელვად. ვალდებულებები **(7.5.3)**

წმ. მიმდ. აქტივი = მიმდ. აქტივი - მიმდ. ვალდებულებები **(7.5.4.)**

დაფინანსების პოლიტიკის განხორციელების დროს, ფინანსური მენეჯმენტი აგრეთვე იყენებს მიმდინარე აქტივების დაყოფას მის მუდმივ (საწარმოო მარაგები) და ცვალებად (ფულადი თანხები, მოთხოვნები და დანარჩენი) ნაწილებად. ამ ნიშნით:

მიმდინარე აქტივი = მუდმივი ნაწილი + ცვალებადი ნაწილი (7.5.5.)

ფინანსურ მენეჯმენტში **მიმდინარე აქტივების დაფინანსების სტრატეგიის რამდენიმე მოდელი არსებობს: იდეალური, აგრესიული, კონსერვატორული და კომპრომისული.**

იდეალური მოდელის დროს მიმდინარე აქტივი მიმდინარე ვალდებულებების ტოლია. ე.ი. წმინდა მიმდინარე აქტივი ნულის ტოლია. რეალობაში ასეთი შემთხვევა თითქმის არ გვხვდება. გარდა ამისა, ლიკვიდურობის პოზიციიდან იგი უფრო რისკიანია, რადგანაც არასასურველი შემთხვევის დროს (მაგალითად ყველა ვალდებულების აუცილებელი გადახდა ერთდროულად) საწარმო შეიძლება იძულებული გახდეს გაყიდოს ძირითადი საშუალებების ნაწილი მიმდინარე ვალდებულბების დასაფარავად. ამ სტრატეგიის არსი მასში მდგომარეობს რომ პერმანენტული კაპიტალი დგინდება გრძელვადიანი აქტივების დონეზე. საბალანსო ტოლობა მიიღეს შემდეგ სახეს:

გრძელვადიანი აქტივები = პერმანენტული კაპიტალი - (იდეალური მოდელი)

მართლაც: 1000 = 100 + 900

იმავე 7.5.2. ცხრილში ბუღალტრული ბალანსის პასივში მოცემულია ინფორმაცია დაფინანსების ოთხივე ტიპის მოდელისათვის.

ცხრილი 7.5.2.

საწარმოს პირობითი ბალანსის ძირითადი სტრუქტურა

(ათ. ლ)

აქტივი	თანხა	პასივი	იდეალური მოდელი I	გრესი-ული ოდელი II	კონსერვა ტორული მოდელი III	კომპრო-მისული მოდელი IV
1.მიმდინარე აქტივი მ.შ. საწ/მარაგი	800 350	1.მიმდინარე ვალდებულება	800	450	0	225
2. გრძელვადიანი აქტივი	1000	2. გრძელვადიანი ვალდებულება	100	400	840	575
		3.საკუთარი კაპიტალი	900	950	960	1 000
ჯამი	1 800	ჯამი	1 800	1 800	1 800	1 800

საწარმოებისათვის უფრო რეალურია შემდეგი სამი მოდელიდან ერთ-ერთი, რომელთა საფუძველია წანამძღვარი, რომ ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, მიმდინარე აქტივების მინიმუმ მუდმივი ნაწილი და გრძელვადიანი აქტივები უნდა იფარებოდეს პერმანენტული კაპიტალით. მაშასადამე:

გრძვად. აქტივი + საწ.მარაგები = საკ.კაპიტ. + გრძელვად. ვალდ.- (აგრესიული მოდელი)

ანუ, 1000 + 350 = 950 + 400

აგრესიული მოდელი აღნიშნავს, რომ პერმანენტული კაპიტალით უნდა დაფინანსდეს გრძელვადიანი აქტივები და მიმდინარე აქტივების მუდმივი ნაწილი ანუ საწარმოო მარაგები, რაც აუცილებელია საწარმოს შეუფერხებელი სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ შემთხვევაში:

წმინდა მიმდ. აქტივი = საწარმოო მარაგები; (800 – 450 = 350)

მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილი მთლიანად იფარება მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებებით. ლიკვიდურობის პოზიციიდან, ეს სტრატეგიაც ძალიან რისკიანია, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია მიმდინარე აქტივების მხოლოდ მინიმუმის საზღვრების განსაზღვრა.

კონსერვატორული მოდელი ვარაუდობს, რომ მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილი ასევე იფარება პერმანენტული კაპიტალით. ამ შემთვევაში საწარმოს არ გააჩანია მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები და ლიკვიდურობის დაკარგვის რისკიც არ არსებობს.

წმინდა მიმდ. აქტივი = მიმდნარე აქტივებს; (800 – 0 = 800)

ეს მოდელი ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ეს სტრატეგია ვარაუდობს, რომ პერმანენტული კაპიტალი შემდეგ ტოლობას აბალანსებს:

გრძელვადიანი აქტივები + საწ.მარაგები + მიმდ.აქტ.ცვალებადი ნაწილი =

= პერმანენტული კაპიტალი; (კონსერვატორული მოდელი)

მართლაც, (1000 + 350 + 450) = (960 + 840)

კომპრომისული მოდელი უფრო რეალურია. ამ დროს, გრძელვადიანი აქტივები, საწარმოო მარაგები და მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილის თითქმის ნახევარი იფარება პერმანენტული კაპიტალით. წმინდა მიმდინარე აქტივი უდრის საწარმოო მარაგებისა და ცვალებადი ნაწილის ნახევრის ჯამს.

წმ.მიმდ.აქტივი = საწ.მარაგი + 0,5 ცვალებადი ნაწილი

ანუ, (800 – 225) = (350 + 450/2)

ცალკეულ მომენტებში საწარმოს შესაძლოა აღმოაჩნდეს ჭარბი მიმდინარე აქტივი, რაც უარყოფითად ზემოქმედებს მოგებაზე, მაგრამ ეს განიხილება როგორც ლიკვიდურობის დანაკარგის რისკის საჭირო დონეზე შეჩერების „გადასახადი“. სტრატეგია ითვალისწინებს გრძელვადიანი პასივების (პერმანენტული კაპიტალის) შენარჩუნებას შემდეგი საბალანსო ტოლობის (მოდელის) ბაზაზე:

პერმანენტული კაპიტალი =

გრძელვადიანი აქტივ + საწ.მარაგი + 0,5 * მიმდ.აქტ.ცვალებადი ნაწილი =

= პერმანენტული კაპიტალი; (კომპრომისული მოდელი)

ნუ, (1000 + 350 + 450/2) = (1000 + 575)

გამომდინარე იქედან, რომ წმინდა მიმდინარე აქტივი არის სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის. ამიტომ, ნებისმიერი კომპონენტის ცვლილება პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს მის სიდიდეზე. როგორც წესი, წმინდა მიმდინარე აქტივის ზრდა განიხილება როგორც დადებითი ტენდენცია, ოღონდ, შეიძლება არსებობდეს გამონაკლისიც. მაგალითად, მისი სწრაფი ზრდა ვადაგადაცილებული დებიტორების ხარჯზე, არ დააკმაყოფილებდა ფინანსურ მენეჯმენტს.

ამრიგად, წმინდა მიმდინარე აქტივები ყოველთვის არ დაემთხვევა საკუთარი საბრუნავი საშუალებების სიდიდეს. გარდა იმ შემთხვევისა, როცა საწარმოში გრძელვადიანი ვალდებულებები არაა გამოყენებული მიმდინარე აქტივების დასაფინანსებად. იხ. ფორმულა (7.5.1).

საკუთარი საბრუნავი საშუალებები აჩვენებს რამდენი ლარის მიმდინარე აქტივია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალით. როგორც წესი, მთლიანი საკუთარი წყაროების სიდიდე საკუთარი კაპიტალის მოცულობის ტოლია. საკუთარი კაპიტალის დაბანდება ბუნებრივია ხდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიან აქტივებში.

საერთოდ, სასურველია, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრები მატერიალურ მარაგებს ფარავდეს. ამ მიზნით გამოითვლება საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მიმდინარე აქტივებში. ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე შედგება საკუთარი საბრუნავი სახსრების (ანუ საშუალებების) დინამიკის ცხრილი (იხ. ცხრილი 7.5.3). მაგალითში დაშვებულია, რომ საანალიზო საწარმოს „კოლხეთის“ მენეჯმენტმა 2016 წლიდან, მიმდინარე აქტივების დასაფინანსებლად გრძელვადიანი სესხებიც გამოიყენა.

ცხრილი 7.5.3.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების (წმინდა მიმდინარე აქტივების) დინამიკა

მაჩვენებლები	საბაზისო 2013 წ ათ.ლარ	2014		2015		2016		2017	
		ათასი ლარი	%-ად 2007 წ	ათასი ლარი	%-ად 2007 წ	ათასი ლარი	%-ად 2007 წ	ათასი ლარი	%-ად 2007 წ
-მიმდინარე აქტივები	9940	9650	97	10410	105	10190	107	13380	135
-მიმდინარე ვალდებულებები	(8560)	(6000)	70	(6420)	75	(6790)	79	(10930)	128
-მიმიდანრე აქტივებში და-ბანდებულ გრძელვადიანი სესხი	-	-	-	-	-	(60)	-	(180)	-
საკუთარი საბრ.სახსრები	1380	3650	264	3990	289	3340	242	2270	164
მატერიალური მარაგები	4280	4160	97	4320	101	4790	112	6300	147
საკუთარი საბრ. სახსრების წილი მატერ. მარაგებში (%)	32	88	-	92	-	70	-	36	-

როგორც 7.5.3. ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრები ყოველწლიურად ჰქონდა მაგრამ, დინამიკაში შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. შედეგად, შემცირდა მატერიალურ მარაგებში საკუთარი წყაროების წილი. კერძოდ, თუ 2013 წელს მატერიალური მარაგების 92% საკუთარი საბრუნავი სახსრებით იყო დაფინანსებული, 2016 წელს იგი 70%-მდე და 2017 წელს 36%-მდე დაეცა. მაშასადამე, მენეჯმენტმა უნდა გამოიკვლიოს მისი გამომწვევი მიზეზები და აღმოფხვრას იგი.

ამრიგად, საკუთარი საბრუნავი სახსრები შემდეგნაირადაც გამოითვლება:

სსს = საკ.კაპიტ. + გრძელვად. ვალდებ. – გრძელვად. აქტივები

საკუთარი საბრუნავი სახსრების შემცირების მიზეზები შეიძლება იყოს:

1. ფულადი სახსრების არადანიშნულებისამებრ (არაოპტიმალურად) გამოყენება;
2. ფულადი სახსრების ბრუნვის შეფერხება;
3. შეფერხებები დებიტორული დავალიანებების ამოღებაში;
4. მასალის მოულოდნელი გაძვირება ბაზარზე;
5. მზა პროდუქციის მარაგების ზრდა;
6. შეფერხებები მზა პროდუქციის რეალიზაციაში არაეფექტური მარკეტინგის გამო.

დამატებითი მოთხოვნა საკუთარ საბრუნავ საშუალებებზე კი შემდეგი წესით გამოითვლება:

დამატებითი მოთხოვნა სსს –ზე =

= მარაგებისა და დებიტ. დავ.-ის ნამატი – კრედიტ. დავ.-ის ნამატი (7.5.6.)

აგრეთვე შესწავლება საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების უზრუნველყოფისკოეფიციენტი.

$K_{საბრ.კაპიტ.\ უზრუნველყოფის} = (საკუთ.კაპიტალი – ძირ. საშ.) / მიმდინარე აქტივები$

ეს კოეფიციენტი თუ უარყოფითი აღმოჩნდა, მიუთითებს რომ საკუთარი კაპიტალი მიმდინარე აქტივებში დაბანდებული არაა.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. ჩამოთვალეთ საწარმოს დაფინანსების წყაროები;
2. ახსენით ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზის არსი;
3. ახსენით ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზის არსი;
4. დაახასიათეთ ძირითადი საშუალებების ცვეთისა და ვარგისიანობის კოეფიციენტები;
5. დაახასიათეთ წმინდა მიმდინარე აქტივები და საკუთარი საბრუნავი საშუალებები;
6. ახსენით ფინანსური ლევერიჯის არსი;
7. ახსენით ოპერაციული ლევერიჯის არსი.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **რას ახასიათებს სტრუქტურის კოეფიცინეტი:**
   ა. მაჩვენებლის გადახრას წინა წელთან შედარებით
   ბ. ნაწილის ხვედრით წილს მთელში
   გ. სხვაობას აქტივებსა და ვალდებულებებს შორის

2. კომპანიის ბალანსით, წლის დასაწყისში მიმდინარე აქტივები 24500 ლარი და წლის ბოლოს 28900 ლარი იყო.
   რამდენი პროცენტია მიმდინარე აქტივების მატება წლის ბოლოს:
   ა. 118 %
   ბ. 100 %
   გ. 18 %
3. კომპანიის ბალანსით, ძირითადი საშუალებები წლის დასაწყისში 76900 ლარს და წლის ბოლოს – 86000 ლარს შეადგენდა.
   რას უდრის ძირითადი საშუალებების ზრდის ტემპი:
   ა. 112 %
   ბ. 89 %
   გ. 12%
4. კომპანიის ბალანსით, საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში 67800 ლარი იყო და წლის ბოლოს იგი 10%-ით გაიზარდა.
   რას უდრის საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს:
   ა. 80 000 ლ
   ბ. 74 580 ლ
   გ. 61 020 ლ
5. საწარმოს ბუღალტრული ბალანსით, მიმდინარე აქტივებია 34500 ლარი, გრძელვადიანი აქტივები – 54000 ლარი, საკუთარი კაპიტალი 47000 ლარი.
   რას უდრის საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში:
   ა. 53 %
   ბ. 40 %
   გ. 45 %
6. საწარმოს მიმდინარე აქტივია 34900 ლარი, გრძლევადიანი აქტივი – 45700 ლარი, მიმდინარე ვადებულებები – 29500 ლარი. გრძელვადიანი სესხი გამოყენებული არაა მიმდიანრე აქტივებში.
   რას უდრის საკუთარი საბრუნავი სახსრები:
   ა. 16 200 ლ
   ბ. 5 400 ლ
   გ. 6 700 ლ
7. ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება 79000, საბალანსო ღირებულება 47800 და წლიური ცვეთის ხარჯი 3450 ლარს შეადგენს.
   რას უდრის ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტი:
   ა. 27,2 %
   ბ. 44,4 %
   გ. 39,5 %
8. საწარმოს მიმდინარე აქტივია 34900 ლარი, გრძელვადიანი სესხები – 45700 ლარი, მ.შ. 3000 ლ გამოყენებულია მატერიალური მარაგების დასაფინანსებლად. მიმდინარე ვალდებულებები არის 27800 ლ.
   რას უდრის საკუთარი საბრუნავი სახსრები (ლ):
   ა. 7 100
   ბ. 4 100
   გ. 3 000
9. საწარმოს მიმდინარე აქტივია 34900 ლარი, გრძელვადიანი სესხი – 45700 ლარი, მ.შ. 3000ლ გამოყენებულია მატერიალური მარაგების დასაფინანსებლად. მიმდინარ ვალდებულებები არის 27800 ლ.
   რას უდრის წმინდა მიმდინარე აქტივი:
   ა. 7 100
   ბ. 4 100
   გ. 3 000
10. კომპანიის ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება 79000, საბალანსო ღირებულება 47800 და წლიური ცვეთის ხარჯი 3450 ლარს შეადგენს.
    რას უდრის ძირითადი საშუალებების ვარგისიანობის კოეფიციენტი (%):

ა. 61
ბ. 40
გ. 45

ამოცანა 7.1.

მოცემულია ამონარიდი კომპანიის ბუღალტრული ბალანსიდან:

	I წელი	II წ	III წ	IV წ
მიმდინარე აქტივები				
• ფულადი თანხები	1500	1800	3400	2900
• საქონელი	2100	1900	2200	2400
• მოთხოვნა მიწოდებიდან	700	900	1200	1700
მიმდინარე ვალდებულებები				
• მოკლევადიანი სესხები	1400	1200	1600	1500
• ვალდებულება მოწოდებიდან	3100	2400	2800	3200
• გასაცემი ხელფასი	400	320	440	500
• გადასახდელი პროცენტი	500	400	200	300

მოთხოვნა: 1. მოამზადეთ მიმდინარე აქტივების სტრუქტურის და მიმდინარე ვალდებულებების დინამიკური ცხრილები და გააკეთეთ სათანადო კომენტარები;
2.გამოთვალეთ საკუთარი საბრუნავი სახსრები ოთხივე წელს გააკეთეთ შესაბამისი დასკვნა.

ამოცანა 7.2.

არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

	I წ	II წ
ძირითადი საშუალებები პირვანდელი ღირებულებით	20000	23500
დაგროვილი ცვეთა	8600	10000

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ ძირითადი საშუალებების ცვეთისა და ვარგისიანობის კოეფიციენტები;
2. განსაზღვრეთ გადახრები წინა წელთან შედარებით და გააკეთეთ შესაბამისი კომენტარი.

თავი 8.საწარმოს გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა გულისხმობს მისი გადახდისუნარიანობისა და მომგებიანობის უნარს. საწარმოს ფინანსური სტაბილურობა მის მყარ ფინანსურ მდგომარეობას ნიშნავს. თუკი საწარმო გამუდმებით (მინიმუმ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში) შეუფერხებლად ფარავს დავალიანებებს და არის მომგებიანი, მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და მასთან ურთიერთობა ყველა სფეროში უსაფრთხოა.

საწარმოთა გადახდისუნარიანობით დაინტერესებულია არა მხოლოდ მათი მმართველობა, არამედ, მათთან ურთიერთობაში მყოფი ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ეკონომიკაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (იზოლირებულად) ვერცერთი სუბიექტი ვერ არსებობს. ერთ საწარმოში წარმოქმნილი არასტაბილურობა ჯაჭვური რეაქციის მსგავსად, მთელ ეკონომიკაზე ვრცელდება. ამიტომ, საწარმოთა ფინანსური სტაბილურობა მთელი საზოგადოების ინტერესებშიც შედის. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი მიმართულება კი მისი მყარი გადახდისუნარიანობაა.

მოცემულ თავში განხილულია შემდეგი საკითხები:

- საწარმოთა გადახდისუნარიანობის ანალიზი;
- საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა;
- ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მეთოდიკა.

8.1. საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის ამოცანები

საწარმოს გადახდისუნარიანობას მისი ლიკვიდურობის ხარისხი ახასიათებს. ტერმინი „ლიკვიდური“ ლათინურიდან – თხევადს, მოძრავს ნიშნავს. ეკონომიკაში მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და საწარმოში ყველაზე სწრაფად მოძრავი საშუალებების – ფულადი თანხების არსებობას გულისხმობს.

ლიკვიდურია ისეთი ქონება, რომელიც ერთი წლის განმავლობაში შესაძლებელია გადაიქცეს გაცვლის საშუალებად. ამდენად, ფულადი თანხა აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივს წარმოადგენს. რადგან, მისი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება მიმდინარე აქტივები: ფულადი თანხები და მათი ეკვივალენტები, მატერიალური მარაგები, მოკლევადიანი მოთხოვნები და ფასიანი ქაღალდები.

ლიკვიდურ აქტივებს საბრუნავი საშუალებებიც ანუ სწრაფად მბრუნავი საშუალებები ეწოდება, რადგან მათში ავანსირებული ღირებულება წელიწადში

რამდენჯერმე შემობრუნდება. მაგალითად, წლის დასაწყისში 14000 ლარად შეძენილი მასალის მარაგი მზა პროდუქციის თვითღირებულებაში რამდენიმე დღეში გადავა, მასალა გადაიქცევა მზა პროდუქტად და მისი გაყიდვის შედეგად დაბრუნებული ფულით კვლავ მოხდება მასალის ახალი პარტიის შესყიდვა და ასე შემდეგ, პროცესი უწყვეტად მეორდება წლის განმავლობაში. მაშასადამე, ფიზიკურად ერთი და იგივე მასალა კი არ მოძრაობს წელიწადში რამდენჯერმე, არამედ მათში ავანსირებული ღირებულება ანუ მასალის მარაგში გადახდილი ფულადი ღირებულება. ამიტომ, როცა საუბარია იმაზე, რომ მიმდინარე აქტივები სწრაფად ბრუნვადი აქტივებია, აქ იგულისხმება არა ფიზიკურად ერთი და იგივე ნიმუშის აქტივის ბრუნვა, არამედ მათი ღირებულების მოძრაობა. მზა პროდუქტში განივთებულ მასალას თითქოს ტოვებს მისი ღირებულება და მზა პროდქუციის გაყიდვის შემდეგ უკან ბრუნდება ფულის სახით, რომელიც ახალ მარაგებში დაბანდდება და ა.შ.

ფიზიკური ანუ მატერიალური სახით წარმოებაში მასალის ახალ-ახალი ნაკადი შედის, რომელიც მზა პროდუქტად გარდაქმნის მომენტიდან მასალის სახით არსებობას წყვეტს. მაგრამ, როგორც ღირებულების მოძრაობა ანუ მასალებში ავანსირებული ღირებულების მოძრაობა, იგი მოძრაობას აგრძელებს და უწყვეტ პროცესს წაროადგენს. ეს კანონზომიერება გამომდინარეობს იქედან, რომ ზოგადად, ყოველი სახის რესურსს (საქონელს) გააჩნია სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება. სახმარი ღირებულება არის საქონლის უნარი, დააკამყოფილოს ესა თუ ის მთხოვნილება, საცვლელი ღირებულება კი არის საქონლის თვისება, სხვა სახის საქონელზე გაიცვალოს. შეიძლება დავასკვნათ: ტერმინი: მიმდინარე აქტივი – გულისხმობს მათ ფიზიკურ სახეს, სახმარ ღირებულებას. საბრუნავი საშუალებები (ან საბრუნავი სახსრები) კი გულისხმობს მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რაც უფრო ჩქარა მოხდება ავანსირებული ღირებულების ბრუნვა, მით უფრო დროულად შეძლებს საწარმო დაფაროს თავისი ვალდებულებები და მაღლა ასწიოს მისი გადახდისუნარიანობის დონე და მაშასადამე, ლიკვიდურობა.

გადახდისუნარიანობა ნიშნავს საწარმოს უნარს, დროულად დაფაროს ვალდებულებები. რადგან, ვადაგადაცილებული დავალიანებები დიდი რაოდენობით ჯარიმების გადახდას იწვევს, საწარმოს მენეჯმენტი დაინტერესებულია გამუდმებით აკონტროლოს გადახდისუნარიანობის დონის ცვლილებები. საწარმოს გადახდისუნარიანობის ხარისხი აგრეთვე აინტერესებთ მესაკუთრეებს, კრედიტორებს, პარტნიორებს, სამთავრობო სტრუქტურებს და მთელ საზოგადოებას.

საწარმოს ლიკვიდურობა ნიშნავს საჭირო ფულადი თანხების არსებობას ვალდებულებების დროულად დასაფარავად. ამდენად, საწარმოს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ერთმანეთთან არსით დაკავშირებული ცნებებია.

საწამოს გადახდისუნარიანობა სხვადასხვა მაჩვენებლებით ხასიათდება. როგორიცაა: გადახდისუნარიანობის ბალანსი, ლიკვიდურობის კოეფიციენტები და მარაგების დაფარვის მაჩვენებლები.

საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზის საფეხურებია:

- გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა;

- ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის (ტრენდების) შესწავლა;
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი
- დასკვნების გაკეთება და საჭირო ღონისძიებების შემუშავება.
- გადახდისუნარიანობის ბალანსი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურას და ახასიათებს, მიმდინარე აქტივები ფარავას თუ არა მიმდინარე ვალდებულებებს. როგორც წესი, მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულბებზე მეტი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება საბრუნავი საშუალებების დეფიციტს. გადახდისუნარიანობის ბალანსი დგება ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე (იხ. ცხრილი 8.1.1.).

ცხრილი 8.1.1.

სს „კოლხეთის“ გადახდისუნარიანობის ბალანსი
2017 წლის ბოლოს

მიმდინარე აქტივები	ათასი ლარი	ხვ/წ %	მიმდინარე ვალდებულებები	ათასი ლარი	ხვ.წ %
ფულადი თანხები	4730	18,65	მოკლევადიანი სესხები	2560	23,42
მასალები	3100	23,17	ვალდებ. მოწოდებიდან	4100	37,50
დაუმთავრ. პროდუქტი	430	3,21	გასაცემი ხელფასი	1600	14,64
მზა პროდუქტი	2500	18,68	გადასახდელი პროცენტი	570	5,22
საქონელი	270	2,02	მოგების გადასახადი	460	4,22
მოთხოვნა მიწოდებიდან	2100	15,70	გასაცემი დივიდენდი	1640	15,0
მისაღები პროცენტები	250	1,87	----------	-------	--------
----------	-------	--------	ჯამი	10 930	100
ჯამი	13 380	100			

სააქციო საზოგადოების „კოლხეთის“ გადახდისუნარიანობის ბალანსიდან ჩანს, რომ მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს 2450 ათ.ლარით (13380 – 10930), რაც დადებით მოვლენად ითვლება. დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ პირველი რიგის გადასახადების: ხელფასის, მოგების გადასახადისა და გადასახდელი პროცენტების ჯამი – 2630 ლარია, მოცემულ მომენტში არსებული თავისუფალი ფულადი თანხებზე (4730ლ) ნაკლებია და ამით მათი დაფარვის პრობლემა არ არსებობს.

ამის შემდეგ შეისწავლება ლიკვიდურობის კოეფიციენტები, რომლებიც აჩვენებენ, რამდენად შეუძლია დაფაროს საწარმომ თავისი ვალდებულებები. ეს კოფიციენტებია:

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი =
= ფულადი თანხები / მიმდინარე ვალდებულებები (8.1.1.)

იგი აჩვენებს, საწარმოში მოცემულ მონეტში არსებული ფულადი თანხებით, მიმდინარე ვალდებულბების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი. იგი ვალების დაფარვის ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია. იდეალურ შემთხვევაში, ეს კოეფიციენტი 0,2 –ზე ანუ 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი =
= (ფულადი თანხები + მოკლევადიანი მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები (8.1.2.)

იგი ახასიათებს საწარმოში არსებული და მისაღები ფულადი თანხები, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილს ფარავს. ეს კოეფიციენტი ერთსა და ორს შორის უნდა მერყეობდეს. მინიმალური ფარდობაა 1:1.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} \quad (8.1.3.)$$

მას მოკლედ საბრუნავი კაპიტალის (საბრუნავი საშუალებების) კოეფიციენტსაც უწოდებენ. იგი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივები რამდენჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. ანუ, არსებული და მთლიანად მისაღები ფულადი თანხებით შესაძლებელია თუ არა მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა. შეიძლება ასეც განიმარტოს: მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების რა რაოდენობა მოდის ყოველ ერთი ლარის ვალდებულებებზე. საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილების მიხედვით, ეს კოეფიციენტი ორზე ნაკლები და სამზე მეტი არ უნდა იყოს. მისი ძალიან მაღალი დონე სასურველი არაა, რადგან უკუშედეგს იძლევა თუკი მიმდინარე აქტივები ძალიან მაღალი ტემპით იზრდება. ეს იმაზე მტყველლებს, რომ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესები შეფერხდა, ავანსირებული ღირებულების ბრუნვა ეცემა და ფინანსური მდგომარეობა უარესდება.

ლიკვიდურობის კოეფიციენტებთან ერთად შეისწავლება საკუთარი საბრუნავი სახსრების (სსს) მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები:

სსს მანევრირების კოეფიციენტი =
= ფულადი საშუალებები / საკუთარი საბრუნავი სახსრები (8.1.4)

იგი გვიჩვენებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებში რა წილი უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს. იგი ნულიდან ერთამდე მერყეობს. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით მოვლენას წარმოადგენს. მისი სიდიდე საწარმოში თავისუფალი ფულადი თანხების საჭიროებაზეა დამოკიდებული.

ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) დიაპაზონი =
= (ფული + ფასიანი ქაღალდები + დებიტორები) / საშაულო დღიური ხარჯები (8.1.5.)

ესეც საყურადღებო მაჩვენებელია. იგი ახასითებს, რამდენი დღის ხარჯია დაფარული ფულადი აქტივებით ანუ რამდენი დღის ფულადი აქტივის მარაგი არსებობს. საშუალო დღიური ხარჯი გამოითვლება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოცემული ხარჯების გაყოფით წელიწადის დღეთა რიცხვზე.

ანალიზის დროს აგრეთვე შეისწავლიან შედეგ მაჩვენებლებს:

$$\text{მიმდინარე გადახდისუნრაიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხები}}{\text{მიმდ. ვალდ. – მიმდ. მოთხოვნები}}; \quad (8.1.6)$$

$$\text{პერსპექტიული ლიკვიდურობა} = \frac{\text{წმინდა მოგება + ამორტიზაცია}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}; \quad (8.1.7)$$

$$\text{კრიტიკული ლიკვიდურობა} = \frac{\text{ფულადი თანხები + დებიტ. დავ.}}{\text{ვადადამდგარი ვალდ. + მოკლევად. ვალდებ.}}; \quad \textbf{(8.1.8)}$$

(8.1.8) კოეფიციენტი 0,7-0,8 დიაპაზონში უნდა მოძრაობდეს.

ამრიგად, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა არსებითად ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია და გადახდისუნარიანობის დონე ლიკვიდურობის კოეფიციენტებით იზომება.

საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზის ამოცანებია:

- გადახდისუნარიანობის ბალანსის დახასიათება;
- ლიკვიდურობის დონის გმოკვლევა;
- საჭირო ფულადი თანხების არსებობის გამოკვლევა;
- გადახდისუნარიანობის დონის ამაღლების წინადადებების შემუშავება.

8.2. საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზის მეთოდიკა

როგორც წინა საკითხში იქნა განხილული, საწარმოს გადახდისუნარიანობა ლიკვიდურობის კოეფიციენტებით იზომება. მათი ანალიზის მიზანია შესწავლილ იქნეს ამ კოეფიციენტების დინამიკური ცვლილების ტემპები; დახასიათდეს მათი მერყეობის ხარისხი აღებულ საკვლევ პერიოდში; გამოითვალოს გადახრები წინა წლის მაჩვენებლებიდან; დადგინდეს მათი ცვლილების მიზეზები და შემუშავებულ იქნეს ლიკვიდურობის ანუ გადახდისუნარიანობის ამაღლების წინადადებები. აქედან გამომდინარე, გადახდისუნარიანობის ანალიზის საფეხურები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს (რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში, ანალიზის მოცულობიდან გამომდინარე, ანალიზის საფეხურების რიცხვი შეიძლება შეიცვალოს):

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების გამოთვლა თითოეული საკვლევი წლისათვის;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის ცხრილების შედგენა და კომენტარები;
- მერყეობის ხარისხის დასადგენად, ვარიაციის კოეფიციენტების გამოთვლა;
- ლიკვიდურობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის (კორელაციის) გაზომვა;
- წინა წლიდან ან გეგმური მაჩვენებლებიდან გადახრების გამოვლენა და ანალიზი;
- დასკვნები და წინადადებები გადახდისუნარიანობის ამაღლებისათვის.

პირველ რიგში შედგება ლიკვიდურობის მაჩვენებლების დინამიკის ცხრილი (იხ. ცხრილი 8.1.1). როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, რომ დადგენილ ნორმებს მხოლოდ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი აკმაყოფილებს. სამივე კოეფიციენტი 2016 წლამდე იზრდებოდა. 2017 წელს კი ადგილი აქვს სერიოზულ

ვარდნას. მაშასადამე, ისედაც არასაკმარისი გადახდისუნარიანობა, კიდევ უფრო დაბლა დაეცა.

ცხრილი 8.2.1.

სს „კოლხეთის“ ლიკვიდურობის კოეფიციენტები

დინამიკა 2013 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2013 ოეფი-ციენტი	2014		2015		2016		2017	
		კოეფი-ციენტი	%-ად 2013 წელთან	კოეფ.	%-ად 2013წ	კოეფ.	%-ად 2007წ	კოეფ.	%-ად 2007წ
1. აბსოლუტური ლიკვი-დურობა	0,491	0,65	132	0,678	139	0,604	123	0,433	88
2. სწრაფი ლიკვიდურობა	0,661	0,915	138	0,949	144	0,795	120	0,648	97
3. საერთო ლიკვიდურობა	1,161	1,608	139	1,621	140	1,501	74	1,224	105
4. ფულადი უსაფრთხოება (დღეებში)	35	38,9	111	39,0	112	27,98	80	31,0	89

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი აუცილებელ მინიმალურ ზღვარზე (0,2) მართალია ყოველწლიურად მაღალი იყო, მაგრამ, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი ორზე დაბალი იყო. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მიმდინარე აქტივების ნაშთები ზრდა უფრო დაბალი ტემპით ხასიათდებოდა, ვიდრე მიმდინარე ვალდებულებების ტემპები. შედეგად, ფინანსური მდგომარეობა თანდათან დამძიმდა.

დინამიკაში საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის საშუალო ზრდის ტემპი 14,5%-ს შეადგენდა [(39+40–26 +5)/4].

იმის დახასიათებისათვის, რამდენად მერყევი იყო ეს მაჩვენებლები აღებულ ხუთწლიან პერიოდში, შეისწავლება ვარიაციის კოეფიციენტები. მაგალითისათვის, ანალიზის მეთოდიკა გადმოცემულია საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის მაგალითზე. ვარიაციის კოეფიციენტის გამოთვლის ფორმულა განხილულია პირველ თავში.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი აღვნიშნოთ –X-ით და წარმოვადგინოთ მწკრივი შემდეგი სახით:

წლები	X	X^2
2013	1,161	1,348
2014	1,608	2,586
20015	1,621	2,628
2016	1,501	2,253
2017	1,224	1,498
---	---	---
∑	7,115	10,313

$\overline{X}$ (საშუალო) = 7,115/5 = 1,423

საშუალო კვადრატულკი გადახრა = $(10,313/5 - 1,423^2)^{1/2}$ = 0,194 იგი ახლოსაა ნულთან, მაშასადამე, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი დიდი მერყეობით არ ხასიათდებოდა.

V (ვარიაციის კოეფიციენტი) = (0,194 * 100) / 1,423 = 13,63%.

მაშასადამე, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი, აღებული ხუთი წლის განმავლობაში, საშუალოდან 13,63%-ით იხრებოდა საშუალო არითმეტიკულიდან.

საწარმოს ლიკვიდურობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, როგორიცაა: ფულადი თანხების, მოთხოვნების, მატერიალური მარაგების, მიმდინარე დავალიანებების, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანუ საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები და სხვ.

აღებულ საანალიზო პერიოდის განმავლობაში, საერთო ლიკვიდურობის ცვლილებაზე, ერთ-ერთი ფაქტორის – ფულადი აქტივების ცვლილების ტემპების გავლენის შეფასებსათვის კორელაციისა და დეტერმინაცის კოეფიციენტები გამოიყენება.

მაგალითში, x-ით აღნიშნულია ფულადი მუხლები (ფულადი თანხები+მოთხოვნები), y–ით კი – საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

წლები	x	y	x y	x^2	y^2
2013	5,66	1,161	6,5713	32,0356	1,348
2014	5,4	1,608	8,6832	29,16	2,586
2015	6,09	1,621	9,872	37,0881	2,628
2016	5,40	1,501	8,1054	29,16	2,474
2017	7,08	1,224	8,6659	50,1264	1,423
----------	----------	---------	----------	----------	--------
∑	29,63	7,115	41,898	163,7783	10,459

კორელაციის კოეფიციენტის ფორმულაში (იხ. პირველი თავი) შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმისა და გამოთვლების შედეგად მიიღება:

r = 0,422, რაც იმას ნიშნავს რომ კავშირი აღებულ მაჩვენებლებს შორის საკმაოდ მაღალია (კორელაციის კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, კავშირი მით უფრო ძლიერია).

როგორც ცნობილია, კორელაციის კოეფიციენტის კვადრატი, არის დეტერმინაციის კოეფიციენტი (D), რომელიც ფაქტორ-მაჩვენებლის გავლენას პროცენტებში ახასიათებს.

$D = 0,422^2 = 0,178$ ანუ 17,8 %.

ანუ, საანალიზო ხუთწლიან პერიოდში, საერთო ლიკვიდურობის კოფიციენტის ცვლილების 17,8% გამოწვეული იყო ფულადი აქტივების ცვლილებებით. დანარჩენი კი სხვა ფაქტორების გავლენის შედეგია.

ანალოგიურად გამოითვლება ლიკვიდაციის დანარჩენი კოეფიციენტების ვარიაციის კოეფიციენტები, რომელიც ერთი ცხრილის სახით შეიძლება წარმოადგინოთ.

დინამიკური ანალიზის შემდეგ, უნდა გამოვლინდეს მიმდინარე წლის ლიკვიდურობის კოეფიციენტების გადახრები გეგმური ან წინა წლის მაჩვენებელებიდან და შესაძლებლობის შესაბამისად, გაიზომოს გადახრაზე მოქმედი ფაქტორები.

მაგალითისათვის, კვლავ ერთ-ერთი მაჩვენებლის, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის განვიხილოთ. როგორც ცნობილია, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების ფარდობით გამოითვლება. ამიტომ, მის გადახრაზე ამ უკანასკნელთა ცვლილებები ახდენენ გავლენას.

როგორც, ანალიზის ხერხების შესწავლის დროს იყო განხილული, როცა საანალიზო მაჩვენებელსა და მასზე მოქმედ ფაქტორ-მაჩვენებლებს შორის კავშირი განსაზღვრულია (დეტერმინირებულია), გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გასაზომად ჯაჭვური ჩასმის ან აბსოლუტური სხვაობის ხერხი გამოიყენება.

ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოყენებულ უნდა იქნა მაშინ, როდესაც ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში გაყოფის მოქმედებაც არსებობს. გავზომოთ საერთო ლიკვიდურობის, წინა წლის დონიდან გადახრაზე, მოქმედი ფაქტორების გავლენა. დეტალიზაციის მიზნით, მიმდინარე აქტივები ფულად აქტივებად და მატერიალურ მარაგებად დავყოთ. შეიძლება მათი უფრო დატელური დაყოფაც.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი აქტივები + მატერ. მარაგები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} \qquad (8.3.1)$$

ცხრილში 8.2.2. წარმოდგენილია ანალიზისათვის საჭირო ინფორმაცია: საერთო ლიკვიდურობის და მასზე მოქედი ფაქტორების მაჩვენებლები, რაც (8.3.1.) ფორმულაშია მოცემული. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით 0,2765 პუნქტით შემცირდა. გავზომოთ ამ გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

ცხრილი 8.2.2.
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტის გადახრა

მაჩვენებლები	2016	2017	გადახრა
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.5007	1,2242	-0,2765
ფულადი აქტივები (ათ.ლარ)	5400	7080	+1680
მატერიალური მარაგები	4790	6300	+ 1510
მიმდინარე ვალდებულებები	6790	10930	+ 4140

როგორც წესი, ჯაჭვური ჩასმის ხერხის დროს, დაკავშირების ფორმულაში თავდაპირველად, ყველა რიცხვი აიღება საბაზისო დონეზე (წინა წლის ან გეგმური) და შემდეგ, ყოველი ფაქტორ-მაჩვენებელი თანდათან იცვლება საბაზისო მაჩვენებლების მიმდინარე (ფაქტობრივი) მნიშვნელობებით.

გაანგარიშებები 8.2.2. ცხრილის მონაცემების საფუძველზე ჩატარდება. დააკვირდით, ქვემოთ მოტანილ გაანგარიშებებში, თანდათან როგორ იცვლება საბაზისო წლის მონაცემები, მიმდინარე წლის მნიშვნელობებით.

I გაანგარიშება: (5400 + 4790) / 6790 = 1,5007
II გაანგარიშება: (7080 + 4790) / 6790 = 1,7482
III გაანგარიშება: (7080 + 6300) / 6790 = 1,9705
IV გაანგარისება: (7080 + 6300) / 10930 = 1,2242

8.2.2. ცხრილში როგორც ხედავთ, საერთო ლიკვიდურობის გადახრა არის მინუს 0,2765, ე.ი. ლიკვიდურობა წინა წელთან შედარებით 0,2765 პუნქტით შემცირდა. ამ გადახრაზე მოქმედი სამი ფაქტორის ცვლილების გავლენა ჯაჭვური ჩასმის ხერხით გამოითვლება უკვე გაანგარიშებული მწკრივების შედეგების საფუძველზე.

ამდენად, ფულადი თანხების ცვლილების გავლენა = 1,7482 – 1,5007 = + 0,2475
მატერიალური მარაგების ცვლილების გავლენა = 1,9705 – 1,7482 = + 0,2223
ვალდებულებების ცვლილების გავლენა = 1,193 – 1,745 = - 0,7463
სამივე ფაქტორის გავლენის ალგებრული ჯამი, საანალიზო მაჩვენებლის საერთო გადახრის ტოლია: 0,2475 + 0,2223 – 0,7463 = - 0.2765

ანალიზის შედეგად გაკეთდება შემდეგი დასკვნა: იმის გამო, რომ ფულადი აქტივები წინა წელთან შედარებით 1680 ათასი ლარით გაიზარდა, საერთო ლიკვიდურობა 0.2475 პუნქტით გაიზარდა; მატერიალური მარაგების 1510 ათასი ლარით ზრდამ, გამოიწვია საერთო ლიკვიდურობის ზრდა 0,2223 პუმქტით, ვალდებულებების 3140 ათასი ლარით ზრდამ კი, ლიკვიდურობა 0,7463 პუნქტით შეამცირა, რაც უარყოფით მოვლენად ითვლება.

ანალიზის შედეგად შემუშავებული იქნება რეკომენდაცია, რომ საწარმოს მენეჯმენტმა უზრუნველყოს ფულადი აქტივების ზრდის და მიმდინარე ვალდებულებების შემცირების ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ, დაჩქარდეს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების განაღდების პროცესი.

8.2.1. ცხრილში, გარდა ლიკვიდურობის კოეფიციენტებისა, აგრეთვე მოცემულია **ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონის** მაჩვენებელი, რომელიც მეტად საინტერესოა საწარმოს ფინანსური მართვისათვის.

ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონის მაჩვენებელი ახასიათებს, რამდენი დღის ხარჯი იფარება ფულადი აქტივით ანუ არსებული და პოტენციური ფულით.

ანალიზის დროს, ასევე მეტად საინტერესოა მისი დინამიკის და ვარიაციის შესწავლა. მასზე გავლენას ახდენს დღიური ხარჯებისა და ფულადი აქტივების ცვლილებები. შეიძლება გამოითვალოს დღიური ხარჯებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლებს შორის კორელაცია რამდენიმეწლიანი პერიოსდისათვის, ან ფულადი უსაფრთხოებისა და მოთხოვნების მაჩვენებლებს შორის და ა.შ. წინა მაგალითის მსგავსად. ოღონდ, უნდა გვხსოვდეს, რომ მათ შორის კავშირი უკუპროპორციულია. ანუ, დღიური ხარჯების ზრდა, ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონს ამცირებს და პირიქით. ამიტომ, მათი კავშირის ვარიაციის კოეფიციენტი უარყოფითი რიცხვი იქნება.

უსაფრთხოების დიაპაზონის წინა წლიდან გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გასაზომად კი, ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოიყენება.

	2016	2017	გადახრა
ფინანსური უსაფრთხოების დიაპაზონი (დღ)	27,98	31,22	+ 3,24
ფულადი აქტივები (ათ.ლ)	5400	7080	+1680
დღიური ხარჯები (ათ.ლ)	193	226,8	+33,8

როგორც გადახრებიდან ჩანს, ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი 2017 წელს, წინა წელთან შედარებით 3,24 დღით გაიზარდა, რაც პოზიტიურია.

მასზე მოქმედი ფაქტორების გასაზომად ისევ ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებაა საჭირო, რადგან ფაქტორთა მწკრივში გაყოფის მოქმედებაა.

I მწკრივი: 5400 / 193 = 27,98

II მწკრივი: 7080 / 193 = 36,68

ფულადი აქტივების ცვლილების გავლენა = 36,68 – 27,98 = + 7,7 დღე
III მწკრივი: 7080 / 226,8 = 31,22
დღიური ხარჯების ცვლილების გავლენა = 31,22 – 36,68 = - 5,46 დღე

ამრიგად, ფულადი აქტივების 1680 ათ. ლარით ზრდამ, ფინანსური უსაფრთხოების დიაპაზონი 7,7 დღით გაზარდა. დღიური ხარჯების 33,8 ლარით მატებამ კი ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი 5,46 დღით შეამცირა, რაც უარყოფითი მოვლენაა. ამრიგად, საჭიროა დანახარჯები უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული რათა ფულის ბრუნვა დაჩქარდეს.

8.3. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა

სტაბილურობა არის უნარი, წინა აღუდგე დროებით პრობლემებს, როგორიცაა გაყიდვების შეკვეცა, კაპიტალის უკმარისობა, საყრდენი თანამშრომლის ან კლიენტის დაკარგვა. ფნანსური სტაბილურობა. ნებისმიერი კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს სიძნელეების წინაშე, თუმაც ისინი იშვიათად აღიარებენ ამას. მაგრამ, ფინანსური ანგარიშების ანალიზი ყველა დაინტრესებულ სუბიექტს ეხმარება, ნებისმერი კომპანიის ფინანსური უსაფრთხოება შეაფასოს.

კომპანია იქნება თუ არა დიდხანს ბიზნესში, მოცემული კომპანიისა და მასთან ურთიერთობებში მოყოფი კომპანიებსის სტაბილურობაზეა დამოკიდებული. თუკი რომელიმე საწარმო აპირებს იყიდოს რაიმე საქონელი გარანტიით, ის ამას არ განახორციელებს გაკოტრების პირას მყოფ კომპანიასთან.

საერთოდ, მცირე საწარმოები უფრო ხშირად გადიან ბიზნესიდან ვიდრე დიდი კომპანიები. ასევე, ფინანსური სტაბილურობა უფრო მეტად მნიშვნელოვანია მცირე საწარმოებისათვის, ვიდრე მსხვილი კომპანიებისათვის. მცირე კომპანიებს სამწუხაროდ აქვთ „გაქრობის“ შიში, როცა ისინი ფინანსურ პრობლემებში ვარდებიან. დიდ კომპანიებს კი ასეთი შიში არ აქვთ, რადგან მოხდება მათი რესრუქტურიზაცია ან სხვა კომპანიაზე გაიყიდება. ხოლო მისი ვალდებულები შესრულდება მყიდველი კომპანიის მიერ.

სამწუხაროდ, კომპანიების ფინანსური სტაბილურობის დონის ერთი მაჩვენებლით განსაზღვრა რთულია და განსაკუთრებით მცირე საწარმოებისათვის.

ფინანსური სტაბილურობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია და გულისხმობს საწარმოს მყარ ფინანსურ დამოუკიდებლობას. იგი დაკავშირებულია საწარმოს საერთო ფინანსურ სტრუქტურასთან, რომელიც შემდეგნაირად გამოიხატება: „საკუთარი კაპიტალი – ნასესხები სახსრები“.

თუ ნასესხები კაპიტალის წილი საკუთარი კაპიტალის წილს აღემატება, ახლო მომავალში საწარმო შეიძლება გაკოტრდეს, რადგან საწარმო ვალდებულებების დაფარვას ვერ შეძლებს, ყველა კრედიტორმა ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად რომ მოითხოვოს.

ამრიგად, საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის დონეზე გავლენას ახდენს:

1. საწარმოს უზრუნველყოფა საოპერაციო საქმიანობის ნორმალური განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით;

2. ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი დაბანდება საწარმოს ქონებში და მათი რაციონალურრი გამოყენება;

3. საიმედო პარტნიორული ურთიერთობების დამკვიდრება მყიდველებთან, მომწოდებლებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან და სახელმწიფოსთან;

4. საწარმოს რეპუტაცია დარგში და საზოგადოებაში.

ფინანსური სტაბილურობა მეწარმეს პერსპექტივის თვალსაზრისით აინტერესებს, რათა ბიზნესის მომავალი წარმატებული იყოს. ფინანსური სტაბილურობის დახასიათებისათვის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები გამოიყენება.

ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლებია:

$$\text{საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}} \qquad (8.3.1.)$$

იგი ფინანსური სტაბილურობის ზოგადი დახასიათებისათვის გამოიყენება და საწარმოს ზოგად ფინანსურ სტრუქტურას ახასიათებს. მისი ზრდა დადებით მოვლენას წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არასაიმედო ხდება. მისი მინიმალური საზღვარი ერთის ტოლია.

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \text{საკუთარი კაპიტალი} / \text{აქტივების ჯამი} \qquad (8.3.2.)$$

იგი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში. სასურველია ეს კოეფიციენტი 0,5-ს აღემატებოდეს. ეს მაჩვენებელი აჩვენებს, თუ ქონების რა ნაწილია კონცენტრირებული ანუ შეძენილი საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებით, ამ მაჩვენებლის ოპტიმალური სიდიდე 60%-ია, ხოლო იაპონიის მრავალ კომპანიაში 20%. მათი ეკონომისტების აზრით, ამის მიზეზია ის, რომ იაპონიაში სახსრებს ძირითადად ბანკებიდან იზიდავენ, აშშ-ში კი მოსახლეობიდან. მაგრამ, საერთოდ მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი ვალდებულებების წილს აღემატებოდეს. რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალები საკუთარი სახსრებით დაიფაროს. იგი გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია.

$$\text{კაპიტალიზაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{(გრძელვად. ვალდებ. + საკ. კაპიტალი)}}; \qquad (8.3.3)$$

$$\text{საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან} = \frac{\text{(საკუთარი კაპიტალი – პრივილეგ.სააქციო კაპიტალი)}}{\text{(აქტივები – მიმდინარე ვალდებულებები)}}; \qquad (8.3.4.)$$

(ან, საკუთარ კაპიტალს + გრძლევადიანი ვალდებულებები)

ეს მაჩვენებელიც ბიზნესის რისკის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება. ის საწარმო, რომელსაც უფრო მეტი ნასესხები სახსრები აქვს, ვიდრე საკუთარი კაპიტალი, უფრო მეტ რისკს ეწევა, ვიდრე ის, რომელსაც უფრო ნაკლები

ნასესხები კაპიტალი აქვს ან სულაც არა აქვს იგი, რადგან ნასესხებ კაპიტალზე პროცენტი უნდა გადაიხადოს მაშინაც კი, თუ მოგება არა აქვს.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა =

$$= \frac{\text{საკ.კაპიტ. +გრძლევად.ვალდებ. – გრძლევად.აქტივები}}{\text{მიმდინარე აქტივები}} \qquad \textbf{(8.3.5.)}$$

(8.3.4.) ფორმულის მრიცხველი იგივეა რაც, საკუთარი საბრუნავი სახსრები (სსს), თუკი მიმდინარე აქტივებში გრძელვადიანი სეხები დაბანდებული არაა, რომელიც წინა თავში იქნა განხილული წმინდა მიმდინარე აქტივებთან დაკავშირებით. ამიტომ, ფორმულა (8.3.5.) უნდა შეიცვალოს (8.3.6.) ფორმულით.

სსს = მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები **(8.3.6.)**

სსს = მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები – მიმდ. აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი სესხები **(8.3.7.)**

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებულ მაჩვენებელს საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტს უწოდებენ.

$$\textbf{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{აქტივის ჯამი}}{\text{საკუთარი კაპიტალი.}} \qquad \textbf{(8.3.8.)}$$

იგი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელია და აჩვენებს, აქტივი რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს. მისი იდელაური დონეა ერთი. ამ მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს, რომ საწარმო სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება სხვებზე, კრედიტორებზე და ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე ექმნება. თუ ეს კოეფიციენტი ერთამდე დაეცა, ნიშნავს, რომ მესაკუთრეები საწარმოს მთლიანად აკონტროლებენ. ამდენად, ეს მაჩვენებელი იმავდროულად ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელია, რადგან მისი ზრდა რისკის ზრდას მოასწავებს.

$$\textbf{მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}} \qquad \textbf{(8.3.9.)}$$

იგი აჩვენებს, ყოველი ერთი ლარი აქტივის ვალდებულებებით დატვირთვის ხარისხს. ამ კოეფიციენტისა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ჯამი ერთის ტოლია.

$$\textbf{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{სსს}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \qquad \textbf{(8.3.10)}$$

იგი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისათვის გამოყენებული საკუთარი კაპიტალის წილს. ანუ, საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში, დანარჩენი კი კაპიტალიზებულია ანუ გრძელვადიან აქტივებშია დაბანდებული. ამ კოეფიციენტის ნორმალური სიდიდე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული.

$$\text{გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}} \quad (8.3.11.)$$

ეს კოეფიციენტი ახასიათებს, გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული კრედიტორების მიერ და რა ეკუთვნის საწარმოს მესაკუთრეებს, როცა გრძელვადიანი ვალდებულებები მხოლოდ გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად არის გამოიყენებული. თუკი, საწარმოს სესხების მართვის სტრატეგიით გრძელვადიანი სესხები მიმდინარე აქტივებშიც გამოიყენება, მაშინ (8.3.10) ფორმულის გამოსათვლელად მენეჯმენტმა აუცილებელად გრძელვადიანი სესხების მიზნობრიობის ანალიზური ინფორმაცია უნდა გამოიყენოს. შესაბამისად, იმავე (8.3.10.) ფორმულის მრიცხველში გრძელვადიანი ვალდებულებები შემცირდება მიმდინარე აქტივებში დაბადებული გრძელვადიანი სესხების მოცულობით.

$$\text{მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძლევ. ვალდებულებები}}{\text{ვალდებულებები}} \quad (8.3.12)$$

იგი ახასიათებს გძელვადიანი ვალდებულებების ხვედრით წილს ვალდებულებებში. მისი ნორმალური დონე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული.

$$\text{პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოგება \%-ისა და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საპროცენტო თანხა}} \quad (8.3.13)$$

ეს კოეფიციენტი პროცენტის უზრუნველყოფის ხარისხს ახასიათებს. იგი რაც უფრო მაღალი იქნება ერთზე, საწარმოს მით უფრო არ ექნება პრობლემები პროცენტის გადახდასთან დაკავშირებით. იგი ფინანსური რისკის ხარისხსაც ახასიათებს. ამ მაჩვენებლის შემცირება ფინანსური რისკის ზრდას მოასწავებს. იგი ასევე მჭიდრო კავშირშია ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელთან.

აგრეთვე შეისწავლება მარაგების დაფარვის კოეფიციენტები, როგორიცაა მარაგების დაფარვის საერთო კოეფიციენტი და საკუთარი საბრუნავი სახსრებით მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი.

$$\text{მარაგების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები}}{\text{მატერიალური მარაგები}} \quad (8.3.14)$$

მარაგების დაფარვის ნორმალური წყაროებია: საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულება მოწოდებიდან და მიღებული ავანსები. მარაგების დაფარვის „ნორმალურ“ წყაროდ არ ითვლება დავალიანება ბიუჯეტისადმი, გასაცემი ხელფასი და დივიდენდები. თუ მარაგის დაფარვის კოფიციენტი ერთზე ნაკლები აღმოჩნდა, იგი ფინანსური მდგომარეობის გართულებაზე მიანიშნებს.

$$\text{მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{მატერიალური მარაგები}} \quad (8.3.15)$$

იგი აჩვენებს მატერიალური მარაგების რა ნაწილი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებიდან, საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციისა და პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტებს, **საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მთავარ ფარდობით მაჩვენებლებს უწოდებენ.**

ჩვენი აზრით, საკუთარი და ნასესხები სახსრების (ანუ საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების) ფარდობის კოეფიციენტი აქ განხილულ დანარჩენ კოეფიციენტებთან შედარებით, ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა. ვფიქრობთ, ეს ფარდობა განსაზღვრავს დანარჩენი კოეფიციენტების დონეს. თუმცა ეს მომავალი კვლევის საკითხია. ვიმედოვნებ, მაგისტრანტები ამას ყურადღებას მიაქცევენ.

გარდა ფარდობითი მაჩვენებლებისა, საწარმოს ფინანსურ სტაბილურობა აბსოლუტური მაჩვენებლებითაც ხასიათდება. **გამოყოფენ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ოთხ ტიპს:**

I. აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, რომელიც გამოიხატება შემდეგი უტოლობით:

მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები

ესეიგი, მატერიალური მარაგები მთლიანად საკუთარი საბრუნავი სახსრებით იფარება. იგი იდეალური სიტუაციაა. ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ მარაგებში 50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

II. ნორმალური ფინანსური სტაბილურობა, როცა ადგილი აქვს შემდეგ უტოლობას:

საკუთარი საბრ. სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგის ფორმირების „ნორმალური“წყაროები

III. არასტაბილური (არამყარი) ფინანსური მდგომარეობა, როცა:

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები

IV. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა, როცა, მესამე ტიპის უტოლობასთან ერთად, საწარმოს გააჩნია გადაუხდელი ვალდებულებები და სესხები და ვადაგადაცილებილი დებიტორული დავალიანებები.

ამრიგად, საწარმოს ფინანსური სტაბლურობის ანალიზის დროს მენეჯმენტს შეუძლია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებელი შეისწავლოს და შესაბამისი ღონისძიებები დაგეგმოს ფინანსური სტაბილურობის შემდგომი გამტკიცების მიზნით.

8.4. ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მეთოდიკა

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩასატარებლად შემდეგი პროცედურიებია საჭირო:

1. ანალიზის მიზნების განსაზღვრა და თემატური გეგმის შედგენა;
2. საჭირო ინფორმაციის მოპოვება;
3. ანალიზური ცხრილების შედგენა და შერჩეული მაჩვენებლების გამოთვლა;
4. საანალიზო მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი და ტენდენციების გამოვლენა;
5. ფინანსური სტაბილურობის ტიპის დადგენა;
5. საანალიზო მაჩვენებლების გადახრების შეფასება;
6. მთავარი კოეფიციენტების ფაქტორული და კორელაციური ანალიზი;
7. დასკვნების და ინტერპრეტაციების გაკეთება;
8. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შედგომი გამტკიცების ღონისძიებების შემუშავება და მათი დანერგვის პირობების განსაზღვრა.

წინა საკითხში განხილულია ფინანსური სტაბილურობის ძირითადი კოეფიციენტები და სახეები. შეიძლება სხვა კოეფიციენტების გამოთვლაც დეტალიზაციის ნებისმიერი ხარისხით. ანალიზის დროს ყველა მაჩვენებელი შეიძლება შევისწავლოთ. ამჯერად კი, მაგალითისათვის, რამდენიმე კოეფიციენტი განვიხილოთ.

ანალიზის საერთო მეთოდიკის თანახმად, პირველ რიგში, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილ უნდა იქნეს საანალიზო მაჩვენებლები. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მთელი რიგი მაჩვენებლები ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება (სსს სიდიდე გამოთვლილია ცხრილში 7.5.3).

ცხრილი 8.4.1.

სს „კოლხეთის“ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
1. საკუთარი და მოზიდული სახსრების ფარდობა	0,779	1,243	1,188	1,104	1,011
2. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაცია	0,44	0,55	0,54	0,51	0,503
3. მოზიდული კაპიტალის კონცენტრაცია	0,56	0,45	0.46	0,49	0,497
4. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	2,28	1,80	1,84	1,906	1,99
5. საკ. საბრ. სახსრებით უზრუნველყოფა	0,139	0,378	0,383	0,328	0,170
6. საკ.კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0,139	0,294	0,313	0,257	0,125
7. მატერ. მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	0,322	0,859	0,924	0,697	0,360
8. %-ის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	12	13,5	15	14	11,59

საანალიზო პირობითი საწარმოს მაგალითზე გამოთვლილი სტაბილურობის ზოგიერთი კოეფიციენტი 8.4.1. ცხრილშია წარმოდგენილი. მოცემულ ცხრილიში აღებული რვა კოეფიციენტიდან, საკვლევი ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ „საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ფარდობის“ და შესაბამისად, „საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის“ კოეფიციენტები გაუმჯობესდა. პირველი კოეფიციენტი ერთზე მაღლა ავიდა. რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარი კაპიტალი აჭარბებს მოზიდული კაპიტლის სიდიდეს. საკუთარი კაპიტალის წილი 44%-იდან, 50%-მდე გაიზარდა 2017 წელს, რაც დადებით მოვლენად ითვლება (გარდა ბანკებისა, მათი საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე, ბანკების კაპიტალში საკუთარი კაპიტალის 10-15% წილი, ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება), თუმცა არასტაბილურობით ხასიათდებოდა.

8.4.1. ცხრილის საფუძველზე შედგება დინამიკის ცხრილი (საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელია აღებული), რომელშიც მოცემულია სტაბილურობის კოეფიციენტების პროცენტული ზრდის ტემპები (იხ. ცხრილი 8.4.2.). როგორც ცხრილიდა ჩანს, 2013 წელთან შედარებით საანალიზო მაჩვენებლები იზრდებოდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით შემცირებულია. ცხრილში უფრო თვალსაჩინოა, რომ ზდრის ტემპები 100-ზე მაღალია პირველი ორი მაჩვენებლის მიხედვით. მატერიალური მარაგებისა და პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტები კი 2017 წელს ძალიან დაეცა. ტემპები 100-ზე დაბალია. აქედან გამომდინარე, უფრო დეტალური ანალიზი უნდა გაგრძელდეს მატერიალური მარაგების ზრდის მიზეზების გამოკვლევისაკენ, რომელიც წინა წელთან შედარებით 1,3-ერ გაიზარდა. ხოლო საკუთარი საბრუნავი სახსრები იმავე 2013 წელთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა (იხ. ცხრილი 8.4.2.) და მათი ხვედრითი წილი მატერიალურ მარაგებში 81%-იდან, 36%-მდე დაეცა 2014 წელთან შედარებით.

ამრიგად, ანალიზმა აჩვენა, რომ, მართალია 2013 წელთან შედარებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ 2014 წელთან შედრებით ვითარება თანდათან უარესდება და საანალიზო საწარმო ფინანსური რისკების ზღვარზე იმყოფება.

ცხრილი 8.4.2.

ფინანსური სტაბილურობის ზოგიერთი მაჩვენებლის დინამიკა %-ად 2013 წელთანშედარებით

მაჩვენებელლები	2013	2014	2015	2016	2017
1. საკუთარი და მოზიდული სახსრების ფარდობა	100	160	153	142	130
2. საკუთალი კაპიტალის კონცენტრაცი	100	125	123	116	114
3. . მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	100	267	287	216	112
4. %-ის უზრუნველყოფის კოეფიციენტ	100	113	125	117	96

დინამიკის შესწავლის შემდეგ, სტაბილურობის კოეფიციენტების ვარიაცია ანუ მერყეობის ხარისხი გამოიკვლევა, რისთვისაც, როგორც იცით, ვარიაციის კოეფიციენტები უნდა გამოითვალოს (იხ. ცხრილი 8.4.3.).

ანალიზის დროს ასევე საინტერესოა საანალიზო მაჩვენებლების მერყეობის ხრისხის შეფსება, რისთვისაც ვარიაციის კოეფიცენტი გამოიყენება. იგი გამოითვლება როგორც საშუალო კვადრატული გადახრის პროცენტული ფარდობა საშუალო არითმეტიკულთან (იხ. გვ. 42).

ცხრილი 8.4.3.

ვარიაციის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	ვარიაციის დონე %
1. საკ. და მოზიდული სახსრების თანაფარდობა	15
2. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაცია	8,4
3. მატერ. მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	42,3
4. %-ის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	11,2

როგორც 8.4.3. ცხრილიდან ჩანს (მაგალითისთვის მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელია აღებული. პრაქტიკაში კი ყველა კოეფიციენტის ვარიაცია გამოითვლება კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით), ყველაზე მაღალი მერყეობის ხარისხი მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიცენტს გააჩნია (42,3%), რაც მოსალოდნელი იყო. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მატერიალური მარაგების ზრდის მიზეზები იქნეს გამოკვლეული. იგი შესაძლოა გამოწვეული იყოს წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების შეფერხების მიზეზით.

გამომდინარე იქედან, რომ საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ფარდობა არის კაპიტალის ორგანული სტრუქტურის კოეფიციენტი, იგი საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მთავარი მაჩვენებელია და საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის დროს, საინტერესო იქნება ამ მაჩვენებლის წინა წლის ფაქტობრივი ან მიმდინარე წლის გეგმური დონიდან გადახრის ფაქტორული ანალიზის ჩატარება შემდეგი მრავალფაქტორიანი მოდელის საფუძველზე:

$$\frac{\text{საკუთ. კაპიტალი}}{\text{ვალდებულებები}} = \frac{\text{საკ.კაპ.}}{\text{შემოსავ.}} * \frac{\text{შემოსავალი}}{\text{მოგება}} * \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივი}} * \frac{\text{აქტივი}}{\text{ვალდებ.}} \qquad \textbf{(8.4.1)}$$

საკ.კაპიტალი/შემოსავლი – ნიშნავს, ყოველი ერთი ლარის შემოსავალში რა წილი უჭირავს საკუთარ სახსრებს;

შემოსავალი/მოგება – ახასიათებს თუ რამდენი ლარის შემოსავალი დაჭირდა ყოველი ერთი ლარის მოგების მიღებას;

მოგება/აქტივი – აჩვენებს, რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე;

აქტივი/ვალდებულებები – აჩვენებს რამდენი ლარის რესურსი არსებობს, ყოველ ერთ ლარ მოზიდულ კაპიტალზე.

ვინაიდან, ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში მხოლოდ გამრავლების მოქმედებებია, ფაქტორთა გავლენის გაზომვის მიზნით აბსოლუტური სხვაობის ხერხი გამოიყენება.

წინა საკითხში განხილული იყო, რომ მოცულობით მაჩვენებლებში, საწარმოს **ფინანსური სტაბილურობის ოთხი დონე განისაზღვრება**: აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, ნორმალური, არასტაბილური და კრიტიკული.

შესაბამისი გამოთვლები შეიძლება საანალიზო საწარმოს მაგლითზეც იქნას ნაჩვენები. გამოთვლებისთვის საკმარისია ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია. საფუძველზე ერთმანეთს შევუდაროთ მატერიალური მარაგები, საკუთარი საბრუნავი სახსრები და მარაგების დაფარვის „ნორმალური“ წყაროები.

	2016 წ	**2017 წ**
მატერიალური მარაგები (ათ.ლ)	4790	6300
საკუთარი საბრუნავი სახსრები (სსს)	3340	2270
დაფარვის „ნორმალური“ წყაროები	4040	6300

მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე შედგება შემდეგი უტოლობები:

2016 წელი:

სსს	<	მატერ. მარაგები	>	„ნორმალური“ წყაროები
3340	<	4790	>	4040

2017 წელი:

სსს	<	მატერ. მარაგები	>	„ნორმალური“ წყაროები
2270	<	6300	=	6300

როგორც ხედავთ, თითქოს 2017 წელს ოდნავ უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე 2016 წელს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ორივე წელს არასტაბილური ფინანსური მდგომარობა არსებობდა.

ამრიგად, საანალიზო საწარმოს მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს მატარიალური მარაგების და ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტის ზრდის ტენდენციების გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა და განახორციელოს მათი შემცირების საგანგებო ღონისძიებები.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. ახსენით, რას ახასიათებენ ლიკვიდურობის კოეფიციენტები;
2. ჩამოთვალეთ, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები;
3. ახსენით, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ოთხი ტიპი;
4. ახსენით, საკუთარი საბრუნავი სახსრებით მარაგების დაფარვის კოეფიციენტის არსი;
5. რას ახასიათებს პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი;

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი არის:**
   ა. ფულადი თანხების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან
   ბ. ფულადი თანხების ფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან
   გ. მიმდინარე აქტივების ფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან
2. **საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი არის:**
   ა. მოგების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
   ბ. მიმდინარე ვალდებულებების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან
   გ. მიმდინარე აქტივების ფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან
3. **სასაქონლო მატერიალური მარაგების დაფარვის „ნორმალურ" წყაროებს მიეკუთვნება:**
   ა. საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულება მოწოდებიდან, მიღებული ავანსები
   ბ. საკუთარი საბრუნავი სახსრები, გრძელვადიანი სესხები, მიღებული ავანსები
   გ. ვალდებულება მოწოდებიდან, გასაცემი ხელფასები, საკუთარი საბრუნავი სახსრები, მიღებული ავანსები
4. ბუღალტრული ბალანსით, მიმდინარე აქტივებია – 21000, გრძელვადიანი აქტივები - 55000, მოკლევადიანი ვალდებულებები – 8400 და გრძელვადიანი ვალდებულებები – 15700 ლარია.
   რას უდრის საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი:
   ა. 2,5
   ბ. 3,5
   გ. 3,0
5. ბუღალტრული ბალანსით არსებობს შემდეგი ინფორმაცია: ვალდებულება მოწოდებიდან – 4000, ვალდებულება მოგების გადასახადზე – 1200, გასაცემი ხელფასი – 2400, მოკლევადიანი სესხი – 5300, გრძელვადიანი სესხი – 7000, სასაქონლო-მატერიალური მარაგები – 5700 და საკუთარი საბრუნავი სახსრები – 3000 ლარია.
   რას უდრის მარაგების დაფარვის კოეფიციენტი:
   ა. 0,53
   ბ. 3,07
   გ. 2,15
6. **საკუთარი საბრუნავის სახსრები არის:**
   ა. სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და გრძლევადიან ვალდებულებებს შორის
   ბ. სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის
   გ. სხვაობა მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის
7. **საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი არის:**
   ა. ფულადი თანხების ფარდობა საკუთარ საბრუნავ სახსრებთან
   ბ. ფულადი თანხების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან
   გ. საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან
8. **საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიცენტი არის:**
   ა. საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა აქტივის ჯამთან
   ბ. საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივის ჯამთან
   ც. აქტივის ჯამის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
9. **მოზიდული კაპიტალის კონცენტაციის კოეფიციენტი არის:**
   ა. ვალდებულებების ფარდობა აქტივის ჯამთან
   ბ. ვალდებულებების ფარდობა საკუთარ საბრუნავ სახსრებთან
   გ. ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
10. **საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი არის:**
    ა. საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა ფულად თანხებთან
    ბ. საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან
    ც. ვალდებულებების ფარდობა საკუთარ საბრუნავ სახსრებთან
11. **საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი არის:**

ა. მოგების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
ბ. საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივის ჯამთან
გ. აქტივის ჯამის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან

12. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ზრდა საწარმოსათვის:
ა. დადებითი მოვლენაა
ბ. არახელსაყრელი მოვლენაა
გ. გარდაუვალი მოვლენაა

13. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოფიციენტი არის:
ა. საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
ბ. საკუთარი კაპიტალის ფაროდბა მიმდინარე ვალდებულებებთან
გ. საკუთარი კაპიტალის ფარდობა საკუთარ საბრუნავ სახსრებთან

14. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი აჩვენებს:
ა. რამდენჯერ აღემატება საკუთარი კაპიტალი საკუთარ საბრუნავ სახსრებს
ბ. საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია მიმდინარე აქტივებში
გ. საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია გრძელვადიან აქტივებში

15. გრძელვადიანი დაბანდებების სტრუქტურის კოეფიციენტი არის:
ა. გრძელვადიანი ვალდებულებების ფარდობა მთლიან ვალდებულებებთან
ბ. გრძელვადიანი აქტივების ფარდობა აქტივების ჯამთან
გ. გრძლევადიანი ვალდებულებების ფარდობა გრძელვადიან აქტივებთან

16. გრძელვადიანი დაბანდებების სტრუქტურის კოეფიციენტი აჩვენებს:
ა. გრძლევადიანი აქტიევბის ხვედრით წილს აქტივებში
ბ. გრძლევადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული მფლობელების მიერ
გ. გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული კრედიტორების მიერ

17. პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი არის:
ა. პროცენტის ფარდობა საერთო მოგებასთან
ბ. მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე შეფარდებული საპროცენტო ხარჯებთან
გ. მოგება პროცენტისა და გადასახადის გადახდამდე შეფარდებული წმინდა მოგებასთან

18. განვლილი ხუთი წლის განმავლობაში, საწარმოს საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი საშუალოდ შეადგენდა 2,345; საშაულო კვადრატულმა გადახრამ შეადგინა 0,452.

რას უდრის ვარიაციის კოეფიციენტი:
ა. 42,86
ბ. 15,18
გ. 19,3

19. საწარმოში არსებობს აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, როცა:
ა. მიმდინარე აქტივი > გრძელვადიანი აქტივები
ბ. საკუთარი საბრუნავის სახსრები < მატერიალური მარაგები
გ. მატერიალური მარაგები< საკუთარი საბრუნავი სახსრები

20. ოთხწლიან პერიოდში, საწარმოს დამოკიდებულების კოეფიციენტი შეადგენდა:
2008 წ - 1,50
2009 წ - 1,54
2010 წ - 1,59
2011 წ - 1,71

მოცემული სიტუაცია ფირმისათვის წარმოადგენს:
ა. დადებით მოვლენას
ბ. უარყოფით მოვლენას
გ. არ ცვლის ფინასურ რისკებს

სავარჯიშო 8.1.

ინფორმაცია ბუღალტრული ბალანსიდან:

	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე აქტივები	45 000	46 200
მიმდინარე ვალდებულებები	31 400	33 100
მ.შ. ვალდებულება მოწოდებიდან	10 000	15 000
მოკლევადიანი სესხები	5 400	6 900
მატერიალური მარაგები	18 700	20 300

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ სსს და მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა სსს-ით;
2. გამოთვალეთ გადახრები და გააკეთეთ კომენტარები;
3. აჩვენეთ, ფინანსური სტაბილურობის რომელი ტიპი არსებობს წლის დასწყისში და წლის ბოლოს

სავარჯიშო 8.2

მოცემულია კომპანიის ფინანსური სტაბილურობის ორი კოეფიციენტი:

წლები	თანაფარდობა საკუთარ და მოზიდულ კაპიტალს შორის	%-ის უზრუნველყოფის კოეფიციენტი
2005	2,0	5.0
2006	1,9	5,9
2007	2,2	6,4
2008	2,3	7,8
2009	2,0	9,0
2010	2,5	10,0
2011	2,7	11,5

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ ვარიაციის კოეფიციენტები
2. გამოთვალეთ კორელაციის კოეფიციენტი და გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები

თავი 9. მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზი

მოთხოვნებისა და ვალდებულებების დროული დაფარვის უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოს გადახდისუნარიანობაზე და საერთოდ, ფინანსურ სტაბილურობაზე. ამიტომ, მათი მაღალი ხარისხით მართვა, კონტროლი და ანალიზი ერთ-ერთი არსებითი ხასიათის მიმართულებაა საწარმოს ფინანსურ მენეჯმენტში.

მოცემულ თავში წარმოდგენილია:

- მოთხოვნებისა და ვალდებულებების არსი და მნიშვნელობა საწარმოს ფინანსური სტაბილურობის სფეროში;
- სავაჭრო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანალიზის მეთოდიკა;
- მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების ანალიზის ხერხები;
- გამოშვებული ობლიგაციებით წარმოშობილი ვალდებულებების ანალიზი;

9.1 მოთხოვნების სტრუქტურა და ანალიზის ამოცანები

საწარმოში მოთხოვნები წარმოიშობა უნაღდო ანგარიშსწორების დროს, როცა ერთი საწარმო მეორე საწარმოს გადასცემს (მიყიდის ან ასესხებს) რაიმე სახის აქტივს, რომელსაც იმავდროულად არ ახლავს ეკვივალენტური ნაღდი ფულადი თანხის მოძრაობა. ამდენად, **საწარმოს მოთხოვნები არის მისი უფლება, მოთხოვოს სხვა საწარმოს მისთვის კუთვნილი თანხა. მათ მეორენაირად დებიტორულ დავალიანებებს უწოდებენ.**

მოთხოვნები საწარმოში შეიძლება წარმოიქმნას საქონლის (პროდუქციის) კრედიტით ანუ შემდგომი განაღდების პირობით გაყიდვვების დროს; ავანსად გაცემული თანხების დროს, რათა მომავალში მიღებული იქნეს რაიმე სახის მომსახურება; გაცემული სესხების დროს; აგრეთვე არსებობს მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ, პარტნიორების მიმართ, დამფუძნებლების მიმართ კაპიტალის შევსებაზე და ა.შ.

მოთხოვნები მიეკუთვნება არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს (ბასს 39, მუხლი 9), რომელიც კოტირებული არ არის აქტიურ ბაზარზე. იგი არის ფულადი აქტივი.

ფულადი აქტივი არის ფლობილი ფული და ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივები. ამდენად, მოთხოვნა არის განსაზღვრადი ფულადი თანხის სახით მისაღები აქტივი.

აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც არსებობს ყველა შემდეგი პირობა: ბაზარზე არსებული საქონელი ერთგვაროვანია; როგორც წესი, ყოველთვის

არსებობენ დაინტერესებული მყიდველები და გამყიდველები; ფასები ცნობილია საზოგადოებისათვის.

ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები.

გამოიყოფა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები. გრძლევადიანი მოთხოვნები ერთ წელზე მეტი ხნის ვადაში დაუბრუნდება საწარმოს ფულის სახით. მოკლევადიანი მოთხოვნები კი ნავარაუდევია, რომ ერთი წლის განმავლობაში დაიფარება დებიტორების მიერ.

არსებობს შემდგი სახის მოთხოვნები (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი):

- ჩვეულებრივი მოთხოვნები;
- სათამასუქო მოთხოვნები;
- საიჯარო მოთხოვნები;
- დარიცხული მოთხოვნები;
- სხვა მოთხოვნები.

ანალიზის დროს შეისწავლება მოთხოვნების სტრუქტურა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე.

მოთხოვნების ანალიზის დროს საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნების სტრუქტურული ცხრილების მომზადება;
- მოთხოვნების დინამიკის გამოკვლევა;
- დინამიკაში, მოკლევადიანი მოთხოვნების ზრდის ტემპების შედარება ფულადი თანხების, გაყიდვების, მოკლევადიანი ვალდებულებების და სხვა საინტერესო მაჩვენებლების ცვლილების ტემპებთან;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებების დინამიკის ცხრილის მომზადება;
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდის დინამიკის შესწავლა;
- უიმედო დებიტორული დავალიანებების დინამიკის ანალიზი;
- ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების გამოკვლევა;
- სათანადო დასკვნების გაკეთება და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

სტრუქტურისა და დინამიკის ცხრილების მომზადების წესი თქვენთვის უკვე ცნობილია. განვიხილოთ შემდეგი პირობითი მაგალითი (იხ. ცხრილი 9.1.1.). დავუშვათ, საწარმოს გააჩნია, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მოთხოვნები.

სტრუქტურული ანალიზით ირკვევა, რომ მოკლევადიან ანუ მიმდინარე აქტივებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, რომლის წილი წინა წელს 51 % იყო, მიმდინარე წელს კი 44,3 %-მდე შემცირდა. ასეთი მოვლენა ჩაითვლება დადებით მოვლენად იმ შემთხვევაში, თუკი შემოსავლები გაყიდვებიდან გაიზრდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ პროდუქციის (საქონლის) მიწოდება შემცირდა ან იმიტომ, რომ მოთხოვნების ჯამში გაზრდილია გაცემული ავანსების წილი 19%-დან, 22,6 -მდე. ამდენად,

მოთხოვნების თითოეული მუხლის სტრუქტურა უნდა დახასიათდეს. შემდეგ კი მათი დინამიკის განხილვა უნდა მოხდეს.

9.1.1. ცხრილში წარმოდგენილია, თუ როგორი შეიძლება იყოს მოთხოვნების სტრუქტურა ფინანსურმა მენეჯმენტმა აგრეთვე დეტალურად უნდა გაანალიზოს ცალკეული სახის მოთხოვნები მათი ვადიანობის მიხედვით. ხომ არ არსებობს რაიმე საფრთხის შემცველი პერსპექტივა. ფინანსური სტაბილურობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა მოთხოვნების დროული ამოღება.

ცხრილი 9.1.1.

საწარმოს მოთხოვნების სტრუქტურა

მოთხოვნები	2016		2017	
	ლარი	ხვ/წ %	ლარი	ხვ/წ %
I. მოკლევადიანი მოთხოვნები				
- მოთხოვნა მიწოდებიდან	12900	51.0	13500	44,3
- საეჭვო მოთხოვნები	(1700)	(6,7)	(2500)	(8,2)
- მოთხოვნა პერსონალის მიმართ	1100	4,3	3700	12,1
- გაცემული ავანსები	4800	19.0	6900	22,6
- გაცემული სესხები	2300	9,1	4200	13,8
- მიღებული თამასუქები	4500	17,8	3700	12,1
- დარიცხული მოთხოვნები				
- დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	5,5	1000	3,3
ჯამი	25 300	100	30 500	100
II. გრძელვადიანი მოთხოვნები				
- სათამასუქო მოთხოვნები	11 000	22,6	14 600	28,2
- მოთხოვნა ფინანსური იჯარით	23 000	47,2	21 000	40,5
- მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	9 000	18,5	9 000	17,4
- დანარჩენი გრძელვადიანი მოთხოვნები	5 700	11,7	7 200	13,9
ჯამი	48 700	100	51 800	100
სულ მოთხოვნები	74 000	100	82 300	100
მათ შორის:				
- მიმდინარე მოთხოვნები	25 300	34,2	30 500	37,1
- გრძელვადიანი მოთხოვნები	48 700	65,8	51 800	52,9

მოთხოვნების შემადგენლობაში უკეთესია მაღალი წილი მოკლევადიან მოთხოვნებს ეკავოს. მოცემულ მაგალითზე, გრძელვადიანი მოთხოვნების წილი მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე მოთხოვნების წილს, რაც დაბლა წევს საწარმოს გადახდისუნარიანობას.

სტრუქტურული განხილვის შემდეგ ჩვეულებრივ საანალიზო მაჩვენებლების დინამიკა შეისწავლება. დინამიკური ანალიზის დროს გარდა მოთხოვნების დინამიკისა, მიზანშეწონილია მოხდეს შედარება მოთხოვნებისა და სხვა რომელიმე მაჩვენებლების დინამიკურ ტენდენციებს შორის. მაგალითად, მიმდინარე მოთხოვნების დინამიკა შედარებულ იქნეს ფულადი თანხების, რეალიზაციიდან შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებებისა და სხვა მაჩვენებლების დინამიკას. შედგება შესაბამისი ცხრილი, სადაც მონაცემები

გადმოიტანება ბუღალტრული ბალანსიდან და მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან (იხ. ცხრილი 9.1.2.).

როგორც 9.1.2. ცხრილიდან სჩანს, მიმდინარე მოთხოვნების ნაშთები განვლილი ხუთი წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. მოთხოვნების ზრდა ფულად თანხებზე უარყოფით გავლენას ახდენს. მართლაც, ფულადი თანხები შემცირების ტენდენციით ხასიათდება, გარდა 2017 წლისა. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ როგორც 9.1.1. ცხრილიდან ჩანს, მოთხოვნების შემადგენლობაში მაღალია გაცემული ავანსების ხვედრითი წილი (22,6%), რაც თავისუფალი ფულადი თანხების წილის შემცირებას გამოიწვევდა. აგრეთვე, შეიძლება არსებობდეს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

ცხრილი 9.1.2.

მიმდინარე მოთხოვნების დინამიკური ტენდენციების შედარება სხვა მაჩვენებლებთან

მაჩვენებლები	2013 ათ.ლ	2014		2015		2016		2017	
		ათ.ლ	% 2013 წ-თან	ათ.ლ	% 2013 წ-თან	ათ.ლ	% 2013 წ-თან	ათ.ლ	%2017 წ-თან
მოკლევადიანი მოთხოვნები	1180	1290	109	1500	127	1300	110	2350	199
ფულადი თანხების ნაშთი	4200	3900	93	4350	104	4100	98	4730	113
შემოსავალი რეალიზ.-დან	79000	73000	92	76000	96	77800	98	95690	121
მოგება რეალიზაციიდან	15000	11000	73	11500	77	12400	83	22090	147
მიმდინარე ვალდებულებები	8560	6000	70	6420	75	6790	79	10930	128

როგორც 9.1.2. ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს მოთხოვნები ორჯერაა გაზდილი 2013 წელთან შედარებით. ამასთან, შემოსავლებისა და მოგების მაჩვენებლები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. მაშასადამე, საანალიზო საწარმო მომგებიანია, ვინაიდან შემოსავლები და ხარჯები დარიცხვის პრინციპით აღიარდება, მაგრამ მისი გადახდისუნარიანობა დაბალია. მას არ გააჩნია საკმარისი ფულადი თანხები, რაც ფინანსურ მდგომარეობას აუარესებს. მოცემული მაგალითი ნათლად ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ არ კმარა საწარმო იყოს მხოლოდ მომგებიანი. აუცილებელია მას ვალდებულებების დროული დაფარვა შეეძლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს ფინანსური პოზიციები საიმედო ვერ იქნება.

შემდეგ საფეხურზე ანალიტიკოსებმა უნდა გამოიკვლიონ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების არსებობის, ცვლილებების და მდგომარეობის ტენდენციები რაც შემდეგ საკითხში იქნება განხილული.

ამრიგად, მოთხოვნების ანალიზის ამოცანებია:

- მოთხოვნების სტრუქტურული ცვლილებების მიზეზების გამოკვლევა;
- მოთხოვნების დინამიკური ცვლილებების მიზეზების გამოკვლევა;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მდგომარეობის შესწავლა;
- ვადაგადაცილებული და უიმედო დებიტორული დავალიანებების მიზეზების გამოკვლევა;
- მოთხოვნების დროული ამოღების (დაბრუნების) რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელება.

9.2. დებიტორული დავალიანებების ანალიზის მეთოდიკა

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოიშობა საქონლის, პროდუქციის ან მომსახურების კრედიტით გაცემის დროს. კომპანიების უმრავლესობას ძალიან ხშირად უხდებათ თავიანთი პროდუქტის გაყიდვა არა ნაღდ ფულზე არამედ, შემდგომი გადახდის პირობით. ამით მყიდველებს აძლევენ გარკვეულ დროს, ფულის გადასახდელად. შედეგად, კომპანიები ასტიმულირებენ მყიდველებს და ინარჩუნებენ მიმოქცევის პროცესს. შემდეგ, საწარმოები ელოდებიან მყიდველებისაგან თანხების მიღებას. ხელშეკრულებაში აუცილებლად არის მითითებული განაღდების ვადები, ფასდაკლების შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი ჯარიმები გადახდის დაგვიანებისათვის.

საწარმოს მმართველობა გამუდმებით ადევნებს თვალს მყიდველებისაგან ფულადი თანხების მიღების დროულობას. მყიდველების მიერ დავალიანებების დაგვიანებებით განაღდებები პირდაპირ ახდენს გავლენას საწარმოს გადახდისუნარიანობაზე. რაც უფრო დაგვიანდება მყიდველებიდან ფულის ამოღება (ანუ ინკასაცია), თავის მხრივ, მით უფრო დაგვიანებით შეძლებს საწარმო საკუთარი ვალდებულებების დაფარვას. აქედან გამომდინარე, კომპანიები უდიდეს ყურადღებას უთმობენ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მართვას, რისთვისაც აუცილებელია მათი ანალიზური განხილვები.

დებიტორული დავალიანებების ანალიზის ამოცანებია:

- მყიდველების გადახდისუნარიანობის შეფასება და სწორად შერჩევა;
- დებიტორული დავალიანებების დაფარვის მდგომარეობის გამოკვლევა;
- საეჭვო და უიმედო დავალიანებებით გამოწვეული რისკების შეფასება.

დებიტორული დავალიანებების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
- დებიტორული დავალიანებების სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და დასკვნების გაკეთება;
- დებიტორული დავალიანებების ვადიანობის განხილვა;
- უიმედო დავალიანებების არსებობის მიზეზების გამოკვლევა;
- დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (დაფარვის) პერიოდულობის მაჩვენებლების ანალიზი და ინტერპრეტაციები;
- დებიტორული დავალიანებების ინკასაციის დაჩქარების და რისკების შემცირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელებაზე მონიტორინგი.

დებიტორული დავალიანებების მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებია: დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი მიმდინარე აქტივებში; დებიტორული დავალიანებების სტრუქტურული და დინამიკური მაჩვენებლები; საეჭვო და უიმედო ვალების ხვედრითი წილი დებიტორული დავალიანებების მიმართ; დებიტორული დავალიანებების დაფარვის (ინკასაციის) პერიოდი დღეებში და დაფარვის რიცხვი წელიწადში; დებიტორული დავალიანებების ლევერიჯის (რისკის ხარისხის) კოეფიციენტები.

დებიტორული დავალიანებების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორებია:

- კრედიტით გაყიდვების მოცულობა;
- დებიტორული დავალიენებების დაფარვის (უკან ამოღების) ხარისხი;
- მყიდველების გადახდისუნარიანობა;
- მენეჯმენტის უნარი, სწორად შეარჩიონ მყიდველები;
- საწარმოს პროდუქციის მოთხოვნა ბაზარზე;
- მიწოდებული პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები.
- ეფექტური კონტროლი დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე.

დებიტორული დავალიანებების დინამიკის შესწავლისათვის, როგორც უკვე ვიცით, საჭიროა ერთი რომელიმე წინა წელი აღებული იქნეს ბაზად და დანარჩენი მომდევნო წლების მაჩვენებლები ვუპროცენტოთ საბაზისო წლის მონაცემებს.

მაგალითად, საანალიზო საწარმოს „კოლხეთის“ ბუღალტრული ბალანსების ინფორმაციის საფუძველზე მოხდება შემდეგი გამოთვლები:

ცხრილი 9.2.1.

წლები	**დებიტორული დავ. ნაშთი**	**%-ად 2013 წელთან**
2013	1000	100
2014	1100	110
2015	1350	135
2016	1100	110
2017	2100	210

როგორც გაანგარიშებებიდან ჩანს, 2017 წელს ორჯერ გაიზარდა დებიტორული დავალიანებების ნაშთი, რისი მიზეზებიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოკვლეული საწარმოს ხელმძღვანელების მიერ.

საშუალო ზრდის ტემპი არის 133% [(100+110+135+110+210) : 5]

დებიტორული დავალიანებების დინამიკის შემდეგ შეისწავლება მათი დაფარვის ვადიანობის მდგომარეობა. დავუშვათ არსებობს შემდეგი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 9.2.2). როგორც ცხრილიდან ჩანს, დებიტორული დავალიანებების 7,4% არის ვადაგადაცილებული, რომელიც ჯერ უიმედო არაა, მაგრამ საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს კონტრღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად.

ცხრილი 9.2.2

დებიტორული დავალიანებების სტრუქტურ ვადიანობის მიხედვით 2017 წელს

მაჩვენებლები	ათ.ლარში	ხვ/წ %-ად
დებიტორული დავალიანებები სულ	13 500	100
მათ შორის:		
ვადადაუმდგარი	5300	39,3
ვადადამდგარი	7200	53,3
ვადაგადაცილებული	1000	7,4

დეტალურად უნდა იქნეს გამოკვლეული, კონკრეტულად რომელი ფირმის ვალდებულება არაა დროულად დაფარული. თითოეული ვადაგადაცილებული დებიტორის მიმართ უნდა გატარდეს სათანადო ღონისძიებები.

უიმედო დავალიანებების თავიდან აცილების მიზნით, საწარმოებმა უნდა განახორციელონ სწორი **სავაჭრო-საკრედიტო პოლიტიკა,** რომელიც მოიცავს **მყიდველის გადახდისუნარიანობის დადგენას შემდეგი გზებით:**

1. ინფორმაციის მოპოვება ფირმის საქმიანი მდგომარეობის შესახებ;
2. საბანკო რეკომენდაციები; ინფორმაციების მიღება საკრედიტო ასოციაციებიდან, სავაჭრო აგენტებიდან, კონკურენტებიდან;
3. მყიდველი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზი;
4. კრედიტუნარიანობის შეფასება ქულების მეთოდით;
5. საქონლისა და ანგარიშ-ფაქტურების დროული მიწოდება.

ინფორმაციები მყიდველი საწარმოს საქმიანი მდგომარეობის შესახებ: სავარაუდო კლიენტს სთხოვენ, დაასახელოს რომელიმე ორი არსებული მომწოდებლის ვინაობა, რომელიც დაადასტურებს მის გადახდისუნარიანობას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის შემთხვევაც, რომ ფირმამ შეიძლება ის მომწოდებელი დაასახელოს, რომელსაც დროულად უხდის;

საბანკო რეკომენდაციები: საქონლის მიმწოდებელი საწარმო მოიპოვებს უფლებას, მიმართოს კლიენტის ბანკს, მისი გადახდისუნაირანობის განხილვის მიზნით, რადგან, ბანკები ზოგჯერ თავს არიდებენ გასცენ ინფორმაცია თავიანთი კლიენტის შესახებ;

საკრედიტო ასოციაციები და საკრედიტო ინფორმაციის სააგენტოები: ეს ორგანიზაციები, გარკვეული თანხის საფასურად, დამოუკიდებლად აფასებენ ფირმის გადახდისუნარიანობას და შეიძლება მათგან მოკლე მონაცემების მიღება რეგულარულად;

შეტყობინებები სავაჭრო აგენტებისაგან: სავაჭრო აგენტები ხშირად მიმწოდებელი საწარმოების ერთადერთი წარმომადგენლები არიან. ისინი უშუალოდ ხვდებიან პოტენციური კლიენტის წარმომადგენლებს და ამდენად, მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა გააჩნიათ;

ინფორმაცია კონკურენტებისაგან: რიგ დარგებში მჭიდრო კავშირების არსებობის გამო, კონკურენტი მიმწოდებლები ხშირად ერთმანეთს უცვლიან საკრედიტო ინფორმაციას სავარაუდო კლიენტების შესახებ;

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი: კლიენტების გადახდისუნარიანობის დასადგენად აუცილებელია მისი უკანასკნელი წლების (მინიმუმ სამი წელი) ფინანსური ანგარიშგების ანალიზი;

კრედიტუნარიანობის შეფასება ქულების მიხედვით: შეფასება შეიძლება მოხდეს მაგალითად, ალთმანის კრედტირუნარიანობის ფორმულის საფუძველზე, როცა ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლისა და შეფასების გზები დიდ დანახარჯებს მოითხოვს.

ანგარიშ-ფაქტურების დაუყოვნებლივ გამოწერა და საქონლის დროული გაგზავნა, აგრეთვე გავლენას ახდენს მიწოდების განაღდების პერიოდზე. ამიტომ, აუცილებელია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დრო საქონლის გაგზავნასა და

ანგარიშ-ფაქტურების გამოწერას შორის, მაგალითად, საკანცელარიო და ადმინისტარციული პროცედურების გამარტივებით.

დებიტორული დავალიანებების მოცულობაში საეჭვო ვალების წილის ზრდა მაღალი რისკების მაჩვენებელია.

დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (დაფარვის) ხარისხის დახასიათებისათვის გამოიყენება მაჩვენებლები: დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდი და დაფარვის რიცხვი წელიწადში. ამ მაჩვენებლებს დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის მაჩვენებლებსაც უწოდებენ.

დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (დაფარვის) პერიოდი იზომება დღეებში და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{დებიტ.დავ.ინკასაციის პერიოდი} = \frac{\text{დებიტ. დავ. საშ. წლ. ნაშთი} * 365}{\text{კრედიტით გაყიდვები წელიწადში}} \qquad (9.2.1.)$$

დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდი აჩვენებს რამდენი დღე დაჭირდა დებიტორებს მისი დაფარვისათვის, დავალიანებების წარმოშობის დღიდან.

ფორმულის მნიშვნელში მოცემულია დებიტორული დავალიანებების საშულო წლიური ნაშთი, რომელიც უდრის წლის დასაწყისისა და წლის ბოლოს არსებული ნაშთების ჯამის ნახევარს.

იგი შეიძლება გამოთვლილი იქნეს სხვა გზითაც, კერძოდ, დებიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთის გაყოფით საშუალო დღიურ გაყიდვებზე.

$$\text{დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი წელიწადში} = \frac{\text{წლიური კრედიტით გაყიდვები}}{\text{დებიტ. დავ. საშ. ნაშთი}} \text{ ; ან,} \qquad (9.2.2.)$$

$$\text{დაფარვის რიცხვი წელიწადში} = \frac{\text{365 დღე}}{\text{ინკასაციის პერიოდი დღ}} \qquad (9.2.3.)$$

საერთოდ, რაც უფრო დაბალი იქნება ინკასაციის პერიოდი, მით უფრო ნაკლები დრო ჭირდება მყიდველებს დებიტორული დავალიანებების დაფარვისათვის და მაშასადამე, მით უკეთესია საწამოსათვის. დებიტორების ინკასაციის პერიოდი მეორე მხრივ ახასიათებს გაყიდვების კონტროლის ეფექტურობას.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ, მოცემულია, რომ ერთ-ერთი საწარმოს კრედიტით გაყიდვები წელიწადში 45000 ლ შეადგენდა და დებიტორული დავალიანებები საშ. წლ. ნაშთი შეადგენდა 4800 ლარს.

$$\text{დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდი} = (4800 * 365)/45000 = 39 \text{ დღე;}$$

$$\text{ან,} \quad 4800 / (45000/365) = 4800 / 123{,}29 = 39 \text{ დღე}$$

დებიტორული დავალიანებების
დაფარვის რიცხვი წელიწადში = 45000 / 4800 = 9,4 –ჯერ;
ან, 365 / 39 = 9,4 – ჯერ

მაშასადამე, გამოთვლები აჩვენებენ, რომ დებიტორული დავალიანებების დაფარვისათვის მყიდველებს საშუალოდ 39 დღე ჭირდებათ. ანუ წელიწადში დაფარვა ხდება 9,4-ჯერ. ეს კოეფიციენტები შედარებული უნდა იქნეს არსებულ საშუალო დარგობრივ მაჩვენებლებთან და გაკეთდეს შეასაბამისი დასკვნები.

შემდეგ ეტაპზე მოხდება დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი, რათა გამოვლინდეს, როგორი ტენდენციით ხასიათდებოდა იგი განვლილი წლების განმავლობაში. მათი მერყეობის ხარისხის შესაფასებლად კი **ვარიაციის კოეფიციენტი შეისწავლება** (მეთოდიკა იხ. თავი 1.2.). დინამიკური ანალიზის საფუძველზე გაკეთდება შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

ვადაგადაცილებული დავალიანებების არსებობა აუარესებს ინკასაციის მაჩვენებლებს და საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს. ამიტომ, აუცილებელია ვალების კონტროლის პროცედურების გატარება, როგორიცაა: ვალის დაბრუნების წერილით (ფაქსით) შეხსენება; სატელეფონი ზარის გამოყენება, საქონლის მიწოდების შეწყვეტა, მიმართვა ვალების დაბრუნების სპეციალიზებულ სააგენტოებს (თუკი ასეთი არსებობს) და სასამართლოსთვის მიმართვა (ეს უკანასკნელი საბოლოო და უკიდურეს ღონისძიებას წარმოადგენს).

მიმწოდებელ საწარმოს ხშირად უხდება ვადა გაუხანგრძლივოს მყიდველებს (დებიტორებს), რათა არ დაკარგოს კლიენტები. მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოების პროცესი რომ არ შეფერხდეს, **საწარმოს შეუძლია გამოიყენოს დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ღონისძიებები, როგორიცაა: ფაქტორინგი და ანგარიშ-ფაქტურების აღრიცხვა (დისკონტირება).**

ფაქტორინგი გულისხმობს კომპანიის დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე პასუხისმგებლობის გადაცემას მესამე, სპეციალური ორგანიზაციისათვის ანუ ფაქტორული კომპანიისათვის.

ფაქტორული კომპანიები (ძირითადად კომერციული ბანკები) გამოდიან, როგორც შუამავალი საწარმოები, რომლებიც ახდენენ კლიენტის გაყიდვების რეგისტრის წარმოებას, უიმედო ვალებისაგან 100%-იანი დაცვის უზრუნველყოფას, წინასწარ დაფინანსებას, რომლის გარანტია არის ამოსაღები დებიტორული დავალიანებების ნაშთი. მომსახურებისათვის იღებენ სარგებელს გაყიდვების მოცულობიდან,შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთით. ფაქტორი-საწარმო წინასწარ, ავანსად გასცემს დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების 75-90%-ს, დანარჩენს კი, დებიტორებისაგან ვალის ამოღების შემდეგ.

ანგარიშ-ფაქტურის აღრიცხვა (დისკონტირება) არის მისაღები ვალის მესამე პირზე მიყიდვა დისკონტით, ნაღდი ფულის დაუყოვნებლივ მიღების სანაცვლოდ. ეს არის სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარანტიის ქვეშ სახსრების შეძენის სისტემა. მაგრამ, ფაქტორული კომპანიებისაგან განსხვავებით, ისინი მხოლოდ სახსრების მიწოდებას ახორციელებენ. ისინი არ სთავაზობენ მომსახურებას გაყიდვების რეგისტრის წარმოების შესახებ ან უიმედო ვალებისაგან დაცვას. ანუ კომპანია, ანგარიშ-ფაქტურების აღრიცხვის შემდეგ იხდის ავანსად შესყიდული

ანგარიშ-ფაქტურის 75%-ს. აკონტროლებს ანგარიშ-ფაქტურების დაფარვას და ბოლოს, დარჩენილ 25%-ს გადასცემს მას. მომსახურებისათვის გადასახადს ახდევინებს ყოველთვიურად 1-2%-ს (შეთანხმებით).

დებიტორული დავალიანებების ფაქტორული ანალიზისათვის გამოიყენება ჯაჭვური ჩასმის ხერხი და კორელაციური ანალიზის მეთოდი.

წლის დასაწყისთან (ან წინა წელთან) შედარებით, წლის ბოლოს არსებული დებიტორული დავალიანების ნაშთის გადახაზე მოქმედი ფაქტორების გაზომის მიზნით გამოიყენება შემდეგი დაკავშირება:

$$\text{დებიტ. დავ. ნაშთი} = \text{კრედიტით გაყიდვები} : \frac{\text{კრედიტით გაყიდვები}}{\text{დებიტ. დავ. საშ. ნაშთი}} \qquad (9.2.4.)$$

მოტანილი ფორმულა ახასიათებს, რომ კრედიტით გაყიდვების ზრდა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელ ნაშთებს ზრდის, ხოლო დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (ამოღების, განაღდების) რიცხვის ზრდა, დებიტორული დავალიენებების ნაშთს ამცირებს.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

	წინა წელი	მიმდინარე წელი	გადახრა
კრედიტით გაყიდვები (შემოსავალი)	45600	53040	+7440
დებიტორული დავალიანების ნაშთი	4800	5200	+400
დებიტ. დავალიანების ინკასაციის რიცხვი	9,5	10,2	+0,7

მოთხოვნა: ჯაჭვური ჩასმის ხერხით გაზომეთ დებიტორული დავალიანებების გადახრაზე მოქმედი

ფაქტორების გავლენა.

პასუხი:

I მწკრივი: რომელშიც ყველა მაჩვენებელი საბაზისო დონეზეა:

45600 : 9,5 = 4800 ლარი

II მწკრივი: რომელშიც შეიცვლება პირველი მაჩვენებელი:

53040 : 9,5 = 5583 ლარი

კრედიტით გაყიდვების ცვლილების გავლენა = 5583 – 4800 = +783 ლ

III მწკრივი: რომელშიც შეიცვლება მეორე მაჩვენებელი და ყველა მაჩვენებელი მიმდინარე წლის იქნება:

53040 : 10,2 =5200 ლარი

დებიტორული დავალიანებების ინკასაციის რიცხვის ცვლილების გავლენა:

5200 – 5583 = – 383 ლ

მაშასადამე, ვინაიდან კრედიტით გაყიდვები 7440 ლარით გაიზარდა, დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთი გაიზარდა 783 ლარით; 0,7-ჯერ დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ზრდამ კი დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთები 383 ლარით შეამცირა, რას დადებითი მოვლენაა.

დინამიკაში ანუ განვლილ რამდენიმე წლიან პერიოდში, თუკი გაიზრდება დებიტორული დავალიანებების ამოღების (ინკასაციის) პერიოდი, მით უფრო შენელდება ფულის შემოსვლა საწარმოში და გაიზრდება დებიტორული დავალიანებების ნაშთები, რამაც შეიძლება ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალინებებთან მიგვიყვანოს. ამ მაჩვენებლებს შორის კავშირი დინამიკაში შეიძლება გაიზომოს კორელაციისა და

დეტერმინაციის კოეფიციენტების მეშვეობით. **დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდის ზრდა გამოიწვევს დებიტორული დავალიანებების ნაშთების ზრდას. ე.ი. მათ შორის კავშირი პირდაპირპროპორციულია. ხოლო, დებიტორული დავალიანებების ინკასაციის რიცხვის ზრდა იწვევს მათი ნაშთების შემცირებას ანუ მათ შორის კავშირი უკუპროპორციულია.**

საილუსტრაციო მაგალითი:
დავუშვათ, ერტ-ერთ საწარმოს გააჩნია შემდეგი ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების ნაშთებისა და დაფარვის რიცხვის შესახებ:

წლები	დებიტ. დავალიანების ნაშთი ათ.ლ.	დებიტ. დავ. დაფარვის რიცხვი ჯერებში
2007	1,0	93
2008	1,1	82
2009	1,35	68
2010	1,1	85
2011	2,1	47

მოთხოვნა:

1. დავახასიათოთ მათი დინამიკა;
2. დავადგინოთ კავშირი მოტანილ მაჩვენებლებს შორის კორელაციის კოეფიცენტის დახმარებით;
3. შევაფასოთ დებიტორების დაფარვის რიცხვის ცვლილების გავლენა დებიტორული დავალიანებების ნაშთების ცვლილებაზე აღებულ პერიოდში, დეტერმინაციის კოეფიციენტის მეშვეობით.

პასუხი:

პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რომელია დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადი. ისმება კითხვა: დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი ახდენს გავლენას დებიტორული დავლიანებების ნაშთზე თუ პირიქით: დებიტორების ნაშთების ცვლილება ახდენენ გავლენას მათი დაფარვის რიცხვზე?

დებიტორული დავალიანებების ნაშთები მით ნაკლები იქნება, რაც უფრო სწრაფად დაიფარება იგი. რაც უფრო ხანგრძლივი დრო დაჭირდება მყიდველებს ვალის დასაფარავად, მით მეტი იქნება დებიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთები. ამდენად, დამოუკიდებელი ცვლადი არის დაფარვის რიცხვი (x) და დამოკიდებული ცვლადია დებიტორული დავალენებების ნაშთები (y).

წლები	x	y	xy	x^2	y^2
2013	93	1,0	93	8649	1
2012	82	1,1	90,2	8724	1,21
2014	68	1,35	91,8	4624	1,8225
2015	85	1,1	93,5	7225	1,21
2016	47	2,1	98,7	2209	4,41
---	---	---	---	---	---
∑	375	6,65	467,2	31431	9,6525

დინამიკაში მოტანილი მაჩვენებლების მერყეობის ხარისხის დახასიათებისათვის, როგორც იცით, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტები გამოიყენება.

პირველ რიგში განისაზღვრება საშუალო არითმეტიკულის სიდიდე:

X საშ. = 375 / 5 = 75

მაშასადამე, დებიტორები მათ დავალიანებებს წელიწადში საშუალოდ 75-ჯერ იხდიდნენ.

საშუალო კვადრატული გადახრა = $(31431/5 - 75^2)^{1/2}$= 25,71 (იხ. თავი1.2);

ვარიაციის კოფეციენტი (V) = (25,71 * 100) / 75 = 21,56 %.

ვარიაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს სიმარავლის წევრთა გაბნევის ხარისხს და რაც უფრო ახლოსაა 100%-თან, მით მაღალია მაჩვენებლის მერყეობის ხარისხი. ჩვენს მაგალითზე, როგორც ვხედავთ, 21,56% საკმაოდ მაღალია. მაშასადამე, დებიტორების დაფარვის პერიოდულობა საკმაოდ მერყეობდა, რაც საყურადღებოა.

ახლა გამოვთვალოთ კორელაციის კოეფიციენტი, რომლის ფორმულა ასევე მოცემულია პირველ თავში.

შესაბამისი გამოთვლების შედეგად მიიღება:

r = - 0,97 ანუ -97%,

რაც იმას ნიშნავს რომ საანალიზო მაჩვენებლებს შორის კავშირი არის ძალიან მაღალი და უკუპროპორციული. მართლაც, რაც უფრო გაიზრდება დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი (სიხშირე) წელიწადში, მით უფრო შემცირდება დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთები და პირიქით.

დეტერმინაციის კოეფიციენტი არის::

D = $(-0,97)^2$ = 0,94 ანუ 94%

ამრიგად, აღებული ხუთი წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანებების ნაშთების ცვლილების 94% გამოწვეული იყო მათი დაფარვის რიცხვის ცვლილებით. დანარჩენი 6% კი სხვა ფაქტორებზე მოდიოდა.

დებიტორული დავალიანებების რისკის ხარისხის დახასიათებისათვის შეიძლება მრავალგვარი კოეფიციენტი გამოითვალოს. როგორიცაა: საეჭვო ვალების ფარდობა დებიტორების სიდიდესთან, დებიტორების ნაშთების ფარდობა ფულად თანხებთან; დებიტორების ნაშთების ფარდობა შემოსავლებთან (ანუ, დებიტორული დავალიანებების დაფარვის დაყოვნების კოეფიციენტი). ამ მაჩვენებლების ზრდა ნიშნავს ფულადი ნაკადების შემცირებას და საწარნოს გადახდისუნარიანობის დაცემას. ამდენად, მათი დინამიკის და მიზეზების შესწავლა ასევე აუცილებლობას წარმოადგენს.

9.3 ვალდებულებების სტრუქტურა და ანალიზის ამოცანები

ვალდებულებები საწარმოთა დაფინანსების მოზიდულ წყაროებს წარმოადგენენ. საკუთარი კაპიტალისაგან განსხვავებით, ვალდებულებები წარმოიშობა რაიმე სახის აქტივის მიღებისას, როცა იმავდროულად არ არის გაცემული შესაბამისი ფულადი აქტივი. როგორიცაა უნაღდო ანგარიშსწორებით (ანუ შემდგომი განაღდების პირობით) განხორციელებული შესყიდვები (სავაჭრო კრედიტი), სესხების აღება, სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, ფინანსური ლიზინგის აღება, გასაცემი სარგებლის დარიცხვა და ა.შ.

ვალდებულებები არის საწარმოს მოვალეობა სხვა სუბიექტების მიმართ, გადაუხადონ გარკვეული თანხა, რომელიც წარსული სამეურნეო ოპერაციების შედეგია და რომელთა შესრულება იწვევს საწარმოს აქტივების შემცირებას.

ვალდებულებები შეიძლება იყოს მოკლევადიან (ერთ წლამდე ვადის) და გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი ვადის).

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) განასხვავებს ფაქტიურ, შეფასებით და პირობით ვალდებულებებს.

ფაქტიური ვალდებულებები წარმოქმნება ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან კანონმდებლობის საფუძველზე და მათი ზუსტად გაანგარიშება შეიძლება. ფაქტიურ დავალიანებებს მიეკუთვნება: მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები ანუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები, გაცემული თამასუქები, მიღებული ავანსები, გადასახდელი დივიდენდები, დარიცხული ხელფასი, გადასახდელი დღგ და აქციზი, აღებული სესხები, გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი.

შეფასებითი (მოსალოდნელი) ვალდებულებები ისეთი ვალდებულებებია, რომლის ზუსტი თანხის გამოთვლა, განსაზღვრული დროის დადგომამდე (ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე), შეუძლებელია. მათ მიეკუთვნება საგარანტიო ვალდებულებები, მოგებისა და ქონების გადასახადი, შვებულების ანაზღაურება და სხვა.

პირობითი ვადლებულებები ის ვალდებულებებია, რომლებიც არაა აღიარებული. იგი არის შესაძლო მოვალეობა, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად შეიძლება მომავალში წარმოშვას ან არ წარმოიშვას. მისი ზუსტი თანხის გამოთვლა შეუძლებელია. პირობითი ვალდებულებების საფუძველი ხშირ შემთხვევაში არის სასამართლო სარჩელი, რომელიც შეიძლება აღიძრას საწარმოს წინააღმდეგ ამა თუ იმ შეთანხმების შესრულების ან შეუსრულებლობის შემდეგ.

მოთხოვნების მსგავსად, გამოიყოფა შემდეგი სახის ვალდებულებები:

- ჩვეულებრივი ვალდებულებები (მოწოდებიდან, მიღებული ავანსები, გასაცემი ხელფასი, ვალდებულება პარტნიორების და თანამშრომლების წინაშე და სხვა);
- აღებული სესხები;
- სათამასუქო ვალდებულებები;
- გამოშვებული ობლიგაციები;
- დარიცხული ვალდებულებები;
- საგადასახადო ვალდებულებები;
- გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები.

ვალდებულებების ანალიზის ამოცანებია:

- ვალდებულებების დასაბუთებულობის დადგენა;
- ვალდებულებების ხანდაზმულობის გამოკვლევა;
- ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებლების შესწავლა;
- პროცენტიანი ვალდებულებების ანალიზი;

ვალდებულებების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და სამუშაო ცხრილების შედგენა;
- სტრუქტურული და დინამიკური ცხრილების შედგენა და კომენტარების გაკეთება;

- ვალდებულებების ვადიანობის შესწავლა;
- ვალდებულებების დაფარვის პერიოდის მაჩვენებლების დინამიკური და ფაქტორული ანალიზი;
- კრედიტუნარიანობის ალთმანის და სხვა ინდექსების გამოთვლა და ინტერპრეტაციები;
- ვალდებულებების დროულად დაფარვის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი.

9.3.1. ცხრილში მოცემულია ვალდებულებების სტრუქტურული მდგომარეობის ნიმუში. საერთო მეთოდიკის შესაბამისად, ვალდებულებების ანალიზი მათი სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლით იწყება. ინფორმაცია აიღება ბუღალტრული ბალანსიდან. იგი არ ეხება სს „კოლხეთს“.

ცხრილი 9.3.1.

ვალდებულებების სტრუქტურა

მაჩვენებლები	2016 წ		2017 წ		
	თანხა	ხვ/წ %	თანხა	ხვ/წ %	%-ად წინა წელთან
ვალდებულებები სულ	73600	100	86100	100	117
მათ შორის:					
- გრძელვადიანი	39500	53,7	45000	52,3	114
- მოკლევადიანი	34100	46,3	41100	47,7	121
I. გრძელვადიანი ვალდებულებები					
- აღებული სესხები	21500	54,4	23000	51,1	107
- გამოშვებული ობლიგაციები	10000	25,3	15000	33,3	150
- ფინანსური ლიზინგი	8000	20,3	7000	15,6	88
ჯამი	39500	100	45000	100	114
II. მოკლევადიანი ვალდებულებები					
აღებული სესხები	9000	26,4	11000	26,8	122
ვალდებულება მოწოდებიდან	7800	22,9	9200	22,4	118
გასაცემი ხელფასი	4200	12,3	4000	9,7	95
მიღებული ავანსი	5100	15,0	6300	15,3	123
ვალდებულება მეკავშირეებისადმი	3700	10,8	4400	10,7	119
საგადასახადო ვალდებულებები	1900	5,6	2400	5,8	126
დანარჩენი ვალდებულებები	2400	7,0	3800	9,3	158
ჯამი	34100	100	41000	100	121

9.3.1. ცხრილში ჯერ ნაჩვენებია ვალდებულებების საერთო სტრუქტურა და შემდეგ, გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების სტრუქტურა ცალ-ცალკე. როგორც ხედავთ, ორივე წელს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი აღემატებოდა მოკლევადიანი ვალდებულებების წილს. ხოლო, წინა წელთან შედარებით მოკლევადიანი ვალდებულებები მეტად გაიზარდა (121%), ვიდრე გრძელვადიანი.

გრძელვადიანი ვალდებულებების შემადგენლობაში გამოშვებული ობლიგაციებით წარმოქმნილი ვადებულებების წილი 33,3%-მდე გაიზარდა, ხოლო წინა წელთან შედარებით მატებამ 50% შეადგინა.

მოკლევადიანი ვალდებულებების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი სტრუქრული ცვლილებები არ შეიმჩნევა, მაგრამ წინა წელთან შედარებით მაღალი ზრდის ტემპებით ხასიათდება აღებული სესხების (122%), საგასადახო ვალდებულებების (126%) და დანარჩენი ვალდებულებების (158%) ტემპები. ფინანსურმა მმართველობამ აუცილებლად დეტალურად უნდა გამოიკვლიონ მათი წარმომშობი მიზეზები. კონკრეტული სააღრიცხვო ინფორმაციის შესწავლით, გამოკვლეული უნდა იქნეს კერძოდ რა სახის გადასახადებია გადასახადელი და რა შედის დანარჩენი ვადლებულებების ჯგუფში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი ჯარიმები.

სტრუქტურული შესწავლის შემდეგ გამოკვლეული იქნება წინა პერიოდში (მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში) როგორი ტენდენციებით ხასიათდებოდა ვალდებულებების დინამიკა. ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ ბიზნესის ყველა სფეროში მოვლენები ისე უნდა წარიმართოს, რომ საწარმომ მოგება მიიღოს და ჰქონდეს საკმარისი ფული, საინტერესოა ვალდებულებების, აქტივების, საკუთარი კაპიტალის და შემოსავლების, მოგების მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციების ურთირთშედარება (იხ. ცხრილი 9.3.2.), რომელიც შედგენილია 3.3.2. და 4.3.1. ცხრილებიდან.

ცხრილი 9.3.2.

სს „კოლხეთის“ ვალდებულებების დინამიკის სხვა მაჩვენებლებთან შედარება

მაჩვენებლები	საბაზისო 2013	2014	2015	2016	2017
1. ვალდებულებები სულ	100	78	84	92	123
2. გრძელვადიანი ვალდებულებები	100	95	102	119	168
3. მოკლევადიანი ვალდებულებები	100	70	75	79	116
4. საკუთარი კაპიტალი	100	125	128	131	183
5. სულ აქტივები	100	99	103	109	159
6. შემოსავალი რეალიზაციიდან	100	92	96	98	121
7. წლიური მოგება	100	75,6	80	84,5	97,2

9.3.2. ცხრილის მონაცემები აჩვენებს, რომ 2013 წელთან შედარებით, 2017 წელს ვალდებულებები მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა წინა წლებში მოკლევადიანი ვალდებულებების ტემპი მცირდებოდა. ანალიტიკოსმა უნდა დაადგინოს, რატომ მოხდა გრძელვდიანი ვალდებულებების მაღალი ტემპებით მატება 2017 წელს. რა აუცილებლობა არსებობდა ამისათვის, მაშინ როდესაც საკუთარი კაპიტალის მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა. აგრეთვე, აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს კონკრეტულად რა მიზნით გამოიყენებოდა ვალდებულებები. იმავე ცხრილის მიხედვით, თუ შევადარებთ მოკლევადიანი ვალდებულებებისა და შემოსავლების ტემპებს, დავინახავთ, რომ გრძელვადიანმა ვალდებულებებმა 2015 წლიდან დაიწყო მატება და გადააჭარბა 2013 წლის დონეს. შემოსავლებმა მატება 2017 წლიდან დაიწყო. როგორც ჩანს, მოკლევადიანი ვალდებულებები დაბანდებულ იქნა მიმდინარე აქტივებში. ასევე, იმავე 2017 წელს მოგების ზრდის ტემპი შენელდა, რადგან ვალდებულებების ზრდა საპროცენტო ხარჯების ზრდას გამოიწვევდა. ეს უკანასკნელი კი მოგებას შეამცირებდა.

შემდეგ ცალ-ცალკე შეისწავლება სესხები, ვალდებულება მოწოდებიდან, საგადასახადო ვალდებულებები, ობლიგაციების გამოშვების ეფექტიანობა და ყველა სხვა დანარჩენი ვალდებულებები.

ასევე, შესწავლილი უნდა იქნეს შემდეგი მაჩვენებლები:

ფინანსური ლევერიჯის ერთ-ერთი კოეფიციენტი – ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან, რათა შეფასდეს, როგორ იცვლებოდა (მერყეობდა) რისკები განვლილ პერიოდში. ეს კოეფიციენტი ერთს არ უნდა აღემატებოდეს. შეისწავლება მისი ვარიაციის კოეფიციენტი.

$$\text{ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული}}{\text{მთლიან ვალდებულებები}} \qquad (9.3.1.)$$

იგი გვიჩვენებს, საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფული რამდენჯერ აღემატება მთლიან ვალლდებულებებს.

$$\text{გადახდისუნარიანობის ბივერის კოეფიციენტი} = (\text{წმინდა მოგება} + \text{ამორტიზაცია}) / \text{გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულეები.} \qquad (9.3.2)$$

ინტერვალი: 0,17-0,4

თუ იგი 0.17-ზე დაბალი აღმოჩნდა, მიანიშნებს, რომ არსებობს გადახდისუნარიანობის დაკარგვის მაღალი რისკი. ინტერვალის შიგნით საშუალო რისკია. 0,4-ის ზემოთკი რისკის დაბალი დონე.

$$\text{მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}} \qquad (9.3.2.)$$

ეს კოეფიციენტი 0,5-ზენაკლები უნდა იყოს და დინამიკაში უნდა მცირდებოდეს.

$$\text{სესხების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი სესხები}}{\text{გრძელვ.სესხები + საკუთარი კაპიტალი}}; \qquad (9.3.3)$$

$$\text{გრძელვადიანი დაბანდებების სტრუქტურისკოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}; \qquad (9.3.4)$$

იგი აჩვენებს, გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული კრედიტორების მიერ და ა.შ. ყველა კოეფიციენტს სამწუხაროდ, აქ ვერ ჩამოვთვლით. ანალიტიკოსს შეუძლია ნებისმიერი გონივრული კოეფიციენტი გამოთვალოს და გამოიკვლიოს.

9.4. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ანალიზის მეთოდიკა

მომწოდებლებიდან საქონლის შესყიდვის დროს, როცა იმავდროულად ფულის გადახდა არ ხდება, ხშირად გამოიყენება ტერმინი **სავაჭრო კრედიტი.** ანუ

მომწოდებელი თანახმაა საქონლის (მომსახურების) ანაზღაურება მოგვიანებით მიიღოს.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების (მოკლედ, კრედიტორული დავალიანებების) დაფარვის ვადა იცვლება ეკონომიკის დარგების თავისებურებების მიხედვით. ზოგადად, მინიმალური ვადაა შვიდი დღე და მაქსიმუმ ერთი თვე. თუმცა არსებობს მეტი ვადაც, როცა მასალის მზა პროდუქტად გარდაქმნის პერიოდი ერთ თვეს აღემატება. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში.

სავაჭრტო კრედიტორული დავალიანებების ანალიზის ამოცანებია:

- სავაჭრო კრედიტის პირობების ოპტიმალურობის შეფასება;
- საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასება;
- კრედიტორული დავალიანებების განაღდების მდგომარეობის შეფასება;
- კრედიტორული დავალაინებების განაღდების სტაბილურობის ღონისძიებების შემუშავება;

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და დაჯგუფება. ანალიზური ცხრილების შედგენა;
- კრედიტორული დავალიანებების სტუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
- კრედიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზი;
- კრედიტორული დავალიანებების გადახრების ანალიზი;
- კრედიტორული დავალიანებების განაღდების (გადახდის) მდგომარეობის ანალიზი;
- კრედიტორული დავალიანებების დროულად დაფარვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი.

სავაჭრო კრედიტორული დავალაინებების არსებობისა და მდგომარეობის მაჩვენებლებია:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ხვედრითი წილი ვალდებულებების მიმართ;
- სავაჭრო კრედიტორული დავალინებების ფარდობა აქტივებთან და საკუთარ კაპიტალთან ცალ-ცალკე;
- მომწოდებლებისადმი დავალიანებების დაფარვის პერიოდისა და დაფარვის რიცხვის მაჩვენებლები;
- მომწოდებლებისადმი დავალიანებების დაფარვის დაყოვნების კოეფიციენტი და სხვა. ანალიტიკოსს შეუძლია ფარდობის ნებისმიერი კოეფიციენტი გამოიკვლიოს, როგორც ადრე აღვნიშნეთ.

კრედიტორული დავალიანებების ნაშთების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორებია:

- კრედიტით შესყიდვების მოცულობა და ვადები;
- საწარმოს გადახდისუნარიანობა (ლიკვიდურობა);
- ვალდებულებების დაფარვის სიჩქარე;
- დებიტორული დავალიანებების ამოღების დროულობა;
- კრედიტორული დავალიანებების მართვის ხარისხი.

ვალდებულება მოწოდებიდან შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დაკრედიტების უფასო წყარო. თუმცა, დავალიანების დაფარვის ვადის გადაჭარბების შემთხვევაში წარმოიშობა ხარჯები: ხელიდან გაშვებული დისკონტის, მომწოდებელთა კეთილგანწყობის დაკარგვის, მომავალი გაყიდვებისათვის არახელსაყრელი პირობების წარმოშობის სახით.

მომწოდებელს შეუძლია მყიდველს შესთავაზოს დისკონტი (ფასდაკლება), მაგრამ როცა საწარმოს ფინანსები არ ყოფნის, მაშინ იგი საკრედიტო პერიოდს მაქსიმალურად გამოიყენებს. ამასთან, არასწორია, ფულის გადახდის დაყოვნება ნებადართულ დროზე მეტი ხნით, რადგან პერსპექტივაში ეს გავლენას მოახდენს მომწოდებელი ორგანიზაციის სურვილზე, მიაწოდოს საქონელი.

ამდენად, მომწოდებელთა წინაშე არსებული დავალიანებების დროული დაფარვის მდგომარეობა საწარმოს ხელმძღვანელობის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. დავუშვათ არსებობს შემდეგი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 9.4.1). შევნიშანვთ, რომ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია კრედიტორული დავალიანებების ვადიანობის შესახებ საწარმომ ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში უნდა გამოაქვყნოს. საწარმოს მენეჯმენტს კი ამ ინფორმაციის მოპოვების პრობლემა არა აქვს.

როგორც 9.4.1. ცხრილად ჩანს, მოწოდებიდან წარმოქმნილი დავალიანებების 11% ვადაგადაცილებულია, რაც საწარმოს გადახდისუნარიანობის დაბალ დონეზე მიანიშნებს. აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა და აღმოფხვრა, რადგან პერმანენტულად ვადაგადაცილებული კრედიტორული დავლაინებები გამოიწვევს მომწოდებლების დაკარგვას, საწარმოს საქმიანობის შეკვეცას, თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნას და ბოლოს, გაკოტრებას.

ცხრილი 9.4.1.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების სტრუქტურა ვადიანობის მიხედვით 2017 წელს

მაჩვენებლები	ათ. ლარი	ხვ/წ %-ად
ვალდებულება მოწოდებიდან სულ	4100	100
მათ შორის:		
- ვადადაუმდგარი	2700	19
- ვადადამდაგარი	9900	70
- ვადაგადაცილებული	1500	11

ანალიზის დროს შეისწავლება კრედიტორული დავალინებების დაფარვის მაჩვენებლები, როგორიცაა: **დაფარვის (გადახდის) პერიოდი, დაფარვის (გადახდის) რიცხვი წელიწადში და დაყოვნების კოეფიციენტი.**

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი აჩვენებს, საშუალოდ რამდენი დღე ჭირდება საწარმოს მომწოდებელთა დავალიანებების დასაფარავად წელიწადში. იგი გამოითვლება შემდეგი ორი ხერხით :

ა). **კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი = მოწოდ-დან დავალიანებების საშ. ნაშთი * 365 / კრედიტით შესყიდვები** (9.4.1)

ბ). **კრედ. დავ. დაფარვის პერიოდი = სავაჭრო კრედ. დავ. საშ. ნაშთი / ---** (9.4.2.)

დღიური შესყიდვები

დღიური შესყიდვა გამოითვლება წლიური შესყიდვების ფარდობით 365 დღეზე. **კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი** აჩვენებს, წელიწადში საწარმო რამდენჯერ იხდის მომწოდებელთა დავალიანებებს. ეს მაჩვენებელიც შეიძლება ორი ხერხით გამოითვალოს:

$$\text{ა). კრედიტ. დავ. დაფარვის რიცხვი} = \frac{\text{კრედიტით შესყიდვები წლიურად}}{\text{მომწ. დავ. საშ. ნაშთი}} \qquad (9.4.3)$$

ამ კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი არის საწარმოს კრედიტორული დავალიანებების დაყოვნების კოეფიციენტი.

$$\text{ბ). კრედიტ. დავ. დაფარვის რიცხვი} = \frac{365}{\text{ვალდ. დაფარვის პერიოდი}} \qquad (9.4.4.)$$

მთლიანი ვალდებულებების დაფარვის პერიოდი მართებულია გამოთვლილ იქნეს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების საფუძველზე.

საილუსტრაციო მაგალითი.

პირობითი საწარმო სს „კოლხეთში“, 2017 წელს მომწოდებელთა დავალიანება – 4100 ათას ლარს და კრედიტით შესყიდვები – 48650 ათას ლარს შეადგენდა. ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოითვლება:

დღიური შესყიდვა = 48650 / 365 = 133,3 ათ.ლ

კრედიტ. დავალიანებების დაფარვის პერიოდი = (4100 * 365) / 48650 = 30,8 დღე,
ან, 4100 / 133,3 = 30,8 დღე

კრედიტორული დავალაინებების დაფარვის რიცხვი = 48650 / 4100 = 11,9-ჯერ;
ან, 365 / 30,8 = 11,9-ჯერ.

მაშასადამე, ჩატარებული გამოთვლების თანახმად, სააქციო საზოგადოება „კოლხეთს“ საშუალოდ 30,8 დღე ჭირდება მომწოდებელთა დავალიანების დასაფარავად, ამ დავალიანების წარმოშობის დღიდან, ანუ წელიწადში თითქმის 12-ჯერ იხდის მომწოდებელთა დავალიანებას.

რაც უფრო გაიზრდება კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი, მით უფრო გაიზრდება მოწოდებიდან წარმოშობილი ვალდებულებების ნაშთები, რაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. ხოლო, დაფარვის რიცხვის ზრდა შეამცირებს კრედიტორული დავალიანებების ნაშთებს, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს. თვით კრედიტით შესყიდვების ზრდა კი ზრდის კრედიტორული დავალიანებების მოსალოდნელ ნაშთებს. ეს კავშირი შემდეგი ფორმულის სახით გამოისახება:

$$\text{კრედიტ. დავ. ნაშთი} = \text{კრედიტით შესყიდვები} : \frac{\text{კრედ.შესყიდვები}}{\text{კრედ.დავ.ნაშთი}} \qquad (9.4.5.)$$

წინა წლიდან კრედიტორული დავალიანებების ნაშთების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების დეტერმინირებული ანალიზისათვის, როგორც უკვე იცით, ჯაჭვური ჩასმის ხერხი უნდა გამოიყენოთ.

საილუსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

	2016 წ.	2017 წ.	გადახრა
კრედიტით შესყიდვები (ათ. ლ)	55000	48 650	+2600
კრედიტ. დავალიანების საშ. ნაშთი (ათ.ლ)	4400	4070	– 330
კრედ. დავალიანების დაფარვის რიცხვი (55000 / 6400)	12,5	11,95	– 0,55

მოთხოვნა: გავზომოთ კრედიტორული დავალიანებების გადახრაზე მოქმედი ორი მოცემული ფაქტორის გავლენა 9.4.5) მოდელის საფუძველზე.

ამოხსნა:

I მწკრივი: 55000 : 12,5 = 4400 ათ.ლ

II მწკრივი: 48650 : 12,5 = 3892 ათ.ლ

კრედიტით შესყიდვების ცვლილების გავლენა = 3892 – 4400 = – 508 ათ.ლ

III მწკრივი: 48650 : 11,95 = 4070 ათ.ლ

კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ცვლილების გავლენა = = 4070 – 3892 = + 178 ათ.ლ

დასკვნა: როგორც გაანგარიშებამ აჩვენა, მიმდინარე წელს კრედიტორული დავალიანებების ნაშთი შემცირდა 330 ათ. ლარით, მათ შორის, კრედიტით შესყიდვების შემცირებამ იგი 508 ათ. ლარით, დაფარვის რიცხვის შემცირებამ კი 178 ათ. ლარით გაზარდა. მეორე ფაქტორის გავლენა არასასურველია, ამიტომ უნდა გატარდეს მომწოდებელთა დავალიანებების დაფარვის დაჩქარების ღონისძიებები.

დინამიკაში ამ მაჩვენებლების ცვლილების ტემპებს შორის კავშირის გასაზომად, ჩვეულებრივ გამოიყენება კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები. ასევე, საინტერესოა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის მაჩვენებლებს შორის კავშირის შესწავლა დინამიკაში, კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტების გამოყენებით. ამასთან, უნდა გახსოვდეთ, რომ დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ცვლილება მოახდენს გავლენას კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ცვლილებაზე და არა პირიქით. ამ შემთხვევაში, დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი დამოუკიდებელი ცვლადი და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის მაჩვენებელი კი დამოკიდებული ცვლადია.

მიმდინარე ვალდებულებები გავლენას ახდენს წმინა მიმდინარე აქტივების სიდიდიდეზე. ადრე აღვნიშნეთ, რომ სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის არის წმინდა მიმდინარე აქტივები, რომლის დაფინანსება შეიძლება მოხდეს საკუთარი კაპიტალით ან გრძელვადიანი ვალდებულებებით, ან ორივეთი ერთდროულად. თუ აღმოჩნდა, რომ საკუთარი კაპიტალი გრძელვადიან ვალდებულებებზე ნაკლებია, მაშინ, შეიძლება ვივარაუდოთ რომ წმინდა მიმდინარე აქტივი გრძელვადიანი ვალდებულებებითაა დაფინანსებული. თუმცა ამის ზუსტად დადგენა მაინც შეუძლებელი იქნება, თუ საწარმოებმა ფანანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში არ წარადგინეს ინფორმაცია მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ.

9.5. აღებული სესხების ანალიზი

საწარმოებს, საკუთარი პროდუქციის გაყიდვებიდან კუთვნილი თანხების მიღებამდე, წარმოშობილი მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფინანსებლად ჭირდებათ მოკლევადიანი სესხები. აგრეთვე, საწარმოს სესხი შეიძლება დაჭირდეს წარმოების განვითარების მიზნით მატერიალური მარაგების შესაძენად.

სესხები საწარმოსათვის, როგორც წესი დამატებით ხარჯებს მოითხოვს საპროცენტო ხარჯების სახით. ადრე განხილულ იქნა, რომ ვალდებულებების წილის ზრდა აქტივებში, იწვევს ფინანსური რისკის ზრდას. სესხის პროცენტი საწარმომ მაინც უნდა გადაიხადოს, მიიღებს თუ არა მოგებას. მაგრამ, საწარმოები მაინც ხშირად მიმართავენ საკრედიტო დაწესებულებებიდან სესხების აღების პრაქტიკას.

რეალურად, სესხებს აქვთ ნაკლები დანახარჯები საკუთარ კაპიტალზე გადასახადებთან (დივიდენდებთან) შედარებით. ამის მიზეზები ისაა, რომ გამსესხებლები უფორ ნაკლებ უკუგებას ელიან და საპროცენტო გადასახადი, როგორც წესი, საგადასახადო შეღავათით სარგებლობს.

სესხები აგრეთვე უფრო მოქნილია რადგან ზოგადად, შეიძლება მისი აღება, დაფარვა და ხელახლა აღება – ნებისმიერი რაოდენობით და ნებისმიერ დროს. სასესხო კონტრაქტების უმეტესობა, გარკვეული საზღვრების დაცვისას, დგინდება მსესხებლის შემოთავაზების მიხედვით.

სესხი, როგორც წესი, დამტკიცებულია მსესხებელსა და გამსესხებელს შორის დადებული გარკვეული კონტრაქტით, რომელშიც ჩამოყალიბებულია ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები. მაშინ როცა, სააქციო კაპიტალი (კერძოდ, ჩვეულებრივ აქციებში), გულისხმობს ბიზნესიდან დამატებითი სარგებლის მიღებას, დირექტორებისა და აუდიტორების არჩევის ჩათვლით.

აგრეთვე, სესხის აღების მიზეზი შეიძლება იყოს სხვა უპირატესობებიც, რომელიც სესხებს პრაქტიკულ ეკონომიკაში გააჩნიათ. კერძოდ: ბანკის სესხზე გასაწევი შეთანხმებული ხარჯები მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ახალ საკუთარ კაპიტალზე გასაწევი მცოცავი ხარჯები; ბევრ მცირე ფირმას არ შეუძლია საკუთარი კაპიტალის დაფინანსების გაზრდა და მათთვის ფირმის ზრდის ერთადერთ ალტერნატივად, სესხის აღება რჩება; ფირმებმა შეიძლება სესხი აიღონ საზღვარგარეთ, რათა მოახდინონ უცხოური ვალუტის კურსთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირება (ჰეჯირება ნიშნავს ბიზნეს პროცესების ისეთ ორგანიზებას და ისეთი ღონისძიებების გატარებას, რითაც კომპანია შეძლებს მაქსიმალურად აარიდოს თავი რისკებს) ან დაიცვან თავი პოლიტიკური რისკისაგან.

ამდენად, თავისი არსით სესხი გულისხმობს ვალის გადახდის ვალდებულებას, მაშინ, როდესაც საკუთარი კაპიტალის დაფარვა ჩვეულებრივ არ ხდება და არ არსებობს მისი დაფარვის ვალდებულება. თუ ბიზნესს არ შეუძლია ვალის დაფარვა, მაშინ იგი ხდება გადამხდელუუნარო და საგანგებო ღონისძიებების მიღების გარეშე, კოტრდება.

მიუხედავად იმისა, რომ სესხს გააჩნია უპირატესობები სიიაფისა და მოქნილობის სახით, იგი აგრეთვე იწვევს დამატებით რისკს, რომელსაც სულ მცირე, საწყის ეტაპზე გავლენა აქვს აქციონერებზე. დამატებითი რისკი გამოიწვევს

აქციონერების მიერ უფრო მაღალი უკუგების მოთხოვნას, რაც შეამცირებს სესხის სიიაფის ეფექტს.

ამრიგად, აღებული სესხების ანალიზის მეთოდიკა აუცილებელია ფინანსური დირექტორებისა და მენეჯერებისათვის, რათა ეფექტიანად მართონ სესხები და მასთან დაკავშირებული რისკები. საწარმოთა მიერ აღებული სესხები შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი. მათი ანალიზი ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს.

სესხების ანალიზის ამოცანებია:

- სესხების დაფარვის დროულობის შეფასება;
- ვადაგადაცილებული სესხების შეფასება;
- სესხების გამოყენების მიზნობრივი ხარჯვის შესწავლა;
- სესხების ოპტიმალურობის დადგენა;
- სესხების ეფექტის დადგენა;
- პროცენტის რისკის შეფასება;

სესხების ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება, დაჯგუფება და ანალიზური ცხრილების მომზადება;
- სესხების სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი;
- სესხების დაფარვისა და გამოყენების კოეფიციენტების დინამიკის შესწავლა;
- პროცენტის დაფარვის მდგომარეობის შესწავლა;
- სესხების შეუფერხებელი დაფარვის ღონისძიებების შემუშავება და მონიტორინგი მათ განხორციელებაზე.

საწარმოში სესხების არსებობისა და გამოყენების მაჩვენებლებია:

- სესხების ხვედრითი წილი აქტივებში და დინამიკა;
- სესხების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან;
- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;
- პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი;
- პროცენტის ლევერიჯი;

სასესხო დავალიანებების მოცულობის ცვლილებაზე და სესხების რისკებზე მოქმედი ფაქტორებია:

- საწარმოს მოთხოვნების ცვლილება სესხებზე;
- სესხების დაფარვის დროულობა და ვადები;
- საწარმოს გადახდისუნარინობის დონე (ლიკვიდურობის ხარისხი);
- საწარმოს მომგებიანობა;
- საბანკო-საკრედიტო პოლიტიკის ცვლილება;
- პროცენტის რისკების დონე;
- სესხების მართვის ეფექტიანობის დონე.

ანალიზის დასაწყისში, როგორც უკვე აღვნიშნეთ,შედგება სესხების სტრუქტურისა და დინამიკის ცხრილები. მონაცემები აიღება ბუღალტრული

ბალანსიდან (იხ. ცხრილი 9.5.1.). ინფორმაცია ვადაგადაცილებული სესხების შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში უნდა იყოს გამოქვეყნებული.

ცხრილი 9.5.1.

საანალიზო საწარმოს სესხების სტრუქტურა

მაჩვენებლები	2016 წ		2017 წ	
	ათ. ლ	ხვ/წ %	ათ. ლ	ხვ/წ %
- გრძელვადიანი სესხები	5000	100	7040	76
- მოკლევადიანი სესხები	-	-	2200	24
ჯამი	5000	100	9240	100
მათ შორის:				
ვადაგადაცილებული	800	13,3	1400	15

როგორც 9.5.1. ცხრილიდან ჩანს, განხილული ორი წლის განმავლობაში პირობითი საწარმოს სესხების სტრუქტურა არასტაბილურია. წინა წელს მხოლოდ გრძელვადიანი სესხებს იყენებდა. მიმდინარე წელს კი მოკლევადიანი სესხებიც არსებობს. ამასთან, გაზრდილია გრძელვადიანი ვალდებულებების მოცულობაც. გაზრდილია ვადაგადაცილებული სესხების სიდიდეც. ფინანსურმა მენჯმენტმა აუცილებლად უნდა გაარკვიოს ამის მიზეზები.

შემდეგ შედგება დინამიკური ცხრილი, სადაც საინტერესოა სესხების ცვლილების ტემპები შედარებულ იქნეს შემოსავლების ცვლილების ტემპებთან, რათა შეფასდეს სესხების გამოყენების ეფექტიანობა. სავარაუდოა, რომ თუკი სესხების ზრდას, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ზრდა არ ახლავს თან, სესხების გამოყენების ეფექტი შესაძლოა ნულამდე დაეცეს.

საწარმოში გამოყენებული სესხების ეფექტიანობის დახასიათებისათვის, შეისწავლება სხვადასხვა მაჩვენებლები. ესენია:

$$\text{მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{სულ ნასესხები კაპიტალი}} \qquad (9.5.1)$$

ეს კოეფიციენტი ეხმარება მენეჯმენტს დაადგინოს მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებს შორის ისეთი ოპტიმალური თანაფარდობა, რომელიც ყველაზე ნაკლებ საპროცენტო ხარჯებს მოიტანს.

სესხი, როგორც წესი მოითხოვს, რომ ძირითადი თანხის გარდა მოხდეს პროცენტის გადახდა, მისი არსებობის მთელი დროის განმავლობაში. პროცენტმა შეიძლება მოიხმაროს მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი. შეიძლება სრულადაც კი შეამციროს მოგება და საწარმო აზარალოს.

სესხი ატარებს მის გადაუხდელობასთან დაკავშირებულ რისკს, რომელიც სესხის თანხის ზრდასთან ერთად იზრდება. **როდესაც მსესხებლისათვის ან გამსესხებლისათვის მიუღებელი ხდება ვალის დაფარვის რისკი, ამბობენ, რომ ბიზნესი სესხის მიღების შესაძლებლობის ზღვარზეა.**

არსებობს ფინანსური წერტილი, რომლის შემდეგაც არც ერთი გამსესხებელი აღარ გასცემს სესხს. ეს პრაქტიკულად წარმოადგენს საწარმოს სესხტევადობის ზღვარს, რომელსაც გარე ორგანიზაციები განსაზღვრავენ.

პროცენტის რისკის გასაზომად გამოიყენება პროცენტის ლევერიჯის მაჩვენებელი.

$$\text{პროცენტის ლევერიჯი} = \frac{\text{წმინდა წლიური საპროცენტო ხარჯი}}{\text{საოპერაციო მოგება}} \qquad (9.5.2.)$$

ამ შემთხვევაში პროცენტის ხარჯის ქვეშ იგულისხმება წმინდა საპროცენტო ხარჯი, რომელიც მიიღება საპროცენტო ხარჯებიდან საპროცენტო შემოსავლების გამოკლებით. ეს კოეფიციენტი თუ ერთზე მეტია, იგი მიუღებელი ხდება როგორც მსესხებლის, ისე გამსესხებლის მიერ. ინფორმაცია აიღება მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან.

პირობითი საწარმო „კოლხეთის“ მაგალითზე, პროცენტის ლევერიჯი 2017 წელს შეადგენს:

პროცენტის ლევერიჯი = (1220 – 200) / 14140 = 0,07;

როგორც ხედავთ, იგი ძალიან დაბალია რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს. პროცენტის ლევერიჯი დინამიკაში უნდა მცირდებოდეს და ერთზე ნაკლები უნდა იყოს.

$$\text{პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული} - \text{წლიური მოგების გადასახადი}}{\text{წლიური საპროცენტო ხარჯი}} \qquad (9.5.3.)$$

იგი ახასიათებს, საწარმოს აქვს თუ არა საკმარისი ფული სესხის დასაფარავად ისე, რომ არ გამოიწვიოს ფინანსური დაძაბულობა. მონაცემები აიღება ფულადი ნაკადების და მოგება ზარალის ანგარიშგებიდან. ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.

ჩვენს მიერ აღებული პირობითი სააქციო საზოგადოების „კოლხეთის“ მაგალითზე, პროცენტის დაფარვის კოეფიციენტია არის: (13430 – 1200)/1220 = 10,02. ეს იმას ნიშანვას, რომ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული, მოგების გადასახადის გამოქვითვით, 10-ჯერ აღემატება წლიურ საოპერაციო ხარჯებს. მაშასადამე, პროცენტის დაფარვის რისკი არ არსებობს.

$$\text{პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{წლიური საპროცენტო ხარჯი}} \qquad (9.5.4.)$$

$$\text{სესხით შემოსავლების დატვირთვის კოეფიციენტი} = \text{სესხების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან} \qquad (9.5.5.)$$

იგი ახასიათებს, რამდენი ლარი სესხი იყო დაბანდებული ყოველი ერთი ლარის რეალიზაციის მისაღწევად.

$$\text{სესხები / საოპერაციო ხარჯებთან} \qquad (9.5.6.)$$

აჩვენებს, რამდენი ლარი სესხი იყო საჭირო ერთი ლარის დანახარჯების გასაწევად.

$$\text{საპროცენტო ხარჯი / საოპერაციო მოგებასთან} \qquad (9.5.7.)$$

იგი ახასიათებს, საოპერაციო მოგების ყოველი ერთი ლარის დატვირთვას საპროცენტო ხარჯებით. ეს კოეფიციენტი ერთზე ნაკლები უნდა იყოს და დინამიკაში სასურველია მცირდებოდეს.

$$\text{სესხის ეფექტიანობა} = \frac{\text{აქტივების მომგებიანობის პროცენტული ცვლილება}}{\text{სეხების პროცენტული ცვლილება}} \quad (9.5.8.)$$

9.5.8. მაჩვენებელი ახასიათებს, აქტივების მომგებიანობის პროცენტული ცვლილება აღემატება თუ არა სესხების პროცენტულ ცვლილებას. იგი ერთზე მეტი უნდა იყოს და დინამიკაში სასურველია იზრდებოდეს.

ჩამოთვლილი მაჩვენებლები იმავდროულად საწარმოს ფინანსურ რისკებსაც ახასიათებენ. ანალიზის დროს გამოკვლეულ უნდა იქნეს ამ კოეფიციენტების ცვლილების ტენდენციები დინამიკაში, ვარიაციის კოეფიციენტის გამოყენებით. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით საწარმოს მმართველობას შეუძლია გადაწყვიტოს დამატებითი სესხების მოზიდვის ან სესხების აღების შეზღუდვის პოლიტიკა.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. როდის წარმოიშობა საწარმოს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები;
2. ჩამოთვალეთ დებიტორული დავალიანებების ანალიზისათვის საჭირო მაჩვენებლები;
3. ჩამოთვალეთ სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების ანალიზისათვის საჭირო მაჩვენებლები;
4. დაახასიათეთ სესხების რისკები და მათი კოეფიციენტები;
5. დაახასიათეთ პროცენტის რისკის კოეფიციენტი.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი აჩვენებს:**
   ა. რამდენჯერ იფარება მოთხოვნები დებიტორების მიერ, წელიწადში
   ბ. რამდენი პროცენტია მოთხოვნების ხვედრითი წილი აქტივებში
   გ. რამდენი დღე ჭირდება დებიტორებს ვალის დასაფარავად, მისი წარმოშობის მომენტიდან
2. **დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი არის:**
   ა. დებიტორული დავალიანებების ნაშთების ფარდობა კრედიტით გაყიდვებთან
   ბ. კრედიტით გაყიდვების ფარდობა დებიტორული დავალიანებების ნაშთებთან
   გ. კრედიტით შესყიდვების ფარდობა დებიტორული დავალიანებების ნაშთებთან
3. **კრედიტორული დავალიანებების გადახდის (დაფარვის) რიცხვი აჩვენებს:**
   ა. რამდენი დღე ჭირდება საწარმოს მომწოდებელთა დავალიანებების დასაფარავად, მათი წარმოშობის მომენტიდან
   ბ. წელიწადში რამდენჯერ ფარავს საწარმო მომწოდებელთა დავალიანებას
   გ. რამდენი დღე ჭირდება მყიდველს მათი ვალის დასაფარავად
4. საწარმოში, დებიტორული დავალიანებების საშუალო წლიური ნაშთი 14200 ლარი იყო. გრძელვადიანი მოთხოვნების ნაშთი – 16000 ლ. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალია 50000 ლ.
   რას უდრის დებიტორების დაფარვის პერიოდი:
   ა. 100 დღე
   ბ. 104 დღე
   გ. 107 დღე

5. საწარმოში, დებიტორული დავალიანებების საშუალო წლიური ნაშთი – 9500 ლარს, კრედიტორული დავალიანებების ნაშთი – 16000 ლარს, კრედიტით შესყიდვები 45000 ლარს, კრედიტით გაყიდვები – 57000 ლარს შეადგენს.
რას უდრის დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი წელიწადში:
   ა. 6
   ბ. 5
   გ. 10
6. საწარმოში, ვალდებულებები მოწოდებიდან 7500 ლ, გრძელვადიანი ვალდებულებები 21400 ლ, კრედიტით შესყიდვები – 42500 ლ და კრედიტით გაყიდვები 34700 ლარია.
რას უდრის სავაჭრო კრედიტორული დავალაინებების დაფარვის პერიოდი:
   ა.64,4 დღე
   ბ.184 დღე
   გ.79 დღე
7. ფირმის ბალანსით, გრძელვადიანი აქტივებია – 54000, მიმდინარე აქტივები – 30000, გრძელვადიანი ვალდებულებები – 35000 და მოკლევადიანი ვალდებულებები – 16700 ლარი. საწარმოს პოლიტიკით, გრძელვადიანი აქტივები მხოლოდ გრძელვადიანი სესხებით ფინანსდება.
გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული კრედიტორების მიერ:
   ა. 60%
   ბ. 55 %
   გ. 65 %
8. ფირმის ბალანსით, მიმდინარე აქტივებია – 14000,გრძელვადიანი აქტივები – 30000, საკუთარი კაპიტალი 35000 და ვალდებულებები – 9000 ლარი.
რას უდრის მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი:
   ა. 20 %
   ბ.25 %
   გ.30 %
9. **მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ზრდა არის:**
   ა. დადებითი მოვლენა
   ბ. უარყოფითი მოვლენა
   გ. გარდაუვალი მოვლენა
10. **გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი აჩვენებს:**
   ა. გრძელვადიანი აქტივის რა ნაწილია დაფინასებული კრედიტორების მიერ
   ბ. გრძელვადიანი აქტივის რა ნაწილია დაფინანსებული მფლობელების მიერ
   გ. გრძელვადიანი აქტივების ხვედრით წილს აქტივებში.
11. **ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი არის:**
   ა. შემოსავლების ფარდობა მთლიან ვალდებულებებთან
   ბ. ვალდებულებების ფარდობა საოპერაციო საქმიანობიდან შემოსულ ფულად თანხასთან
   გ. საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხის ფარდობა ვალდებულებებთან
12. **პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი არის:**
   ა. მოგების ფარდობა საპროცენტო ხარჯებთან
   ბ. საოპერაციო მოგების ფარდობა საპროცენტო ხარჯებთან
   გ. წმინდა მოგების ფარდობა საპროცენტო ხარჯებთან
13. **პროცენტის ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდა:**
   ა. ზრდის საწარმოს ფინანსურ რისკებს
   ბ. ამცირებს საწარმოს ფინანსურ რისკებს
   გ. არ ცვლის საწარმოს ფინანსურ რისკებს
14. **სესხების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებთან, აჩვენებს:**
   ა. რამდენი ლარის შემოსავალი მიიღება ყოველ ერთი ლარ სესხზე
   ბ. რამდენი ლარი სესხი იყო დაბანდებული ყოველი ერთი ლარის შემოსავლის მისაღებად
   გ. რამდენი ლარი იხარჯებოდა ყოველ ერთ ლარ სესხზე

15. საწარმოს, თავისი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად წელიწადში საშუალოდ 36 დღე სჭირდება, კრედიტორული დავალაინებების საშუალო წლიური ნაშთია 5400 ლარი და გაანგარიშებებში იყენებს 365 დღიან წელიწადს.

რას უდრის კრედიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი წელიწადში:

ა. 15
ბ. 10
გ. 51

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 9.1.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მიხედვით არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

	წინა წელი	მიმდინარე წელი	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან	34600	38900	+ 4300
მათ შორის, კრედიტით გაყიდვები	28800	29400	+ 600
სავაჭრო დებიტორული დვალიანებების საშუალო წლიური ნაშთი	3200	4200	+1000

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ დებიტორული დავალიანებების ინკასაციის მაჩვენებლები დღეებში და ჯერებში;
2. გაზომეთ დებიტორული დავალიანებების ნაშთების გადახრაზე მოქმედი ფაქტორები შემდეგი ფორმულის საფუძველზე:
   დებიტ. დავ. ნაშთი = კრედიტით გაყიდვები : დაფარვის რიცხვი
3. გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები.

ამოცანა 9.2.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მიხედვით არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

	წინა წელი	მიმდ. წელი	გადახრა
მატ. მარაგების კრედიტით შესყიდვები (ლ)	14580	16450	+1870
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების საშუალო წლიური ნაშთი	5400	4700	- 700

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ კრედიტორული დავალიანებების გადახდის მაჩვენებლები დღეებში და ჯერებში;
2. გაზომეთ კრედიტორული დავალიანებების ნაშთების გადახრაზე მოქმედი ფაქტორები შემდეგი ფორმულის საფუძველზე:
   კრედიტ. დავ. ნაშთი = კრედიტით შესყიდვები : დაფარვის რიცხვი
3. გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები.

ამოცანა 9.3.

ერთ-ერთი კომპანია ვაჭრობს ხელოვნების ნიმუშებით და ხალიჩებით. სამუშაო კაპიტალის მართვის მიზნებისათვის, მოაგროვეს შემდეგი ინფორმაცია:

სასაქონლო მარაგების ბრუნვის საშუალო წლიური პერიოდი	3,5 თვე
დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდი	2,5 თვე
კრედიტორული დავალიანებების გადახდის პერიოდი	2 თვე

მოთხოვნა:გაიანგარიშეთ სამუშაო კაპიტალის დაფინანსების საჭიროება თვეებში.

ამოცანა 9.4.

კომპანიის გაყიდვების რეგისტრის თანხმად, წლიური გაყიდვები შეადგენს 480000 ლარს. ფაქტორული კომპანია აწარმოებს საწარმოს გაყიდვების რეგისტრს და იღებს სარგებელს

გაყიდვების 1,8%-ს. ამასთან,გაყიდვების მოცულობა წელიწადში 14000 ლარით შემცირდება. ფაქტორული კომპანიის გამოყენების შემთხვევაში ეკონომია ადმინისტრაციულ ხარჯებში 13000 ლარი იქნება. ამჟამად უიმედო ვალები ბრუნვის 2%-ს შეადგენს.

მოთხოვნა: მისაღებია თუ არა კომპანიისათვის, ფაქტორინგული კომპანიის მომსახურების მიღება.

ამოცანა 9.5.

კომპანია ერთი–ერთი დასახელების პროდუქტს ყიდის ერთ მყიდველზე, რომელიც დავალიანებას საშუალოდ 30 დღეში ფარავს. უიმედო დებიტორული დავალიანება, წინა გამოცდილებდან 4%-ს შეადგენს.

მოცემული სახის პროდუქტის ერეულზე არსებობს შემდეგი ინფორმაცია (ლ):

გასაყიდი ფასი	32
პირდაპირი მასალის ხარჯი	10
პირდაპირი შრომითი ხარჯი	8
არაპირდაპირი ცვლადი ხარჯი	4
არაპირდაპირი მუდმივი ხარჯი	2
სულ ხარჯები	24
მოგება	8

კომპანია გეგმავს მოცემულ კლიენტთან გაყიდვები 150 ათასი ლარით გაზარდოს. ნასესხებ კაპიტალზე წლიური სარგებელი 10%-ია.

მოთხოვნა: შეაფასეთ გაყიდვების გაზრდის მოსალოდნელი ეფექტი.

ამოცანა 9.6.

კომპანიის დებიტორული დავალიანებების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ყველა დებიტორი ოთხი მახასიათებლის მიხედვით, შემდეგნაირად ჯგუფდება:

კატეგორია	დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი დღ	უიმედო დებიტორების %
A	15	1
B	20	3
C	30	5
D	40	9

მოცემული სახის პროდუქციისათვის, საწარმოში არსებობს შემდეგი ნორმატივები:

გასაყიდი ფასი	5 ლ
მასალის ხარჯი	2 ლ
შრომითი ხარჯი	1,5 ლ
არაპირდაპირი ცვლადი ხარჯი	0,5 ლ
არაპირდაპირი ნუდმივი ხარჯი	0,8 ლ
მოგება	0,20 ლ

კომპანიას შეუძლია რეალიზაცია წლიურად 500000 ლარით გაზარდოს C და D კატეგორიების მყიდველების მიმართ – 40:60 თანაფარდობით. ნასესხებ კაპიტალზე წლიური საპროცენტო განაკვეთია 12%, მარტივი პროცენტის მეთოდით.

მოთხოვნა: შეაფასეთ გაყიდვების გაზრდის ეფექტი.

თავი 10. საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის ანალიზი

საწარმოს დაფინანსების ერთ ერთი მნიშვნელოვანი წყარო არის საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალის ფორმირება ხდება მესაკუთრეების (ან აქციონერების) მიერ საწარმოში განხორციელებული თავდაპირველი ინვესტირების დროს და შემდეგ, მოგების რეინვესტირების შედეგად.

როგორც ცნობილია, საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის თავისებურებებს განაპირობებს ამა თუ იმ საწარმოს იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა. წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია სააქციო საზოგადოების ტიპის საკუთარი კაპიტალის ანალიზის საკითხები, რადგან ყველაზე სრულად მოიცავს საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მოცემულ თავში განხილულია:

- საკუთარი კაპიტალის ფორმირების გზები. მისი სტრუქტურა;
- საკუთარი კაპიტალის გამოყენების მაჩვენებელთა სისტემა;
- სააქციო კაპიტალის ანალიზი;
- საწარმოს სადივიდენდო პოლიტიკა;
- საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე;
- სესხებისა და საკუთარი კაპიტალის ჰიბრიდები;

10.1. საწარმოს საკუთარი კაპიტალის არსი და ანალიზის ამოცანები

საწარმოს საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მას წილობრივ ინსტრუმენტს უწოდებს. **წილობრივი ინსტრუმენტი** არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას (ბასს 32, მუხლი 11).

საკუთარი კაპიტალი ორი ნაწილისაგან შედგება: ავანსირებული (ინვესტირებული) და რეინვესტირებული კაპიტალისაგან.

ავანსირებული კაპიტალი ახასიათებს კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ თავდაპირველად ჩადებული ანუ დაბანდებული სახსრების სიდიდეს. როგორიცაა სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი. ხოლო **რეინვესტირებული კაპიტალი** არის კომპანიის ფუნქციონირების ფინანსური შედეგის ანუ დაბანდებული კაპიტალის გამომუშავებული სარგებლის კვლავ ავანსირება ბიზნესში. რეინვესტირებულ კაპიტალს მიეკუთვნება მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვები, გაუნაწილებელი მოგება და გადაფასების რეზერვი.

როგორც ცნობილია, ბალანსში **საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა** შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვები, გადაფასების რეზერვი და გაუნაწილებელი მოგება.

ასეთი კლასიფიკაცია სასარგებლოა წილობრივი ინსტრუმენტების მართვისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. აქვე შევნიშნავთ, რომ მოგების გადასახადის ახალი რეგულაციებით საქართველოში, გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი აღარ იარსებებს, რადგან მოგება მესაკუთრეებზე გაცემული დივიდენდის გაცემის შემდეგ, მთლიანად საწარმოში იქნება რეინვესტირებული.

ბუღალტრულ ბალანსში ასახული საკუთარი კაპიტალის სიდიდე დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. როგორც წესი, საკუთარი კაპიტალის ჯამური სიდიდე შეიძლება მხოლოდ შემთხვევით დაემთხვეს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების საბაზრო ღირებულების მთლიან თანხას ან იმ თანხას, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას კომპანიის წმინდა აქტივების გაყიდვის შედეგად.

საკუთარი კაპიტალის ფორმირების (შექმნის) გზებია:

- ახალი აქციების გამოშვება აქციების განთავსებით, საჯარო შეთავაზებით ან უფლებითი ემისიით;
- შიდა აკუმულირებული (დაგროვილი) კაპიტალი – საემისიო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებებლი მოგება (თუკი არსებობს).

საკუთარი კაპიტალის წარმოქმნის გზებს შორის არჩევანის გაკეთებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფინანსების ხელმისაწვდომობა, ფინანსების ოდენობა, დანახარჯები აქციების გამოშვების პროცუდრებთან დაკავშირებით, გამოშვებული აქციების შეფასება, კონტროლი, გადასახადები და სადივიდენდო პოლიტიკა.

კანონმდებლობით, აქციების გამოშვების უფლება მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს გააჩნიათ.

სააქციო კაპიტალი ახასიათებს აქციონერების წილს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო კაპიტალი ორგანიზაციაში წარმოიქმნება აქციების გამოშვების გზით. **აქცია არის** ფასიანი ქაღალდი, რომელსაც მისი მფლობელისათვის მოაქვს შემოსავალი დივიდენდის სახით. შეიძლება გამოშვებულ იქნეს პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციები.

პრივილეგირებული აქციის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება კომპანიაში, მაგრამ აქვს დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი. **ჩვეულებრივი აქციის მფლობელები** მონაწილეობენ კომპანიის საქმიანობაში და აქვთ ხმის უფლება, რადგან არა აქვთ დივიდენდის წინასწარ დადგენილი განაკვეთი.

აქცია შეიძლება იყოს დაბრუნებადი ან დაუბრუნებადი.

დაბრუნებადი აქცია არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს ემიტენტს (გამომშვებს) უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით. ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს. აქციის დაბრუნების პირობები განისაზღვრება კომპანიის მიერ აქციების გამოშვების დროს.

აქციების უკან გამოსყიდვის პირობები გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში, რომელიც ცხადდება აქციების გამოშვების დროს.

ფინანსური ვალდებულება მაშინ კლასიფიცირდება წილობრივ ინსტრუმენტად, თუ მის მფლობელს უფლებას ანიჭებს, კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღოს მისი წმინდა აქტივების პროპორციული წილი. ამ შემთხვევაში პროპორციული წილი განისაზღვრება კომპანიის წმინდა აქტივების დაყოფით ტოლი სიდიდის ერთეულებად და ამ თანხის გამრავლებით აქციონერის კუთვნილი აქციების ერთეულების რაოდენობაზე.

ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს როგორც **პირველად ფინანსურ ინსტრუმენტს** მაგალითად დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს და წილობრივ ფასიან ქაღალდებს, ასევე, **წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს**, როგორიცაა ფინანსური ოფციონი, ფიუჩერსები და ფორვარდები, საპროცენტო განაკვეთიანი სვოპები და სავალუტო სვოპები (იხ. სქემა 1.1.1. გვ. 11).

ოფციონი არის გარკვეული შეღავათით, საბაზროზე დაბალ ფასში გამოშვებული აქციები თანამშრომლებისათვის. ოფციონის გამყიდველი თავის თავზე წინასწარ იღებს ვალდებულებას, უარი თქვას პოტენციურ მომავალ ეკონომიკურ სარგებელზე ან განიცადოს მომავალი პოტენციური ზარალი აქციების რეალური ღირებულების ცვლილებებთან დაკავშირებით. ამრიგად, ოფციონი არის ოფციონის მფლობელის უფლება – აქტივები გაცვალოს პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით და გამყიდველის ვალდებულება – აქტივები გაცვალოს პოტენციურად არახელსყრელი პირობებით. გამოიყოფა ფუთ-ოფციონი – სახელშეკრულებო უფლება და ქოლ-ოფციონი – სახელშეკრულებო ვალდებულება.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის მაგალითია აგრეთვე ფორვარდული კონტრაქტი ექვსთვიანი დაფარვის ვადით, რომლის მიხედვით მყიდველი ვალდებულებას იღებს ვთქვათ, გასცეს 2000 ლარის ფულადი სახსრები 2000 ნომინალური ღირებულების ფიქსირებულ განაკვეთიანი სახელმწიფო ობლიგაციის სანაცვლოდ, ხოლო გამყიდველი ვალდებულებას იღებს გასცეს 2000 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ობლიგაციები 2000 ლარის ფულადი სახსრების სანაცვლოდ ექვსი თვის განმავლობაში. ამდენად, ორივე მხარეს აქვს სახელშეკრულებო უფლება და ვალდებულება. თუ ობლიგაციის საბაზრო ფასები შეიცვლება, შესაბამისად აისახება მყიდველისა და გამყიდველის ოპერაციებში. ამრიგად, ეს სახელშეკრულებო უფლებები და ვალდებულებები წარმოქმნის ფინანსურ ვალდებულებებსა და ფინანსურ აქტივებს ოფციონების მსგავსად. მნიშვნელოვანი განსხვავება ფორვარდულ კონტრაქტსა და ოფციონის კონტრაქტს შორის ის არის, რომ ფორვარდული კონტრაქტის დროს ორივე მხარეს ვალდებულების შესრულება ევალება შეთანხმებულ დროში. მაშინ, როდესაც ოფციონის კონტრაქტის დროს შედეგს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ექნება ადგილი, როდესაც ოფციონის მფლობელი გადაწყვეტს მის განხორციელებას.

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა გამოშვებული აქციების გაყიდვის ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის. დავუშვათ, გამოშვებულია 20000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები, რომელიც 23000 ლარად გაიყიდა. მაშასადამე, 3000 ლარი წარმოადგენს საემისიო კაპიტალს.

გამოშვებული აქციები, გარდა ფულისა, შეიძლება გაიცვალოს სხვა რომელიმე სახის აქტივზე: შენობებზე, მანქანებზე და სხვა. არაფულად აქტივებზე აქციების გაყიდვის შემთხვევაში აქციების შეფასება ხდება ან მათი საბაზრო ფასით ან

მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. არჩევანის გაკეთება იმის მიხედვით მოხდება, რომელი მიდგომა უფრო საიმედო შეფასებას იძლევა მოცემულ მომენტში.

საწარმოებმა შეიძლება მოახდინონ პრივილეგირებული აქციების კონვერტირება წინასწარ არსებული ხელშეკრულების პირობების თანახამად, ჩვეულებრივ აქციებზე. მისი მიზანია პრივილეგირებული აქციების ბრუნვიდან ამოღება.

აქციების კონვერტირება ხდება ნომინალური ღირებულებით. პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აისახება საემისიო კაპიტალის ან მოგება/ზარალის ანგარიშზე.

აქციები შეიძლება გამოშვებულ იქნეს უფასოდ ანუ ბონუსური წესით. ასეთ ღონისძიებას კომპანიები მაშინ მიმართავენ, როდესაც აქციის საბაზრო ფასი სერიოზულად გაიზარდა და იქმნება საშიშროება, რომ აქციები ვერ გაიყიდება. არსებულ აქციონერებზე უფასო აქციების გამოშვებით, გაიზრდება რა ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვი, ერთი აქციის საბაზრო ფასი დაეცემა. ასეთ დროს აქციების გამოშვება ხდება საემისიო კაპიტალის ხარჯზე.

აქციების საბაზრო ფასის დაწევა აგრეთვე შეიძლება გამოშვებული აქციების დანაწევრებით. ამ მეთოდის დროს ხდება აქციების რიცხვის ზრდა თითოეული აქციის ნომინალური ღირებულების შემცირების პროპორციულად. შედეგად იზრდება ბრუნვაში მყოფი აქციების რიცხვი, ხოლო სააქციო კაპიტალის საერთო ჯამური სიდიდე არ იცვლება. დავუშვათ, კომპანიას გამოშვებული აქვს 2000 ცალი, თითოეული 10 ლარი ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი აქცია, სულ 20000 ლარის ღირებულების. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვის გაზრდა. მაშინ, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება ორჯერ შემცირდება. ამ შემთხვევაში, ბრუნვაში იქნება 4000 ცალი აქცია, თითო 5 ლარის ნომინალური ღირებულებით. ხოლო, კაპიტალის საერთო სიდიდე კვლავ 20000 ლარი იქნება.

ზოგჯერ ადგილი აქვს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ერთგვარ ჰიბრიდს (ნარევი), რომელიც არის დაფინანსების ერთგვარი შერეული სახე. მას მიეკუთვნება კონვერტირებადი სავალო ვალდებულებები და ვარანტები.

კონვერტირებადი სავალო ვალდებულება არის სესხის სახეობა, რომელიც მფლობელს (სესხის გამცემს) აძლევს უფლებას მოახდინოს სესხის სხვა ფასიან ქაღალდებში, როგორც წესი, ჩვეულებრივ აქციებში კონვერტაცია წინასწარ განსაზღვრული ფასით და განსაზღვრულ დროს.

ვარანტი არის უფლება კომპანიის განსაზღვრული რაოდენობის ჩვეულებრივი აქციის შესყიდვაზე განსაზღვრულ ფასად, ჩვეულებრივ, დროის გარკვეულ პერიოდში.

პერიოდულად, კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვის შესახებ. ეს შეიძლება თავდაპირველად გამოცხადებული პირობების საფუძველზე მოხდეს.

დაბრუნებადია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს ემიტენტს უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს (ბასს 32, მუხლი 10).

საკუთარი კაპიტალის ანალიზის ამოცანებია:

- საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა;
- საკუთარი კაპიტალისა და საწარმოს რისკების კავშირების დადგენა;
- დივიდენდების განაკვეთების და გაცემის შეფასება;
- აქციების შემოსავლიანობის ანალიზი.

საკუთარი კაპიტალის ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და დაჯგუფება;
- საკუთარი კაპიტალის ლევერიჯის (რისკის) მაჩვენებლების ანალიზი;
- გამოშვებული აქციების ეფექტიანობის მაჩვენებელთა ანალიზი;
- დივიდენდების ანალიზი.

საკუთარი კაპიტალის მოცულობაზე მოქმედი ფაქტორებია:

- საწარმოს მასშტაბები და მოთხოვნა ფინანსურ აქტივებზე;
- ფინანსური რისკები;
- მოგებიდან შექმნილი რეზერვების და დაგროვილი მოგების ცვლილების ტემპები.

საკუთარი კაპიტალის გამოყენების, მდგომარეობის და ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლებია:

- საკუთარი კაპიტალის სტრუქტურისა და დინამიკის კოეფიციენტები;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი – ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი; ვალდებულებები/საკუთარი კაპიტალი;
- საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი;
- ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი.

ამრიგად, საკუთარი კაპიტალის ანალიზს საწარმოს ფინანსური მენეჯმენტი რეგულარულად უნდა ატარებდეს, რათა ეფექტურად მართოს იგი და დაიცვას ერთი მხრივ, მესაკუთრეების უფლებები და მეორე მხრივ, საწარმოსა და მისი თანამშრომლების ინტერესები.

10.2. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი

ანალიზის უპირველეს ინტერესს წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული შემადგენლობა. როგორც იცით, საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას საწარმოს იურიდიულ სამართლებრივი ფორმა განსაზღვრავს. მოცემულ სახელმძღვანელოში განხილულია სააქციო საზოგადოების საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას, რადგან მათ, კაპიტალის ყველაზე სრულყოფილი სტრუქტურა გააჩნიათ.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის შესწავლის მიზნით შედგება შესაბამისი ცხრილი (იხ. ცხრილი 10.2.1). ინფორმაცია აიღება ბუღალტრული ბალანსიდან. საანალიზო საწარმოს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს სააქციო კაპიტალს. თუ ერთმანეთს

შევუდარებთ განვლილი წლების მონაცემებს, დავინახავთ, რომ ბოლო 2017 წელს სააქციო კაპიტალის წილი შემცირდა, ხოლო გაიზარდა მოგებიდან შექმნილი რეზერვების წილი, მოგების რეინვესტირების გამო. შემდგომი ანალიზით გამოკლეული უნდა იქნეს, მოგებიდან კონკრეტულად რა სახის რეზერვებია შექმნილი და რამდენად ეფექტიანად გამოიყენება იგი.

ცხრილი 10.2.1.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა პროცენტულად

საკუთარი კაპიტალი	2013	2014	2015	2016	2017
- სააქციო კაპიტალი	57,64	65,89	66,72	67,75	57,05
- საემისიო კაპიტალი	15,09	12,87	9,03	15,36	12,11
- უკან გამოსყიდული აქციები	-	-	-	-	(4,51)
- რეზერვები მოგებიდან	11,07	9,65	6,28	6,14	32,60
- გადაფასების რეზერვი	5,84	4,67	7,20	3,84	2,75
- გაუნაწილებელი მოგება	10,36	6,92	11,77	6,91	-
სულ	100	100	100	100	100

საკუთარი კაპიტალის დინამიკის შესწავლისათვის საჭირო ინფორმაცია ასევე აიღება ბუღალტრული ბალანსიდან. ჩვენს მაგალითზე პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება 2.3.2. ცხრილიდან იქნას გადმოტანილი.

ცხრილი 10.2.2.

საკუთარი კაპიტალის დინამიკა პროცენტულად 2013 წელთან

საკუთარი კაპიტალი	2013	2014	2015	2016	2017
- სააქციო კაპიტალი	100	143	148	154	181
- საემისიო კაპიტალი	100	107	77	133	147
- უკან გამოსყიდული აქციები	100	-	-	-	-
- რეზერვები მოგებიდან	100	109	73	73	538
- გადაფასების რეზერვი	100	100	136	86	86
- გაუნაწილებელი მოგება	100	83	146	87	-
სულ საკუთარი კაპიტალი	100	125	128	131	183

10.2.2. ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ დინამიკური მაჩვენებლები წლების განმავლობაში მერყეობით ხასიათდებოდა საემისიო კაპიტალის, მოგებიდან შექმნილი რეზერვების და გაუნაწილებელი მოგების მიხედვით. როგორც იცით, 2017 წლიდან გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი აღარ არსებობს. მთლიანად არის რეინვესტირებული. მთლიანობაში კი, საკუთარი კაპიტალი სტაბილურად იზრდებოდა. თვალსაჩინოებისათვის საჭიროა დინამიკის გრაფიკების შედგენა. დიაგრამაზე შეიძლება ერთად აიგოს საკუთარი კაპიტალისა და წმინდა მოგების მაჩვენებლების გრაფიკები მათი ტენდენციების ურთიერთ შედარებისათვის.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებაზე გავლენას ახდენს აქციების გამოშვება, აქციების უკან გამოსყიდვა, საემისო კაპიტალის ცვლილება და წმინდა მოგების ცვლილება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ასევე გავლენას ახდენს საკუთარი კაპიტალის მოცულობაზე, არის გადაფასების რეზერვი, რომელიც

გრძელვადიანი აქტივების გადაფასების დროს წარმოიქმნება. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სპეციალისტების მიერ რამდენად საიმედოდ არის შეფასებული გრძელვადიანი აქტივები, რაც მეტად პრობლემატურია.

საკუთარი კაპიტალი შეიძლება დაბანდებული იყოს გრძელვადიან აქტივებში ან მიმდინარე აქტივებში. როგორი ეფექტით გამოიყენება იგი, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თვით მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების გამოყენების ეფექტიანობაზე. ამდენად, საკუთარი კაპიტალის გამოყენების ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია.

10.3. საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის მაჩვენებლები

საკუთარი კაპიტალი, როგორც წესი, საწარმოს აქტივების დაფინანსების ყველაზე საიმედო წყაროა. მისი დაბანდება ხდება გრძლევადიან და მოკლევადიან აქტივებში. მაშასადამე მას გააჩნია საბრუნავი კაპიტალის ნაწილი და ძირითადი საშუალებების დაფინანსების ნაწილი. ეს მაჩვენებლები ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლებოდა.

საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მიმდინარე აქტივებშია დაფინანსებული, საბრუნავი ნაწილი ეწოდება. დანარჩენი კი არის ძირითად საშუალებებში დაბანდებული საკუთარი კაპიტალის ნაწილი.

მიმდინარე აქტივებში დაბანდებული საკუთარი კაპიტალის ნაწილს საკუთარი საბრუნავი საშაულებები (სახსრები) ეწოდება. მაგრამ, მის გამოსათვლელად, როგორც მეშვიდე თავში უკვე განხილულ იქნა, მხოლოდ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია საკმარისი აღარაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარე აქტივების დაფინანსების თანამედროვე მიდგომებით, იგი შეიძლება გრძელვადიანი სესხებითაც დაფინანსდეს.

ამიტომ, **ტრადიციული გამოთვლის ხერხით:**

საკუთარი საბრუნავი სახსრები = მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები,

სწორია იმ შემთხვევაში, თუკი გრძელვადიანი სესხი დაბანდებული არაა მიმდინარე აქტივებში. ამიტომ, **თანამედროვე მიდგომების პირობებში,**

საკუთარი საბრუნავი სახსრები =
= მიმდინარე აქტივები – მიმდინარე ვალდ. – მიმდინარე აქტივებში
დაბანდებული გრძელვადიანი სესხები (10.3.1.)

თუ მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე მეტია, მაშინ, თანამდეროვე პირობებში იგი დაფინანსებულია ან საკუთარი კაპიტალით ან გრძელვადიანი სესხით ან ორივეთი ერთდროულად. ამის იდენტიფიცირება კი ბუღალტრული ბალანის ინფორმაციით უკვე შეუძლებელია. ამიტომ ინფორმაცია საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადანი სესხების გამოყენების მიზნობრიობის შესახებ, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში უნდა წარადგინოს.

საწარმოს ფინანსური მენეჯმენტისათვის კი პრობლემას არ წარმოადგენს საჭირო ინფორმაციის მოპოვება. მან ეს აუცილებლად უნდა იცოდეს და

ყოველწლიურად მოახდინოს რამდენად ოპტიმალურია მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებში საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი სესხების დაფინანსების არსებული პოლიტიკა.

საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის კოეფიციენტები საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მახასიათებლებია. ისინი, ფინანსური რისკების არსებობა/არარსებობის შესახებ მიანიშნებენ.

საკუთარი კაპიტალის გამოყენების საერთო მაჩვენებლებია:

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივები}} \qquad (10.3.2.)$$

იგი აჩვენებს აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. სასურველია, ეს კოეფიციენტი 0,5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს (გარდა ბანკებისა). წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესის ფინანსური რისკი იზრდება.

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \qquad (10.3.3.)$$

იგი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის რა ნაწილია ავანსირებული მოკლევადიან აქტივებში. თუ ეს კოეფიციენტი ნულს გაუტოლდა, იწყება საკუთარი საბრუნავი სახსრების დეფიციტი, რაც ფინანსური მდგომარეობის დაძაბულობაზე მიანიშნებს.

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \qquad (10.3.4.)$$

ეს მაჩვენებელი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის შებრუნებული მაჩვენებელია და აჩვენებს, აქტივები რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს. ამ მაჩვენებლის ზრდა ვალდებულებების ზრდას ნიშნავს. თუ ეს კოეფიცინტი ერთის ტოლია, ნიშნავს რომ მესაკუთრეები საწარმოს მთლიანად აფინანსებენ და აკონტროლებენ. ეს მაჩვენებელი იმავდროულად ფინანსური რისკის მაჩვენებლია და მისი ზრდა ფინანსური რისკის ზრდას ნიშნავს.

$$\text{სააქციო კაპიტალის უკუგება (ROE)} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}} * 100 \qquad (10.3.4)$$

ეს კოფიციენტი უფრო მიმზიდველია აქციონერებისათვის. იგი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება რჩება საწამოში, მესაკუთრეების მიერ მასზე მინდობილი კაპიტალიდან.

სააქციო კაპიტალის რენტაბელობის შებრუნებულ მაჩვნებელს სააქციო კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდს უწოდებენ.

$$\text{სააქციო კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი} = \frac{\text{სააქციო კაპიტალი}}{\text{წმინდა მოგება}} ; \qquad (10.3.5.)$$

იგი აჩვენებს რამდენი წელი დაჭირდება საწარმოს, სრულად დაფაროს ინვესტორების კაპიტალი ანუ ვალდებულება ინვესტორების მიმართ. მოცემულ

კოეფიციენტებზე გავლენას ახდენს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი და ფინანსური მომგებიანობა. ეს კავშირი ფაქტორული მოდელის სახით შეიძლება გამოისახოს:

$$\text{სააქციო კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდის ფაქტორული მოდელი} = \frac{\text{სააქციო კაპიტალი/აქტივები}}{\text{წმინდა მოგება/აქტივები}}; \qquad (10.3.6)$$

$$\text{ეკონომიკური ზრდა} = \frac{\text{მოგებიდან შექმნილი რეზერვები + გაუნაწილებელი მოგება}}{\text{სააქციო და საემისიო კაპიტალის ჯამი წლის ბოლოს}} \qquad (10.3.7)$$

ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი ლარის მოგების რეინვესტირება მოხდა საწარმოში სააქციო კაპიტალის ყოველ ერთ ლარზე. იგი ახასიათებს აქციონერების პოლიტიკას, რამდენად აფართოებენ ბიზნესს, რასაც დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოაქვს, როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე.

ჩვენი აზრით, საინტერესოა აგრეთვე **ეკონომიკური ზრდის დონის გამოთვლა რესურსების ყოველ ერთ ლარზე, როგორც მოგებიდან შექმნილი რეზერვების ფარდობა აქტივებთან.**

აქციონერებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე სააქციო კაპიტალის ფასის მაჩვენებელი, რომელზეც დივიდენდების სიდიდე ახდენს გავლენას.

$$\text{სააქციო კაპიტალის ფასი (WACC)} = \frac{\text{ჩვეულებრივი აქციების მთლიანი დივიდენდი}}{\text{ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი}}; \qquad (10.3.8)$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, აქციონერისათვის რამდენი ლარი შემოსავალი მოაქვს სააქციო კაპიტალში ავანსირებული ღირებულების ყოველი ერთ ლარს.

აგრეთვე შეისწავლება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC – Weighted avarege cost capital), რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$\mathbf{WACC = r_e * (E/V) + r_d * (D/V) * (1-t),} \quad \text{სადაც,} \qquad (10.3.9)$$

r_e - არის სააქციო კაპიტალის მოთხოვნილი განაკვეთი
E - ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის სიდიდე
D - ნასესხები კაპიტალის სიდიდე
V - საკუთარი და ნასესხები კაპიტალის სიდიდე
r_d - ნასესხები კაპიტალის მოზიდვის საპროცენტო განაკვეთი
t - მოგების გადასახადის განაკვეთი

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება რაც უფრ მაღალი იქნება ნულიდან და სტაბილური, პოტენციური ინვესტორი, კომპანიის აქციების შესყიდვით მით მეტად დაინტერესდება.

საანალიზო საწარმოს მაგალითზე, თუკი r_e = 20%, r_d = 12% და t =15%, მაშინ, მიიღება შემდეგი შედეგი:

WACC = 0,2 * 10360 /(10360+9600) + 0,12 * 9600 / (10360+9600) * (1- 0,15) = 0,1529

მაშასადამე, განხილულ საანალიზო საწარმოში სააქციო კაპიტალის საშუალო ფასი არი 15,29%.

ანალიზის დროს ჩამოთვლილი კოეფიციენტების დინამიკა და ვარიაციის კოეფიციენტები შეისწავლება ანალიტიკოსების მიერ. ამასთან, მაჩვენებლებს შორის კავშირების დასადგენად, როგორც უკვე იცით, კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტები გამოიყენება, ოღონდ სწორად უნდა შეირჩეს დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები. **ასე მაგალითად:** საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა გავლენას ახდენს საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდზე და არა პირიქით; საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტზე გავლენას ახდენს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ბრუნვადობა (დაფარვის რიცხვი); ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი გავლენას ახდენს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობაზე; საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა კი გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე და ა.შ. ამდენად, ყოველ კონკრეტულ ვითარებაში უნდა მოხდეს დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების იდენტიფიცირება.

10.4. სააქციო კაპიტალის ანალიზის მეთოდიკა

სააქციო კაპიტალი, როგორც წესი, აქციების გამოშვება-გაყიდვის გზით წარმოიქმნება. აქციების გამოშვების დროს, კომპანიამ შეიძლება გამოაცხადოს პირობა, რომ გარკვეული დროის შემდეგ საკუთარ აქციებს უკან შეისყიდის ნომინალური ღირებულებით ან საბაზრო ფასით ან უფლება მისცეს აქციონერებს, თავისუფლად გაყიდონ აქციები ბაზარზე.

ბასს 32 – „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" - მიუთითებს, რომ თუ კომპანია ხელახლა შეისყიდის წილობრივ ინსრუმენტებს, ისინი (გამოსყიდული აქციები) გამოაკლდება საკუთარ კაპიტალს. საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების შედეგად წარმოშობილი არავითარი შემოსულობა ან დანაკარგი არ აღიარდება მოგებად ან ზარალად. ასეთი გამოსყიდული აქციების შეძენის სანაცვლოდ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურება უნდა აღიარდეს პირდაპირ საკუთარ კაპიტალში [ბასს 32, მუხლი 33].

ამდენად, აქციების უკან გამოსყიდვა გავლენას ახდენს საემისიო კაპიტალზე, ან საემისო კაპიტალის უკმარისობის შემთხვევაში, გაუნაწილებებლ მოგებაზე.

აქციების გამოშვების მიზნით, კომპანია ცდილობს მიაღწიოს რეგისტრაციას საფონდო ბირჟაზე, ვინაიდან, რეგისტრირებული ორგანიზაციები ხშირად აღიქმებიან, როგორც ფინანსურად ძლიერ და მაღალი კრედიტუნარიანობის მქონე

ორგანიზაციებად. ისინი, უმეტესწილად წარმოადგენენ სწრაფად მზარდ ფირმებს და ჩვეულებრივ ეყრდნობიან გაუნაწილებელ მოგებას და მოკლევადიან სესხებს. ინვესტორები ამჯობინებენ ინვესტიციები ჩადონ საფონდო ბირჟებზე რეგისტრირებულ კომპანიებში, ვიდრე არარეგისტრირებულ კომპანიებში.

რეგისტრირებული აქციების მქონე კომპანიების მფლობელები რამდენიმე წლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ ხდებიან მნიშვნელოვანი პაკეტის მფლობელები და შეუძლიათ თავიანთი ქონება ახალი მიზნებისათვის გამოიყენონ; აამაღლონ აქციების რეალიზებადობა; დათანხმდენ, კომპანიის ხელმძღვანელობას ოფციონით აქციების გაყიდვაზე; ხელი შეუწყონ კომპანიის გაფართოებას („შთანთქმის“ მეშვეობით იყიდონ სხვა საწარმოები); აამაღლონ კომპანიის პრესტიჟი.

ბირჟაზე კოტირება კომპანიას ანიჭებს ფინანსური რესპექტაბელურობის (ფინანსური მიმზიდველობის) სახეს, რომელიც შეიძლება ხელს უწყობდეს ახალი ხელშეკრულებების დადებას. აგრეთვე შეუძლია მიიღოს უფასო რეკლამა, როდესაც მას ფინანსური პრესა წარმოადგენს და განიხილავს მის შედეგებს.

რეგისტრირებული კომპანიების მაჩვენებლები უდარდება საშუალო დარგობრივ მაჩვენებლებს, როგორიცაა: უკუგება (გრძლევადიან) გამოყენებულ კაპიტალზე (ROCE); უკუგება სააქციო კაპიტალზე (ROE); საოპერაციო მოგების მარჟა; მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები; ლევერიჯი (მთლიანი ვალდებულებები/საკუთარი კაპიტალი); პროცენტის დაფარვის კოეფიცინეტი; დივიდენდის უზრუნველყოფის კოეფიციენტი.

გამოშვებული აქციების სახეების შესაბამისად, სააქციო კაპიტალი არსებობს ან პრივილეგირებული აქციების ან ჩვეულებრივი აქციების სახით. მაშასადამე სააქციო კაპიტალის სტრუქტურას განსაზღვრავს თანაფარდობა პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ სააქციო კაპიტალს შორის.

კომპანიისათვის, პრივილეგირებული აქციების გამოშვება უფრო მაღალი რისკით ხასითდება ვიდრე ჩვეულებრივი აქციების გამოშვება.

ზოგჯერ, პრივილეგირებულ სააქციო კაპიტალს ვალდებულებებს ადარებენ, ვინაიდან კომპანია ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში, მოგების სიდიდის მიუხედავად, გასცეს დივიდენდი გამოშვებულ პრივილეგირებულ აქციებზე. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი გაიგივებული იქნეს ვალდებულებებთან, რადგან, ვალდებულებები როგორც ასეთი, კომპანიაში წილის ფლობის უფლებას არ იძლევა.

როგორც ადრე იყო განხილული, ფინანსების მოზიდვა შეიძლება მოხდეს აქციების საჯარო შეთავაზებით, აქციათა უფლებითი ემისიით ან აქციების ბონუსური ემისიით. არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე და შიდა აკუმულირებული ფონდების ოდენობაზე.

აქციების საჯარო გამოშვებისას გაცილებით მაღალია კომპანიის მმართველობის და ადმინისტრაციის ხარჯები, ვიდრე უფლებითი ემისიის დროს.

აქციების გამოშვების დროს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა აქციის ფასის სწორად დაწესება. თუ ფასი მაღალია, მაშინ აქციების გამოშვება მთლიანად ათვისებული არ იქნება და მისი ნაწილი დარჩება გამომშვებთან. პირიქით, თუ ფასი დაბალია, მაშინ სარგებელს ძველი აქციონერების ნაცვლად, მიიღებენ ახლები.

თითქმის გარდაუვალია, რომ გამოშვების ფასი ნაკლები იქნება საბაზრო ფასზე, გამოშვების ფასის მიმზიდველობის გამო.

აქციების უფლებითი ემისიის დროს ფასის პრობლემა აღარ არსებობს, რადგან აქციის ფასი საბაზროზე დაბალია და ეს ნორმალური მოვლენაა. შიდა აკუმულირებული ფონდები და უფლებითი ემისია არ იწვევს აქციონერების შეცვლას, რადგან მათ არსებული აქციონერები იღებენ. საჯარო შეთავაზების დროს კი წარმოიშობა ახალი აქციონერები. რომელი მიმართულებაა უფრო მისაღები, დამოკიდებულია ფინანსების მოზიდვის მიზნებზე. თუ არსებულ აქციონერებს აქვთ კონტროლის შენარჩუნების სურვილი, მაშინ უმჯობესია აქციების უფლებითი ემისია. თუ სასურველია კონტროლის დივერსიფიკაცია, მაშინ უმჯობესია აქციების საჯარო შეთავაზება.

აქციების უფლებითი ემისიით შეიძლება კომპანიამ მოიზიდოს გრძლევადიანი ფინანსები, რომელიც გამოყენებული იქნება სამრეწველო საშუალებების შესყიდვა-გაფართოებისათვის ან საზღვარგარეთ ინვესტირებისათვის. ხოლო ინვესტორებს შეუძლიათ აქციები იაფად შეისყიდონ და დაიტოვონ, ან მაღალ ფასში გაყიდონ იგი თავისუფალ ბაზარზე.

აქციების ბონუსური ემისიის განხორციელებამ, რომელიც შიდა აკუმულირებული ფონდების საფუძველზე ხდება, შეიძლება სადივიდენდო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს აქციის ფასზე. თუმცა არსებობს თეორიული არგუმენტი, რომ ეს ასე არ მოხდება.

უსასყიდლოდ აქციების გამოშვება ხშირად გამართლებულია იმ საფუძველზე, რომ არსებობს აქციების რაოდენობის გაზრდის საჭიროება აქციის ფასის შესამცირებლად. ხშირად დაობენ იმასთან დაკავშირებით, რომ ბაზარს „არ მოსწონს“ ძალიან ძვირი აქციები. აქციების რაოდენობის გაზრდით კი შესაძლებელია აქციის ფასის დაწევა. ამით აქციები უფრო ლიკვიდური ხდება ანუ გაყიდვისუნაირანობა იზრდება და პრაქტიკული გამოცდილებები ადასტურებენ, რომ ინვესტორები აქციების უსასყიდლო გამოშვების შედეგად დამატებით მოგებას იღებენ.

ანალიზის დროს საინტერესოა პრივილეგირებული და ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის თანაფარდობის მაჩვენებლის ცვლილების ტენდენციის შესწავლა განვლილი რამდენიმე წლიანი პერიოდისათვის, რათა გამოკვლეულ იქნეს, რამდენად ეფექტური იყო სააქციო კაპიტალის სტრუქტურა. როგორც წესი, პრივილეგირებული აქციების მფლობელებმა დივიდენდი გარანტირებულად უნდა მიიღონ.

ბუღალტრულ ბალანსში გამოყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი პრივილეგირებული და ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი. ჩვენს მაგალითზე, სააქციო საზოგადოება „კოლხეთის“ სააქციო კაპიტალის სტრუქტურა ნაჩვენებია 10.4.1. ცხრილის სახით. ამ ცხრილის მონაცემების თანახმად, აბსოლუტურ მოცულობაში პრივილეგირებული სააქციო კაპიტალის სიდიდე აღებული ხუთი წლის განმავლობაში არ შეცვლილა, მაგრამ მთლიანი სააქციო კაპიტალის შემადგენლობაში, მისი ხვედრითი წილი ყოველწლიურად მცირდებოდა და 52,4%-დან (2013 წელს), 29%-მდე დაეცა 2017 წელს. ეს გამოწვეული იყო ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის ზრდით.

ცხრილი 10.4.1.

საანალიზი საწარმოს სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

წლები	სააქციო კაიტალი		მათ შორის			
	ათ. ლარი	ხვ.წ %-ად	პრივილეგ. აქციებში	ხვ.წ %-ად	ჩვეულებრივ აციებში	ხვ.წ %-ად
2013	5730		3000	52,4	2730	47,6
2014	8190		3000	36,6	5190	63,4
2015	8500		3000	35,3	5500	64,7
2016	8820		3000	34,0	5820	66,0
2017	10720		3000	29	7720	71

პრივილეგირებულ აქციებზე, ხელშეკრულების თანახმად, დავუშვათ გაიცემა წლიურად 10% დივიდენდი. იგი ინვესტორისათვის არის ნაკლებად რისკიანი, რადგან პროცენტი გადახდილი უნდა იქნეს იმის მიუხედავად, რამდენია კომპანიის მოგება. ამასთან, მის მფლობელებს გააჩნიათ უპირატესობა პროცენტის გადახდისას და კომპანიის ლიკვიდაციის შემთხვევაში (პირველ რიგში მათი ვალდებულებები იფარება). ამიტომ თანხმდებიან პრივილეგირებული აქციის მფლობელები, დივიდენდის დაბალ საპროცენტო განაკვეთს.

ჩვეულებრივ აქციებზე გასაცემი დივიდენდის სიდიდე კი ყოველწლიურად სხვადასხვა იქნება, რადგან იგი, როგორც წესი, აქციების გამომშვები კომპანიის მოგების სიდიდეზე და სადივიდენდო პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

პირველ რიგში საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის იმ მაჩვენებლების დინამიკა შეისწავლება, რომლებიც წინა საკითხში იქნა განხილული (იხ. ცხრილი10.4.2).

ცხრილი 10.4.2.

საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2013	1014	2015	2016	2017
1. საკ. კაპიტ. კონცენტრაციის კოეფიციენტი	0,439	0.554	0,543	0525	0,503
2. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიც.-ტი	2,284	1,805	1,841	1,906	1,989
3. ეკონომიკური ზრდა	0,372	0,252	0,271	0,193	0,571
4. გამოყენებული კაპიტალის უკუგება	0,89	0,77	0,78	0,78	0,561
6. სააქციო კპიტალის უკუგება	1,7	1,19	1,18	1,145	1,112
7. სააქციო კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი წლებში	0,59	0,84	0,84	0.827	0,869

როგორც 10.4.2 ცხრილიდან ჩანს, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2013 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ წინა წელთან შედარებით შემცირებულია. ასევე ძალიან მაღალია ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო კრედიტორებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, რადგან ვალდებულბები წილი აქტივების დაფინანსებაში 50%-ია.

სააქიო კაპიტალის უკუგება ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, 2017 წელს იგი წინა წელთან შედარებით შემცირდა..

ფაქტორული ანალიზისათვის სააქციო კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი დიუპონთის ხუთ ფაქტორიანი მოდელის სახით არის წარმოდგენილი (DuPont – იყო მსხვილი კომპანია, რომლის მენეჯმენტმა პირველად გამოიყენა ეს მოდელი).

$$ROE = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{წლიური მოგება}} * \frac{\text{წლიური მოგება}}{\text{მოგება \%-მდე}} * \frac{\text{მოგება \%-მდე}}{\text{წლ. შემოსავალი}} * \frac{\text{წლ. შემოსავ.}}{\text{აქტივები}} * \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტალი}};$$

მოგება %-მდე - არის მოგება პროცენტის ხარჯის გამოქვითვამდე ანუ საოპერაციო მოგება. ხოლო, აქტივები და სააქციო კაპიტალი აიღება საშუალო ნაშთის სახით ბუღალტრული ბალანსიდან.

მოცემული ტოლობის მიხედვით შეიძლება სააქციო კაპიტალის გადახრაზე მოქმედი **ხუთი ფაქტორის ცვლილების გავლენის გაზომვა, როგორიცაა**:

პირველი ფაქტორი: წმინდა მოგების წილი დასაბეგრი მოგების მიმართ. რაც უფრო მაღალი იქნება ეს მაჩვენებელი, მით მეტი იქნება სააქციო კაპიტალის ფინანსური რენტაბელობა, რაც განსაკუთრებით მესაკუთრეებს და პერსონალსაც აინტერესებთ;

მეორე ფაქტორი - დასაბეგრი მოგების წილი პროცენტის გამოქვითამდე არსებული მოგების მიმართ. ეს კოეფიციენტი რაც უფრო გაიზრდება წინა პერიოდთან შედარებით, ნიშნავს რომ საპროცენტო ხარჯები მცირდება და მომგებიანობა იზრდება;

მესამე ფაქტორია საოპერაციო მოგების ნორმა;

მეოთხე ფაქტორი არსებითად აჩვენებს აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს. ანუ, მთელი ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერ გადაიქცევა თავისუფალ ფულად საშაულებად. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა რაც უფრო დაჩქარდება, მით უქრო აქტიურია ბიზნესი და უზრუნველყოფს მეტ მომგებიანობას. გამოთვლებში აქტივები და სააქციო კაპიტალი აიღება წლის ბლოოდს მდგომარეობით.

მეხუთე ფაქტორ-მაჩვენებელია სააქციო კაპიტალის დატვირთვის კოეფიციენტია ანუ აქციონერების მიერ დაბანდებულ ყოველ ერთ ლარს, რამდენი ლარია ავანსირებული მთლიან რესურსებში.

ეს მოდელი შეიძლება ინფორმაციის გარე მომხმარებლებმაც გამოიყენონ საწარმოების შედარებითი დახასიათებისათვის, რადგან მაჩვენებლები მთლიანად ფინანსური ანგარიშგებიდან აიღება.

ცხრილი 10.4.3.

სააქციო კაპიტალის უკუგების გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შედეგები

მაჩვენებლები	წინა წელს	მიმდინარე წელს	გადახრა (+, –)
– სააქციო კაპიტალის უკუგება	1,145	1,112	-0,033
გადახრაზე მოქმედი ფაქტორები:			
I. წმინდა მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან	0,886	0,9085	+0,0225
II. წლიური მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან	1,0364	0,9279	–0,1085
III. საოპერაციო მოგების მარჟა	0,1414	0,1478	+0,0064
IV. აქტივების შემოსავლიანობა	3,1358	2,6485	–0,4873
V. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	2,8129	3,3703	+0,5574
გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა:			
• პირველი ფაქტორი გავლენა	-	-	+0,0291
• მეორე ფაქტორის გავლენა	-	-	–0,1229
• მესამე ფაქტორის გავლენა	-	-	+0.0477
• მეოთხე ფაქტორის გავლენა	-	-	–0,1708
• მეხუთე ფაქტორის გავლენა	-	-	+0,1839

ფაქტორთა გავლენის გაზომვის მეთოდიკა აბსლოლუტური სხავობის ხერხით შემდეგია (განხილულია პირველ თავში):

პირველი ფაქტორის გავლენა = (+0,0225) * 1,0364 * 0,1414 * 3,1358 * 2,8129 = +0,0291
მეორე ფაქტორის გავლენა = 0,9085 * (–0,1085) * 0,1414 * 3,1358 * 2,8129 = –0,1229
მესამე ფაქტორის გავლენა = 0,9085 * 0,9279 * (–0,0064) * 3,1358 * 2,8129 = +0,0477
მეოთხე ფაქტორის გავლენა = 0,9085 * 0,9279 * 0,1478 * (-0,4873) * 2,8129 = –0,1708
მეხუთე ფაქტორის გავლენა = 0,9085 * 0,9279 * 0,1478 * 2,6485 * (+0,5574) = +0,1839

ჯამი - 0.033

ამრიგად, როგორც გაანგარიშებები აჩვენებს, სააქციო კაპიტალის უკუგების გადახრაზე ორმა ფაქტორმა მოახდინა უარყოფითი გავლენა, დანარჩენმა კი დადებითი. კერძოდ, წმინდა მოგების ფარდობამ წლიურ მოგებასთან სააქციო კაპიტალის უკუგება გაზარდა 0,0291 პუნქტით; აქტივების შემოსავლიანობის შემცირებამ კი 0,1708 პუნქტით შეამცირა იგი და ა.შ. მთლიანობაში, კი სააქციო კაპიტალის უკუგება, წინა წელთან შედარებით, 0,033 პუნქტით შემცირდა.

მცირე და საშუალო ბიზნესში რთულია საკუთარი კაპიტალის მოზიდვა შემოსავლიანობასა და წილის გადახდასთან დაკავშირებული რისკების გამო. საერთოდ, მსხვილი კაპიტალის მქონე პირების მიერ იქმნება მცირე ბიზნესის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო. მაგრამ, ბოლო პერიოდში მცირე და საშუალო საწარმოები ასეთ წყაროებს მოწყვეტილი აღმოჩნდენენ ორი მიზეზის გამო:

- მზარდი გასავლები და საფონდო ბირჟებზე კოტირების მიღების სიძნელეები;
- ინვესტორები ამჯობინებენ ინვესტირება განახორციელონ მსხვილ კომპანიებში, რადგან აქ ინვესტიციები გაცილებით ადვილად რეალიზებადია, გააჩნია ნაკლები რისკი და ადმინისტრაციული დანახარჯები.

ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია სამთავრობო გადაწყვეტილებებით, რათა ინვესტირება მცირე და საშუალო ბიზნესში წახალისებულ იქნეს მცირე ბიზნესის ბაზრის განვითარებით და საგადასახადო შეღავათებით, მაგალითად, დაბალი კორპორაციული გადასახადები მცირე კომპანიებისათვის და დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისათვის დაწესებული მინიმუმის გაზრდა; სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების არსებობა და სახელმწიფო გრანტების ეფექტური პოლიტიკის გამოყენება.

10.5 სადივიდენდო პოლიტიკა

წლიური მოგებიდან, მოგების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგებიდან, კომპანიის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ხდება დივიდენდების გაცემა აქციონერებზე. დივიდენდების გაცემის პოლიტიკა არსებით გავლენას ახდენს აქციის ფასზე. დივიდენდის ცნების ქვეშ იგულისხმება საწარმოს შემოსავლის გაცემა მის მფლობელებზე და გარკვეული ხასიათით იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმო, რომლის აქციებშიც ფულია დაბანდებული, წარმატებით მუშაობს.

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების განაწილების გამარტივებული სქემა, როგორც უკვე იცით შემდეგია: მოგების ნაწილი დივიდენდებზე გაიცემა, ნაწილი კი საწარმოს აქტივებში რეინვესტირდება. მოგების რეინვესტირებული ნაწილი, როგორიცაა სხვადასხვა სახის რეზერვები (ანუ შიდა აკუმულირებული ფონდები), საწარმოს საქმიანობის დაფინანსების შიდა წყაროს წარმოადგენს. ამდენად, დივიდენდების გაცემის პილიტიკა საწარმოს მიერ გარედან მოზიდული დაფინანსების სიდიდესაც განსაზღვრავს.

რეინვესტირებული მოგება საწარმოს დაფინანსების ყველაზე მისაღები და შედარებით იაფი ფორმაა. ამიტომ იგი ყველაზე პოპულარულია. მაგალითად, ლონდონის ბირჟაზე რეგისტრირებული მშენებლობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის კომპანიების ახალი საინვესტიციო პროექტების 90% მოგებითაა რეინვესტირებული.

რეინვესტირებული მოგება ხელს უწყობს თავიდან იქნეს აცილებული აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები. მეორე არსებითი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იმავდროულად საწარმოს საქმიანობაზე კონტროლიც ხორციელდება, ვინაიდან აქციონერების რისკი არ იცვლება.

თეორიულად, დივიდენდების გაცემის პოლიტიკის არჩევა ორი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს: დივიდენდების სიდიდე გავლენას ახდენს თუ არა აქციონერების ერთობლივ სიმდიდრეზე და თუ ახდენს გავლენას, მაშინ როგორი უნდა იყოს მათი ოპტიმალური სიდიდე.

დივიდენდების გაცემის პოლიტიკის თეორიაში ორი სხვადასხვა მიდგომა არსებობს: პირველი მიდგომის მიხედვით, რომელსაც „დივიდენდების დარიცხვის ნაშთობრივი პრინციპის თეორიას“ უწოდებენ, დივიდენდების სიდიდე აქციონერების ერთობლივი სიმდიდრის ცვლილებაზე გავლენას არ ახდენს. ამიტომ ამ მიდგომით, დივიდენდების პოლიტიკის ოპტიმალური სტრატეგია მასში მდგომარეობს, რომ დივიდენდები დარიცხული იქნას იმის შემდეგ, რაც განხილული იქნება მოგების ეფექტიანი რეინვესტირების ყველა შესაძლებლობები.

თუ მიზანშეწონილი აღმოჩნდა, რომ მთელი მოგება გამოყენებულ იქნას რეინვესტირებისათვის, დივიდენდი აღარ გაიცემა და პირიქით, თუკი მოგების რეინვესტირების ეფექტური პროგრამა არ არსებობს, მთელი მოგება დივიდენდებზე განაწილდება.

ამ თეორიის მიმდევრებმა, ფრანკო მოდელიანმა და მერტონ მილერმა „კლიენტურის ეფექტის“ იდეა წამოსწიეს. რომლის თანახმადაც, აქციონერები უპირატესობას სადივიდენდო პოლიტიკის სტაბილურობას ანიჭებენ, ვიდრე ექსტრაორდინალური მოგების მიღებას. გარდა ამისა, მოდელიანი და მილერი თვლიან, რომ ყველა მისაღები პროექტით, მოგებიდან რეფინანსირების შემდეგ, ჩვეულებრივი აქციების დისკონტირების ფასს პლუს ნაშთობრივი პრინციპით მიღებული დივიდენდები, თანხობრივად, მოგების განაწილებამდე არსებული აქციების ფასის ეკვივალენტურია. სხვა სიტყვებით, გაცემული დივიდენდების თანხა დაახლოებით იმ ხარჯების ტოლია, რომელიც ამ შემთხვევაში აუცილებელია დამატებითი წყაროების მოძიებისათვის.

ამასთან, მოდელიანი და მილერი, ზოგადად აღიარებენ დივიდენდების გაცემის პოლიტიკის გავლენას სააქციო კაპიტალის ფასზე, მაგრამ, ამას ხსნიან არა

საკუთრივ დივიდენდების სიდიდის გავლენით, არამედ ინფორმაციული ეფექტით, რომ ინფორმაცია დივიდენდებისა და მათი ზრდის შესახებ, ახდენს აქციონერების პროვოცირებას აქციების ფასის აწევაზე. მათ ზოგიერთ ოპონენტს მიაჩნია, რომ ასეთი თვალსაზრისით, დივიდენდების გაცემის პოლიტიკა საერთოდ საჭირო არაა.

მოდელიანისა და მილერის თეორიის ოპონენტები (მოწინააღმდეგეები) თვლიან, რომ დივიდენდების გაცემის პოლიტიკა გავლენას ახდენს აქციონერების ერთობლივ სიმდიდრეზე, რომლის ძირითადი იდეოლოგია მ.გორდონი. მისი მთავარი არგუმენტია ის, რომ ინვესტორები ამოდიან რა რისკის მინიმიზაციის პრინციპებიდან, ყოველთვის მიმდინარე დივიდენდების მიღებას ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე მომავალში მისაღები დივიდენდის ან სააქციო კაპიტალის შესაძლო ზრდას. ამასთან, მიმდინარე დივიდენდების გაცემა, ამ საწარმოში ინვესტირების მიზანშეწონილობის შესახებ, ინვესტორთა გაურკვევლობის დონეს ამცირებს. მით უფრო, მათ ინვესტირებულ კაპიტალზე შემოსავლების დაბალი დონეც აკმაყოფილებთ, რასაც სააქციო კაპიტალის ფასის ზრდამდე მივყავართ (სააქციო კაპიტალის ფასი, როგორც უკვე განვიხილეთ, არის ფარდობა ჩვეულებრივი აქციების დივიდენდებსა და სააქციო კაპიტალს შორის).

მეორე მიდგომა უფრო გავრცელებულია. ამასთან აღიარებულია ის ფაქტიც, რომ დივიდენდების გაცემის პოლიტიკაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის, ძნელად ფორმულირებადიც, როგორიცაა, ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამიტომ ყოველმა საწარმომ საკუთარი სუბიექტური პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს, უწინარეს უოვლისა, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე.

დივიდენდის გაცემის ოპტიმალური პოლიტიკის შერჩევისათვის ორი ძირითადი ამოცანა გამოიყოფა:

- აქციონერების ერთობლივი ქონების მაქსიმიზაცია;
- საწარმოს საქმიანობის საკმარისი დაფინანსება.

ეს ამოცანები უმთავრესია სადივიდენდო პოლიტიკის ყველა ელემენტის განხილვის დროს, როგორიცაა: დივიდენდის წყაროები, მათი გაცემის წესი, სახეები და სხვა.

დივიდენდების გაცემის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- სამართლებრივი ხასიათის ფაქტორები;
- სახელშეკრულებო შეთანხმების პირობები;
- საწარმოს ლიკვიდურობის დონე;
- წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;
- აქციონერთა ინტერესები;
- სარეკლამო საფინანსო ხასიათის ფაქტორები.

დივიდენდების გაცემის პოლიტიკის საფუძველია ფინანსური მართვის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპი: აქციონერების ერთობლივი შემოსავლის მაქსიმიზაცია. მისი სიდიდე მიმდინარე პერიოდში შეიცავს მიღებული დივიდენდების თანხას და აქციის საკურსო ღირებულების ზრდას. ამიტომ, დივიდენდების ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრის დროს დირექტორებმა და აქციონერებმა აგრეთვე უნდა შეაფასონ დივიდენდის სიდიდე როგორ გავლენას ახდენს საწარმოს

ფასზე მთლიანად. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე, გაცემული დივიდენდების სიდიდეზე, მათი ზრდის ტემპებზე და ა.შ

აქციების პროგნოზული ფასი ე.წ. გორდონის ფორმულით, შემდეგნაირად გამოითვლება:

$$pv = \frac{c * (1 + q)}{r - q}; \qquad (10.5.1)$$

სადაც,

pv - არის აქციის ფასი;

c - გასაცემი დივიდენდი;

r - შემოსავლების მიღების ნორმის კოეფიციენტი, იგივე, ინვესტიციების რენტაბელობის შიდა ნორმა (IRR);

q - მოგების პროგნოზული ზრდის ტემპი.

მოცემული ფორმულის შეზღუდულობა (ნაკლოვანება) მდგომარობს მასში, რომ მოგების პროგნოზული ზრდის ტემპი უნდა იყოს r –ზე ნაკლები. თუ r=q, აქციის ფასი უსასრულოდ დიდი გამოდის და ფორმულა აზრს კარგავს. ამიტომ, შემუშავებულია უფრო რთული ფორმულები, რომელიც აქ არ მოგეთხოვებათ.

განვიხილოთ დივიდენდების გაცემის პოლიტიკის შემუშავებისათვის მოცემული ფორმულის გამოყენების მაგალითი.

დავუშვათ, პირობითი საწარმოს წლიური გეგმური წმინდა მოგება 20 ათასი ლარია. რენტაბელობის შიდა ნორმაა 17%. არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების ორი ვარიანტი: პირველი მოითხოვს მოგების 55%-ის, მეორე, 25%-ის რეინვესტირებას. პირველ შემთხვევაში მოგების პროგნოზული წლიური ზრდა 10%-ია, მეორე შემთხვევაში – 6%.

საჭიროა გაირკვეს, დივიდენდების გაცემის რომელი პოლიტიკაა უფრო ხელსაყრელი?

პირველ რიგში გამოითვლება გასაცემი დივიდენდის წლიური სიდიდე.

I ვარიანტით: 20000 * (1 – 0,55) = 9000 ლ

II ვარიანტით: 20000 * (1 – 0,25) = 15000 ლ

აქციების პროგნოზული ფასი:

I ვარიანტისათვის:

$$pv = \frac{9000 * (1 + 0,1)}{0,17 - 0,1} = 141429 \text{ ლ}$$

II ვარიანტისათვის:

$$pv = \frac{15000 * (1 + 0,06)}{(0,17 - 0,06)} = 144545 \text{ ლ}$$

ამრიგად, აქციონერების მთლიანი წლიური შემოსავლები პირველ შემთხვევაში 150429 ლარია (9000+ 141429); მეორე შემთხვევაში – 159545 ლარი (144545 + 15000). ასე, რომ მეორე

ვარიანტი აქციონერებს უფრო მეტ შემოსავალს მოუტანს და ინვესტორებისათვის უფრო ხელსაყრელია.

დივიდენდების დინამიკის პროგნოზირების სამი ვარიანტი არსებობს:

1. როცა დივიდენდები არ იცვლება ე.ი. მხოლოდ პრივილეგირებული აქციებია გამოშვებული;
2. დივიდენდები მუდმივი ტემპებით იზრდებიან;
3. დივიდენდები ცვალებადი ტემპებით იზრდებიან;

აქციის საბაზრო ფასი დგინდება ბაზარზე და დამოკიდებულია აქციის კურსზე. ინვესტორი რომ დაინტერესდეს აქციების შესყიდვით, აქციის დივიდენდის დონე არ უნდა იყოს საბანკო სესხის სარგებლის პროცენტზე დაბალი. ამიტომ აქციის კურსი განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{აქციის კურსი} = \frac{\text{დივიდენდის პროცენტი}}{\text{საშუალო საპროცენტო განაკვეთი ბანკთაშორის ბირჟაზე}}; \qquad (10.5..2)$$

ამ ფორმულის საფუძველზე გამოითვლება აქციების საბაზრო საკურსო ღირებულება, რომელიც საინტერესოა აქციონერებისათვის. ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.

$$\text{აქციების საბაზრო ღირებულება} = \text{აქციის კურსი} * \underset{\text{ნომინალური ღირებულებით}}{\text{ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი}} \qquad (10.5.3)$$

აქციების კურსზე მრავალი ფაქტორი, მათ შორის, შემთხვევითი ფაქტორებიც ახდენენ გავლენას. აქციების გამომშვები კომპანია აქციების საკურსო ფასის რეგულირებას ნაწილობრივ ახდენს დამატებითი აქციების გამოშვებით, გამოშვებული აქციების უკან შესყიდვით, უფლებითი გამოშვებით, ბონუსური ემისიით ან აქციების დანაწევრებით, რომელთა არსი წინა საკითხში უკვე იქნა განხილული.

გასაცემი დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა აქციონერის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. გასაცემი დივიდენდის პროცენტის გამოსათვლელად, ჩვეულებრივი აქციებისათვის წმინდა მოგებიდან გამოყოფილი თანხა იყოფა აქციების რიცხვზე. შემდეგ, მიღებული თანხის პროცენტული ფარდობით ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებასთან, მიიღება გასაცემი დივიდენდის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოცხადება ხდება შემდეგ, კომპანიის მიერ.

ანალიზის დროს შეისწავლება აგრეთვე დივიდენდის უზრუნველყოფის კოეფიციენტი დინამიკაში. იგი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\underset{\text{კოეფიციენტი}}{\text{დივიდენდის უზრუნველყოფის}} = \frac{\text{წმინდა მოგება} - \text{პრივილეგ. აქციების დივიდენდი}}{\text{ჩვეულებრივი აქციების დივიდენდი}}; \qquad (10.5.4)$$

დივიდენდის უზრუნველყოფის კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენადაა გარანტირებული დივიდენდების გაცემა კომპანიის მიერ. იგი შეისწავლება დინამიკაში, რათა გამოვლინდეს დივიდენდების გაცემის უნარის რა ტენდენციით ხასიათდება საწარმო და რამდენად მიმზიდველია იგი ინვესტორებისათვის.

აქციონერებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სააქციო კაპიტალის მოსალოდნელი უკუგების (R) განსაზღვრა, რომელიც განვლილი წლების დივიდენდის ზრდის მეთოდით, შემდეგნაირად გამოითვლება:

$$R = (D_1/MV + g) * 100, \text{ სადაც:} \qquad (10.5.5)$$

D_1 – არის მომდევნო წლის დივიდენდი, როცა გამოთვლა კეთდება;
g – დივიდენდის ზრდის განაკვეთი პერიოდში;
MV – აქციის საბაზრო ფასი.

10.6. შემოსავალი ერთ აქციაზე

ერთ აქციაზე შემოსავლის მაჩვენებლის მნიშვნელობა გაძლიერდა ბუღალტრული აღრიცხვის 33-ე საერთაშორისო სტანდარტის - „შემოსავალი ერთ აქციაზე“ - გამოყენებით. სტანდარტი მოითხოვს, რომ კომპანიებმა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში უნდა გამოაქვეყნოს ერთი აქციის შემოსავლის მაჩვენებელი.

შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS –Earnings per Share) წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის შეფასების ფართოდ გავრცელებულ ხერხს, განსაკუთრებით გრძელვადიან ჭრილში. შემოსავალი ერთ აქციაზე ასევე მნიშვნელოვანია აქციონერებისათვის. იგი გაიანგარიშება წმინდა მოგებიდან პრივილეგირებული აქციების წილის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგების შეფარდებით, ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობასთან.

$$\text{შემოსავალი 1 აქციაზე (EPS)} = \frac{\text{სრული წმინდა მოგება} - \text{პრივილეგირებული აქციების დივიდენდი}}{\text{ჩვ. აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა}} \qquad (10.6.1.)$$

ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა უდრის პერიოდის დასაწყისში მომოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობას, რომელიც კორექტირებულია გამოსყიდული ან პერიოდის განმავლობაში გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობით, გამრავლებული დროის ფაქტორის კოეფიციენტზე.

სადემონსტრაციო მაგალითი:

	გამოშვებული აქციები	გამოსყიდული აქციები	აქციები მიმოქცევაში
1 იანვარი 2010 წ. ნაშთი	3 000	(800)	2 200
1 მარტი, 2010 წ. აქციების გამოშვება	1 500		3 700
31 აგვისტო, 2010 წ. გამოსყიდვა	-	(900)	2 800
1 ნოემბერი, 2010 წ. გამოშვება	2 300	-	5 100
31 დეკემბერი 2010 წ. ნაშთი	6 800	(1 700)	5 100

დროის ფაქტორით შეწონილი კოეფიციენტი განისაზღვრება აქციების მიმოქცევაში ყოფნის დღეთა რაოდენობის გაყოფით საანგარიშგებო პერიოდის დღეთა საერთო რაოდენობაზე. კოეფიციენტი შეიძლება თვეების რაოდენობას დაეყრდნოს, როცა აქციების გამოშვებისა და უკან გამოსყიდვის თარიღები ზუსტ თვეებს ემთხვევა.

ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა =

= 2200 * 12/12 + 1500 * 10/12 – 900 * 4/12 + 2300 * 2/12 = 4133 ცალი აქცია

თუკი წმინდა მოგებისა და პრივილეგირებული აქციების დივიდენდების თანხებს შორის სხვაობა იქნებოდა 30 000 ლარი, მაშინ:

საბაზისო შემოსავალი 1 აქციაზე = 30 000 / 4133 = 7,26 ლ

გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე, ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების: აქციებისა და ობლიგაციების კონვერტირებას ჩვეულებრივ აქციებში, თუკი ასეთი მოხდება. მათ გაზავების ეფექტის მქონე ფასიანი ქაღალდები ეწოდება და ასეთი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა ცალკე გამოითვლება (იხ. ბასს 33), რომელიც გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობას დაემატება. ხოლო მოსაოდნელი მოგება არსებულ მოგებას დაემატება.

დავუშვათ, მოტანილ მაგალითზე, კონვერტაციის მოხდენის შემთხვევაში საჭირო გახდება 2000 ცალი ჩვეულებრივი აქციის მგამოშვება. ხოლო, კონვერტაციის შემთხვევაში მოგება გაიზრდება 4000 ლარით, მაშინ, გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე იქნება:

(30 000 + 4000) / (4133 + 2000) ცალი აქცია = 5,54 ლ.

მაშასადამე, თუკი კომპანიას დაჭირდება ობლიგაციების კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციებში, მაშინ ერთ ჩვეულებრივ აქციაზე შემოსავლის მოსალოდნელი სიდიდე იქნება 5,54 ლარი, რაც საინტერესოა არსებული და პოტენციური აქციონერებისათვის.

ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის გამოსათვლელად ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რიცხვი უნდა შესწორდეს გაზავების ეფექტიანი, ყველა პოტენციური ჩვეულებრივი აქციის რაოდენობით. ხოლო, ჩვეულებრივ აქციებზე გათვალისწინებულ მოგებას უნდა დაემატოს გაზავების ეფექტის მქონე პოტენციური ჩვეულებრივი აქციის დივიდენდი, დარიცხული პროცენტი და კონვერტაციით მიღებული შედეგი.

სადემონსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ, სათაო საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგება 14960 ლარია. მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობაა 2600 ერთეული. საწარმოს გააჩნია 800 ცალი კონვერტირებადი ობლიგაცია, რომელთაგან თითოეული გაიცვლება 2 ჩვეულებრივ აქციაზე. კონვერტირებადი ობლიგაციის მიმდინარე წლის საპროცენტო ხარჯი შეადგენს 2300 ლარს და მისი კუთვნილი გადასახადია 250 ლარი.

მოთხოვნა: გამთვალეთ საბაზისო და გაზავებული შემოსავალი 1 აქციაზე.

1 აქციაზე შემოსავლის გაანგარიშება

სათაო საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა მოგება	14 960 ლ
მიმოქცევაში მყოფი ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	2 600 ცალი
საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე (14960/2600)	**5,75 ლ**
კონვერტირებადი ობლიგაციები	800 ცალი
კონვერტირებადი ობლიგაციების მიმდინარე წლის სა-% ხარჯი	2300 ლ
ამ სა-% ხარჯთან დაკავშირებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადი	250 ლ
სათაო საწარმოს ჩვ. აქციის მფლობელთა შესწორებული მოგება (14 960 +2300 - 250)	17 010 ლ
ობლიგაციების კონვერტაციის შედეგად მოსალოდნელი ჩვ. აქციების (ანუ გაზავების ეფექტის მქონე ჩვ. აქციების რიცხვი) (800 * 2)	1600 ერთ.
გაზავებული შემოსავლის გამოსათვლელად გამოსაყენებელი აქციების საერთო რაოდენობა (2600+1600)	4200 ერთ.
გაზავებული შემოსავალი 1 აქციაზე (17010/4200)	**4,05 ლარი**

ამრიგად, გაზავებული შემოსავალი აჩვენებს, რა წილი უკავია თითოეულ ჩვეულებრივ აქციას საწარმოს საქმიანობის შედეგებში, როცა გათვალისწინებულია ყველა გაზავებული (კონვეტირებადი) პოტენციური ჩვეულებრივი აქცია, თუ დავუშვებთ, რომ კონვერტირებადი აქციების კონვერტაცია განხორციელდა [ბასს 33].

პოტენციური ჩვეულებრივი აქციები არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი ან ხელშეკრულება (ვარანტი, ოფციონი და მათი ეკვივალენტები), რომელმაც შესაძლოა მის მფლობელს ჩვეულებრივი აქციის ფლობის უფლება მისცეს.

პოტენციური ჩვეულებრივი აქციები მაშინ ჩაითვლება გაზავების ეფექტის მქონე აქციებად, თუ მათი ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაცია შეამცირებდა ერთ აქციაზე მოგებას ან გაზრდიდა ერთ აქციაზე ზარალს, რომელიც მიღებულია საწარმოს ჩვეულებრივი უწყვეტი საქმიანობიდან (ბასს 33, მუხლი 41).

10.7. სესხებისა და საკუთარი კაპიტალის ჰიბრიდები

საკუთარი კაპიტალით დაფინანსების ნაცვლად ხშირად გამოიყენება გრძელვადიანი სავალო ვალდებულებები (სასესხო კაპიტალი), ჩვეულებრივ ობლიგაციის სახით.

ობლიგაცია (სავალო ვალდებულება) არის კომპანიის მიერ სესხის წერილობითი დადასტურება, რომელიც ჩვეულებრივ შეიცავს პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდის პირობებს.

ობლიგაციებით (სავალო ვალდებულებებით) ვაჭრობა ხდება საფონდო ბირჟაზე ისევე, როგორც ჩვეულებრივი აქციებით და შეიძლება იყოს უზურუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი. სავალო ვალდებულება უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს რომელიმე სახის აქტივით. აგრეთვე შეიძლება იყოს გამოსყიდვადი ან არაგამოსყიდვადი.

არაგამოსყიდვადი ვალდებულების (ობლიგაციის) გამოსყიდვა დაგაგემილი არაა გარკვეული თარიღისათვის. სამაგიეროდ მასზე პროცენტის გადახდა ხდება უსასრულოდ. პრივილეგირებული აქციები ხშირად არაგამოსყიდვადია. თუკი სესხი გამოსყიდვადია, მაშინ, გამოშვებული ობლიგაცია, გარკვეული დროის შემდეგ, ძირითადი თანხით გამოისყიდება. ობლიგაციის პროცენტს ობლიგაციის კუპონურ განაკვეთსაც უწოდებენ.

ინვესტორისათვის სავალო ვალდებულება ნაკლებად რისკიანია, რადგან პროცენტს იღებს იმის მიუხედავად, აქვს თუ არა მოგება კომპანიას. ობლიგაციის გამომშვები კომპანიისათვის კი გრძლევადიანი ფიქსირებულ განაკვეთიანი ვალდებულება შეიძლება მძიმე ტვირთი აღმოჩნდეს. დაფარვის ფიქსირებული ვადები გადახდის განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. ამდენად რისკები ობლიგაციის გამომშვები კომპანიისათვის მაღალია, ვიდრე მყიდველისათვის. სწორედ ამ რისკების შემცირების მიზნით, შესაძლებელია სავალო ვალდებულებების კონვერტაცია (გადაცვლა) ჩვეულებრივ აქციებში, **რაც წარმოადგნს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ერთგვარ ჰიბრიდს (ნარევს).**

კონვერტაციის უფლება გამოიცემა ან კონვერტაციის კოეფიციენტის ან კონვერტაციის ფასის სახით.

კონვერტაციის კოეფიციენტი არის ჩვეულებნრივი აქციის რაოდენობა, რომელიც ყოველი 100 ლარის სესხის (ობლიგაციის) კონვერტაციის შედეგად მიიღება.

კონვერტაციის ფასი არის ობლიგაციის გამომშვები საწარმოს უფლება, მოახდინოს სესხის კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციებში X ლარად.

მაგალითად, ნომინალური ღირებულებით ერთი 100 ლარიანი ობლიგაცია თუ იცვლება 25 ცალ ჩვეულებრივ აქციაზე – **25 არის კონვერტაციის კოეფიციენტი**.

ხოლო, ობლიგაცია შეილება გადაიცვალოს 4 ლარიან ჩვეულებრივ აქციებზე – **4 ლარი არის ეკვივალენტური კონვერტაციის ფასი.**

ზოგჯერ, კონვერტაციის ფასი იზრდება კონვერტირებადობის დროს და ეს ხდება ადრეული კონვერტაციის სტიმულირებისათვის. მეორე ვარიანტია ნახევრად კონვერტირებადი ობლიგაციების გამოშვება, როდესაც მხოლოდ ნაწილის, 50%-ის კონვერტაციაა შესაძლებელი. კონვერტაციის უფლება ჩვეულებრივ რეგულირებას

ახდენს კაპიტალიზაციის, ანუ უფლებების გამოშვების დროს და ა.შ. შესაძლებელია აგრეთვე კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციების გამოშვება.

სავალო ვალდებულება აგრეთვე შეიძლება არსებობდეს ვარანტის სახით. **ვარანტი არის** უფლება კომპანიის განსაზღვრული რაოდენობის ჩვეულებრივი აქციის შესყიდვაზე განსაზღვრულ ფასად, ჩვეულებრივ, დროის გარკვეულ პერიოდში.

ვარანტით სავალო ვალდებულებასა და კონვერტირებად ვალდებულებებს შორის განსხვავება მდგომარეობს მასში, რომ ვარანტით სავალო ვალდებულება თვითონ არ არის კონვერტირებული აქციებში, არამედ მისი მფლობელი იხდის ნაღდ ფულს აქციების შესაძენად და ინარჩუნებს სავალო ვალდებულებას. ეს ნიშნავს, რომ სავალო ვალდებულება იარსებებს მანამ, სანამ არ მოხდება მისი განაღდება.

ვარანტს გააჩნია ღირებულება, როდესაც აქციის საბაზრო ღირებულება აღემატება ვარანტში მითითებულ ღირებულებას. ისინი ჩვეულებრივ, სავალო ვალდებულებების „დასატკბობად“ გამოიცემა და საწარმოს საშუალებას აძლევს სესხზე დააწესოს ჩვეულებრივზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი. საწარმოს ხარჯს წარმოადგენს სავალო ვალდებულების მფლობელზე მიცემული უფლება – კონვერტაციის დღეს შეიძინოს აქციები, სავარაუდოდ, შემცირებულ ფასად.

ვარანტი ჩვეულებრივი ოფციონია, რომელიც დაკავშირებული არ არის რაიმე ფინანსურ ინსტრუმენტთან. მაშინ როდესაც, კონვერტირებადი სავალო ვალდებულება წარმოადგენს ოფციონის სავალო ვალდებულებასთან კომბინაციას.

ოფციონის სავალო ვალდებულებასთან კომბინაციის უპირატესობებია:

- დაუყოვნებლივი დაფინანსება დაბალი დანახარჯებით – კონვერტაციაზე ოფციონის წყალობით იქმნება კრედიტების მიღების შესაძლებლობა დაბალი საპროცენტო განაკვეთებით;
- მიმზიდველია აქციაზე ფასის დაცემის შემთხვევაში – კონვერტირებადი ობლიგაციები წარმოადგენს „სამარაგო“ მეთოდს აქციების გამოსაშვებად;
- თვითლიკვიდირებადობა – აქციებში კრედიტების კონვერტაციით, ვალის დაფარვის პრობლემა ქრება;
- ვარანტის შესრულება იწვევს ფულადი თანხების ზრდას – როცა ოფციონი გულისხმობს კომპანიაზე დამატებითი ფულადი სახსრების გადახდას. თუ აქციის ფასი დაეცემა, მაშინ ვარანტის შესრულებას აზრი აღარ ექნება.

კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების ღირებულება განისაზღვრება როგორც უდიდესი ორიდან: მისი როგორც სავალო ვალდებულების ღირებულება და მისი ღირებულება კონვერტაციისას.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. ჩამოთვალეთ საკუთარი კაპიტალის გამოყენების მაჩვენებლები;
2. ახსენით საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტის არსი;
3. როგორ გამოითვლება გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე;
4. ახსენით სადივიდენდო პოლიტიკის არსი;
5. ახსენით სესხებისა და საკუთარი კაპიტალის ჰიბრიდის არსი

ტესტები

1. **ფირმის ბალანსით, აქტივების ჯამი 85000; ვალდებულებები – 40000 და საკუთარი** საბრუნავი სახსრები – 20000 ლარია.
   საკუთარი კაპიტალის რამდენი პროცენტია დაბანდებული მიმდინარე აქტივებში:
   ა. 44,4 %
   ბ. 24,2 %
   გ. 50,7 %
2. **საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი აჩვენებს:**
   ა. საკუთარი კაპიტალის მომგებიანობას
   ბ. საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია გრძელვადიან აქტივებში
   გ. საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშაულებებში (მიმდინარე აქტივებში)
3. **საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი არის:**
   ა. საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან
   ბ. საკუთარი საბრუნავი სახსრების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
   გ. ფულადი აქტივების ფარდობა საკუთარ საბრუნავ სახსრებთან
4. **საწარმოს საკუთარი კაპიტალი - 55000, გრძელვადიანი ვალდებულებები – 14000,** გრძელვადიანი აქტივები - 38000 და მიმდინარე აქტივები – 35000 ლარია.
   რას უდრის საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი:
   ა. 1,33
   ბ. 1,06
   გ. 1,48
5. **საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი არის:**
   ა. საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან
   ბ. საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივების ჯამთან
   გ. ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
6. **გამოყენებული კაპიტალის უკუგება გამოითვლება, როგორც:**
   ა. მოგება პროცენტის გადახდამდე, შეფარდებული საკუთარ კაპიტალთან
   ბ. მოგება პროცენტის გადახდამდე, შეფარდებული საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამთან
   გ. მოგება პროცენტის გადახდამდე, შეფარდებული საკუთარი კაპიტალისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამთან
7. **სააქციო კაპიტალის უკუგება გამოითვლება, როგორც:**
   ა. წმინდა მოგება შეფარდებული სააქციო კაპიტალთან
   ბ. მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული სააქციო კაპიტალთან
   ც. გაუნაწილებებლი მოგება შეფარდებული სააქციო კაპიტალთან
8. **ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გამოითვლება, როგორც:**
   ა. გაუნაწილებელი მოგება შეფარდებული გრძელვადიან აქტივებთან
   ბ. მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწილებებლი მოგების ჯამის ფარდობა სააქციო კაპიტალთან
   გ. სააქციო კაპიტალი შეფარდებული წმინდა მოგებასთან
9. **განვლილი ხუთი წლის მაჩვენებლების საფუძველზე გამოითვლილი კორელაციის** კოეფიცინეტი საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტისა და დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის მაჩვენებლებს შორის, რომელიც აღმოჩნდა 0,65. **რას უდრის დეტერმინაციის კოეფიციენტი:**
   ა. 0,806
   ბ. 0,765
   გ. 0,422
10. **საანალიზო პერიოდში, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის** კორელაციის დასადგენად ჩატარებული სათანადო გამოთვლების შედეგად აღმოჩნდა, რომ დეტერმინაციის კოეფიცინეტი არის 45%.

რომელი თვალსაზრისია სწორი:

ა. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ცვლილების 45% გამოწვეული იყო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ცვლილებით

ბ. ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტის ცვლილების 45% გამოწვეული იყო საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ცვლილებით

გ. დასახელებულ მაჩვენებლებს შორის კორელაცია არ არსებობს

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 10.1. 7.1.

ერთ-ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილი ლევერიჯის (ვალდებულებები/საკუთარი კაპიტალი) და ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტები, შემდეგია:

წლები	ლევერიჯი (ვალდებულებები/საკუთ.კაპიტალი)	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი (აქტივები / საკუთარი კაპიტალი)
2007	1,28	2,28
2008	0,80	1,80
2009	0,84	1,84
2010	0,91	1,91
2011	0,87	1,87

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტები;
2. გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები.

ამოცანა 10.2.

ქვემოთ მოტანილი მონაცემების საფუძველზე გამოთვალეთ კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები საკუთარი კაპიტალის რენტაბელობასა (წმინდა მოგება/საკუთარი კაპიტალი) და მისი გამოსყიდვის პერიოდის (საკუთარი კაპიტალი/წმინდა მოგება) მაჩვენებლებს შორის:

წლები	საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი	საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა
2007	1,02	0,98
2008	1,27	0,79
2009	1,27	0,79
2010	1,22	0,82
2011	1,67	0,59

ამოცანა 10.3.

ქვემოთ მოტანილია ერთ-ერთი კომპანიის ინფორმაცია წლიური ფინანსური ანგარიშგებიდან, რომლის საფუძველზეც გამოთვალეთ საჭირო კოეფიციენტები და აბსოლუტური სხვაობის ხერხით გაზომეთ სააქციო კაპიტალის უკუგებაზე (ROE) მოქმედი ფაქტორები დიუპონის ფორმულის მიხედვით:

$$(ROE) = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}} =$$

$$= \frac{\text{წმ. მოგება}}{\text{მოგება}} * \frac{\text{წლ. მოგება}}{\text{მოგება %-მდე}} * \frac{\text{მოგება %-მდე}}{\text{წლ.შემოსავალი}} * \frac{\text{წლ. შემოსავალი}}{\text{აქტივები}} * \frac{\text{აქტივები}}{\text{სააქციო კაპიტ.}};$$

წინა წელს (ლ) მიმდინარე წელს (ლ)

წმინდა მოგება	10 660	10 760
მოგება დაბეგვრამდე	13 000	13 120
მოგება %-ის გადახდამდე	14 000	14 340
წლიური შემოსავალი	94 000	98 000
აქტივების ჯამი	24 810	33 890
სააქციო კაპიტალი	8 820	9 000

ამოცანა 10.4.

ერთ-ერთ კომპანიას გამოშვებული აქვს 150 ათ. ლ ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი აქციები, თითო 10 ლ ნომინალური ღირებულებით. სულ გამოსვებულია 15000 ცალი ჩვეულებრივი აქცია.

მენეჯმენტს სურს დამატებით გამოუშვას უფლებითი ჩვეულებრივი აქციები, ერთი ცალი ყოველი 6 ცალისათვის. ერთეულის გასაყიდი ფასია 8 ლარი. მიმდინარე საბაზრო ფასია 12 ლარი.

მოთხოვნა: გამოთვალეთ ერთი აქციის თეორიული ღირებულება.

ამოცანა 10.5.

კომპანია „ატლასს“ ამჟამად გამოშვებული აქვს 2 მლნ ლარის ჩვეულებრივი აქცია, თითო 10 ლარის ნომინალური ღირებულებით.

კომპანია ცდილობს ერთ-ერთი საწარმოო პროგრამის დაფინანსებისათვის მოიზიდოს სახსრები დამატებით უფლებითი აქციების (ოფციონის) გამოშვებით და მმართველობას წინადადება შემოაქვს, გამოუშვან აქციები ერთი ხუთისათვის, ერთეულისათვის 8 ლარი.

მის ერთ-ერთ აქციონერს, კაკი ჯაფარიძეს აქვს 20000 ცალი ჩვეულებრივი აქცია და სჭირდება რჩევა, მიიღოს თუ არა შემოთავაზებული წინადადება.

აგრეთვე ცნობილია:

- 1 აქციის მიმდინარე საბაზრო ფასია 15 ლ;
- გამოშვებული აქციების რიცხვი 200 ათასი ცალი
- მიმდინარე შემოსავალი 1,6 მლნ ლ
- გადახდილი დივიდენდი (ლარი ერთ აქციაზე):

  2013 - 2,0
  2014 - 2,5
  2015 - 2,0
  2016 - 3,0
  2017 - 3,4

მოთხოვნა:

1. დაახასიათეთ განსხვავება აქციების ოფციონსა და ბონუსურ (უფასო) გამოშვებას შორის;
2. გამოითვალეთ ჯაფარიძის აქციების თეორიული ღირებულება, თუ ის მიიღებს შეთავაზებულ უფლებას;
3. გამოთვალეთ ჯაფარიძის აქციების თეორიული ღირებულება, თუ ის გადაწყვეტს მის გაყიდვას;
4. გამოთვალეთ სააქციო კაპიტალის მოსალოდნელი უკუგება (R) დივიდენდის ზრდის (g) ფორმულის გამოყენებით.

$$R = (D_1 / NV + g) * 100; \qquad g = (a_n / a_1)^{1/(n-1)} - 1$$

თავი 11. საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზი

საწარმოს რესურსებში ავანსირებული ღირებულების შეუფერხებელი მოძრაობა მისი ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მოცემულ თავში შეისწავლება შემდეგი საკითხები:

- საწარმოს საქმიანი აქტიურობის მაჩვენებელთა სისტემა და ანალიზის ამოცანები;
- ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის მოდელი;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანალიზი;
- ფულადი სახსრების დენადობის ანალიზის მეთოდიკა.

11.1. საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზის მიზანი, ამოცანები

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ცნების ქვეშ იგულისხმება საწარმოში არსებულ რესურსებში წინასწარ გაღებული, ანუ ავანსირებული, ანუ წინასწარ დაბანდებული სახსრების გამოყენების ტემპი, სიჩქარე.

ბიზნესი, მფლობელის და მმართველების მიერ დასახული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, მოითხოვს სათანადო სახის რესურსების არა მხოლოდ შეძენას, არამედ, გარკვეული მოცულობით, მათ მუდმივად არსებობას. კერძოდ, კომპანიის შეუფერხებელი მუშაობისათვის აუცილებებლია მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების უწყვეტად განხორციელება. ამიტომ, მასალის საწყობში ყოველთვის იმყოფება მასალის მარაგი, წარმოება რომ არ შეფერხდეს; მზა პროდუქციის საწყობში ყოველთვის იმყოფება რაღაც რაოდენობის პროდუქტი, მიწოდების პროცესი რომ არ შეფერხდეს; ანგარიშებზე ყოველთვის უნდა იყოს საჭირო ფულადი თანხები, რათა საანგარიშსწორებო ურთიერთობები ეფექტურად ხორციელდებოდეს და ა.შ. მაგრამ, მეორე მხრივ, ფინანსური მენეჯმენტი აკონტროლებს, დასაშვებ დროზე მეტად ხომ არ იმყობება პროდუქტი საწყობში, ფულადი თანხები ანგარიშებზე უძრავად ხომ არაა დიდი ხნით, მზა პროდუქცია რამდენხანს რჩება არარეალიზებული და სხვა.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზი შეიძლება წარიმიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

I. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, აქტივების და კაპიტალის ბრუნვადობა;

II. მოგების, შემოსავლების და ავანსირებული კაპიტალის ტემპების თანაფარდობა

რესურსების გამოყენების ფიზიკური გამოსავლიანობის მდგომარეობას, ტექნიკურ-ეკონომიკური (მმართველობითი) ანალიზი შეისწავლის. მათში დაბანდებული სახსრების გამოყენების აქტივობის საკითხები კი ფინანსური ანალიზის სფეროს წარმოადგენს. ასე მაგალითად, ერთი მხარეა, ნედლეული რა

რაოდენობით იხარჯება პროდუქტის ერთეულზე და მეორე, რა დროის შემდეგ ბრუნდება უკან ნედლეულის მარაგში გადახდილი ფული. პირველი მხარე მმართველობითი ანალიზის, მეორე კი ფინანსური ანალიზის სფეროა.

გამომდინარე იქედან, რომ საწყობში ყოველთვის არსებობს ნედლეულის მარაგი, მასში დაბანდებული ფულადი სახსრებიც რაღაცა დროით უძრავად იმყოფება. მეწარმეს აინტერესებს უკან მალე დაიბრუნოს ნელდეულში გადახდილი ფული. ამდენად, საჭირო ხდება შეფასდეს რა დრო ჭირდება რესურსებში განივთებული ფულადი თანხების უკან დაბრუნებას. რაც უფრო ნაკლები დრო დაჭირდება მატერიალური რესურსების კვლავ ფულად რესურსად გადაქცევას, მით უფრო აქტიურია ბიზნესი.

თავდაპირველად, რომელიმე სახის ბიზნესის დასაწყებად, ხდება ფულადი თანხების დაბანდება გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებში. საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობაზე არსებით გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანი აქტიურობის ხარისხი. როგორც წესი, რესურსების მომარაგებაზე გაწეული ფულადი თანხები, გარკვეული დროის შემდეგ კვლავ ფულად გადაიქცევა, რაც ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის მოდელს ქმნის. რესურსებში ავანსირებული ღირებულების კვლავ ფულად გადაქცევის პერიოდი რაც უფრო ახლოს იქნება დასაშვებ ნორმირებულ დროსთან, მით უფრო მყარი და სტაბილურია საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. მით უფრო დროულად შეძლებს დაფაროს თავის დავალიანებები საწარმომ და შეიძინოს ახალი რესურსები, გააფართოოს ბიზნესი და აამაღლოს მომგებიანობა.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს დაბანდებული სახსრების ბრუნვადობის დაჩქარების გზები, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის გასამყარებლად.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზის ამოცანებია;

- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის შესწავლა;
- ფულადი ნაკადების სტაბილურობის დადგენა;
- ფინანსური ანგარიშგების პროგნოზირებისათვის ინფორმაციის მომზადება;
- ბრუნვადობის დაჩქარებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა.

საქმიანი აქტიურობის ანალიზის საფეხურებია:

- სათანადო ინფორმაციის მოგროვება და დაჯგუფება;
- ანალიზური ცხრილების მომზადება;
- ბრუნვადობის მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;
- საბრუნავი საშუალებების ანალიზი;
- ძირითად საშუალებებში ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის შეფასება;
- ბრუნვადობის დაჩქარების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ძირითადი მაჩვენებლებია საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებლები. ესენია:

1. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები;
2. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები;

3. ფულის ბრუნვის მაჩვენებლები.

საქმიანი აქტიურობა ხასითდება დადებითად, თუ დაცულია შემდეგი პირობები: საწარმოს ეკონომიკური პოტენიცალი (საქმიანობის მოცულობა) იზრდება; რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მოცულობა უფრო მეტად იზრდება ვიდრე ავანსირებული კაპიტალი ანუ საწარმოს რესურსები უფრო ეფექტურად გამოიყენება; მოგება იზრდება უფრო მაღალი ტემპით, ხარჯების შემცირების ტემპთან შედარებით. ამ პირობებს „საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესს უწოდებენ“.

ანალიზის ინფორმაციული ბაზაა ბუღალტრული ბალანსი, მოგება/ზარალის ანგარიშგება გეგმური ინფორმაცია შიგა ანალიზისათვის.

11.2. ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის პერიოდი

ფული საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში ფულის სხვადასხვა სახეობები გაჩნდა, მეცნიერები ფულს ადამიანის გონების ერთ-ერთ უდიდეს გამოგონებას უწოდებენ.

ავანსირებული ღირებულება, როგორც ცნობილია, არის გრძელვადიან და მიმდიანრე აქტივებში დაბანდებული ფული, რათა სარგებელი მოიტანოს მომავალში. მიმდინარე აქტივებში დაბანდებულ ფულს ანუ ავანსირებულ ღირებულებას შეიძლება ვუწოდოთ საბრუნავი საშუალებები ან საბრუნავი სახსრები.

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, ფულად თანხებს მიეკუთვნება ნაღდი ფული, ფული საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნამდე დეპოზიტები და ფულის ეკვივალენტები.

ფული ასრულებს მიმოქცევის, ღირებულების საზომის და დაგროვების ფუნქციებს. მეწარმე დაინტერესებულია ყოველ მომენტში გააჩნდეს თავისუფალი ფულადი თანხები, რათა დროულად გამოიყენოს იგი გადასახადების დასაფარავად ან ინვესტირებისათვის. ფულზე მოთხოვნა დამოკიდებულია კომპანიის წარმოებისა და რეალიზაციის მასშტაბებზე. მეწარმე რაც მეტ რესურსებს შეიძენს, ბუნებრივია მით მეტი ფული უნდა დააბანდოს წარმოებაში. მაგრამ, თუ დაჩქარდება ბიზნესში დაბანდებული ფულის ბრუნვა, მაშინ მეწარმეს ნაკლები სიდიდის თავისუფალი ფულადი თანხები დაჭირდება.

მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება, როგორც წესი, უფრო სწრაფად ბრუნავს, ვიდრე გეძელვადიან აქტივებში ავანსირებული ღირებულება. მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნდება, გრძელვადიან აქტივებში ავანსირებული ღირებულება კი რამდენიმე წელიწადში ერთხელ. ამიტომ პირველს საბრუნავ ან მობილურ საშუალებებს, მეორეს კი ძირითად ან არამობილურ საშუალებებს უწოდებენ.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ საოპერაციო და ფინანსურ ციკლებს.

საოპერაციო ციკლის ხანგრძლიობა დღეებში =
= მატერ. მარაგების ბრუნვი პერიოდი + მოთხოვნების დაფარავის პერიოდი (11.2.1)

ფინანსური ციკლი დღეებში =

=საოპერაციო ციკლის ხანგრძლიობა – კრედიტ. დავალ. დაფარვის პერიოდი (11.2.2)

ფინანსური ციკლი საწარმოს ძირითად საქმიანობასთანაა დაკავშირებული. იგი წარმოადგენს ნაღდი ფულის მიღების პროცესს. ამ ციკლის შედეგად საწარმომ უნდა მიიღოს საკმარისი ფულადი საშუალებები საბრუნავი სახსრების შესავსებად, წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად და ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარავად. სხვა ნებისმიერი მოთხოვნა ნაღდ ფულზე, იმყოფება საწარმოს ძირითადი საქმიანობის საზღვრებს გარეთ და ასეთი მოთხოვნა ხელმძღვანელობამ მას შემდეგ უნდა განიხილოს, რაც უზრუნველყოფილი იქნება საოპერაციო და საინვესტიციო დაფინანსების მოთხოვნები.

ავანსირებული ღირებულების წრებრუნვა (მოძრაობა) შეიძლება შემდეგი დიაგრამის სახით იქნას წარმოდგენილი (იხ. დიაგრამ 11.2.1):



დიაგრამა 11.2.1.
ავანსირებული ღირებულების წრებრუნვა

11.2.1. დიაგრამაზე მოცემულია ფულადი თანხების მოძრაობა, დაწყებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების შეძენით. შემდეგ მოდის წარმოება, სარეალიზაციო მარაგების დასაწყობება და გაყიდვები, რომლის შემდეგ კვლავ ბრუნდება თავდაპირველად ავანსირებული ფულადი თანხები, რომელიც გაზრდილი იქმნება მოგების თანხით. რაც უფრო ხანმოკლე იქნება ამ წრებრუნვის პერიოდი, მით უფრო ნაკლები ინვესტიცია გახდება საჭირო ბიზნესში და პირიქით. ამასთან, თუ ინვესტიცია (ავანსირებული ღირებულება) ძალიან შემცირდა, ეს უკვე ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს, რადგან კლიენტები უპირატესობას ისეთ მომწოდებლებს ანიჭებენ, ვისაც საქონლის მოწოდება ხანგრძლივი სავაჭრო კრედიტით შეუძლია. ამიტომ, მიმწოდებელ კომპანიას საწყობში მეტი რაოდენობის მზა პროდუქციის მარაგი დაჭირდება, რომელზეც მოთხოვნაა, რათა გასაღების შესაძლებლობები და ბაზარი არ დაკარგოს. ამდენად, ძალიან მცირე მარაგების არსებობაც არაეფექტურია.

თავდაპირველად ავანსირებლი ღირებულების ზრდა წრებრუნვის ბოლოს, მიიღება საწარმო ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში. ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის, წარმოებისა და რეალიზაციის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს ავანსირებული ღირებულების ზრდის ტემპებს. საწარმოთა მენეჯმენტი ისე უნდა მართავდეს ბიზნესს, რომ ღირებულების ცვლილების მოცემული ტემპები მუდამ დაცული იყოს.

11.3. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლების ანალიზი

ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარე განსაზღვრავს საწარმოს საქმიანობის აქტიურობის ხარისხს. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას აუმჯობესებს. ზრდის მისი გადახდისუნარიანობის დონეს.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად მიიღწევა თავისუფალი ფულადი სახსრების გამოთავისუფლება. ხოლო, ბრუნვადობის შენელების შედეგად წარმოიშობა ბრუნვაში დამატებითი სახსრების მოზიდვის აუცილებლობა, რაც ძაბავს საწარმოს გადახდისუნარიანობას. ამიტომ, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარების უზრუნველყოფა წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისა და შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, მეწარმე ფულად სახსრებს გრძელვადიან და მიმდინარე აქტივებში აბანდებს. გრძელვადიან აქტივებში დაბანდებულ სახსრებს მეწარმე, რამდენიმე წლის განმავლობაში იბრუნებს უკან. რაც იმას ნიშნავს, რომ მასში დაბანდებული სახსრები შემობრუნდება რამდენიმე წელიწადში ერთხელ. მიმდინარე აქტივებში დანანდებული სახსრები კი წლის განმავლობაში რამდენჯერმე დაბრუნდება უკან და კვლავ ავანსირდება ახალ მარაგებში. მაშასადამე, მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერმე შემობრუნდება. აქედან გამომდინარე, **გრძელვადიან აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას – ძირითად კაპიტალს ან გრძელვადიან საშუალებებს, ხოლო მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას – საბრუნავ კაპიტალს ან საბრუნავ საშუალებებს უწოდებენ**. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ამ უკანასკნელს შევისწავლით.

მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების ანუ საბრუნავი კაპიტალის (საბრუნავი საშუალებების) ბრუნვადობის ხარისხი მათი ბრუნვადობის მაჩვენებლებით შეისწავლება. **ბრუნვადობის სამი ტიპის მაჩვენებელი არსებობს:**

- **ბრუნვის რიცხვი** – იგი ახასიათებს, ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში;
- **ბრუნვის პერიოდი დღეებში** – იგი ზომავს, რამდენი დღე ჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას;
- **დამაგრების (ანუ დაყოვნების) კოეფიციენტები** – იგი ახასიათებს, თუ რამდენი ლარის ავანსირებული ღირებულება უნდა იყოს მუდმივად დაბანდებული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთი ლარი შემოსავლის მიღება.

განზოგადების ხარისხის მიხედვით, **გამოიყოფა ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები და ბრუნვადიობის კერძო მაჩვენებლები**.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის ზოგადი მაჩვენებლებია:

$$\text{ბრუნვის რიცხვი ჯერებში} = \frac{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}} \qquad (11.3.1)$$

ან, 365 დღე / ერთი ბრუნვის პერიოდი დღეებში;

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში.

$$\text{ბრუნვის პერიოდი დღეებში} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი} * 365}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}; \quad (11.3.2)$$

ან, 365 დღე / ბრუნვის რიცხვი;

ეს კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი დღე ჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას.

$$\text{დამაგრების კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}; \quad (11.3.3)$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, მიმდინარე აქტივებში მუდამ რამდენი ლარი იყო დაბანდებული ყოელი ერთი ლარის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

მოტანილ ფორმულებში, მიმდინარე აქტივებიდან უნდა გამოირიცხოს ფულადი თანხები, რადგან ფულს ბრუნვა უკვე დამთავრებული აქვს და თუკი ისიც გამოთვლებში გათვალისწინებული იქნება, ბრუნვადობის მაჩვენებელი ხელოვნურად შემცირდება. ამასთან, ნაშთები ყველგან აიღება საშუალო წლიური სიდიდით, რომელიც საწყისი და საბოლო ნაშთების ნახევრის ტოლია.

ავანსირებული ღირებულების (საბრუნავი კაპიტალის) ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები მიმდინარე აქტივების შემადგენელი მუხლებისათვის ცალ-ცალკე გამოითვლება. ესენია:

$$\text{ნედლეულისა და მასალის ბრუნვის პერიოდი} = \frac{\text{მასალების საშუალო წლიური ნაშთი} * 365}{\text{მატერიალური დანახარჯები}}; \quad (11.3.4)$$

იგი აჩვენებს, მასალის მარაგში დაბანდებული ღირებულება, რამდენ დღეში გადავა დანახარჯებში. მატერიალურ დანახარჯებს გაყოფით მასალის საშუალო ნაშთზე, მიიღება მასალების მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი.

$$\text{დაუმთავრებელი წარმობის ბრუნვის პერიოდი} = \frac{\text{დაუმთ. წარმოების საშ. წლ. ნაშთი} * 365}{\text{მზა პროდუქციის თვითღირებულება}}; \quad (11.3.5)$$

იგი აჩვენებს, რამდენი დღე ჭირდება დაუმთავრებელ პროდუქტს, მზა პროდუქტად გარდაქმნისათვის. მზა პროდუქციის თვითღირებულების გაყოფით დაუმთავრებელი პროდუქციის საშუალო წლიურ ნაშთზე, მიიღება მისი ბრუნვის რიცხვი ანუ წლის განმავლობაში რამდენჯერ გადადის დაუმთავრებელი პროდუქცია მზა პროდუქციის მარაგში.

$$\text{მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი} = \frac{\text{მზა პროდუქციის საშუალო ნაშთი} * 365}{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}; \quad (11.3.6)$$

იგი აჩვენებს, მზა პროდუქტის მარაგში ავანსირებული ღირებულება რამდენ დღეში **გადაიქცევა ფულად. მზა პროდუქციის მიხედვითაც შეიძლება გამოითვალოს ბრუნვის რიცხი**, რომელიც რელიზებული პროდუქციის თვითღირებულებისა და მზა პროდუქციის საშუალო ნაშთების ფარდობას წარმოადგენს. იგი აჩვენებს, წლის განმავლობაში რამდენჯერ გადაიქცევა მზა პროდუქტის მარაგში ავანსირებული ღირებულება ფულადი სახით.

მაშასადამე, ერთმანეთისაგან განსხვავდება, წელიწადში სულ გამოშვებული პროდუქცია და მზა პროდუქციის მარაგი (ანუ საწყობში არსებული ნაშთები), რომელიც ბუღალტრული ბალანსიდან აიღება. დანახარჯების, თვითღირებულების და შემოსავლების მაჩვენებლები კი მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან აიღება.

$$\text{დებიტორული დავალიანებების ბრუნვის ანუ ინკასაციის პერიოდი} = \frac{\text{დებიტ. დავ. საშ. ნაშთი} * 365}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}; \qquad (11.3.7)$$

ეს მაჩვენებელი ადრეც იქნა განხილული და აჩვენებს, რამდენი დღე ჭირდება საწარმოს დებიტორებისაგან კუთვნილი თანხების ამოსაღებად, მათი დავალიანებების წარმოშობის მომენტიდან. ამ მაჩვენებლის მიხედვითაც გამოითვლება დებიტორული დავალიენებების **ინკასაციის (დაფარვის) რიცხვი**: შემოსავალი (კრედიტით გაყიდვები) შეფარდებული დებიტორული დავალიანებების საშუალო ნაშთთან.

კერძო მაჩვენებლების შესწავლა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები. ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები გავლენას ახდენენ ბრუნვადობის ზოგად მაჩვენებლებზე. წინა საკითხში მოცემულია სოპერაციო ციკლის ხანგრძლიობის ფორმულა. ამჟამად განხილული ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლების ჯამი, საოპერაციო ციკლის პერიოდის მაჩვენებელს წარმოადგენს.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის დეტალური ანალიზისათვის მეტად მოსახერხებელია დამაგრების (დაყოვნების) კოეფიციენტის გამოკვლევა. დამაგრების კოეფიციენტი გაშლილი სახით შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:

$$\text{დამაგრების კოეფიციენტი} = \frac{\text{მასალის ნაშთი} + \text{დაუმთ. პროდ. ნაშთი} + \text{მზა პროდ. ნაშთი} + \text{დებიტ. დავ. ნაშთი}}{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}; \qquad (11.3.8)$$

დამაგრების კოეფიციენტი აჩვენებს, რამდენი ლარის მიმდინარე აქტივი იყო მუდმივად ბრუნვაში, ერთი ლარი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. 11.3.8 კოეფიციენტის ზრდა უარყოფით მოვლენას წარმოადგენს, რადგან იზრდება ბრუნვაში „გაყინული“, უძრავად მყოფი სახსრების სიდიდე, რაც ბიზნესის აქტიურობას და საწარმოს კრედიტუნარიანობას ასუსტებს. ამ კოეფიციენტის ანალიზი საშუალებას იძლევა გაიზომოს ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა დეტალიზაციის ნებისმიერი ხარისხით. ეს კი საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება დეტალური ღონისძიებები შემუშავდეს მენეჯმენტის მიერ ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის

დაჩქარების მიზნით და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამრიგად, ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება, დაჯგუფება და სამუშაო ცხრილების შექმნა;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლების დინამიკის ანალიზი;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გაზომვა;
- წინა წელთან ან გეგმასთან შედარებით, ბრუნვიდან გამოთავისუფლებული (ან დამატებით მოზიდული) სახსრების დადგენა;

საჭირო ინფორმაცია აიღება ბუღალტრული ბალანსიდან და მოგება/ზარალის ანგარიშგებიდან. საანალიზო საწარმოს „კოლხეთის“ ფინასური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე მომზადდება შემდეგი სამუშაო ცხრილი (იხ. ცხრილი 11.3.1).

ცხრილი 11.3.1

საანალიზო საწარმოს საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის მაჩვენებლების საბაზისო ინფორმაცია

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
1. მიმდინარე აქტივების საშუალო ნაშთი (ათ. ლარი. ფულადი თანხების გარეშე)	4800	5745	5905	6075	7370
2. შემოსავალი რეალიზაციიდან (ათ.ლარი)	93000	92000	90600	91100	95690
3. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი (2 : 1)	19,4	16,0	15.3	15,0	13,0
4. ერთი ბრუნვის ხანგრძლიობა დღეებში (365 : 3)	18,8	22,8	23,9	24,3	28,1
5. საბრუნავი კაპიტალის დაყოვნების კოეფიციენტი (1:2)	0,0516	0,0624	0,0652	0.0667	0,077

როგორც 11.3.1 ცხრილიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი ყოველწლიურად მცირდებოდა. ხოლო, ერთი ბრუნვის ხანგრძლიობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. თვალსაჩინოებისათვის აიგება დინამიკის გრაფიკები.

რეალიზაციის ფარდობა აქტივების ჯამთან კი ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში არსებული ფულის ანუ **მთელი ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს წელიწადში.**

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობაზე მოქმედი ფაქტორებია:

- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის კოეფიციენტები;
- წარმოებისა და რეალიზაციის პროცესების ორგანიზაციული მართვა;
- მასალისა და მზა პროდუქციის ხარისხიანობა;
- მზა პროდუქციის საბაზრო პოზიციები;

დეტერმინირებული ანალიზისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბრუნავი კაპიტალის დამაგრების კოეფიციენტის ზემოთ მოტანილი ტოლობა. ხოლო, კორელაციური ანალიზი გამოიყენებულ იქნება დინამიკაში, ბრუნვადობის მაჩვენებელზე მოქმედი ფაქტორის ცვლილების გამოსაკვლევად.

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარება იწვევს ბრუნვიდან თავისუფალი სახსრების გამოთავისუფლებას, რაც საწრმოს საშუალებას აძლევს, ახალი პროექტები დააფინანსოს. მაგრამ, თუკი ბრუნვადობა შენელდა, მაშინ საჭირო ხდება დამატებითი ფულადი სახსრების მოზიდვა, რაც ფინანსურ მდგომარეობას აუარესებს.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარების (ან შენელების) შედეგად გამოთავისუფლებული (ან დამატებით მოზიდული) სახსრების სიდიდე გამოითვლება ბრუნვადობის ხანგრძლიობის გადახრის გამრავლებით დღიურ ხარჯზე.

საანალიზო საწარმოში წლიური საოპერაციო ხარჯები 2017 წელს 82890 ათასი ლარი, დღიური ხარჯი კი 227,1 ათ.ლარს შეადგენდა. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლიობა მიმდინარე წელს იყო 28,1 დღე, წინა წელს კი 24,3 დღე. შესაბამისად, ბრუნვადობის შენელების შედეგად ბრუნვაში დამატებით დაბანდებული სახსრები იქნება:

(28,1 – 24,3) * 223,4 ათ.ლ = 849 ათ. ლ

მაშასადამე, საწარმოს ფინანსური მდგომარობა ყოველწლიურად უარესდებოდა. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დაჩქარება კი არის საწარმოს მყარი ფინანსური მდგომარეობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და მოცემულ შემთხვევაში მენეჯმენტმა ავანსირებული ღირებულების დაჩქარების ღონისძიებები უნდა გაატაროს.

ბოლოს. ერთმანეთს უნდა შეუდარდეს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების, საოპერაციო მოგების და მთლიანი აქტივების ცვლილების ტემპები.

საქმიანი აქტიურობა ხასითდება დადებითად, თუ დაცულია შემდეგი პირობა:

წლიური (ან საოპერაციო) მოგების ტემპი > რეალიზაციის ტემპი > სულ ავანსირებული კაპიტალის ტემპი (ბალანსის ჯამი) > 100 %

ასეთი დამოკიდებულების არსებობა ნიშნავს, რომ კომპანიის ეკონომიკური პოტენციალი (საქმიანობის მოცულობა) იზრდება, რესურსები ეფექტიანად გამოიყენება და მოგება უფრო მაღალი ტემპით იზრდება ხარჯების შემცირების ტემპთან შედარებით. ამ უკანასკნელს „საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესს უწოდებენ“

11.4. ფულადი სახსრების დენადობის ანალიზის მეთოდიკა

ფულადი სახსრების დენადობის ანალიზის მიზანია საწარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი თანხების შემოდინების გზების და მათი გამოყენების მიმართულებების შეფასება. საჭიროა იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც ფულის თავისუფალ შემოდინება-გადინებას ხელს უწყობდა ან აფერხებდა. ანალიზი ტარდება საწარმოს „ფულადი ნაკადების ანგარიშგების“ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც პირდაპირი მეთოდითაა შედგენილი, ვინაიდან ამ მეთოდით მომზადებულ ანგარიშგებაში მოცემულია საწარმოში შემოსული და გასული ფულის კონკრეტული გზები.

ფულადი ნაკადების ანალიზის ამოცანებია:

- დამატებითი ინფორმაცია მოიპოვოს საწარმოს მიმდინარე ლიკვიდურობის შეფასებისათვის;
- ფინანსური ციკლის ხანგრძლიობის გამოკვლევა;
- ფულადი თანხების დენადობის შეფასება საქმიანობის სფეროების მიხედვით;
- მსგავსი საწარმოების ფულადი სახსრების მოძრაობის მაჩვენებელთა შედარებითი დახასიათება;
- ნაღდი ფულის სიჭარბის ან დეფიციტის შეფასება;
- დაადგინოს, სად შეიძლება დაბანდების შემცირება და რომელი მიმართულებით შეიძლება ფულის დაბანდების გაზრდა;
- მომავალი პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება.

ფულადი ნაკადების მართვა ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ჯ.კეინსის აზრით, ფულადი აქტივების მნიშვნელობა სამი ძირითადი მიზეზითაა განპირობებული:

1. **რუტინულობა** – ფულადი საშუალებები გამოიყენება რა მიმდინარე ოპერაციების შესრულებისათვის, შემოსულ და გასულ ფულად ნაკადებს შორის კი ყოველთვის არსებობს დროითი წყვეტები, ამიტომ, საწარმო იძულებულია ანგარიშზე ყოველთვის ჰქონდეს ნაღდი ფული;
2. **სიფრთხილე** – ვინაიდან საწარმოს საქმიანობა წინასწარ მკაცრად განსაზღვრულ ხასიათს არ ატარებს, ამიტომ ფული გაუთვალისწინებელი გადასახადებისთვისაც საჭიროა;
3. **სპეკულირება** – ფულადი საშუალებები სპეკულაციური თვალსაზრისითაც საჭიროა, რადგან მუდმივად არსებობს ალბათობა იმისა, რომ მოულოდნელად ხელსაყრელი ინვესტირების შესაძლებლობა წარმოიშვას. ამასთან, რაიმე საინვესტიციო პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით ყოველთვის ადგილი აქვს ფულად დანაკარგებს. ამიტომ, ნებისმიერმა საწარმომ ორი ურთიერთგამომრიცხავი მოვლენა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს: მიმდინარე გადახდისუნარიანობის შენარჩუნება და დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობა თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირებიდან.

ამრიგად, საწარმოს ფინანსური მართვის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ფულადი სახსრების მიმდინარე საშუალო ნაშთების ოპტიმიზაცია.

ფულადი სახსრების დენადობის ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
- ინფორმაციის დამუშავება და ანალიზური ცხრილების შედგენა;
- საოპერაციო და საფინანსო ციკლის მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;
- ფულადი ნაკადების და ფული ბრუნვის ანალიზი
- საჭირო ფულის მოზიდვის გზების შემუშავება.

ანალიზის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ საწარმო წლიური ანგარიშგების ინფორმაციით მომგებიანი იყოს, მაგრამ იმავდროულად, შეიძლება სიძნელეები გააჩნდეს საბრუნავ სახსრებში, რამაც წარმოშვას კონფლიქტები პარტნიორებთან და გაკოტრებაც კი გამოიწვიოს.

დავუშვათ, საწარმო მასალებს ყიდულობს ყოველ მეხუთე დღეს. საწარმოო ციკლი ერთ დღეში მთავრდება და ფულის ანგარიშზე რეალიზაციიდან ამონაგები ყოველდღიურად შემოდის. პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება 20 ლარია, რომლის 40% მასალის ხარჯია, სარეალიზაციო ფასი – 22 ლარი. მაშინ, საქმიანობის შედეგების დინამიკას შემდეგი სახე ექნება (იხ. ცხრილი 11.4.1.):

ცხრილი 11.4.1.

მოგებისა და ფულადი თანხების დინამიკა

დღეები	მზა პროდუქცია (ცალებში)	თვითღირებულება (ლარებში)	ამონაგები რეალიზაციიდან (ლ)	დაგროვილი მოგება (ლ)	ფული საბანკო ანგარიშებზე (ლ)
ნაშთი	-	-	-	-	500
1	20	400	440	40	100
2	21	420	462	82	200
3	20	400	440	122	390
4	25	500	550	172	50
5	20	400	440	212	50

როგორც 11.4.1. ცხრილიდან ჩანს, საწარმოს, მიუხედავად იმისა რომ მოგება გააჩნია, მეოთხე და მეხუთე დღეს არ ჰქონდა საკმარისი ფილადი სახსრები მასალების შესყიდვისათვის, რადგან ანგარიშზე ფულადი თანხების შემოდინებაში შეფერხებებია.

ფულადი თანხების წრებრუნვის მოდელის საფუძველზე შეისწავლება, რამდენი დღე ჭირდება აქტივებში დაბანდებულ ფულად სახსრებს, კვლავ ფულის სახით რომ დაბრუნდეს უკან. ამ მიზნით განისაზღვრება ფინანსური ციკლის ხანგრძლიობა, რომელიც საოპერაციო ციკლსა და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდს შორის სხვაობის ტოლია.

შედგება ანალიზური ცხრილი, რომელშიც აისახება ყველა საჭირო ინფორმაცია და გამოითვლება შესაბამისი ბრუნვადობის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 11.4.2)

როგორც 11.4.2. ცხრილის მაჩვენებლებიდან ჩანს, 2017 წელს, საწარმოო მარაგებში ავანსირებული ღირებულების ერთი შემობრუნების პერიოდი 20,7 – დან, 33,3 დღემდე გაიზარდა, 2013 წელთან შედარებით. ასევე გაზრდილია მოთხოვნების ინკასაციის (ამოღების) და ვალდებულებების დაფარვის ხანგრძლივობაც, რაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. განსაკუთრებით გაურასებულია ვალდებულებების დაფარვის მდგომარეობა, მაშინ როდესაც საწარმოს დებიტორებისაგან ფულადი თანხები საშუალოდ ყოველ ერთ კვირაში შესდიოიდა.

ცხრილი 11.4.2

საოპერაციო და ფინანსური ციკლის მაჩვენებლები სს „კოლხეთში“

მაჩვენებლები	2013 წ	2016		2017	
		მაჩვენებელი	ზრდის %	მაჩვენებელი	ზრდის %
1. მატერიალური მარაგების საშ. ნაშთი (ათ.ლ)	4280	4675	109	5545	157
2. შემოსავალი რეალიზაციიდან (ათ.ლ)	79000	77800	101	95690	103
3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ათ.ლ)	64000	65400	97	73600	98
4. მიმდინარე მოთხოვნების საშ.ნაშ (ათ.ლ)	1000	1400	140	1825	183
5. მიმდინარე ვალდებ. საშ. ნაშთი (ათ,ლ)	8500	6605	78	8860	104
6. საწარმოო მარაგების ბრუნვის პერიოდი (დღეებში) (1:3) * 365	20,7	23,4	113	21,15	161
7. მოთხოვნების ამოღების პერიოდი (დღეებში) (4 : 2) * 365	5,6	5,4	96	7	178
8. ვალდებულებების დაფარვის პერიოდი (დღეებში) (5 : 3) * 365	48,5	35,9	74	43,9	91
9. საოპარაციო ციკლის დრო დღეებში (6+7)	26,3	28,8	110	28,2	153
10. ფინანსური ციკლის დრო დღეებში (9-8)	-22,2	-7,1	33	-15,7	35

ფინანსურმა მენეჯმენტმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საოპერაციო ციკლის შემცირებას და აღმოფხვრას არასასურველი ვითარება ავანსირებული ღირებულების ბრუნავადობის მიმართულებით.

როგორც იმავე გაანგარიშებიდან ჩანს, მოთხოვნების დაფარვიდან ფულის მიღების პერიოდი მნიშვნელობნად ჩამორჩება კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდს. მაგალითად, 2017 წელს საწარმო მყიდველებიდან საშუალოდყოველ 7 დღეში იღებდა, თავად კი, კრედიტორულ დავალიანებებს საშუალოდ ყოველ 56 დღეში ფარავდა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე შეისწავლება საქმიანობის ცალკეული სფეროდან, წლის განმავლობაში ფულადი თანხების შემოდინების მდგომარეობა. საანალიზო კომპანიის „კოლხეთის“ 2017 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციაზე დაყრდნობით მოვამზადებულია ანალიზური ცხრილი 11.4.3. როგორც ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმოში მიმდინარე წლის წმინდა ფულადი ნაკადი ანუ თავისუფალი ფული 630 ათ. ლარია.

იმავე 11.4.3. ცხრილის მონაცემების თანახმად, საანალიზო საწარმოში მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობის მიმართულებით არსებობდა ფულის დეფიციტი, რაც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად უარყოფით მოვლენად ჩაითვალოს, რადგან გრძელვადიანი აქტივების განახლება მოხდა. მთავარია ის, რომ საწარმოში წლის განმავლობაში სულ შესული და გასულ ფულად ნაკადებს შორის სხვაობა დადებითია (იხ.ცხრილი 11.4.4).

როგორც 11.4.4. ცხრილიდან ჩანს, საანალიზო საწარმოში 2017 წელს ადგილი ჰქონდა ფულის დეფიციტს, საინვესტიციო საქმიანობიდან. ეს დეფიციტი, როგორც ჩანს აქციების დამატებითი გამოშვების გზით და აღებული სესხებით დაიფარა.

ცხრილი 11.4.3
საანალიზო საწარმოს წმინდა ფულადი ნაკადები

მაჩვენებლები	თანხა ათ.ლ
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	
- ფულის სიჭარბე	6230
- ფულის დეფიციტი	-
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან:	
- ფულის სიჭარბე	
- ფულის დეფიციტი	(7980)
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	2380
- ფულის სიჭარბე	-
- ფულის დეფიციტ	
მიმდინარე წლის წმინდა ფულადი ნაკადი სულ	630

იმავე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზით ირკვევა, რომ კომპანიამ 1,2 მლნ – ობლიგაციების გამოშვებით და 2 მლნ ლარი – სესხების აღებით მოიზიდა (იხ. ცხრილი 11.1.4.). ამ ცხრილის მაჩვენებლებიდან ნათლად ჩანს, რომ საანალიზო საწარმომ 2017 წლის განმავლობაში სულ 98,04 მლნ ლარი ფულადი სახსრები მიიღო. მათ შორის დაახლოებით 97% მყიდველებისაგან, ხოლო 2% სესხებს აღების გზით.

11.4.4

სს „კოლხეთის“ ფულადი ნაკადების სტრუქტურა 2017 წელს

მაჩვენებლები	თანხა ათას ლარებში	ხვედრითი წილი %-ად
- მყიდველებიდან მიღებული ფული	94690	96,6
- მიღებული საპროცენტო შემოსავალი	150	0,2
- ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული ფული	1200	1,2
- აღებული სესხები	2000	2,0
სულ ფულის შემოდინება	98040	100
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	46 200	47,4
თანამშრომებზე გაცემული ხელფასები	33 000	33,9
სხვა არასაწარმოო ფულადი ხარჯები	2 060	2.1
გადახდილი პროცენტები	1 300	1,3
გადახდილი მოგების გადასახადი	740	0,8
გადახდილი დივიდენდ	5 160	5,3
ძირითადი საშუალებების შეძენა	6 600	6,8
რამატერიალური აქტივების შესყიდვა	1 530	1,6
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	820	0,8
სულ გასული ფული	97410	100
თავისუფალი წმინდა ფული მიმდინარე წელს	630	-

რაც შეეხება ბრუნვიდან გასულ ფულად თანხებს, იმავე წელს სულ გადინებულ იქნა 97,41 მლნ ლარი, მათ შორის 47,4% მომწოდებლებზეა გადახდილი, 33,9% თანამშრომლებზე და 6,8% ძირითადი საშუალებების შეძენაზე დაიხარჯა. მიმდინარე წელს გამომუშავებულმა თავისუფალმა ფულმა 630 ათ, ლარი შეადგინა, რაც სულ შემოდინებული ფულის მხოლო 0,64%-ია (630/98040), რაც ძალიან მცირეა. მაგრამ, ასეთი დაბალი დონე დიდი მოცულობის ძირითადი საშულებების შესყიდვამ განაპირობა.

შემდეგ საინტერესოა შესწავლილ იქნას წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკა რამდენიმეწლიანი პერიოდისთვის. რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს საწარმოს ფინანსური ტრადიციები და გაკეთდეს შესაბამისი პროგნოზი. ეს მეორე მხრივ ბიზნეს-გეგმის შედგენისათვის მნიშვნელოვანია.

ანალიზის დროს შეისწავლება აგრეთვე ფულადი ტოლობის შემდეგი მაჩვენებლები:

საწარმოს თავისუფალი ფულადი ნაკადი = მოგება რეალიზაციიდან + არაფულადი ხარჯი + [საპროცენტო ხარჯი * (1 – გადასახადის ნორმა)] – ძირითადი კაპიტალი – საკუთარი საბრუნავი კაპიტალი;

ან,

თავისუფალი ფულადი ნაკადი = ფული საოპარაციო საქმიანობიდან + [საპროცენტო ხარჯი * (1 – გადასახადის ნორმა)] – ძირითად საშუალებებში ავანსირებული ღირებულება.

ან,

თავისუფალი ფულადი ნაკადი = ფული საოპერაციო საქმიანობიდან – ძირითადი საშუალებები + წმინდა სესხები

ანალიზის დროს ფინანსური მენეჯმენტი აგრეთვე შეისწავლის ფულის ბრუნვის კოეფიცინტებს, როგორიცაა:

$$\text{ფულადი თანხების დამაგრების კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი თანხების საშ. ნაშთი}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}; \qquad (14.4.1.)$$

იგი აჩვენებს თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთის რა რაოდენობა იყო საჭირო ყოველი ერთი ლარის შემოსავლის მისაღებაფ. ამ კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი ახასიათებს ფულის ბრუნვის რიცხვს წელიწადში.

$$\text{ფულის ბრუნვის რიცხვი} = \frac{\text{წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ფულის საშუალო ნაშთი}}; \qquad (14.4.2)$$

მაგალითად, მოცემული ფორმულის მიხედვით, საანალიზო საწარმოში ავანსირებული ფულადი თანხები 2016 წელს 18-ჯერ (77800 / 4225) და 2017 წელს 21,7-ჯერ (95690/4415) შემობრუნდა. მაშასადამე, მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესებულია.

ამ კოეფიციენტების დინამიკაში შესწავლა ძალიან საინტერესოა საწარმოს ფინანსური მმართველობისათვის. დინამიკური ანალიზის დროს, როგორც უკვე იცით, გამოითვლება ვარიაციის კოეფიციენტი, რათა შეფასდეს, რამდენად მერყევი იყო მათი ცვლილების ტენდენციები განვლილი წლების განმავლობაში და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები.

წმინდა ფულადი ნაკადით უზრუნველყოფა=

$$\frac{\text{წლიური წმინდა ფულადი ნაკადი}}{\text{გადახდილი სესხები და \%-ები} + \text{მატერ. მარაგების ზრდა} + \text{დივიდენდები}} ; \qquad (14.4.3)$$

აგრეთვე შეისწავლებ ფულის სხვა კოეფიციენტები, რომლებიც მეხუთე თავშია გადმოცემული და აქ აღარ ვიმეორებთ.

საწარმოებს ყოველთვის გააჩნიათ მოთხოვნა ფულადი თანხების მინიმალურ ნაშთებზე, რათა შექმნან მიმდინარე მარაგები, დააფინანსონ სხვადასხვა პროგნოზული პროექტები, დროულად დაფარონ მიმდინარე ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. მაგრამ, საჭიროა თავისუფალი ფულადი თანხების ოპტიმალური მოცულობის დადგენა, რათა ზედმეტი ფული კონვერტირებულ იქნეს (გაიცვალოს) ფასიან ქაღალდებში (ვთქვათ, ობლიგაციებში), დამატებითი შემოსავლების მისაღებად.

დასავლეთის ქვეყნებში, **თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთების ოპტიმალური მოცულობის დასადგენად, ბაუმოლის და მილერის ფორმულები გამოიყენება.**

ბაუმოლის ფორმულით, საწარმოსათვის საჭირო ფულის ნაშთების ოპტიმალური მოცულობა შემდეგი ფორმულით გაიანგარიშებ:

$$Q = \sqrt{\frac{2 * v * c}{r}} ; \qquad \text{სადაც,}$$

v - არის წლიური მოთხოვნა ფულად თანხებზე ანუ წლიური ფულადი ხარჯები;

c- ფასიან ქაღალდებში ფულადი სახსრების კონვერტაციის ხარჯები (ანუ ერთეულის რეალიზაციაზე გასაწევი ხარჯი)

r - არის მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციის (დავუშვათ, ობლიგაციის ან პრივილეგირებული აქციის) საპროცენტო განაკვეთი;

$^{1/2}$ - კვადრატული ფესვის ნიშანია

Q - აჩვენებს ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულადი თანხის არსებობის მაქსიმალურ შესაძლო სიდიდეს. ხოლო, საშუალო მინიმალური დონე მისი ნახევრის ტოლია.

საწარმოს წლიური მოთხოვნა ფულად თანხებზე, მარტივად გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\sum P = \sum (p_i + ck); \text{ სადაც,}$$

p_i - არის ფულადი თანხების i - ანგარიშების საკრედიტო ბრუნვა საგეგმო პერიოდში;

ck - არის ფულადი სახსრების ანგარიშების საკრედიტო ნაშთები პერიოდის დასაწყისში, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა;

მილერის მოდელით ფულადი თანხების ნაშთების საზღვრები გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$S = 3 * [(3P_t * v)/(4* P_x)]^{1/3}$; სადაც,

S - არის ფულის ნაშთის ოპტიმალური სიდიდე;

P_t - არის ფასიან ქაღალდებში ფულის ტრანსფორმაციის (გადაცვლის) ხარჯები;

P_x - არის საბანკო ანგარიშზე ფულის შენახვის ხარჯები;

v - არის ფულის საბანკო ანგარიშზე ფულის ნაშთის ვარიაციის კოეფიციენტი.

$^{1/3}$ – არის კუბური ხარისხის ფესვის ნიშანი

მილერის მოდელის გამოყენების დროს, ექსპერტიზის გზით, წინასწარ განისაზღვრება ანგარიშზე ფულის მინიმალური ნაშთის სიდიდე და შემდეგ, ფულის ნაშთის მაქსიმალური საზღვარი, რომელიც მინიმალური ნაშთისა და ფულის ოპტიმალური სიდიდის ჯამის ტოლია.

გამოცდებზე ბაუმოლის ფორმულის ცოდნა მოგეთხოვებათ.

სადემონსტარციო მაგალითი:

დავუშვათ, საწარმოს წლის განმავლობაში, სხვადასხვა ხარჯების დასაფარავად 5 მლნ ლარი სჭირდება. სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე ან საფონდო ბირჟაზე ობლიგაციის წლიური საპროცენტო განაკვეთია 12%. ხოლო, თითოეული მათგანის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები 3 ლარს შეადგენს. მაშინ, **ბაუმოლის მოდელით**:

$Q = [(2 * 5 * 3) / 0,12]^{1/2} = (250)^{1/2} = 15,81$ მლნ ლ.

საშაულო მინიმალური ნაშთი = 15,81 / 2 = 7,9 მლნ ლ.

მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს ბანკის ანგარიშებზე ფულის ნაშთების მინიმალური მოცულობაა 7,9 და მაქსიმალური – 15,81 მლნ ლარი.

კითხვები თვიშემოწმებისათვის:

1. რა არის საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზის მიზანი;
2. ჩამოთვალეთ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები;
3. ჩამოთვალეთ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები;
4. დაახასიათეთ საოპერაციო და საფინანსო ციკლები;
5. როგორ გამოითვლება საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი;
6. რას ახასიათებს კოეფიციენტი: მატერიალური დანახარჯები შეფარდებული მასალის მარაგის საშუალო ნაშთთან;
7. ახსენით კოეფიციენტის ბუნება: შემოსავალი რეალიზაციიდან შეფარდებული ფულადი თანხების საშუალო წლიურ ნაშთთან.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი არის:**
   ა. მატერიალური მარაგების ფარდობა დანახარჯებთან
   ბ. რეალიზაციის ფარდობა მიმდინარე აქტივებთან
   გ. მიმდინარე აქტივების ფარდობა რეალიზაციასთან
2. **მასალის მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი არის**
   ა. მატერიალური დანახარჯების ფარდობა მასალის საშაულო წლიურ ნაშთთან
   ბ. მატერიალური დანახარჯების ფარდობა მზა პროდუქციის თვითღირებულებასთან
   გ. მასალის საშუალო წლიური ნაშთის ფარდობა მატერიალურ დანახარჯებთან
3. **მზა პროდუქციის მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის ხანგრძლიობა არის:**
   ა. ფარდობა წარმოების დანახარჯებსა და მზა პროდუქციის საშუალო წლიურ ნაშთს შორის
   ბ. ფარდობა შემოსავალსა და მზა პროდუქციის საშუალო წლიურ ნაშთს შორის
   გ. ფარდობა წელიწადის დღეების რიცხვსა და მზა პროდუქციის ბრუნვის რიცხვს შორის
4. კომპანიის წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან არის 67480 ლარი; საშუალო წლიური ნაშთები შეადგენს: ფულადი თნხების – 3450; მატერიალური მარაგების – 5700 და მოთხოვნების – 3940 ლარს.
   რას უდრის საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი:

ა. 10
ბ. 5
გ. 7

5. კომპანიის წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან არის 67480 ლარი; საშუალო წლიური ნაშთები შეადგენს: ფულადი თნხების – 3374; მატერიალური მარაგების – 5700 და მოთხოვნების – 3940 ლარს.

რას უდრის ფულის ბრუნვის რიცხვი:

ა. 10
ბ. 20
გ. 7

6. კომპანიის წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან არის 67480 ლარი; საშუალო წლიური ნაშთები შეადგენს: ფულადი თნხების – 3374; მატერიალური მარაგების – 5700 და მოთხოვნების – 3940 ლარს.

რას უდრის მოთხოვნების ინკასაციის პერიოდი:

ა. 20 დღე
ბ. 21,3 დღე
გ. 31 დღე

7. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლიობა გვიჩვენებს:

ა. რამდენი დღე სჭირდება ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას
ბ. ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერ შემობრუნდება
გ. ავანსირებული ღირებულების უკუგებას

8. საწარმოში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება არის 45800 ლარი, მათ შორის მასალის დანახარჯებია 25000 ლარი. მზა პროდუქციის საშუალო წლიური ნაშთი – 4700 და მასალის საშუალო წლიური ნაშთი – 3500 ლარია.

რამდენი დღე სჭირდება მასალის მარაგში ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებას:

ა. 29 დღე
ბ. 37 დღე
გ. 51,1 დღე

9. საწარმოში გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება არის 45800 ლარი, შემოსავალი რეალიზაციიდან – 53000 ლარი. მასალის დანახარჯებია 25000 ლარი. საშუალო წლიური ნაშთებია: მზა პროდუქციის – 4700, მასალის – 3500, მოთხოვნების – 3500; ფულადი თანხების – 3200 ლარი.

რას უდრის საოპერაციო ციკლის პერიოდი:

ა. 88,6 დღე
ბ. 134,7 დღე
გ. 112,7 დღე

10. წინა წელს საბრუნავი კაპიტალის ერთ შემობრუნებას – 34 დღე, ხოლო მიმდინარე წელს – 30 დღე დასჭირდა. წლიური საოპერაციო ხარჯები შეადგენდა 529250 ლარს.

რას უდრის ბრუნვადობის დაჩქარების შედეგად გამოთავისუფლებული ფულადი სახსრების სიდიდე:

ა. 5800 ლარი
ბ. 7560 ლარი
გ. 9642 ლარი

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 11.1.

ქვემოთ მოტანილი ინფორმაციის საფუძველზე გამოთვალეთ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი წელიწადში და ერთი ბრუნვის ხანგრძლიობა დღეებში:

	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (ლარი)	56890	57900
ფულადი თანხები	7900	5300
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	507950

ამოცანა 11.2.

ერთ-ერთი საწარმოს შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია (ლარებში):

მასალების საშაულო წლიური ნაშთი –	9800
დაუმთავრებელი პროდუქციის საშუალო წლიური ნაშთი –	5100
მზა პროდუქციის საშაულო წლიური ნაშთი –	12700
დებიტორული დავალიანებების საშ. წლიური ნაშთი –	12500
ფულადი თანხების საშუალო წლიური ნაშთი –	7400
კრედიტორული დავალიანებების საშუალო წლიური ნაშთი –	14000
მარტერიალური დანახარჯები წელიწადში –	156000
მზა პროდუქციის თვითღირებულება –	180000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება –	175000
შემოსავალი რეალიზაციიდან (მთლიანად ჯრედიტითაა გაყიდული) –	195000
კრედიტით შესყიდული მატერიალური მარაგები –	168000

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ საოპერაციო ციკლის ხანგრძლიობა;
2. გამოთვალეთ საფინანსო ციკლის ხანგრძლიობა.

ამოცანა 11.3.

მოცემულია (ლარებში):

	წინა წელს	მიმდინარე წელს
მიმდინარე აქტივები	15480	14950
ფულადი თანხები	4800	3100
საოპერაციო ხარჯები	80000	83860
შემოსავალი რეალიზაციიდან	94000	98000

მოთხოვნა:გამოთვალეთ საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების (ან შენელების) შედგად გამოთავისუფლებული (ან ბრუნვაში დამატებით მოზიდული) სახსრების რაოდენობა.

ამოცანა 11.4.

კომპანიას, სხავადასხვა ხარჯების დასაფარად წელიწადში 7,4 მლნ ლარი სჭირდება. სახელმწიფო ობლიგაციების წლიური საპროცენტო განაკვეთია 15%. ყოველი ერთი ცალი ობლიგაციის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯია 1,7 ლარი.

მოთხოვნა: გამოთვალეთ კომპანიისათვის საჭირო ფულის ოპტიმალური მოცულობა ბაუმოლის ფორმულით.

თავი 12. საწარმოს მოგებისა და მომგებიანობის ანალიზი

მოგება საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ფინანსურ შედეგს წარმოადგენს. თავის მხრივ, ფინანსური შედეგი შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. მეწარმე ბიზნესის საქმიანობას საბოლოოდ, მოგების მიღების თვალსაზრისით აფასებს, რადგან, მეწარმისათვის ბიზნესს იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც მას მოგება მოაქვს.

მოცემულ თავში შეისწავლით ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- საწარმოს ფინანსური შედეგების ანალიზის მიზანი და ამოცანები;
- მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა;
- მოგებისა და მომგებინობის ანალიზის მეთოდიკა;

12.1. ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანები

მეწარმე (ან საწარმო) მოგებას იყენებს კაპიტალის გასადიდებლად, პირადი სიმდიდრის გასაზრდელად, წარმოების გაფართოებისათვის, საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად, დასაქმებული პერსონალის წახალისებისა და დაჯილდოებისათვის, სხვადასხვა სოციალური პროგრამების დაფინანსებისა და ქველმოქმედებისათვის.

ამდენად, ესა თუ ის საწარმო იღებდეს მოგებას და იყოს მომგებიანი, ეს არა მხოლოდ საწარმოს მესაკუთრეთა, არამედ, დასაქმებული პერსონალის, სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ინტერესებშიც შედის. მოგების მიღების მიზნით მეწარმე ცდილობს რაციონალურად და რაც შეიძლება მაღალი შედეგიანობით გამოიყენოს მის ხელთ არსებული მატერიალური და შრომითი რესურსები. ამით იგი საზოგადოებრივ ამოცანასაც ასრულებს, რადგან რესურსები ზოგადად ამოწურვადია და საჭიროა ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილებები, რა აწამოო და როგორ აწარმოო.

საწარმოს ხელმძღვანელები პასუხისმგებლები არიან მათზე მინდობილი რესურსების ეფექტიან მართვაზე. წარმოება უნდა ფარავდეს ხარჯებს და დამატებით იღებდეს მოგებას. წარმოების ეფექტიანობა არ უარყოფს ხარჯების გაწევას. პირიქით, ხარჯის გაწევა აუცილებლია იმასათვის რომ მომავალში მიღებულ იქნეს ეკონომიკური წარმატებები. ამდენად, წარმოების ეფექტიანობის მიღწევა გულისხმობს არა იმას, რომ ადგილი არ ჰქონდეს დანახარჯებს, არამედ იმას, რომ შემოსავლები აღემატებოდეს ხარჯებს.

მოგება წარმოადგენს საწარმოს მუშაობის ეკონომიკურ ეფექტს. იგი არის საწარმოს საბოლოო დადებითი ფინანსური შედეგი. მასში ასახულია საწარმოს საქმიანობის ყველა მხარის ფუნქციონირების ხარისხი. ამიტომ, **მოგება საწარმოს ეკონომიკური ეგექტიანობის კომპლექსური, ნაერთი, ზოგადი მაჩვენებელია,**

რომელზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაში თუ მორალურ ქცევებში მომხდარი ყველა ქმედება.

მოგება წარმოადგენს წარმოების გაფართოების, მატერიალური სტიმულირების და დაგროვების საშუალებას. მაშასადამე, მოგების მიღების უზრუნველყოფა და მისი გადიდების გონივრული გზების ძიება საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ მიზნის მისაღწევად შესაბამისი ანალიზური მიდგომები გამოიყენება.

მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის მიზანია საწარმოს მომგებიანობის დონის შეფასება და მისი შემდგომი ამაღლების რეზერვების გამოვლენა.

ფინანსური შედეგების ანალიზის ამოცანებია:

- მოგების პროგნოზირების სრულყოფა;
- დანახარჯების შემცირების გზების დადგენა;
- შემოსავლების ზრდის გზების გამოვლენა;
- მოგებისა და მომგებიანობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- მომგებიანობის შედგომი ამაღლების ღონისძიებების შემუშავება.

ანალიზის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური ანგარიშგება და ბიზნეს-გეგმის მაჩვენებლები. აგრეთვე, საწარმოთა მომგებიანობის საშუალო დარგობრივი მაჩვენებლები.

12.2. მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა

საწარმოს ფინანსური შედეგების მაჩვენებლები ორ ჯგუფად: აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებად იყოფა.

I. აბსოლუტური მაჩვენებლები საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგის საერთო მოცულობას გამოხატავენ, როგორიცაა: მოგება ან ზარალი. მოგება არის სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. **მოგება არის ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი.** მოგების მიღება ნიშნავს, რომ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებულია დამატებითი შემოსავალი. მაგრამ ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმ მიზეზების გამოვლენა, რამ გამოიწვია მოგების ზრდა, რადგან, შესაძლოა მოგებას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ფასების ზრდის შედეგად, რაც რეალურ ეკონომიკურ ზრდად არ შეიძლება ჩაითვალოს.

საწარმოში მოგების მაჩვენებელი სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება. შესაბამისად გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები:

- მოგება რეალიზაციიდან;
- საოპერაციო მოგება;
- მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება);
- წმინდა მოგება;
- განაწილებული და რეინვესტირებული მოგება (იც. სქემა 12.2.1.)



სქემა 12.2.1. საწარმოს მოგების ფორმირების საფეხურები

სქემაზე 12.2.1. წარმოდგენილია თუ როგორ წარმოიშობა საწარმოს მოგება სხვადასხვა დონეზე. კერძოდ:

მოგება რეალიზაციიდან არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის.

აგრეთვე ცნობილა **ზღვრული მოგების მაჩვენებელი**, რომელიც არის სხვაობა შემოსავლებსა და ცვლად ხარჯებს შორის. მაგრამ, ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოს შიგნით, მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად დაგეგმვის დროს და არ წარმოადგენს ფინანსური ანალიზის სფეროს გარე ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელზე გავლენას ახდენენ შემოსავლისა და თვითღირებულების ცვლილება. შემდეგ კი თვით შემოსავლებსა და თვითღირებულებაზე მოქმედი ფაქტორები. როგორიცაა: რეალიზებული პროდუქციის რაოდენობა, ფასი, დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე და ცალკეული სახის დანახარჯების გამოყენების ხარისხი.

საოპერაციო მოგება არის საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული მოგება. იგი უდრის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული არასაწარმოო დანახარჯები, როგორიცაა: მარკეტინგის და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები. ანუ, საოპერაციო შემოსავლებს მინუს საოპერაციო ხარჯები.

საოპერაციო მოგების გადახრაზე გავლენას ახდენს რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედი ფაქტორები და აგრეთვე, მარკეტინგისა და ადმინისტრაციული ხარჯების ეფექტიანად გამოყენების ხარისხი. არასაწარმოო (მარკეტინგისა და ადმინისტრაციული) ხარჯების, პროდუქციის თვითღირებულებასთან ფარდობის კოეფიციენტის ზრდა, არ უნდა აღემატებოდეს შემოსავლებთან საოპერაციო მოგების ფარდობის კოეფიციენტის ზრდას.

მოგება დაბეგვრამდე (იგივე წლიური მოგება) უდრის საოპერაციო მოგებას მინუს საპროცენტო ხარჯები და პლუს საპროცენტო შემოსავლები. რასაკვირველია, ამ მაჩვენებლების ცვლილება დამატებით გავლენას ახდენს წლიური მოგების ცვლილებაზე.

წმიდნა მოგება არის სხვაობა დასაბეგრ მოგებასა და მოგების გადასახადს შორის. მაშასადამე, მასზე გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ნორმა და ყველა ის ფაქტორი, რაც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი.

გაუნაწილებელი მოგება არის წმინდა მოგებიდან გაცემული დივიდენდებისა და შექმნილი რეზერვების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგება. როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, მოგების გადასახადის საკანონდებლო მოთხოვნები საქართველოში შეიცვალა და წმინდა მოგება მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული დიდვიდენდებსა და რეინვესტირებაზე.

გამომდინარე იქედან, რომ მოგება არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, იგი წინა წლებთან შედარების დროს, ეფექტიანობის რეალურ ზრდას ვერ ახასიათებს. ამიტომ, გამოიყენება **ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელი – მომგებიანობა ანუ რენტაბელობა. იგი ახასიათებს მომგებიანობის დონეს პროცენტულად და ხარისხობრივი მაჩვენებელია.**

მოგებისა და მომგებიანობის შედარებითი დახასიათების დროს, აუცილებელია იმის შემეცნება, მათგან რომელია ფაქტორი (მიზეზი) და რომელია შედეგი. ანუ, მოგება ახდენს მომგებიანობაზე გავლენას, თუ პირიქით, მომგებიანობა ახდენს გავლენას მოგების სიდიდეზე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება რაოდენობრიობასა და თვისობრიობას შორის არსებული კავშირების ანალიზის საფუძველზე. საერთოდ, თვისობრიობა განსაზღვრავს რაოდენობრიობას. ეს კანონზომიერება კარგად ჩანს მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების შედარების დროს.

მოგება აბსოლუტური მაჩვენებელია, რომლის სიდიდე დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე ანუ მომგებიანობაზე. პერიოდის განმავლობაში რაც უფრო მაღალი ეფექტიანობით იმუშავებს საწარმო, მით მეტ მოგებას მიიღებს იგი. მიუხედავად იმისა, რომ მომგებიანობა პერიოდის ბოლოს გამოითვლება, მოგების შეფარდებით აქტივების ჯამთან, არ ნიშნავს, რომ მოგების სიდიდე ახდენს გავლენას მომგებიანობაზე.

მთელი პერიოდის განმავლობაში საწარმო როგორი ეფექტიანობითაც მუშაობდა, ფინანსური შედეგიც შესაბამისი იქნება. **ეფექტიანად მუშაობა ნიშნავს** იმუშაო დროის და რესურსების დასაშვები მინიმალური დანაკარგებით, საქმის მაღალი კომპეტენციის ფარგლებში. ესაა ცალკეული პიროვნებისა და მთელი დასაქმებული პერსონალის გუნდური ძალისხმება, რათა მიღებულ იქნას რაც შეიძლება მაღალი პოზიტიური ფინანსური შედეგი, რაც ყველა საწარმოს საბოლოო ეკონომიკურ მიზანს წარმოადგენს.

ამდენად, მთელი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად საწარმო (მისი პერსონალი) გამუდმებით რაღაც ეფექტიანობით მუშაობს. მაგრამ, მისი დონე მხოლოდ წლის ბოლოს ხდება გაზომვადი. მართალია ჯერ მოგება გამოითვლება და შემდეგ მომგებიანობა, მაგრამ, მომგებიანობის დონე უხილავად განსაზღვრავს ეფექტიანობას ანუ საქმიანობის ფინანსურ ხარისხიანობას მთელი წლის განმავლობაში. იგი იმთავითვე არსებობს, მაგრამ ცნობილი ხდება პერიოდის ბოლოს. მას შემდეგ, რაც მოგების მაჩვენებელი გამოითვლება, შესაძლებელი ხდება განისაზღვროს, როგორი ეფექტიანობით ანუ თვისობრიობით მუშაობდა პერსონალი. რაც უფრო მაღალი იქნებოდა ეს ეფექტიანობა, მით მეტი იქნება მოგების მთლიანი

მოცულობა პერიოდის ბოლოს და პირიქით. ამრიგად, მომგებიანობა არის ფაქტორი და მოგება შედეგი.

მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;

II.ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;

III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები შეიძლება სხვადასხვა ბაზის საფუძველზე იქნეს გამოთვლილი. როგორიცაა, აქტივების ჯამი, საოპერაციო ხარჯები, გამოყენებული კაპიტალი და ა.შ. მომგებიანობას რენტაბელობასაც მაჩვენებელსაც უწოდებენ.

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე} * 100}{\text{აქტივების ჯამი}} \qquad (12.2.1)$$

იგი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე. იგი მომგებიანობის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია და მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს. მისი ალტერნატიული მაჩვენებელია გამოყენებული (პერმანენტული) კაპიტალის უკუგება (ROCE).

$$\text{გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE)} = \frac{\text{მოგება \% და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდ.}} \qquad (12.2.2.)$$

იგი აჩვენებს გამოყენებული კაპიტალის საერთო უკუგებას მანამ, სანამ გადაიხდება პროცენტები აღებულ სესხებზე და მოგების გადასახადი. დინამიკაში ამ მაჩვენებლის ზრდა კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას ნიშნავს.

იგი საკუთარი სახსრებითა და გრძელვადიანი ვალდებულებებით შეძენილი რესურსების მომგებიანობის დონეს ახასიათებს. ხოლო, სხვაობა პირველ და მეორე მაჩვენებელს შორის, მოკლევადიანი რესურსების გამოყენების მომგებიანობას ახასიათებს. პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე არსებული მოგების მაჩვენებელი შეიძლება დაემთხვეს საოპერაციო მოგების მაჩვენებელს, თუკი საწარმოს საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები არ ექნება.

$$\text{წარმოების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება} * 100}{\text{მატერიალური მარაგები + ძირითადი საშუალებები}}; \qquad (12.2.3.)$$

მომგებიანობის ეს მაჩვენებელი ახასიათებს იმ აქტივების ეფექტიანობას, რომლებიც წარმოადგენენ პროდუქციის წარმოების საშუალებებს ანუ, რომელთა მეშვეობითაც იქმნება პროდუქტი.იგი ახასიათებს მოცემულ საწარმოში (ბიზნესში) გამოყენებული, საკუთრივ წარმოების საშუალებების მომგებიანობას, რადგან საოპერაციო მოგება მთლიანად მოცემული საწარმოს წარმოების საშუალებების

გამოყენების ხარისხზეა დამოკიდებული. დასაბეგრ მოგებაზე, როგორც იცით, გავლენას ახდენს საპროცენტო ხარჯები და საპროცენო შემოსავლები, რომელთა სიდიდე მოცემული კომპანიის მუშაობის ეფექტიანობაზე არაა დამოკიდებული. ამასთან, როდესაც მთელი აქტივების მომგებიანობას ვითვლით, აქტივებში შედის ნაყიდი აქციები და ობლიგაციები, საიდანაც მიღებული სარგებლის დონე მოცემული კომპანიის მუშაობის ხარისხზე ასევე, დამოკიდებული არაა.

აგრეთვე შეიძლება შესწავლილი იქნეს დამატებული ღირებულებისა და დაბანდებული კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტი (RE).

RE = დამატებული ღირებულება / დაბანდებულ კაპიტალი **(12.2.4.)**

დამატებული ღირებულება არის შრომითი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ჯამი.

შეიძლება აგრეთვე შესწავლილ იქნეს საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა:

$$\text{საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება} * 100}{\text{საოპერაციო ხარჯები}} \qquad (12.2..5)$$

მოტანილ ფორმულაში შეიძლება საოპერაციო ხარჯები დაიყოს საწარმოო და არასაწარმოო ხარჯებად და მათი ეფექტიანობა დინამიკაში ცალ-ცალკე იქნეს გამოკვლეული.

II. ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლები გამოითვლება წმინდა მოგების მაჩვენებლის მიხედვით ასევე სხავდასხვა ბაზის საფუძველზე. როგორიცაა:

$$\text{აქტივების ფინანსური რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება} * 100}{\text{აქტივები}} \qquad (12.2..6.)$$

იგი აჩვენებს თუ, აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე, საწარმოს მფლობელთა საკუთრებაში რამდენი პროცენტი მოგება რჩება.

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება} * 100}{\text{სააქციო კაპიტალი}} \qquad (12.2.7)$$

იგი აჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს და მეტად საინტერესოა აქციონერებისათვის. ეს მაჩვენებლები უკვე განხილულ იქნა საკუთარი კაპიტალის ანალიზის თავში.

წმინდა აქტივების მომგებიანობა (RONA) =
წმინდა მოგება / (გრძელვადიანი აქტივები + წმინდა მიმდინარე აქტივი) **(12.2.8)**

RONA – წმინდა აქტივების მომგებიანობაა (Return on net Assets) აჩვენებს, რამდენად კარგად შეუძლია საწარმოს გამოიყენოს მისი აქტივების ბაზა მოგების შესაქმნელად. რაც

უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მენეჯმენტის მართვის მით უფრო მაღალ ხარისხზე მიანიშნებს.

III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებია:

$$\text{მარჟა} = \frac{\text{მოგება რეალიზაციიდან} * 100}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}; \qquad (12.2.9)$$

მარჟა აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე და ასახავს საწარმოს მდგომარეობას საქონლის ბირჟაზე. მარჟა შეიძლება გამოითვალოს საოპერაციო მოგების შეფარდებით რეალიზიიდან მიღებულ შემოსავალთან.

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{საოპერაციო მოგება} * 100}{\text{რეალიზებული პროდუციის სრული თვითღირებულება}}; \qquad (12.2.10)$$

ფასნამატი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ დანახარჯებზე. ფასნამატს ძირითადი საქმიანობის (წარმოების) რენტაბელობასაც უწოდებენ. იგი ყოველთვის აღემატება მარჟას. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებს აგრეთვე იყენებენ მოგება/ზარალის ანგარიშგების შესადგენად, არასრული სააღრიცხვო ჩანაწერების დროს. საწარმოს შიდა მართვაში აგრეთვე ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობის ანალიზიც ტარდება.

$$\text{NINS} = \text{წმინდა მოგება} / \text{მოგება რეალიზაციიდან} \qquad (12.2.11)$$

ეს კოეფიციენტი ახასიათებს იმას, თუ რეალიზაციიდან მიღებული მოგების რამდენი პროცენტი რჩება საწარმოს მესაკუთრეებს

საერთოდ, წმინდა მომგებიანობა ახასიათებს საწარმოს მმართველობის მუშაობის ეფექტიანობის ხარისხს. მისი ოპტიმალური დონე დამოკიდებულია კონკრეტული საწარმოს საქმიანობის ტიპზე.

12.3. საწარმოს მოგების ანალიზის მეთოდიკა

მოგების ანალიზის მთავარი მიზანია მოგების გადიდების რეზერვების გამოვლენა. ამ მიზნის მისაღწევად **საჭიროა მოგების ანალიზის შემდეგი საფეხურების გავლა:**

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება და ანალიზური ცხრილების შედგენა;
- მოგების მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;
- მოგებაზე შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების გავლენის ანალიზი;
- რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზი;
- მოგების გამოყენების ანალიზი.

მოგებ/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცის საფუძველზე შედგება მოგების მაჩვენებლების დინამიკის ცხრილი (იხ. ცხრილი 12.3.1) და მოხდება მოგების მაჩვენებლების დინამიკის ურთიერთშედარებითი დახასიათება.

ცხრილი 12.3.1.

სს „კოლხეთის“ მოგების მაჩვენებლების დინამიკა

მოგების მაჩვენებლები	2013	2014		2015		2016		2017	
	ათ. ლ	ათ. ლ	%-ად	ათ. ლ	%-ად	ათ. ლ	%-ად	ათ. ლ	%-ად
1. მოგება რეალიზაციიდან	15000	11000	73,3	11500	76,7	12400	82,7	22090	147,3
2. საოპერაციო მოგება	12895	9500	73,7	10000	77,5	11000	85,3	14140	109,7
3. მოგება დაბეგვრამდე	13495	10200	75,6	10800	80,0	11400	84,5	13120	97,2
4. წმინდა მოგება	11875	9000	75,8	9550	80,4	10100	85,1	11920	100,4
5. გაუნაწილებელი მოგება	1675	1200	83	1250	146	900	87	-	-

როგორც წესი, რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება არასაწარმოო (მარკეტინგისა და ადმინისტრაციული) ხარჯების გამოყენების არაეფექტიანობას და მენეჯმენტმა უნდა განახორციელოს სათანადო ღონისძიებები მმართველობით დანახარჯებში ეკონომიის მიღწევის მიზნით.

როცა დასაბეგრი მოგების ზრდის ტემპი აღემატება რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპებს, ეს ნიშნავს, რომ საწარმოში გაიზარდა სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და მიღწეულია ეკონომია პერიოდის ხარჯებში.

წმინდა მოგების ზრდის ტემპი თუ აღემატება გაუნაწილებელი მოგების ზრდის ტემპებს, ეს ნიშნავს, რომ წმინდა მოდების დიდი ნაწილი დივიდენდების გასაცემად და რეზერვების შესაქმნელად იქნა გამოყენებული.

გაუნაწილებელი მოგების ზრდის მაღალი ტემპები იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოში არსებობს დივიდენდების გაცემის, წარმოების გაფართოების, მუშახელის დამატებითი დასაქმებისა და არსებული მუშახელის მატერიალური წახალისების ზრდის რეზერვები.

ანალიზის შემდეგ საფეხურზე ხდება წმინდა მოგების ელემენტების: შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურული შესწავლა. შემოსავლების ზრდა იმავე თანხით ზრდის მოსალოდნელ მოგებას. ხოლო, ხარჯების ზრდა, იმავე თანხით ამცირებს მას.

12.3.2. ცხრილში გამოთვლილი გადახრების ანალიზი აჩვენებს, რომ 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს მოგების ყველა მაჩვენებელი გაზრდილია. გაზრდილია შემოსავლებიც და ხარჯებიც. კერძოდ, რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 4590 ათ. ლარით, მთლიანი შემოსავლები 4720 ათ. ლარით, მთლიანი ხარჯები კი 4600 ათ. ლარით გაიზარდა.

12.3.2. ცხრილის მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ საანალიზო საწარმოში, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯებიც.

ადრე განხილულ იქნა, რომ ბიზნესი აქტიური და ეფექტიანი რომ იყოს, დაცულ უნდა იქნეს პირობა, რომელსაც „ეკონომიკის ზრდის ოქროს წესს უწოდებენ“. კერძოდ:

წლიური (ან საოპერაციო) მოგების ტემპი > რეალიზაციის ტემპი > სულ ავანსირებული კაპიტალის ტემპი (ბალანსის ჯამი) > 100

ცხრილი 12.3.2.

ცვლილებები სს „კოლხეთის“ შემოსავლებსა და ხარჯებში 2017 წლის მდგომარეობით

შემოსავლები და ხარჯები	2016	2017	
	ათას ლარ.	ათას. ლარ.	გადახრა წინა წლიდან
შემოსავლები:			
ამონაგები რეალიზაციიდან	77 800	95 690	+17890
გაგზავნილი საქონლის უკან დაბრუნება	-	-	
გაცემული ფასდათმობა	-	-	
შემოსავალი რეალიზაციიდან	77 800	95 690	+17890
დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა	190	120	-70
საოპერაციო შემოსავლები	77 990	95 810	+17820
საპროცენტო შემოსავლები	-	200	+200
გაუთვალისწინებელი შემოსავლები	-	-	-
სულ შემოსავლები	77 990	96 010	+18020
ხარჯები:			
მატერიალური დანახარჯები	30 500	44 870	+11270
შრომითი დანახარჯები	31 300	32 500	-4460
ცვეთა და ამორტიზაცია	2 000	2 240	+ 240
ფულადი საოპერაციო ხარჯები	1 900	2 060	+ 160
საოპერაციო ხარჯები	65 700	81 670	+16130
საპროცენტო ხარჯები	890	1 220	+330
განსაკუთრებული ხარჯები	-	-	-
სულ ხარჯები	66 590	82 890	+16300
მოგება დაბეგვრამდე	11 400	13 120	+1720
მოგების გადასახადის ხარჯი (15%)	(1 300)	(1 200)	−100
წმინდა მოგება	10 100	11 920	+1820

საანალიზო საწარმოს მაჩვენებლები ჩავსვათ მოცემულ უტოლობაში და მიიღება:

101 < 102 < 146 > 100

როგორც ხედავთ, აუცილებელი პროპორციები დარღვეულია. საანალიზო საწარმოში ადგილი არა აქვს რეალურ ეკონომიკურ ზრდას და სტაბილურობას..

საწარმოს მენეჯმენტი ასევე შეისწავლის რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფაქტორულ ანალიზის შედეგებს. კერძოდ, ცალკეული სახის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გადახრის გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად, გაიზომება:

ა. ფასის ცვლილების გავლენა, რომელიც უდრის: ერთი ცალი პროდუქტის ფასის გადახრა გეგმიდან, გამრავლებული რეალიზებული პროდუქციის ფაქტიურ რაოდენობაზე.

ბ. პროდუქციის რაოდენობის ცვლილების გავლენა უდრის: გადახრა რაელიზებული პრდოუქციის რაოდენობაში, გამრავლებული გეგმურ ფასზე.

გ. დანახარჯების ცვლილების გავლენა კი გეგმური სიდიდან მათი გადახრის ტოლია.

ინფორმაციის გარე მომხმარებლების მიერ შეიძლება გაიზომოს მთლანი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედი შემდეგი ფაქტორების გავლენა: რეალიზებული პროდუქციის ფასების ცვლილების გავლენა, პროდუქციის მოცულობის ცვლილების და მთლიანი თვითღირებულების ცვლილების გავლენა.

საილუსტრაციო მაგალითი:

	2016	2017	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან (ათ.ლ)	77 800	95 690	+17890
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(65 400)	(73 600)	+8200
მოგება რეალიზაციიდან (ათ.ლ)	12 400	22 090	+9690

როგორც გაანგარიშებებიდან ჩანს, პროდუქციის რელიზაციიდან მიღებული მოგება წინა წელთან შედარებით 9690 ათასი ლარით გაიზარდა. ეს გადახრა გამოწვეულია შემდეგი ძირითადი ფაქტორების გავლენით:

- რეალიზებული პროდუქციის მოცულობის ცვლილება;
- პროდუქციის ფასების ცვლილება;
- რეალიზებული პრდოდუქციის თვითღირებულების ცვლილების გავლენა.

რეალიზაციის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 123%-ით (95690/77800*100), რომელიც მოიცავს რეალიზებული პროდუციის რაოდენობის ცვლილებისა და პროდუქციის ფასების ცვლილების გავლენას. თუკი დავუშვებთ, რომ ფასების საშუალო ინდექსი 2017 წელს, წინა წლის მიმართ შეადგენს 1,05, მაშინ 95690-ის 5%, ფასების ზრდის გავლენა იქნება. ამრიგად:

ფასების ცვლილების გავლენა = 95690 * 0,05 = +4784,5 ათ. ლ

რეალიზებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების გავლენა =
= 17890 – 4784,5 = +13105,5 ათ.ლ

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების გავლენა = – 8200 ათ.ლ

რეალიზაციიდან მიღებული მოგების საერთო გადახრა + 9690 ათ.ლ

როგორც გაანგარიშებებმა აჩვენა, ფასების ცვლილების გავლენის შედეგად მოგების მოსალოდნელი სიდიდე 4784,5 ათ. ლარით გაიზარდა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქტი მაღალხარისხიანი იყო. რეალიზაციის მოცულობის ცვლილების ზეგავლენით მოგება 13105,5 ათ.ლარით გაიზარდა, რეალიზებული პროდუქიის თვითღირებულების ზრდამ კი მოგება 8200 ათასი ლარით შეამცირა. ამიტომ, უფრო დეტალური ანალიზი ჭირდება დანახარების ზრდის მიზეზების დადგენას. კერძოდ, თვითღირებულების ზრდა

შეიძლება გამოწვეული იყოს გამოყენებული რესურსების ფასების ზრდით და ერთ ლარ შემოსავალზე დანახარჯების დონის ამაღლებით. ამ უკანასკნელზე კი ცალკეული სახის რესურსის გამოყენების ეფექტიანობა ახდენს გავლენას. ასე, რომ მენეჯმენტმა უფრო დეტალური ანალიზი უნდა ჩაატაროს, რადგან მოგების ზრდის ძირითადი რეზერვები სწორედ ცალკეული სახის რესურსების გამოყენების ექფექტიანობაზე მოდის.

წლიური მოგების ცვლილებაზე გავლენას ახდენს ის ფაქტორები, რაც რეალიზაციიდან მიღებული მოგების მაჩვენებელზე ზემოქმედებენ და აგრეთვე, არასაოპერაციო ხარჯებისა და შემოსავლების ცვლილებები.

წმინდა მოგების სიდიდეზე გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ნორმის ცვლილება. საწარმოს მენეჯმენტი ასევე უნდა ახდენდეს წმინდა მოგების გამოყენების ანალიზს. როგორც ცნობილია, კომპანიის საერთო კრების გადაწყვეტილებებით ხდება წმინდა მოგებიდან დივიდენდების გაცემა და სხვადასხვა სახის რეზერვების შექმნა მოგების რეინვესტირების მიზნით. დავუშვათ საანალიზო საწარმოში ადგილი აქვს შემდეგ ინფორმაციას (იხ. ცხრილი 12.3.3.)

ცხრილი 12.3.3.

საანალიზო საწარმოს წმინდა მოგების გამოყენების მაჩვენებლები

წმინდა მოგების გამოყენება	2013		2016		2017	
	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ/წ %
წმინდა მოგება	11875	100	10100	100	11920	100
გამოყენება:						
დივიდენდებზე	6975	58,7	8400	83,1	6800	57,0
წარმოების გაფართოების რეზერვი	2400	20,2	500	5,0	3000	25,2
მუშაკთა სტიმულირების რეზერვი	700	5,9	300	3,0	1120	9,4
რისკის რეზერვი	1000	8,4	-		1000	8,4
გაუნაწილებელი მოგება	800	6,8	900	8,9	-	-

12.3.3. ცხრილის მონაცემების საფუძველზე შეისწავლება რამდენად ეფექტიანად და სამართლიანად არის კომპანიის მოგება განაწილებული და გამოყენებული. თუ ბიზნესი მაღალი რისკით ხასიათდება, უნდა არსებობდეს რისკის რეზერვი. აგრეთვე, აუცილებელია მუშაკთა სტიმულირების რეზერვის შექმნა.

12.4. საწარმოს მომგებიანობის ანალიზის მეთოდიკა

საწარმოს მომგებიანობა (ანუ რენტაბელობა), როგორც ცნობილია ფარდობითი მაჩვენებელია და პროცენტულად გამოიხატება. იგი არის ხარისხობრივი მაჩვენებლი და ახასიათებს მოგების პროცენტულ სიდიდეს საქმიანობის რომელიმე მაჩვენებლის მიმართ. როგორც უკვე წინა საკითხშია განხილული, მოგების ფარდობა შეიძლება მოხდეს აქტივების ჯამის, წარმოების დანახარჯების, შემოსავლები, წარმოების საშუალებების, გამოყენებული კაპიტალი და სხვათა მიმართ.

მომგებიანობის ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის თავმოყრა და ანალიზური ცხრილების შედგენა;
- მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;
- მომგებიანობის შერჩეული მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზი;
- მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება.

მომგებიანობაზე (რენტაბელობაზე) მოქმედი ფაქტორებია:

- შემოსავლების მომგებიანობა;
- რეალიზებული პროდუქციის ხარისხი და გასაყიდი ფასები;
- მატერიალური დანახარჯების გამოყენების ეფექტიანობა;
- შრომითი დანახარჯების გამოყენების ეფექტიანობა;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა;
- მმართველობითი და ფინანსური ხარჯების ეფექტიანობა;
- საწარმოს მმართვის მოქნილობა და ეფექტიანობა.

ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვების შემდეგ მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკა შეისწავლება. 12.4.1. ცხრილში საანალიზო საწარმოს მომგებიანობის რამდენიმე ძირითადი მაჩვენებელია გამოთვლილი. იგი სამუშაო ცხრილია. მასში მოცემული ის მოცულობითი მაჩვენებლებიც, რომელთა საფუძველზეც რენტაბელობის სხვადასახვა მაჩვენებელია გამოთვლილი.

აღებულ საკვლევ პერიოდში მომგებიანობის ყველა მაჩვენებელი დინამიკაში გაუარესებულია, რადგან მათი ტემპები შემცირების ტენდენციის ხასიათდება. ასე მაგალითად, აქტივების მომგებიანობა 2013 წლის 52,%-დან 2017 წელს 94,4%-მდე დაეცა. სააქციო კაპიტალის უკუგება 134,4%-დან 2017 წელს 74,4%-მდე დაეცა და ა.შ. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ აქტივების და სააქციო კაპიტალის ზრდის ტემპები, მოგების ზრდის ტემპებს წინ უსწრებდა ანუ ბოლო წლებში რესურსები ნაკლები ეფექტიანობით გამოიყენებოდა.

ცხრილი 12.4.1.

მომგებიანობის მაჩვენებლების სამუშაო ცხრილი
2013 – 2017 წლების მიხედვით

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017
1. აქტივები	22700	22430	23460	24810	36130
2. გრძელვადიანი ვალდებულებები	4200	4000	4300	5000	7040
3. სააქციო კაპიტალი	5730	8190	8500	8820	10720
4. წლიური მოგება	13495	10200	10800	11400	13120
5. საოპერაციო მოგება	12895	9500	10000	11000	14140
6. წმინდა მოგება	11875	9000	9550	10100	11920
7. საკუთარი კაპიტალი	9940	12430	12740	13020	18160
8. პერმანენტული კაპიტალი [2+7]	14140	16430	17040	18020	25200
მომგებიანობის მაჩვენებლები:					
აქტივების მომგებიანობა (ROA) [4:1]	0,594	0,455	0,460	0,459	0,363
გამოყენ. კაპიტალის უკუგება (ROCE) [5:8]	0,912	0,578	0,587	0,610	0,561
სააქციო კაპიტალის უკუგება (ROE) [6:3]	2,072	1,099	1,124	0,145	1,112
აქტივების ფინანსური რენტაბელობა [6:1]	0,523	0,401	0,407	0,407	0,330

დინამიკური ცხრილის მომზადების შემდეგ დინამიკის გრაფიკების აგება ძალიან სასარგებლოა, რადგან გრაფიკზე უფრო თვალსაჩინოდ ჩანს მაჩვენებელთა ცვლილების ტენდენციები (იხ. დიაგრამა 12.4.1.).

დიაგრამაზე ნათლად სჩანს, სააქციო კაპიტალის ზრდის ტემპები რამდენად მაღალია წმინდა მოგების ზრდის ტემპებთან შედარებით, რის გამოც სააქციო კაპიტალის უკუგების მრუდი დაბლა იხრება. როგორც წესი, 100%-ის ზემოთ მატებაა, ქვემოთ კი შემცირება. მოგების შემცირებას რესურსების არაეფექტიანი გამოყენება იწვევს. მართლაც, ჩვენს მაგალითზე, აქტივების საერთო მომგებიანობა ყოველწლიურად მცირდებოდა (იხ. ცხრილი 12.4.1.). ასევე, ერთ დიაგრამაზე შეიძლება აიგოს ცხრილში მოცემული მომგებიანობის ოთხივე ნაჩვენებლის მრუდი.



დიაგრამა 12.4.1. საანალიზო საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებლების გრაფიკები
1 – აქტივების მომგებანობა (ROA); 2 – გამოყენებული კაპიტალის უკუგება (ROCE);
3. სააქციო კაპიტალის უკუგება (ROA).

მაშასადამე, დიაგრამაზე აშკარად ჩანს, რომ საანალიზო საწარმოში მომგებიანობის სამივე მთავარი მაჩვენებელი საკვლევ პერიოდში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამ შემთხვევაში აუცილებელია კონტროლი გაძლიერდეს რესურსების უფრო უკეთ გამოყენების მიმართულებით.

დინამიკური ანალიზის შემდეგ საჭიროა მომგებიანობის მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გამოთვლა. როგორც იცით, დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზის ჩატარებისათვის საანალიზო მაჩვენებელი დავშლილ უნდა იქნას მასზე მოქმედ ფაქტორებად და მათი კავშირი წარმოდგენილ იქნეს ფორმულის ანუ მწკრივის სახით. ამასთან, რადგან მომგებიანობის ანუ რენტაბელობის მაჩვენებლები ფარდობითი მაჩვნებლებია, მათზე მოქმედი ფაქტორებიც ფარდობითი მაჩვენებლები უნდა იყოს.

ასე მაგალითად, აქტივების საერთო მომგებიანობა, რომელიც წლიური მოგების აქტივებთან ფარდობით გამოითვლება, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მასზე მოქმედი ფაქტორ-მაჩვენებლების შემდეგი მწკრივის სახით:

$$\frac{\text{წლიური მოგება}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{წლიური მოგება}}{\text{შემოსავლები}} * \frac{\text{შემოსავლები}}{\text{ძირითადი საშუალებ.}} * \frac{\text{ძირით. საშუალებები}}{\text{აქტივები}}; \quad (12.4.1)$$

დაკავშირების მოცემულ მოდელში (ფორმულაში) სამი ფაქტორ-მაჩვენებელია წარმოდგენილი, რომლებიც ფარდობით მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

პირველი ფაქტორი: მოგების ფარდობა შემოსავლებთან – იგი მოგების ნორმაა (მარჟა) და ახასიათებს რამდენი პროცენტი მოგება მოაქვს ყოველ ერთ ლარ შემოსავალს. იგი რაც უფრ ახლოსაა ერთთან, მით მაღალია შემოსავლების მარჟა და სხვა თანაბარ პირობებში, აქტივების მომგებიანობა იზრდება.

მეორე ფაქტორი: არის ფონდუკუგება, რომელიც აჩვენებს რამდენი ლარის შემოსავალია მიღებული ყოველ ერთ ლარ ძირითად საშუალებებზე. რაც უფრო მაღალი იქნება ფონდუკუგება, სხვა თანაბარ პირობებში, აქტივების მომგებიანობის მოსალოდნელი დონეც გაიზრდება.

მესამე ფაქტორი: ეს არის ძირითადი საშაულებების წილი აქტივებში. მისი ზრდა ნიშნავს წარმოების ტექნიკური დონის ზრდას და შესაბამისად იზრდება აქტივების ეფექტიანობაც.

სააქციო კაპიტალის უკუგების მაჩვენებლის ფაქტორული ანალიზი განხილულია მეათე თავში.

დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზისათვის, შეიძლება ასევე ფაქტორ-მაჩვენებელების დაკავშირების მწკრივის სახით იქნეს წარმოდგენილი აქტივების ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებელი (წმინდა მოგება/აქტივები). ასე მაგალითად:

$$\frac{\text{წმ.მოგება}}{\text{აქტივები}} = \frac{\text{წმ. მოგება}}{\text{მოგება \%-მდე}} * \frac{\text{მოგება \%-მდე}}{\text{წლიური მოგება}} * \frac{\text{წლიური მოგება.}}{\text{შემოსავალი}} * \frac{\text{შემოსავალი}}{\text{აქტივები}}; \quad (12.4.2)$$

აქ ოთხი ფაქტორია წარმოდგენილი: მოგების სტრუქტურის ორი მაჩვენებელი, მოგების ნორმა და ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი. ანალიზისათვის ჩვეულებრივ, აბსოლუტური სახვაობის ხერხი გამოიყენება.

აქტივების საერთო მომგებიანობაზე გავლენას ახდენს აქტივების სტრუქტურა, დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, რეალიზებული პროდუქციის ხარისხიანობა და ფასები, მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების ხარისხი.

დეტერმინირებული ანალიზისათვის შეიძლება გაანალიზდეს დანახარჯები მოგების ერთ ლარზე, რის შედეგადაც გამოვლენილი იქნება რომელი სახის რესურსის გამოყენება ზრდიდა ან ამცირებდა მოგებას წინა წელთან ან გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით. **ამ კოეფიციენტს შეიძლება მოგების ხარჯტევადობა ვუწოდოთ.**

$$\text{მოგების ხარჯტევადობა} = \frac{\text{წლიური ხარჯები}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} =$$

$$= \frac{\text{მატერიალური ხარჯები} + \text{შრომითი ხარჯები} + \text{ცვეთის ხარჯი}}{\text{(მოგება დაბეგვრამდე (ანუწლიური მოგება)}} \quad (12.4.3)$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, საშუალოდ, რამდენი ლარის ხარჯი იყო გაწეული ყოველი ერთი ლარი წლიური მოგების მისაღებად. ამ მაჩვენებლის ანალიზური ღირსება იმაშიც მდგომარეობს, რომ წილადის მრიცხველი შეიძლება დანაწევრებულ იქნეს ხარჯების ნებისმიერი დეტალიზაციით და გაკეთდეს დასკვნები, კონკრეტულად რომელი სახის დანახარჯების უკეთ გამოყენებაა საჭირო მოგების შემდგომი ზრდისთვის. ანუ ძალიან მარტივად შეიძლება მოგების ამაღლების კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება შიდა ანალიზში. ფაქტორთა გავლენის გასაზომად გამოიყენება აბსოლუტური სხვაობის ხერხი.

მომგებიანობის ცვლილებაზე აგრეთვე გავლენას ახდენს შრომისნაყოფიერების ცვლილება. რაც უფრო მწარმოებლურია გამოყენებული შრომა, სხვა თანაბარ პირობებში,

მომგებიანობაც გაიზრდება. მაგრამ მისი გავლენის გაზომვა დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზით მოუხერხებელია. ფაქტორთა დაკავშირების ფორმულის სახით მას ვერ წარმოვადგენთ. შრომისნაყოფიერება საწამოს მასშტაბით, გამოითვლება წლიური პროდუქციის შეფარდებით დასაქმებულთა საშუალო სიობრივ რიცხვთან, რომელიც აჩვენებს, წლის განმავლობაში რამდენი ლარის პროდუქციაა გამოშვებული ყოველ ერთ დასაქმებულზე.

შრომითი და სხვა, ცალკეული სახის რესურსების გამოყენების ეფექტიანობა შეიძლება მოგების ხარჯტევადობის ფორმულის ანალიზით იქნეს შესწავლილი, გამოვლენილი გადახრების შესაბამისად. ხოლო, დინამიკაში, შრომისნაყოფირების ცვლილების კავშირი მომგებიანობის ცვლილებასთან, კორელაციური ანალიზით შეიძლება იქნეს გამოკვლეული (იხ. ცხრილი 12.4.2). ამასთან, **შრომისნაყოფიერება შესაძლებელია გამოითვალოს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ფარდობით 365 დღესთან**.

ცხრილი 12.4.2.

კორელაცია შრომისნაყოფიერბასა და აქტივების მომგებიანობას შორის

წლები	x შრომისნა-ყოფიერება	y აქტივების მომგებიანობა	X^2	Y^2	x * y
2012	216	0.50	46656	0,25	108
2013	217	0,594	46829	0,3528	128,5
2014	200	0,455	40000	0,2070	91
2015	208	0,46	43347	0,2116	95,8
2016	213	0,459	45454	0,2107	97,9
2917	262	0,363	68749	0,1318	95,2
ჯამი ∑	1316	2,831	107,05	1,3639	616,4

კორელაციის კოეფიციენტის ფორმულის საფუძველზე მიიღება:

$$r = 0,479$$

როგროც აღმოჩნდა, კორელაციის კოეფიციენტი ერთიდან საკმაოდ დაშორებულია. მაშასადამე, საანალიზო მაჩვენებლებს: შრომისნაყოფიერებასა და აქტივების მომგებაინობის მაჩვენებლებს შორის საშუალო დონის კორელაცია არსებობს.

დეტერმინაციის კოეფიციენტი იქნება:

$$D = 0,479^2 = 0,402 \text{ ანუ } 22,9\%.$$

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში აქტივების მომგებიანობის ცვლილების მხოლოდ 22,9% - შრომისნაყოფიერების ცვლილებით იყო გამოწვეული. დანარჩენი კი სხვა ფაქტორებზე მოდიოდა.

აგრეთვე გამოითვლება მომგებიანობის ვარიაციის კოეფიციენტი. ამ მიზნით, ჯერ მისი საშუალო კვადრატული გადახრა გამოითვლება.

საშუალო კვადრატული გადახრა = $[1,3639/6 - (2,831/6)^2]^{1/2} = (0,2273 - (0,4718)^2)^{1/2} = 0,0686$

ვარიაციის კოეფიციენტი (v) = 0,0686 *100 /0,4718 = 14,5 %

ვარიაციის კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა 100-თან, მით მაღალია საანალიზო მაჩვენებლის მერყეობის ხარისხი. ამდენად, საანალიზო საწარმოში, აქტივების მომგებიანობა, აღებულ ექვსწლიან პერიოდში მაღალი მერყეობით არ ხასიათდებოდა.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა განსხვავებაა მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლებს შორის;
2. ჩამოთვალეთ მოგების სხვადასხვა მაჩვენებლები;
3. რა მიმართულებებით შეიძლება გამოითვალოს ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;
4. რას ნიშნავს ფინანსური მომგებიანობა;

5. რა არის მომგებიანობის ანალიზის მიზანი;
6. ჩამოთვალეთ მომგებინობაზე მოქმედი ფაქტორები;
7. დაახასიათეთ აქტივების ფინანსური რენტაბელობის ფაქტორთა დაკავშირების მწკრივი.

ტესტები

1. **საწარმოს ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი არის**:
   ა. მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწლებელი მოგების ჯამის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
   ბ. წმინდა მოგებისა და საკუთარი კაპიტალის ფარდობა
   გ. სააქცი კაპიტალისა და წმინდა მოგების ფარდოაბა
2. **აქტივების საერთო მომგებიანობა აჩვენებს:**
   ა. რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ დანახარჯებზე
   ბ. რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე
   გ. არცერთი პასუხი არაა სწორი
3. **აქტივების ფინანსური რენტაბელობა აჩვენებს:**
   ა. რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთ ლარ აქტივზე
   ბ. რამდენი პროცენტი გაუნაწილებელი მოგება დაგროვდა ერთ ლარ აქტივზე
   გ. რამდენი პროცენტი წმინდა მოგება მიიღება ერთ ლარ აქტივზე
4. **საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი აჩვენებს:**
   ა. საწარმო რამდენ წელს იქნება მომგებიანი
   ბ. ინვესტორები რამდენ წელში აინაზღაურებენ დაბანდებულ კაპიტალს
   გ. აქციონერები რამდენი წლის განმავლობაში მიიღენენ დივიდენდს
5. საწარმოს ფინანსური ანგარიშგებით, მიმდინარე ატივები 45000, გრძელვადიანი აქტივები – 75000, მოგება დაბეგვრამდე – 16500 და წმინდა მიგება 13200 ლარია.
   აქტივების საერთო მომგებიანობა იქნება:
   ა. 12 %
   ბ. 13,75 %
   გ. 15,45 %
6. **დინამიკაში, საწარმოს რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპი წინ უსწრებს წლიური მოგების ზრდის ტემპს, როდესაც:**
   ა. საწარმოს პერიოდის ხარჯების ზრდის ტემპი წინ უსწრებს თვითღირებულების ზრდის ტემპს
   ბ. თვითღირებულების ზრდის ტემპი აღემატება პერიოდის ხარჯების ზრდის ტემპს
   გ. პერიოდის ხარჯების ზრდის ტემპები აღემატება წმინდა მგების ზრდას
7. **წმინდა მოგების ზრდის ტემპი თუ აღემატება წლიური მოგების ზრდის ტემპს, ეს ნიშნავს, რომ:**
   ა. მოგებიდან გადასახადის სიდიდე შემცირდა
   ბ. წმინდა მოგება მთლიანად იქნა დატოვებული საწარმოში
   გ. წმინდა მოგების დიდი ნაწილი გაცემულია დივიდენდებზე და რეზერვების შესაქმნელად
8. **თუ წინა წელთან შედარებით, საწარმოს მოგების ზრდის ტემპი ჩამორჩება აქტივების ზრდის ტემპს, მაშინ აქტივების მომგებიანობა:**
   ა. გაიზრდება
   ბ. შემცირდება
   გ. არ შეიცვლება
9. **საწარმოში აქტივების მომგებიანობის საშუალო კავადრატული გადახრა განვლილ** ექვსი წლის განმავლობაში იყო 0,0134, საშუალო არითმეტიკული კი 0,18.
   რას უდრის ვარიაციის კოეფცენტი:
   ა. 9,3 %
   ბ. 7,4 %
   ც. 4,7 %

10. საწარმოს წლიური მოგება წინა წელს – 45700 და მიმდინარე წელს – 52400 ლარს შეადგენს.

მოგების ზრდის და მატების ტემპები წინა წელთან შედარებით არის:

ა. 114,7 % და 14,7 %
ბ. 14,7 % და 114,7 %
გ. 87,2 % და 12,8 %

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 12.1.

ერთ-ერთი საწარმოო კომპანიის წლიური ანგარიშგება მოგება/ზარალის შესახებ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

	წინა წელი (ლარი)	მიმდინარე წელი (ლარი)	გადახრა
შემოსავალი რეალიზაციიდან	25 000	27 400	+ 2400
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(18 750)	(20 200)	+ 1450
მოგება რეალიზაციიდან	6 250	7 200	+ 950
კომერციული ხარჯები	(2 900)	(900)	– 2000
ადმინისტრაციული ხარჯები	(2 600)	(5 000)	+ 2400
მოგება	750	1 300	+ 550

მოთხოვნა: გამოთვალეთ მოგების ნორმა, ფასნამატი %-ად, მოგების შემოსავლიანობა და ხარჯტევადობა.

ამოცანა 12.2.

ერთ-ერთი კომპანიის ანგარიშგების საფუძველზე, მოცემულია შრომისმწარმოებლურობისა და აქტივების საერთო მომგებიანობის მაჩვენებლები განვლილი პერიოდისათვის:

წლები	აქტივების მომგებიანობა	შრომის მწარმოებლურობა
(ათ, ლარი)		
2007	0,1205	3,7
2008	0,1273	3,7
2009	0,1303	3,5
2010	0,1277	3,3
2011	0,1234	2,9
2012	0,1164	2,7

მოთხოვნა: 1. გამოთვალეთ კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტები.
2. გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები.

ამოცანა 12.3.

არსებობს აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელზე მოქმედ ფაქტორთა კავშირის შემდეგი მწკრივი და გამოთვალეთ ფაქტორთა გავლენა:

მოგება /აქტივები = მოგება/ამონაგები * ამონაგები / ძირით. საშ. * ძირით. საშ. /აქტივები

მაჩვენებლები	წინა წელს	მიმდინარე წელს	გადახრა
აქტივების მომგებიანობა	0,146	0,164	+ 0,018
ფაქტორები:			
მოგების ნორმა	0,191	0,20	+ 0,009
ფონდუკუგება	1,689	1,54	– 0,149
ძირით.საშ.ხვ. წილი	0,452	0,531	+ 0,079

თავი 13. საწარმოს ლევერიჯის კოეფიციენტების ანალიზი



კომპანიის ლევერიჯის კოეფიციენტები შეისწავლის იმ დაძაბულობის ხარისხს, რომელსაც საწარმოში წარმოშობს აღებული სესხების გამოყენება ფინანსური ოპერაციების დასაფინანსებლად. ამდენად ლევერიჯი ვალების სიმძიმეს ნიშნავს. ამიტომ, ეს მაჩვენებლები ბანკირებისა და ინვესტორების მიერ განიხილება.

ლევერიჯის კოეფიციენტების უმრავლესობა ერთმანეთთან ადარებს საწარმოს აქტივებს და საკუთარ კაპიტალს ან ვალდებულებებს. ლევერიჯის მაღალ დონეს შეუძლია გაზარდოს კომპანიის დაუცველობა რისკისაგან და ბიზნესი დაბლა დასცეს, მაგრამ, ამასთან ერთად, მაღალ რისკს აგრეთვე პოტენციურად მაღალი ფინანსური შედეგი მოაქვს.

ამ თავში განხილულია:

- ბიზნესის რისკების არსი და კლასიფიკაცია;
- საოპერაციო ლევერიჯი და მისი ანალიზი;
- ფინანსური ლევერიჯი და მისი ანალიზი.

13.1. საწარმოს რისკების კლასიფიკაცია

ბიზნესის მართვის მთავარი მიზანია საწარმოს მომგებიანობის და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. მაგრამ, საწარმოებს მუშაობა მუდამ გაურკვევლობის პირობებში უხდებათ რადგან, ყოველთვის არსებობს რაღაც ალბათობა იმისა, რომ მიზნები შეიძლება მიღწეული ვერ იქნეს. ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის გიორგი პაპავას განმარტებით, „რისკი არის უაღრესად მიმზიდველი მიზნის მიღწევის შესაძლო ხიფათი“.

მიზნობრივი შედეგების მიღწევას მუდამ თან ახლავს შესრულების რაღაც ხიფათი ანუ რისკი, რომელიც წინასწარ გათვალისწინების გარეშე დიდ დანაკარგებს იწვევს. ამიტომ, რისკების შემცირების და მისგან მოსალოდნელი დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების გზების ძიებას ძალიან დიდი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში რისკების შესახებ ცოდნის განვითარების პროცესს ოთხ ეტაპად ყოფენ: პირველყოფილი, უძველესი დრო, ინდუსტრიული ეტაპი და სისტემატიზაციის ეტაპი [ცაავა].

პირველყოფილ ეტაპს უწოდებენ ადამიანის წარმოშობის პერიოდიდან ძვ.წ. IX-VII ათასწლეულამდე პერიოდს, როცა ადამიანი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ძირითადად ბუნებრივ სტიქიებს ებრძოდა. ადამიანის ძირითადი საქმე ნადირობა, თევზჭერა და ნაყოფის შეგროვება იყო.

უძველესი დრო – ძვ.წ. IX-VII ათასწლეულიდან ახ.წ. XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამ პერიოდში მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლა გახდა რისკის მართვის სფეროში ადამიანის მიერ ცოდნის ფორმირებისა და დაგროვების ათვლის წერტილი.

ინდუსტრიალიზაციის ეტაპი – XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის შუა პერიოდი. ამ პერიოდში რისკის კატეგორია უფრო განსაზღვრადი გახდა. დამუშავებულ იქნა რისკების მეცნიერული თეორიების ძირითადი ცნებები. ჩამოყალიბდა რისკების კლასიფიკაციის კონცეფციები და მისი მართვის მეთოდები. შეიქმნა რისკების ანალიზისა და მართვის კონკრეტული მეთოდები.

სისტემატიზაციის ეტაპი – XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ღემდე. ამ ეტაპის თავისებურებებია: ომები, ლოკალური კონფლიქტები, ტექნოგენური ავარიები; მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები; ახალი საფრთხეები: ბირთვული ენერგია, საერთაშორისო ტერორიზმი, გლობალიზაცია, სტიქიური უბედურებები.

საბაზრო ურთიერთობების თეორიაში რისკის ცნება პირველად ფრანგმა ეკონომისტმა რ.კანტილონმა შემოიტანა. იგი რისკების თეორიის ფუძემდებლად ითვლება. საწარმოს მოგებას და დანაკარგებს იგი აფასებდა როგორც განუსაზღვრელობისა და რისკის შედეგს. შემდეგ, საწარმოთა რისკების პრობლემას დიდ ყურადღებას უთმობენ კლასიკური და ნეოკლასიკური მიმართულების მიმდევრები.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ჯ.მილი, ფ.ნაიტი, ნ. სენიორი გამოყოფენ სამეწარმეო მოგების შემდეგ ელემენტებს: პროცენტი დაბანდებულ კაპიტალზე და რისკის გადასახადი, როგორც შესაძლო რისკის ანაზღაურება, რომელსაც კაპიტალისტი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას თავის თავზე იღებს [5. გვ. 25].

კლასიკური სკოლა რისკის ეკონომიკურ კატეგორიას, პირველ რიგში, არჩეული გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგად დანაკარგების მიღების შესაძლებლობას უკავშირებს. ამასთან დაკავშირებით, მეწარმე ათვითცნობიერებს რა რისკს, იგი შემოსავლის სტრუქტურაში მის თავისებურ კომპესაციას მოითხოვს. რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენადაც მეტია რისკი, იმდენად მეტი უნდა იყოს მოგების ნორმა.

მეცხრამეტე საუკუნეში გერმანული სკოლის წარმომადგენელმა ფონ ტიუნენმა მოგების სიდიდის და სამეწარმეო რისკს შორის პირდაპირი კავშირი გამოავლინა. საბაზრო ურთიერთობების თეორიებში მან პირველმა, **გამოუყენებელი ალტერნატიული შესაძლებლობების რისკის ცნება შემოიტანა**, რასაც მოგების მიუღებლობამდე მივყავართ. მეცნიერის თვალსაზრისით, ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, რაც მეწარმეს რისკზე წასვლისკენ უბიძგებს, მოგების მიღება წარმოადგენს, რომელიც რისკის გადიდების პროპორციულად უნდა იზრდებოდეს.

გერმანული კლასიკური სკოლის მეორე წარმომადგენელმა გ.ფონ მანგოლდმა ტიუნენის იდეა განავითარა და პირველმა დასვა საკითხი რისკის ხარისხის შესახებ. მისი თვალსაზრისით, რისკის ხასიათი ასევე წარმოების ხასიათზეა დამოკიდებული. მაგალითად, შეკვეთით დამზადებული პროდუქციის ან მომსახურების გაწევაზე რისკი მინიმალურია ან საერთოდაც არ არსებობს.

ბაზარზე კი რისკი მაღალია. კერძოდ, საბაზრო კონკურენციის, განუსაზღვრელობის ხშირად ცვალებადი სიტუაციების არსებობის პირობებში, რისკები მნიშვნელოვნად იზრდება. გარდა ამისა, რაც მეტი დროა წარმოების დაწყების მომენტიდან მზა პროუქციის საბოლოო რეალიზაციამდე, იმდენად მეტი უნდა იყოს კომპესაცია ანუ მოგების ნორმა.

ამერიკელმა ეკონომისტმა ფ.ნაიტმა ყველაზე უფრო სიღრმისეულად განავითარა რისკის ფაქტორის იდეა, როგორც სამეწარმეო მოგების წყარო. შემოსავალი რომელსაც მეწარმე ღებულობს, არა მარტო მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების დანახარჯების საფუძველზე ფორმირდება, არამედ თვით იდეის ნაყოფიერებისაგანაც. ანუ, შემოსავალზე აგრეთვე გავლენას ახდენს მეწარმის შესაძლებლობა დასძლიოს განუსაზღვრელობის მდგომარეობა რისკის მინიმალური დანაკარგებით.

შემოსავალი განისაზღვრება როგორც რისკზე გადასახადიც. მაგრამ, ნაიტის აზრით, რისკი მოგების ან დანაკარგების სახით ერთმნიშვნელოვან განსაზღვრას და აღრიცხვას არ ექვემდებარება.

კლასიკური სკოლის წარმომადგენლების მიერ რისკის, როგორც დანაკარგების განსაზღვრა, რისკების ნეოკლასიკური თეორიის წარმოშობის საბაბი გახდა. გამოკვლევები მიკროდონეზე იქნა გადატანილი. შესაბამისად, რისკის შესწავლისა და ანალიზის ობიექტი საწარმო და მისი საქმიანობა გახდა.

ა.მარშალი და ა.პოგუ საწარმოს მოგებას განიხილავდნენ, როგორც ცვალებად სიდიდეს, რომელიც საწარმოს ფუნქციონირების პირობების ცვალებადობით არის განპირობებული. ამიტომ, საწარმოს ხელმძღვანელობა თავის საქმიანობაში ორი ძირითადი კრიტერიუმით უნდა ხელმძღვანელობდეს:

ა. მოგების მოსალოდნელი სიდიდით და

ბ. მოსალოდნელი დონისაგან მოგების შესაძლო ცვალებადობისა გადახრების სიდიდით.

ნეოკლასიკურ თეორიაში არსებითი დამატება ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ.კეინსმა შეიტანა. რეალურად, მან პირველმა ჩამოაყალიბა სამეწარმეო რისკების დაწვრილებითი კლასიფიკაცია ბაზარზე ფირმის ფუნქციონირების გარე და შიგა გარემოსათვის დამახასიათებელი ფაქტორების გათვალისწინებით. ჯ. კეინსმა რისკის სამი ძირითადი სახეობა გამოჰყო:

1. მეწარმის ან მსესხებლის რისკი, რომელიც მოსალოდნელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობაში მისი დაუჯერებლობის შედეგად წარმოიქმნება. აღნიშნული რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც მეწარმე მხოლოდ საკუთარ ფულს იყენებს.

2. კრედიტორის რისკი, რომელიც საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას წარმოიშობა. აღნიშნული რისკი დაკავშირებულია კრედიტორის ეჭვთან, რომელიც მსესხებლის მოსალოდნელ გაკოტრებას ან ვალდებულებების შესრულებისაგან თავის აცილების სხვა შემთხვევებს უკავშირდება.

3. ინფლაციის შედეგად, ფულადი ერთულის ფასეულობის შესაძლო შემცირების რისკი. აქედან გამომდინარე, კეინსი თვლიდა, რომ ფულადი სესხი ნაკლებად საიმედოა, ვიდრე რეალური ქონება.

ამდენად, აუცილებელია საფრთხეების მოახლოების დროული განჭვრეტა და საპასუხო ღონისძიებების გატარების ოპერატიულობა, რათა რისკებზე წასვლის შედეგები დადებითი იყოს. საწარმოს ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს მოსალოდნელი საფრთხეების სწორი ხედვის უნარი.

სარისკო სიტუაციების ძირითადი დამახასიათებელი მომენტებია:

- მოვლენების შემთხვევითი ხასითი;
- ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება;
- ცნობილია ან შეიძლება განისაზღვროს შედეგების ალბათობები ან მოსალოდნელი შედეგები;
- დანაკარგების წარმოშობის ალბათობა;
- დამატებითი მოგების ალბათობა;

ბიზნესის რისკი არის საშიშროება იმისა, რომ მეწარმე ნახავს ზარალს დამატებითი ხარჯების სახით ან მიიღებს იმაზე ნაკლებ შემოსავალს, ვიდრე ეს დაგეგმილი ჰქონდა. რისკებიდან მიღებული დანახარჯები საბოლოოდ ფინანსური ხასიათის დანაკარგებში გამოსახება, როგორიცაა მოსალოდნელი მოგების შემცირება. ამასთან, რისკი ყოველთვის დანაკარგების მიღების ალბათობასთან არაა დაკავშირებული. შეიძლება რისკების შედეგად მოგების ზრდას ექნეს ადგილი. ამრიგად, რისკები როგორც დანაკარგების, ისე მაღალი მოგების მიღების ალბათობასთანაა დაკავშირებული.

გამყოფენ რისკის შემდეგი სახეებს: პოლიტიკური რისკები, დარგობრივი რისკები, ფინანსური რისკები, ტექნიკური რისკები, ინოვაციური რისკები. სამეწარმეო, კომერციული. ჩემი აზრით შეიძლება გამოიყოს მმართველობითი რისკი, რაც დაკავშირებულია მმართველების უნართან, შეაფასონ რისკები.

მიუხედავად რისკების მრავალფეროვნებისა, საწარმოთა რისკები ძირითადად ორ ტიპად შეიძლება დაჯგუფდეს:

I. საწარმოს შიგა რისკები - სამეწარმეო, კომერციული, ფინანსური, ტექნიკური, საინოვაციო, მმართველობითი რისკები და სხვა;

II. გარე რისკები - დარგობრივი რისკები, სახელმწიფოებრივი რისკები (ფისკალური და პოლიტიკური), სავალუტო რისკი, პროცენტის რისკი, საერთაშორისო რისკები, ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან მოსალოდნელი რისკები.

მოცემულ შემთხვევაში, შესწვლის ობიექტია საწარმოს შიგა რისკები.

სამეწარმეო ანუ საოპერაციო რისკი დაკავშირებული პროდუქციის, საქონლის და მომსახურების წარმოებასთნა და ნებისმიერი სამეწარმეო საქმინობასთან. მისი მიზეზებია: პროდუქციისა და მომსახურების დაგეგმილი მოცულობის შემცირება შრომის მწარმოებლჯრობის დაქვეითების, შრომითი და მატერიალური დანაკარგების გამო; წუნდებული პროდუქციის ზრდა, მატერიალური დანახარჯების ზრდა, ფასების ზრდა შესყიდვებზე, დანადგარების ფიზიკური და მორალური ცვეთა.

კომერციული რისკები წარმოიშობა საწარმოს პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციის პროცესში. მისი წრმოშობის მიზეზებია: ბაზარზე

მოთხოვნილებების ცვლილებები, მომხმარებლის მსყიდველობუნარიანობის ცვლიება, კონკურენტის მიერ საქონლის ბაზრიდან გამოდევნა, ფასების დაცემა, დანაკარგები საქონლის გადაზიდვების და შენახვის დროს.

ფინანსური რისკები წარმოშობა მოსალოდნელია ფინანსური გარიგებების დადების შედეგად; საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად. ასევე, სავალუტო კურსის ცვლიებების და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის დროს.

საკრედიტო რისკი - ვალდებულებების დროული დაფარვის რისკი, ინვესტიციებზე დივიდენდების გაცემის რისკი, საპროცენტო ხარჯების დაფარვის რისკი.

ტექნიკური რისკი დაკავშირებულია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის დამატებით დანახარჯებთან, აგრეთვე ახალი ტექნიკის შეუფერხებელი გამოყენების გამართვასთან, ტექნოლოგიების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

საინოვაციური რისკი არის დანაკარგების ალბათობა, რომელიც წარმოიქმნება ახალი სახეობის პროდუქციისა და მომსახურების წარმოებაში ჩაშვებისას დამატებითი სახსრების გაღებისას, რომელმაც შესაძლოა ბაზარზე ვერ ჰპოვის სათანადო აღიარება. ახალი სახის პროდუქციის მოთხოვნების არასწორი შეფასება, ძველი დანადგარების გამოყენების შეუსაბამობის რისკი.

პროცენტის რისკი არის საპროცენტო განაკვეთებში არახელსაყრელი ცვლილების რისკი.

დარგობრივი რისკი წარმოიშობა დარგის ეკონომიკური ცვლილებების და მდგომარეობის სტაბილიზაციის ცვლილებების შედეგად. დარგში მომუშავე ფირმების სტაბილურობის დონე და ა.შ.

პოლიტიკური რისკი არის დანაკარგების წარმოშობის ან მოგების შემცირების ალბათობა, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების შედეგად, საგადასადო პოლიტიკა, სახელმწიფოს კურსი და პრიორიტეტები. ასეთი რისკები მოსალოდნელია ისეთ ქვეყნებში სადაც არაა სრულლყოფილი კანონმდებლობა, მეწარმეობის ტრადიციები და კულტურა.

საერთაშორისო რისკებს მიეკუთვნება საერთაშორისო ბაზარზე საქონლის ფასების და მოთხოვნების ცვლილებები, საერთაშორისო ფინანსური რისკები და ა.შ.

ბუნებრივი კატასტროფებისაგან მოსალოდნელი რისკები წარმოადგენს ფუნდამენტურ რისკებს, რომელიც ერთდროულად ზიანს აყენებს დიდ ტერიტორიას და მოსახლეობის დიდ რაოდენობას.

რისკების ანალიზი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: რისკების შეფასებას, რისკების კომუნიკაციას და რისკების მართვას.

რისკების შეფასება მოიცავს ოთხ საფეხურს:

1. საფრთხის იდენტიფიცირება
2. საფრთხის აღწერა
3. საფრთხის გამოვლენის შეფასება
4. რისკის დახასიათება

ყველა საფეხური უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო- ანალიტიკურ მონაცემებს და შედეგებს.

რისკის კომუნიკაცია - არის რისკის ანალიზის პროცესში საფრთხის, რისკის შეფასების შედეგებისა და რისკის მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მიუკერძოებელი ინფორმაციისა და საკითხების დროული და შეუფერხებელი გაცვლა რისკების შემფასებლებს, რისკის მართვის პასუხისმგებელ პირებს და ბიზნესოპერატორებს შორის.

რისკის მართვა - არის პროცესი, რომლის დროსაც რისკების შეფასების შედეგების გათვალისწინებით მიიღება სათანადო გადაწყვეტილებები ალტერნატივებიდან შერჩევის გზით და მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება, რათა თავიდან იქნას აცილებული საფრთხეებიდან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები

საწარმოები ხშირად იყენებენ სესხების და აქციების გამოშვების პოლიტიკას ბიზნესის საქმიანობის დაფინანსების წყაროდ. შესაბამისად, წარმოიქმნება საპროცენტო ხარჯების დაფარვისა და აქციონერებზე დივიდენდების გაცემის რისკები. რისკის ეს სახეობები საწარმოს ფინანსურ რისკებს მიეკუთვნება.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრქატიკაში, საწარმოს შიგა რისკების გაზომვის მიზნით ლევერიჯის (Leverage) კოეფიციენტები გამოიყენება.

13.2. საოპერაციო ლევერიჯის ანალიზი

ლევერიჯი, როგორც რისკის მახასითებელი, ზოგადად ბიზნესის დანახარჯებისა და დაფინანსების სტრუქტურის ცვლილებებისაგან მოსალოდნელი საფრთხეების სიმძიმეს ნიშნავს. განასხვავებენ საოპერაციო და ფინანსურ ლევერიჯს.

საოპერაციო ლევერიჯი დაკავშირებულია მუდმივი საოპერაციო ხარჯების არებობასთან და ახასიათებს წამოებასა და რეალიზაციის პროცესებში არსებულ რისკებს. საოპერაციო რისკი შეიცავს მუდმივი ხარჯების, კერძოდ, წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯების არაეფექტიანად გამოყენების შესაძლო რისკს, რაც მოსალოდნელი მოგების შემცირებაში აისახება. საოპერაციო რისკი არის იგივე სამეწარმეო ანუ სამეურნეო რისკი.

ჩვენ ვეყრდნობით და ვიზიარებთ კონცეფციას, რომ რისკის კოეფიციენტი როცა ერთზე მაღალია, მაშასადამე, რისკი არსებობს. ერთამდე რისკი არ არსებობს. ასეთ მიდგომას წესრიგი შეაქვს რისკების კოეფიციენტების გააზრებასა და პრაქტიკულ გამოყენებაში. მაგრამ, ლევერიჯის ყველა კოეფიციენტი ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საოპერაციო ლევერიჯის (DOL) რამდენიმე მაჩვენებელია ცნობილი. [6. გვ: 458-462]. ესენია:

$$\text{საოპერაციო ლევერიჯის დონე (სლ}_1\text{) } DOL_1 = \frac{\text{მუდმივი ხარჯები (FC)}}{\text{ცვალებადი ხარჯები (VC)}}; \quad (13.2.1)$$

კოეფიციენტი 13.2.1. - როცა ერთის ტოლია, რისკი არ არსებობს. ერთის ზემოთ უკვე რისკის მანიშნებელია. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს სიტუაცია,

როცა იგი ერთზე მაღალია, მაგრამ მუდმივი ხარჯები უკვე დფარულია. ამ კოეფიციენტს დანახარჯების ორგანული შედგენილობა შეიძლება ვუწოდოთ. მისი ზრდა ბიზნესრისკის ზრდას იწვევს.

$$\text{სლ}_2\ (DOL_2) = \frac{\text{მუდმივი ხარჯები (FC)}}{\text{საოპერაციო ხარჯები (OC)}} \qquad (13.2.2)$$

მეცნიერ-ეკონომისტები 13.2.2. კოეფიციენტსაც ლევერიჯის კოეფიციენტს უწოდებენ, მაგრამ იგი არასოდეს არ იქნება ერთის ტოლი, ვინაიდან წარმოების პროცესში, ყოველთვის არსებობს ცვალებადი ხარჯები. ამიტომ, მუდმივი ხარჯები ვერასოდეს გადააჭარბებს საოპერაციო ხარჯებს. შესაბამისად, კოეფიციენტი (სლ$_2$) ვერასოდეს ვერ იქნება ერთზე მაღალი. მაშასადამე, შეუძლებელია დადგენილ იქნას, მის რომელ დონეზე არსებობს რისკი. ეს კოეფიციენტი ახასიათებს მუდმივი ხარჯების ხვედრითი წილს საოპერაციო ხარჯებში, რომელიც სასურველია, დინამიკაში არ იზრდებოდეს. იგი გავლენას მოახდენს საოპერაციო რისკზე. ამდენად, მე-2 კოეფიცინეტიც უნდა ჩაითვალოს, რომ საოპერაციო რისკზე მოქმედი ფაქტორია.

$$\text{სლ}_3\ (DOL_3) = \frac{\text{მუდმივი ხარჯები (FC)}}{\text{შემოსავალი (Income of Sale)}}; \qquad (13.2.3)$$

ეს კოეფიციენტი რეალურად არის მუდმივი ხარჯების გამოყენების ეფექტიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელი. იგი აჩვენებს, რამდენი თეთრი მუდმივი ხარჯია გაწეული ყოველი ერთი ლარის შემოსავალზე. იგი რაც უფრო ნაკლები იქნება ერთზე, მით უფრო დადებით მოვლენას წარმოადგენს. ასე, რომ რისკის გამზომ მაჩვენებლად ვერც იგი ჩაითვლება, თუმცა რისკებზე გავლენას მოახდენს.

$$\text{სლ}_4\ (DOL) = \frac{\text{მუდმივი ხარჯები (FC)}}{\text{საოპერაციო მოგება (EBIT)}}; \qquad (13.2.4)$$

საოპერაციო მოგებას, უცხოურ ეკონომიკურ ლიტერტურაში, აგრეთვე უწოდებენ - მოგებას პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე (EBIT). ეს კოეფიცინტი ახასიათებს რამდენი თეთრი მუდმივი ხარჯია გაწეული ყოველი ერთი ლარის საოპერაციო მოგების მისაღებად. იგი რაც უფრო დაბალი იქნება ერთზე, ნიშნავს რომ მით უფრო ეფექტიანად გამოიყენება მუდმივი ხარჯები და მაშასადამე, მით უფრო მცირე იქნება საოპერაციო (სამეწარმეო) რისკი. ვინაიდან საოპერაციო მოგება შემოსავლებსა და საოპერაციო ხარჯებს შორის სხვაობაა, ხოლო, ეს უკანასკნელი, მუდმივი და ცვალებადი ხარჯებისაგან შედგება და ასევე, საოპერაციო მოგება საოპერაციო ანუ ძირითადი საქმიანობის ყველაზე ზოგადი ფინანსური შედეგია,

კოეფიციენტი (სლ4) ადრე განხილულ მაჩვენებლებს შორის, ყველაზე კომპლექსური ხასიათის მაჩვენებელია.

$$\text{სლ}_5\ (DOL_3) = \frac{\text{საოპერაციო მოგების (EBIT) პროცენტული ცვლილება}}{\text{ამონაგების (S) პროცენტული ცვლილება}}; \qquad (13.2.5)$$

მეცნიერ-ეკონომისტები წერენ, რომ კომპანიის საოპერაციო მოგების მგრძნობელობის ხარისხის საზომს გაყიდვების ცვლილების მიმართ, ეწოდება ოპერაციული ლევერიჯის დონე (7. გვ.458).

კვლევები ადასტურებენ, რომ მუდმივი საოპერაციო ხარჯების არსებობის გამო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების (გაყიდვების) პროცენტული ცვლილება იწვევს პროპორციულზე უფრო მეტ ცვლილებას საოპერაციო მოგებაში. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მაჩვენებელსაც (13.2.5) ვერ ვუწოდებთ ლევერიჯის ანუ რისკის კოეფიციენტს. იგი ახასიათებს კორელაციას შემოსავლებსა და საოპერაციო მოგების პროცენტულ ცვლილებებს შორის, რომლის ანალიზი მეტად საინტერესოა დაგეგმვის სტადიაზე, გადაწყვეტილებების მისაღებად, თუ რა მოცულობის შემოსავლებია საჭირო სასურველი საოპერაციო მოგების მისაღებად.

განხილული კოეფიციენტებიდან, საოპერაციო რისკის ყველაზე ზოგად მაჩვენებლად, მხოლოდ მუდმივი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ფარდობა - უნდა ჩაითვალოს. დანარჩენი მაჩვნებლები საოპერაციო რისკებზე მოქმედი ფაქტორებია. ჩვენი თვალსაზრისის დამტკიცების მიზნით ჩატარებულ იქნა შესაბამისი გაანგარიშებები (იხ. ცხრილი 13.2.1). დავუშვათ, სამ პირობით საწარმოს გააჩნია შემდეგი მაჩვენებლები:

ცხრილი 13.2.1

საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები

მაჩვენებლები	N1 საწარმო	N2 საწარმო	N3 საწარმო
შემოსავალი რეალიზაციიდან	15 000	15 000	15 000
შაოპერაციო ხარჯები:	6 000	8 000	4 000
ცვალებადი ხარჯები	6 000	4 000	8 000
მუდმივი ხარჯები	---------	-------	---------
----------	12 000	12 000	12 000
ჯამი	3 000	3 000	3 000
საოპერაციო მოგება			
საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები:			
1. FC/VC	1,0	0,5	2,0
2. FC/OC	0,5	0,33	0,67
3. FC/ S	0,4	0,27	0,53
4. FC/EBIT	2,0	1,33	2,67

შეგახსენებთ, რომ ცვალებადია ხარჯი, რომელიც დამზადებული პროდუქციის რაოდენობის პროპორციულად იცვლება. ანუ, რამდენჯერაც გაიზრდება პროდუქციის გამოშვება, იმდენჯერვე შეიცვლება ეს ხარჯები და პირიქით: რამდენჯერაც შემცირდება პროდუქციის გამოშვეა, ცვალებადი ხარჯები იმდენჯერ შემცირდება. ხოლო, მუდმივია ხარჯები, რომლებიც პროდუქციის რაოდენობის პროპორციულად არ იცვლება. ზოგჯერ კი საერთოდ არ რეაგირებენ მასზე.

ამრიგად, პირველი ცხრილში სამივე საწარმოს შემოსავლები, საოპერაციო ხარჯების საერთო მოცულობა და საოპერაციო მოგების მაჩვენებლები ერთნაირია, მაშასადამე, მათი პროცენტული ცვლილება საერთოდ არ არსებობს, მაგრამ, საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები განსხვავებულია. პირველი კოეფიციენტის მიხედვით, საოპერაციო რისკი მხოლოდ მესამე საწარმოში არსებობს, მეორე კოეფიციენტი მესამე საწარმოში ყველაზე მაღალია, მაგრამ ერთზე დაბალია და შეუძლებელია დადგინდეს, როდის არის მისი დონე საშიში. მესამე კოეფიციენტი ასევე, ყოველთვის ერთზე ნაკლები იქნება, მაგრამ შეუძლებლია ახსნა იმისა, რომელია მისი მინიმალური დონე. მეოთხე კოეფიციენტი, სამივე საწარმოში ერთზე მაღალია.

ლევერიჯის ოთხივე კოეფიციენტების განსხვავება გამოწვეულია დანახარჯების განსხვავებული სტრუქტურით. ხოლო, იმ მოთხოვნას, რომ რისკის კოეფიციენტი რისკის არსებობის შემთხვევაში რისკის ზოგად მაჩვენებლად მუდმივი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ფარდობის კოეფიციენტი (FC/EBIT) შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც ასახულია მუდმივი და ცვალებადი ხარჯების სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები, წარმოების უსაფრთხოების დიაპაზონის შერჩევის რისკი და ასევე, საოპერაციო მოგების დამოკიდებულება ზღვრულ მოგებასთან. ეს კოეფიციენტი ერთზე დაბალი ან ერთის ტოლი უნდა იყოს. ერთის ზემოთ კი საოპერაციო რისკის მაჩვენებელია [5.გვ. 139].

ზემოთ მოტანილი ყველა გაანგარიშებით ის ჭეშმარიტებაც დასტურდება, რომ რისკების მიუხედავად მოგების მიღების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს. ამიტომაც მიდიან მეწარმეები რისკზე. ამასთან, მენეჯმენტი უნდა ცდილობდეს მაღალი კორელაცია არ იყოს საოპერაციო მოგებასა და შემოსავლებს შორის, რადგან შემოსავლების მცირე ცვლილებამაც კი შეიძლება დიდი საოპერაციო დანაკარგი გამოიწვიოს.

საოპერაციო ლევერიჯის ანალიზს ცხადია ინფორმაციის გარე მომხმარებლები ვერ ჩაატარებენ. ამისთვის გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია საკმარისი არაა. მაგრამ, საწარმოების მენეჯმენტს, როგორც ცნობილია ინფორმაციის მოპოვების პრობლემა არა აქვს სააოპერაციო ლევერიჯის ანალიზი რომ ჩაატაროს და აუცილებელიც არის.

13.3. ფინანსური ლევერიჯის არსი და ანალიზის მეთოდიკა

ფინანსური ლევერიჯი იკვლევს კომპანიის სესხებსა და სააქციო კაპიტალს შორის თანაფარდობის კავშირს ფინანსურ შედეგებთან. **საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაცია მოგების გადიდების მიზნით, ცნობილია, როგორც ფინანსური ლევერიჯის კონცეფცია**.

პირდაპირი მნიშვნელობით ლევერიჯი ისეთ ძალას ნიშნავს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია საკმაოდ მძიმე და განსხვავებული საგნების შერევა. ეკონომიკაში ლევერიჯი წარმოადგენს ისეთ ფაქტორს (ძალას), რომლის მცირე ცვლილებამ შესაძლოა შედეგობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვიოს. **ფინანსური ლევერიჯი** მარტივად, სესხების სიმძიმეს ნიშნავს.

ფინანსური ლევერიჯის დონე იზრდება მაშინ, როცა იზრდება ნებისმიერი ნასესხები სახსრების წილი. ასეთ დროს იზრდება საკუთარი კაპიტალის (რენტაბელობის) ვარიაციული გაქანება (მერყეობა) და ფინანსური რისკი.

ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდა, საოპერაციო ლევერიჯის მსგავსად, ერთის ზემოთ, რისკის ზრდას ნიშნავს.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებია:

- **კაპიტალის ლევერიჯი** – აქტივების, საკუთარი კაპიტალისა და ჯამური ლევერიჯი;
- **პროცენტის ლევერიჯი.**

ლევერიჯის ყველა კოეფიციენტი ერთსა და იმავე სიდიდეს ზომავს, მაგრამ შედარებისათვის არსებითია რომ მუდმივად მოხდეს ერთხელ შერჩეული კოეფიციენტის გამოყენება.

პირველი ჯგუფის ლევერიჯის კოეფიციენტებია:

$$\text{(ფლ}_1\text{)} \quad \text{ფინანსური ლევერიჯი} = \text{აქტივები} / \text{საკუთარი კაპიტალი} \qquad (13.3.1)$$

საანალიზო საწარმოს მაგალითზე: ფლ$_1$ = 36130 / 18160 = 1,99 ანუ 199%;

საანალიზო საწარმოში მართლაც, საკუთარი კაპიტალის წილი დაბალია (50%). რაც უფრო მეტი იქნება აქტივები საკუთარ კაპიტალზე, მით უფრო მაღალი იქნება ნასესხები კაპიტალის წილი და მაშასადამე ფინანსური რისკიც იზრდება.

ეს კოეფიციენტი შეიძლება ორ ფაქტორ-მაჩვენებლად დაიშალოს:

$$\frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} = \frac{\text{მოგება \%-ის გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} : \frac{\text{მოგება \% და გადას.გადახდამდე}}{\text{აქტივები}}; \qquad (13.3.1)$$

პირველი ფაქტორია საკუთარი კაპიტალის უკუგება, რომლის ზრდა ფინანსურ რისკებს ზრდის, რადგან საკუთარი კაპიტალის მოცულობა მცირდება.

$$\text{ფინანსური ლევერიჯი (ფლ}_2\text{)} = \frac{\text{მოგება \% და გადასახადის გადახდამდე}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} \qquad (13.3.2)$$

საანალიზო საწარმოს მაგალითზე: ფლ$_2$ = (14140 + 200) / 13120 = 1,09 ანუ 109%;

ეს კოეფიციენტი აჩვენებს რამდენჯერ აღემატება საოპერაციო მოგება დასაბეგრი მოგების მაჩვენებელს. კოეფიციენტის მაქსიმალური საზღვარი ერთის ტოლია. რაც მეტი იქნება მოზიდული გრძელვადიანი სესხები, მით მეტია გადასახდელი პროცენტის სიდიდე, მით მეტი იქნება საოპერაციო მოგება წლიურ მოგებაზე და მით მეტი იქნება ლევერიჯის დონეც. ამდენად, მოზიდული სახსრების წილის ამაღლება ლევერიჯს მაღლა სწევს.

(ფლ$_3$) ფინანსური ლევერიჯი (კაპიტალის ლევერიჯი) = (13.3.3)

= (საკუთარი კაპიტალი+ გრძელვ.სესხიები) / (საკუთარი კაპიტალი – პრივ.სააქციო კაპიტ.)

ჩვენს მაგალითზე: ფლ$_3$ = (18160+7040) / (18160 – 3000) = 1,66 ანუ 168 %;

(ფლ$_4$) ჯამური ფინანსური ლევერიჯი =

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი–საკ.საბრ.სახსრ.+ გრძელვ. სესხები}}{\text{ჯამური პერმანენტული კაპიტალი (საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი სესხები)}}; \quad (13.3.4)$$

$$\text{(ფლ}_5\text{) ფინანსური ლევერიჯის დონე} = \frac{\text{წმინდა მოგების ცვლილების ტემპი \%-ად}}{\text{საოპერაცი მოგების ცვლილების ტემპი \%-ად}}; \quad (13.3.5)$$

$$\text{(ფლ}_6\text{) პროცენტის საერთო ლევერიჯი} = \frac{\text{(საპროც. ხარჯი + პრივ. აქციების დივიდენდ)}}{\text{(მოგება დაბეგვრამდე + საპროცენტო ხარჯი)}}: \quad (13.3.6)$$

ვინაიდან, პრივილეგირებული აქციის მფლობელებს დივიდენდი გარანტირებული აქვთ, ამიტომ იგი კომპანიისათვის, პასუხისმგებლობების თვალსაზრისით, ვალდებულებების ტოლფასი ხდება. პროცენტის ლევერიჯი სანამ ერთს არ გადააჭარბებს, პროცენტის დაფარვის რისკი არ იარსებებს.

მაშასადამე, მეცნიერ ეკონომისტები, ყველა დასახელებულ კოეფიციენტს ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებს უწოდებენ. ჩვენი აზრით, მათ შორის რისკის ზოგადი მაჩვენებელიც უნდა არსებობდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მენეჯმენტმა ანალიზში ყველა კოეფიციენტი შეიძლება გამოიყენოს ან რომელიმე მათგანი მუდმივად აირჩიოს. არსებითია ის, რომ ლევერიჯის არსებობას პირდაპირი ეფექტი გააჩნია აქციონერების უკუგების ცვალებადობაზე ანუ რისკზე.

სადემონსტრაციო მაგალითი:

მოცემულია ორი კომპანიის ინფორმაცია, რომელთაც კაპიტალის სხვადასხვა სტრუქტურა და მოგების ერთი და იგივე მაჩვენებლები აქვთ.

ცხრილი 13.3.1.

	I საწარმო	II საწარმო
დაფინანსების წყაროები:		
10%-იანი გრძელვადიანი ვალდებულებები	10 000	0
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი და რეზერვები	40 000	50 000
ჯამი	50 000	50 000
პირველ წელს მოგება %-ის გამოკლებამდე იყო	7000 ლ	
მოგების გამოყენება:		
საპროცენტო ხარჯი	1 000	0
ჩვ. აქციებზე დივიდენდი	6 000	7 000
	7 000	7 000
მეორე წელს მოგება დავუშვათ გაორმაგდა:	14000 ლ	
მოგების განაწილება:		
საპროცენტო ხარჯი	1 000	0
ჩვ. აქციების დივიდენდზე	13 000	14 000
	14 000	14 000
ჩვეულებრივი აქციის მფლობელთა შემოსავლის ზრდა (13000/6000)	2,2-ჯერ	2-ჯერ
ლევერიჯი	14000/13000 = 1,08	14000/14000 = 1

მოტანილ მაგალითზე, შემოსავლები უფრო მეტად გაიზარდა მაღალი ლევერიჯის მქონე კომპანიაში. მეორე კომპანიაში ეფექტი კიდევ უფრო გაუარესდებოდა, თუ მოგება შემცირდებოდა. ამიტომ, მაღალი ლევერიჯის მქონე კომპანიების ჩვეულებრივი აქციების შეძენა უფრო მიმზიდველია, ვიდრე ისეთი კომპანიებისაგან, სადაც ლევერიჯი დაბალია.

როგორც ნახეთ, ფინანსური ლევერიჯის კატეგორია დაკავშირებულია ფინანსურ რისკთან, რომელიც არსებობს გრძელვადიან სესხებზე პროცენტის გადახდისათვის საჭირო სახსრების შესაძლო უკმარისობის გამო. ფინანსური ლევერიჯის ზრდა მოცემული საწარმოს ფინანსური რისკის ზრდას მოასწავებს. ეს ვლინდება მასში, რომ ორ ერთგვაროვან საწარმოს, რომელთაც წარმოების ერთნაირი მოცულობა გააჩნიათ, წარმოების თანაბარი ზრდის შემთვევაში მოგება განხვავებული ექნებათ, კაპიტალის განსხვავებული სტრუქტური გამო.

საწარმოში, რომელიც მთლიანად საკუთარი სახსრებითაა დაფინანსებული, ფინანსური ლევერიჯი ერთის ტოლია. ასეთ შემთხვევაში ამბობენ რომ ფინანსური რისკი არ არსებობს. ხოლო წმინდა მოგების ცვლილება მთლიანად რეალიზაციის მოცულობის ცვლილებით ანუ საწარმოო პირობებით განისაზღვრება.

მოტანილი საანალიზო საწარმოს მაგალითზე წარმოდგენილია ფინანსური რისკის შედარებითი ანალიზი კაპიტალის სხვადასხვა სტრუქტურის დროს (იხ. ცხრილი 13.3.3). ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე გამოითვლება მთლიანი გრძელვადიანი ანუ პერმანენტული კაპიტალი.

ცხრილი 13.3.2.

საკუთარი კაპიტალი	18 160
საკუთარი საბრუნავი სახსრები	(2270)
გრძელვადიანი საკუთარი კაპიტალი	15 890
გრძელვადიანი სესხი	7 040
სულ გრძელვადიანი წყაროები	22 930

განვიხილავთ, კაპიტალის სხვადასხვა სრუქტურას.

ცხრილი 13.3.3.

კაპიტალის სხვადასხვა სტრუქტურა და საპროცენტო ხარჯები

მაჩვენებლები	სესხების წილი გრძელვადიან წყაროებში		
	0 %	26,3 %	50 %
საკუთარი წყაროები	22 040	18 160	11 020
გრძელვადიანი სესხები	0	5 800	11 020
სულ დაფინანსების წყაროები	22 040	22 040	22 040
საპროცენტო განაკვეთი	-	15	15
წლიური საპროცენტო ხარჯი	-	870	1653

როგორც ხედავთ, საპროცენტო ხარჯების სიდიდეზე, გარდა საპროცენტო განაკვეთისა, გავლნას ახდენს დაფინანსების წყაროების სტრუქტურაც. შესაბამისად, შეიცვლება მოგებაც და საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა. ვაჩვენოთ იგი მაგალითზე. განვიხილოთ ორი ალტერნატივა: პირველი, არსებული ვითარების მიხედვით და მეორე, დავუშვათ კომპანია „კოლხეთის“ მენეჯმენტს (იხ. ცხრილი 13.3.4) სურს მოგების 10%-ით გაზრდა.

ცხრილი 13.3.4.

საწარმოს დაფინანსების გრძელვადიანი წყაროების სტრუქტურის ცვლილების კავშირი საკუთარი კაპიტალის რენტაბელობასთან

მაჩვენებლები	0 %		26,3 %		50 %	
	I	II	I	II	I	II
• მოგება % და გადასახადის გადახდამდე	14 340	15 774	14 340	15 774	14 340	15 774
• საპროცენტო ხარჯი (15%)	0	0	(870)	(870)	(1653)	(1653)
მოგება დაბეგვრამდე	14 340	15 774	13 470	14 904	12 687	14 121
• მოგების გადასახადი (18%)	(2581)	(2839)	(2425)	(2683)	(2284)	(2542)
წმინდა მოგება	11 759	12 935	11 045	12 221	10 403	11 579
• საკუთ.კაპიტალის რენტაბელობა	53,3%	58,7%	60,8%	67,3%	94,4%	105%
• ფინანსური ლევერიჯი	1,0	1,0	1,065	1,058	1,13	1,117
• საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ვარიაციული გაქანება	5,7 (58,7-53,3)		6,5		10,6	

ამრიგად, როგორც გაანგარიშებებიდან ჩანს, რაც უფრო მაღალია მოზიდული კაპიტალის ხვედრითი წილი დაფინანსების წყაროებში, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა მით უფრო დაბალია, მისი ვარიაციული გაქანება ორ ალტერნატივას შორის გაიზარდა და რისკიც იზრდება.

მაშასადამე, მაღალი ოპერაციული ლევერიჯის მქონე კომპანიას ექნება უფრო მაღალი ცვლილება მოგებაში, ვიდრე გაყიდვებში.

არსებობს კავშირი ფინანსურ და ოპერაციულ ლევერიჯს შორის. თუკი კომპანიის გაყიდვები იცვლება, აქციონერთა უკუგების საუკეთესო ცვალებადობა განისაზღვრება ოპერაციული ლევერიჯის დონის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს „%-მდე მოგების“ (EBIT) ცვლილებას, რომელიც „გაძლიერებულია“ ფინანსური ლევერიჯის დონის მიხედვით.

კომბინირებული ლევერიჯის მაჩვენებელი კი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{კომბინირებული ლევერიჯი} = \frac{\text{წმინდა მოგების პროცენტული ცვლილება}}{\text{რეალიზაციის \%-ული ცვლილება}}$$

ამრიგად, თუ საწარმოს გააჩნია მაღალი ოპერაციული ლევერიჯი, მაშინ, თუკი გაყიდვების დონე ძალიან სტაბილური არაა, იგი ამჯობინებს ფინანსური ლევერიჯის თავიდან აცილებას და პირიქით.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რას ნიშნავს საოპერაციო ლევერიჯი;
2. რას ნიშნავს ფინანსური ლევერიჯი;
3. ჩამოთვალეთ საოაპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები;
4. ჩამოთვალეთ კაპიტალის ლევერიჯის კოეფიციენტები;
5. ჩამოთვალეთ მოგების ლევერიჯის კოეფიციენტები.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. ბიზნესის რისკი არის:

ა. მოლოდინი იმისა, რომ საწარმო მიიღებს უფრო მაღალ მოგებას დაგეგმილთან შედარებით

ბ. საშიშროება იმისა, რომ საწარმო ნახავს ზარალს დამატებითი ხარჯების სახით ან მიიღებს ნაკლებ შემოსავალს, დაგეგმილთან შედარებით

გ. რამდენიმე ალტარნატივიდან არჩევანის გაკეთება

2. საოპერაციო ლევერიჯი არის:

ა. მუდმივი და ცვალებადი ხარჯების თანაფარდობასთან დაკავშირებული რისკი

ბ. მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების თანაფარდობის რისკი

გ. სესხებთნ დაკავშირებული რისკი

3. საწარმოს მიმდინარე თვეში მუდმივი ხარჯები 45000, ცვალებადი ხარჯები 42500 და შემოსავალი რეალიზაციიდან 67900 ლარს შეადგენს.

რას უდრის საოპერაციო ლევერიჯი:

ა. 1,06

ბ. 0,94

გ. 1,21

4. საწარმოს აქტივები 115500, საკუთარი კაპიტალი 54000 და ვალდებულებები 61500 ლარია. **რას უდრის ფინანსური ლევერიჯი:**
   ა. 1,88
   ბ. 2,14
   გ. 1,00

5. ფინანსური ლევერიჯი საფრთხის შემცველია, როცა ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი:
   ა. ერთზე ნაკლებია
   ბ. ერთზე მეტია
   გ. ერთის ტოლია

ამოცანები

ამოცანა 13.1.

მოცემულია სამი საწარმოს ინფორმაცია, რომელთაც აქტივების დაფინანსების წყაროების მთლიანი სიდიდე ერთანირი აქვთ

მჩვენებლები	სესხებსი წილი დაფინანსებაში		
	0	27%	50%
საკუთარი კაპიტალი	80000	58500	40000
აღებული სესხები	-	21600	40000
---	---	---	---
სულ დაფინანსება	80000	80000	80000
შემოსავალი რეალიზაციიდან	95000	95000	95000
რეალიზ. პროდუქციის თვითღირებულება	85000	85000	85000
საპროცენტო ხარჯები (15%)	-	3240	6000

მოთხოვნა: სამივე საწარმოს მიხედვით გამოთვალეთ დაფინანსების წყაროების სტრუქტურა, მოამზადეთ მოგება/ზარალის ანგარიშგება, გამოთვალეთ საკუთარი კაპიტალის უკუგების (წმინდა მოგება /საკუთარი კაპიტალი) და ფინანსური ლევერიჯი (საოპერაციო მოგება/წმინდა მოგება) მაჩვენებლები სამივე საწარმოში. გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები.

ამოცანა 13.2.

ერთ-ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე და წინა წლის ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლილ ფინანსური ლევერიჯის კოეფიცენტს და მასზე მოქმედი ფაქტორებს აქვთ შედეგი მნიშვნელობები:

	წინა წელი	**მიმდინარე წელი**
აქტივები / საკუთარი კაპიტალი -	1,833	1,875
აქტივები / შემოსავალი -	2,037	1,7647
შემოსავალი / მოგება -	4,1538	4,25
საკუთარი კაპიტალი / მოგება -	4,6154	4,0

მოთხოვნა: გაზომეთ ფინანსური ლევერიჯის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა ჯაჭვური ჩასმის ხერხით ქვემოთ მტანილი ფაქტორული მოდელის საფუძველზე და გააკეთეთ შესბამისი დასკვნები.

აქტივი/საკ.კაპ = (აქტივი/შემოს.) * (შემოს. / მოგება) : (საკ.კაპ. / მოგება)

ამოცანა 13.3.

არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

	I წ	II წ
მოგება დაბეგვრამდე	7200	9400
საპროცენტო ხარჯები	2400	3800

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი;
2. გაზომეთ გადახრაზე მოქმედი ფაქტორები შემდეგი მწკრივის საფუძველზე

$$\frac{\text{მოგება \%-მდე}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} = \frac{\text{მოგება \%-მდე}}{\text{სა-\% ხარჯები}} * \frac{\text{სა-\% ხარჯები}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}}$$

(მოგება %-მდე ნიშნავს მოგებას, საპროცენტო ხარჯების დაფარვამდე)

ამოცანა 13.4.

კომპანიას გააჩნია შემდეგი ინფორმაცია:

გაყიდვები	70000
დანახარჯები:	
მუდმივი	15000
ცვლადი	25000

მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე (საოპერაციო მოგება) 30000 ლარია. ამასთან, აღებულია გძელვადიანი სესხი 20000 ლარი წლიურად 20%-იანი განაკვეთით და გამოშვებულია ობლიგაციები 10000 ლარის, წლიურად 10%-იანი განაკვეთით.

მოთხოვნა:

გამოთვალეთ ოპერაციული, ფინანსური და კომბინირებული ლევერიჯის კოეფიციენტები შემდეგი ფორმულებით:

ოპერაციული ლევერიჯი = %-მდე მოგების ცვლილება / რეალიზაციის %-ული ცვლილება;

ფინანსური ლევერიჯი = წმინდა მოგების %-ული ცვლილება / %-მდე მოგების პროცენტული ცვლილება;

კომბინირებული ლევერიჯი = წმინდა მოგების %-ული ცვლილება / რეალიზაციის %-ული ცვლილება

თავი 14. საწარმოს მოსალოდნელი გაკოტრების მრავალფაქტორიანი მოდელების ანალიზი

კომკურენტულ გარემოში ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საწარმოთა მენეჯმენტმა უნდა შეძლოს წინასწარ განჭვრიტოს, მის საწარმოს ფინანსური საფრთხე ხომ არ ემუქრება მომავალი სამი წლის განმავლობაში მაინც. მეცნიერ-ეკონომისტები დიდიხანია მუშაობენ ისეთი ფაქტორული მოდელის შექმნაზე, რომელიც დაეხმარება საწარმოებს რამდენიმე წლით ადრე გამოიცნონ მოსალოდნელი ფინანსურ საფრთხე და პრევენციული ღონისძიებები გაატარონ.

მოცემულ თავში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- ალთმანის მარვალფაქტორიანი მოდელი;
- ფულმერის მოდელი;
- სპრინგეითის ფაქტორული მოდელი და ბივერის მოდელი.

14.1. ალთმანის მრავალფაქტორიანი მოდელის ანალიზი

დასავლეთის ცნობილმა ეკონომისტმა, პროფესორმა ედუარდ ალთმანმა შეისწავლა იმ სამრეწველო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, რომლებიც 1946-1965 წლებში გაკოტრდნენ. ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე მან ააგო კრედიტუნარიანობის ინდექსის მოდელი (Z), რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$Z = 3,3\ k_1 + 1,0\ k_2 + 0,6\ k_3 + 1,4\ k_4 + 1,2\ k_5 \qquad (14.1.1.)$$

სადაც:

k_1 = მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე / მთელი აქტივები
k_2 = ამონაგები რეალიზაციიდან / მთელი აქტივები
k_3 = საკუთარი კაპიტალი / მოზიდული კაპიტალი
k_4 = დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება / მთელი აქტივები
k_5 = საკათარი საბრუნავი სახსრები (სსს) / მთელი აქტივები

ალთმანის კრედიტუნარიანობის ინდექსის მინიმალური დონე არის 2,675. თუკი ინდექსი მასზე დაბალი აღმოჩნდა, საწარმოს 2-3 წელიწადში გაკოტრება ელოდება სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე. როცა $z>2,675$, მაშინ საწარმოს უახლოეს მომავალში ფინანსური საფრთხე არ ემუქრება.

ჩვენს მიერ აღებული პირობითი საწარმოს „კოლხეთის“ მაგალითზე განხილული კრედიტუნარიანობის ინდექსი 5,117 აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად ბოლო ორი წლის არასტაბილური ფინანსური მდგომარობისა და საერთო ლიკვიდურობის კოფიციენტის პერმანენტულად დაბალი დონისა, მას

უახლოეს სამ წლიწადში გაკოტრების საფრთხე არ ემუქრება. თუმცა აუცილებელია ფინანსური არასტაბილურობის თავიდან აცილების ღონისძიებების გატარება.

Z= 3,3 * 14340/36130 + 95690/36130 + 0,6 * 18160/17970 + 1,4 * 0/36130 + 1,2 * 2270/36130=
= 3,3 * 0,3969 + 2,6485 + 0,6 * 1,0106 + 1,4 * 0 + 1,2 * 0,0628 =
= 1,3098 + 2,6485 + 0,6064 + 0,0754 = **4,6401**

ამ მოდელის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გაუნაწილებელი მოგება ყოველთვის არ არსებობს. ამიტომ უკეთესია მოგებიდან შექმნილი რეზერვების მაჩვენებელი იქნას გამოყენებული გაუნაწილებლ მოგებასთან ერთად. მით უფრო, მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, საქართველოში გაუნაწილებელი მოგება აღარ იარსებებს.

ამ ხარვეზს ასწორებს **ალთმანის მოდიფიცირებული ფორმულა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:**

$Z = 0,717\ k_1 + 0,847\ k_2 + 3,107\ k_3 + 0,42\ k_4 + 0,995\ k_5$; სადაც,

K_1 – არის წმინდა საბრუნავი კაპიტალი (იგივე სსს) ფარდობა აქტივებთან;
K_2 – არის სარეზერვო კაპიტალისა [(მოგებიდან შექმნილი რეზერვების და გაუნაწილებელი მოგების (ზარალის) ჯამის] ფარდობა აქტივებთან;
K_3 - საოპერაციო მოგების (ზარალის) ფარდობა აქტივებთან;
K_4 - საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან (გადაფასების რეზერვის გარეშე);
K_5 - ამონაგების ფარდობა აქტივებთან.

როცა, $Z < 1,23$ გაკოტრების დიდი ალბათობა არსებობს;
$1,23 < Z < 2,9$ გაურკვევლობის არეა;
$Z > 2,9$ არსებობს გაკოტრების მცირე ალბათობა.

პროგნოზის საიმედოობის ხარისხი შეადგენს: 1 წლამდე - 88%, 2 წლამდე - 66%, ორ წელზე ზემოთ – 29%.

გამოცდაზე მოდიფიცირებული ფორმულა მოცემული იქნება. თქვენ მოგეთხოვებათ მაჩვენებლების ზეპირად ცოდნა.

Z = 0,717 * 2270/36130 + 0,847 * 5920/36130 + 3,107 * 14140/36130 + 0,42 * 17660/17970 +
+ 0,995 * 95690/36130 =
= 0,717 * 0,0628 + 0,847 * 0,1639 + 3,107 * 0,3914 + 0,42 * 0,9827 + 0,995 *2,6484 =
= 0,045 + 0,1388 + 1,2161 + 0,4127 + 2,6352 = **4,4478**

ამრიგად, როგორც გამოთვლები აჩვენებენ, შედეგები ორივე მოდელის მიხედვით ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა და თითქმის ორჯერ მეტია ზღვრულ დონეზე (2,9). ამდენად, განხილულ საანალიზო საწარმოს გაკოტრების ძალიან დაბალი ალბათობა აქვს.

საწარმოს შესაძლო გაკოტრების მიზეზებია:

- მუდმივი არსებითი დანაკარგები ძირითადი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები;
- ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ძალიან მაღალი ხვდრითი წილი;
- მოკლევადიანი სესხების გადაჭარბებული გამოყენება გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებისათვის;
- ლიკვიდურობის საერთო კოეფიციენტის მუდმივი დაბალი დონე;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების პერმანენტული უკმარისობა;
- ნასესხები სახსრების წილის გამუდმებული ზრდა დაფინანსების წყაროებში;
- რეინვესტირების არასწორი პოლიტიკა
- ინვესტორების, კრედიტორების და აქციონერების წინაშე ვალდებულებების გამუდმებული შეუსრულებლობა;
- საწარმოო მარაგების ნაშთების გაუმართლებელი ზრდა და ჩაწოლილი საქონლის არსებობა;
- საბანკო დაწესებულებებთან დაძაბული ურთიერთობების არსებობა;
- არახელსაყრელი პირობებით დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვა;
- ძირითად საქმიანობაში დიდი რაოდენობით ვადაგადაცილებული და ტექნიკურად ჩამორჩენილი მოწყობილობების გამოყენება;
- გძელვადიანი კონტრაქტების პოტენციური დანაკარგები;
- შეკვეთების პორთფელში არასუსურველი ცვლილებები.

გარდა ამისა, არსებობენ ისეთი ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ არ იწვევენ საწარმოთა მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის გამწვავებას, მაგრამ ისინი მიანიშნებენ, რომ გარკვეულ პირობებში მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს. ესენია:

- მართვის აპარატის მთავარი, წამყვანი თანამშრომლების დაკარგვა;
- წარმოების პროცესის იძულებითი შეწყვეტა და არარიტმულობა;
- დასაქმებული პერსონალის არასაკმარისი დაინტერესება საწარმოს ფინანსური შედეგებით;
- საწარმოს საქმიანობის არასაკმარისი დივერსიფიკაცია ანუ საწარმოს ფინანსური შედეგების ზომაზე მეტად დამოკიდებულება ერთ კონკრეტულ პროექტზე;
- ახალი პროექტების მომგებიანობის გადაჭარბებული შეფასება;
- საწარმოს მონაწილეობა სასამართლო გარჩევებში, გაუთვალისწინებელი შედეგებით;
- მთავარი კონტრაგენტების (პარტნიორების) დაკარგვა;

- საწარმოს განუწყვეტელი ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლების აუცილებლობის არასწორი შეფასება;
- არაეფექტური გრძელვადიანი ხელშეკრულებები.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი შესწავლილ და განხილულ უნდა იქნეს საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტისა და დირექტორთა საბჭოს (აგრეთვე მფლობელთა) მიერ და განხორციელდეს ადეკვატური ღონისძიებები. შედეგად, გარანტირებული იქნება საწარმოთა ფინანსური უსაფრთხოება და საბოლოოდ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

14.2. ფულმერის მრავალფაქტორიანი მოდელი

ფულმერის მიერ 1984 წელს აგებულ იქნა საწარმოს გაკოტრების პროგნოზირების ცხრა ფაქტორიანი მოდელი მცირე საწარმოებისატვის (მათ შორის რესტორნებისათვის).

$$H = 5{,}528(V_1) + 0{,}212(V_2) + 0{,}073(V_3) + 1{,}270(V_4) - 0{,}120(V_5) + 2{,}335(V_6) + 0{,}575(V_7) + 1{,}083(V_8) + 0{,}894(V_9) - 6{,}075 \quad \textbf{(14.2.1)}$$

თუ $H < 0$, საწარმო გაკოტრებულია.

V_1 = გაუნაწილებელი მოგება/მთლიანი აქტივების საშ. ნაშთი – (4060/30470)
V_2 = შემოსავალი რეალიზაციიდან / მთლიანი აქტივების საშ. ნაშთი – (95690/30470)
V_3= საოპერაციო მოგება /სააქციო კაპიტალის საშ. ნაშთი – (14140/9590)
V_4 = საოპერაციო საქმ-დან მიღებული ფული / ვალდებ. საშ. ნაშთი - (13430/14880)
V_5= მთლიანი ვალდ. საშ. ნაშთი / საკუთარი კაპიტალის საშ. ნაშთი – (14880/15590)
V_6 = მიმდინარე ვალდებულების საშ. ნაშთი / აქტივების საშ. ნაშთი – (8860/30470)
V_7 = გრძელვადიანი აქტივების საშ. ნაშთი / აქტივების საშ. ნაშთი – (18685/30470)
V_8 = სსს / მთლიანი ვალდებ. საშ. ნაშთი – (2805/14880)
V_9 = საოპერაციო მოგება/საპროცენტო ხარჯები – (14140/1220)

ჩამოთვლილი კოეფიციენტების გამოსათვლელად საჭიროა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია. ფულმერის მოდელის მიხედვით, საწარმო უნდა შეფასდეს გაკოტრებულად, თუ (H) კოეფიციენტი ნულზე ნაკლებია და არ უნდა შეფასდეს გაკოტრებულად, თუ ეს კოეფიციენტი ნულს უდრის. ეს მოდელი სავარაუდო მოდელია. ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ იქნება. მიუხედავად ამისა, მოდელი შეიძლება საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ იქნას იმის გასაგებად, როგორი მარაგი იქნება უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად საშიში. ამ კოეფიციენტის გამოთვლა, მისი ავტორის აზრით, წინა სამი წლის ინფორმაციის საფუძველზე უფრო საიმედოა.

ცხრილში 14.2.1. მოცემული სანალიზო საწარმოს მაჩვენებლების საფუძველზე გამოთვლილია საჭირო კოეფიციენტები.

H = 5,528 * 0,1332 + 0,212 * 3,1405 + 0,073 * 1,4745 + 1,270 * 0,9026 + 0,120 * 0,9545 + 2,335 * 0,2908 + 0,575 * 0,6132 + 1,083 * 0,1885 + 0,894 * 11,5902 – 6,075 =

= 0,73633 + 0,66579 + 0,10764 + 1,1463 + 0,11454 + 0,67902 + 0,35259 + 0,20415 +
+ 11,59016 – 6,075 = 9,5215

ცხრილი 14.2.1.

მაჩვენებელები ფულმერის მრავალფაქტორიანი მოდელისათვის

მაჩვენებლები	თანხა ათ,ლ
1. მთლიანი აქტივების საშუალო ნაშთი	30470
2. სააქციო კაპტალის საშუალო ნაშთი	9590
3. საკუთარი კაპიტალის საშუალო ნაშთი	15590
4. ვალდებულებების საშუალო ნაშთი	14880
5. მიმდინარე ვალდებულებების საშუალო ნაშთი	8860
6. გრძელვადიანი აქტივების საშუალო ნაშთი	18685
7. საკუთარი საბრუნავი საშუალებები (სსს)	2805
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	95690
9. საოპერაციო მოგება	14140
10. საპროცენტო ხარჯები	1220
11. გაუნაწილებელი მოგების (რეზერვების) საშუალო ნაშთი	4060
12. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	13430

მაშასადამე, როგორც გამოთვლებმა აჩვენა, H მეტია ნულზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საანალიზო საწარმო ფინანსურად უსაფრთხოა. H კოეფიციენტის მაღალი დონე ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საწარმოში საპროცენტო ხარჯები დაბალია. იგი საოპერაციო მოგების მხოლოდ 8,6%-ს შეადგენს.

14.3. სპრინგეითის მოდელი

სპრინგეითის მოდელი ნაკლები მაჩვენებლების გამოყენებით ახდენს საწარმოს გაკოტრების პროგნოზირებას. მოდელის მიხედვით კრიტკული ზღვარია 0,862. თუ კოეფიცენტი მასზე დაბალი აღმოჩნდა, გაკოტრების ალბათობა მაღალია და კომპანია საშიშია. თუ იგი არის 0,9 ქვმოთ მოძრაობს, მენეჯმენტმა საჭიროა სერიოზული ყურადღება მიაქციოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

სპრინგეითის მოდელი ალთამნის მოდელის გაგრძელებას წარმოაგენს, მაგრამ იგი უფო ხშირად გამოიყენება. ეს მოდელი 1978 წელს შეიქმნა გორდონ ლ.ვ სპრინგეითის მიერ. მისი კოეფიციენტების გამოსათვლელად საჭიროა ბუღალტრული ბალანსის, მოგება/ზარალის ანგარიშგების და ფულადი ნაკადების ინფორმაცია.

სპრინგეითის მოდელი = 1,03 Y_1 + 3,07 Y_2 + 0,66 Y_3 + 0,4 Y_4 (14.3.1)

Y_1 = სსს / აქტივების საშ. ნაშთი
Y_2 = მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე (EBIT) / აქტივების საშ. ნაშთი
Y_3 = წლიური მოგება / მიმდინარე ვალდებ. საშ. ნაშთი
Y_4 = შემოსავალი რეალიზაციიდან /აქტივების საშ. ნაშთი

ეს კოეფიციენტი უსაფრთხოდ ითვლება 0,9-ს ზემოთ.
საანალიზოს საწარმოს მაგალითზე შემდეგი მაჩვენებლები მიიღება:

V_1 = 2805 / 30470 = 0,09206
V_2 = 14140 / 30470 = 0,46406
V_3 = 13120 / 8860 = 1,48081
V_4 = 95690 / 30470 = 3,14047

$K_{\text{სპრინგეითის}}$ = **1,03 * 0,09206 + 3,07 * 0,46406 + 0,66 * 1,48081 + 0,4 * 3,14047 =**
= 0,09482 + 1,42466 + 0,97733 + 1,25619 = 3,753

ამდენად, სპრინგეითის ინდექსი ნორმაზე მაღალია, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს.

14.4. კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ბივერის კოეფიციენტები

ბივერის მრავალი კოეფიცენტია ცნობილი. ესენი: კრიტიკული ლიკვიდურობის, კერედიტორული დავალიანებების დაფარვის, ლიკვიდურობის დაკარგვის კოეიფიციენტი და სხვა.

$$\textbf{კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\textbf{ფულადი თანხები + დებიტორ. დავალიანება}}{\textbf{მიმდ. ვალდებ. + გრძელვადიანი სესხები}}; \quad \textbf{(14.4.1)}$$

ეს კოეფიციენტი 0.7 და 0,8 შორის უნდა მერყეობდეს.

აგრეთვე იგი გადახდისუნარიანობის დონის გამოსათვლელად შემდეგ ფორმულას იყენებს:

$$\textbf{K მიმდინარე გადახდისუნარიანობა} = \frac{\text{ფულადი თანხები}}{\text{კრედიტ. დავ. – დებიტ, დავ.}}; \quad \textbf{(14.4.2)}$$

ამ კოეიციენტის ნორმალური დონე 2-ის ტოლია.

$$\textbf{ნასესხები კაპიტალის დაფარვის ბივერის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება – დარიცხული ამორტიზაცია}}{\text{ნასესხები კაპიტალი}}; \quad \textbf{(14.4.3)}$$

ეს კოეფიციენტი 0,4 – 0,45 დაბალი არ უნდა იყოს.

ცნობილია აგრეთვე კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ბივერის შესწორებული კოეფიციენტი:

ბივერის შესწორებული კოეფიციენტი =

$$= \frac{\text{მყიდველებიდან მიღებული ფული – მოგების გადასახადი}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}; \qquad \textbf{(14.4.4)}$$

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.
ცნობილია აგრეთვე მიმდინარე ლიკვიდურობის გაუარესების კოეფიციენტი

$$\textbf{K ლიკვიდურობის დაკარგვის} = (K_{1f} + 3/T * (K_{1f} - K_{1h}) / K_{1\ norm.}; \quad \textbf{სადაც,} \qquad \textbf{(14.4.5)}$$

K_{1f} - არის პერიოდის (წლის) ბოლოს მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობა

K_{1h} - არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი პერიოდის დასაწყისში

$K_{1norm.}$ - არის მიმდინარე ლიკვიდურობის ნორმალური კოეფიციენტი. იგი არის 2-ის ტოლი

3 – არის სამი თვის რაოდენობა

T - არის საანგარიშგებო პერიოდის (წლის) ხანგრძლიობა თვეებში

ეს კოეფიციენტი აჩვენებს მომავალი სამი თვის განმავლობაში საწარმოს მიმდინარე ლიკვიდურობის (გადახდისუანრიანობის} გაუარესების ალბათობას. იგი ერთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საანალიზო საწარმოს მაგალითზე მიმდინარე გადახდისუანრიანობა 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით შეადგენს:

მიმდინარე გადახდისუნარიანობა = 4730 : (4100 – 2100) = 2,37

ეს კოეფიცენტი 2-ზე მაღალი არ უნდა იყოს. ეს ნიშნავს რომ საწარმო ფულად თანხებს ნაკლები აქტიურობით იყენებს.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის ბივერის კოეფიციენტი = (11920 – 2240) / 9600 =1,01

კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (4730 + 2100) : (10970 + 7040) =
= 6830 : 18010 = 0,38

K ლიკვიდურობის დაკარგვის კოეფიციენტი = (13380/10930 + 3/12 * (1,224 – 1,503) / 2 =
= (1,224 – 0,07)/2 = 0,577

მაშასადამე, ამ მოდელის მიხედვით, თუ საანალიზო საწარმოს მენეჯმენტმა საგანგებო ღონისძიებები არ გაატარა, სამ თვეში მოსალოდნელია ლიკვიდურობის ანუ გადახდისუნარიანობის დაკარგვა.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **კრედიტუნარიანობის ალთმანის მოდიფიცირებულ მრავალფაქტორიან მოდელში წამროდეგენილ ფაქტორ მაჩვენებლებს შორის არის კოეფიციენტი:**
   ა. მოზიდული კაპიტალის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან
   ბ. საკუთარი კაპიტალის ფარდობა მოზიდულ კაპიტალთან
   გ. შემოსავლების ფარდობა ძირითად საშუალებებთან

2. სპრინგეითის მრავალფაქტორიან მაჩვენებლებს შორის არის კოეფიციენტი:
   ა. მიმდინარე ვალდებულებები შეფარდებული გრძელვადიან ვალდებულებებთან
   ბ. წლიური მოგება შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებების საშუალო ნაშთთან
   გ. წლიური მოგება შეფარდებული გრძელვადიანი ვალდებულებების საშუალო ნაშთთან

3. მიმდინარე გადახდისუნარიანობის ბივერის კოეფიციენტი არის:
   ა. ფულადი თანხების ფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან
   ბ. ფულადი თანხების ფარდობა დებიტორულ დავალიანებებთან
   გ. ფულადი თანხების ფარდობა კრედიტორული დავალიანებებსა და დებიტორული დავალიენებს შორის სხვაობაზე

4. საკუთარი საბრუნავი სახსრები (სსს) უდრის:
   ა. სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის
   ბ. მიმდინარე აქტივებს მინუს მიმდინარე ვალდებულებები და მინუს მატერიალურ მარაგებში დაბანდებული გრძელვადიანი სესხი
   გ. სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და გრძელვადიან აქტივებს შორის

5. კოეფიციენტი: წლიური მოგება შეფარდებული მოკლევადიან ვალადებულებებზე, აჩვენებს:
   ა. რამდენი ლარის მოგების მიღებაა უზრუნველყოფილი ყოველ ერთ ლარ მოკლევადიან ვალდებულებებებზე
   ბ. რამდენი ლარი შემოსავალი დაჭირდა ყოველი ერთი ლარის მოგების მიღებას
   გ. არცერთი პასუხი არაა სწორი

6. მიმდინარე ვალდებულების საშ. ნაშთი / აქტივების საშ. ნაშთი – აჩვენებს:
   ა. აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული მოკლევადიანი ვალდებულებებით
   ბ. აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალით
   გ. შემოსავლების რა ნაწილია დაფინანსებული მიმდინარე ვალდებულებებით

7. კოეფიციენტი: შემოსავალი რეალიზაციიდან /აქტივების საშ. ნაშთი, აღნიშნავს:
   ა. აქტიევების რა ნაწილია დაფინანსებული შემოსავლებით
   ბ. აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს
   გ. აქტივების რა ნაწილი დაფინანსებული საკუთარი კაპიტალით

8. კოეფიციენტი: საოპერაციო მოგება/საპროცენტო ხარჯები, აჩვენებს:
   ა. ზარალს საოპერაციო საქმიანობიდან
   ბ. საოპერაციო მოგება რამდენად ფარავს საპროცენტო ხარჯებს
   გ. რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთ ლარ აქტივზე

9. კომპანიის წლიური შემოსავალი სულ 45 მლნ ლარს, მოთხოვნების საშუალო წლიური ნაშთი 9 მლმ ლ და მთელი აქტივების საშუალო წლიური ნაშთი 18 მლნ ლარს შეადგენდა.

რას უდრის მთელ აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი:

ა. 5 – ჯერ
ბ. 7,5 – ჯერ
გ. 2,5 – ჯერ

10. კოეფიციენტი: დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება / მთელი აქტივები, აჩვენებს:

ა. აქტივების მომგებიანობას
ბ. მოგების ზრდის ტემპს
გ. საწარმო რამდენ ლარს აგროვებს ყოველ ერთ ლარ აქტივზე

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 14.1.

ერთ-ერთი კომპანიის შესახებ, არსებობს შემდეგი ინფორმაცია (ლარი):

აქტივების ჯამი	116 640
საკუთარი კაპიტალი	80 000
ვალდებულებები	38 330
სსს (საკ.საბრ.სახსრები)	29470
მოგებიდან შექმნილი რეზერვები	8 810
შემოსავალი რეალიზაციიდან	85 300
მოგება %-მდე	10 930

მოთხოვნა: გამოთვალეთ საწარმოს კრედიტუნარიანობის ინდექსი ალთმანის მოდიფიცირებული ფორმულით.

$$Z = 0{,}717\ k_1 + 0{,}847\ k_2 + 3{,}107\ k_3 + 0{,}42\ k_4 + 0{,}995\ k_5\ ;$$

ამოცანა 14.2.

კომპანიას გააჩნია შედგი ინფორმაცია (ათ.ლ):

მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე	- 2350
წლიური მოგება	1260
საკუთარი საბრუნავი სახსრები	500
აქტივების საშუალო ნაშთი	42000
მიმდინარე ვალდებულებების საშუალო ნაშთი	12300
შემოსავალი რეალიზაციიდან	40700

მოთხოვნა: გამოთვალეთ სპრინგეითის მრავალფაქტორიანი ინდექსი

თავი 15. პროგნოზული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა

ბიზნესში წარმატების მისაღწევად აუცილებელია დაგეგმვა, რომლიც ბიზნეს-გეგმის შედგენით იწყება.

ბიზნეს-გეგმა მომავალი საქმიანობის დოკუმენტია, რომელიც საწარმოს მენეჯმენტს საშუალებას აძლევს გაერკვეს თავისი საქმიანობის ზრდის პერსპექტივაში, განჭვრიტოს ის შესაძლო ცვლილებები და პრობლემები, რომლებიც მომავალში შესაძლოა წარმოიშვას და შეაფასოს მოსალოდნელი პროგრესი და რისკები.

ამ თავში შეძლებთ შეისწავლოთ შემდეგი საკითხები:

- გეგმური მოგება/ზარალის ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა;
- გეგმური ბუღალტრული ბალნის მომზადება;
- გეგმური ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა.

15.1. გეგმური მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადება

მეცნიერ ეკონომისტები და პრაქტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ნებისმიერი საქმიანობა გეგმის გარეშე ემსგავსება უკომპასო გემს, რომელიც განწირულია დაღუპვისათვის. ბიზნეს-გეგმის არმქონე საწარმო ვერასოდეს ვერ მიაღწევს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ეს რესურსები თვალსა და ხელს შორის გაუქრება და დიდი ალბათობით, გაკოტრდება.

აქციების გამოშვებით და ხელსაყრელი სესხით მიღებული ფული ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ წარმატება გარანტირებულია. კრედიტის აღებამდე ძალიან ადრე უნდა განისაზღვროს ამ სესხის დანიშნულება. მისი გონივრული ხარჯვა და მოსალოდნელი შედეგები, რაც ბიზნეს-გეგმაში ჰპოვებს ასახვას. მენჯმენტმა პირველ რიგში უნდა განსაზღვროს მიზანი, რის გაკეთებას აპირებს იგი. შემდეგ რაც შეიძლება სწორად უნდა დაგეგმოს ერთი მხრივ, რა რაოდენობის რესურსები ჭირდება მიზნის მიღწევას და როგორი შემადგენლობით. მეორე მხრივ, ასვე უნდა განისაზღვროს რა წყაროებით უნდა მოხდეს რესურსების შეძენა და როგორი თანაფარდობა უნდა იყოს საკუთარ და მოზიდულ კაპიტალს შორის, რათა შეარბილოს ფინანსური რისკები. ყოველივე ეს ბიზნეს-გეგმაში უნდა იქნეს ასახული.

ბიზნეს-გეგმა ეხმარება მეწარმეებსა და ფინანსისტებს, შეისწავლონ ბაზრის მომავალი მოთხოვნა მათ პროდუქტებზე და სწორად დაგეგმონ დანახარჯები, რათა საბოლოო ჯამში განსაზღვრონ თავიანთი მომგებიანობა. აღმოაჩინონ ყველა შესაძლო წინააღმდეგობა („წყალქვეშა ქვები“), რაც კი შეიძლება გადაეღობოს საქმიანობას. განსაზღვრონ მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება

ყოველთვის იცოდნენ ბიზნესის მდგომარეობა აღმავლობისკენ მიდის თუ დაცემისკენ. სწორად შედგენილი ბიზნეს-გეგმა პასუხს იძლევა კითხვებზე: საერთოდ ღირს თუ არა ფული დაბანდებულ იქნეს მოცემულ საქმეში (პროექტში) და სრულად ანაზღაურდება თუ არა შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯები.

საწარმოთა ბიზნეს-გეგმის ნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური გეგმა, რომელიც შეიცავს მოგების და მოგებიანობის მაჩვენებლებს და გეგმურ ფინანსურ ანგარიშგებას. პირველ რიგში შედგება მოგება/ზარლის გეგმური ანგარიშგება. ამ მიზნით გამოიყენება წარმოების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი.

საწარმოებს, რომლებიც ხანგრძლივად მუშაობენ და უკვე წარმოების მასშტაბებისა და ზრდის ტემპების შესახებ ჩამოყალიბებული ტრადიცია აქვთ, მომგებიანობის მაჩვენებელთა და მასზე მოქმედ ფაქტორთა შესახებ სრული მონაცემები გააჩნიათ. თუკი სამომავლოდ მნიშვნელოვნად არ შეიცვლება აქტივების დაფინანსების წყაროების და მოგების გამოყენების მიმართულებების სტრუქტურა, მაშინ წარმოების ზრდის ტემპი (q) შეიძლება გამოითვალოს, საერთაშორისო პრაქტიკაში კარგად ცნობილი ფორმულით:

$$q = \frac{r * p * R_o * FD}{1 - r * p * R_o * FD};$$ სადაც,

r - არის გაუნაწილებელი (ან რეინვესტირებული) მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან;
p - არის წმინდა მოგების ფარდობა ამონაგებთან, რომელსაც შეიძლება წმინდა მოგების მარჟა ეწოდოს;
R - არის აქტივების უკუგება ანუ ამონაგების ფარდობა აქტივების ჯამთან;
FD - არის ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი ანუ აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან.

თუკი საწარმოს ხელმძღვანელობა განიზრახავს, უფრო მაღალი ტემპით გაზარდოს ფირმის პოტენციალი, მათ ეს ერთი ან რამდენიმე ფაქტორის მეშვეობით შეუძლიათ, როგორიცაა: დივიდენდის გაცემის პოლიტიკის შეცვლა (დივიდენდზე გასაცემი წმინდა მოგების წილის შემცირება), ფინანსური პოლიტიკის შეცვლით (მოზიდული კაპიტალის წილის ამაღლება ავანსირებულ კაპიტალში), აქტივების ბრუნვის დაჩქარება (კაპიტალუკუგების გაზრდა წარმოების ინტესიფიკაციის გზით ანუ შრომისმწარმოებლურობის ზრდით), პროდუქციის რენტაბელობის გაზრდა წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებით.

განვიხილოთ პროგნოზირების მეთოდიკა პირობითი საანალიზო საწარმოს მაგალითზე. 2017 წელს სააქციო საზოგადოება „კოლხეთის“ ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები დავუშვათ შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 15.1.1.

მოგება/ზარალის ანგარიშგება 2017 წელს

	(ათ.ლ)
ამონაგები რეალიზაციიდან	95 690
საოპერაციო დანახარჯები (შემოსავლების 85,2%)	(81 550)
არასაოპერაციო ხარჯები	(1220)

(საოპერაციო ხარჯების 1,496%)	
არასაოპერაციო შემოსავალი	200
მოგება დაბეგვრამდე	13 120
მოგების გადასახადის ხარჯი (15%)	(1 200)
წმინდა მოგება	11 920
დივიდენდი (55%)	(6800)
რეზერვები (37%)	(5120)

ასევე, აიღება ბუღალტრული ბალანსის ძირითადი მაჩვენებლები (ათასი ლარი):

ცხრილი 15.1.2.

ბუღალტრული ბალანსი (ათ.ლ)

აქტივი		პასივი	
I. მიმდინარე აქტივები		I. ვალდებულებები	
მიმდინარე აქტივები	– 13380	ბანკის სესხები	– 9600
		ვალდებულება მოწოდებიდან	– 4100
II. გრძელვადიანი აქტივები		დანარჩენი ვალდებულებები	– 4270
ძირითადი საშუალებები	–19220	ჯამი	17 970
ნაყიდი ობლიგაციები	– 2000	II. საკუთარი კაპიტალი	
არამატერიალური აქტივები	– 1530	სააქციო კაპიტალი	– 10360
ჯამი	22 750	საემისიო კაპიტალი	– 2200
		გადაფასების რეზერვი	– 500
სულ	36130	მოგებიდან შექმნილი რეზერვები	– 5920
		უკან გამოსყიდული აქციები	– (820)
		ჯამი	18 160
		სულ	36130

განვიხილოთ პროგნოზის ორი შესაძლო ვარიანტი:

I. ფინანსური მაჩვენებლების არსებული სტრუქტურა მომავალ წელს, დავუშვათ არ შეიცვლება. ამ შემთხვევაში ყველა კოეფიციენტი აიღება საანგარიშგებო მონაცემების მიხედვით.

r = 15920 / 11920 = 0,4966
p = 11920 / 95690 = 0,1246
R = 95690 / 36130 = 2,6485
FD = 36130 / 18160 = 1,9895

მაშინ, წარმოების ზრდის ტემპი იქნება:

$$q = \frac{0,4966 * 0,1246 * 2,6485 * 1,9895}{1 - (0,4966 * 0,1246 * 2,6485 * 1,9895)} = 0.326 / 0,674 = 0,484 \text{ ანუ } 48,4\%$$

მაშასადამე, მომავალ წელს არსებული პოტენციალის პირობებში, საწარმოს შეუძლია წარმოება და რეალიზაცია 48%-ით გაზარდოს ისე, რომ დამატებითი სახსრების მოზიდვა არ დაჭირდება.

II. ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა მეწარმეს წარმოების 30%-ით გაზრდა სურს. ხოლო, დივიდენდების გაცემის პოლიტიკას შეცვლის და წლიური მოგების 80%-ს აქციონერებზე გაანაწილებს. 20% - რეზერვებისთვისაა საჭირო.

შემოსავლებს სხვა საქმიანობიდან არ ელოდებიან. ასეთი ვითარებისათვის, მოგება/ზარალის პროგნოზული ანგარიშგება შემდეგნაირად განისაზღვრება:

მოგება/ზარალის პროგნოზული ანგარიშგება (ათასი ლარი)

ამონაგები რეალიზაციიდან (95690 *1,3)	124397
საოპერაციო დანახარჯები (124397 * 85,2%)	(105986)
არასაოპერაციო ხარჯები (124397 * 1,496%)	(1861)
წლიური მოგება (მოგება დაბეგვრამდე)	16550
მოგების გადასახადი (15%)	(1811)
წმინდა მოგება	14739
გასაცემი დივიდენდი (16550-ის 80% - 1811)	(11429)
რეზერვები მოგებიდან (20%)	(3310)

მაშასადამე, მოგება/ზარალის ანგარიშგებით განაწილებული მოგება შეიძლება შემდეგნაირად გამოითვალოს: დარიცხულ დივიდენდს პლიუს მოგების გადასახადი (11429 + 1811 = 13240). ან 16550 – 3310 = 13240 ლ

15.2. გეგმური ბუღალტრული ბალანსის მომზადება

მოგება/ზარალის ანგარიშგების დაგეგმვის შემდეგ შეიძლება პროგნოზული ბალანსის შედგენაც, რისთვისაც შემდეგი საფეხურების გავლაა საჭირო:

- განისაზღვრება აქტივების საერთო სიდიდე წარმოების ზრდის შესაბამისად;
- წინა წელს არსებული სტრუქტურის შესაბამისად გამოითვლება მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების პროგნოზული მოცულობა. გრძელვადიანი აქტივებიდან ცალკე გამოიყოფა ნაყიდი ფასიანი აქტივები, რაც იმავე დონეზე დარჩება, თუკი დამატებითი შესყიდვები არაა განზრახული. ასევე ცალკე განიხილება არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სიდიდე, თუკი მათი შესყიდვა მოსალოდნელია. გაანგარიშებები მოხდება მხოლოდ ძირითადი საშუალებების მიმართ.

  კრედიტორული დავალიანებების ზრდა იგეგმება აქტივების ზრდის პროპორციულად;
- გაუნაწილებელი მოგების სიდიდე (თუკი დასაშვებია) გამოითვლება წინა წლის ბუღალტრული ბალანსისა და პროგნოზული მოგება/ზარალის ანაგრიშგების საფუძველზე;
- დამატებითი სახსრების სიდიდე გამოითვლება როგორც სხვაობა აქტივისა და პასივის ჯამებს შორის. ან შეიძლება კორექტირებულ იქნას აქტივების ზრდის პროპორციულად.

გამოთვლები დაგეგმვისათვის:

წლის ბოლოს არსებული ფაქტობრივი აქტივების ჯამიდან გამოიქვითება ობლიგაციები და არამატარიალური აქტივები (იხ. ცხრილი 15.1.2).

36130 – 2000 – 1530 = 32600 ათ.ლ. აქედან,

მიმდ. აქტივების წილი = 13380 / 32600 = 41,04%

ძირით. საშ. წილი = 19220 / 32600 = 58,96%

აქტივების გეგმური ზრდა = 32600 * 1,3 = 42380 ათ.ლ

პროგნოზული ბუღალტრული ბალანსი

აქტივი		პასივი	
მიმდინარე აქტივები (42380 * 0,4104)	17393	ბანკის სესხები	9600
		ვალდებულება მოწოდებიდან (4100 * 1,3)	5330
ძირითადი საშუალებები (42380 * 0,5896)	24987	დანარჩენი ვალდებულებები	4270
არამატერიალური აქტივები	1530	სააქციო კაპიტალი (10360-820)	9540
ობლიგაციები	2000	საემისიო კაპიტალი	2200
		გადაფასების რეზერვი	500
სულ აქტივები	45910	რეზერვები მოგებიდან	5920
		ჯამი	37360

პასივის ჯამი აღმოჩნდა 3730 ათასი ლარი, რაც აქტივის ჯამზე ნაკლებია. მაშასადამე, დამატებით საჭიროა 8550 ათ. ლ (45910–37360) სახსრების მოზიდვა, რათა წარმოება 30%%-ით გაიზარდოს. ეს სახსრები შეიძლება მოზიდულ იქნას სესხების ან საკუთარი აქციების გამოშვების გზით. ხელმძღვანელობა რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს, პროგნოზული ბალანსის პასივშიც შესაბამისი მუხლი გაიზრდება.

III. დავუშვათ, საწარმო თავის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას 70%-ით იყენებდა. მაშინ, არსებული ძირითადი საშუალებები საკმარისია 118577 ათასი ლარი რეალიზაციის მოცულობისათვის (83000/0,7), რაც რეალიზაციის ამოსავალ მოცულობას 43%-ით აღემატება (118577/83000 * 100). ამდენად, წარმოების 15%-იანი ზრდისათვის, ძირითად საშუალებებში სახსრების დამატებითი დაბანდებები საჭირო არ იქნება.

IV. თუკი საწარმო თავის რესურსებს 90%-ით გამოიყენებდა მაშინ, ძირითადი საშუალებები 92222 ათასი ლარის (83000/0,9) რეალიზაციას უზრუნველყოფენ, რაც რეალიზაციის ამოსავალ მოცულობას 11%-ით აღემატება და საჭირო გახდება დამატებითი სახსრების მოზიდვა ძირითადი საშუალებების შესაძენად. კერძოდ, ფონდუკუგება იქნება 92222/18510 = 4,98 ლარი. ფონდუკუგება აჩვენებს რამდენი ლარი შემოსავალი მიიღება ერთ ლარ ძირითად საშუალებებზე. ფონდუკუგების მოცემული დონის შემთხვევაში კი 95450 ლარის რეალიზაციის უზრუნველყოფას 19167 ლარის (954500/4,98) ძირითადი საშუალებები დასჭირდება.

15.3. ფულადი ნაკადების პროგნოზირების მეთოდიკა

საწარმოს ფინანსური მმართველობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ფულადი თანხების შემოდინებისა და გადინების შესაძლო ნაკადების განსაზღვრა. მაჩვენებლების უმრავლესობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ პროგნოზირება ხდება წინა რამდენიმეწლიანი (5-10წ) პერიოდის ანალიზის საფუძველზე.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ყველაზე რეალურია სამ წლამდე პერიოდისათვის. წლის შიგნით კი გეგმები დაყოფილია კვარტლებად და თვეებად. **პროგნოზირების მეთოდიკის პროცედურები შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:**

- ფულის შემოსულობების პროგნოზირება;
- ფულის გადინების პროგნოზირება;
- წმინდა ფულადი ნაკადების (მეტობის ან დეფიციტის) განსაზღვრა წლისა და თვეების მიხედვით;
- მოკლევადიან დაფინანსებაზე მოთხოვნის საჭიროების განსაზღვრა პერიოდების მიხედვით;

პირველ ეტაპზე, ჯერ განისაზღვრება რეალიზაციიდან ფულის მოსალოდნელი შემოდინების მოცულობა. როგორც წესი, პროდუქციის რეალიზაცია, საწარმოში ფულის შემოსვლის ძირითადი წყაროა. რეალიზაცია, როგორც ცნობილია, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიძლება განხორციელდეს. უნაღდო ანგარიშსწორების დროს, მეწარმეები აკვირდებიან მათ მყიდველებს, საშუალოდ რა დრო სჭირდება მათ ანგარიშის განაღდებისათვის. ამ დაკვირვებების საფუძველზე განისაზღვრება, რა რაოდენობის ფულადი შემოსავალი შეიძლება იქნას მიღებული მიმდინარე პერიოდში და რამდენი – მომავალში. ფულადი შემოსულობები შეიძლება გამოითვალოს შემდეგი საბალანსო ტოლობით:

დებიტორული დავ. პროგნოზული საწყისი ნაშთი + პერიოდის შემოსავალი რეალიზ. =
= შემოსული ფული პერიოდში + დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი პროგნოზით.

ამ ტოლობიდან გამოითვლება მისაღები ფულის სიდიდე.

დაიგეგმება რა დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი.

დებიტორული დავალიანებების გეგმური სიდიდე = დებიტ. დავ. წინა წლის ბოლოს + + გეგმური რეალიზაცია – რეალიზაციიდან მისაღები გეგმური თანახა პერიოდში.

რეალიზაციიდან მისაღები ფულადი ნაკადების გეგმური მაჩვენებელი გამოითვლება საწარმოში არსებული გამოცდილების საფუძველზე, თუ როგორი თანმიმდევრობით იხდიან კლიენტები დავალიანებებს.

თუ მოსალოდნელია ფულის შემოსვლა სხვა ოპერაციებიდან, მათი სიდიდე პირდაპირი გაანგარიშებებით განისაზღვრება.

მეორე ეტაპზე ხდება ფულის გასავლების მიმართულების დადგენა და შესაბამისი მოცულობების გამოთვლა. პირველის მსგავსად, მოხდება კრედიტორული დავალიანებების პერიოდიზაცია. საქართველოს საგასახადო კოდექსით, კრედიტორული დავალიანების დაფარვის მაქსიმალური ვადაა 90 დღე. მის ზემოთ არსებული დავალიანება ვადაგადაცილებულად ითვლება. ამასთან, მეწარმე ცდილობს პირველ რიგში

ძვირადღირებული დავალიანებები დაფაროს, რადგან მათი დაგვიანებისას დიდი ჯარიმების გადახდა მოუწევს.

კრედიტორული დავალიანების გეგმური სიდიდე პრიოდის ბოლოს = კრედიტ.დავ.წინა წლის ბოლოს + შესყიდვების გეგმური მოცულობა – შესყიდვების მოსალოდნელი განაღდება

ასევე, პირდაპირი გამოთვლებით განისაზღვრება ხელფასების, მუდმივი და ცვლადი ხარჯების, კაპიტალური დაბანდებების, მოგების გადასახადის, გასაცემი დივიდენდის, პროცენტების და ა.შ. დაფარვისათვის საჭირო ფულადი თანხები.

მესამე ეტაპი, ფულადი ნაკადების პროგნოზირების პირველი ორი ეტაპის, ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. კერძოდ, ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შემოსულობებს, დაუპირისპირებენ მოსალოდნელ გასავლებს და მიიღება წმინდა ფულადი ნაკადი (მეტობა ან დეფიციტი).

მეოთხე ეტაპზე, წინა გამოთვლების საფუძველზე გაიანგარიშება ფულზე მოთხოვნა მოკლევადიანი დაფინანსებისათვის, რომლის საფუძველზე მოკლევადიანი საბანკო სესხების საჭიროება, წლის შიგნით, პერიოდების მიხედვით გამოითვლება.

გაანგარიშებების დროს, მოულოდნელი საჭიროებებისათვის აგრეთვე აუცილებელია ფულის მინიმალური რაოდენობის არსებობა ფულის საბანკო ანგარიშებზე.

საილუსტრაციო მაგალითი;

დავუშვათ, წინა წლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმო წლიურად, საშუალოდ გაყიდვების 80%-ს უნაღდოდ და 20%-ს ნაღდ ანგარიშზე ყიდის. როგორც წესი, საწარმო თავის კლიენტებს სთავაზობს შეღავათს 30 დღიანი განაღდებისათვის. სტატისტიკა აჩვენებს, რომ მყიდველების მიერ, დავალიანების 70% დროულად ნაზღაურდება, დანარჩენი 30% კი შემდეგ თვეში.

გეგმური რეალიზაციის პერიოდიზაცია პირველ კვარტალში შეადგენს:

იანვარში - 30 მლნ ლ
თებერვალში - 38 მლნ ლ
მარტში - 43 მლნ ლ

ამასთან, პროგნოზით, დანარჩენი საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხები იქნება: იანვარში – 3; თებრვალში – 2,5 და მარტში – 3,1 მლნ ლარი.
გასული წლის ნოემბერში რეალიზაციის ფაქტიური მოცულობა 29 მლნ ლარი იყო, მ.შ. კრედიტით რეალიზაცია – 23,3; დეკემბერში – 28; მ.შ. კრედიტით 22,4 მლნ ლ. დებიტორული დავალიანება წინა წლის ბოლოს 10 მლნ ლარს შეადგენდა.

მოთხოვნა: შევადგინოთ პირველი კვარტლის ფულადი სახსრების ბიუჯეტი.

ამოხსნა:
საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

- ფულადი საშუალებების შემოსულობებისა და დებიტორული დავალიანებების ნაშთების ცხრილის მომზადება;
- ფულადი საშუალებების გასვლის და კრედიტოული დავალიანებების ნაშთების ცხრილის მომზადება;
- ფულადი სახსრების პროგნოზული ბიუჯეტის შედგენა;
- საჭირო მოკლევადიანი დაფინანსების გაანგარიშება.

ფულის შემოდინების გაანგარიშება შემდეგნაირად ხდება.

გამოთვლები იანვრისათვის:

1. ნაღდი ფული რეალიზაციიდან = 30 ათასი ლარის 20% = 6 მლნ ლარი
2. დეკემბერში კრედიტით გაყიდული პროდუქციის 70% შემოვა იანვარში = 22,4-ის 70%= = 15,68
3. იანვარში ასევე შემოვა წინას – წინა თვიდან, ნოემბრის კრედიტით გაყიდვების 30% = = 23,3-ის 30% = 7 მლნ ლ
4. დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი = (10+30) – 28,68 = 11,32 მლნ ლ

ცხრილი 15.3.1

ფულადი საშუალებების შემოსულობები და დებიტორული დავალიანებების დინამიკა

(მლნ ლარებში)

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი
დებიტორული დავალიანება პერიოდის დასაწყისში	10,0	11,32	18,2
ამონაგები რეალიზაციიდან გეგმით	30,0	38,0	43,0
მ.შ. რეალიზაცია კრედიტით (80%)	24,0	30,4	34,4
ფულის შემოდინება:			
ნაღდი ფულით, მიმდინარე თვის რეალიზაციიდან	6,0	7,6	8,6
წინა თვის კრედიტით რეალიზაციიდან (70%)	15,68	16,8	21,28
კრედიტით რეალიზაციის 30% წინას – წინა თვიდან	7,0	6,72	7,2
სულ ფულის შემოსვლა	28,68	31,12	37,08
დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი	11,32	18,2	24,12

გამოთვლები თებერვლისათვის:

1. ნაღდი ფულით რეალიზაცია = 38-ის 20% = 8,6 მლნ ლ
2. იანვარში კრედიტით გაყიდული პროდუქციის 70% შემოვა თებერვალში = 24-ის 70% = = 16,8
3. თებერვალში ასევე შემოვა წინას-წინა თვის, დეკემბრის კრედიტით გაყიდვების 30% = = 22,4-ის 30% = 6,72 მლნ ლარი
4. დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი = (11,32 + 38) – 31,12 = 18,2

გამოთვლები მარტისათვის:

1. ნაღდი ფულით რეალიზაცია = 43-ის 20% = 8,6 მლნ ლ
2. თებერვალში კრედიტით გაყიდვების 70% შემოვა მარტში = 30,4-ის 70% = 21,28 მლნ ლ
3. წინას-წინა თვის, იანვრის კრედიტით გაყიდვების 30% = 24-ის 30% = 7,2 მლნ ლ
4. დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი = (18,2+43) – 37,08 = 24,12 მლნ ლ.

პირველი ცხრილის შემდეგ, მომზადდება ფულადი სახსრების გადინების და კრედიტორული დავალიანებების დინამიკის ცხრილი. რომელშიც, რეალიზაციის მოცულობის ნაცვლად გამოყენებული იქნება შესყიდვების მაჩვენებლები.

ფულის შემოსულობებისა და გადინების დინამიკის ცხრილების საფუძველზე მომზადდება ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზული ბიუჯეტი, რომელიც (15.3.2) ცხრილშია მოცემული (მაგალითში ფულის გასვლის მაჩვენებლებს მზა სახით მოვიტანთ. ხოლო პრაქტიკაში ფულის მოძრაობის პროგნოზი უფრო დეტალიზებულია). მსაგავსი გამოთვლების შესაბამისად დაიგეგმება ფულის მოძრაობა ოთხივე კვარტლისთვის.

ცხრილი 15.3.2

ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი (მლნ ლარი)

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი
I. ფულადი თანხების შემოდინება			
- პროდუქციის რეალიზაციიდან	28,68	31,12	37,08
- დანარჩენი საქმიანობიადან (განისაზღვრება პირდაპირი გამოთვლებით)	3,0	2,5	3,1
ფულის შემოსულობა სულ	31,68	33,68	40,18
II. ფულის გადინება			
- კრედიტორული დავალიანებების დასაფარად	25,0	24,0	25,0
- ხელფასების გასაცემად	8,5	9,2	10,0
- სხვა გადახდები	3,0	3,5	4,0
ფულის გადინება სულ	36,5	36,7	39,0
ფულადი თანხების მეტობა (დეფიციტი)	(4,82)	(3,02)	1,18

15.3.2 ცხრილიდან სჩანს, რომ საწარმოს ფულის დეფიციტის დასაფარავად იანვარსა და თებერვალში ფულადი სახსრების დამატებითი მოზიდვა დაჭირდება. ამისათვის, შედგება საჭირო სესხების გაანგარიშების ცხრილი (იხ. ცხრილი 15.3.3). ფულის დეფიციტი ნიშნავს ფულის უკმარისობას ანუ ვალდებულებების დროულად დაფარვის უუნარობას.

ცხრილი 15.3.3

საჭირო მოკლევადიანი სესხების გაანგარიშება (მლნ ლარი)

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი
1. ფულადი სახსრების სავარაუდო საწყისი ნაშთი	1,5	4,0	3,5
2. ფულადი სახსრების მოსალოდნელი წმინდა ნაკადი	(4,82)	(3,02)	1,18
3. ფულადი სახსრების საბოლოო სავარაუდო ნაშთი (1 + 2)	(3,32)	0,98	4,68
4. თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთის დადგენილი მინიმუმი საბანკო ანგარიშებზე	3,0	3,0	3,0
5. მოთხოვნა მოკლევადიან სესხებზე (4 – 3)	6,32	2,02	–

15.3.3 ცხრილის გაანგარიშებების თანახმად, საანალიზო საწარმოს იანვარსა და თებერვალში ფულადი თანხების საჭირო სავარაუდო საბოლოო ნაშთები ნაკლებია ფულის მინიმალურ მოთხოვნაზე. შესაბამისად, ამ თვეებში წარმოიშვა მოკლევადიანი სესხების საჭიროება.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. დაახასიათეთ გეგმური მოგება/ზარალის ანგარიშგების მომზადების პროცედურები
2. დაახასიათეთ გეგმური ბუღალტრული ბალანსის შედგენის პროცედურები
3. დაახასიათეთ გეგმური ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების პროცედურები

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. რას ნიშნავს ფულის დეფიციტი:
ა. საწარმოს მომგებიანობის დაცემას
ბ. პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების გაუმართაობას
გ. ვალდებულებების დროული დაფარვის უუნარობას

2. საწარმოში ფულის შედინება ხდება:
ა. კრედიტორული დავალიანებების დაფარვის დროს
ბ. დებიტორული დავალიანებების დაფარვის დროს
გ. მოგების გადასახადის დაფარვის დროს

3. დებიტორული დავალიანებების საწყისი ნაშთია 22400 ლ, წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან გეგმით 81400 ლ და მისაღები თანხების მოცულობა 84800 ლარია.

რას უდრის დებიტორული დავალიანებების საბოლოო გეგემური ნაშთი (ლ):

ა. 17 800
ბ. 19 000
გ. 21 300

4. საწარმოში გეგმით, დებიტორული დავალიანებების საწყისი ნაშთი 16100 ლ, საბოლოო ნაშთი – 14000 ლარია. რეალიზაცია პერიოდში 105000 ლარია დაგეგმილი.

რას უდრის დებიტორებიდან ფულის გეგმური შედინება პერიოდში (ლ):

ა. 176 800
ბ. 193 000
გ. 107 100

5. საწარმოს გეგმით, კრედიტორული დავალიანებების საწყისი ნაშთი 21800, საბოლოო ნაშთი 23100 და კრედიტით შესყიდვები 240000 ლარია.

რას უდრის კრედიტორებზე ფულის გეგმური გადინება:

ა. 238 700
ბ. 240 000
გ. 241 300

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 15.1.

ერთ-ერთი საწარმოს შესყიდვებისა და კრედიტორული დავალიანებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმოში შესყიდვების 10% ნაღდი და 90% უნაღდო ანგარიშსწორებით ხორციელდება. გამოცდილების მიხედვით, საწარმო კრედიტით შესყიდვების 80%-ს ერთ თვეში ანაღდებს, დანარჩენ 20%-ს კი მომდევნო თვეში.
მომავალი წლის პირველი კვარტლის სამი თვის პროგნოზული მაჩვენებლებია (მლნ ლ):

	შესყიდვები	მ.შ.კრ	ხელფასი	დანარჩენი
იანვარი	22	19,8	8,5	3,0
თებერვალი	20	18	9,2	3,5
მარტი	21	18,9	1,0	4,0

ამასთან, წინა წლის ნოემბერში შესყიდულია 20 მლნ ლ მასალები, მ.შ. კრედიტით 18 მლნ ლ; დეკემებერში შესყიდული იყო 21 მლნ მ.შ. კრედიტით 20 მლნ ლ. ხოლო, კრედიტორული დავალიანებების ნაშთი წინა წლის ბოლოს 7 მლნ.ლ დარჩა.

მოთხოვნა:
გამოთვალეთ ფულადი სახსრების გეგმური გადინება და კრედიტორული დავალენებების ნაშთი მომავალი წლის პირველი კვარტლისათვის.

ამოცანა 15.2.

წინა წლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმო საშუალოდ წლიური გაყიდვების 70%-ს უნაღდოდ და 30%-ს ნაღდი ანგარიშსწორებით ყიდის. გამოცდილების საფუძველზე ცნობლია, რომ მყიდველები დავალიანების 60%-ს ერთ თვეში და 40%-ს მეორე თვეში ფარავენ.

პირველი კვარტლის გეგმური რეალიზაციის პერიოდიზაცია შემდეგია (მლნ ლ):

	შესყიდვები	მ.შ. კრედტით
იანვარი	15	10,5
თებერვალი	20	14
მარტი	28	19,6

გასული წლის ნოემბერში ფაქტიური რეალიზაცია იყო 18 მლნ ლ, მ.შ. კრედიტთ – 12,6; დეკემბერში 20 მლნ ლ, მ. შ. კრედიტით – 14 მლნ ლ. დებიტრული ავალიანებების საბოლოო ნაშთი წინა წლის ბოლოს 9 მლნ ლ იყო.

მოთხოვნა: შეადგინეთ პირველ კვარტალში მყიდველებიდან მისაღები ფულის ბიუჯეტი

თავი 16. ინვესტიციების ანალიზი (საწარმოს შეფასება საფონდო ბირჟაზე)

საინვესტიციო საქმიანობა საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. ისინი ინვესტიციებს სხვადასხვა მიზნით ახორციელებენ. ზოგიერთი საწარმო ინვესტიციებს დამატებითი ფულადი სახსრების მოპოვების მიზნით, ზოგიერთი კი კომერციული ურთიერთობების გაძლიერებისა და უპირატესობის მოსაპოვებლად ეწევა.

მოცემულ თავში შეისწავლით ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

ფინანსური ინვესტიციების არსი და სახეები;

- საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდიკა;
- ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა;
- ინვესტიციების ანალიზის მეთოდიკა.

16.1. ფინანსური ინვესტიციების არსი, სახეები და ანალიზის ამოცანები

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით, ინვესტიცია არ ნიშნავს საწარმოს მიერ საკუთარი მატერიალური და სხვა სახის რესურსების შეძენაზე დაბანდებულ სახსრებს.

ინვესტიცია არის აქტივი, რომელსაც საწარმო ფლობს საკუთარი სიმდიდრის გასაზრდელად შესაბამისი შემოსავლის – პროცენტების, როიალტების, დივიდენდებისა და საიჯარო ქირის მიღების გზით. საინვესტიციო ქონების შესაძენად საწარმო ბუნებრივია გარკვეულ ფულად თანხებს გაიღებს. ამდენად, ინვესტიცია არის თანხა, რომელიც ჩადებულია ანუ დაბანდებულია სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში, გაცემულია სესხის სახით ან გაცემულია იჯარით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინვესტიცია შეიძლება არსებობდეს ფასიანი ქაღალდების – ნაყიდი აქციების და ობლიგაციების, სადეპოზიტო სერთიფიკატების ან საინვესტიციო ქონების სახით, როგორიცაა იჯარით გაცემული მიწა, შენობები და სხვა, რომელთაც მეწარმე თავად არ იყენებს. აგრეთვე, საკუთარ კაპიტალში შეტანილი წილის სახით და კომერციული სესხის სახით, როგორიცაა თამასუქები, ვარანტები და ფიუჩერსული კონტრაქტები.

აქციები, როგორც უკვე ვიცით,შეიძლება იყოს პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი. პრივილეგირებულ აქციებზე დადგენილია დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკეთი და ნაკლებად რისკიანია. ჩვეულებრივ აქციებზე კი დივიდენდის საპროცენტო განაკვეთი წინასწარ დადგენილი არაა და მისი სიდიდე დამოკიდებულია აქციის გამომშვები კომპანიის მოგების სიდიდეზე.

ობლიგაცია ასევე ფასიანი ქაღალდია, რომელიც მისი გამომშვების ანუ ემიტენტის ვალდებულებას გამოხატავს და ობლიგაციის მფლობელს უფლებას ანიჭებს, მიიღოს ფიქსირებული შემოსავალი პროცენტის სახით. ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავალი საერთოდ უფრო დაბალია, ვიდრე აქციიდან, მაგრამ ობლიგაცია უფრო საიმედოა. შემოსავლების მიღების წესის მიხედვით ცნობილია სამი ტიპის ობლიგაცია:

- უვადო ობლიგაცია, რომელზეც მხოლოდ საპროცენტო თანხის გადახდა ხდება და ძირითად თანხას არ აბრუნებენ;
- ობლიგაცია, რომელზეც ინვესტორს ანუ მის მფლობელს, სესხის პროცენტს ობლიგაციის განაღდების მომენტამდე არ უხდიან;
- ობლიგაცია, რომელიც მის მფლობელს უფლებას ანიჭებს, პერიოდულად მიიღოს ფიქსირებული საპროცენტო შემოსავალი და ვადის გასვლის შემდეგ კი ძირითადი თანხა. მსოფლიოში, ამ ტიპის ობლიგაციები ყველაზე მეტად გავრცელებულია.

სადეპოზიტო სერთიფიკატი არის წერილობითი მოწმობა, ბანკში ფულის დეპონირების ანუ შენახვის შესახებ.

თამასუქი არის წერილობითი სასესხო ვალდებულება, რომელსაც გამოწერს მოვალე (დებიტორი) და რომლითაც მევალეს (კრედიტორს) ენიჭება უფლება, თამასუქში აღნიშნული თანხა განსაზღვრული ვადისთვის მოითხოვოს. თამასუქი შეიძლება იყოს მარტივი, გადაპირებული (ანუ ტრატა), კომერციული, საბანკო, და სახაზინო (ანუ სახელმწიფო).

მარტივია თამასუქი, რომელიც გამოწერილია დებიტორის ანუ გადამხდელის ანუ მოვალის მიერ, კრედიტორის სახელზე და მის წინაშე სავალო ვალდებულებას აღიარებს. მარტივი თამასუქის დროს ურთიერთობაში ორი სუბიექტი მონაწილეობს.

გადასაყვანი თამასუქი (ანუ ტრატა) ისეთი თამასუქია, რომელსაც გამოწერს კრედიტორი (მევალე) და რომლითაც დებიტორს ავალდებულებს ფული გადაუხადოს მესამე პირს, რომელმაც თამასუქი კრედიტორისაგან იყიდა.

კომერციული თამასუქი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი თამასუქისაგან, რომ ამ დროს საქონელი მოძრაობს მყიდველსა და გამყიდველს შორის და დამატებით საპროცენტო შემოსავალს იღებს თამასუქის მიმღები. საბანკო თამასუქი კი ბანკიდან თამასუქით გაცემულ სესხებს შეეხება.

სახაზინო თამასუქი მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდია, რომელსაც მთავრობა საკუთარი ხარჯების დასაფარავად უშვებს.

ვარანტი წარმოადგენს ხელშეკრულებას საქონლის ან სხვა ფასეულობის მიღების მიზნით.

ფიუჩერსული კონტრაქტი წარმოადგენს შეთანხმებას ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფასეულობის ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარკვეული დროის შემდეგ, წინასწარ შეთანხმებული ფასით.

ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ხდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ანუ საფონდო ბირჟაზე. ფასიანი ქაღალდების ფასი მათზე მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად ყალიბდება და ხშირად მათი ნომინალური ღირებულებისაგან განსხვავდება.

შეძენილი ფასიანი ქაღალდების ანუ ინვესტიციების ღირებულება შეძენის საბაზრო ფასით განისაზღვრება, რომელსაც ემატება შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა: ბროკერის ანაზღაურება, ბაჟი, საკომისიო გადასახდელები და საბანკო მომსახურების ხარჯები.

საწარმოში ინვესტირებული კაპიტალი გაიანგარიშება ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე, როგორც საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი, რაც ინვესტორებისათვის საინვესტიციო აქტივს წარმოადგენს. ინვესტიციების ეფექტი დამოკიდებულია საინვესტიციო ინსტრუმენტების სწორად შერჩევაზე. ანალიზის ამოცანები განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ რომელი მხარე აკეთებს ანალიზს: ინვესტორი თუ საწარმოს ხელმძღვანელობა, რომელშიც ინვესტორები ინვესტიციას დებენ. საწარმო ახდენს საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ანალიზს, რამდენად ეფექტიანად გამოიყენა მან ეს წყაროები. ინვესტორისთვის კი იგი საინვესტიციო აქტივია, საიდანაც შემოსავლის მიღებას ელოდება. აქედან გამომდინარე, ინვესტიციების ანალიზის ამოცანებია:

- დაადგინოს, ინვესტორისათვის რომელი ფინანსური ინსტრუმენტი უფრო მიზანშეწონილია: აქციების შეძენა, ობლიგაციები, თამასუქები თუ სხვა;
- შესწავლილი იქნეს საინვესტიციო პორთველის საერთო შემოსავალი და რისკი;
- საინვესტიციო პორთველის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა;
- პრიორიტეტის განსაზღვრა: დივიდენდების რეგულარული მიღების თუ აქტივის ღირებულების ზრდის კურსი იქნას აღებული;
- რისკის დონის განსაზღვრა;
- მოსალოდნელი მოგებიდან გადახრის განსაზღვრა;
- მინიმალური მოგების სიდიდის განსაზღვრა;
- აქციის ფაქტიური შემოსავლების შესწავლა;
- ერთი ჩვეულებრივი აქციის შემოსავლიანობის ტენდენციის გამოკვლევა;
- ინვესტიციების რენტაბელობის შესწავლა;
- დაფინანსების კომპანიის არჩევა.

16.2. ალტერნატიული საინვესტიციო პროექტების შეფასების მეთოდები

ერთია, როცა საწარმო თავად წყვეტს სად განახორციელოს ინვესტიცია და მეორეა, როცა სურს, სხვისგან მიიღოს სახსრები. საინვესტიციო პროექტების შეფასება ეხება იმ ვითარებას, როდესაც საწარმო აპირებს თავისი სახსრები სხვაგან დააბანდოს.

ინვესტიციების შესახებ გადაწყეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ინვესტიციის სახე;
- საინვესტიციო პროექტის ღირებულება;

- პროექტის ალტერნატიული ვარიანტების არსებობა;
- ინვესტიციებისათვის საჭირო თავისუფალი ფულადი რესურსების შეზღუდულობა;
- საინვესტიციო რისკი.

კომპანიებს შეუძლიათ ფული დააბანდონ ნაყიდ ფასიან ქაღალდებში. თუკი ისინი უპირატესობას რისკის თავიდან აცილებას მიანიჭებენ, მაშინ ფული შეიძლება დააბანდონ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, რომელიც მათ სტაბილურ შემოსავალს მოუტანს. ან აირჩიონ ფულის დაბანდება რისკიან ფასიან ქაღალდებში, როგორიცაა, ჩვეულებრივი აქციები. ასეთ შემთხვევაში, ინვესტორი კომპანიის შემოსავალი წლიდან წლამდე მერყეობს აქციების გამომშვები კომპანიის ფინანსური შედეგებისა და მიზნების მიხედვით.

კაპიტალის დამბანდებლებს (ინვესტორებს) ურჩევნიათ თავი აარიდონ რისკებს, თუ ეს შესაძლებელია და დააბანდონ ფული რისკიან ფასიან ქაღალდებში მაშინ, როდესაც თვლიან, რომ უფრო დიდი რისკისათვის, უფრო მაღალ შემოსავალს მიიღებენ.

დავუშვათ სახელმწიფოს მიერ გამოშვებულია განსაკუთრებით საიმედო ობლიგაციები, რაც წლიურად იძლევა 10% შემოსავალს. მაშინ, ვთქვათ, შეიძლება გადაწყდეს, რომ ფული დაბანდებული იქნეს 15% შემოსავლის მომტან რისკიან ჩვეულებრიმვ აქციებში. მაგრამ, ზოგიერთ წელს მიღებული იქნება უფრო მეტი, ზოგიერთ წელს უფრო ნაკლები. საერთოდ, რაც უფრო მაღალია რისკი, მით უფრო მაღალია მოსალოდნელი შემოსავალი და მოგება.

ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციის მოგების ნორმა წარმოადგენს ინვესტიციის ალტერნატიულ ღირებულებას. ანუ, თუ ფული დაბანდებულია ერთ საინვესტიციო პროექტში, იგი აღარ შეიძლება დაბანდებული იქნეს სხვა პროექტში მოგების მისაღებად. ამიტომ, კომპანიამ ფული იმ შემთხვევაში უნდა დააბანდოს, თუ მიღებული იქნება ალტერნატიულ ღირებულებაზე უფრო მაღალი მოგება. ინვესტიციის ალტერნატიულ ღირებულებას აგრეთვე ეწოდება: **მოგების მინიმალური აუცილებელი ნორმა,** კაპიტალის ღირებულება, სააღრიცხვო განაკვეთი ან პროცენტის განაკვეთი ან დისკონტის განაკვეთი.

საინვესტიციო გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა ინვესტიციებზე გასაცემი და მისაღები ფულადი თანხების მოცულობათა შეფასება და შედარება. ამასთან, რადგან ეს ფულადი თანხები სხვადასხვა პერიოდებს ასახავენ, ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის სხვადასხვაობის გამო, წარმოიშობა მათი შესადარისობის პრობლემა. ამიტომ საჭირო ხდება ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინება.

ფულს ორი სახის დროითი ღირებულება გააჩნია: ახლანდელი ანუ დისკონტირებული და მომავალი ღირებულება. ფულის ღირებულება რთული პროცენტის ხერხით გამოითვლება.

ფულის ფასი არის საშუალო საბანკო საპროცენტო განაკეთი. დავუშვათ, ბანკში შევიტანეთ 1000 ლარი, წლიურად 10%-იანი განაკვეთით. რა რაოდენობის ფული

გვექნება, ვთქვათ, სამი წლის შემდეგ, მარტივი თუ რთული პრონტის ხერხით, განსხვავებულ სიდიდეს მივიღებთ.

მარტივი პროცენტით, საროცენტო თანხა ყოველწლიურად თანაბარი იქნება. კერძოდ, 1000 ლარის 10% ანუ 100 ლარი. შესაბამისად, სამი წლის შემდეგ გვექნება 1300 ლარი. რთული პროცენტის ხერხით კი საპროცენტო თანხა ყოველწლიურად ემატება თავდაპირველად შეტანილ ფულს და პროცენტის თანხა გაზრდილი თანხიდან გამოითვლება ანუ ხდებს პროცენტის კაპიტალიზაცია.

რთული პროცენტის ხერხით ფულის მომავალი ღირებულება იქნება:

ერთი წლის შემდეგ - 1000 + 1000-ის 10% = 1100 ლარი;

ორი წლის შემდეგ - 1100 + 1100-ის 10% = 1210 ლარი;

სამი წლის შემდეგ - 1210 + 1210-ის 10% = 1331 ლარი.

ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ 1000 ლარის მომავალი ღირებულება სამი წლის შემდეგ იქნება 1331 ლარი. ხოლო, სამი წლის შემდეგ მისაღები 1331 ლარის ახლანდელი ანუ მიმდინარე ანუ დისკონტირებული ღირებულება არის 1000 ლარი. დისკონტი = 331 ლარს.

აშკარაა, რომ ფულის დროთი ღირებულება შეიცვლება საპროცენტო განაკვეთების მიხედვით. იმავე მაგალითზე თუ განაკვეთი 15% იქნება, ფულის ღირებულება შეიცვლება. იმისათვის, რომ გამოვიანგარიშოთ ფულის დროითი ღირებულება, ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთისა და ნებისმიერი დროისათვის, გამოიყენება შემდეგი ფორმულები:

$$FV_n = p * (1 + r)^n \quad : \quad \text{სადაც,} \qquad (16.2.1)$$

FV_n- არის ფულის მომავალი ღირებულება – n – წლის შემდეგ;

P - არის თავდაპირველად ავანსირებული ფული;

r - არის საპროცენტო განაკვეთის კოეფიციენტი;

n - არის წელთა რიცხვი.

$(1 + r)^n$ - არის გადაყვანის კოეფიციენტი, რომელიც სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთზე სხვადასხვაა.

მოტანილი ფორმულიდან გამოიყვანება ფულის ახლანდელი (ანუ დისკონტირებული) ღირებულების ფორმულა:

$$pv = F * \left(\frac{1}{(1 + r)^n}\right) \qquad (16.2,2)$$

pv - არის n წლის შემდგ მისაღები ფულის ახლანდელ ანუ დისკონტირებული ღირებულება.

დროის თანაბარ პერიოდში თანაბარი სიდიდით მოძრავ ფულს, **ანუიტეტი ეწოდება.** ანუიტეტის მომავალი და დისკონტირებული ღირებულებაც შესაბამისი ფორმულებით გამოითვლება.

ანუიტეტის მომავალი ღირებულების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$FVA = \frac{(1 + r) - 1}{r}; \qquad (16.2.3)$$

ამჟამად, შედგენილია ფულის დროითი ღირებულების კოეფიციენტების ცხრილი, რომელშიც მომხმარებელმა შეიძლება იპოვოს გადაყვანის კოეფიციენტები სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთისა და პერიოდისათვის.

ზემოთ განხილული მაგალითის მონაცემების 16.2.1. ფრმულაში ჩასმის შემდეგ მიიღება:

$FV_3 = 1000 * (1 + 0,10)^3 = 1000 * 1,331 = 1331$ ლარი.

მაშასადამე, 1000 ლარის მომავალი ღირებულება სამი წლის შემდეგ 10% განაკეთისათვის არის 1331 ლარი.

დავუშვათ, მეწარმე ინვესტიციიდან, ექვსი წლის განმავლობაში მიიღებს 30000 ლარს, ყოველწლიურად თანაბრად 5000 ლარის შემოსვლით. ამ შემთხვევაში გამოიყენება ანუიტეტის ცხრილები და თუ დისკონტირებისათვის 15% გამოიყენება, მაშინ, 15%-ის სვეტისა და 6 წლის სტრიქონის გადაკვეთაში იპოვით გადაყვანის კოეფიციენტს – 3,784-ს. მიიღება: 5000 * 3,784 = 18900 ლარი. მაშასადამე, ექვი წლის განმავლობაში, თანაბარ ნაკადად შემოსული 30000 ლარის ახლანდელი ღირებულება 18900 ლარია.

ზოგადად, დისკონტირების კოეფიციენტი აჩვენებს ყოველწლიურად რამდენი პროცენტის დაბრუნება შეუძლია ინვესტორს მის მიერ ინვესტირებულ კაპიტალზე.

საინვესტიციო კაპიტალი =
= აქტივები – უპროცენტო მიმდინარე ვალდებულებები (16.2.4)

დავუშვათ, კომპანიამ გაასესხა 2 მლნ ლარი ერთი წლით და უნდა დაიბრუნოს 2,3 მლნ ლარი. ამ შემთხვევაში, პროცენტული განაკვეთია – 15% (0,3/2 * 100); ხოლო, დისკონტის პროცენტული სიდიდეა 13,04 % (0,3/2,3 *100) და დისკონტის თანხაა 0,3 მლნ ლ (2,3 – 0,3).

საინვესტიცო პროექტების შეფასების რამდენიმე ხერხი არსებობს:

- წმინდა დისკონტირებული ღირებულება;
- ინვესტიციების უკუგების შიდა ნორმა;
- ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი (ანუ უკუგების სააღრიცხვო კოეფიციენტი);
- ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდი.

წმინდა დისკონტირებული ღირებულება (წდღ) მიიღება, საინვესტიცო პროექტიდან მისაღები თანხების დისკონტირებულ ღირებულებასა და გასაცემი თანხების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით.

რამდენიმე პროექტიდან ის პროექტია მისაღები, რომლის წმინდა დისკონტირებული ღირებულება მეტია. თუ წმინდა დისკონტირებული ღირებულება უარყოფითია, მაშინ პროექტი ზარალიანია. თუ ნულის ტოლია, არც მოგებას იძლევა და არც ზარალს.

საილუსტრაციო მაგალითი:

კომპანია დგას არჩევანის წინაშე, შეიძინოს თუ არა ხუთწლიანი აქციები, რომლის შესაძენად 20500 ლარი უნდა გადაიხადოს. აქციები დივიდენდის სახით

ყოველწლიურად 2400 ლარს მოიტანს. ვადის გასვლის შემდეგ კი აქციების გამომშვები უკან შეისყიდის აქციებს ნომინლური ღირებულებით 20000 ლარად. საწარმოს დისკონტირებისათვის დადგენილი აქვს 12%.

დისკონტირების მეთოდის გამოყენებით, უნდა გამოითვალოს პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება (იხ. ცხრილი 16.2.1).

ცხრილი 16.2.1.

ალტერნატიული პროექტების წმინდა დისკონტირებული ღირებულება (წდღ) ათ. ლარებში

წლები	ფულის ნაკადები	დაყვანის კოეფიციენტი 12%-ის დროს	დისკონტირე-ული ღირებუ-ლება	დაყვანის კოეფიციენტი 15%-ის დროს	დისკონტირე-ული ღირებულება
0-ინვესტ. ირება	(20500)	1	(20 500)	1	(20 500)
1	2400				
2	2400		2400*3,605=8652		
3	2400	3,605		3,352	2400*3,352=8045
4	2400				
5	2400				
ბოლოს	20000	0,567	20000*0,567=11340	0,497	20000*0,497=9940
წდღ			8652+11340-20500= = (508)		8045+9940-20500= = (2515)

გამოთვლებისათვის, ანუიტეტის დისკონტირების ცხრილში, 12%-ის სვეტისა და ხუთი წლის სტრიქონის გადაკვეთაში იპოვით კოეფიციენტს, რომელიც არის – 3,605. ბოლო მეექვსე წელს, პირობის თანახმად, შემოვა აქციის ნომინალური ღირებულება 20000 ლარი, რომლის დაყვანის კოეფიციენტს მონახავთ ერთჯერადად მოძრავი ფულის დისკონტირების ცხრილში, რომელიც არის 0,567.

გაანგარიშებების შედეგად ირკვევა, რომ ხუთი წლის განმავლობაში თანაბრად მოძრავი ფულის 2400 ათ. ლარის ახლანდელი ღირებულება 12%-იანი განაკვეთის დროს 8652 ათ. ლარი (2400*3,605), ხოლო ხუთი წლის ბოლოს მისაღები 20000 ათ. ლარის ახლანდელი ღირებულება 11340 ათ. ლარია (20000*0,567). ხოლო, დისკონტირების 15%-იან განაკვეთის დროს თანაბრად მისაღები თანხების დისკონტირებული ღირბულებაა 8045 ათ. ლარი, ხუთი წლის ბოლოს მისაღები 20000 ათ. ლარის დისკონტირებული ღირებულება კი 9940 ათ. ლარია. მთლიანი შედეგების მიხდევით ირკვევა, რომ ორივე საპროცენტო განაკვეთისათვის პროექტის ფულადი ნაკადების წმინდა დისკონტირებული ღირებულება უარყოფითი რიცხვია, მაშასადამე პროექტი ორივე შემთხვევაში მიუღებელია.

საინვესტიციო პროექტის შეფასებისათვის აგრევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი.

RI = M / p სადაც, **(17.2.5)**

M - არის ინვესტიციიდან მისაღები შემოსავლების დისკონტირებული ღირებულება;

P - არის ინვესტიციის ამოსავალი (საწყისი) მოცულობა.

თუ ინვესტიციის რენტაბელობის ინდექსი ერთზე მეტია, პროექტი მისაღებია. თუ ერთზე ნაკლებია, პროექტი მიუღებელია. თუ ერთის ტოლი აღმოჩნდა, არც მოგება მიიღება და არც ზარალი. მოტანილ მაგალითზე, ინვესტიციის რენტაბელობის

ინდექსი 0,875-ის ტოლია (8652+113400)/20500 და ესეც ადასტურებს რომ პროექტი მიუღებელია.

საინვესტიციო პროექტების შეფასების დისკონტირების კიდევ ერთი მეთოდია ინვესტიციის რენტაბელობის შიდა ნორმა (IRR). დისკონტირების კოეფიციენტის იმ მნიშვნელობას, როცა ინვესტიციის წმინდა დისკონტირებული ღირებულება ნულის ტოლია, **ინვესტიციის რენტაბელობის შიდა ნორმას უწოდებენ**. იგი აჩვენებს ხარჯების დასაშვებ მაქსიმალურ დონეს, რომელიც შეიძლება მოცემულ პროექტზე დაიხარჯოს. მაგალითად, თუ საწარმო პროექტს მთლიანად ბანკის სესხით დააფინანსებს, მაშინ, უკუგების შიდა ნორმა წარმოადგენს საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალურ ზღვარს, რომლის გადაჭარბება პროექტს ზარალიანად გადააქცევს.

ინვესტიციის უკუგება ანუ ინვესტიციის რენტაბელობის შიდა ნორმა შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოითვალოს:

$$IRR = A + \frac{N}{(N_A - N_B)} * (B - A); \quad \text{სადაც,} \qquad (17.2.6)$$

A - არის დისკონტირების დაბალი საპროცენტო განაკვეთი;
B - არის დისკონტირების მაღალი საპროცენტო განაკვეთი;
N_A - არის წმინდა დისკონტირებული ღირებულება A პროცენტის დროს;
N_B - არის წმინდა დისკონტირებული ღირებულება B პროცენტის დროს;

მაშასადამე, საჭიროა წმინდა დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა რომელიმე ორი საპროცენტო განაკვეთისათვის. ზემოთ მოტანილია წმინდა დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება 12% და 15%-იანი განკვეთების დროს იხ. ცხრილი 16.2.1). ინვესტიციის შიდა ნორმა შემდეგნაირად გამოითვლება:

IRR = 12+(-508 / [(- 508 – (- 2515)] * (15-12) = 11,24%.

როგორც აღმოჩნდა, ინვესტიციის უკუგების შიდა ნორმა საწარმოში დადგენილ დისკონტირების საპროცენტო განაკვეთზე დაბალი აღმოჩნდა, მაშინ როდესაც, **დისკონტირების საპროცენტო განაკვეთი ინვესტიციის უკუგების შიდა ნორმას არ უნდა აღემატებოდეს**.ამდენად, პროექტი მიუღებელია.

საწარმოები თავის საქმიანობაში მიღებული დაბანდებული სახსრებისათვის (მიღებული ინვესტიციებისათვის) იხდიან დივიდენდებს, პროცენტებს და ასე შემდეგ. მაშასადამე, ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებისათვის გარკვეულ ხარჯებს ეწევიან. მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ამ ხარჯების ფარდობის დონეს, უწოდებენ ავანსირებული ღირებულების ანუ კაპიტალის „ფასს“ (CC) და გამოიანგარიშება, როგორც საშაულო შეწონილი სიდიდე:

$$CC = \frac{\text{მთლიანი წლიური ხარჯები}}{\text{ბალანსის აქტივის ჯამი}} * 100 \qquad (17.2.7)$$

მიღებული პროცენტი მეწარმის მიერ აიღება დისკონტირების საპროცენტო განაკვეთად. მომსახურების სფეროს საწარმოებში იგი გამოითვლება საოპერაციო

ხარჯების მიხედვით. თუ ინვესტიციების შიდა განაკვეთი მეტია კაპიტალის ფასზე, პროექტი მისაღებია.

წმინდა დისკონტირებულ ღირებულებას (NPV), ინვესტიციის რენტაბელობის შიდა ნორმას (IRR), რენტაბელობის ინდექსსა (RI) და კაპიტალის ფასს (CC) შორის შემდეგი ურთიერთკავშირი არსებობს:

თუ NPV >0, მაშინ, IRR > CC და RI>1; პროექტი მისაღებია;
თუ NPV <0, მაშინ, IRR < CC და RI < 1; პროექტი მიუღებელია;
თუ NPV = 0, მაშინ, IRR = CC და RI = 1; პროექტი მიუღებელია, არც მოგებას იძლევა და არც ზარალს.

საინვესტიციო პროექტების შეფასების სააღრიცხვო მეთოდს მიეკუთვნება ინვესტიციის გამოსყიდვის ვადის განსაზღვრისა და ინვესტიციის ეფექტიანობის კოეფიციენტის გამოთვლის ხერხები.

ინვესტიციის გამოსყიდვის ვადის (იგვ) გამოთვლის ხერხი ფართოდაა გავრცელებული, თუმცა იგი ფულადი ნაკადების დროითი ღირებულების ცვლილებებს არ ითვალისწინებს. იგი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{იგვ} = \frac{\text{საინვესტიციო ხარჯები}}{\text{საშაულო წლიური მოგება}}; \qquad (17.2.8)$$

ამდენად, ინვესტიციის გამოსყიდვის ვადის გამოთვლა ადვილია, მაგრამ მისი ნაკლი ისაა, რომ პროექტმა შეიძლება თავი ორ წელიწად'ში გამოისყიდოს, გამოთვლების შედეგად კი სხვა მაჩვენებელი იქნეს მიღებული. ამასთან, არ ითვალისწინებს ფულის ღირებულების ცვლილებას დროში. ამიტომ არ ახდენს განსხვავებას იმ პროექტებს შორის, რომელთაც ერთნაირი საერთო შემოსავალი აქვთ, მაგრამ წლების მიხედვით სხვადასხვაგვარადაა განაწილებული.

დავუშვათ, ინვესტიცია 20000 ლარი ჯდება და სამი წლის განმავლობაში მოაქვს შემდეგი შემოსავალი: 10000; 10000; 7000 ე.ი. საშუალო შემოსავალი 9000 ლარია და გამოსყიდვის ვადა იქნება 20000/9000 = 2,2 წელი. მაშინ, როცა, პროექტი თავს ორ წელ'ში ინაზღაურებს.

თუ შემოსავალი შემდეგნაირად იქნება განაწილებული: 10000; 10000; 10000. მაშინ, გამოსყიდვის ვადა ორი წელია (20000/10000).

უკუგების პერიოდი შეიძლება იყოს დაბანდებული კაპიტალის უკუგებისათვის აუცილებელი დროის დასაბუთებული მაჩვენებელი, თუ ნაღდი ფულის ყველა ნაკადი ჯერ დისკონტირებული იქნება და შემდეგ, ეს დისკონტირებული ღირებულება გამოყენებული იქნება უკუგების პერიოდის გაანგარიშებისათვის. ასეთ მიდგომას უწოდებენ **უკუგების პერიოდის კორექტირებულ მეთოდს.**

უკუგების პერიოდის მეთოდის თეორიული შეზღუდვების არსებობის მიუხედავად, იგი პრაქტიკაში უფრო ხშირად გამოიყენება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა პროექტების რანჟირებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია განიცდის ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და ამიტომ, საჭიროებს ინვესტიციების სწრაფ უკუგებას. უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდი აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას არამყარ ბაზარზე სარისკო ინვესტიციების განხორციელების დროს, როდესაც საჭიროა

პროდუქციის სწრაფი შექმნა და მოდერნიზება, ან როდესაც ძალზე ძნელია ნაღდი ფულის მომავალი ნაკადების პროგნოზირება.

უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდი ვარაუდობს, რომ რისკი დროსთან დაკავშირებული ფაქტორია: რაც უფრო მეტია დროის პერიოდი, მით უფრო მაღალია დანაკარგების ალბათობა. ნაღდი ფულის უფრო ადრინდელ ნაკადებზე ყურადღების გამახვილებისას უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდი უფრო საიმედო მონაცემების გამოყენების საშუალებას იძლევა, რომლის დროსაც მმართველები უფრო დარწმუნებულები არიან. ამის გამართლება შეიძლება იმ ფაქტით, რომ ნაღდი ფულის ნაკადებს გააჩნიათ დროში კორელაციისაკენ ტენდენცია. ამრიგად, თუ პირველ წლებში ნაღდი ფულის ნაკადები მოსალოდნელ დონეზე უფრო დაბალია, უფრო გვიან წლებშიც ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებული იქნება.

უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდი ასევე ხშირად გამოიყენება წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდთან ან ინვესტიციების უკუგების შიდა განაკვეთის მეთოდთან ერთობლივად, პროექტების ანალიზისათვის.

უკუგების პერიოდის გაანგარიშების კიდევ ერთი მიმზიდველი მხარეა ის, რომ იგი გასაგებია ყველა დონის მმართველისათვის და უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ჯამობრივ მაჩვენებელს – რამდენად სწრაფად იქნება ანაზღაურებული საწყისი დანახარჯები

ინვესტიციის ეფექტიანობის (რენტაბელობის) კოეფიციენტი გაიანგარიშება პროცენტულად, საშუალო წლიური მოგების შეფარდებით, ინვესტიციის ღირებულების საშუალო სიდიდესთან. ეს უკანასკნელი გამოითვლება ინვესტიციის საწყისი თანხის შუაზე გაყოფით. თუ პროექტი სალიკვიდაციო (ნარჩენ) ღირებულებას ითვალისწინებს, მაშინ გაანგარიშებისას, ინვესტიციის საშუალო ღირებულებას მიემატება ნარჩენი ღირებულების ნახევარი პერიოდის ბოლოს. საშუალო წლიური მოგების მისაღებად, ინვესტიციის თანხის ზემოთ მისაღები წმინდა ფულადი ნაკადი იყოფა წლების რიცხვზე. ეს მეთოდიც, მისი სიმარტივის გამო, ფართოდაა გავრცელებული.

სადემონსტრაციო მაგალითი:

დავუშვათ, პროექტს ჭირდება 50000 ლარის თავდაპირველი ინვესტიცია. პროექტის ვადა ხუთი წელია. მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ყოველწლიურად იქნება: 15000; 20000; 25000; 10000 და 10000 ლარი. წმინდა ფულადი ნაკადი უდრის მისაღები თანხების ჯამისა და საწყისი ინვესტიციის თანხას შორის სხვაობას: 80000–50000=30000; მაშასადამე, საშუალო წლიური მოგება იქნება 30000/5=6000 ლარი. ინვესტიციის საშუალო ღირებულება იქნება 50000/2 = 25000.

უკუგების სააღრიცხვო კოეფიციენტი = 6000/25000*100% = 24%.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზემოთ გახილული სხვადასხვა მეთოდი, საინვესტიციო პროექტის შერჩევისათვის, საწინააღმდეგო დასკვნებს იძლევა. ყველაზე რეალური დასკვნა წმინდა დიკონტირებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით მიიღება. იგი აჩვენებს მისაღები პროექტის დროს, კაპიტალის ზრდის მოსალოდნელ შეფასებას და სრულად პასუხობს მმართველი პერსონალის ძირითად მიზანს:

ამაღლდეს საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი. თუმცა, არანაკლებ სასარგებლოა უკუგების პერიოდის გაანგარიშების მეთოდის გამოყენება წმინდა დისკონტირებული ღირებულების მეთოდთან ერთად, როცა ნაღდი ფულის ნაკადები წინასწარ დისკონტირდება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოითვლება უკუგების პერიოდი.

16.3. ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებლები

ინვესტორებს, მათ მიერ დაბანდებული კაპიტალიდან ბუნებრივია, მოგების მიღება აინტერესებთ. ამიტომ, ინვესტორები შეისწავლიან როგორი მდგომარეობა უკავია კომპანიებს საფონდო ბირჟებზე. რამდენად მომგებიანია მათი აქციები და როგორია რისკები. ანალიზისათვის მარტო ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი არ კმარა. საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც ინვესტორები საწარმოებისაგან და საფონდო ბირჟებისაგან მოითხოვენ.

ინვესტორები შეისწავლიან ინვესტიციების ეფექტიანობის სხვადასხვა ფარდობით მაჩვენებლებს, როგორიცაა: შემოსავალი ერთ აქციაზე, დივიდენდი ერთ აქციაზე, ერთი აქციის ფასი, აქციის რენტაბელობა, შემოსავალი დივიდენდიდან, აქციის კოტირების კოეფიციენტი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

$$\text{შემოსავალი ერთ აქციაზე} = \frac{\text{წმინდა მოგება} - \text{პრივილეგირებული აქციების დივიდენდი}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რიცხვი}}; \qquad (16.3.1)$$

როგორც ხედავთ, შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მიხედვით, რადგან, როგორც წინა თავებში უკვე გაეცანით, პრივილეგირებული აქციების შემოსავალი უცვლელია და წინასწარაა დადგენილი. მოცემული კოეფიციენტი აჩვენებს ერთი ჩვეულებრივი აქციიდან მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმუმს. ანუ მაქსიმუმ რა მოცულობის დივიდენდი შეიძლება იქნეს მიღებული ყოველი ერთი ჩვეულებრივი აქციიდან. იგი გავლენას ახდენს აქციის საბაზრო ფასზე. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით ამ მაჩვენებელს ეწოდება **საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე**. ხოლო, ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა აიღება საშუალო შეწონილი რაოდენობით, ვინაიდან დროის სხვადასხვა მომენტში მიმოქცევაში აქციების სხვადასხვა რაოდენობა იმყოფება. აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობის გამოთვლის მეთოდიკა უკვე განხილული იყო მეათე თავში და აქ აღარ გავიმეორებთ.

როგორც ცნობილია, კომპანიის საერთო კრებამ შეიძლება წმინდა მოგება მთლიანად დივიდენდების სახით არ გასცეს, რადგან სხვადასხვა სახის რეზერვების შექმნაც აუცილებელია. ამიტომ, საჭიროა ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდის მაჩვენებლის გამოთვლაც.

$$\text{დივიდენდი ერთი აქციაზე} = \frac{\text{დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებში}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რიცხვი}}; \qquad (16.3.2)$$

ინვესტორებისათვის ეს მაჩვენებელი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან იგი მათ უჩვენებს რამდენი ლარის დივიდენდი მოაქვს ყოველ ერთ აქციას. ეს მაჩვენებელი საწარმოთაშორისო ანალიზის დროსაც შეისწავლება, რათა გამოვლინდეს, რომელ კომპანიაშია ინვესტირება უფრო ხელსაყრელი.

$$\text{ერთი აქციის ფასის კოეფიციენტი} = \frac{\text{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}{\text{შემოსავალი ერთ აქციაზე}}; \qquad (16.3.3)$$

იგი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი აქციებზე მოთხოვნის ინდიკატორს წარმოადგენს, რადგან აჩვენებს, ინვესტორი მოცემულ მომენტში, რამდენჯერ მეტს იხდის ერთი აქციიდან მისაღები მოგებისათვის. თუ აქციის ფასი მაღალია, ეს ნიშნავს რომ ინვესტორები მაღალი მოგების სწრაფად მიღებას ცდილობენ. საწარმოებში, რომელთაც ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპები გააჩნიათ (იგი, როგორც ადრე განვიხილეთ, მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების ჯამისა და საკუთარი კაპიტალის ფარდობაა), აქციის ფასიც მაღალია. ეს მაჩვენებლები პოტენციური ინვესტორების მიერ სხვადასხვა საწარმოების მიხედვით შეისწავლება და შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ.

აქციის ფასის კოეფიციენტი აგრეთვე ახასიათებს, თუ რამდენი წელი დასჭირდება ინვესტორს, ინვესტირებული თანხის ამოსაღებად. ამ მაჩვენებელს პარადოქსიც ახასიათებს. თუ მაგალითად, ერთი აქციის საბაზრო ფასი ორი ლარია, ხოლო შემოსავალი ერთ აქციაზე 20 თეთრი, მაშინ ამ უკანასკნელის უცვლელობის შემთხვევაში, ინვესტიციის ამოსაღებად საჭირო იქნება 10 წელი (200/20). ე.ი. რაც უფრო დიდია აქციის ფასის კოეფიციენტი, მით მეტია უკუგების პერიოდი. რაც მცირეა აქციის ღირებულების კოეფიციენტი, ინვესტიცია მით უფრო მომგებიანია. პარადოქსი სწორედ ისაა, რომ რაც უფრო მაღალია აქციის ფასი, მით უფრო სასურველია აქციის გამომშვები საწარმოსათვის, რადგან ინვესტიცია გრძელვადიანია.

აქციის ღირებულების ანუ ფასის კოეფიციენტი ეფუძნება ერთი აქციის შემოსავლის მიმდინარე მნიშვნელობას. ხოლო, საფონდო ბირჟა აქციაზე ფასს აწესებს ერთი აქციის შემოსავლის დასაშვები მნიშვნელობით. თუ ბირჟის თვალსაზრისით, საწარმოს გააჩნია ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი პერსპექტივები, აქციის საბაზრო ფასი გაიზრდება.

ამასთან, საფონდო ბირჟაზე აქციის ფასი ის ფასია, რომლითაც აქცია გამყიდველიდან – მყიდველზე გაიცვალა. აქციის ფასი იზრდება თუ მყიდველი მეტია ვიდრე გამყიდველი. აქციაზე მოთხოვნა იზრდება, თუ მოსალოდნელია აქციის გამომშვები საწარმოს მოგებისა და შესაბამისად, დივიდენდის ზრდა.

იმ საწარმოებისათვის, რომლებიც საფონდო ბირჟაზე კოტირებული არ არიან, აქციის ფასი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ღირს საწარმო. გამოთვლის მეთოდი შემდეგია: წლიური მოგება მრავლდება მოცემული საწარმოს მსგავს ან იმავე ბირჟაზე კოტირებული საწარმოს აქციის ფასის კოეფიციენტზე.

ინვესტორები აგრეთვე შეისწავლიან აქციის რენტაბელობის (მომგებიანობის) მაჩვენებელს:

$$\text{ერთი აქციის რენტაბელობა} = \frac{\text{შემოსავალი ერთ აქციაზე}}{\text{ერთი აქციის საბაზრო ფასი}} * 100\% \qquad (16.3.4)$$

ამ მაჩვენებლის სიდიდე დაბალია იმ კომპანიებში, სადაც წარმოების გაფართოების მიზნით მოგების დიდი ნაწილის კაპიტალიზაცია ხდება. აქციის რენტაბელობა ინვესტორს უჩვენებს, აქციაში დაბანდებული ყოველი ერთი ლარი რამდენ პროცენტ მოგებას უბრუნებს. იგი აქციის ფასის შებრუნებული მაჩვენებელია. აქციის მომგებიანობის კოეფიციენტი ხშირად არ გამოიყენება, რადგან ინვესტორს აინტერესებს დივიდენდის მიღების ხარისხი, რომელიც დივიდენდის შემოსავლაინობით ხასიათდება. საერთოდ, წმინდა მოგება მხოლოდ ინვესტიციის შედეგი არაა. იგი დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციისა და მმართველობითი უნარების გამოყენების ეფექტიანობის შედეგიცაა.

$$\text{შემოსავალი დივიდენდიდან(1)} = \frac{\text{დივიდენდი ერთ აქციაზე}}{\text{ერთი აქციის საბაზრო ფასი}} \qquad (16.3.5)$$

ეს თანაფარდობა ახასიათებს ერთ აქციაზე მიღებული დივიდენდის პროცენტულ შეფარდებას აქციის საბაზრო ფასთან. ანუ მიღებული დივიდენდი საბაზრო ფასის რამდენ პროცენტს შეადგენს. ამ მაჩვენებლის საწარმოთაშორისო ანალიზიც საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა. ეს მაჩვენებელი შეიძლება მეორენაირადაც გამოითვალოს:

$$\text{შემოსავალი დივიდენდიდან(2)} = \frac{\text{დივიდენდი 1 აქციაზე}}{\text{შემოსავალი 1 აქციაზე}} * 100\%;$$

იგი გვიჩვენებს, გაცემული დივიდენდი რამდენ პროცენტს შეადგენს შემოსავლის მიმართ. ამ მაჩვენებლის სიდიდე საწარმოს სადივიდენდო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. კერძოდ, მოგების რა ნაწილია გამოყოფილი დივიდენდისათვის და რა ნაწილი რეინვესტირებისათვის.

$$\text{დივიდენდის უზრუნველყოფა} = \frac{\text{წმინდა მოგება –პრივილეგირებული აქციების დივიდენდი}}{\text{ჩვეულებრივი აქციების დივიდენდები}}$$

იგი აჩვენებს ჩვეულებრივი აქციების დივიდენდზე გასაცემი წმინდა მოგება რამდენჯერ აღემატება გაცემულ დივიდენდს. იგი ერთზე მეტი უნდა იყოს და ჩვეულებრივი აქციების „უსაფრთხოების“ მაჩვენებელია.

$$\text{აქციის კოტირების კოეფიციენტი} = \frac{\text{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}{\text{აქციის ნომინალური ღირებულება}}$$

ეს კოეფიციენტი თუ ერთზე მეტია, ნიშნავს, რომ მომავალი აქციონერები მზად არიან აქციაში მის ნომინალურ ღირებულებაზე მაღალი ფასი გადაიხადონ.

ასეთია ის გავრცელებული მაჩვენებლები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საწარმოს მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისათვის გამოიყენება.

16.4. ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზის მეთოდიკა

ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლებს, საფონდო ბირჟაზე საწარმოს შეფასების მაჩვენებლებსაც უწოდებენ. ანალიზის მიზანია შეფასდეს, რამდენად სასურველია საწარმო ინვესტორებისათვის, ინვესტირებულ კაპიტალზე უკუგების თვალსაზრისით.

ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზი მოითხოვს შემდეგი საფეხურების გავლას:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება ინვესტიციებთან დაკავშირებით;
- ინვესტიციების ეფექტიანობის მაჩვენებლების დინამიკა და მათი შედარება სხვადასხვა საწარმოებს შორის;
- საწარმოს შიგნით, ხელმძღვანელობის მიერ უკეთესი საინვესტიციო გარემოს შექმნის მიზნით, ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლების გზების გამოვლენა.

მაშასადამე, იმის მიხედვით, ვინ ატარებს ანალიზს: ინვესტორი თუ ინვესტიციების მიმღები, ნაწილობრივ განსხვავებულია ანალიზის მიზანი და მოცულობა. ასე მაგალითად, ინვესტორი მხოლოდ ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასებას ახდენს და დინამიკაში შეისწავლის არსებულ ტენდენციებს, რათა მიიღოს გადაწყვეტილება, ჩადოს თუ არა ფული ამა თუ იმ კომპანიაში და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გამოვლენის პრობლემები არ აინტერესებს. მაშინ როდესაც, ინვესტიციების მიმღები კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ დაჯერდება მხოლოდ არსებული ტენდენციების შეფასებას. მას უფრო მეტად ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლების გზების პოვნა აინტერესებს, რათა საწარმო მიმზიდველი გახადოს ინვესტორებისათვის. თუმცა, ინვესტიციების ჩადების შემდეგ, ინვესტორიც ინტერესდება საწარმოს მომგებიანობის და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გამოვლენის საკითხებით.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგებიდან და შესყიდული აქციების შესახებ შიდა სააღრიცხვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, საწარმოს ხელმძღვანელობა ერთი მხრივ თავად ატარებს ანალიზს და მეორე მხრივ, ინფორმაციას აწვდის არსებულ და მომავალ (პოტენციურ) ინვესტორებს.

16.4.1 ცხრილში მოტანილია პირობითი საწარმოს ინფორმაცია მის მიერ ნაყიდი აქციების ნომინალური ღირებულებისა და გაცემული დივიდენდების შესახებ. მის საფუძველზე იმავე ცხრილში გამოიანგარიშება ინვესტიციების ეფექტიანობის ფარდობითი კოეფიციენტები. ამასთან, ცხრილში მითითებულია სტრიქონის ნომრები, რომელთა ფარდობითაც გამოთვლილია ესა თუ ის კოეფიციენტი. შემდეგ შედგება დინამიკური ცხრილი მინიმუმ, ბოლო ხუთი წლის პერიოდისათვის, სადაც მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლები იქნება მოცემული.

დავუშვათ, არსებობს შემდეგი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 16.4.1).

ცხრილი 16.4.1.

ინვესტიციების ეფექტიანობის მაჩვენებლები

(შევნიშნავთ, რომ ამ ცხრილში მოტანილი ინფორმაცია არ ეხება საანალიზო საწარმო „კოლხეთს“)

მაჩვენებლები	20013	2014	2015	2016	2017	2018
1. მოგება დაბეგვრამდე (ლარში)	10 800	11 000	12 400	13 500	14 900	16 000
2. წმინდა მოგება (ლარში)	9 180	9 350	10 540	11 475	12 665	11 920
3. პრივილეგირებული აქციები ნო-მინალური ღირებულებით (10%)	7 000	7 000	7 000	9 000	9 000	9 000
4. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნო-მინალური ღირებულება (ლ)	20	20	20	20	20	20
5. პრივილეგირებული აქციების რიცხვი ცალებში	140	140	140	180	180	180
6. ჩვულებრივი აქციების რიცხვი	2 000	2 000	2 000	2 000	2 000	2 000
7. 1 ჩვ. აქციის საბაზრო ფასი (ლ)	22	21	23	19	20	22
8. პრივ. აქციების დივიდენდი (ლ)	700	700	700	900	900	900
9. ჩვ. აქციების დივიდენდი (ლ)	6 000	6 000	7 500	8 000	8 000	9 000
ფარდობითი კოეფიციენტები:						
10. შემოსავალი 1 აქციაზე (2-8)/6	4,34	4,33	4,92	5,29	5,88	6.35
11. აქციის ფასის კოეფიციენტი (7/10)	5,07	4,85	4,67	4,35	3,40	3,46
12. აქციის რენტაბელობა (10/7)	0,197	0,206	0,214	0,278	0,294	0,289
13. დივიდენდი 1 აქციაზე (ლ) (9/6)	3,0	3,0	3,75	4,0	4,0	4,5
14. შემოსავალი დივიდენდიდან (13/7)	0,136	0,143	0,163	0,211	0,200	0,205
15. დივიდენდის უზრუნველყოფა (2-8)/9)	1,41	1,44	1,31	1,32	1,47	,41

როგორც უკვე იცით, განსაკუთრებით საინტერესოა დინამიკის გრაფიკების მომზადება, რომელზეც არსებული ტენდენციები ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს. ფარდობითი მაჩვენებლები, როგორც უკვე იცით, გამოითვლება მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მიხედვით, რადგან სწორედ მათი ეფექტიანობა იცვლება საწარმოს მომგებიანობის გავლენით. ამასთან, გახსოვდეთ, რომ პროცენტული ტემპები არ გამოითვლება პროცენტებში გამოსახული კოეფიციენტების მიხედვით (როგორიცაა აქციის რენტაბელობა და შემოსავალი დივიდენდიდან), რადგან, პროცენტული მაჩვენებლის პროცენტული ცვლილების გამოთვლა მიზანშეწონილი არაა. ამიტომ, ისინი შეიძლება კოეფიციენტებში იქნეს დათვლილი და შემდეგ გამოითვლება ცვლილების ტემპები.

როგორც 16.4.2 ცხრილიდა ჩანს, საანალიზო საწარმოში ინვესტიციების ეფექტიანობის მაჩვენებლებს შორის მცირდებოდა აქციის ფასის კოეფიციენტი და დივიდენდის უზრუნველყოფის კოეფიციენტი. შემოსავალი დივიდენდიდან და დივიდენდი ერთ აქციაზე, გაცილებით მაღალი ტემპებითაა გაზრდილი, ვიდრე დივიდენდის უზრუნველყოფა. მაშასადამე, რისკები მაღალი იყო. ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა აქციის მომგებიანობის მაჩვენებელიც, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს.

ცხრილი 16.4.2.

საწარმოს ინვესტიციების შეფასების მაჩვენებლების დინამიკა %-ად 2007 წელთან

მაჩვენებლები	2013	2014	2015	2016	2017	2018
1. შემოსავალი ერთ აქციაზე	100	99,77	113,36	121,89	135,48	146,31
2. აქციის ფასის კოეფიციენტი	100	95,66	92,11	83,80	67,06	68,24
3. აქციის რენტაბელობა	100	104,57	108,63	141,12	149,24	146,7
4. დივიდენდი ერთ აქციაზე	100	100,0	125,0	133,3	133,3	150,0
5. შემოსავალი დივიდენდიდან	100	105,15	119,85	155,88	147,06	150,74
6. დივიდენდის უზრუნველყოფა	100	102,13	92,91	93,62	104,26	100,0

აქციის რენტაბელობის დეტერმინირებული ანალიზისათვის ჯაჭვური ჩასმის ხერხია გამოყენებული. 2018 წელს, აქციის რენტაბელობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 0,005 პუნქტით (იხ. ცხრილი 16.4.1). მასზე ორი ფაქტორი ახდენს გავლენას: შემოსავალი ერთ აქციაზე და აქციის საბაზრო ფასი.

აქციის რენტაბელობა წინა წელს: 5,88 / 20 = 0,294
გადაანგარიშებული რენტაბელობა 6,35 / 20 = 0,317
აქციის რენტაბელობა მიმდინარე წელს: 6,35 / 22 = 0,289
I ფაქტორი: ერთ აქციაზე შემოსავლის ცვლილების გავლენა = 0,317 – 0,294 = +0,023
II ფაქტორის ცვლილების გავლენა = 0,289 – 0,317 = - 0,028
საერთო გადახრაა -0,005

ფაქტორული ანალიზისათვის შეიძლება აგრეთვე ფაქტორთა მწკრივით წარმოვადგინოთ ერთი აქციის შემოსავლისა და დივიდენდის მაჩვენებლები.

$$\text{შემოსავალი 1 აქციაზე} = \frac{\text{წმინდა მოგება} - \text{პრივ. აქციის დივიდენდი}}{\text{წმინდა მოგება}} * \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} * \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{ჩვ. აქციების რიცხვი}};$$

მოცემულ მწკრივში სამი ფაქტორია წარმოდგენილი და შეიძლება აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენება.

$$\text{დივიდენდი 1 აქციაზე} = \frac{\text{ჩვ. აქციების დივიდენდი}}{\text{მოგება დაგებვრამდე}} * \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{მოგება \%-მდე}} * \frac{\text{მოგება \%-მდე}}{\text{წმინდა მოგება}} * \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{ჩვ. აქციების რიცხვი}};$$

მოცემულ მწკრივში ოთხი ფაქტორია წარმოდგენილი, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთი აქციის დივიდენდის მაჩვენებელზე. გამოთვლები ჩატარდება აბსოლუტური სხვაობის ხერხით.

ინვესტორები, ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დროს რისკების დონესაც აკონტროლებენ, რადგან აქციის გამომშვები კომპანიის გაკოტრების ალბათობა ხშირად არსებობს. რისკის დონე ვარიაციის კოეფიციენტით ხასიათდება. რაც

უფრო მაღალი იქნება ინვესტიციების ეფექტიანობის ზემოთ მოცემული მაჩვენებლების ვარიაციის კოეფიციენტები, რისკიც მით უფრო მაღალი იქნება.

ამრიგად, ფასიანი ქაღალდების შეძენა ნებისმიერი საწარმოს ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნერლოვან მიმართულებას წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდები სამი ძირითადი მიზნის მისაღწევად გამოიყენება: საწარმოს აუცილებელი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად; ხელსაყრელი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებელად და შემოსავლების გასაზრდელად.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა არის საინვესტიციო საქმიანობა;
2. როგორ გამოითვლება ინვესტიციის გამოსყიდვის პერიოდი;
3. ახსენით ინვესტიციის წმინდა დისკონტირებული ღირებულება;
4. დაახასიათეთ ინვესტიციის უკუგების შიდა ნორმა;
5. როგორ გამოითვლება დივიდენდი ერთ აქციაზე და რას ახასიათებს იგი;
6. რას გვიჩვენებს აქციის ფასის კოეფიციენტი;
7. რას გვიჩვენებს აქციის რენტაბელობა და რა ფაქტორები ახდენენ მასზე გავლენას.

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი არის:**
   ა. ინვესტიციიდან მისაღები შემოსავლების ფარდობა მოსალოდნელ მოგებასთან
   ბ. მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ფარდობა საწყის ინვესტიციასთან
   გ. საწყისი ინვესტიციის ფარდობა მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებასთან
2. **საინვესტიციო პროექტი მისაღებია, თუ:**
   ა. ინვესტიციის რენტაბელობის ინდექსი ერთის ტოლია
   ბ. ინვესტიციის რენტაბელობის ინდექსი ერთზე მეტია
   გ. ინვესტიციის რენტაბელობის ინდექსი ერთზე ნაკლებია
3. **ინვესტიციის რენტაბელობის შიდა ნორმა არის:**
   ა. დისკონტირების კოეფიციენტის ფარდობა მოგების ნორმასთან
   ბ. დისკონტირების საპროცენტო განაკვეთი, რომლის დროსაც პროდექტის წმინდა ღირებულება ნულზე მეტია
   გ. დისკონტირების საპროცენტო განაკვეთი, რომლის დროსაც პროექტის წმინდა ღირებულება ნულის ტოლია
4. **ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა არის:**
   ა. ინვესტიციის ხარჯების ფარდობა საშაულო წლიურ მოგებასთან
   ბ. მოგების ფარდობა საინვესტიციო ხარჯებთან
   გ. ინვესტიციის ხარჯების ფარდობა გამოსყიდვის ვადაზე
5. ერთ-ერთ საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებით მოსალოდნელია შემდგი ფულადი ნაკადები:

წლები	ფულადი ნაკადები
0	(40 000)
1	20 000
2	20 000
3	20 000

რას უდრის პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება, თუ ანუიტეტის დისკონტირების კოეფიციენტია 2,4868.

ა. 16 085

ბ. 9 736
გ. 10 540

6. საწარმოს წლიური წმინდა მოგებაა 15000 ლარი, პრივილეგირებული აქციების დივიდენდია 4000 ლარი, წარმოების განვითარების რეზერვი – 3500 ლარი და ჩვეულებრივი აქციების რიცხვია – 400 ცალი.
შემოსავალი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე იქნება (ლარში):
ა. 37,5
ბ. 28,75
გ. 27,5
7. არსებობს შემდეგი ინფორმაცია: ერთი აქციის საბაზრო ფასია - 25, შემოსავალი ერთ აქციაზე 20 და დივიდნედი ერთ აქციაზე – 8 ლარი.
აქციის ფასის კოეფიციენტი იქნება:
ა.1,25
ბ.3,57
გ.2,86
8. ერთი აქციის საბაზრო ფასი – 25 ლარი, შემოსავალი ერთ აქციაზე - 20 ლარი და დივიდენდი ერთ აქციაზე 8 ლარია.
ერთი აქციის რენტაბელობა იქნება:
ა. 60 %
ბ. 80 %
ც. 53 %
9. საწარმოს წლიური წმინდა მოგება 15200 ლარია. დივიდენდი პრივილეგირებულ აქციებზე - 7500 ლარი და ჩვეულებრივ აქციებზე – 6000 ლარია.
დივიდენდის უზრუნველყოფის კოეფიციენტი არის:
ა. 2,0
ბ. 1,03
გ. 1,28
10. წინა წელს ერთი აქციის ფასი - 30 ლარს და შემოსავალი ერთ აქციაზე – 28 ლარს შეადგენდა. მიმდინარე წელს კი ერთი აქციის ფასი 32 ლარი და შემოსავალი ერთ აქციაზე 29 ლარი გახდა.
რამდენი პროცენტით შეიცვალა ერთი აქციის ფასის კოეფიციენტი:
ა. გაიზარდა 2,9 %-ით
ბ. შემცირდა 2,9 %-ით
გ. არ შეცვლილა

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 16.1.

ერთ-ერთი საინვესტიციო პროექტის შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

წლები	**ფულადი ნაკადები (ლარი)**	**დისლონტირების კოეფიციენტი 10 %**
0	(70 000)	1
1	20 000	0,9091
2	15 000	0,8264
3	30 000	0,7513
4	25 000	0,6830
5	25 000	0,6209

მოთხოვნა:გამოთვალეთ საინვესტიციო პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება (წდღ).

ამოცანა 16.2.

ორი საინვესტიციო პროექტიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

წლები	I პროექტი	II პროექტი	დისკონტირების კოეფიციენტი 10%-ზე
საწყისი ინვესტიცია	(70 000)	(70 000)	1
1	20 000	30 000	0,9091
2	23 000	20 000	0,8264
3	30 000	35 000	0,7513
4	30 000	25 000	0,6830
5	(15 000)	(25 000)	0,6209

მოთხოვნა:

შეაფასეთ სასინვესტიციო პროექტები წმინდა დისკონტირებული ღირებულებით და გააკეთეთ კომენტარი, რომელ პროექტს მიანიჭებდით უპირატესობას.

ამოცანა 16.3.

კომპანიას სურს ორი საინვესტიციო პროექტიდან ერთ-ერთი შეარჩიოს და პროექტების შეფასებისათვის იყენებს უკუგების პერიოდის გამოთვლის მეთოდს. ორივე პროექტის ვადა ხუთი წელია. ფულადი ნაკადები ნაჩვენებია ამორტიზაციის თანხის გათვალისწინების გარეშე და გამოიყენება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი.

არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

წლები	I პროექტი	II პროექტი
საინვესტიციო დანახარჯი	(55 000)	(55 000)
ფულადი ნაკადები:		
I წ	10 000	15 000
II წ	15 000	15 000
III წ	9 000	10 000
IV წ	5 000	5 000
V წ	(10 000)	(16 000)

მოთხოვნა:გამოთვალეთ ორივე პროექტის უკუგების პერიოდი წლებში.

ამოცანა 16.4.

სამი საინვესტიციო პროექტის შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

წლები	I პროექტი	II პროექტი	III პროექტი	დისკონტირების კოეფიციენტები 10%-ზე
საწყისი ინვესტიცია	(80 000)	(70 000)	(90 000)	1
მოგება (ან ზარალი):				
I წ	20 000	10 000	30 000	0,9091
II წ	20 000	30 000	30 000	0,8264
III წ	20 000	30 000	20 000	0,7513
IV წ	20 000	30 000	20 000	0,6830
V წ	(10 000)	(15 000)	(10 000)	0,6209
VI წ	15 000	10 000	15 000	0,5645

მოთხოვნა:

1. გამოთვალეთ უკუგების პერიოდი სამივე პროექტისათვის;
2. გამოთვალეთ სამივე პროექტის წმინდა დისკონტირებული ღირებულება;
3. გააკეთეთ შესაბამისი კომენტარები

ამოცანა 16.5.

ერთ-ერთ პროექტს ჭირდება 120000 ლარის თავდაპირველი ინვესტიცია. პროექტის ვადა ხუთი წელია. მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ყოველწლიურად იქნება: 35000; 40000; 25000; 40000 და 30000 ლარი.

მოთხოვნა: გამოთვალეთ წმინდა ფულადი ნაკადი, საშუალო წლიური მოგება, ინვესტიციის საშუალო ღირებულება და უკუგების სააღრიცხვო კოეფიციენტი (ანუ ინვესტიციის რენტაბელობა)

ამოცანა 16.6.

ერთ-ერთი საწარმოს შესახებ არსებობს შემდგეი ინფორმაცია:

	წინა წელი	მიმდინარე წელი	გადახრა
წლიური მოგება	64000	68000	+ 4000
წმინდა მოგება	56000	58900	
პრივ.აქციები დივიდენდ	20000	20000	
ჩვ. აქციების რიცხვი	4500	5000	
შემოსავალი 1 აქციაზე (ლ)	36000/4500=8,0	38900/5000=7,78	-0,22

მოთხოვნა: გაზომეთ ერთ ცალ აქციაზე შემოსავლის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა შემდეგი ფაქტორული მოდელის საფუძველზე:

შემოსავალი 1 აქციაზე =

$$= \frac{\text{(წმინდა მოგება – პრივ. აქციის დივიდენდი)}}{\text{წმინდა მოგება}} * \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} * \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{ჩვ. აქციების რიცხვი}};$$

თავი 17. ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო (შედარებითი) ანალიზის მეთოდიკა

(შედარებითი ანალიზი – benchmarking analysisi)

საწარმოთაშორისო ანალიზი წარმოადგენს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის გაგრძელებას, დამასრულებელ საფეხურს, როგორც კომპანიების, ისე სამინისტროების და დეპარტამენტების დონეზე. იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც რომელიმე ინვესტორს სურს ამ თუ იმ გადაწყვეტილების მიღება ახალი პროექტების განხორციელებისათვის, ალტერნატივებიდან არჩევანის გაკეთებისათვის, საქმიანი ურთიერთობების დასაწყებად საწარმოს შერჩევისათვის და ა.შ.

ამ თავში განხილულია საწარმოთაშორისო ანალიზის არსი და თავისებურებები.

17.1. საწარმოთაშორისო (შედარებითი) ანალიზის არსი და მიზანი

შედარება საერთოდ ყოველგვარი აზროვნებისა და შემეცნების საფუძველს წარმოადგენს. იგი მეცნიერების ყველა დარგში გამოიყენება: ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, ასტრონომიულ მეცნიერებებში, მათემატიკაში, კიბერნეტიკაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიულ მეცნიერებებში და ა.შ. „ჩვენ მთელ სამყაროს შევიმეცნებთ შედარების მეშვეობით, წერს კ.დ. უშინსკი. იგი არის შემეცნების სარკმელი, რომლის გარეშე შეუძლებელია ადამიანის მთელი შემეცნებითი ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ი.მ. სეჩენოვი წერს, „იქ, სადაც ქრება შედარების საზღვრები, იქ არის, რეალური სამყაროს შემეცნების შესახებ, მეცნიერების ზღვარი“. „შედარება გამოყენებული უნდა იქნას გააზრებულად, მისი სამართლიანობის განსაზღვრული პირობებისა და საზღვრების მკაცრად დაცვით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“ - წერს მ.მ. მისლენიკოვი.

შედარება ასევე გამოიყენება ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. მათ შორის საწარმოთაშორისო ეკონომიკურ ანალიზში, რათა მოხდეს სხვადასხვა საწარმოთა საქმიანობის შედეგების შედარებითი შეფასებები და დახასიათება ურთიერთმიმართებაში. სხადასხვა საწარმოთა შედარებითი დახასიათება მრავალი სუბიექტის ინტერესებში შედის. მაგალითად, ბანკებს აინტერესებთ რომელი საწარმოა უფრო გადახდისუნარიანი, რომელიც დროულად დაფარავს ვალდებულებებს; ინვესტორებს აინტერესებთ, რომელ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები მოიტანს უფრო მაღალ მოგებას (დივიდენდს); ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს აინტერესებთ რომელ კომპანიაში შეიძლება

ჰქონდეთ უფრო სტაბილური შემოსავალი და სამუშაო ადგილი; საწარმოს ხელმძღვანელობა დაინტერესებულია არ ჩამორჩეს მაღალი იმიჯის მქონე კომპანიებს, რისთვისაც უნდა მოახდინონ საკუთარი კომპანიების საქმიანობის შედეგების შედარება მაღალეფექტიანი კომპანიების შედეგებთან, რათა საკუთარ კომპანიაშიც დანერგონ და განახორციელონ წარმატებების მომტანი ღონისძიებები და ა.შ.

შიდასაწარმოო ეკონომიკური ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს საწარმოს ხელთ არსებული რესურსების უკეთ გამოყენების გზები და მოგების გადიდების ღონისძიებები. საწარმოთაშორისო ანალიზი თავის მხრივ იყენებს შიდასაწარმოო ანალიზის შედეგებს, რათა უზრუნველყოს რეზერვების სრულად გამოვლენა. შიდასაწარმოო ანალიზი გეგმური მაჩვენებლებიდან გამოვლენილი გადახრების ანალიზს ეყრდნობა და მაშასადამე, გეგმასაც და ფაქტობრივ შედეგებსაც მოცემული კომპანიის მმართველობის „დაღი“ აკრავს. საწარმოთაშორისო ანალიზის დროს კი შედარების ბაზას სხვა საწარმოს (უფრო ხშირად, წარმატებული საწარმოს) ფაქტიური შედეგები წარმოადგენენ, რაც საშუალებას იძლევა მოცემული საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ამავე საწარმოს ხელმძღვანელობამ გარედან, უცხო თვალით დაინახოს.

მაშასადამე, საწარმოთაშორისო და შიდასაწარმოო ეკონომიკური ანალიზი უზრუნველყოფს საწარმოს (კომპანიის) კომპლექსურ (სრულად) შესწავლას და უფრო სრულყოფილი გდაწყვეტილებების მიღებას.

ამასთან ერთად, საწარმოთაშორისო ანალიზი დამოუკიდებლადაც შეიძლება ჩატარდეს, რაც ინვესტორების, საკრედიტო დაწესებულებების და საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებში შედის. ამდენად, **საწარმოთაშორისო ანალიზის მიზანია** საწარმოების საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შედარებითი დახასიათება. აქედან გამომდინარე, **საწარმოთაშორისო ანალიზის ამოცანებია:**

- საწარმოს ადგილის განსაზღვრა დარგის, ეკონომიკის სექტორის ან რეგიონის მასშტაბით;
- საწარმოს საქმიანობაში ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, წარმატებულ საწარმოებთან შედარებით;
- პრობლემების წრის განსაზღვრა, კონკრეტული საწარმოს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის, რათა ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა.
- მოწინავე გამოცდილებების შესწავლა და დანერგვა;
- სოციალურ პროგრამებში აქტიური და გონივრული მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- არსებული ამოწურვადი რესურსების გონივრული გამოყენება საერთო საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად;
- ეკოლოგიური გარემოს საიმედოდ დაცვის საერთო ეროვნული პროგრამის შემუშავება და დაცვა.

საწარმოთაშორისო ანალიზის ამოცანების გადაჭრის მიზნით, უნდა მოხდეს საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ამსახველი მაჩვენებლების შედარება, რათა გამოვლინდეს გადახრები მათ შორის. გადახრების გაზომვის

დროს კი, ბუნებრივია წარმოიშობა მათი მაჩვენებლების შესადარისობის დაცვის აუცილებლობა.

საწარმოთაშორისო ანალიზის საფეხურებია:

- საჭირო ინფორმაციის მოგროვება;
- იმ მაჩვენებელთა წრის დადგენა, რომელთა შედარება მიზანშეწონილია;
- შესადარი მაჩვენებლების დინამიკის (ტენდენციების) შესწავლა;
- გადახრების გამოვლენა და მათი ფაქტორული ანალიზი;
- წინადადებების შემუშავება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

17.2. საწარმოთა შესადარისობის პრობლემა საწარმოთაშორისო ანალიზის დროს

საწარმოთაშორისო ანალიზის დაწყებამდე უცილებელია დადგინდეს, მაინც რომელ საწარმოებს შორის შეიძლება შედარება: მათ შორის, რომლებიც ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ, თუ მათ შორის, რომლებიც სხვადასხვაგვაროვან პროდუქციას ამზადებენ. მაგალითად, რამდენად მართებულია სასოფლო-სამეურნეო და მშენებლობის კომპანიების ან, მშენებლობისა და სავაჭრო კომპანიების და ა.შ. ურთიერთშედარება, რათა გადახრები მათი საქიანობის შედეგების ამსახველ მაჩვენებლებს შორის, ობიექტური ანუ მათი საქმიანობის ეფექტიანობაზე იყოს დამოკიდებული.

ორი ძირითადი მიმართულების პირობა (აუცილებლობა) არსებობს:

I. საწარმოთა შესადარისობა;

II. საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების შესადარისობა.

საწარმოთა შედარებითი დახასიათებისათვის, მკვლევარს აინტერესებს, იპოვოს საკუთარი კომპანიის წარუმატებლობის მიზეზები, მოწინავე კომპანიებთან შედარებით. ამ მიზნის მიღწევა მით უფრო მეტადაა შესაძლებელი, რაც უფრო შესადარისნი არიან თვით საანალიზო საწარმოები.

საწარმოთაშორისო ანალიზის ჩატარებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა არსებობდეს სხვადასხვა საწარმოთა მუშაობის შედეგების შედარების შესაძლებლობა.

საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების შესადარისობა თვით საწარმოების შესადარისობაზეა დამოკიდებული. რაც უფრო განსხვავდება საწარმოები ერთმანეთისაგან წარმოებული პროდუქციის სახეებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მით ნაკლებია შესადარისი მაჩენებლების რაოდენობა შედარებისათვის.

საწარმოთა შესადარისობის ხარისხი მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის სახეობებით და ტექნოლოგიით განისაზღვრება, რადგან იგი გავლენას ახდენს ყველა ეკონომიკურ მაჩვენებელზე. შესადარისობის ხარისხის მიხედვით, მეცნიერ-ეკონომისტები, საწარმოებს სამ ჯგუფად ყოფენ (იხ.ცხრილი 17.2.1):

ცხრილი 17.2.1.

საწარმოების დაჯგუფება შესადარისობის მიხედვით

საწარმოთა ჯგუფები	საწარმოთა ქვეჯგუფები
I. ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებლები	ა. დაახლოებულნი წარმოების ტიპით და ზომით; ბ. განსხვავებული წარმოების ტიპით და ახლოს მყოფი მოცულობით; გ. ახლოს მყოფი წარმოების ტიპით და განსხვავებული მოცულობით; დ. განსხავვებული წარმოების ტიპით და მოცულობით.
II. მსგავსი პროდუქციის გამომშვები	იგივე ქვეჯგუფები
III.განსხვავებული პროდუქციის გამომშვები	იგივე ქვეჯგუფები

ამდენად, შესადარისობის თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს სამი სახის საწარმოები: ერთგვაროვანი, მსგავსი და სხვადსხვაგვარი. იმ საწარმოების მიხედვით, რომლებიც პირველ ორ ტიპს მიეკუთვნებიან, შეიძლება ჩატარდეს კომპლექსური შედარებითი ანალიზი, რომელიც მათი მუშაობის ყველა მხარეს მოიცავს. მესამე ჯგუფის საწარმოებს შორის შესაძლებელია ჩატარდეს ზოგადი ხასიათის ფარდობითი მაჩვენებლების შედარება. ფარდობითი მაჩვენებლების გამოყენება აფართოებს შედარების შესაძლებლობას, რადგან, ფარდობით მაჩვენებლებზე გავლენას არ ახდენენ ამა თუ იმ კომპანიის წარმოების ტიპი, ზომა და მასშტაბები. თუმცა წარმოების ტიპმა შეიძლება ფარდობით მაჩვენებლებზეც მოახდინონ გავლენა.

იმის შესაბამისად, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან საწარმოები, უნდა განისაზღვროს იმ მაჩვეენებელთა წრე, რომელთა მიხედვით შედარებითი ანალიზის ჩატარება დასაშვებია.

ერთგვაროვანი საწარმოები შესადარისი არიან და მათი საქმიანობის შედეგების ამსახველი მაჩვენებლების დაპირისპირება შესაძლებელია ანუ მათ შორის გადახრის გამოთვლა მიზანშეწონილია.

სხვადასხვაგვარ საწარმოთა მუშაობის მაჩვენებელთა შედარების შესაძლებლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ასე მაგალითად: კ.მ. რაკოვი ამტკიცებს, რომ პროდუქციის თვითღირებულების საწარმოთაშორისო ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოები უშვებენ ერთიდაიგივე პროდუქციას ერთნაირი სტანდარტებითა და ტექნოლოგიებით. მ. რუბინოვი წერს, რომ სამეურნეო პროცესების დაპირისპირება შესაძლებელია, თუკი ისინი ხორციელდება წარმოების ორგანიზაციის ერთსა და იმავე პირობებში. ე.ა. ივანოვი თვლის, რომ აქტივების გამოყენების შედარება შესაძლებელია მხოლოდ იმ საწარმოებს შორის, რომლებიც ერთგვაროვანი არიან როგორც გამოშვებული პროდუქციის მიხედვით, ისე ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით. ა.პ. ვორობეიჩიკოვი და მ.ზ. კაუფმანი არ ეთანხმებიან ივანოვს, რადგან საწარმოთაშორისო ანალიზი არ შეიძლება შემოსაზღვრული იყოს მხოლოდ განსხვავების ფაქტების დადასტურებით. ანალიზის პროცესში აუცილებელია განსხვავებების დადგენა და იმ მიზეზების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ განსხვავებაზე.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ შედარება შესაძლებელია არა მარტო იმ საწარმოებს შორის, რომლებიც ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ, არამედ იმ საწარმოებს შორისაც, რომლებიც განსხვავებულ პროდუქციას უშვებენ.

თუ იმ საწარმოთა შედარების დროს, რომლებიც ერთნაირ და ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ, განსხვავება აიხსნება შესადარ საწარმოთა მხოლოდ მუშაობის ხარისხიანობით, იმ საწარმოთა შედარება, რომლებიც განსხვავებული არიან პროდუქციით, ორგანიზაციით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით, კადრების უზრუნველყოფით და სხვა, იძლევა შესაძლებლობებს დადგინდეს განსხვავება საქმიანობის შედეგებში. ღრმად განიხილოს, როგორ მოახდინეს გავლენა ცალკეულმა განსხვავებამ ამ შედეგებზე.

ჩვენ ვიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ თუ **საწარმოები ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ,** ახლოს არიან წარმოების სიდიდისა და ტიპის მიხედვით, მაშინ შედარება შეიძლება ჩატარდეს მათი საქმიანობის შედეგების ყველა კომპლექსური მაჩვენებლების მიხედვით, სამეურნეო პროცესებისა და ოპერაციების დიდი უმრავლესობის მიხედვით.

სხვადასხვაგვაროვან საწარმოებს შორის შეიძლება ეფექტიანობის ზოგადი მაჩვენებლების და ფინანსური მდგომარეობის ზოგიერთი მაჩვენებლის შედარება. რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით, შეიძლება შედარებულ იქნეს დანაკარგების დონე, მოცდენების რაოდენობა, ეკოლოგიური გარემოს დაცვის ხარისხი და ა.შ.

ამრიგად, საწარმოთაშორისო ანალიზის დროს არსებობს საწარმოთა შესადარისობისა და მაჩვენებელთა დაპირისპირებადობის ხარისხის დადგენის პრობლემა.

საწარმოთაშორისო ანალიზის ჩატარების ეტაპები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. სამუშაო გეგმის შედგენა, რომელშიც აისახება ანალიზის მიზანი, საკვლევ საწარმოთა წრე, საწარმოთა შესადარისობის ხარისხის განსაზღვრა, ანალიზის კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა, მონაცემთა შედარების პროგრამა;
2. ამოსავალი მონაცემების შეკრება და დამუშავება, პირველადი მასალების შესწავლა, შესადარისი მაჩვენებლების შერჩევა და დაპირისპირება, გადახრების გამომწვევი ფაქტორების გამოკვლევა, გარდაუვალი განსხვავებების გამოყოფა, ანალიზით მიღებული შედეგების შეფასება;
3. ანალიზის შედეგების განზოგადება და მოგების გადიდების რეზერვების გამოვლენა, ცალკეული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის გაანგარიშება;

საწარმოთაშორისო ანალიზის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამა თუ იმ მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავების ბუნებისა და ხასიათის განსაზღვრა. განსხვავების მიზეზები უნდა დაიყოს ობიექტურ ე.ი. საწარმოზე დამოუკიდებელ და სუბიექტურ ანუ საწარმოზე დამოკიდებულ ფაქტორებად.

საწარმოს მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს იმ ეკონომიის ან გადახარჯვის სიდიდე, რომელიც მიღებულია მისგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი ფაქტორებით.

17.3. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდიკა

საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზი შეიძლება დაჭირდეს საკრედიტო საწესებულებებს, ინვესტორებს, კვლევით ინსტიტუტებს, საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, ბიზნესში მოქმედ ნებისმიერ სუბიექტს, რომელთაც უხდებათ არჩევანის გაკეთება კრედიტის გაცემის, ინვესტიციების დაბანდების, აქციების შესყიდვის, მომწოდებლებისა და მყიდველების შერჩევის და სხვათა დროს.

დასადგენია, ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზი შესაძლებელია თუ არა ჩატარდეს ნებისმიერი დარგის საწარმოებს შორის. შეიძლება საწარმოები არაერთგვაროვან პროდუქციას უშვებდნენ, მაგრამ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები ფარდობითი მაჩვენებლებია და მათი შედარება და განსხვავებების დადგენა სწორად დაგვეხმარება წარმატებული საწარმოების გამოვლენაში. თუმცა, დასადგენია, პროდუქციის შრომატევადობა, მასალატევადობა და ფონდტევადობა გავლენას ახდენენ თუ არა გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებზე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი სახის პროდუქტი უფრო სწრაფად იყიდება. მაგალითად, პური უფრო სწრაფად იყიდება, ვიდრე ბეწვის ქურქი. პირველ შემთხვევაში, ფულის ბრუნვა უფრო სწრაფია, ვიდრე მეორე ტიპის მაღაზიაში.

საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შედარება შესაძლებელია მათი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც, როგორც წესი საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს.

საწარმოთაშორისო ანალიზი ვფიქრობთ, განსაკუთრებით შედეგიანი იქნება საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის და ლევერიჯის მაჩვენებლების მიხედვით. აგრეთვე კრედიტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია ალთმანის მიერ და რამდენიმე მაჩვენებელს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, საწარმოები არიან თუ არა შესადარისი, ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები, როგორიცაა ლიკვიდურობის კოეფიციენტები, ფინანსური სტაბილურობის და საქმიანო აქტივობის ფარდობითი მაჩვენებლები შეიძლება ერთმანეთს დავუპირისპიროთ (იხ. ცხრილი 17.3.1). ცხრილში მოტანილია ორი პირობითი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები და გადახრები მათ შორის. იგულისხმება რომ ეს საწარმოები უშვებენ ერთგვაროვან პროდუქციას. დავუშვათ, ორივე ლიმონათის ქარხანაა. გადახრების ანალიზის დროს საჭიროა გამოკვლეული იქნეს, მოცემული გადახრა საწარმოს მიზეზით იქნება გამოწვეული თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

როგორც 17.3.1. ცხრილიდან ჩანს, პირველი საწარმოს მხოლოდ ორი მაჩვენებელია ნაკლები მეორესთან შედარებით. ესენია, მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი და საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობა. დანარჩენი მაჩვემებელბი პირველ საწარმოში უფრო მაღალია ვიდრე მეორეში.

ცხრილი 17.3.1.

საწარმოების ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტების შედარება

	მაჩვენებლები	№1 საწარმო	№2 საწარმო	გადახრა (+; –) (N 1 - N2)
1.	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,45	0,30	+ 0,15
2.	საერთო ლიკვიდურობის კოეფიცენტი	2,10	1,05	+ 1,05
3.	მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	0,82	1,01	- 0,19
4.	საკუთარი საბრუნავი სახსრები უზრუნველყოფა	0,9	0,8	+ 0,1
5.	საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი	1,2	1,4	- 0,2
6.	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	1,8	1,7	+ 0,1
7.	პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	6,0	5,4	+ 0,6
8.	ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა ჯერებში (შემოსავალი/მიმდ. აქტივ.საშ.ნაშთი)	9	11	+2

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი როგორ წესი, გამოითვლება წლის ბოლოს არსებული ფულადი თანხების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. თავის მხრივ, ფულადი თანხების სიდიდე ფულის ბრუნვის სიჩქარეზეა დამოკიდებული, რაზეც გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციის ხანგრძლივობა. მაგალითად, ლიმონათი უფრო სწრაფად იყიდება, ვიდრე ღვინო, ფეხსაცმელი ან მსუბუქი მანქანები. ამიტომ, შეიძ ება ვუიფიქროთ, რომ სხვადასხვაგვარი პროდუქციის მწარმოებელი ფირმების აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტების დაპირისპირებით მიღებული გადახრის რაღაც ნაწილი წარმოებული პროდუქციის თავსებურებებით იქნება გამოწვეული და ამდენად, ვერ დავასკვნით, რელურად, რომელი საწარმოს მაჩვენებელია უკეთესი. მაგრამ, ამა თუ იმ საწარმოს ფულის ნაშთებიც და მიმდინარე ვალდებულბებიც საკუთარი საქმიანობის შესაბამისად ჭირდებათ, ამიტომ მათი თანაფარდობა გადახდისუნარიანობას ახასიათებს და შესაძლებელია არაერთგვაროვანი საწარმოების ლიკვიდურობის კეოფიციენტების შედარება. ნებისმიერ საწარმოს მოცემულ მომენტში არსებული ფულით მისი მიმდინარე ვალდებულებების მინიმუმ 20%-ის დაფარვა უნდა შეეძლოს.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება ნედლეულის, დაუმთავრებელი პროდუქციის, მზა პროდუქციისა და საქონლის მარაგები. მათი სიდიდე წარმოების მასშტაბზე და ტიპზეა დამოკიდებული. სამშენებლო ფირმებსა და სამრეწველო კომპანიებს განსვავებული სახის მასალები გააჩნიათ და სხვადასხვა სიდიდის მარაგები ჭირდებათ. მიმდინარე ვალდებულებები კი ყველა ტიპის საწარმოში ერთ წლამდე ვადის დავალიანებებია. მართალია მატერიალური მარაგების საჭიროების განსხვავებულობა სხვადსხვა დარგისა და ზომის საწარმოების მიხედვით განსხვავდება, რაც მარაგების მოცულობით მაჩვენებლებს არაშესადარისს ხდის, მაგრამ ფარდობითი ლიკვიდურობის კოეფიციენტები ფარდობითი მაჩვენებლებია და მათი საწარმოთაშრისო ანალიზი არა მხოლოდ მსგავს და ეროგვაროვან არამედ განსხავებული ტიპის საწარმოებს შორისაც არის გამართლებული.

მატერიალრი მარაგების დაფარვის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{მარაგების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფარვის „ნორმალური“ წყაროები}}{\text{მატერიალური მარაგები}}; \quad (17.3.1.)$$

ეს მაჩვენებელიც, ვფიქრობთ, სხვადასხვაგავროვან საწარმოებს შორისაც შეიძლება შევადაროთ. დაფარვის ნორმალურ წყაროებს მიეკუთვნება საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულებები მოწოდებიდან და მიღებული მოკლევადიანი ავანსები. ყველა ეს ჩამოთვლილი მაჩვენებლი დამოკიდებულია საწარმოს მუშაობის აქტივობაზე. ამა თუ იმ საწარმოს მმართველობის მოქნილობა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების ხარისხი განსაზღვრავს მარაგების დაფარვის კლოეფიციენტის როგორც მრიცხველის, ისე მნიშვნელის მაჩვენებელთა მოცულობას. მართალია, ცალ-ცალკე აღებული ეს მაჩვენებლები – დაფარვის „ნორმალური“ წყაროები და მატრიალური მარაგები დამოკიდებულია კომპანიის მასშტაბზე, მაგრამ მათი შეფარდება ამ კომპანიის მუშაობის ხარისხს განსაზღვრავს მარაგების დაფარვის მიმართულებით. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საკვლევი საწარმოების მიხედვით, ამ კოეფიციენტებს შორის არსებული გადახრა, პირდაპირ პასუხობს არჩევანის გაკეთების მოთხოვნას. უპირატესობა ენიჭება იმ კომპანიას, სადაც ეს კოეფიციენტი უფრო მაღალია (შესადარ კომპანიებს შორის ბუნებრივია არ მოიაზრება კომერციული ბანკები, რადგან ისინი საქმიანობის სხვა სფეროს მიეკუთვნებიან).

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიცინტი გამოითვლება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით მატერიალურ მარაგებთან. ამ კოეფიციენტის განსაზღვრაში გამოყენებული ორივე მაჩვენებელი და მათი ფარდობა, მოცემული საწარმოს საქმიანობის აქტივობასა და ეფექტიანობაზეა დამოკიდებული. მართალია, მატერიალური მარაგების მოცულობას საწარმოს ზომა და მასშტაბები განსაზღვრავს, მაგრამ საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფაც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. ამიტომ, ამ კოეფიცინტებს შორის არსებული გადახრა საწარმოთა უპირატესობაზე ან ნაკლებ უპირატესობაზე მეტყველებს. მისი შედარება სამივე ტიპის საწარმოებს შორის მიზანშეწონილია.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი არის ფარდობა საწარმოს აქტივებსა და საკუთარ კაპიტალს შორის. ამ კოეფიციენტების დაპირისპირება მართებულია როგორც ერთგვაროვან, ისე არაერთგვაროვან საწარმოებს შორის, გარდა ბანკებისა, რადგან ბანკების აქტივებში საკუთარი კაპიტალის 10 -15% - იანი წილი, ნორმალურ მოვლენად ითვლება. ფინანსური დამოკიდებულების კოფიციენტი რაც უფრო მაღალია, მით უფრო უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. მაშასადამე, საწარმო მით უფრო დამოკიდებულია სხვებზე.

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოგება \%-ისა და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საპროცენტო ხარჯი}}; \quad (17.3.2)$$

ამ კოეფიციენტის ანალიზი საინტერსოა ბანკებისათვის, მისცენ თუ არა სესხი რომელიმე კომპანიას. ეს კოეფიციენტი ვფიქრობთ ნებისმიერი ტიპის საწარმოების შედარებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული.

რაც შეეხება ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლებს, ისინი მხოლოდ ერთგავროვან საწარმოებს შორის შედარებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგან როგორც ადრე აღვნიშნეთ, სხვადასხვა დარგის საწარმოების პროდქტს ბრუნვადობის ბუნებრივი თავისებურებები გააჩნია. მაგალითად, ლიმონათი და ავტომობილი, ავტომობილი და შენობა, პური და ფეხსაცმელი და ა.შ.

რაც შეხება ინვესტიციების მაჩვენებლებს, რომლებიც ინვესტორებს აინტერესებთ, შეიძლება სამივე ტიპის საწარმოებს შორის ჩაატაროს პოტენციურმა ინვესტორმა.

შედარებითი ანალიზის დროს ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია მოახდინონ ერთ აქციაზე დივიდენდის მაჩვენებლების ვარიაციის კოეფიციენტების შედარება იმ საწარმოებს შორის, სადაც ინვესტიციების ჩადებას აპირებენ. ამ მიზნით მომზადდება შესაბამისი ცხრილი (იხ. ცხრილი 17.3.2).

ცხრილი 17.3.2

ერთ აქციაზე დივიდენდის მაჩვენებლის ვარიაცია

წლები	I საწარმო		II საწარმო		III საწარმო	
	X	X^2	X	X^2	X	X^2
2005	0,90	0,81	0,81	0,6561	1,15	1,3225
2006	0,95	0,9025	0,95	0,9025	1,30	1,69
2007	0,82	0,6724	0,82	0,6724	1,40	1,96
2008	0,90	0,81	0,98	0,9604	1,20	1,44
2009	0,98	0,9604	0,83	0,6889	1,00	1,00
2010	0,99	0,9801	0,75	0,5625	0,90	0,81
2011	1,00	1,00	1,30	1,69	0,95	0,9025
2012	1,20	1,44	0,99	0,9801	1,10	0,21
--------	---------	---------	---------	--------	--------	--------
ჯამი	7,74	7,5754	7,43	7,1129	9,00	10,335
საშ. არითმ.	0,9675		0,9287		1,125	

ვარიაციის კოეფიციენტის გამოსათვლელად, როგორც უკვე იცით, ჯერ საშუალო კავადრატული გადახრა და შემდეგ ვარიაციის კოეფიციენტი უნდა გამოითვალოს (იხ. გვ. 43). გაანგარიშებების შედეგად მიიღება:

I საწარმოში: V = 10,79 %
II საწარმოში: V = 17,56 %
III საწარმოში: V = 14,42 %

მაშასადამე, სამი ალტერნატივიდან, ინვესტიციის ყველაზე მაღალი რისკი მეორე საწარმოში არსებობს, რადან ვარიაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია და მაშასადამე, ერთი აქციის დივიდენდის მაჩვენებელი მაღალი მერყეობით ხასიათდება. ყველაზე საიმედოდ, პირველი საწარმო გამოიყურება. თუმცა, რისკი მესამე საწარმოში პირველზე უფრო მაღალია, მაგრამ დივიდენდის საშუალო დონე აქ ყველაზე მაღალია. ასე რომ, ინვესტორის ალდოც მნიშვნლოვანია. შესაძლოა მან მესამე საწარმო აირჩიოს. რისკების შეფასებისათვის აგრეთვე

შეიძლება გამოყენებული იქნეს ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტების შედარებითი დახასიათება.

ამრიგად, **ერთგვაროვან საწარმოებს შორის** შეიძლება როგორც მოცულობითი ისე ნებისმიერი ფარდობითი მაჩვენებელების დაპირისპირება ანუ გადახრების გამოთვლა და მათი ანალიზი.

მსგავს და განსხვავებულ საწარმოებს შორის მხოლოდ ფარდობითი მაჩვენებლების დაპრისპირება და მათი გადახრების ანალიზია გამართლებული. ესენია: ლიკვიდურობის, ფინანსური სტაბილურობის, ფინანსური ლევერიჯის, საკუთარი კაპიტალის უკუგების და ინვესტიციების შეფასების მაჩვენებლები. ეს ყოველივე ინვესტორებს და მენეჯერებს, გადაწყვეტილებების მიღებაში მნიშვნელოვნად ეხმარება.

მაშასადამე, საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდიკა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა. ამასთან მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მომხმარებლის მიზანს. საწარმოს ფინანსური მენეჯმენტი დაინტერესებულია როგორც შედარებითი შეფასებებით, ასევე წარმატებულ საწარმოებში არსებული გამოცდილებების დანერგვით. ამიტომ მისთვის უფრო რეალური შედეგის მომტანია შედარება ერთგვაროვან საწარმოებს შორის. ხოლო, ინვესტორისთვის რომელსაც მხოლოდ უფრო მომგებიანი ბიზნესი აინტერესებს, არსებითი არაა განსხვავებების მიზეზების პოვნა. მას სურს მაღალი მოგება. ამიტომ, გადაწვეტილების მიღების დროს, მას შეუძლია სრულიად სხვადასხვაგვარი კომპანიების მაჩვენებლები შეუდაროს და აირჩიოს უფრო მაღალი მოგების მომტანი დარგი. თუმცა, ინვესტიციების ჩადების შემდეგ, უკვე იგი დაინტერესდება მსგავს საწარმოებთან შედარებითი დახასიათებით და წინსვლის კონკრეტული ღონისძიებების გატარებით.

17.4. მომგებიანობის საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდიკა

მოგებისა და მომგებიანობის საწარმოთაშორისო ანალიზის ჩატარება მართებულია მსგავს და ერთგვაროვან საწარმოებს შორის. მისი მიზანია იპოვოს მოგების მოცულობის გადიდებისა და მომგებიანობის დონის ამაღლების რეზერვები, მაღალი ფინანსური იმიჯის მქონე საწარმოებთან შედარების გზით.

მომგებიანობის ამაღლების რეზერვების გამოვლენის მიზნით, საწარმოთაშორისო ანალიზი გაცილებით უკეთესია ჩატარდეს ერთგვაროვან საწარმოებს შორის, რომლებიც ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ.

როგორც ცნობილია, მოგების მოცულობის ზრდის ძირითად გზას პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების შემცირება, მისი ხარისხიანობის ამაღლება და ფასის ზრდა, ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი წარმოადგენს. მომგებიანობის მაჩვენებელზე აგრეთვე გავლენას ახდენს ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა. მოგებისა და მომგებიანობის საწარმოთაშორისო ანალიზმა უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები:

- განსაზღვროს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთგვაროვან საწარმოებს შორის მომგებიანობის განსხვავებაზე;
- დაადგინოს გზები მოწინავე საწარმოს მომგებიანობის დონის მისაღწევად.

დავუშვათ ორ ერთგვაროვან საწარმოს, ვთქვათ, ჩაის ფოთლის გადამუშავების ქარხნებს, გააჩნიათ შემდგი მაჩვენებლები(იხ: ცხრილი 17.4.1):

ცხრილი 17.4.1.

ერთგვაროვან საწარმოთა შემოსავლები და ხარჯები
(თანხა ლარებში)

მაჩვენებლები	I საწარმო	II საწარმო	გადახრა (I – II)
შემოსავალი რეალიზაციიდან (ლ)	125 900	98 700	+ 27200
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (ლ)	(89 500)	(68 000)	+ 21500
მოგება რეალიზაციიდან	36 400	30 700	+ 5700
მარკეტინგის ხარჯები	(8 700)	(7 600)	+ 1100
ადმინისტრაციული ხარჯები	(10 500)	(8 300)	+ 2200
საოპერაციო მოგება	17 200	14 800	
საპროცენტო ხარჯები	4 500	2 100	+ 2 400
მოგება დაბეგვრამდე	12 700	12 700	0
მოგების გადასახადი	(1900)	(1900)	0
წმინდა მოგება	10 800	10 800	0
აქტივები	230 000	177 400	+ 52 600
ვალდებულებები	100 000	70 000	+ 30 000
საკუთარი კაპიტალი	130 000	107 400	+ 22 600

როგორც 17.4.1. ცხრილიდან ჩანს, აბსოლუტური მაჩვენებლების შედარებით მიღებული გადახრები მხოლოდ იმაზე მეტყველებენ, რამდენად უფრო დიდი მოცულობის საქმიანობას ახორციელებს ერთი საწარმო მეორესთან შედარებით. მოგების მაჩვენებელი კი ორივეს ერთნაირი აქვთ. მაგრამ, ეს არ იძლევა პასუხს იმაზე, რესურსებს რომელი საწარმო იყენებს უფრო მაღალი ეფექტიანობით და ფინანსურად რომელი უფრო უსაფრთხოა. ამ კითხვებზე პასუხი გასაცემად აუცილებელია ფარდობითი მაჩვენებლების შედარებთი ანალიზი. 17.4.2. ცხრილში წარმოდგენილია მომგებიანობის რამდენიმე ძირითადი მაჩვენებელი.

ცხრილი 17.4.2.

მომგებიანობის მაჩვენებლების შედარება

მაჩვენებლები	I საწარმო	II საწარმო	გადახრა
1. პროდუქციის რენტაბელობა % -ად	40,67	45,14	-4,47
2. მოგების ნორმა %-ად	28,91	31,10	- 2,19
3. ფასნამატი %-ად	33,5	36,6	-3,1
3. საოპერაციო მოგების მარჟა %-ად	13,7	15,0	-1,3
4. საოპერაციო მოგების ფასნამატი (%-ად)	15,8	17,7	-1,9
5. მარკეტინგის ხარჯების ფარდობა მოგებასთან(%)	68,5	59,8	+8,7
6. ადმინისტრაც. ხარჯების ფარდობა მოგებასთან(%	82,7	65,4	+17,3
7. აქტივების მომგებიანობა %-ად	5,52	7,18	-1,66
8. საკუთარი კაპიტალის უკუგება (%)	8,31	10,06	-1,75

ცხრილში 17.4.2. მოტანილი ორი ერთგვაროვანი საწარმოს ეფექტიანობის მაჩვენებლებს შორის გადახრა გამოთვლილია პირველი საწარმოდან, მეორე საწარმოს მაჩვენებლების გამოკლებით და ნიშნები შესაბამისადაა დასმული.

პროდუქციის რენტაბელობა გამოთვლილია რეალიზაციიდან მიღებული მოგების შეფარდებით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან (36400/89500*100%). როგორც იმავე ცხრილიდან ჩანს, მეორე საწარმოში 4,47 პროცენტული პუნქტით მეტი მოგებაა მიიღებული პროდუქციის ყოველ ერთი ლარის დანახარჯებზე, ვიდრე პირველ საწარმოში.

მოგების ნორმა გამოითვლება რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობით რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან. აღმოჩნდა, რომ ყოველი ერთი ლარი შემოსავლიდან პირველმა საწარმომ მიიღო 28,91% მოგება, მეორემ კი 31,1%. ასევე, მარკეტინგისა და მართვის ხარჯები უფრო ნაკლები ეფექტიანობითაა გამოყენებული პირველ საწარმოში, ვიდრე მეორეში.

ფასნამატი გამოთვლილია რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობით მთელ საოპერაციო ხარჯებთან [36400 / (89500+8700+10500) *100]

საოპერაციო მოგების მარჟა გამოთვლილია საოპერაციო მოგების შეფარდებით რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან (17200/125900).

საოპერაციო მოგების ფასნამატი გამოთვლილია საოპერაციო მოგების შეფარდებით მთლიან საოპერაციო ხარჯებთან [17200/(89500+8700+10500)*100% = 15,8%].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ განხილულ საანალიზო საწარმოებიდან პირველ საწარმოს, აბსოლუტურ სიდიდეში გაცილებით მეტი შემოსავლები ჰქონდა, ვიდრე მეორეს და დასაბეგრი მოგების მაჩვენებლები ორივე საწარმოში ერთიდაიგივეა, ფარდობითი მაჩვენებლების შედარება შებრუნებულ სურათს აჩვენებს. მეორე საწარმოში მომგებიანობის მაჩვენებლები გაცილებით მაღალია, ვიდრე პირველში.

მაშასადამე, ინვესტორებისათვის მიმზიდველი მეორე საწარმო იქნება. თუმცა, ჯერ საჭიროა მოხდეს მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა და ვარიაციის კოეფიციენტების შედარება განვლილი ხუთი წლის პერიოდისათვის. თუ აღმოჩნდა, რომ მეორე საწარმოში ვარიაციის კოეფიციენტი უფრო ნაკლებია, ვიდრე პირველში, მაშინ მეორე საწარმო კიდევ უფრიო საიმედო გახდება. მაგრამ, თუ აღმოჩნდება, რომ მომგებიანობის მაჩვენებლების მერყეობის ხარისხი მეორე საწარმოში უფრო მაღალია, მაშინ უნდა გადაიხედოს მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობა. ამასთან, საჭირო გახდება დამატებითი ინფორმაცია საწარმოების საქმიანობის შესახებ. როგორიცაა, ძირითადი საშუალებების განახლების დონე და მუშაკთა დენადობის დონე.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა გამოიკვლიოს არსებული გადახრები, რომელიც მათი საწარმოსათვის, ყველა აღებული მაჩვენებლის მიხედვით, არასასურველია. შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გამოიკვლიონ, რატომ ჯდება მათი პროდუქტი უფრო ძვირი. კერძოდ, მათ პირველ საწარმოში ყოველ ერთ ლარ დანახარჯზე 40,67% მოგება მიიღება, მეორეში კი 4,45 პროცენტული პუნქტით მეტი.

ერთგვაროვანი საწარმოების მომგებიანობის მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრის ფაქტორული ანალიზიც შეიძლება ჩატარდეს აბსოლუტური სხვაობის ან ჯაჭვური ჩასმის ხერხების გამოყენებით. მაგალითად, აქტივების მომგებიანობის მაჩვენებელი, როგორც ადრე უკვე შეისწავლეთ, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მასზე მოქმედი სამი ფაქტორის დაკავშირების მწკრივით:

მოგება/აქტივები=
= მოგება/შემოსავალი * შემოსავალი/საკუთ.კაპიტალი * საკ.კაპიტ./აქტივები

მოტანილ მწკრივში მოცემულია შემდეგი ფაქტორები: მოგების ნორმა, საკუთარი კაპიტალის აქტივობის და საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

ფაქტორული ანალიზი საშუალებას მისცემს პირველი საწარმოს ხელმძღვანელობას, განსაზღროს კონკრეტულად რომელი მიმართულებით უნდა შეიმუშაონ მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებები. ამრიგად, პირველი საწარმოს ანალიტიკოსები (ფინანსური მენეჯერები) მოახდენენ მეორე საწარმოს მაჩვენებლებთან შედარებას (იხ. ცხრილი 17.4.3) და გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა ჩვეულებრივ, აბსოლუტური სხვაობის ხერხით გამოითვლება.

მოგების ნორმის ცვლილების გავლენა:
(-0,0278) * 0,919 * 0,6054 = - 0,0155
საკუთარი კაპიტალის აქტივობის ცვლილების გავლენა:
0,1009 * (+0,0495) * 0,6054 = + 0,003
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის გადახრის გავლენა:
0,1009 * 0,9685 * (-0,0402) = - 0,0039

ცხრილი 17.4.3.

მომგებიანობის ფაქტორული ანალიზი

მაჩვენებლები	II საწარმო (საბაზისო)	I საწარმო	გადახრა I საწარმოდან	გავლენა
აქტივების მომგებიანობა	0,0716	0,0552	-0,0164	0,0164
მოქმედი ფაქტორები:				
I. მოგების ნორმა	0,1287	0,1009	-0,0278	-0,0155
II.საკუთარი კაპიტალის აქტივობა	0,919	0,9685	+0,0495	+0,003
III. ფინასური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0,6054	0,5652	-0,0402	-0,0039

მაშასადამე, გაანგარიშებებმა აჩვენა:

პირველ საწარმოში ყოველ ერთ ლარ აქტივზე 1,64 თეთრით ნაკლები მოგებაა მიღებული, ვიდრე მეორეში. (შეგახსენებთ, რომ მომგებიანობა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პროცენტულად, ასევე ღირებულებით ფორმაში). ამ გადახრაზე მოქმედი სამი შესწავლილი ფაქტორიდან, ორის გავლენა არასასურველია. კერძოდ, მოგების ნორმა 0,0485 პუნქტითაა ნაკლები პირველ საწარმოში, რის გამოც მეორე საწარმოსთან შედარებით შემცირებულია მომგებიანობა 0,0155 პუნქტით (გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია 17.4.3 ცხრილში). ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი ასევე დაბალია პირველ საწარმოში, რაც იმაზე მიუთუთებს, რომ აქ ვალდებულებების წილი უფრო

მაღალია, რომლის ზეგავლენითაც აქტივების მომგებიანობა 0,0039 პუნქტით ანუ ღირებულებით ფორმაში, მოგება - 3,9 თეთრით დაბალია. რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის აქტივობას, იგი პირიქით, პირველ საწარმოში უფრო მაღალია, ვიდრე მეორეში. რის შედეგადაც მომგებიანობა პირველ საწარმოში გაიზარდა 0,003 პუნქტით.

ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: პირველი საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა გამოარკვიოს რატომაა მოგების ნორმა მათთან დაბალი, ვიდრე მეორე საწარმოში (შესაძლოა ეს პროდუქციის დაბალი ხარისხით იყოს გამოწვეული) და უნდა შეძლოს კაპიტალის სტრუქტურის პოზიტიური ცვლილება, რათა გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის წილი.

თუკი, პირველი საწარმოს ხელმძღვანელობა მიაღწევს იმას, რომ მოგების ნორმა მეორე საწარმოს დონეზე აიყვანოს, მაშინ მისი მოგება 1951 ლარით გაიზრდება (0,0155*125900). ხოლო, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის ამაღლებით მიაღწევს მოგების გადიდებას 897 ლარით. სულ, მოგების ზრდის რეზერვი პირველ საწარმოში, მეორესთან შედარებით არის 4462 ლარი. საკუთარი კაპიტალის აქტივობა კი მეორე საწარმომ უნდა ცადოს პირველის დონემდე ასწიოს, რისი გავლენითაც მიაღწევს მოგების გადიდებას 419 ლარით (0,0039*107400). ამდენად, საწარმოთაშორისო ანალიზი მოგების ზრდის დამატებითი რეზერვების გამოვლენის საშუალებას იძლევა.

ასევე, საწარმოთაშორისო ანალიზის დროს დიდ ეფექტს იძლევა ცალკეული სახის პროდუქციის რენტებელობის შედარება. საწარმოთაშორისო ანალიზი განსაკუთრებით ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი კორპორაციის შიგნით, რომელშიც მრავალი ერთგვაროვანი საწარმოა გაერთიანებული, რადგან ამ შემთხვევაში, მმართველობას ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა მეტი აქვს და დაინტერესებულია მოწინავე საწარმოს გამოცდილებები ყველა მის საწარმოში გაავრცელოს.

სხვადასხვაგვაროვან საწარმოებს შორის შესადარისი მაჩვენებლების რაოდენობა მინიმალურია, რადგან, ისინი ფონდტევადობით, შრომატევადობით და რენტაბელობით ბუნებრივად განსხავავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, მანქანთმშენებელი ქარხნის, პურის ქარხნის, ღვინის ქარხნის, ფეხსაცმლის ფაბრიკის და ჩაის ფაბრიკების მომგებიანობის მაჩვენებლებს შორის გადახრები ვერ უპასუხებს კითხვას: რომელი უფრო უკეთესი ეფექტიანობით მუშაობს. ასეთ საწარმოებს შორის შედარებითი დახასიათებისათვის, შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული შემდეგი მაჩვენებელების შედარება: ფინანსური ლევერიჯი (აქტივები / საკუთარ კაპტალთან) რისკების შედარებისათვის, მუშაკთა დენადობა, საშუალო ხელფასი, ეკოლოგიური გარემოს დაცვის და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის კოეფიციენტები. მართვის ხარისხის დონე – მმართველობითი ხარჯების წილი შემოსავლებში, მუშაკთა სტიმულირების კოეფიციენტი, იმიჯი და სხვა მსგავსი.

მუშაკთა სტიმულირების კოეფიციენტი = სტიმულირების რეზერვი / წმინდა მოგება.

სოციალური პასუხისმგებლობის კოეფიციენტი =
= სოციალურ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები / წმინდა მოგება

მომგებიანობის ზრდასთან ერთად, მუშაკთა სტიმულირება უნდა იზრდებოდეს. ამ მაჩვენებლის ვარიაციის კოეფიციენტი განვლილი რამდენიმე წლის პერიოდისათვის, უპასუხებს კითხვაზე, თუ რამდენად გააზრებული აქვთ მესაკუთრეებსა და მმართველებს დასაქმებულთა სტიმულირების აუცილებლობა. მაშასადამე, რამდენად ჰუმანური და პროგრესულია „ბიზნესის ცნობიერება“.

კითხვები თვითშემოწმებისათვის:

1. რა არის საწარმოთაშორისო ანალიზის მიზანი;
2. რომელი საწარმოები ითვლება ერთგვაროვან საწარმოებად;
3. ჩამოთვალეთ საწარმოთაშორისო ანალიზის ჩატარების ეტაპები.
4. რას ნიშნავს ეკონომიკური მაჩვენებლების შესადარისობა

ტ ე ს ტ ე ბ ი

1. **ერთ-ერთ საწარმოში შემოსავალი რეალიზაციიდან 34 მლნ და მეორე საწარმოში 56** მლნ ლარია. აქტივების მომგებიანობა პირველში 22% და მეორეში 17%-ია. რომელი საწარმო მუშაობს უფრო ეფექტიანად?

ა. პირველი
ბ. მეორე
გ. არცერთი პასუხი არაა სწორი

2. ორი ერთგვაროვანი სამრეწველო საწარმოს შესახებ ცნობილია, რომ მათი აქტივები 89700 და 134600 ლარია. წმინდა მოგება შესაბამისად 5800 და 7900 ლარია. ხოლო საკუთარი კაპიტალი პირველ საწარმოში 65000 ლ და მეორეში 57000 ლ.

მეორე საწარმოს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი არის:

ა. 72 5%
ბ. 63,5%
გ. 42,3%

3. რომელი ტიპის საწარმოებს შორის შეიძლება ჩატარდეს მომგებიანობის მაჩვენებლის გადახრის ფაქტორული ანალიზი:

ა. მსგავს საწარმოებს შორის
ბ. ერთგვაროვან საწარმოებს შორის
გ. განსხვავებული დარგის საწარმოებს შორის

4. რომელი ტიპის საწარმოებს შორის შეიძლება ჩატარდეს საპროცენტო ხარჯების უზრუნველყოფის კოეფიციენტის გადახრის საწარმოთაშორისო ანალიზი:

ა. ერთგვაროვან საწარმოებს შორის
ბ. მსგავს საწარმოებს შორის
გ. ნებისმიერი დარგის საწარმოებს შორის

5. საწარმოს სააქციო კაპიტალი შეადგენს 456 ათას ლარს, მეორე საწარმოში 789 ათ. ლარია. წმინდა მოგება არის პირველში 55 ათ. ლ და მეორეში 71 ათ, ლ.

რომელ საწარმოშია ხელსაყრელი ინვესტიციების დაბანდება:

ა. რომელშიც აქტივების მომგებიანობა უფრო მაღალია
ბ. რომელშიც სააქციო კაპიტალის უკუგება უფრო მაღალია
გ. სადაცა სააქციო კაპიტალის ხვედრითი წილი აქტივებში, უფრო მაღალია

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ამოცანა 17.1.

ორი ერთგავროვან საწარმოს შესახებ არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

მაჩვენებლები	I საწარმო	II საწარმო	გადახრა (I – II)
ფინანსური ლევერიჯი (აქტივები/საკუთ. კაპიტალთან)	1,833	1,875	–0,042
მასზე მოქმედი ფაქტორები:			
I. აქტივების დამაგრების კოეფიციენტი	2,037	1,7647	+ 0,2723
II. შემოსავალი ერთ ლარ მოგებაზე	4.1538	4,25	– 0,0962
III. ავანსირებული საკუთარი კაპიტალი ერთ ლარ მოგებაზე	4,6154	4,0	+ 0,6154

მოთხოვნა:

1. გაზომეთ ფინანსური ლევერიჯის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა ჯაჭვური ჩასმის ხერხით, ფაქტორთა დაკავშირების შემდეგი მოდელის საფუძველზე:

   ფინანსური ლევერიჯი = აქტივებს დამაგრების კოეფიციენტი * შემოსვალი 1 ლ მოგებაზე : ავანსირებული საკუთ. კაპიტალი 1 ლ მოგებაზე

2. ახსენით, რა უნდა გაითვალისწინოს პირველი საწარმოს მენეჯმენტმა მეორე საწარმოსთან შედარებით.

ამოცანა 17.2.

ცნობილია სამი სხვადსხვა საწარმოს საინვესტიციო პროექტის მოსალოდნელი ფულადი ნაკადები:

	I საწარმო	II საწარმო	III საწარმო	დისკონტირების კოეფიციენტები
საწყისი ინვესტიცია	(90000)	(80000)	(77000)	
I წ	30 000	20 000	25 000	0,9091
II წ	34 000	40 000	30 000	0,8264
III წ	28 000	30 000	25 000	0,7513
IV წ	20 000	30 000	15 000	0,6830
V წ	(9 000)	(15 000)	(10 000)	0,6209

მოთხოვნა: რომელ პროექტში მოახდენდით ინვესტირებას და რატომ?

ამოცანა 17.3.

ერთ-ერთმა ღვინის კომპანიის მენეჯმენტმა საფონდო ბირჟიდან მოიპოვა საჭირო ინფორმაცია კომპანიის შესახებ და ატარებს შედარებით ანალიზს. ეს ინფორმაცია შემდეგია:

	I საწარმო	II საწარმო
წმინდა მოგება (ლ)	65000	94000
პრივილეგ. აქციების დივიდენდი (ლ)	27000	30000
ჩვეულებრ. აქციების საშ. შეწ. რიცხვი (ცალი)	2100	3200
1 ცვ. აქციის საბაზრო ფასი (ლ)	25	28

მოთხოვნა: გამოთვალეთ შემოსავალი და დივიდენდი ერთ აქციაზე ორივე საწარმოში;

2. გაზომეთ პირველი საწარმოს ერთი აქციის ფასის კოეფიცინეტის, მეორე საწარმოს იგივე კოეფიცინტიდან გადახრაზე მოქმედი ფაქტორები შემდეგი მოდელის საფუძველზე:

ერთი აქციის ფასის კოეფიციენტი = აქციის საბაზრო ფასი / შემოსავალი ერთ აქციაზე =

$$= 1 \text{ აქციის საბაზრო ფასი} : \frac{\text{წმინდა მოგება} - \text{პრივილეგე. აქციის დივიდენდი}}{\text{ჩვ. აქციების საშ. შეწ. რიცხვი}}$$

ტესტების პასუხები

თავი 1.	1 - ბ	2 - გ	3 - ა	4 - გ	5 - გ	6 - გ	7 - გ	8 - ბ	9 - ა	10 - ა
.	11 - გ	12 - ბ	13 - ა	14 - გ	15 - ა	16 - ბ	17 -გ	18 -ბ	19 - ა	20 - ბ
თავი 2	1 - გ	2 - ბ	3 - ბ	4 - ა	5 - ბ	6 - ა	7 - გ	8 - ა	9 - ბ	10 - ბ
.თავი 3	1 - ა	2 - გ	3 - ა	4 - ბ	5 - გ	6 - ა	7 - ბ	8 - ა	9 - გ	10 - გ
თავი 4	1 - გ	2 - ა	3 - ბ	4 - ა	5 - ა	6 - ა	7 - გ	8 - ბ	9 - გ	10 - ბ
თავი 5	1 – ბ	2 - გ	3 - ბ	4 - ბ	5 - ა	6 - ბ	7 - ა	8 - გ	9 - ა	10 - ა
თავი 6	1 - ბ	2 - ა	3 - ა	4 - ა	5 -ბ	6 - ბ	7 - გ	8 - ბ	9 - ა	10 - ა
თავი 7	1 - ბ	2 - გ	3 - ა	4 - ბ	5 - ა	6 - ბ	7 - გ	8 - ბ	9 - ა	10 - ა
თავი 8	1 - ბ	2 - გ	3 - ა	4 - ა	5 - ა	6 - ბ	7 - ა	8 - ბ	9 - ა	10 - ბ
	11- გ	12- ა	13- ა	14- ბ	15- გ	16 –გ	17 –ბ	18 –გ	19 –გ	20 –ბ
თავი 9	1 - გ	2 - ბ	3 - ბ	4 - ბ	5 - ა	6 - ა	7 - გ	8 - ა	9 - ბ	10 - ა
	11 - გ	12 - ბ	13 - ა	14 - ბ	15 - ბ	–	–	–	–	–
თავი 10	1 - ა	2 -გ	3 - ბ	4 - ა	5 - ბ	6 - ბ	7 - ა	8 - ბ	9 - გ	10 - ბ
თავი 11	1 - ბ	2 - ა	3 - გ	4 - გ	5 - ბ	6 - ბ	7 - ა	8 - გ	9 - გ	10 - ა
თავი 12	1 - ა	2 - ბ	3 - გ	4 - ბ	5 - ბ	6 - ა	7 - ა	8 - ბ	9 -ბ	10 – ა
თავი 13	1 -ბ	2 - ა	3 - ა	4 - ბ	5 – ბ					
თავი 14	1 - ბ	2 -ბ	3 - გ	4 - ბ	5 - ა	6 - ა	7 - ბ	8 - ბ	9 - გ	10 – გ
თავი 15	1 - გ	2 - ბ	3 - ბ	4 - გ	5 – ა					
თავი 16	1 - ბ	2 - ბ	3 - გ	4 - ა	5 - ბ	6 - გ	7 - ა	8 - ბ	9 - გ	10 – ა
თავი 17	1 - ა	2 - გ	3 - ბ	4 - გ	5 - ბ					

ამოცანების ამოხსნა

თავი 1. ფინანსური ანალიზის საგანი და მეთოდი

ამოხსნა 1.1.

გამოთვლა ჯაჭვური ჩასმის ხერსით:

I მწკრივი = 40 * 100 * 7 * 30 = 840 000 ლ
II მწკრივი = 45 * 100 * 7 * 30 = 945 000 ლ
მუშათა რიცხვის ცვლილების გავლენა = 945000 – 840000 = + 105 000 ლ
III მწკრივი = 45 * 104 * 7 * 30 = 982 800 ლ
ნამუშევარი დღეების ცვლილების გავლენა = 982800 – 945000 = + 37 800 ლ
IV მწკრივი = 45 * 104 * 7,5 * 30 = 1 053 000 ლ
დღის ხანგრძლიობის ცვლილების გავლენა = 1053000 – 982800 = + 70 200 ლ
V მწკრივი = 45 * 104 * 7,5 * 27 = 947 700 ლ
შრომისნაყოფიერების ცვლილების გავლენა = 947700 – 1053000 = – 105300 ლ

+ 107700

დასკვნა:
როგორც გაანგარიშებამ აჩვენა, საანალიზო საწარმოში გამოშვებული პროდუქციის მოცულობაზე, გამოკვლეული ფაქტორებიდან, დადებითი გავლენა მოახდინა სამმა ფაქტორმა. ხოლო შრომისნაყოფიერბის შემცირებამ საათში 3 ლარით, პროდუქციის მოსალოდნელი გამოშვება შეამცირა 105300 ლარით, რაც პროდუქციის ზრდის რეზერვს წარმოადგენს.
რეკომენდაცია:
საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს შრომისნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებები.

გაანგარიშება აბსოლუტური სხვაობის ხერხით:

მუშათა რიცხვის ცვლილების გავლენა = (+5) * 100 * 7 * 30 = + 105000
ნამუშევარი დღეების ცვლილების გავლენა = 45 * (+4) * 7 * 30 = + 37800
დღის ხანგრძლიობის ცვლილების გავლენა = 45 * 104 * (+0.5) * 30 = + 70200
შრომისნაყოფიერების ცვლილების გავლენა = 45 * 104 * 7,5 * (– 3) = – 105300

+107700

ამოხსან 1.2.

პასუხი:

X	y	x^2
1	40	1600
2	46	2116
3	50	2500
4	57	3249
5	52	2704
6	62	3844
7	60	3600
8	54	2916
9	59	3481
10	63	3969
-------	----------	----------
ჯამი∑	543	29979

საშუალო არითმეტიკული = 543/10 = 54.3
საშ.კვ.გადახრა = $(29979/10 - 54{,}3^2)^{1/2} = (2997{,}9 - 2948{,}49)^{1/2} = 7{,}03$
ვარიაციის კოეფიციენტი = (7.03 * 100%) / 54,3 = 12,95%.

მაშასადამე, ძირითადი საშუალებების უკუგების მაჩვენებელი ათწლიან პერიოდში, საშაულოდან დაახლოებით 13%-ით მერყეობდა. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ოდნავ არასტაბილურობით ხასიათდებოდა.

ამოხსან 1.3.
პასუხი:

x	f (სიხშირე)	f * x	x^2	$f * x^2$
30	4	120	900	3600
40	0	0	1600	0
50	10	500	2500	25000
60	15	900	3600	54000
70	9	630	4900	44100
80	7	560	6400	44800
90	5	450	8100	40500
100	2	200	10000	20000
---	---	---	---	---
ჯამი ∑ 520	52	3360	38000	232000

როცა მოცემულია სიხშირეები, მაშინ საშუალო კვადრატული გადახრა გამოითვლება შემდეგნაირად:
საშუალო შეწონილი არითმეტიკული = 3360/52 = 64,62 ლარი
საშ.კვადრ.გადახრა = $(232000/52 - (3360/52)^2)^{1/2} = (4461{,}54 - 4175{,}74)^{1/2} = 16{,}91$ ლარი
ვარიაციის კოეფიციენტი = (16,91 * 100%) / 64,62 = 26,2 % , რაც იმას მიუთითებს, რომ ყოველკვირეული გაყიდვები საკმაოდ არასტაბილური იყო. როგორც წესი, გაყიდვების არასტაბილურობა მოგების დანაკარგებს იწვევს.

ამოხსნა 1.4.

გაურკვევლობის პირობებში, მოსალოდნელი უკუგების გამოსათვლელად მათემატიკური ლოდინის ფორმულა გამოიყენება.

მათემატიკური ლოდინი = 48600 * 0,20 – 12000 * 0,15 + 34600 * 0,30 + 25400 * 0,42 =
= 9720 – 1800 + 10380 + 10668 = 28968 ლარი

ამოხსნა 1.5.

პირველ რიგში გამოვყოთ დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები, მოცემულ მაჩვენებლებს შორის. ვინაიდან, პროდუქციის მოცულობის ცვლილებაზე გავლენას ახდენს შრომისნაყოფირება, ამიტომ იგი არის დამოუკიდებელი ცვლადი (x). ხოლო, პროდუქციის მოცულობა – დამოკიდებული ცვლადია (y).
ვაწარმოოთ შესაბამისი გაანგარიშებები.

წლები	x	y	x2	y2	x * y
2008	0,1	25,4	0,01	645,16	2,54
2009	0,8	30,1	0,64	906,01	24,08
2010	0,6	28,0	0,36	784,0	16,8
2011	0,4	24,2	0,16	585,64	9,68
2012	0,8	30,3	0,64	918,09	24,24
---	---	---	---	---	---
∑	2,7	138,0	1,81	3838,9	77,34

$$r = \frac{5 * 77,34 - 2,7 * 138}{\{(5 * 1,81 - 2,7^2) * (5 * 3838,9 - 138^2)\}^{1/2}} = 0,8663$$

$D = 0,8663^2 = 0,7505$ ანუ 75,05%

ამრიგად, კორელაციის კოეფიცინტი ახლოსაა ერთთან, რაც იმას ნიშნავს, რომ კავშირი შრომისნაყოფიერებასა და პროდუქციის მაჩვენებელს შორის საკმაოდ მაღალია. დეტერმინაციის კოეფიციენტის თანახმად კი, განვლილი ხუთი წლის განმავლობაში პროდუქციის გამოშვების ცვლილების 75,05% შრომისნაყოფიერების ცვლილებით იყო გამოწვეული.

ამოხსნა 1.6.

	2014 წლის ფასით	ზრდის ტემპის %	2017 წლის ფასით	ზრდის ტემპის %
2014	234 * 46 = 10764	100	234 * 56 = 13 104	100
2015	260 * 46 = 11 960	111	260 * 56 = 14 560	111
2016	260 * 46 = 11 960	111	260 * 56 = 14 560	111
2017	280 * 46 = 12 880	120	280 * 56 = 15 680	120

კომენტარი: როგორც გაანგარიშებებიდან ჩანს, პროდუქციის მოცულობა გადაყვანილ იქნება საბაზისო 2014 წლის თუ მიმდინარე 2017 წლის ფასებში, ზრდის ტემპები ერთნაირი ინება და ორივე მიდგომა წარმოების რეალურ ზრდას ასახავს.

ამოხსნა 1.7.

წლები	ცალი %	ერთეულის ფასი (ლ)	ინფლაციის კოეფიციენტი	დეფლაციის კოეფიციენტი
2014	234	46	46/46 = 1.0	46/46 = 1
2015	260	49	49/46 = 1.0652	46/49 = 0.9387
2026	260	54	54/46 = 1.1739	46/54 = 0.8518
2017	280	56	56/46 = 1.2173	46/56 = 0.8214

ამოხსნა. 1.8.

	ლარი	ინფლაციის კოეფიციენტი	პროდუქცია 2014 წ ფასით	დეფლაციის კოეფიციენტი	პროდუქცია 2014 წ. ფასით
2014	10 764	1	10764 / 1 = 10 764	1	10764 * 1 = 10764
2015	12 740	1,0652	12740 / 1,0652 = 11 960	0,9387	12740 * 0,9387 = 11960
2016	14 040	1,1739	14040 / 1,1739 = 11 960	0,8518	14040 * 0,8518 = 11960
2017	15 680	1,2173	15680 / 1,2173 = 12 880	0,8214	15680 * 0,8214 = 12880

კომენტარი:
ამრიგად, ინფლაციისა და დეფლაციის კოეფიციენტების გამოყენება ერთი და იგივე შედეგებს იძლევა.

თავი 2. ფინანსური ანგარიშგების მიზანი და ანალიზის მეთოდები

ამოხსნა 2.1.

ა. **შემოსავალი რეალიზაციიდან** 67 000
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (45 000)
(6000+43000–4000)

მოგება რეალიზაციიდან	22 000
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	(11 000)
საპროცენტო ხარჯები	(3 000)
მოგება დაბეგვრამდე	8000

ბ. აქტივის ჯამი = 15600 + 4000 + 38000 + 25000 = 82 600 ლ

გ. საბალანსო ტოლობა:

82600 = 35000 + 39600 + 8000
82600 = 82600

ამოხსნა 2.2.

1. შემოსავალი რეალიზაციიდან	57 800
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(35 900)
კომერციული ხარჯები	(7 600)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	(9 200)
ცვეთის ხარჯი	10 400
მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვილებამდე	**15 500**
2. მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	15 500
მატერიალური მარაგების ნაშთების შემცირება	1 500
მოთხოვნების ნაშთების ზრდა	(4 500)
ვალდებულებების ნაშთების ზრდა	3 600
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	**16 100**

ამოხსნა 2.3.

1. მყიდველებიდან მიღებული ფული	130 000
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(56 000)
გაცემული ხელფასები	(36 700)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	**37 300**
გადახდილი მოგების გადასახადა	(7 800)
გადახდილი პროცენტები	(5 400)
გადახდილი დივიდენდი	(16 000)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**8 100**

ამოხსნა 2.4

საკუთარი კაპიტალისსაერთო ზრდა	1500
სააქციო კაპიტალის ზრდა	(1600)
საემისიო კაპიტალის ზრდა	(400)
გადაფასების რეზერვის შემცირება	1300
დარიცხული დივიდენდი	3000
მოგება დაბეგვრამდე	3800 ათ.ლ

თავი 3. ბუღალტრული ბალანსის ანალიზის მეთოდიკა

ამოხსნა 3.1.

1. **საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს** = წმინდა მიმდინარე აქტივები + გრძელვადიანი აქტივები – გრძელვადიანი სესხები;

75900 = (45000 – 32900) + 83800 – 20000 = 12100 + 83800 – 20000
821000 = (46700 – 31000) + 87400 – 21000 = 15700 + 87400 – 21000

2. **ფულის ნაშთის** ცვლილება = ვალდებულებების ცვლილება – არაფულადი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა
(12700 -10900) = 1800 = - 900 +3500 + 6200 = - 900 – 3500 + 6200 = + 1800 ლ

3. **აქტივი წლის ბოლოს =**
= ვალდ. + სააქციო და საემის. კაპ წლის ბოლოს + საწყისი გაუნაწ. მოგება და რეზერვები + წლ.შემოს. – წლ.ხარჯი - დივიდენი

134100 = 52000 + 57000 + 16900 + 195200 – 177000 – 10000

ამოხსნა 3.2.

ბუღლატრული ბალანსის საერთო სტრუქტურა პროცენულად

ა ქ ტ ი ვ ი	წლის დასაწყ.	წლის ბოლოს	პ ა ს ი ვ ი	წლის დასაწყ.	წლის ბოლოს
1. ფულის ნაშთი	8,5	9,5	1. გრძელვად. სესხები	15,5	15,7
2. მატერიალური მარაგები	13,8	14,2	2. მოკლევად. სესხები	7,8	8,9
3. მოთხოვნა მიწოდებიდან	12,7	11,2	3.ვალდებულება		
4. შენობები	38,8	38,0	მოწოდებიდან	7,5	7,5
5. მოწყობილობები	18,5	18,9	4.ვალდებ. ხელფასით	6,1	4,5
6. ნაყიდი ობლიგაციები	7,8	8,2	5.ვალდებ. ბიუჯეტთან	4,2	2,2
---	---	---	1. სააქციო კაპიტალი	40,4	36,5
ჯამი	100	100	2. საემისიო კაპიტალი	5,4	6,0
			3.მოგებიდანშექმნილი რეზერვები	13,1	18,7
			---	---	---
			ჯამი	100	100

ამოხსნა 3.3.

ბუღალტრული ბალანსის დინამიკა პროცენტულად 2013 წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017
.1. გრძელვადაინი აქტივები				
-მიწა	100	115	115	128
-შენობები	100	111	111	123
-დანადგარები	104	104	108	108
-სატრანსპორტო საშუალებები	100	103	103	103
-ავეჯი და ინვენტარი	100	100	100	147

ჯამი	101	106	111	116

თავი 4. მოგება -ზარალის ანგარიშგების ანალიზი

ამოხსნა 4.1.

მოგება/ზარალის ანგარიშგება
დანახარჯთა ფუნქციური ელემენტების მხედვით

შემოსავალი რეალიზაციიდან	670 000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(495 000)
მოგება რეალიზაციიდან	175000
კომერციული ხარჯები	(25000)
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	(36700)
საოპერაცო მოგება	113300
საპროცენტო ხარჯები	(12000)
საპროცენტო შემოსაცავლი	8000
წლიური მოგება (ანუ მოგება დაბეგვრამდე)	109300
მოგების გადასახადი	(11895))
წმინდა მოგება	97405
დარიცხული დივიდენდი	67405
რეინვესტირებული მოგება	30000

ამოხსნა 4.2.

მოგება/ზარალის ანგარიშგება
(დანახარჯთა ეკონომიკური ელმენტების მიხედვით)

შემოსავალი რეალიზაციიდან	670000
დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა	1300
მასალის ხარჯი	(219300)
შრომითი ხარჯი	(160000)
ცვთის ხარჯი	(54800)
სხვა ფულადი ხარჯები	(123900)
საოპერაციო მოგება	**113 300**
საპროცენტო ხარჯები	(12000)
საპროცენტო შემოსავალი	8000
წლიური მოგება	**109300**
მოგების გადასახადი	(11895)
წმინდა მოგება	**97405**
დარიცხული დივიდენდი	67405
რეინვესტირებული მოგება	30000

ამოხსნა 4.3.

მ/ზ ანგარიშგების ვერტიკალური სტრუქტურა

შემოსავალი რეალიზაციიდან	100
დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა	0,001
მასალის ხარჯი	32,7
შრომითი ხარჯი	23,9
ცვთის ხარჯი	8,2
სხვა ფულადი ხარჯები	18,5
საოპერაციო მოგება	**16,9**
საპროცენტო ხარჯები	1,8
საპროცენტო შემოსავალი	1,2
წლიური მოგება	**17,8**
მოგების გადასახადი	1,8
წმინდა მოგება	**14,5**
დარიცხული დივიდენდი	10,1
რეინვესტირებული მოგება	4,5

თავი 5. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი

ამოხსნა 5.1.

საანალიზო საწარმოში შესული ფულადი ნაკადების სტრუქტურა

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	წინა წელს		მიმდინარე წელს	
	ათ.ლ	ხვ/წ %	ათ.ლ	ხვ/წ %
I. ფულის შედინება				
- მყიდველებიდან მიღებული ფული	35 000	85,6	32 000	75,1
- მიღებული პროცენტები	800	2,0	700	1,7
- აქციების გამოშვებიდან მიღებული ფული	3 000	7,3	5 000	11,7
- აღებული სესხები	2 100	5,1	4 000	9,4
- ზედმეტი ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-	900	2,1
შემოსული ფული სულ	40 900	100	42 600	100

ამოხსნა 5.2.

მოგება დაბეგვრამდე	9150
ცვეთის ხარჯი	410
დაზღვევის ხარჯი	60
საპროცენო ხარჯი	1700
საპროცენტო შემოსავალი	(1400)
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	(50)
მატერიალური მარაგების ნაშთების ზრდა	(90)
დებიტორული დავალიანებების ნაშთების ზრდა	(100)
კრედიტორული დავალიანებების ნაშთების ზრდა	80
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	9760 ათ.ლ

თავი 6. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ანალიზი

ამოხსნა 6.1.

	ათ. ლ	ხვ/წ %-ად
სააქციო კაპიტალი	2340	55,1
საემისიო კაპიტალი	900	21,2
უკან გამოსყიდული აქციები	(23)	(0,6)
რეზერვები მოგებიდან	780	18,4
გადაფასების რეზერვი	200	4,7
გაუნაწილებელი მოგება	50	1,2
ჯამი	**4247**	**100**

ამოხსნა 6.2.

საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების დინამიკის სამუშაო ცხრილი 2014 წელთან შედარებით

საკუთარი კაპიტალის მუხლები	2014	2015		2016		2017	
	ათ.ლ	ათ.ლ	%	ათ.ლ	%	ათ.ლ	%
სააქციო კაპიტალი	2340	3450	147	4300	184	5700	244
საემისიო კაპიტალი	900	1200	133	1300	144	1300	144
რეზერვები მოგებიდან	780	920	118	1100	141	1500	192
გადაფასების რეზერვი	200	200	100	320	180	390	195
გაუნაწილებელი მოგება	40	80	200	-	-	-	-
ჯამი	4260	5850	137	7020	165	8890	209

თავი 7. საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი

ამოხსნა 7.1.

მიმდინარე აქტივების სტრუქტურა%-ად

1.

	I წ.	ხვ/წ %	II წ	ხვ/წ %	III წ	ხვ/წ %	IV წ
მიმდინარე აქტივები							
ფულადი თანხები	1500	34,9	1800	39,1	3400	50,0	2900 41,4
საქონელი	2100	48,8	1900	41.3	2200	32,4	2400 34,3
მოთხოვნა მიწოდებიდან	700	16,3	900	19,6	1200	17,6	1700 24,3
ჯამი	4300	100	4600	100	6800	100	7000 100

მიმდინარე ვალდებულებების დინამიკა %-ად 2014 წელთან

მოკლევადიანი სესხები	100	86	114	107
ვალდებულება მოწოდებიდან	100	77	90	103
გასაცემი ხელფასი	100	80	110	125
გადასახდელი პროცენტი	100	80	40	60

ამრიგად, ვალდებულებები დაბალი ტემპებით იზრდებოდა., რაც დადებითი მოვლენაა, მაგრამ. ხელფასით ვალდებულება ბოლო ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაცას ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოს მენეჯმენტის მხრიდან.

2.	I წ	II წ	III წ	IV წ
საკუთარი საბრუნავი სახსრები	–1100	280	1760	1500

დასკვანა: როგორც გაანგარიშებებმა აჩვენა, პირველ წელს საწარმოს გააჩნდა საკუთარი საბრუნავი სახსრების დეფიციტი. მომდევნო წლებში მდგომარეობა გაუმჯობესდა.

ამოხსნა 7.2.

ჯერ გამოვთვალოთ საბალანსო ანუ ნაშთობრივი ღირებულება:

I წელს = 20000 – 8600 =11400
II წელს = 23500 – 10000 = 13500

კოეფიციენტების გაანგარიშება:

	I წ	II წ	გადახრა
ცვეთის კოეფიციენტი –	8600 / 20000 = 0,43	10000 / 23500 = 0,426	-0.004
ვარგისიანობის კოეფიციენტი –	11400 / 20000 = 0,57	13500 / 23500 = 0,574	+0,004

დასკვნა: მიმდინარე წელს ცვეთის კოეფიციენტი შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ძირითადი საშუალებების განახლება მოხდა და შესაბამისად, ვარგისიანობის კოეფიციენტი გაიზარდა. როგორც წესი, ცვეთისა და ვარგისიანობის კოეფიციენტების ჯამი ყოველთვის ერთის ტოლია.

თავი 8. საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის ანალიზი

ამოხსნა 8.1.

	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს	გადახრა
სსს =	45000 – 31400 = 13 600	46200 – 33100 = 13100	- 500
მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი	0,727	0,645	- 0,082

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი საკუთარი საბრუნავი სახსრებით წლის ბოლოს გაუარესდა.

ფინანსური სტაბილურობის უტოლობა:

წლის დასწყისში: სსს (13600) < მატერ, მარაგი (18700) < „ნორმალური“ წყაროები (15400+13600)

წლის ბოლოს: 13100 (სსს) < მატერ. მარაგი (20300) < 21900 + 13100 („ნორმალური“ წყაროები)

მაშასადამე, წლის დასაწყისში **და** წლის ბოლოს ნორმალური ფინანსურ მდგომარეობა არსებობს.

ამოხსნა 8.2.

ვინაიდან, თანაფარდობა საკუთარ და მოზიდულ კაპიტალს შორის გავლენას ახდენს საპროცენტო ხარჯის სიდიდესა და მის უზრუნველყოფაზე, ამიტომ პირველი

კოეფიციენტი აღვნიშნოთ x –ით და მეორე - y- ით. შემდეგ გამოვთვალოთ საჭირო მწკრივები:

წლები	x	y	x * y	x2	y2
2005	2,0	5.0	10,0	4	25,0
2006	1,9	5,9	11,21	3,61	34,81
2007	2,2	6,4	14,08	4,84	40,96
2008	2,3	7,8	17,94	5,29	60,84
2009	2,0	9,0	18,0	4	81,0
2010	2,5	10,0	25,0	6,25	100,0
2011	2,7	11,5	31,05	7,29	132,25
∑	15,6	55,6	127,28	35,28	474,86
საშუალო არითმეტიკული	2,229	7,943			

როგორც მოტანილი მაჩვენებლების დაკვირვებიდან სჩანს, აღებული შვიდი წლის განმავლობაში საკუთარი კაპიტალის ფარდობა იზრდებოდა მოზიდულ კაპიტალთან შედარებით და შესაბამისად იზრდებოდა პროცენტის უზრუნველყოფის დონეც.

თუ როგორი იყო მოცემული მაჩვენებლების მერყეობის ხარისხი დინამიკაში, ვარიაციის კოეფიციენტის მეშვეობით დავახასიათოთ.

1. საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტისათვის, საშუალო კვადრატული გადახრა = $(35,28 / 7 - 2,229^2)^{1/2} = 0,268$

   ვარიაციის კოეფიციენტი (V) = (0,268 * 100) / 2,229 = 12,02 %

2. პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტისათვის,

   საშაუალო კვადრატული გადახრა = $(474,86 / 7 - 7,943^2)^{1/2} = 2,178$

   V = (2.178 * 100) / 7,943 = 27,42 %

3. ახლა გამოვთვალოთ კორელაციის კოფიციენტი. სათანადო ფორმულაში მნიშვნელობების ჩასმისა და გამოთვლის შემდეგ მივიღებთ:

   r = 0,815

ვინაიდან ვარიაციის კოეფიცენტი ახლოსაა ერთთან, მაშასადამე კავშირი საანალიზო მაჩვენებლებს შორის ძალიან მაღალია.

დეტერმინაციის კოეფიცინეტი ( ) = 0,8152 = 0,664 ანუ 66,4 %

მაშასადამე, საკვლევ შვიდწლიან პერიოდში, პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტის ცვლილების 66,4% გამოწვეული იყო კაპიტალის ანუ დაფინანსების წყაროების სტრუქტურული ცვლილებით.

თავი 9. მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზი

ამოხსნა 9.1.

1.	წინა წელი	მიმდინარე წელი	გადახრა
დებიტორული დავალიანებების:			
ა.დაფარვის პერიოდი (3200 * 365) / 28800	40,6	52,1	+ 11,5
ბ. დაფარვის რიცხვი (365/40,6)	9	7	- 2

გამოთვლებიდან ჩანს, რომ დებიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი 11,5 დღით გაიზარდა ანუ დაფარვის რიცხვი წელიწადში ორჯერ შემცირდა, რაც უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. მიმდინარე წელს დებიტორებისაგან ვალების დაფარვის პროცესი შენელდა წინა წელთან შედარებით. ყოველივე ამის შედეგად,

დებიტორულ დავალიანებების ნაშთი წინა წელთან შედარებით 1000 ლარით გაიზარდა.

გავზომოთ დებიტორული დავალაინებების ნაშთების გადახრაზე მოქმედი ფაქტორები:

I გაანგარიშება: 28800 : 9 = 3200

II გაანგარიშება: 29400 : 9 = 3267

კრედიტით გაყიდვების ცვლილების გავლენა = 3267 – 3200 = + 67 ლ

III გაანგარიშება: 29400 : 7 = 4200

დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვის ცვლილების გავლენა = = 4200 – 3267 = + 933 ლ

ორივე ფაქტორის გავლენის ალგებრული ჯამი საერთო გადახრის ტოლია: + 67 + 933 = + 1000

ამოხსნა 9.2.

1.	წინა წელი	მიმდინარე წელი	გადახრა
კრედიტორული დავალიანებების:			
ა. დაფარვის პერიოდი (5400 * 365) / 14580	135	104	– 31
ბ. დაფარვის რიცხვი (365 / 135)	2,7	3,5	+ 0,8

გამოთვლებიდან ჩანს, რომ თუკი წინა წელს, საწარმო კრედიტორული დავალიანებების დაფარვას, მისი წარმოშობის დღიდან, საშუალოდ 135 დღეს ანდომებდა. მიმდინარე წელს 104 დღე ჭირდებოდა. როგორც ჩანს მისი გადახდისუნარიანობა გაუმჯობესდა, რის შედეგადაც სავაჭრო ვალდებულებები ნაშთი იმავე წინა წელთან შედარებით 700 ლარით შემცირდა.

2. გავზომოთ კრედიტორული დავალიანებების ნაშთების გადახრაზე (-700) მოქმედი ორი ფაქტორის გავლენა:

I გაანგარიშება: 14580 : 2,7 = 5400

II გაანგარიშება: 16450 : 2,7 = 6093

კრედიტით შესყიდვების ცვლილების გავლენა = 6093 – 5400 = + 693 ლ

III გაანგარიშება: 16450 : 3,5 = 4700

კრედიტორული დავალიანებების გადახდის რიცხვის ცვლილების გავლენა = = 4700 – 6093 = - 1393 ლ

მაშასადამე, კრედიტით შესყიდვების ზრდამ, კრედიტორული დავალიანებების მოსალოდნელი ნაშთი გაზარდა 693 ლარით, რაც ობიექტურ მიზეზად ითვლება. ხოლო, ვალდებულებების გადახდის რიცხვის 0,8 – ჯერ ზრდამ ვალდებულებების ნაშთები 1393 ლარით შეამცირა, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს.

ამოხსნა 9.3.

სამუშაო კაპიტალის დაფინანსების პერიოდი = 3,5 + 2,5 – 2 = 4 თვე

მაშასადამე, სამუშაო კაპიტალს ჭირდება ოთხი თვით დაფინანსება, რომელიც შეიძლება საკუთარი კაპიტალის ხარჯზე მოხდეს.

ამოხსნა 9.4.

დანახარჯი ფაქტორული კომპანიის გამოყენებაზე:

გადასახდელი სარგებელი [(480000 -14000] * 1,8% = 8388 ლ

დანაკარგი გაყიდვების შემცირებიდან = 13720

(14000 – 280(უიმედო ვალი 2%)

ჯამური დანახარჯი ფაქტორული კომპ. გამოყენებიდან 22108

სარგებელი ფაქტორული კომპანიის გამოყენებიდან:

ეკონომია ადმინისტრაციულ ხარჯებში	13000
უიმედო დავალიანებების შემცირება (80000*12/2 – 14000) *2%	9320
სულ სარგებელი	22320

როგორც გაანგარიშებებმა აჩვენა, ფაქტორული კომპანიის მომსახურების გამოყენება გამართლებულია.

ამოხსნა 9.5.

საჭიროა შემდეგი გამოთვლები:

1. დამატებითი გაყიდვებიდან მოსალოდნელი ზღვრული მოგების გამოთვლა
   c/s = 10/32 = 0,3125
   დამატებითი ზღვრული მოგება = 150 000 * 0,3125 = 46875 ლ
2. დამატებითი დებიტორული დავალიანების ნაშთი = 150000 * 30/365 = 12329 ლ
3. უიმედო დებიტორული დავალანებების ზრდა = 150000 * 4% = 6000 ლ
4. დებიტორული დავალიანების ნაშთის დაფინანსების ხარჯი 12329 * 10% = 1233 ლ
5. გაყიდვების გაზრდის მოსალოდნელი ეფექტი (მ/ზ):

დამატებითი ზღვრული მოგება	46875
დამატებითი ხარჯები:	
უიმედო დებიტ. ხარჯი	(6000)
დებიტ. დავ. ნაშთის დაფინანსება	(1233)
ზღვრული მოგება (ზარალი)	39642

ამოხსნა 9.6.

	C კატეგორია	**D კატეგორია**
1. ზღვრული მოგების გამოთვლა დამატებითი გაყიდვებიდან:		
დამატებითი გაყიდვები	500000-ის 40% = 200000	და 500000-ის 60% = 300000
ზღვრული მოგება დამატებითი გაყიდვიდან	200 000 * 1/5 = 40 000	და 300 000 * 1/5 = 60000
2. დამატებითი დებიტორული დავ-ის ნაშთები	200 000 * 30 დღე/365 = 16438	და 300 000 * 40/365 = 32877
3. უიმედო ვალები	200 000-ის 5% = 10 000	და 300 000-ის 9% = 27 000
4. დებიტორების დაფინანსების ხარჯები = 16438-ის 12% = 1973		32877-ის 12% = 3945
5. მოსალოდნელი ფინანსური შედეგი:		
დამატებითი ზღვრული მოგება	40 000	60 000
დამატებითი დანახარჯები:		
უიმედო ვალები	(10000)	(27000)
დებიტორების დაფინანსების ხარჯები	(1973)	(3945)
შედეგი: მოგება (ან ზარალი)	28027	29055

თავი 10. საკუთარი კაპიტალის ანალიზი

ამოხსნა 10.1.

მოცემული მაჩვენებლებიდან, ლევერიჯის კოეფიციენტი გავლენას ახდენს საწარმოს დამოკიდებულების ხარისხზე. მაშასადამე, პირველი დამოუკიდებელი ცვლადია (x) და მეორე დამოკიდებული ცვლადი (y).

გავიხსენოთ კორელაციის კოეფიციენტის ფორმულა და გავაკეთოთ შესაბამისი გამოთვლები:

წლები	x	y	x * y	x^2	y^2
2007	1,28	2,28	2,9184	1,6384	5,1984
2008	0,80	1,80	1,4400	0,6400	3,2400
2009	0,84	1,84	1,5456	0,7056	3,3856
2010	0,91	1,91	1,7381	0,8281	3,6481
2011	0,87	1,87	1,6269	0,7569	3,4969
∑	4,7	9,7	9,269	4,569	18,969

როგორც ვხედავთ, დინამიკაში ლევერიჯის კოეფიციენტი შემცირების ტენდენციის ხასიათდებოდა, რის შედეგადაც ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტსაც შემცირების ტენდეცია გააჩნია, რაც დადებით მოვლენად ითვლება.

მათ შორის კავშირის ხარისხის გასაზომად, გამოვთვალოთ კორელაციის კოეფიციენტი, რომლის ფორმულა მოცემულია სახელმძღვანელოს მეორე თავში (გამოცდაზე კორელაციის კოეფიციენტის ფორმულა მოცემული გექნებათ).

$$r = \frac{5 * 9,269 - 4,7 * 9,7}{[(5 * 4,569 - 22,09) * (5 * 18,969 - 94,09)]^{1/2}} = \frac{0,755}{0,755} = 1$$

როცა კორელაციის კოფიციენტი ერთის ტოლია, ნიშნავს, რომ მაჩვენებლებს შორის არსებობს სრული დადებითი კორელაცია ანუ ლევერიჯის ანუ ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან ფარდობის კოეფიციენტის ზრდა ნიშნავს ფინანსური რისკების ზრდას და საწარმოს სხვაზე დამოკიდებულების ხარისხიც იზრდება.

დეტერმინაციის კოეფიცენტი( ) = 12 = 1 ანუ 100%.

მაშასადამე, აღებული პერიოდის განმავლობაში, საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტის ცვლილების 100% გამოწვეული იყო ლევერიჯის კოეფიციენტის (მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულებებით საკუთარი კაპიტალის დატვირთვის კოეფიციენტის) ცვლილებით.

ამოხსნა 10.2. .

მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებლი ცვლადია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, რომელიც გავლენას ახდენს საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდზე. ჩატარდება შესაბამის გაანგარიშებები:

წლები	x	y	x^2	y^2	x * y
2007	0,98	1,02	0,9604	1,0404	0,9996
2008	0,79	1,27	0,6241	1,6129	1,0033
2009	0,79	1,27	0 ,6241	1,6129	1,0033
2010	0,82	1,22	0,6724	1,4884	1,0004
2011	0,59	1,67	0,3481	2,7889	0,9853
∑	3,97	6,45	3,2291	8,5435	4,9919

შესაბამისი მნიშვნელობების კორელაციის კოეფიციენტის ფორმულაში ჩასმის შემდეგ მიიღება:

$$r = \frac{4 * 4,9919 - 3,87 * 6,45}{[(5 * 3,2291 - 15,7609) * (5 * 8,5435 - 41,6)]^{1/2}} = \frac{-0,647}{0,655} = -0,988$$

როგორც გაანგარიშებამ აჩვენა, კორელაციის კოეფიცინეტი ძალიან ახლოსაა ერთთან და თან უარყოფითი ნიშანი აქვს. ეს ნიშნავს, რომ საანაზო მაჩვენებლებს შორის მაღალი და უარყოფითი კორელაცია არსებობს. მართლაც, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ზრდა ამცირებს კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდს (ხანგრძლიობას).

დეტერმინაციის კოეფიციენტი = (- 0,988)2 = 0,976 ანუ 97,6%;

ამრიგად, საკვლევ პერიოდში – 2007-2011 წლების განმავლობაში საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდის მაჩვენებლის ცვლილების 97,6% გამოწვეული იყო საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის ცვლილებით.

ამოხსნა 10.3.

ჯერ გამოითვლება სააქციო კაპიტალის ფაქტორული დაკავშირების მწკრივში შეტანილი კოეფიციენტები.

	წინა წელს	მიმდინარე წელს	გადახრა
ROE	1,208	1,195	- 0,013
მოქმედი ფაქტორები:			
I. წმ. მოგება/მოგება დაბეგრამდე	0,82	0,82	0
II. მოგება დაბეგვრამდე/მოგება %-მდე	0,9286	0,9149	- 0,0137
III. მოგება %-მდე/წლიური შემოსავალი	0,1489	0,1463	- 0,0026
IV. წლიური შემოსავალი/აქტივები	3,7888	2,8917	- 0,8971
V. აქტივები/სააქციო კაპიტალი	2,8129	3,7656	+ 0,9527

ახლა ფაქტორების გავლენის გაზომვა მოხდება აბსოლუტური სხვაობის ხერხით, რადგან მწკრივში მხოლოდ გამრავლების მოქმედებებია და აუცილებელი არაა ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენება.

პირველი ფაქტორის გავლენა = 0 * 0,9286 * 0,1489 * 3,7888 * 2,8129 = 0
მეორე ფაქტორის გავლენა = 0,82 * (- 0,0137) * 0,1489 * 3,7888 * 2,8129 = - 0,018
მესამე ფაქტორის გავლენა = 0,82 * 0,9149 * (- 0,0026) * 3,7888 * 2,8129 = - 0,020
მეოთხე ფაქტორის გავლენა = 0,82 * 0,9149 * 0,1463 * (- 0,8971) * 2,8129 = - 0,277
მეხუთე ფაქტორის გავლენა = 0,82 * 0,9149 * 0,1463 * 2,8917 * (+0,9527) = + 0,302

ყველა ფაქტორის გავლენის ჯამი	- 0,013

დასკვნა:

როგორც გაანგარიშებებმა აჩვენა, საანალიზო კომპანიაში საკუთარი კაპიტალის უკუგება წინა წელთან შედარებით, შემცირდა 0,013 პუნქტით. დიუპონთის ფორმულით გავზომეთ ხუთი ფაქტორ-მაჩვენებლის ცვლილების გავლენა საკუთარი კაპიტალის უკუგებაზე. პირველი ფაქტორი არ შეცვლილა და გავლენა ნულის ტოლია. სამმა ფაქტორმა უარყოფითი გავლენა მოახდინა. ხოლო, მეხუთე ფაქტორ-მაჩვენებელი: აქტივების ფარდობა სააქციო კაპიტალთან – გაიზარდა წინა წელთან შედარებით 0,9527 პუნქტით ანუ მიმდინარე წელს სააქციო კაპიტალში ავანსირებულ ყოველ ერთ ლარს მოქმედებაში მოჰყავდა 0,9527 ლარით მეტი აქტივი (რესურსი), ვიდრე წინა

წელს, რის შედეგადაც სააქციო კაპიტალის მოსალოდნელი უკუგება გაიზარდა 0,302 პუნქტით.

ხუთივე ფაქტორის გავლენის ალგებრული ჯამი, სააქციო კაპიტალის უკუგების საერთო გადახრას (-0.013) უნდა უდრიდეს.

ამოხსნა 10.4.

$$\textbf{1 აქციის თეორიული ღირებულება} = \frac{(15000 * 12) + (15000 : 6) * 8}{15000 + (15000 : 6)} =$$

$$= \frac{180000 + 20000}{17500 \text{ ცალი}} = 11{,}43 \text{ ლ}$$

ამოხსნა 10.5.

1. როგორც ცნობილია, აქციების გამოშვების მიზნით, კომპანია ცდილობს მიაღწიოს რეგისტრაციას საფონდო ბირჟაზე, ვინაიდან, რეგისტრირებული ორგანიზაციები ხშირად აღიქმებიან, როგორც ფინანსურად ძლიერ და მაღალი კრედიტორუნარიანობის მქონე ორგანიზაციებად. ისინი, უმეტესწილად წარმოადგენენ სწრაფად მზარდ ფირმებს. ისინი, ჩვეულებრივ ეყრდნობიან გაუნაწილებელ მოგებას და მოკლევადიან სესხებს. ინვესტორები ამჯობინებენ ინვესტიციები ჩადონ რეგისტრირებულ კომპანიებში, ვიდრე არარეგისტრირებულ კომპანიებში.
რეგისტრირებული აქციების მქონე კომპნიების მფლობელები რამდენიმე წლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ ხდებიან მნიშვნელოვანი პაკეტის მფლობელები და შეუძლიათ თავიანთი ქონება ახალი მიზნებისათვის გამოიყენონ; აამაღლონ აქციების რეალიზებადობა; დათანხმდენ, კომპანიის ხელმძღვანელობაზე ოფციონით აქციების გაყიდვას; ხელი შეუწყონ კომპანიის გაფართოებას „შთანთქმის“ მეშვეობით (იყიდონ სხვა საწარმოები); აამაღლონ კომპანიის პრესტიჟი.

ბირჟაზე კოტირება კომპანიას ანიჭებს ფინანსური რესპექტაბელურობის სახეს, რომელიც შეიძლება ხელს უწყობდეს ახალი ხელშეკრულებების დადებას. აგრეთვე შეუძლია მიიღოს უფასო რეკლამა, როდესაც მას ფინანსური პრესა წარმოადგენს და განიხილავს მის შედეგებს.
აქციების გამოშვება ოფციონით ხდება საბაზროზე დაბალ ფასად, კომპანიის თანამშრომლებისათვის ან არსებული აქციონერებისათვის. ბონუსური ემისია კი ნიშნავს უფასოდ აქციების გაცემას გაუნაწილებებელი მოგების ხარჯზე.

II. გამოვთვალოთ აქციების თეორიული ღირებულება, თუ ჯაფარიძე მიიღებს კუთვნილ უფლებას:

ერთი აქციის თეორიული ღირებულება =

$$= \frac{[\text{გამოშვებული აქციების რიცხვი} * \text{საბაზრო ღირებულება}] + [\text{აქციის რიცხვი} * \text{უფლებითი აქციის ფასი}]}{\text{აქციების ჯამური რაოდენობა უფლებითი აქციების გამოშვების შემდეგ}}$$

$$= \frac{(200000 * 15 \text{ ლ}) + (200000/5 * 8 \text{ ლ})}{(200000 + 40000)} = \frac{3 \text{ მლნ ლ} + 0.32 \text{ მლნ ლ}}{240000} = 13{,}83 \text{ ლ}$$

გამოთვლა შეიძლება მეორენაირადაც:

5 აქციის მიმდინარე საბაზრო ფასი (5 * 15)	75 ლ
ოფციონით გამოშვებული 1 ახალი აქციის ფასი	8 ლ
6 აქციის თეორიული ღირებულება	83

ერთი აქციის თეორიული ღირებულება ოფციონის გამოშვების შემდეგ = 83/6 = 13,83 ლარი.

III. გამოვთვალოთ ოფციონის ღირებულება ერთ აქციაზე, თუ აქციონერი მას გაყიდის:

უფლებების თეორიული ღირებულება ერთ აქციაზე =
= თეორიულ ფასს უფლების გამოშვების შემდეგ – აქციების დატოვების ღირებულება

უფლებების ღირებულება ერთ აქციაზე = 13,83 – 8 = 5,83 ლ

მაშასადამე, თუ ჯაფარიძე გაყიდის თავის ყველა უფლებას ანუ ოფციონით ნაყიდ ყველა აქციას, მაშინ იგი უნდა მოელოდეს 20000/5 * 5,83 = 23320 ლარის მიღებას.

გაანგარიშება ალტერნატიული ხერხით (ლ):

ერთი აქციის მიმდინარე ფასი	15
ერთი აქციის თეორიული ფასი ოფციონის გამოშვების შემდეგ	(13,83)
ერთი აქციისათვის უფლებების თეორიული ღირებულება	1,17

ყველა იმ ახალი აქციის თეორიული ღირებულება, რომლის შესყიდვაც შესაძლებელია =
= 5 * 1,17 = 5,85 (თითქმის 5,83. განსხვავება დამრგვალების მიზეზითაა).

IV. გამოვთვალოთ სააქციო კაპიტალის მოსალოდნელი უკუგება კომპანიის ინვესტორებისათვის დივიდენდის ზრდის ფორმულის გამოყენებით.

სააქციო კაპიტალზე მოსალოდნელი უკუგება (R) = (D_1/MV + g) * 100; სადაც:

D_1 - არის სიმრავლის მომდევნო წლის დივიდენდი;
g - დივიდენდის ზრდის საშუალო განაკვეთი; $g = [(a_n / a_1)^{1/(n-1)} – 1]$
MV - აქციის საბაზრო ფასი;

მოცემულობის მიხედვით, დივიდენდის საშუალო ზრდის განაკვეთი აღებულ 2013 – 2017 წლების პერიოდში, იქნება დივიდენდის ზრდის სანდო მაჩვენებელი მომავლისათვის. 2013 – 2017 წლებს შორის პერიოდში (ხუთს მინუს ერთი), დივიდენდები ერთ აქციაზე გაიზარდა კოეფიციენტით:
3,4/2 = 1,7–ჯერ. (სიმრავლის ბოლო და პირველი წევრის ფარდობა)
ამდენად, საშუალო წლიური ზრდის განაკვეთი ამ პერიოდის განმავლობაში არის მეოთხე ხარისხის ფესვი 1,7-დან, მინუს ერთი.

$g = (3,4 / 2)^{1/4} – 1 = 1,142 – 1 = 0,142$ ანუ 14,2% $g= [3,4 / 2] – 1 = 0,142$
$D_1 = 3,4 * 1,142 = 3,88$ ლ
R = (3,88 / 15 + 0,142) * 100 = 40,1 % - უკუგება

თავი 11. საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზი

ამოხსნა 11.1.

გამოვთვალოთ საშუალო ნაშთი. ამასთან, გაანგარიშებიდან გამოიქვითება ფულადი თანხები.

$$\text{საბრუნავი კაპიტალის საშუალო წლიური ნაშთი} = \frac{(56890 - 7900) + (57900 - 5300)}{2} = 50795$$

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი = 507950 / 50795 = 10 – ჯერ
საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის პერიოდი (ხანგრძლიობა) = 653 დღე / 10 = 65,3 დღე

ამოხსნა 11.2.

1. ჯერ უნდა გამოვთვალოთ საოპერაციო ციკლის გამოსათვლელად საჭირო მაჩვენებლები:

მასალის მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი – 23 დღე
(9800 * 365) / 156000
დაუმთავრებელი პროდუქტის მარაგში ავანსირებული ღირებულების
ბრუნვის პერიოდი (5100 * 365) / 180000 – 10,3 დღე
მზა პრდუქციის მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის
პერიოდი (12700 * 365) / 175000 – 26,5 დღე
დებიტორული დავალკანებების ინკასაციის პერიოდი – 23,4 დღე
(12500 * 365) / 195000

საოპერაციო ციკლი 83,2 დღე

2. საფინანსო ციკლი = 83,2 – (14000 * 365) / 168000 = 83,2 – 30,4 = 52,8 დღე

ამოხსნა 11.3. .

	წინა წელი	მიმდინარე წელი
ბრუნვადობა დღეებში	(15480-4800)*365/94000 = 41,5	(14950-3100)*365/98000 = 44,1
დღიური ხარჯი	80000/365 = 219 ლ	83860/365 = 230 ლ

როგორც გაანგარიშებებმა აჩვენა, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლიობა მიმდინარე წელს გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს რომ ბრუნვადობა შენელდა და საჭირო იქნებოდა ბრუნვაში სახსრების დამატებით მოზიდვა, რომელიც ტოლია:
დამატებით მოზიდული სახსრები = (44,1 - 41,5) * 230 = 2,6 დღე * 230 = 598 ლარი.

ამოხსნა 11.4.

$$Q = [(2 * 7,4 * 1,7) / 0,15]^{1/2} = 12,95 \text{ მლნ ლ}$$

საშაუალო მინიმალური ნაშთი იქნება 12,95/2 = 6,475 მლნ ლ
მაშადამე, კომპანიას ფულის საბანკო ანგარიშებზე უნდა ჰქონდეს, მინიმუმ – 6,475 და მაქსიმუმ – 12,95 მლნ ლარის ფულადი თანხები.

თავი 12. მოგებისა და მომგებიანობის ანალიზი

ამოხსნა 12.1.

მოგების ნორმა: წინა წელს = 750/25000 = 3%;
მიმდინარე წელს = 1300/27400 = 4,7%.
ფასნამატი: წინა წელს = 750/24250 = 3%;
მიმდინარე წელს = 1300/26100 = 5%.
მოგების ხარჯტევადობა: წინა წელს = 24250/750 = 32,33 ლარი
მიმდინარე წელს = 26100/1300 = 20,08 ლარი
მოგების შემოსავლიანობა: წინა წელს = 25000/750 = 33,33 ლარი
მიმდინარე წელს = 27400/1300 = 21,08 ლარი

სხვაობა მოგების შემოსავლიანობასა და ხარჯტევადობას შორის ყოველთვის ერთის ტოლია:

33,33 – 32,33 = 1
21,08 – 20,08 = 1

მაშასადამე, მოგებ/ზარალის ანგარიშგების შედარებისას ირკვევა, რომ გაზრდილია შემოსავლებიც და ხარჯებიც, მაგრამ მათი შედარება სწორ პასუხ არ იძლევა ხარჯების ეფექტიანობის შესახებ, რადგან პროდუქციის სხვადასხვა რაოდენობაზეა გაწეული. ამიტომ, ფარდობითი მაჩვენებლები შეისწავლება.

გაანგარიშება აჩვენებს, რომ ყოველი ერთი ლარი მოგების მისაღებად წინა წელს გაწეული იყო 32,33 ლარი ხარჯი, მიმდინარე წელს კი 20,08 ლარი. აშკარაა, რომ ხარჯები გაცილებით მაღალი ეფექტიანობით გამოუყენებიათ მიმდინარე წელს, ვიდრე წინა წელს.

მოგების ხარჯტევადობის მაჩვენებლი შეიძლება ცალკეული სახის ხარჯების მიხედვითაც შეიძლება იქნას შესწავლილი. კერძოდ:

	წინა წელი	მიმდინარე წელი	გადახრა
საწარმოო დანახარჯი 1 ლ მოგებაზე	25,0	15,54	- 9,46
კომერციული ხარჯი 1 ლ მოგებაზე	3,87	0,69	- 3,18
ადმინისტრაციული ხარჯი 1 ლ მოგებაზე	3,47	3,84	+ 0,37

როგორც გაანგარიშებებმა აჩვენა, ადმინისტრაციულ ხარჯებში ადგილი აქვს ხარჯტევადობის ზრდას. ერთი ლარი მოგების მიღების უზრუნველსაყოფად, 37 თეთრით მეტი ადმინისტრაციული ხარჯია გაწეული მიმდინარე წელს, ვიდრე წინა წელს. ამდენად, მმართველობითი ხარჯების ეფექტიანობა დაცემულია და ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს მისი მიზეზები.

ამოხსნა 12.2.

პირველ რიგში უნდა დავადგინოთ, მოცემული ორი ცვლადიდან რომელია ფაქტორი და რომელია შედეგი. კერძოდ, მომგებიანობა ახდენს გავლენას შრომის მწარმოებლურობაზე თუ პირიქით, შრომის მწარმოებლურობა ახდენს გავლენას აქტივების მომგებიანობაზე.

გამომდინარე იქედან, რომ ჯერ შრომა იხარჯება რაღაც მწარმოებლურობით, შრომა რესურსებს იყენებს გარკვეული ეფექტიანობით, რომელიც საბოლოოდ მომგებიანობის მაჩვენებელზეც აისახება, ანუ გავლენას მოახდენს მომგებიანობაზე. ამდენად, დამოუკიდებელი ცვლადია შრომის მწარმოებლურობა (x) და დამოკიდებული ცვლადია მომგებიანობა (y).

გაანგარიშებები მიიღებს შემდეგ სახეს:

წლები	x	y	x2	y2	x*y

2007	3,7	0,1205	13,69	0,01452	0,44585
2008	3,7	0,1273	13,69	0,01621	0,47101
2009	3,5	0,1303	12,25	0,01698	0,45605
2010	3,3	0,1277	10,89	0,01631	0,42141
2011	2,9	0,1234	8,41	0,01523	0,35786
2012	2,7	0,1164	7,29	0,01355	0,31428
---	---	---	---	---	---
∑	19,8	0,7456	66,22	0,09280	2,46646

კორელაციის კოეფიციენტის ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ, მიიღება:

კორელაციის კოეფიციენტი: r = 0,5205

დეტერმინაციის კოეფიციენტი: D = 0,52052 = 0,2709 ანუ 27,09 %

ამრიგად, კავშირი შრომის მწარმოებლურობასა და აქტივების მომგებიანობას შორის პირდაპირ პროპორციულია და საშუალოდ მაღალი. ხოლო, აღებულ ექვსწლიან პერიოდში, აქტივების მომგებიანობის ცვლილების 27,09 % გამოწვეული იყო შრომის მწარმოებლურობის ცვლილებით.

ამოხსნა 12.3.

აქტივების მომგებიანობის საერთო გადახრაა +0.018. მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენაა:

1. მოგების ნორმის ცვლილების გავლენა ტოლია:
   (+ 0,009) * 1,689 * 0,452 = + 0,007
2. ფონდუკუგების ცვლილების გავლენა ტოლია:
   0,2 * (- 0,149) * 0,452 = – 0,013
3. ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილის ცვლილების გავლენა უდრის:
   0,2 * 1,54 * (+ 0,079) = + 0,024

მაშასადამე, ორმა ფაქტორმა დადებითი გავლენა მოახდინა, ერთმა ფაქტორმა კი უარყოფითი.

თავი 13. საწარმოს ლევერიჯის ანალიზი

ამოხსნა 13.1

მაჩვენებლები	ვალდებულებების %-ული წილი		
	0	**27%**	**50%**
საკუთარი კაპიტალი	80000	58400	40000
აღებული სესხები	-	21600	40000
სულ კაპიტალი	80000	80000	80000
შემოსავალი რეალიზაციიდან	95000	95000	95000
საოპერაციო ხარჯები	(85000)	(85000)	(85000)
საოპერაციო მოგება	10000	10000	10000
საპროცენტო ხარჯები	-	(3240)	(6000)
წლიური მოგება	10000	6760	4000

მოგების გადასახადი (15%)	(1500)	(1014)	(600)
წმინდა მოგება	8500	5746	3400
რენტაბელობა (წლ.მოგება/ხარჯები)%	**11,8%**	**7,7**	**4,4**
საკუთარი კაპიტალის უკუგება (%-ად)	**10,6**	**9,9**	**8,5**
ფინანსური ლევერიჯი (საოპერ. მოგება/წლიური მოგება)	**1**	**1,74**	**2,5**

მოცემულ შემთხვევაში, რაც უფრო მაღალია ვალდებულებების წილი დაფინანსების წყაროებში, მით მაღალია რისკის დონე და მით უფრო დაბალია კაპიტალის უკუგებაც და ხარჯების მომგებიანობა.

ამოხსნა 13. 2.

ფინანსური ლევერიჯის საერთო გადახრაა +0,042. ე.ი. რისკები გაზრდილია. გავზომოთ მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენა:

I მწკრივი: 2,037 * 4,1538 : 4,6154 = 1,833
II მწკრივი: 1,7647 * 4,1538 : 4,6154 = 1,588
III მწკრივი: 1,7647 4 * 4,25 : 4,6154 = 1,625
IV მწკრივი: 1,7647 * 4,25 : 4 = 1,875
I ფაქტორის გავლენა = 1,588 – 1,833 = - 0,245
II ფაქტორის გავლენა = 1,625 – 1,588 = + 0,037
IV ფაქტორის გავლენა = 1,875 – 1,625 = + 0,25

+ 0,042

ამოხსნა 13.3.

	I წ	**II წ**	**გადახრა**
მოგება დაბეგვრამდე	7200	9400	
საპროცენტო ხარჯები	2400	3800	
მოგება %-მდე	9600	13200	
ფინანსური ლევერიჯი	9600/7200 = 1.333	13200/9400 = 1,404	+ 0,071
I ფაქტორი -	9600/2400 = 4	13200/3800 = 3,4737	- 0.5263
II ფაქტორი -	2400/7200 = 0,3333	3800/9400 = 0,4042	+ 0,0709

როგორც ხედავთ, ფინანსური ლევერიჯი წინა წელთან შედარებით გაიზარდა რაც რისკების ზრდას ნიშნავს და არასასურველი მოვლენაა.

გავზომოთ გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა აბსოლუტური სხვაობის ხერხით:

I ფაქტორის გავლენა = (-0,5263) * 0,3333 = - 0,175
II ფაქტორის გავლენა = 3,4737 * (+0709) = +0,246

+0,071

როგორც გაანგარიშებამ გვიჩვენა, პირველი ფაქტორის შემცირებამ რისკები შეამცირა. ხოლო, მეორე ფაქტორის ცვლილების შედეგად რისკები გაიზარდა.

ამოხსნა 13.4.

ოპერაციული ლევერიჯი = %-მდე მოგების ცვლილება / გაყიდვების %-ული ცვლილება;

ფინანსური ლევერიჯი = წმინდა მოგების %-ული ცვლილება / საოპერაციო მოგების პროცენტული ცვლილება;

კომბინირებული ლევერიჯი = წმინდა მოგების %-ული ცვლილება / გაყიდვების %-ული ცვლილება

10%-იანი ზრდის შემთხვევაში

	საწყისი	10-% ზრდა	გადახრა
გაყიდვები	70000	77000	+7000
დანახარჯები:			
მუდმივი	(15000)	(15000)	-
ცვლადი	(25000)	(27500)	+2500
სულ ხარჯები	(40000)	(42500)	+2500
მოგება %-ის გადახდამდე	30000	34500	+4500
სა-% ხარჯები	(5000)	(5000)	-
მოგება დაბეგვრამდე	25000	29500	+4500
მოგების გადასახადის ხარჯი	(4500)	(5310)	(+810)
წმინდა მოგება	20500	24190	+3690

კოფიციენტები:

$$\text{ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{4500/30000 * 100}{7000/70000 * 100} = \frac{15}{10} = 1,5$$

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{3690/20500 * 100}{4500/30000 * 100} = \frac{18}{15} = 1,2$$

$$\text{კომბინირებული ლევერიჯი} = \frac{3690/20500 * 100}{7000/70000 * 100} = \frac{18}{10} = 1,8$$

ან,

კომბინირებული ლევერიჯი = ოპერაციული ლევერიჯი * ფინანსური ლევერიჯი = = 1,5 * 1,2 = 1,8

თავი 14. საწარმოს მოსალოდნელი გაკოტრების მარავალფაქტორიანი მოდელების ანალიზი

ამოხსნა 14.1.

$Z = 0,717\ k_1 + 0,847\ k_2 + 3,107\ k_3 + 0,42\ k_4 + 0,995\ k_5$; სადაც,

K_1 – არის წმინდა საბრუნავი კაპიტალი (იგივე სსს) ფარდობა აქტივებთან;

K_2 – არის სარეზერვო კაპიტალისა [(მოგებიდან შექმნილი რეზერვების და გაუნაწილებელი მოგების (ზარალის) ჯამის] ფარდობა აქტივებთან;

K_3 - საოპერაციო მოგების (ზარალის) ფარდობა აქტივებთან;

K_4 - საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან (გადაფასების რეზერვის გარეშე);

K_5 - ამონაგების ფარდობა აქტივებთან.

$Z = 3,3 * 10930/116640 + 1 * 85300/116640 + 0,6 * 80000/38330 + 1,4 * 8810/116640 + + 1,2 * 29470/116640 = 0,3092 + 0,7313 + 1,2522 + 1,1057 + 0,3032 =$ **3,702**

როგორც ცნობილია, როცა ალთმანის კოეფიცენტი 2,675-ზე მეტია, საწარმოს 2-3 წლის განმავლობაში გაკოტრების საფრთხე არ ემუქრება.

ამოხსნა 14.2.

Y_1 = სსს / აქტივების საშ. ნაშთი = 500 / 42000 = 0,012
Y_2 = მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე (EBIT) / აქტივების საშ. ნაშთი =
= 2350 / 42000 = 0,056
Y_3 = წლიური მოგება / მიმდინარე ვალდებ. საშ. ნაშთი = 1260 / 12300 = 0,102
Y_4 = შემოსავალი რეალიზაციიდან /აქტივების საშ. ნაშთი = 40700 / 42000 = 0,969

სპრინგეითის ინდექსი = 1,03 * 0.012 + 3,07 * 0,056 + 0,66 * 0,102 + 0,4 * 0,969 =
= 0,012 + 0,172 + 0,067 + 0,388 = 0,639

ეს კოეფიციენტი, ავტორის აზრით, 0,9-ის ზემოთ უნდა იყოს. მოცემულ მაგალითზე იგი დასაშვებ ზღვარზე დაბალია. მაშასადამე, მენეჯმენტმა დაუყოვნებლივ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს.

თავი 15. პროგნოზული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა

ამოხსნა 15.1.

გამოთვლები იანვრისათვის:
1. ნაღდი ფულით გადახდა 22-ის 10% = 2,2 მლნ ლ
2. დეკემბერში კრედიტით შესყიდვების 80% = 20-ის 80% = 16 მლნ ლ
3. ნოემბერში შესყიდვების 20% = 18-ის 20% = 3,6 მლნ ლ

ფულის გადინება სულ 21,8

4. კრედიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი = (7+22) – 21,8 = 7,2 მლნ ლ

გამოთვლები თებერვლისათვის:
1. ნაღდი ფულით გადახდა 20-ის 10% = 2 მლნ ლ
2. იანვარში კრედიტით შესყიდვების 80%= 19,8-ის 80% = 15,84
3. დეკემბერში კრედიტით შეყიდვების 20% = 20-ის 80% = 4 მლნ ლ

ფულის გადინება სულ 21,84

4. **კრედიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი = (7,2 +20) – 21,84 = 5,36**

გამოთვლები მარტისათვის:
1. ნაღდი ფულით გადახდა 21-ის 10% = 2,1 მლნ ლ
2. თებერვალში კრედიტით შესყიდვების 80% = 18-ის 80% = 14,4 მლნ ლ
3. იანვარში კრედიტით შესყიდვების 20% = 19,8-ის 20% = 3,96 მლნ ლ

ფულის გადინება სულ 20,46

4. **კრედიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი (5,36 + 21) – 20,46 = 5,9**

ჩატარებული გამოთვლების საფუძველზე შედგება ფულის გადინების ბიუჯეტი;

ფულადი საშუალებების გეგმური გადინებისა და კრედიტორული დავალიანებების პროგნოზი მომავალი წლის I კვარტლისთვის

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი
- კრედიტორული დავ-ის საწყისი ნაშთი	7,0	7,2	5,36
- გეგმური შესყიდვები სულ	22,0	20,0	21,0
მ.შ. კრედიტით შესყიდვები (90%)	19,8	18,0	18,9
ფულადი თანხების გადინება:			
- ნაღდი ფული მიმდ. თვის შესყიდვებზე (10%)	2,2 (22-ის 10%)	2,0 (20-ის 10%)	2,1 (21-ის 10%)
- წინა თვის კრედიტით შესყიდვაზე (80%)	16,0	15,84	14,4
- წინას წინა თვის კრედიტით შესყიდვაზე (20%)	3,6 (18-ის 20%)	4,0 (20-ის 20%)	3,96 (19,8-ის 20%)
ფულის გადინება სულ	21,8	21,84	20,46
კრედიტ. დავალანების საბოლოო ნაშთი	7,2 (7+22)-21,8	5,36	5,9

ამოხსნა 15.2.

გამოთვლები იანვრისათვის

1. გაყიდვებიდან ნაღდი ფულის შემოსვლა= 15-ის 30% = 4,5 მლნ ლ
2. დეკემბერში კრედიტით გაყიდვების 60% = 14-ის 60% = 8,4 მლნ ლ
3. ნოემბერში კრედიტით გაყიდვების 40%-ის მიღება = 12,6-ის 40% = 5,04 მლნ ლ

ფულის შემოდინება სულ 17,94

4. **დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი (9 + 15) – 17,94 = 6,06**

გამოთვლები თებერვლისათვის:

1. გაყიდვები ნაღდ ფულზე = 20-ს 30% = 6 მლნ ლ
2. იანვარში კრედიტით გაყიდვების 60%-ის მიღება = 10,5-ის 60% = 6,3
3. დეკემბერში კრედიტით გაყიდვების 40%-ის მიღება = 14-ის 40% = 5,6

ფულის გასვლა სულ 17,9

4. დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი = (6,06 + 20) – 17,9 = 8,16 მლნ ლ

გამოთვლები მარტისათვის:

1. ნაღდი ფულის შემოსვლა, მარტში გაყიდვების 30% = 28-ის 30% = 8,4 მლნ ლ
2. თებერვალში კრედიტით გაყიდვების 60% = 14-ის 60% = 8,4 მლნ ლ
3. იანვარში კრედიტით გაყიდვების 40% = 10,5-ის 40% = 4,2 მლნ ლ

ფულის შემოდინება სულ 21 მლნ ლ

4. **დებიტორული დავალაინებების საბოლოო ნაშთი (8,16+ 28) – 21 = 15,16 მლნ ლ**

თავი 16. ინვესტიციების ანალიზი

ამოცანა 16.1.

წლები	**დისკონტირებული ღირებულება (ლ)**
0	(70 000)
1	18 182
2	12 396
3	22 539
4	17 075
5	15 523
---	---
წდღ	**15 715**

(წმინდა დისკონტირებული ღირებულება)

ამოხსნა 16.2.

წლები	**დისკონტირებული ღირებულება**	
	I პროექტი	**II პროექტი**
საწყისი ინვესტიცია	(70 000)	(70 000)
1	18 182	27 273
2	19 007	16 528
3	22 539	26 296
4	20 490	17 075
5	(9 314)	(15 523)
---	---	---
წდღ	904	1 649

კომენტარი: მისაღებია მეორე პროექტი, რადგან მისი დისკონტირებული ღირებულება აღემატება პირველი პროექტის დისკონტირებულ ღირებულებას.

. ამოხსნა 16.3.

ვინაიდან ამორტიზაციის თანხები გათვალისწინებული არაა, ამიტომ ამორტიზაციის ტოლი თანხა ყოველწლიურ ფულად ნაკადებს მიემატება, რომელიც 55000 ლარის მეხუთედის ტოლია. შესაბამისად ფულადი ნაკადები მიიღებს შემდეგ სახეს:

წლები	**I პროექტი**	**II პროექტი**
0	(55 000)	(55 000)
I	21 000	26 000
II	26 000	26 000
III	20 000	21 000
IV	16 000	16 000
V	1000	**(5000)**

გამოვთვალოთ უკუგების პერიოდი ორივე პროექტისათვის:

როცა ფულადი ნაკადი ართანაბარია, მაშინ ყოველი წლის მისაღები ფულადი ნაკადი შეუდარდება საწყის ინვესტიციას. პირველ პროექტში მისაღები ფულადი ნაკადების 55000 ლართან შედარების შემდეგ აღმოჩნდება, რომ პირველი ორი წლის თანხები სრულად არის საჭირო საწყისი ინვესტიციის დასაფარად, მაგრამ საკმარისი არაა. ამიტო მესამე წლიდან აიღება დარჩენილი წილი და მიიღება:

$$\text{I პროექტის უკუგების პერიოდი} = 2\text{ წ} + \frac{55000 - (21000+26000)}{20000} = 2\text{წ} + 0{,}4\text{ წ} = 2{,}4\text{ წ}$$

$$\text{II პროექტის უკუგების პერიოდი} = 2\text{ წ} + \frac{55000 - (26000+26000)}{21000} = 2\text{წ} + 0{,}14\text{ წ} = 2{,}14\text{წ}$$

მაშასადამე, მეორე პროექტი უფრო მალე გამოისყიდის (აინაზღაურებს) თავის თავს.

ამოხსნა 16.4

I პროექტის უკუგების პერიოდი = 4 წ (რადგან, 20+20+20+20 = 80 ათ.)

II პროექტის უკუგების პერიოდი = 3 წ (10 + 30 + 30 = 70 ათ.ლ)

$$\text{III პროექტის უკუგების პერიოდი} = 3\text{ წ} + \frac{(20000 - 10000)}{20000} = 3{,}5\text{ წ}$$

2. წმინდა დისკონტირებული ღირებულების გამოსათვლელად, მოვახდინოთ ფულადი ნაკადების დისკონტირება, რისთვისაც ისინი შესაბამის დისკონტირების კოეფიციენტებზე უნდა გადავამრავლოთ და შესაბამისად მივიღებთ:

დისკონტირებული ღირებულება

	I პროექტი	**II პროექტი**	**III პროექტი**
საწყისი ინვესტიცია	(80 000)	(70 000)	(90 000)
მოგება (ზარალი):			
I წ	18 182	9 991	27 273
II წ	16 528	24 792	24 792
III წ	15 026	22 539	15 026
IV წ	13 660	20 490	13 660
V წ	(6 209)	(9 314)	(6 209)
VI წ	8 468	5 645	8 468
---	---	---	---
წდღ	(14 345)	4 143	(9249)

კომენტარი: მიუხედავად იმისა, რომ მესამე პროექტის გამოსყიდვის პერიოდი ყველაზე მოკლეა, წმინდა დისკონტირებული ღირებულება უარყოფითია. პირველი პროექტიც ზარალიანია. ამიტომ, მისაღებია მეორე პროექტი.

ამოხსნა 16.5

წმინდა ფულადი ნაკადი = 170000 (სულ მისაღები ფული) – 120000 = 50000 ლ
საშაუალო წლიური მოგება = 50000/5წ = 10000 ლ
ინვესტიციის საშუალო ღირებულება = 120000/2 = 60000 ლ
უკუგების სააღრიცხვო კოეფიციენტი (ანუ ინვესტიციის რენტაბელობის ინდექსი) =
= 10000 / 60000 * 100% = 17%

ამოხსნა 16.6

მაჩვენებლები	**წინა წელი**	**მიმდინარე წელი**	**გადახრა**
შემოსავალი 1 აქციაზე:	**8,0**	**7,78**	**- 0,22**

I ფაქტორი	0,6429	0,6604	+ 0,0175
II ფაქტორი	0,875	0,866	- 0,009
III ფაქტორი	14,222	13,6	- 0,622

I ფაქტორის გავლენა = (+0,0175) * 0,875 * 14,222 = +0,218
II ფაქტორის გავლენა = 0,6604 * (-0,009) * 14,222 = -0,085
III ფაქტორის გავლენა = 0,6604 * 0,866 * (-0,622) = -0,356

კომენტარი: წინა წელთან შედარებით საანალიზო მაჩვენებელზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მეორე და მესამე ფაქტორმა. კერძოდ, წმინდა მოგების წილი წლიური მოგების მიმართ და ასევე, წლიური მოგების სიდიდე ერთ ჩვეულებრივ აქციაზე შემცირებულია.

თავი 17. ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზი

ამოხსნა 17.1.

1. ფინანსური ლევერიჯის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვა:

I მწკრივი: 2.037 * 4,1538 : 4,6154 = 1,833
II მწკრივი: 1,7647 * 4,1538 : 4,6154 = 1,588
III მწკრივი: 1,7647 * 4,25 : 4,6154 = 1,625
IV მწკრივი: 1,7647 * 4,25 : 4,0 = 1,875

პირველი ფაქტორის გავლენა = 1,588 – 1,833 = – 0,245
მეორე ფაქტორის გავლენა = 1,625 – 1,588 = + 0,037
მესამე ფაქტორის გავლენა = 1,875 – 1,625 = +0,25
კონტროლი: –0, 245 + 0,037 + 0,25 =

2. კომენტარი:

ვინაიდან, პირველ საწარმოში ყოველი ერთი ლარის მოგების მისაღებად მუდმივად უძრავად იმყოფებოდა 27%-ული პუნქტით მეტი აქტივები, ვიდრე მეორე საწარმოში და ამასთან, ყოველი ერთი ლარის მოგების მისაღებად 61 პროცენტული პუნქტით მეტი საკუთარი კაპიტალი იყო ავანსირებული, პირველი საწარმოს მენეჯმნტმა უნდა იმუშაოს ამ მიმართულებებით ვითარების გაუმჯობესების მიზნით.

ამოხსნა 17.2.

წმინდა დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა:

	I საწარმო	II საწარმო	III საწარმო
საწყისი ინვესტიცია	(90 000)	(80 000)	(77 000)
I წ	27 273	18 182	22 728
II წ	28 098	33 056	24 792
III წ	21 036	22 539	18 783
IV წ 1	12 418	20 490	10 245
V წ	(5588)	(9314)	(6209)
წდღ	(6763)	4953	(6661)

კომენტარი: ამრიგად, ინვესტიცია მომგებიანი იქნება მეორე საწარმოში.

ამოხსნა 17.3.

მაჩვენებლები	I საწარმო	II საწარმო	გადახრა
1. შემოსავალი ერთ აქციაზე (ლ)	18,10	20,0	-1,9
2. დივიდენდი ერთ ჩვ. აქციაზე (ლ)	10,95	9,06	+1,21
3. ერთი აქციის საბაზრო ფასი	25	28	+3
3. ერთი აქციის ფასის კოეფიციენტი	1,381	1,4	-0,019
მასზე მოქმედი ფაქტორები:			
I ფაქტორი: 1 აქციის საბაზრო ფასი (ლ)	25	28	-3
II ფაქტორი: შემოსავალი 1 აქციაზე (ლ)	18,10	20	-1,9

შედარების ბაზა არის მეორე საწარმო. პირველ საწარმოში ერთი აქციის საბაზრო ფასიც და შემოსავალი ერთ აქციაზე დაბალია. ხოლო, დივიდენდი ერთ აქციაზე პირიქით, პირველ საწარმოშია უფრო მაღალი.

ფასის კოეფიციენტზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გასაზომად ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოიყენება.

I მწკრივი: 28 : 20 = 1,4
II მწკრივი: 25 : 20 = 1,25
III მწკრივი: 25 : 18,1 = 1,381

საბაზრო ფასის ცვლილების გავლენა= 1,25 – 1,4 = - 0,15
1 აქციაზე შემოსავლის ცვლილების გავლენა = 1,381 – 1,25 = + 0,131

-0.019

კომენტარი: აქციის საბაზრო ფასი 3 ლარით დაბალია პირველ საწარმოში, ამის მიზეზით ამავე საწარმოს აქციის ფასის კოეიფიციენტი შემცირდა 0,15 პუნქტით. ვინაიდან, შემოსავლი ერთ აქციაზე 1,9 ლარით ნაკლებია, პირველი საწარმოს აქციის ფასის კოეფიციენტი 0,131 პუნქტით გაიზარდა.

ანალიზი აჩვენებს, რომ შემოსავლი ერთ აქციაზე მეორე საწარმოში უფრო მაღალია, მგრამ, დივიდენდი ერთ აქციაზე უფრო დაბალია, ვიდრე პირველში. ეს გამოწვეულია იმით, რომ მეორე საწარმო ახდენს წმინდა მოგებს რეინვესიტირებას და გეგმავს წარმოების გაფართოებას. ამრიგად, პოტენციური ინვესტორისათვის, შეიძლება ითქვას, რომ მეორე კომპანია უფრო უსაფრთხოა. ამიტომ მას მაღალი იმიჯიც აქვს და მისი აქციები უფრო ძვირია.

ლიტერატურა

1. ტომარაძე ლ., წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, თბ. 2015
2. ჩენგი ფლ. ლი, ფინერტი დ.ი. – კორპორაციების ფინანსები, თარგმანი იგნლ-დან, 2000
3. ცაავა, რისკოლოგია, თბ., 2013
5. ჭილაძე ი. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, სტ. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“, N4, გვ: თბ. ბაფ, 2016
5. ჭილაძე ი., საწარმოს საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის სრულყოფა, სტატია, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015 N3, გვ; 127-141
6. ჯიქია მ., ფინანსური ანალიზი, თბ. 2018
7. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი უმცრ., კორპორაციული ფინანსები. მე12 გამოცემა. თარგამნი ინგლ-დან. თბ., 2008
8. ბასს 32 – შემოსავალი ერთ აქციაზე, თარგმ. ინგლის-დან, თბ. ბაფ, 2014
9. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კონცეპტუალური საფუძვლები, ფასს 2014 წლის I იანვრის მდგომარეობით, ნაწილი პირველი, თარგმ. ინგლ-დან, ბაფ 2015, გვ: 19-70
10. ფასს 7 – ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები, ფასს, ნაწილი პირველი, თარგმანი ინგლ-დან, გვ. 731-797
11. ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები, ფასს, ნაწილი მეორე, თარგმ. ინგლ-დან, გვ: 7-379
12. F 7 – ფინანსური ანგარიშგება, ACCA, თარგმ. ინგლ-დან, თბ., ბაფ, 2014
13. F 9 – ფინანსური მართვა, ACCA, თარგმ. ინგლ-დან, ბაფ. თბ,. 2014
14. R. Preston McAfee; Tracy Lewis; Donald J. Dale, Introduction to Economic Analysis, 2009.
15. Steven M. Bragg, Business Ratios and Formulas, 2002.
16. Alberto Bisin, Introduction to economic analysis. 2011
17. Akbar Rahimipoor, A comparative study of bankruptcy prediction models of Fulmer and Toffler in firms accepted in Tehran Stock Exchange - Journal of Novel Applied Sciences, 2013
18. S.B.Costales, Geza Szurovy – The guide to understanding Fianancial statements. 1993
19. Thanas R. Robinson, Paul Munter, Julian Grant – Financial statement analyzis. 2004
20. Jay Taparia – Undeerstanding financial statements. 2004
21. Steven M. Bragg – Fiancial analyzis. 2007 10.
22. Bonita k, Kramer, Christie Wilson Johnson – Analyzis of statements. 2009
23. David E.Vance,Financil Analysis and Decision Making. 2003.
24. Eugene F. Brigham, Michael C. Erhardt – Financial Managemnt, 2014
25. Subramanyam K.R., Iohn J. Wild, Fiancial Statement Analysis. 2009
26. Gharles H. Gibson, Fiancial Reporting and Analysis, 2008
27. Lawtece Revsine, Daniel W. colins, W. Brue Jonson, Financial Statement Analysis, 2008
28. А.Д. Шеремет Е.Д. Негашев, Методика Финансового Анализа деятельности коммерческих организаций, 2008

იზოლდა გიორგის ასული ჭილაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი